ალ. კარანაძე

ნარკვევები ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1965

002 (C 41) (09)
85 + 301[(47•922) (09)
ქ 183

წიგნში გაშუქებულია გასული საუკუნის 60—70-იანი წლების ქართული ჟურნალისტიკის პროგრესული ტრადიციები. რამდენიმე ნარკვევი მკითხველს აცნობს აღნიშნული პერიოდის ჟურნალისტების (პ. უმიკაშვილის, ნ. ყიფიანის, ი. მესხის, ბ. ჯაფარიძის, დ. ჩხოტუას, დ. ყაზბეგის) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მონოგრაფიულ გამოკვლევაში „კრებულის“ შესახებ გარკვეულია ამ ჟურნალის როლი მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის, საზოგადოებრივი აზრისა და საერთოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

შესავალი

საუკუნე-ნახევრის მანძილზე, რომელიც პირველი პერიოდული გამოცემის — „საქართველოს გაზეთის“ დაარსებიდან გავიდა, ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი მდიდარი სულიერი კულტურის შესაფერი ჟურნალისტიკა. XIX საუკუნის დასაწყისიდან სასიქადულო წინაპრები — მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები, კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკები მშობლიური პრესის ფრონტზედაც დაუცხრომლად იღვწოდნენ, მჭრელი სიტყვით, ბასრი კალმით იცავდნენ ხალხისა და სამშობლოს ინტერესებს.

ქართულმა პრესამ თვალსაჩინო როლი შეასრულა მშრომელთა ფართო ფენების გათვითცნობიერებაში, მათ იდეურ გამოწრთობასა და დარაზმვაში, დიადი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში. „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“, „დროება“ და „ივერია“, „კვალი“ და „ჯეჯილი“ ისევე საამაყო და წმიდათა წმიდაა თვითეული ჩვენგანისათვის, როგორც წარსულის ყველა ეროვნული მონაპოვარი. დროისაგან გაყვითლებული მათი ფურცლები სამარადისოდ ინახავს ერის სულიერ საგანძურს, წინაპართა უანგარო ნამოღვაწარს, რომლის შეუსწავლელად შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ღრმად ჩაწვდომა, ისტორიის, ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზროვნების, მეცნიერების, რევოლუციური მოძრაობის მოვლენათა საფუძვლიანი ანალიზი და შეფასება.

საბჭოთა ჟურნალისტიკაში ნათელყოფილია რევოლუციამდელი პრესის როლი ხალხის ფართო ფენების პოლიტიკურ გათვითცნობიერებაში და მისი შესწავლის მნიშვნელობა.

დემოკრატიული პრესა რეაქციულ ძალებთან მწვავე ბრძო-

ლაში იწრთობოდა; ჟურნალ-გაზეთები გარკვეული კლასის, იდეური ჯგუფისა და პოლიტიკური პარტიის ინტერესებსა და თვალსაზრისს ასახავდნენ; ვ. ი. ლენინის სიტყვით: «Журнал без направления — вещь нелепая, несуразная, скандальная и вредная». [1]

ცალკეულ პერიოდულ გამოცემათა, აგრეთვე, ამა თუ იმ ისტორიულ მონაკვეთში, საერთოდ, ჟურნალისტიკის ძირითადი იდეური მიმართულების განსაზღვრა პირველწყაროებზე დამყარებულ კონკრეტულ ისტორიულ-ლიტერატურულ კვლევა-ძიებას მოითხოვს. სერიოზული ყურადღების ღირსია, უკლებლივ, ყველა გამოცემა. ბეჭდვითი ორგანოს იდეური მიმართულების განსაზღვრა, პირველ რიგში, ცხადია, გულისხმობს ანალიზს პუბლიცისტური ნაწერებისა, რომლებშიც აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემებია გაშუქებული, მაგრამ, საბჭოთა ჟურნალისტიკაში დადგენილია, რომ ასეთივე როლი ენიჭება მხატვრული, ლიტერატურულ-კრიტიკული და პოლემიკური თხზულებების შესწავლასაც.

ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ისევე როგორც ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვის ლექსები, მოთხრობები და კრიტიკული წერილები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებიც იყო.

ცნობილ კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილში: «Не начало ли перемены?» — რომელიც ნ. ვ. უსპენსკის მოთხრობების განხილვას მიეძღვნა, ნ. გ. ჩერნიშევსკი წერდა, უსპენსკი «Найдет, что статья о его книге слишком мало занимается его книгою». [2]

მით უმეტეს, შეუძლებელია ჟურნალ-გაზეთის მიმართულებაზე ანონსების, სარედაქციო პროსპექტებისა და ოფიციალური პროგრამის მიხედვით ვიმსჯელოთ.

ქართული ჟურნალისტიკის შესწავლა XIX საუკუნეშივე

---

[1] В. И. Ленин, соч. 4-е изд. т. 34, стр. 380—381.

[2] Н. Г. Чернышевский, полное соб. соч. т. VII, 1950 г. стр. 855.

დაიწყო და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გამოქვეყნებული ნაშრომებიც. უდავოდ, ყურადღების ღირსია. განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. უმიკაშვილის, გრ. ყიფშიძის, ზაქ. ჭიჭინაძის, გ. თუმანიშვილის, ა. ჯორჯაძის, ალ. ხახანაშვილის, კ. აბაშიძისა და სხვ. წერილები და წიგნები. დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ანტ. ფურცელაძისა და სხვა გამოჩენილ მწერალთა და პუბლიცისტთა მოსაზრებებს, როგორც, საერთოდ, ქართული ჟურნალისტიკის, ისე, კერძოდ, ცალკეული ჟურნალ-გაზეთების შესახებ.

ჩაგრამ, რევოლუციამდე ქართული ჟურნალისტიკის შესწავლას სისტემატური, მეცნიერული ხასიათი არ ჰქონდა. საამისოდ არც პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები არსებობდა. არც საკვლევაძიებო ბაზა; ამიტომ ზემოთაღნიშნულ მკვლევართა ნაწერებში ბევრ შეუმოწმებელ ცნობას, ტენდენციურ და იდეურად მცდარ დასკვნას ვხვდებით.

საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო ჟურნალისტიკის ისტორიაში სისტემატური მეცნიერული კვლევაძიება და საქმეც შეუდარებლად წინ წავიდა. მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა სიძველეთსაცავებში თავმოყრილი მდიდარი ფაქტიური მასალა და, რაც მთავარია, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საბით. მეცნიერებას მოევლინათ ღრმა ანალიზისა და შეფასების მძლავრი საშუალება მიეცა; უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე ბევრი საინტერესო მონოგრაფია და ნარკვევი გამოქვეყნდა.

მაგრამ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შექმნა შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა მონოგრაფიულად იქნება შესწავლილი და წამყვან ჟურნალისტთა შესახებაც მონოგრაფიული გამოკვლევები გვექნება. ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაზე, დღესდღეობით, მკაფიო წარმოდგენა არ გვაქვს, ბოლო ზოგიერთი დასკვნა, აშკარად ნაჩქარევია.

ცალკეულ გამოცემათა შესწავლის ბაზით, ჯერჯერობით, მოსამზადებელი მუშაობაც არ არის ჩატარებული: ამოუხსნელია ფსევდონიმები და ანონიმები, დაუდგენელია დაარსების ისტორია, ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობები, ტირაჟი, გა-

ვრცელების წესი, სარედაქციო კოლეგიისა და თანამშრომელთა შემადგენლობა, დახურვის მიზეზები და სხვ.

წინამდებარე ნაშრომს იმ მოსამზადებელი მუშაობის ნაწილად ვთვლით, რომელმაც ერთგვარად ხელი უნდა შეუწყოს, მკვლევართა საერთო ძალით, XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შექმნას.

წიგნში შეტანილი ნარკვევები პ. უმიკაშვილის, ნიკ. ყიფიანის, ი. მესხის, ბ. ჯაფარიძის, დ. ჩხოტუას, დიმ. ყაზბეგის ცხოვრებასა და ჟურნალისტურ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. აგრეთვე, მონოგრაფიული გამოკვლევა ჟურნალ „კრებულის“ შესახებ, მიზნად ისახავს გააშუქოს XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისის ქართული ჟურნალისტიკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები; გაარკვიოს „კრებულის“ როლი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის, მეცნიერების და, საერთოდ, გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

მცირე ისტორიული მონაკვეთი, რომელსაც ეს ნარკვევები შეეხება, გარდატეხის პერიოდს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, უაღრესად მდიდარი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით.

1864 წლის 8 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში, — ერთი წლის შემდეგ — ქუთაისის გუბერნიაში, 1867 წლის თებერვალში — სამეგრელოში, 1870 წელს — აფხაზეთში, ხოლო 1871 წელს — სვანეთში, ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა; მაგრამ, მთელი მიწა-წყალი მეფის მთავრობამ მებატონეთა საკუთრებად აღიარა და მიწის მცირე ნაკვეთებით სარგებლობისათვის „დროებით ვალდებულ გლეხებს“ მძიმე გადასახადები დააკისრა.

მართალია, რეფორმა კუდშეკვეცილი, თვალთმაქცური იყო, მაგრამ გლეხს მან პირადი თავისუფლება მიანიჭა და თვითმპყრობელობის მიერ გამოცხადებულ სხვა რეფორმებთან ერთად („ერობები“, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“), მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარებისათვის. სულ მალე, შესამჩნევად გამოცოცხლდა ვაჭრობა-აღებმიცემობა, საფაბრიკო-საქარხნო წარმოება, გზების მშენებლო-

ბა. დაიწყო როგორც ქალაქად, ისე სოფლად მეურნეობის ფეოდალური სისტემიდან კაპიტალისტურზე გადასვლა, რასაც სოციალური წინააღმდეგობების გართულება და გამწვავება მოჰყვა; მძიმე გადასახადებითა და პოლიტიკური უუფლებობით შევიწროებული ხალხი კვლავ იარაღისაკენ მიიწევდა. უკვე 1865 წლიდან მოკიდებული აქა-იქ, თბილისსა თუ პროვინციაში აჯანყებებმაც იფეთქა.

პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა საზოგადოებრივ აზროვნებაშიც მძლავრი გამოცოცხლება გამოიწვია. საკმარისია ითქვას, რომ 1871 წლისათვის ქართულ ენაზე ხუთი პერიოდული გამოცემა არსებობდა („დროება", „მნათობი", „ცისკარი", „კრებული", „სასოფლო გაზეთი"), მაშინ, როცა სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ ერთი ჟურნალიც საოცნებო იყო.

მოწინავე ინტელიგენცია სათლად გრძნობდა ქვეყნისა და ხალხის წინაშე მოვალეობას და ცდილობდა ახალი ვითარების შესაფერი სამოქმედო პროგრამა გამოემუშავებინა. „მნათობის" ერთ-ერთი პუბლიცისტი — მოსე ჭიჭოძე, 1870 წელს წერდა: „ქართველების ცხოვრებაში 1864, 1865, 1866 წლები არიან მეტად შესანიშნავი. ამ წლებში... მოეღო საუკუნოდ ბოლო ერთს საშინელ სენს... ნაჩვენები წლები შეადგენენ ეპოქას ჩვენი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. ეს ეპოქა აბოლოებს ჩვენი ხალხის ბნელ ცხოვრებას და უღებს კარებს ახალი, ნათელი ცხოვრებისათვის... [მაგრამ] ამას უნდა მარჯვე გზის ამორჩევა.... რა გზა არის ეს? რა საბით შეიძლება, რომ ჩვენი ხალხი დროზედ მოესწროს ეკონომიურ კეთილმდგომარეობას?.." დადგა „ის დრო, როცა უნდა მიუცილებლად შეირყეს საფუძველი ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა და დაიდგას საფუძველი ახალი ცხოვრებისათვის..." საქართველოს „ჰსურს იპოვოს ახალი, ფართო და უფრო გრძელი გზა და დაადგეს ამ გზას". [1]

ჟურნალისტიკა გაძლიერებულ ინტერესს იჩენს სხვადასხვა

---

[1] მ. ჭ ი ქ ო ძ ე, „საქართველოს მომავალი", „მნათობი", 1870 წ., იანვარი, „გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა", „მნათობი", 1870 წ., მარტი.

ფილოსოფიურ-სოციოლოგიური თეორიებისადმი, რუსეთისა და ევროპის რევოლუციური მოძრაობისადმი, ცდილობს „ახსნას მთელი ცხოვრების ვითარება, იმისი ებლანდელი მოძრაობა და მომავალი ბედ-იღბალი" (ს. მესხი).

„ახალი ცხოვრების შენება", „საქართველოს მომავლის ახალი გზების ძიება" პუბლიცისტური, პოლემიკური, კრიტიკული წერილებისა და მხატვრული ნაწარმოებების წამყვან თემად იქცა. კარდინალურ პრობლემათა გაშუქება-გადაწყვეტაში უფრო და უფრო მკაფიოდ იჩინა თავი აზრთა სხვადასხვაობამ, იდეურმა დიფერენციაციამ; გაჩაღდა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე კამათი, დაიწყო ჟურნალ-გაზეთების ირგვლივ იდეურ თანამოაზრეთა შემჭიდროება, ბზარი გაუჩნდა ადრინდელ ჯგუფებს, და ზოგ პერიოდულ გამოცემაში, თანდათან გამოისახა „ნაროდნიკული დამატებანი". პროგრესულ ჟურნალ-გაზეთებს მეტი პოლიტიკური აზარტით დაეწაფა მოსწავლე ახალგაზრდობა, უბრალო მკითხველი, და პრესის სიტყვა უფრო ფართოდ შეიჭრა ხალხში, გაიზარდა მისი ქმედითი ძალა, პროპაგანდისტული როლი.

ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, ჟურნალისტიკაზე საკვლევ პერიოდშიც დიდ გავლენას ახდენს რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პრესა, რომელმაც რეფორმის შემდეგ, თვითმპყრობელური რეაქციისაგან ბარბაროსული რბევა განიცადა. 1866 წ. დახურეს ჩვენში ფართოდ გავრცელებული ჟურნალები: „სოვრემენიკი" და „რუსკოე სლოვო". ნ. გ. ჩერნიშევსკის სტატისტიკური მასალების მიხედვით, „სოვრემენიკზე" ხელისმომწერთა რაოდენობით 60-იან წლებში თბილისს მეოთხე ადგილი ეკავა. მიმოიხილავდა რა ამ მასალებს, ჩერნიშევსკი წერდა: «На Кавказе число читателей («Современника») очень велико».[1] 1860 წ. ჟურნალი გამოწერილი ჰქონიათ ქუთაისში, გორში, თელავში, ოზურგეთში, დუშეთში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ასევე ფართოდ ვრცელდებოდა ჩვენში „რუსკოე სლოვოს" ნაცვლად, 1866 წ. დაარსებული „დელო", აგრეთ-

[1] Н. Г. Чернышевский, полное соб. соч., т. VII, 1950 г.

ვე „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, რომელსაც 1868 წლიდან ნეკრასოვი და სალტიკოვ-შჩედრინი ჩაუდგნენ სათავეში. მაგრამ, რეაქციის გაძლიერების, ნ. ჩერნიშევსკის დაპატიმრების შემდეგ, 70-იანი წლებისათვის, რუსეთში შესამჩნევად მომრაველდა რეაქციული და ლიბერალური გამოცემები. ამ ვითარებაში, უთუოდ ღირსშესანიშნავი და საამაყო» ჩვენი მაშინდელი ჟურნალისტიკის პროგრესულ-დემოკრატიული ტრადიციები („დროება“, „ქრებული“, „მნათობი“, „სასოფლო გაზეთი“), — ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, „სოვრემენიკის“ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისადმი ერთგულება სოციალურ-ეროვნული ბრძოლის ყველა ძირითად საკითხში. რეაქციულ ძალებთან იდეურ ბრძოლაში მოწინავე ქართული გამოცემები მტკიცედ იცავდნენ სამოციანელთა მემკვიდრეობას და, ამავე დროს, ეძებდნენ ახალ პრობლემათა გადაწყვეტის გზებს, უფრო მეტად უკავშირდებოდნენ რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას და ითვისებდნენ ევროპის მშრომელ კლასთა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას. უაღრესად მძიმე პოლიტიკურ, საცენზურო, ეკონომიურ და ტექნიკურ პირობებში ჩვენი დემოკრატი ჟურნალისტები და მწერლები გაბედულად ეწეოდნენ ეპოქის მოწინავე იდეათა პროპაგანდას; თანმიმდევრულად იბრძოდნენ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის, მაღალიდეური და მაღალმხატვრული ხელოვნებისათვის; ცდილობდნენ, რაც შეიძლება სრულად და სწორად აესახათ ცხოვრება, აღეძრათ მკითხველში არსებული წყობილებისადმი ზიზღი, გაეღვიძებიათ პატრიოტიზმი ჩაგრულთადმი თანაგრძნობა, ნათელი მომავლის იმედი.

ვფიქრობთ, ნარკვევები იმ დროის ჟურნალისტთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლითაც ეს წიგნი იწყება, მკითხველს უფრო ნათლად წარმოუსახავს ეპოქის სულისკვეთებას და ხელს შეუწყობს ჟურნალ „ქრებულის“ დანიშნულებისა და როლის გარკვევას.

პეტრე უმიკაშვილი

დიდი თანამედროვენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ. პეტრე უმიკაშვილს ღრმად განათლებულ, ერუდირებულ ლიტერატორად და ჟურნალისტად თვლიდნენ. ნახევარი საუკუნის მანძილზე პ. უმიკაშვილი იყო ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი, ლიტერატურული და პოლიტიკური თანამესაგრე.

„დროება"-„კრებულის" ხელმძღვანელთაგან ილია უშუალოდ პეტრე უმიკაშვილთან იყო დაკავშირებული. მას უგზავნიდა თავის ნაწერებს. აცნობდა შემოქმედებითს გეგმებს. უმხელდა შემოქმედებითი დუმილის მიზეზებს. 1873 წელს ილიამ პეტრე უმიკაშვილს გამოუგზავნა სარედაქციოდ ივანე მაჩაბელთან ერთად გადმოთარგმნილი „მეფე ლირის" პირველი ნაწილი.

პ. უმიკაშვილს წილად ხვდა ბედნიერება პირველთაგანს წაეკითხა „კაცია ადამიანი?!" და „გლახის ნაამბობი", „კაკო ყაჩაღი" და „აჩრდილი"; „დიმიტრი თავდადებული" და „ოთარაანთ ქვრივი" — პირველთაგანს გამოეთქვა თავისი ავტორიტეტული აზრი „საქართველოს მოამბისა" თუ „იერიის" შესახებ. 1890 წ. 31 მარტს ილია სთხოვდა, როგორც ჩანს, ცოტა შემომწყრალ მეგობარს: — „ძმაო პეტრე, ჩემო კარგო მეგობარო!... რაღაცაზე ნაწყენი ყოფილხარ და უნდა მითხრა. ამას თბოულობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა. „იერიაზე" გვექნება ლაპარაკი და მინდა .. შენი რჩევა გავიგონო".

მიუხედავად დაბალი სოციალური წარმოშობისა და სიღარიბისა, პეტრე უმიკაშვილმა თავისი დროისათვის ჩინებული განათლება მიიღო და მთელი ცოდნა, მთელი სიცოცხლე მშობელი ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა.

თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი მოღვაწეები, რომელთაც პეტრე უმიკაშვილისოდენა ამაგი მიუძღოდეთ მშობელი ერის წინაშე. ჩვენი ხალხის ყოველ კეთილნამოქმედარს წარსული საუკუნის მეორე ნახევარში სამარადჟამოდ აღბეჭდვია მისი ნათელი ხსოვნა. საერთო ვითარებისდაკვალად, მაშინდელ ქართველ მოღვაწეს, ერთდროულად მრავალ სხვადასხვა ასპარეზზე უხდებოდა შრომა; მრავალ უყურადღებოდ დარჩენილ და გადაუდებელ საქმესა და დარგს უნაწილებდა თავის ნიჭს, ცოდნასა და ენერგიას. მაგრამ პეტრე უმიკაშვილი ამ მხრივაც შეუდარებელია; კულტურისა და მეცნიერების ზოგიერთ დარგში ის იყო არა რიგითი მუშაკი, არა უბრალო მოყვარული და ენთუზიასტი, არამედ ფუძემდებელი. (ფოლკლორისტიკა. ჟურნალისტიკის ისტორია, თეატრის ისტორია და სხვ.) ამასთან, უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი; არ მოგვეპოვება მონოგრაფიული გამოკვლევა და ნაწერთა სრული ბიბლიოგრაფია. ღირსეულად დაფასებულია მხოლოდ მისი ფოლკლორისტული მოღვაწეობა [1]. ამიტომ სავსებით გასაგებია ამ დიდი ამაგდარის თანამედროვეთა გულისტკივილი, რომელიც ასე კარგად გამოუხატავს ეკატერინე გაბაშვილს: „არიან იმისთანა პირნი, რომელთა პიროვნება და ღვაწლი დაუვიწყარნი უნდა იყვნენ საზოგადოებისათვის და ამგვარ პირთ ეკუთვნოდა, უეჭველად „ჩვენი პეტრეც“, როგორც მას უწოდებდა ყოველი ინტელიგენტი ქართველი. დღეს კი „ჩვენი პეტრე“, ეს მთელი მესამოცე წლებიდან დაწყებული 1904 წლამდე მოამაგე და საზოგადო მოღვაწე, მთელი სიგრძე-სიგანით, თავისი მნიშვნელობით დავიწყებულია. ეს დიდი უმადურობაა. და როგორც ყოველი უმადურობა. „მე გულს მტკენს“. [2]

პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი დაიბადა თბილისში, 1838 წლის 23 ოქტომბერს. მამამისი წვრილ ვაჭრობას ეწეოდა, მაგ-

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით; 1937 წ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი № 17020-ხ.

რამ, რაკი ფრანგული ენა კარგად იცოდა, მოგვიანებით საფრანგეთის კონსულ შევალიესთან დაიწყო მდივან-თარჯიმნად სამსახური და რამდენიმე ხნით საფრანგეთშიაც კი გაჰყვა მას.

დედა პეტრესი — მარიამ სტეფანეს ასული კაკალაშვილი, „მომთმენი, ჰკვიანი, შორსმჭვრეტელი და საკვირველის ესთეტიკურის გემოვნების“ ქალი იყო.[1]

1843 წელს, ხუთი წლის პეტრეს მამა გარდაეცვალა, დედაშვილს მეტად მცირე სარჩო-საბადებელი დარჩათ და აუტანელ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ.

დაწყებითი განათლება პეტრემ მიძინების (კათოლიკეთა) ეკლესიის სამრეველო სკოლაში მიიღო. სწავლა თბილისის კომერციულ გიმნაზიაში განაგრძო, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ, 1854 წლიდან — პირველ გიმნაზიაში გადავიდა, რომელიც 1860 წელს დაამთავრა. უნდოდა უნივერსიტეტში შესულიყო, მაგრამ საბსარი არსაიდან ჩანდა და მოამაგე დედისათვის გაჭირვება რომ შეემსუბუქებინა, სამსახურის ძებნას შეუდგა. პეტრე უმიკაშვილის „დღიურები“, რომელიც მის არქივშია დაცული, მკაფიოდ წარმოგვიდგენს მაშინდელი ქართველი ახალგაზრდის ტრაგედიას. 1860 წელს ერთ „დიდკაცისაგან“ გამოძევებულ პეტრეს ჩაუწერია: „თვალებში რომ შებედო, გაუმაძღრობისა და ხარბობის მეტს ვერასა დაინახავ იმათს გამოშეტყველებაში... ვაი შენი ბრალი, მთელი ბუნების შემგინებელო, შემარცხვენელო ადამიანო! ოხერო და ტიალო, შენთან მოდის ობოლი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი, გთხოვს პირდაპირ, იქნება ერთი რამე ადგილი უბოძო. შენი ხელის გამართვა ეს არის, რომ საათობით ბალკონში აცდევინებ“.

ამ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში პეტრე უმიკაშვილი „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს დაუახლოვდა და მისი დავალებით, ჟურნალზე ხელმოწერის სიას კარდაკარ დაატარებდა. ამასთან, ქართული წიგნების გამოსაცემი ფონდის შესაქმნელად მსურველებს აგროვებდა, მაგრამ არც ერთი, არც მეორე საქმისაგან არაფერი გამოუვიდა. „დღიურებში“ მწარე ნაღველით წერს უსაქმურებზე, რომლებიც ზიზღით ხედებოდნენ ქართული წიგნისა და ჟურნალის წაკრიკს.

[1] პ. უმიკაშვილის ავტობიოგრაფია, „იერია“, 1904 წ., № 123.

ამავე პერიოდს ეკუთვნის პ. უმიკაშვილის ლიტერატურული დებიუტი. „ცისკრის“ 1860 წლის მე-12 ნომერში დაიბეჭდა მის მიერ გადმოკეთებული კარამზინის — „მწერალს რა ეჭირვება?“. ეს თავისებური პასუხია იმ სულიერ ტკივილზე, რომელიც მას ყველაზე მეტად ტანჯავდა; ლიტერატურა უსათუოდ ჰუმანისტური უნდა იყოს, მწერალი სიკეთეს უნდა ქადაგებდეს და თავადაც სიკეთეს განასახიერებდეს. შემოქმედება და შემოქმედი განუყოფელი იდეურ-მორალური კატეგორიაა; არ კმარა ნიჭი და ცოდნა, შემოქმედებაში გადამწყვეტი როლი კეთილ. სათნო გულს ეკუთვნის. ლიტერატურამ უნდა აღგვამაღლოს. გულქვა ადამიანი კი აღმამაღლებელს ვერას შეჰქმნის. მწერალს „სიყვარულის სუნთქვა უნდა აღვიძებდეს“. კარამზინის ლიტერატურული შეხედულებებიდან პ. უმიკაშვილს შეურჩევია ის, რაც რეალიზმის ნიშან-თვისებასაც შეადგენს— ბალზის გაჭირვებული ცხოვრების ასახვა მისდამი თანაგრძნობის პოზიციიდან.

საყურადღებოა, რომ ამ წერილისათვის დართულ შენიშვნაში პ. უმიკაშვილი აუცილებლად თვლის ჟან-ჟაკ რუსოს თხზულებათა ქართულად გადმოთარგმნას და გადაკვრით ახალი ქართული ჟურნალის ან გაზეთის დაარსებაზედაც მიანიშნებს: „ყველაფერი ხომ პატარა „ცისკარში“ ვერ დაისტამბებაო“.

„ცისკარში“ თანამშრომლობის დროს, პეტრე უმიკაშვილს შეუგროვებია ქართული ხელნაწერები, ჩაუწერია საინტერესო ფოლკლორული მასალები, რომლებიც მოგვიანებით გამოაქვეყნა; აღმოუჩენია ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი, რომლებიც „ცისკარში“ დაიბეჭდა.

პ. უმიკაშვილი განუდრეკელი სიმტკიცით მიჰყვებოდა არჩეულ გზას, თვითგანვითარებით იმდიდრებდა ცოდნას, ხარბად ეწაფებოდა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ნაწერებს, მონაწილეობდა არალეგალურ წრეში, კითხულობდა „კოლოკოლსა“ და „სოვრემენიკს“ (სხვათა შორის, 90-იან წლებში გ. თუმანიშვილს მისგან შეუძენია „სოვრემენიკის“ სრული კოლექცია 1858 წლიდან მოყოლებული).

მთელი ამ წლების მანძილზე მას ერთი წუთითაც არ სტოვებს უნივერსიტეტზე ფიქრი. „ან მერმისს როგორ წავალ მე უნივერსიტეტში?“ ჩიეის ოცდაორი წლის ჰაბუკი. — ...(არა,

უნდა წავიდე)... „მე ბევრი რამ მაქვს ასასრულებელი მამულისათვის... წასვლას უნივერსიტეტში არ ვიცი რით მოვახერხებ... არ ვიცი, რა ექნა, არ ვიცი, რა იქნება ჩემი ბოლო, ნეტავი, გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება, იმისკენ თავი შეკრა; სულ არაფერი თუ მოკვდები, კეთილი საქმისათვის მოკვდები მაინცა".

პ. უმიკაშვილის ცხოვრებაში იმედი და რწმენა შემოიტანა 1861 წელმა, როცა მისთვის ეგონდენ საოცნებო უნივერსიტეტიდან სამშობლოში დაბრუნდნენ მოწინავე ახალგაზრდები. იგი ილია ჭავჭავაძის წრის ერთი ყველაზე მოქმედი წევრი გახდა და სიკვდილამდე აღარ განშორებია მას.

1861 წლის 27 ივნისს, თაობათა შორის გაჩაღებული პოლემიკის ქარცეცხლში, ილიას შეხედულებების, ილიას წერილებისა და ლექსების დასაცავად საინტერესო სტატია დაუწერია, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოქვეყნებული. პ. უმიკაშვილს დიდი ამაგი აქვს „საქართველოს მოამბის" დაარსებასა და მუშაობაში. იგი დღენიადაგ მხარში ედგა ილიას. ჟურნალის გასავრცელებლად დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასწორებდა დასაბეჭდ მასალებს და, როგორც ამ ჟურნალის ერთადერთი კორექტორი, თავს ადგა თვითეულ ნომერს.

ოჯახი რომ შეენახა და უნივერსიტეტში შესასვლელად ცოტაოდენი თანხა შეეგროვებია, აღნიშნულ წლებში პ. უმიკაშვილი ბევრ მომქანცველ და უმადურ საქმეს ეწეოდა: მდიდარ ოჯახებში რეპეტიტორად მიდიოდა, ერთხანს ბატონიშვილ ერეკლეს მიერ დაარსებულ სკოლაში, ქართულ ენას ასწავლიდა, ბოლო 1862-64 წლებში, თვეში თორმეტ მანეთად, ტერ-აკოფოვის პანსიონში მსახურობდა აღმზრდელ-მასწავლებლად. ასეთ პირობებში შეადგინა და 1864 წელს გამოაქვეყნა „ქართული ანბანი", რომელიც რამდენჯერმე გამოიცა; ეს წიგნი ქართული ენის ყველა წინანდელ სახელმძღვანელოს სჯობდა და ი. გოგებაშვილის „დედა ენის" გამოსვლამდე იხმარებოდა სკოლებში.

მომჭირნეობით დასოგილი თანხითა და ნასესხები ფულით, ბოლოს და ბოლოს, პეტრე უმიკაშვილმა შესძლო სანუკვარი ოცნების განხორციელება — 1864 წლის შემოდგომაზე პეტერ-

ბურგს გაემგზავრა და უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა.

გულმოდგინედ მეცადინე პეტრე სტუდენტთა მოძრაობაშიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა; დააბლოებული იყო რუს რევოლუციონერებთან და თანამემამულეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1867 წელს მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა და ქართული ენის მასწავლებლის მოწმობა მიიღო.

სტუდენტობის დროს, 1866 წელს, თბილისში დაიბეჭდა მისი წიგნი: „ძველი ბალხების ცხოვრება. ინდოელები, ეგვიპტელები". 1866 წლიდანვე „დროებაში" აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებსა და კორესპონდენციებს.

1868 წლიდან 1893 წლამდე პ. უმიკაშვილი ქართულ ენას ასწავლიდა თბილისის პირველ გიმნაზიასა და ქალთა ინსტიტუტში. იმ დროს ეს პატრიოტული მოღვაწეობის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის უფლებათა დამკვიდრების ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი უბანი იყო. [1]

ქართული ენის სწავლების ასპარეზზე სერიოზული მოვლენა იყო 1878 წელს დაბეჭდილი წიგნი — „დედანი ქართული წერისა. მრგვალი ხელი. ნუსხური ხელი. შედგენილი და გამოცემული პეტრე უმიკაშვილის მიერ". საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული გამოცემა ქართული წერის პირველი ნიმუშია. „კრებულში" დაბეჭდილი წერილების მიხედვით, პეტრე უმიკაშვილი 60—70-იანი წლების ერთ უნიჭიერეს მოაზროვნედ, კრიტიკოსად, პუბლიცისტად და ფელეტონისტად წარმოგვიდგება. წერილებში: „არსენა" (1872 წ. № 7), „იოსებ მაძინი" (1872 წ. № 8—9) და „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის" (1872 წ. № 8—9), მას მხატვრული ლიტერატურის კარდინალური საკითხები აქვს განხილული. სამწუხაროდ, ამ ყოველმხრივ საინტერესო წერილებისათვის დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ და პირველი ორი სტატია ქართული ლიტერატურული კრიტიკის ქრესტომათიაშიც არ არის შეტანილი.

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 17020-ხ.

პ. უმიკაშვილს ლიტერატურული კრიტიკის მიზნად მიაჩნდა „განმტკიცება მწერლობისა და მისი გავლენისა საზოგადოებაზე". იგი მატერიალისტური ესთეტიკის თვალსაზრისით განიხილავდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების პრობლემურ საკითხებს და ზოგიერთ მათგანზე, როგორც, მაგალითად, ლიტერატურის ხალხურობაზე, ისეთი საყურადღებო და კონკრეტული შესედულებანი აქვს გამოთქმული, რომელთა მსგავსს იმ დროის სხვა ქართველ კრიტიკოსთა ნაწერებში ვერ ვხვდებით.

კრიტიკოსისაგან პ. უმიკაშვილი მოითხოვდა მხატვრული ნაწარმოების ღრმა ანალიზს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით, ხელოვანის ჩანაფიქრის ამოხსნასა და შეფასებას, მისგან გამომდინარე დადებითი იდეალების პროპაგანდას, დაბოლოს, შემოქმედებითი პროცესის ხასიათის ამოცნობასა და მასზე დაკვირვებით გამოტანილ დასკვნათა განზოგადებას. ამ ამოცანების შუქზე, მას ამაო დაშვრომად ეჩვენებოდა „ძველთა კრიტიკოსთა" მიერ „ასოების და სიტყვების ქექვა და აზრების სრულიად დაუდევნელობა".

„კრიტიკოსის საქმე ის არის, — წერდა პ. უმიკაშვილი, — (გამოარკვიოს), გაიგო თუ არა მწერალმა ერის საწადელი, რომელიც ან უკვე გაღვიძებულია ან მალე გაიღვიძებს ქამთა ვითარების ძალით. მას უკან — რამდენად გაიგო და გამოხატა? ძირითგან აუღია საგანი თუ მარტო გარეგანი შეხედულება? გარეგანი გამოხატვა და წარმოდგენა საგნისა როგორ ეთანხმება მწერლის მხედველობას და გრძნობას და გრძნობის ძალასვე". აი, ჩვენი ზომა და სასწორი ყოველის თხზულებისა და მწერლის დაფასების დროს.[1]

როგორც ვხედავთ, ავტორს ძალიან რთულად ესახებოდა კრიტიკოსის მოვალეობა და, სხვათა შორის, კიდეც ურჩევდა მათ: „თვალი ადევნეთ და გადაიკითხეთ ძველი და ახალი კრიტიკოსები, ბელეტრისტები, პოეტები, ისტორია ლიტერატურისა" და ა. შ. კრიტიკა ძლევამოსილია მაშინ, თუ ის ემყარება მეცნიერულ კანონებს, ისტორიის გამოცდილებას და არა სუ-

---

[1] „კრებული", 1872 წ., № 7.

ბიექტურ გემოვნებას. რადგან „გემოვნებას სასტიკ საზღვარს ვერავინ განუსაზღვრავს“ და თვით კრიტიკას დიდი როლი ენიჭება მის წარმართვასა და რეფორმაციაში.

როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი, პ. უმიკაშვილი უკომპრომისოდ ილაშქრებდა განყენებული, თითქოსდა, ცხოვრებაზე მაღლა მდგომი, სინამდვილეში კი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგ და ეს ნიშანი გამმიჯნავ ხაზად მიაჩნდა ხელოვნების ისტორიაში: „ძველი მწერლები უფრო ხელოვნებისათვის სწერდნენ, ახლები კი უფრო ხალხის ცხოვრებისთვისო“.—ამბობდა ის და ამ „ახალში“, როგორც ვნახავთ, კრიტიკული რეალიზმის ხელოვნება იგულისხმებოდა. ამ განყენებულობისა და პასიურობისათვის კიცხავდა პ. უმიკაშვილი ლეოპარდის, მანცონის, გროსის, პელიკოს, დაზელიოს, რომლებიც, მისი სიტყვით: „ადამიანს მორჩილების სულს უნერგავდნენ“.

ჩვენ ვერ გაგვაოცებს იმის დადგენა, რომ პ. უმიკაშვილს ხელოვნების ასპარეზად საზოგადოებრივი ცხოვრება მიაჩნია და ხელოვანის მოვალეობად — რეალურის რეალისტური ასახვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ კრიტიკოსი ფორმულის აღიარებით არ კმაყოფილდება და საკმაო სისრულით მსჯელობს ამგვარი ხელოვნების არსსა და სპეციფიკაზე. კერძოდ, მკაფიოდ აყალიბებს თვალსაზრისს, რომ ხელოვნება სიღრმისეულად უნდა ასახავდეს ცხოვრებას, მწერალი მისი განვითარების ტენდენციას უნდა ამჩნევდეს და ამით ერთგვარად წინ უსწრებდეს საერთო აზრს, ხელს უწყობდეს სინამდვილის სწორ შემეცნებას, რისთვისაც ასახვა მის მსოფლმხედველობრივ პოზიციას უნდა ემყარებოდეს და შეესაბამებოდეს, და, ამასთან, მძლავრ ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენდეს.

აქედან გამომდინარეობს და ამ დებულებათა პრინციპულ საყრდენს წარმოადგენს ავტორის მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება ლიტერატურის ხალხურობის შესახებ. ლიტერატურის ყურადღების ცენტრში ხალხის ინტერესები უნდა იდგეს, — რა აწუხებს და რა მოუხდება ხალხს, რა სატკივარი აქვს და რა წამალი ესაჭიროება; კრიტიკოსის მსჯელობის საფუძველზე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ხალხი მას ისტო-

რიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნია და ამ ცნებაში ისტორიული კატეგორიის ნიშნებს ამჩნევს.

ეს თვალსაზრისი იმდენად სწორი და დასაბუთებულია, რომ სისხლხორცეულად ეხმიანება ლიტერატურის დანიშნულებაზე, მის ხალხურობაზე ჩვენს წარმოდგენას. პ. უმიკაშვილს ის მრავალი კუთხით აქვს განხილული და აწონილ-დაწონილი. ხალხი უკმაყოფილოა, ხალხი მართალია, ხალხი მებრძოლია, ხალხი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ქვაკუთხედია, ამიტომ, ხალხის ინტერესების გამოხატვა, მისთვის ბრძოლა ხელოვნების უკვდავების საწინდარია. კრიტიკული რეალიზმის ეს პრინციპული მოთხოვნა ავტორს, თითქოს, მკაფიო ფორმულის სახით ჩამოუყალიბებია: შემოქმედების ხარისხი განპირობებულია ხელოვანის მიერ ხალხის ბუნებითი საწადელის შეგნებისა და მართლად ასახვის ხარისხით. უკვდავია ის, რაც ამა თუ იმ ეპოქაში ხალხის უმთავრეს საზრუნავ საგანს, გადამწყვეტ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. ლიტერატურა ხალხის ინტერესების გამოხატვის ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ხოგიერთ ისტორიულ მონაკვეთში კი, — შეიძლება ერთადერთი საშუალებაც იყოს. ასეთ საშუალებას წარმოადგენს ის პოლიტიკური ტერორის ეპოქაში, როცა ხალხს თავის მისწრაფებათა გამოთქმის სხვა შესაძლებლობა წართმეული აქვს, — „როდესაც სწავლა და გონება შევიწროებულს მდგომარეობაშია და ადამიანის გონების საჭიროებას არ აკმაყოფილებს". ამ უკანასკნელს ვითარებაში: „ლიტერატურა... აღზრდის ადგილსაც იჭერს". ასეთ წყვდიადშიც ხელოვნებას ძალა შესწევს გამოაფხიზლოს ხალხი, აამხედროს და დარაზმოს იგი თავისი ინტერესების დასაცავად. რეალისტმა მწერლებმა „ბევრი სარგებლობა მოუტანეს ხალხსა, მამულის სიყვარულის ჩანერგვითა და უბედურების მდგომარეობის შეძულებითა".

ლიტერატურის ხალხურობის წარმოსაჩენად, პ. უმიკაშვილი ევროპული მწერლობის მაგალითებსაც იშველიებდა. მაძინის შემოქმედებამ, მისი სიტყვით, იეზუიტური დევნის გარემოცვაში, ბრძოლისათვის გამოაწრთო იტალიელი ხალხი, ნიადაგი შეუმზადა გარიბალდის და მასზე არანაკლები როლი შეასრულა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. მას ბევრი საბუ-

თი მოაქვს იმის ნათელსაყოფად, რომ სინამდვილისაგან მოწყვეტილი, ცხოვრების საჭირბოროტო მოთხოვნილებებისაგან განზე გამდგარი, კეკლუცური ქედმაღლობით თავის თავში ჩაკეტილი ხელოვნება ხალხის გულში ვერასოდეს იპოვის ბინას, და მაშასადამე, ვერც დამკვიდრდება. მაღალმხატვრულია ის, რაც ხალხის ფართო წრეებს შესძრავს, რაც საყოველთაო, სახალხო ყურადღების საგნად იქცევა; ვიწრო, კამერული ხელოვნება უმწეოა, ყალბი და დღემოკლეა.

უთუოდ, ყურადსაღები ფაქტია, რომ „მამათა“ ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში რეალიზმისა და ხალხურობის პრობლემას პ. უმიკაშვილი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ძველი თაობა“, მისი აზრით, ხელოვნურად თიშავდა ლიტერატურას ხალხისაგან, განზრახ აუცხოებდა და გაუგებარს ხდიდა, ხალხისათვის შეუღწეველ ნაჭუჭში ამწყვდევდა მას.

ამ თვალთახედვით განიხილავს პ. უმიკაშვილი ლიტერატურის თემატიკისა და ჩანაფიქრის მხატვრული გადაწყვეტის ყველა საკითხს; ის, რაც ხალხის ინტერესებს გამოხატავს, მუდამ აქტუალურია და, ამიტომ, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს მწერალი ისტორიულ თემატიკას მიმართავს თუ თანადროულს. ხალხის ბრძოლას მუდამ შეიძლება თანადროული აღერება მიეცეს. „არსენას ლექსის“ პოპულარობის მაგალითზე, კრიტიკოსს ზედმიწევნით აქვს ამოხსნილი ლიტერატურის ხალხურობის ნიშნები. იგი ნათელჰყოფს ცხოვრებისა და ხელოვნების სისხლხორცეულ, კანონზომიერ კავშირს, რომელიც თვით რეალური სინამდვილის მოვლენათა არსითაა განსაზღვრული.

პ. უმიკაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა ჩაგრულთა ინტერესების ქომაგია და რომ მის ხალხურობას ექსპლოატირებულთა მისწრაფებების აქტიურ ფორმაში ასახვა წარმოქმნის, ხალხის იდეალი შეიძლება გამჟღავნებული იქნეს ცხოვრების როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეების ჩვენებით, მაგრამ ხალხს სულ უფრო მეტად მისი წიაღიდან გამოსულ მებრძოლთა დადებითი სახეები იზიდავს. ქართულ კრიტიკაში პ. უმიკაშვილმა პირველად დააყენა დადებითი გმირის საკითხი, პირველმავე მოგვცა ამ საკითხის ღრმა

ანალიზი. ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ იდეურ მებრძოლთა სახეების შექმნა, მას ლიტერატურის სიდიადის დადასტურებად მიაჩნია. მშრომელ კლასებს სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ თავიანთი იდეალის კონკრეტული განსახიერება. ლიტერატურის საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფუნქციის ასეთი გაგება უშუალოდ ეხმიანება უფრო მოგვიანო პერიოდის — 90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის პრინციპულ თავისებურებებს. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით პ. უმიკაშვილი ამ ღირსების გამო მიესალმა ე. ნინოშვილის „სიმონას“.

ხალხის ინტერესების გამომხატველი გმირთა სამყარო სოციალურად შეზღუდული არაა, ისინი შეიძლება განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობდნენ, საზოგადოების სხვადასხვა ფენას ეკუთვნოდნენ, მაგრამ მათ შეგნებული აქვთ მოცემულ ეტაპზე ხალხის საჭიროებანი.

კრიტიკოსის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ხალხი საკუთარი განწყობილებისა და მისწრაფებების პოზიციიდან აფასებს ხელოვნების ნაწარმოებს და ვერავითარი ქება-დიდება ვერ აიძულებს მიიღოს ის, რაც მისაღები არაა, და უარყოს ის, რაც მის საწადელს გამოხატავს. ამ თეორიული დებულების საბუთად ის „არსენას ლექსისა“ და არსენას სახის უკვდავებას თვლის.

კრიტიკული რეალიზმის თეორიის თვალსაზრისით, პ. უმიკაშვილი საინტერესო დასკვნამდე მიდის: დადებითი გმირი მარადიულია, როგორც ხალხის იდეალი. მისი ცხოვრება ისევე ეკუთვნის აწმყოსა და მომავალს, როგორც ეკუთვნოდა წარსულს, არსენა ცოცხლობს, რადგან ხალხის განთავისუფლებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა გრძელდება: „ხალხს შორეულ, უცხო სიცოცხლედ არ მიაჩნია არსენას სიცოცხლე და იმისი აზრები [დღესაც] ძალიან არა შორდება არსენას აზრებსა“.

ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ხელოვნების არსის, კერძოდ, ლიტერატურის ხალხურობის შესახებ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მის წერილებშიც ეს საკითხი განცალკევებით იდგეს. პ. უმიკაშვილს წუთითაც არ ავიწყდება ხელოვნების სპეციფიკა; შემოქმედე-

ტად მკაცრ მომთხოვნელობას იჩენდა. „ნინოშვილის მოთხრობებს ხელოვნება, ფორმა აკლიაო", — საყვედურობდა ის. ეხებოდა რა „მოამბეში" დაბეჭდილ გვაზავას ლექსებს, შენიშნავდა: „ჯერ, უნდა აეღოთ მთელი შინაარსი „შინშესი" და გაერკვიათ, რამდენად არის იდეა გამოყვანილი.—გვაზავას იმ ლექსებში რომ სურათები გვარიანად არის გამოხატული, ეს უეჭველია; — ფორმა ლექსისა გარეგანის მხრით პოეტურია, ჰარმონიულია და სიახლე სიმსუბუქე აქვს, რაიცა სხვებს, არც ერთს პოეტს ჩვენი დროისას არ ეტყობა. ჯერ ჩვენს დროში პოეტი მარტოდ ერთადერთი ვაჟა ფშაველაა, სხვებმა ძველ აქამომდე მელექსეებმა, ლექსებს თავი უნდა დაანებონ, სჯობია. აზრი და იდეა არ კმარა, გარეგანი ფორმა უნდა და ამისი უფალი ჩვენში ვაჟა ფშაველაა".

ლიტერატურას პ. უმიკაშვილი გმირული ბრძოლის სარბიელად თვლის. მხდალ მწერალს ამ ასპარეზზე წარმატების მიღწევა არ შეუძლია. რადგან თამამი აზრებისა და გაბედული გამოთქმების გარეშე სისხლსავსე სახალხო ნაწარმოები ვერ შეიქმნება და მშიშრული სტილი მუდამ ფერმკრთალი და მოდუნებულია. ხელოვანი სინამდვილის გულგრილი მჭვრეტელი კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი მოვლენებისა და ფაქტების ამწონ-დამწონი და მსჯავრმდებელია.

როცა ლიტერატურა შებოჭილია, როცა „ყოველი გაბედული ან ახალშემოღებული სიტყვა და ცოცხლად გამოთქმული აზრი" ცენზორს ანრისხებს, „ხოლო ლიტერატურა ერთადერთ ასპარეზად რჩება, სადაც საზოგადოების სურვილი და საჭიროება უნდა გამოითქვას, — მწერალმა გადაკვრით, გადასხვაფერებით, ალეგორიულად მაინც უნდა გამოხატოს ეს ტკივილები და განაცხოველოს... იმედი და აჩვენოს ღონისძიება იმ დროის მდგომარეობის შეცვლისა".[1] იგი მოწოდებულია კრიტიკულად შეხედოს სინამდვილეს, დაგმოს არა მარტო ცალკეული მანკიერებანი, არამედ მთელი მახინჯი სოციალური სისტემა.

პ. უმიკაშვილი არა ერთგან ამახვილებს ყურადღებას ლი-

[1] პ ე ტ რ ი ძ ე — „იოსებ მაძინი", „კრებული", 1872 წ., № 8-9.

ტერატურის მიზანდასახულ ტენდენციურობაზე. მოჩვენებითი მიუკერძოებლობა, ნეიტრალიზმი ხელოვნების არსის ღალატად, თვითმკვლელობად მიაჩნია.

ამ შეხედულებებს მნიშვნელობა ჰქონდათ როგორც კრიტიკული რეალიზმის საფუძველთა განმტკიცების, ისე წმინდა საბრძოლო პოლიტიკური თვალსაზრისით და ავტორი აქ საკუთარი მაგალითით ავლენდა ლიტერატურის (ამ შემთხვევაში ლიტერატურული კრიტიკის) ღრმა ტენდენციურობას. იშველიებს რა იტალიური ლიტერატურის გამოცდილებას, პ. უმიკაშვილი ასკვნის: „გამოჩნდნენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც ნიადაგ ჟამს ქადაგებდნენ მუდმივ ბრძოლას კაცის უფლებისა და სიმართლისათვის, თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობისა და გონების გახსნისათვის, ქადაგებდნენ ბრძოლას შინაური ჩაგვრისა და უცხო ქვეყნელთა გავლენისაგან... ეს მწერლები ცდილობდნენ გაემხნევებინათ მაგალითებითა თუ რა შეუძლია ძლიერის ნებისა და მოწადინე კაცსა“. ასეთი ტენდენციურობის ნიმუშად მოაქვს გვარაცის სიტყვები: „ეს თხზულება იმიტომ დავწერე, რომ იტალიის მტრებთან სხვაგვარი ომის გამართვა არ შემეძლოო“.

როცა პ. უმიკაშვილის აღნიშნულ სტატიებს ამ თვალსაზრისით ვიხილავთ, გვაოცებს კიდეც მათი რადიკალიზმი, თანამედროვე შეხედულებებთან მათი სიახლოვე. პ. უმიკაშვილი აქ ზოგადად როდი ლაპარაკობს ლიტერატურის ტენდენციურობაზე, იგი მტკიცე მსოფლმხედველობრივ ტენდენციას ქადაგებს და ხელოვნების უმთავრეს პათოსად არსებულის უარყოფას თვლის. „ლიტერატურა, მწერლობა, — წერდა ის „კრებულში“ — ცხოვრების ერთი წინწამყენებელი ძალაა. იგი ჩვენ ორგვარად უნდა განვსაჯოთ: ან უნდა იყოს ერის წინწასვლის მუშა, ესე იგი ემსახურებოდეს ერში სიკეთის ჩამოგდებასა ან უნდა ეწინააღმდეგებოდეს... მხარის დაუჭერლობაც ისეთივე საქმეა, როგორც წინააღმდეგობა, მაშასადამე, ორგვარია მწერლობაც: ერთი არის სიკეთის ნამდვილი და არა ცრუმშველელი, მეორეა — დამაბრკოლებელი“.

პ. უმიკაშვილს კარგად ესმის, რომ ცხოვრების მართალი ასახვა შეუძლია მხოლოდ იმ შემოქმედს, რომელიც ღრმად

იცნობს ცხოვრებას, აქვს მდიდარი ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება, — ხალხის განწყობილებებსა, სულისკვეთებასა და ადამიანთა ხასიათებზე თავისებური, ორიგინალური დაკვირვების უნარი.

მაგრამ, ეს ერთი აუცილებელი პირობათაგანია მხოლოდ და მარტოდენ ის არ იძლევა სინამდვილის მხატვრული ასახვის გარანტიას, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ცხოვრების მოვლენებზე ორიგინალური დაკვირვების უნარი თავისთავადაც ლიტერატურული ტალანტის გამოვლინებაა, მაგრამ იგი გამოვლინებაა ამ ტალანტის ერთი მხარისა, მწერლის ნიჭი კი უაღრესად მრავალმხრივია. „ღვთით მომადლებულ“ უთვალავ ნიშანთვისებათა უბედნიერესი შერწყმაა. პ. უმიკაშვილს მოეწონა ე. ნინოშვილის „სიმონა“, რადგან „მის ავტორს დაკვირვება ეტყობა ცხოვრებისა, იცის ცხოვრება“, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ამ მოთხრობას „ხელოვნება, ფორმა აკლია“, ფორმა მისთვის მარტო ნიჭისა და გემოვნების წარმოჩინება კი არ არის. არამედ ოსტატის გულმოდგინე, შეუპოვარი შრომის ნაყოფიცაა.

პ. უმიკაშვილი მხატვრული ფორმის ზოგიერთ საკითხს ეხება თავის წერილებში, ცდილობს გაარკვიოს, როგორ უნდა მიანიჭოს შემოქმედმა აზრს შესაფერი მხატვრული ძლიერება. ყურადღებას, განსაკუთრებით, ცხოვრებისეული მასალის მიზანსწრაფულ შერჩევასა და განზოგადებაზე ამახვილებს.

ხელოვანის ყურადღებას განსაკუთრებით სინამდვილის ის ფაქტები იპყრობს, — განურჩევლად თვით ცხოვრებაში მათი მნიშვნელობისა, — რომლებიც ადამიანის სულზე უშუალო და სწრაფი რეაქციის უნარით არიან აღჭურვილი, რომლებიც სიტუაციებისა და ხასიათების ბუნებრივ თანმიმდევრობას ორგანულად შეესიტყვებიან; ლაკონურად გადმოსცემენ არსებითს, ხელს უწყობენ ხასიათის გამთლიანებას, მის მონოლითურობას, ემორჩილებიან მხატვრული ძეგლის შინაგან ლოგიკას. მხატვრული ნაწარმოების გმირები, ერთსა და იმავე დროს ჩვეულებრივი ადამიანებიც არიან და არაჩვეულებრივიც. ცხოვრებაში მათ მსგავსებს ვერ ვხვდებით და კიდეც ვხვდებით; მათი გარეგანი ცხოვრება შემოქმედისათვის მათივე სულიერი

სამყაროს გამოსაკვეთი მასალაა, ხასიათთა გამოქანდაკების საძირკველია.

ამ თვალსაზრისით, „არსენას ლექსი“ პ. უმიკაშვილს მაღალმხატვრულ ნაწარმოებად მიაჩნია, შემოქმედს მასში მიზანდასახული სიძუნწით შეურჩევია ცხოვრებისეული მასალა, საბალხო გმირის ღრმად ემოციური სულიერი სამყარო გამოუსახავს, — არსენას ძლიერებასთან ერთად არც მისი ხასიათის სუსტი მხარეების ჩვენებას მორიდებია. მის საზოგადოებრივ მოქმედებაში ღრმა შინაგანი იმპულსები შეუმჩნევია, — იგი მუდამ მწვაველად განიცდის და იტანჯება, ოცნებობს, თავის ყოველ მოქმედებას წინასწარ სასწორზე აგდებს.

გადმოშლის რა გმირის ხასიათის განვითარების სურათს, პ. უმიკაშვილი ამბობს, რომ არსენაში შემოქმედმა იდეური, შეგნებული მებრძოლის იდეალი განასახიერა და მისი სუსტი და ძლიერი მხარეების ბუნებრივ ერთიანობაში შერწყმით, იგი სალხისათვის მახლობელი გახადა. არსენას, როგორც მხატვრული ნაწარმოების გმირის სიძლიერე, საკუთარი ხასიათისადმი ერთგულებაშია. იგი ბავშვობიდან სიკვდილამდე კეთილია, დიდსულოვანი და გულჩვილია. „არსენა კაცს კი არა სდევნიდა, სდევნიდა იმ უსამართლობას, რომელსაც კაცი დაუჩაგრავს და იმისთანა კაცებსა სდევნის, რომელთაც ამ უსამართლობის მხარე დაუჭერიათ“.

აქ უნდა დავსძინოთ, რომ პ. უმიკაშვილი „არსენას ლექსის“ პირველი კრიტიკოსი იყო; „კრებულში“ დაბეჭდილი მიმოხილვით, მან დიდად შეუწყო ხელი ამ თხზულების სწორად გაგებასა და პოპულარიზაციას; დაინახა მასში ლიტერატურის ხალხურობის საუკეთესო მაგალითი და, რაც მთავარია, გამოიყენა იგი ახალთაობის პოლიტიკური იდეების პროპაგანდისათვის. „არსენას ლექსის“ იდეა მან ჯერეთ განუხორციელებელ მისწრაფებად, აქტუალურ საბრძოლო დევიზად გამოაცხადა; „იმისი სიცოცხლე ხალხის სიცოცხლე იყო; მწუხარება და იმედი ორისავე ერთი იყო და არსენას ცხოვრება ხალხის შემაგულიანებელი სიცოცხლე იყო და ხალხის ცხოვრების გამომთქმელია... ამ ცხოვრების გარემოება არ იცვლება. ძნელია ამგვარი მკაცრი და სასტიკი ცხოვრება!...“

პ. უმიკაშვილის მსჯელობა აქ საესებით დასაბუთებულად მიგვაჩნია. ვეთანხმებით იმაშიც, რომ ამ ნაწარმოებში არსენა თავისი ხასიათის განვითარების ლოგიკით იღუპება, რომ იგი დიდსულოვანია და პირადი ვაგლახი და მწუხარება არად მიაჩნია და... თავის საკუთარს მტერს დანაშაულობას აპატიებს, ხოლო ხალხის დამჩაგვრელს გარემოებას სდევნის დაუდგრომლად.“ — მაგრამ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს კრიტიკოსის აზრი ამ ლექსის ფინალის შესახებ. ჯერ ერთი, არსენას დაღუპვა მას თვითმკვლელობად მიაჩნია, და მეორეც: ამ დაღუპვის მიზეზად ხალხისაგან აღიარებული და პატივცემული ადათის შეგნებულ დარღვევას თვლის. შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ შემთხვევაში გიორგი კუჭანტელს ის არსენაზე მაღლა აყენებს. „არსენას ადათი არად მიაჩნია.—წერს პ. უმიკაშვილი,—თუნდა წითელი პარასკევიც იყოს, თავისებურად შეეჭცევა... და აი, არსენა ხალხის მოყვარე და ხალხისაგან შეყვარებული, როდესაც ხალხის ადათის ასრულებას უარსა ყოფს და აქაც თავისუფლება უნდა... ამ დროს თითქოს ბედიც ხელს იღებს... არსენა ისე კვდება, როგორც დაიწყო სიცოცხლე, ყოველს წინ უხვდება, ყველა გარემოებას ხელს უბრუნებს, რაც კი იმის ხასიათის წინააღმდეგია“.

ჩვენი აზრით, კრიტიკოსი აქ ოდნავ წინააღმდეგობრივ თვალსაზრისს ანვითარებს; რაკი არსენა ბოლომდე თავის ხასიათის ერთგულია, თხზულების ფინალში ხალხის მიერ აღიარებული და პატივცემული ადათის დარღვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. თავისდაუნებურად, პ. უმიკაშვილს ინდივიდუალიზმის ძლიერი ნიშანი შეაქვს გმირის ხასიათში. ეს, უთუოდ, იმ ფსიქოლოგიური ძიების შედეგია, რომელსაც აეტორი დიდ ადგილს უთმობს თავის წერილში. ხასიათის შიგნით დადებითისა და უარყოფითის მუდმივი ბრძოლა მას მისი მთლიანობისა და მბატვრული დამაჯერებლობის საწინდრად მიაჩნია. განიხილავს რა აბანოდან არსენას გაქცევის ეპიზოდს პ. უმიკაშვილი წერს: „უფროსი გულჩვილი კაცია და როგორც კაცს ებრალება არსენა... ეს ადგილი ჩვენის აზრით მეტისმეტად ტრაგიკულია, სულისგამტანჯველი ადგილია. უფროსი გამო-

ყვანილია კაცად, გულკეთილ კაცად". საერთოდ, აბსოლუტურად კეთილისა და აბსოლუტურად ბოროტის სახეს პ. უმიკაშვილი შემოქმედების ბუნების საწინააღმდეგოდ თვლის და როგორც კეთილი, ისე ბოროტი სახე ლიტერატურაში თავისებურად ამაღლებული და არაჩვეულებრივია.

ხასიათის ამგვარი გამოქანდაკება, მისი აზრით, შესაძლებელია ერთდროულად მრავალი ნიშანთვისების ფონზე, ერთი მათგანის აქცენტირებით, ნაწარმოების გმირთათვის ისეთი თვისებების მინიჭებით, რომლებშიც კონცენტრირებულად, მრავალსახოვნად ვლინდება ეპოქის სული, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს გზა მისთვის მხატვრული ტიპიზაციის გზაა. „არსენას ლექსის" ანალიზსაც იგი ამ მომენტზე ყურადღების გამახვილებით ამთავრებდა: „... ზოგს არსენა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ კაცთა ჰგონიათ და სხვა არაფრათა. მაგრამ, კარგად რომ დავაკვირდეთ, ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ. ამ სახალხო ლექსში გამოხატულია არა ერთი და ორი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, არამედ მრავალი სხვადასხვა მხარე. აქ ყოველივე ერთად შეერთდა, შეკავშირდა და ერთ ერცელ ხალხის ცხოვრების სურათად წარმოგვიდგა. არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც არ უნდა იყოს ეს ძალა".

პ. უმიკაშვილის ეს საყურადღებო დებულება ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს „დროებასა" და „კრებულში" დაბეჭდილი ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოებისა („გლახის ნაამბობი", „ჯიბრი" და სხვ.) და პუბლიცისტური წერილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტუალობის ამოსახსნელად.

ისე როგორც იმ დროის სხვა კრიტიკოსები, პ. უმიკაშვილიც დიდ ყურადღებას უთმობდა მწერლის მოქალაქეობრივი ვალისა და საზოგადოებრივი მორალის საკითხებს. მისი რწმენით, ხელოვანის სიტყვა და საქმე განუყოფელი უნდა იყოს. ხელოვანი თავისი იდეალებისადმი ერთგულების პირად მაგალითს უნდა უჩვენებდეს ხალხს. „არასდროს არ უნდა გავყოთ კაცი ორად, — წერდა კრიტიკოსი. — ეს კაცი, როგორც კაცი

ასეთია და. როგორც მწერალი ასეთიო... ყველა კაცი პატიოსანი კაცი უნდა იყოს და მწერალი ხომ უფრო უმეტესად". [1]

მწერლობის განვითარებაში პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ლიტერატურულ ტრადიციას, როგორც სულიერი საგანძურის გამდიდრება-გაფართოებისა და მხატვრული დაოსტატების დაუშრეტელ წყაროს. თანამედროვე თხზულებების ანალიზისას, იგი ხშირად იყენებდა, როგორც ევროპული და რუსული, ისე ქართული კლასიკური ლიტერატურის მაგალითებს, ჯანსაღად აფასებდა ძველ მწერალთა მემკვიდრეობას და, სხვათა შორის, ანტონ კათალიკოსის ნაწერებსაც („წყობილსიტყვაობას") პატივისცემით იხსენიებდა.

აქ ორიოდე სიტყვით მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. უმიკაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურისა და ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობის გამოჩენილი ენთუზიასტი და წამხალისებელი იყო. „ყმაწვილებისათვის წერა, — ამბობდა ის, — ყველაზე ძნელი ხელოვნებაა... დიდად სასიქადულო სახელად უნდა ჩაეთვალოს ეს ყოველს მწერალს. ყმაწვილის სულისა და სხეულის აღზრდაზე უდიდესი საქმე განა არის რამე მკვიდრი და ნაყოფიერი მომავლის ბედნიერების აშენებისათვის?"

ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობის საკითხი ჩვენში მთელი პრინციპულობით პირველად „დროება"-„კრებულმა" დააყენა. ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა და ს. მესხმა მას საგანგებო წერილები მიუძღვნეს და ეროვნულ-ლიტერატურული საქმიანობის მნიშვნელოვან უბნად გამოაცხადეს. პ. უმიკაშვილი არა მარტო ბეჭდვით ეკომაგებოდა ამ საქმეს, პირად მზრუნველობასაც იჩენდა ლიტერატორ ქალთა წრის მიმართ. [2]

თანამედროვეთა გადმოცემით, პ. უმიკაშვილი საერთოდ ლმობიერი და მოკრძალებული ადამიანი იყო, მაგრამ საზოგადოებრივ საქმეებში, განსაკუთრებით ლიტერატურაში, როგორც მისი კრიტიკული წერილებიდანაც ჩანს, მოურიდებელი და მეტად მკაცრიც ყოფილა. ეკ. გაბაშვილის სიტყვით, „დაუზოგავი კრი-

---

[1] პ ე ტ რ ი ძ ე, „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის", „კრებული", 1872, № 8-9.

[2] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, № 17020-ბ.

ტიკოსისა და პირში მთქმელი კაცის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი.

პ. უმიკაშვილის კრიტიკული წერილებისათვის დამახასიათებელია გადაჭარბებული პუბლიცისტიზმი, ზოგჯერ, იმდენადაც კი, რომ მათ შორის ზღვარის გავლება გვიძნელდება. ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა მისთვის ხან ფონს, ხანაც — საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს სოციალურ პრობლემებზე მსჯელობისათვის.

როგორც პუბლიცისტი, პ. უმიკაშვილი გამოირჩევა მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებით, თემატიკის მრავალფეროვნებითა და დიდი ნაყოფიერებით. მის კალამს ეკუთვნის ასობით ფელეტონი, პოლიტიკური მიმოხილვა, თეორიული, ისტორიული და მეცნიერული სტატია, კორესპონდენცია. მოკლე ნარკვევში არა თუ მათი ანალიზი, უბრალო ჩამოთვლაც შეუძლებელია.

ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთელთან ერთად, პ. უმიკაშვილი ტონს აძლევდა „დროებისა“ და „კრებულის“ პუბლიცისტიკას; სამოციანელთა იდეური მსოფლმხედველობის მომარჯვებით, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთის ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითების მოშველიებით, იგი საფუძვლიანად განიხილავდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეროვნული მდგომარეობის საჭირბოროტო საკითხებს. მისი პუბლიცისტური სტილის უმთავრესი ღირსება ინტიმურობა და გულმტკივნეულობაა. ერთ კერძო წერილში ამბობს: „მე ჩემის გულის სისხლით და მწარე გრძნობით ვწერ. თუ მიცნობთ წერაში, ხომ გეცოდინებათ, რომ ვიცდილობ მკითხველს ჩემი რწმენა, ფიქრი, აზრი, და გრძნობა გადავცე“.

მრავალპრობლემურობის წყალობით, პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ წერილებში მოცემულია მაშინდელი საზოგადოებრივი სინამდვილის შემჭიდროებული დახასიათება; ავტორს ყველაზე უფრო ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობის საკითხები აღელვებს, მას ღრმად შეგნებული აქვს, რომ საზოგადოების ბედნიერებას სოციალური თანასწორობის საფუძველზე აღმოცენებული საყოველთაო მატერიალური კეთილდღეობა განაპირობებს. იგი არა-

ერთგზის აღნიშნავს, რომ ამ მხრივ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში „რეფორმას“ არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. ფელეტონში — „ნობათი“ („კრებული“, 1873 წ. № 10) აღწერს რა მშრომელთა შევიწროებული ცხოვრების სურათებს, პუბლიცისტი დასძენს, რომ გადასახადებითა და მემამულეთა თვითნებობით გამწარებულ ხალხს ბატონყმობა ენატრება.

მართალია, პ. უმიკაშვილის წერილებში არ ჩანს ევროპული ეკონომიური თეორიებით დაინტერესება, რაც, საერთოდ, „დროების“, „კრებულისა“ და „მნათობის“ პუბლიცისტიკის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს, მაგრამ ეკონომიკას ისიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, კაცობრიობის ისტორიის წარმმართველ ძალად თვლის.

„ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“, პ. უმიკაშვილის აზრით, ცხოვრების მოწესრიგების უმთავრესი მიზანია. იგი ამჩნევს, რომ ყველა ბოროტების მიზეზი სოციალური უთანასწორობაა, რომ შრომის ნაყოფი არამშრომელთა საკუთრებაა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს კლასთა შორის წინააღმდეგობის გაძლიერება და კლასთა ბრძოლა განსაზღვრავს. „ვინა შრომობს გლეხკაცზე მეტსა, ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლეხკაცსა?... მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რა, — ამბობს ერთ-ერთ წერილში. — თუ ვისმე სიმდიდრე უშოვნია, სხვისი შრომით უშოვნია“.

პ. უმიკაშვილი ამის კონსტატაციით არ დაკმაყოფილებულა კლასობრივი ბრძოლის გზას ის განთავისუფლების ერთადერთ გზად გვისახავს და დარწმუნებულიც არის, რომ ხალხი გაიმარჯვებს. როცა ხალხს სათავეში ჩაუდგებიან მოწინავე ადამიანები, როცა გამოჩნდება წინამძღვარი, რომელიც დაჩაგრულებს მიიმხრობს და გაიყოლიებს, ბოლოსდაბოლოს, ხალხს „თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც ძალაუნებურად მიეცემა“.

70-იან წლებში ჩვენი სამოციანელების მიერ არსენას დროშის აფრიალება, მისი ღვაწლის ახლებური ინტერპრეტაცია მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ერთი მეტად საყურადღებო ნიშანია.

„დროებასა“ და „კრებულში“ დაბეჭდილი პ. უმიკაშვილის სტატიები, არსებითად, სოციალურ-ეროვნული თავისუფლე-

ბისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებაა. თანასწორობა, თავისუფლება აქ ადამიანური ღირსების საფუძვლადაა გამოცხადებული, ხოლო მათთვის თავგანწირვა ყველაზე დიდ კეთილშობილებად. „სიყვარული და თავისი ნამდვილი ადამიანური ღირსების გრძნობა, თავისუფლების გრძნობა, კაცის პირველი ფეხზე წამომყენებელია. — წერს პ. უმიკაშვილი. — თუ მყუდრო ოჯახური ცხოვრება გინდა, მაშინ ბრძოლას თავი უნდა დაანებო და ბევრი დამცირებაც მოითმინო“. ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის საფუძველი ჩაგრულთა მიერ საკუთარი უფლებისა და მოყალეობის შეცნობაა. იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მაგალითით, პუბლიცისტი ამტკიცებს, რომ აღნიშნული მიზეზის გამო, გაბატონებულთა სახელმწიფო ცდილობს ჩაახშოს ჩაგრულთა შორის საკუთარი მდგომარეობის შეგნება, „პატიოსნური გრძნობა მოქალაქისა“. ამხელს რა თავისუფალი აზრის შემბორკავ ტირანულ რეჟიმს, პ. უმიკაშვილი დაასკვნის, რომ განთავისუფლებისაკენ მისწრაფება უკვდავია: „უსამართლობას რაც უნდა ფესვები გაედგას, კაცში სიმართლის გრძნობა და სვინდისი თავის დღეში არ გამოილევა, რაც უნდა... აუკრძალონ და დაუშალონ... უაზრობას ადამიანი ვერ შესძლებს“. „ადამიანებმა მკვიდრად ჩაინერგეს გულში აზრი პოლიტიკური თავისუფლებისა“.

წერილში — „იოსებ მაძინი“, პ. უმიკაშვილი სხვადასხვა აჯანყების დამარცხების მთავარ მიზეზად იმას თვლის, რომ „აჯანყებულებს არ ჰქონდათ ერთი პირი და ერთი განსაზღრული პლანი“. პუბლიცისტი მოხერხებულად იყენებს უცხოურ თემას და გაბედულ შეხედულებებს გამოთქვამს სახალხო აჯანყების ორგანიზაციის შესახებ. მისი სიტყვით, „რევოლუცია აუცილებელია ძველის კანონებისა და წესის შეცვლისათვის... ხალხი არ კმაყოფილდება წვრილ-წვრილ ცვლილებებსა, მოითხოვს კაცობრიულ უფლებასა, სიმართლესა, კანონიერებასა, თავისუფლებასა, დამოუკიდებლობასა და ერთობასა... მეფეებისა და მღვდლებისა კი არ უნდა იყოს ქვეყანა, ხალხისა, ერისა უნდა იყოს. ხალხმა უნდა განაგოს თავისი საქმე,თავისი ცხოვრების წადილის აღსრულებისათვის საჭიროა ხალხის პოლიტი-

კური აღზრდა... მხოლოდ რესპუბლიკური წესები აძლევენ კაცს მომავალსა, რადგანაც უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით ხალხსა".

პ. უმიკაშვილი დაწვრილებით აღწერს „კარბონართა საზოგადოების" სტრუქტურას, „ახალგაზრდა იტალიის" ორგანიზაციას, 1830 წლის რევოლუციისა და პარიზის კომუნის ისტორიას. როცა „ევროპის შეერთებულ შტატების" იდეას ეხება, დასძენს, ამაში უთუოდ ჩვენ, ქართველებიც ვიგულისხმებითო.

საერთოდ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საკითხებს პ. უმიკაშვილი მუდამ მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავს და სოციალური თავისუფლება ნაციონალური თავისუფლების გარანტიად მიაჩნია. ერის წარსული მისი ნაციონალურ-პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველია. როგორც ქართველებს, „არც ერთ ხალხს დედამიწის ზურგზე, არც ერთ ერს ისე ძვირად არ დაუფასებია თავისი სამკვიდრებელი და არც ერთს ისე ძვირად არ დასჯდომია ის... (ქართველებში) ისტორიით აღზრდილი და განმტკიცებული გრძნობით", ის აზრი დამკვიდრდა, „რომ ბრძოლითა და მეცადინეობით ყოველისავე ბოროტების და სიავის მოსპობა შეიძლება".

წარსულის ავკარგიანობას პ. უმიკაშვილი სოციალური თვალსაზრისით აფასებს. საქართველოს ისტორიაში საამაყოდ ის მიაჩნია, რომ სვანეთსა და ხევსურეთში ბატონყმობა არ არსებობდა, რომ „ქალი სახალხო მსჯელობაში მონაწილეობდა" და სხვ.

ეროვნული გათვითცნობიერების მიზნით, პ. უმიკაშვილს აუცილებლად მიაჩნდა ევროპის ჩაგრულ ხალხთა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების პროპაგანდა. ამ მხრივ „დროებასა" და „კრებულში" მან ყველაზე მეტად განავითარა „საქართველოს მოამბის" ტრადიცია, ახალი სულიერი საზრდო მისცა გარიბალდის, მაძინის, კოშუტის ბრძოლით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს.

მაძინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებით, პ. უმიკაშვილმა თანამედროვეებს თვალწინ გადაუშალა იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მთელი სურათი. პუბლიცისტი ვრცლად განიხილავს იტალიელთა მდგომარეობას წარსული საუკუნის პირველ ნახევარში, ლაპარაკობს, რო-

გორც ეროვნულ, ისე სოციალურ ჩაგვრაზე, ცხადყოფს შინაური და გარეშე მტრების კავშირს, რომელიც ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს წერილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მის ავტორს რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების პირობად კარგად ორგანიზებული, მიზანსწრაფული იდეოლოგიური მუშაობა მიაჩნია და ამ თვალსაზრისით კონკრეტულად ირკვევს ლიტერატურის, პრესის, სკოლის, სხვადასხვა ლეგალური და ფარული ორგანიზაციების მოსამზადებელი მუშაობის როლს. საზოგადოების იდეური აღზრდის მიზანია, თვითეულ ადამიანს შესისხლხორცებული ჰქონდეს თავისი მოქალაქეობრივი ღირსების, ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების გრძნობა. წერილში პ. უმიკაშვილს ჩაურთავს „ახალგაზრდა იტალიის“ პროგრამა, კარბონართა ფიცი, ამონაწერები პატრიოტული წერილებიდან და მოწოდებებიდან, რაც, უდავოდ, მამულისადმი თავდადების სულისკვეთებას გამოიწვევდა.

ავტორის რწმენით, იტალიის მაგალითს საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იქვე დასძენს, რომ „ახალგაზრდა იტალიის“ მაგალითით შეიქმნა ფარული საზოგადოებანი — „ახალგაზრდა უნგრეთი“, „ახალგაზრდა პოლონეთი“, „ახალგაზრდა გერმანია“ და სხვ., რომელთაც ჩვენ, ქართველებმაც, უნდა მივბაძოთო.

ფართო გამოხმაურება გამოიწვია ეროვნულ საკითხზე „კრებულში“ დაბეჭდილმა მისმა მეორე წერილმაც: „მცირეთა ტომთა ენებზე“, რომელშიც გამანადგურებლად გაკრიტიკებულია 1872 წელს გაზეთი „კავკაზის“ მიერ გამოცემული გ. მუხრანსკის ბროშურა: «О существе национальной индивидуальности»...

მეცნიერების სხვადასხვა დარგის უახლოეს მონაპოვრებზე დაყრდნობით, პ. უმიკაშვილი თვალნათლივ ავლენს გ. მუხრანსკის რეაქციულ იდეოლოგიას და ააშკარავებს მისი წიგნის პროვოკაციულ ხასიათს. მკითხველთათვის ცხადი ხდება, რომ აღნიშნული ბროშურა ხელისუფლების დავალებით დაწერა და გამოქვეყნდა. მცირე ერების გათქვეფასა და მოსპობაზე გ. მუხრანსკის თვალსაზრისს პ. უმიკაშვილი უპირისპირებს დემო-

კრატიულ პრინციპებზე აღორძინებულ სახელმწიფოში ხალხთა ძმური თანამშრომლობის იდეას.

იგი ისტორიული მაგალითებით ამტკიცებს, რომ ენობრივი მრავალფეროვნება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების ხელშემშლელ ფაქტორს. პირიქით, ყოველ ხალხს, რაგინდ მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს, თავისი წვლილი შეუტანია და შეაქვს კაცობრიობის ისტორიაში.

მეცნიერულ საბუთიანობასთან ერთად, პ. უმიკაშვილის წერილი შთამბეჭდავია პოლიტიკური შემართებით, პოლემიკური სიმახვილითა და წამოჭრილი პრობლემის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალურ ამოცანათა ასპექტში გაშუქებით. გ. მუხრანსკის „დოგმატიკური აფორიზმები“ ავტორს დარღვეული აქვს სოციალური სინამდვილის მოვლენებისადმი მატერიალისტური, რევოლუციურ-დემოკრატიული მიდგომით. ამა თუ იმ ფაქტის მნიშვნელობას ის საზოგადოებრივ განვითარებაში მისი როლით განსაზღვრავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველაფერი, რაც მომხდარა, „ისტორიის ნამდვილ კუთვნილებად არ ჩაითვლება“ და „არ გვიმტკიცებს, რომ სულ ასე უნდა იყოს“.

ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა პ. უმიკაშვილს შესაძლებლად მიაჩნია სოციალური მოწესრიგების, საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში. ხალხთა საზოგადოებრივი ინტერესები, მიუხედავად ეროვნული განსხვავებისა, ერთიანია. „უმაღლესი ერთობა ხალხების ერთმანეთთან კავშირი ყოფილა, რომელიც წარმოსდგება ენის ერთობისაგან კი არა, არამედ საზოგადო ცხოვრების ინტერესებისაგან“.

ნაციონალური საკითხის ამგვარი გაგება იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა სწორი გზით ვითარდებოდა, საღ, ინტერნაციონალურ საძირკველს ემყარებოდა; სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა მისი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციები.

პ. უმიკაშვილის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები უყოველდღიურობის მწვავე პრობლემებით იყო ნაკარნახევი. განხილული სტატიების თემატიკა, მიმართულება და სტილიც, ძირითადად აღძრული და განპირობებულია თაობათა ბრძოლის

მეორე ტურით, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში გაჩაღდა. გ. მუხრანსკის ბროშურის ანალიზით, ავტორმა საყოველთაოდ ამჩნია „მამების“ ეროვნული რენეგატობა, — წერილში — „იოსებ მაძინი“ გარკვეულად დაუპირისპირა მას ახალთაობის რევოლუციურ-გამათავისუფლებელი იდეოლოგია; გამოკვლევაში — „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“ — ჩამოაყალიბა იმავე ახალთაობის პოლიტიკა პრესისა და საგანმანათლებლო მოღვაწეობის სფეროში, ხოლო „არსენას ლექსის“ განხილვაში — ძველი თაობის შემოტევისაგან დაიცვა კრიტიკული რეალიზმის პოზიციები, ენისა და ლიტერატურის შესახებ სამოციანელთა შეხედულებანი.

პ. უმიკაშვილის ნაწერებში დიდი ადგილი უკავია მაშინდელი ჩვენი პუბლიცისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს—ქალთა ემანსიპაციას. გასაკვირი ის კი არ არის, რომ ავტორი აღიარებს და თავგამოდებით იცავს დედაკაცის უფლებებს, არამედ იმის ღრმა გაგება, რომ ამ უფლებათა განხორციელება მხოლოდ სოციალურ გარდაქმნათა საფუძველზეა შესაძლებელი.

ჩვენი აზრით, პ. უმიკაშვილის წერილებიდან ყველაზე საყურადღებოა „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“. ეს პირველი მეცნიერული გამოკვლევაა ქართულ ჟურნალისტიკაში და X X საუკუნის დასაწყისამდე ამ საგანზე უკეთესი არც არა გამოქვეყნებულა. ნაშრომის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლის საფუძველზე, მასში განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების გზა. ავტორის დასკვნებს უაღრესად აქტუალური, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიას პ. უმიკაშვილი განიხილავს რევოლუციურ-დემოკრატიული თვალთახედვით და იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ პრესა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და იდეური ბრძოლის იარაღია. ამასთან დაკავშირებით, ის წარმატებით იყენებს რუსული და ევროპული ჟურნალისტიკის გამოცდილებას.

პირველ ქართულ გამოცემებს, პ. უმიკაშვილის აზრით, საზოგადოებაზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენიათ, რადგან მათ ეროვნული სული არ ედგათ და მკითხველის ინტერესსაც

ვერ აკმაყოფილებდნენ; მხოლოდ სოლომონ დოდაშვილის „თბილისის უწყებებს“ შეეძლო ხალხის გულისაკენ გზის გაკვლევა, მაგრამ არ დასცალდა.

ქართულ პერიოდიკაში ფუძემდებლის როლი გ. ერისთავის „ცისკარმა“ შეასრულა, — აქედან დაიწყო ქართული ჟურნალისტიკის უწყვეტი განვითარება, — „მოსდა ბეჭდვითი დაახლოვება მწერლებისა, რომლებიც აქამდე გაფანტულნი იყვნენ“. გ. ერისთავის, ხოლო შემდეგ ივ. კერესელიძის ჟურნალისტური მოღვაწეობა ავტორს უკვდავ ეროვნულ გმირობად ესახება. სათანადოდ ითვალისწინებს რა იმ სიძნელეებსაც, რომელთა გადალახვა მათ მოუხდათ, პ. უმიკაშვილი დამაჯერებლად ავლენს „ცისკრის“ ნაკლოვანებებს. ეს ჟურნალი არ ემყარებოდა იდეურად შემჭიდროებულ წრეს, მას არ ჰქონდა გარკვეული მიმართულება და, ამის გამო, არ აწარმოებდა მასალის შერჩევას. რედაქტორი „მარტო თავისი გემოვნებით“ ხელმძღვანელობდა.

პ. უმიკაშვილის გამოკვლევა გამოირჩევა ისტორიული მიდგომით; მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ახალთაობა ივ. კერესელიძეს ეკამათებოდა. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები ავტორს მიაჩნდა არა „ცისკრის“ რედაქტორის დანაშაულად, არამედ იმდროინდელი საზოგადოებრივი ვითარების შედეგად. სავსებით სწორია მისი დასკვნა, რომ გ. ერისთავი და ივანე კერესელიძე „იმ დროს ისე ეკუთვნიან, როგორც ეხლანდელი დაწინაურებული კაცები ეხლანდელს დროსა“.

ქართული ჟურნალისტიკის ფერისცვალებას, მის თვისობრივ შემობრუნებას პ. უმიკაშვილი ხედავს „საქართველოს მოამბეში“. ეს პირველი გამოცემაა, რომელსაც მტკიცე იდეური მიმართულება გააჩნია, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ თანამოაზრეთა წრეს, ემყარება და, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, მასალას მკაცრი შერჩევით ბეჭდავს. „მკითხველმა საზოგადოებამ აქ პირველად ნახა და შეიტყო, რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს მას“.

პ. უმიკაშვილმა მოგვცა „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზების საფუძვლიანი ანალიზი და, რაც უფრო საგულისხმოა, განაზოგადა კიდეც თავისი დასკვნა, რითაც, ასე

ვთქვათ, სახელმძღვანელო პრინციპით შეაიარაღა ჩვენი ჟურნალისტიკა. მკვლევარმა ნათელჰყო, რომ ყოველ გამოცემას გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა უნდა ასულდგმულებდეს და ჟურნალ-გაზეთი იდეურ თანამებრძოლთა ფართო წრეში უნდა იყოს ფესვგადგმული. პ. უმიკაშვილის გამოკვლევის ეს წარმმართველი დებულება, მისივე სიტყვით, ჟურნალისტიკის დარგში ილია ჭავჭავაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობიდან გამომდინარეობდა.

იდეური პლატფორმა, პოლიტიკურ თანამოაზრეთა ორგანიზაციული გაერთიანება, პ. უმიკაშვილის აზრით, პროგრესის საწინდარია. ჟურნალისტიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. მასობრიობის, კოლექტიურობისა და იდეური შემჭიდროებისაკენ მოუწოდებდა ის თანამოკალმეებს.

ბრძოლისათვის, „წადილის აღსრულებისათვის“ ხალხის პოლიტიკურ აღზრდას, „ქადაგებას, საზოგადოებრივი აზრების გავრცელება-მოფენას“, პ. უმიკაშვილი პრესის უმთავრეს ამოცანად თვლიდა. ამით უნდა აიხსნას, რომ მან გაბედული იერიში მიიტანა პოლიციური ცენზურის წინააღმდეგ, დაასაბუთა და კატეგორიულად მოითხოვა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება; წერილში — „იოსებ მაძინი“ თანამემამულეებს, ფაქტიურად, არალეგალურ გამოცემათა საჭიროებაც უკარნახა.

პ. უმიკაშვილი ნაყოფიერი ფელეტონისტი იყო. „პეტრიძის“, „ანჩისხატისუბნელის“, „ანჩისხატელის“ ფსევდონიმით, ხანაც. ინიციალებით, მას ათობით ფელეტონი აქვს გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, მან საკუთარი კვალი მაინც ვერ აღბეჭდა ქართული ფელეტონის განვითარებაში. იგი ვერ ახერხებდა კონკრეტული თემის შერჩევას, წვრილმანში მრავალმხრივ ჩაღრმავებას, მცირეთი დიდის წარმოჩენას, სერიოზულზე მსუბუქად წერას; შინაგანი შებოჭილობის გამო, მას უნებურად ხელიდან ეცლება იუმორისტული სიტუაცია. აკლია ამბებისადმი სწრაფი რეაქცია. ამიტომ, ვერც „კრებულში“ დაბეჭდილი მისი ფელეტონი — „ნობათი“ ახდენს სასურველ ეფექტს. ავტორი საჭირბოროტო საკითხებს ეხება, მაგრამ მისი ჩანაფიქრი მკითხველამდე ვერ აღწევს. კორესპონდენტულ რეპორტაჟს უადგილო პუბლიცისტური მსჯელობა მოსდევს, და-

უკავშირებელი ამბები ნაადრევად ცვლიან ერთმანეთს: არსებითად, ეს ქრონიკაა და პ. უმიკაშვილის ფელეტონიც „სალაყბო ფურცლებს“ ენათესავება.

პ. უმიკაშვილი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. 1874-78 წლებში იგი „სასოფლო გაზეთს“ რედაქტორობდა და, შეიძლება ითქვას, ახალი სული შთაბერა ამ გამოცემას: გააფართოვა მკითხველთა წრე, დაიახლოვა სოფლელი კორესპონდენტები, შემოიღო ხალხური ლექსების ბეჭდვა, გააძლიერა სალიტერატურო ნაწილი.

80-იან წლებში ს. მესხი ხშირად ავადმყოფობდა და „დროებას“, ფაქტიურად, პ. უმიკაშვილი უძღვებოდა.

საგანგებო ნარკვევი შეიძლება მიეძღვნას პ. უმიკაშვილის საგამომცემლო მოღვაწეობას; ამ მხრივ, ნან, ერთმა კაცმა, გაციცლებით მეტის გაკეთება შეძლო, ვიდრე იმ დროის სხვადასხვა „გამომცემელთა ამხანაგობებმა“.

პ. უმიკაშვილი თვითონ აგროვებდა ხელნაწერებს, ერთმანეთთან ადარებდა მათ, არჩევდა სრულ, საიმედო ტექსტს, ურთავდა ბიოგრაფიებსა და შენიშვნებს. მის გამოცემებში დღეს ბევრი შეცდომა შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, მაგრამ იმის დავიწყება შეუძლებელია, რომ ის ამ საქმის მეკვლე იყო. 1870 წელს მან გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი“ (ნ. ბერძენიშვილთან და გ. წერეთელთან ერთად); 1871 წელს — სულხან-საბა ორბელიანის — „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“; 1873 წელს — გრ. ორბელიანის ლექსები. 1876 წ. — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები; 1881 წ. — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები; 1884 წელს—„ვისრამიანი“ (ილ. ჭავჭავაძესა და ალ. სარაჯიშვილთან ერთად); 1886 წელს — ვახტანგ VI „დასტურლამალი“ და სხვ.

პ. უმიკაშვილმა საკუთარი ხარჯით დაბეჭდა ათობით „სახალხო წიგნი“, რომელთაგან ბევრი რამდენჯერმეც გამოვიდა („ბეჟანიანი“, „ქალ-ვაჟიანი“, „ალექსიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“, „არსენას ლექსი“, „ეთერიანი“ და ა. შ.).

პ. უმიკაშვილის შეკრებილი ხალხური სიტყვიერების მასალები (მეცნიერული კვლევისათვის საჭირო მონაცემებით)

ქართული ფოლკლორისტიკის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს.

ვერც ქართული თეატრის ისტორია დაივიწყებს პ. უმიკაშვილის სახელს; 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ის თავს ევლებოდა მშობლიურ სცენას; აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებს, მართავდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენებს, თავისი წვლილი შეჰქონდა რეპერტუარში. 1879 წელს პ. უმიკაშვილი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენის ერთ-ერთი მესვეური იყო. მან დააფუძნა დრამატული საზოგადოების ბიბლიოთეკა, შეავსო რეკვიზიტი, შეკრიბა აქა-იქ გაბნეული პიესები. ჩვენი თეატრის მემატიანისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს 1900 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილ მის წერილს — „ქართული თეატრი და ლიტერატურა“.

პ. უმიკაშვილი დრამატული ნაწერებითაც შველოდა ქართულ სცენას. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა: „მისანი“ (1879 წ.) „მახლასა ჯოჯოხეთში“ (1881 წ.) „ალერსთა ბადე“ (1886 წ.), „დამარცხებულნი“ (1839 წ.), „ბენეფისის წინ“ (1900 წ.) 1898 წლის პირველ იანვარს ქართულმა დრამატულმა დასმა წარმატებით დადგა მისი „სამზადისი“ („სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა“), რომლის მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ქართული სცენის პირველმოღვაწენი: გ. ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ქეთევან ორბელიანი, ტასო გაგარინისა და სხვ.

პ. უმიკაშვილი მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა მხატვრულ თარგმანს; -- მისთვის შესაფერი „სასაუბრო სტილის“ გამომუშავებას მომავლის ამოცანად თვლიდა და თვითონვე სცადა მაგალითის მიცემა; 1898 წელს „მოამბეში“ (№ 10) გამოაქვეყნა უნგრელი მწერლის კოლომონ მაკსატის — „გლეხმა ჩომოკმა როგორ იყიდა ცელი“.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის გადმოთარგმნილი „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“, რომელიც ჯერ (1899 წ.) „მოამბეში“ დაიბეჭდა, იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა, ხოლო 1933 წელს განმეორებით გამოსცა „ფედერაციამ“. ამ გამოცემის რედაქტორი აკ. გაწერელია, მას „მშვენიერ თარგმანს“ უწოდებს და, სხვათა შორის, ამბობს:

„ქართული ფოლკლორიდან ნასესხები გამოთქმები ამ თარგმანს კარგ საკითხავ წიგნად ხდისო“; თარგმანი შესრულებულია პანტელეევის 1897 წლის რუსული გამოცემიდან.

როგორც მოაზროვნე, მწერალი და მოქალაქე, პ. უმიკაშვილი უაღრესად მონოლითური პიროვნება იყო; მუდამ კვალდაკვალ მიჰყვებოდა ცხოვრების აღმავლობას, აღტაცებით ეგებებოდა ყოველ სიახლეს; გამსჭვალული იყო საყოველთაო პროგრესის პათოსით, სჯეროდა, რომ „ყველაფერი იცვლება, ყველაფერი უმჯობესდება“.

1893 წელს პ. უმიკაშვილი ნიკო ღოღობერიძემ მიიწვია შავი ქვის წარმოების საქმეთა მმართველად; 1893-94 წლები მან ზესტაფონში გაატარა, 1894-98 წლები კი — ბათუმში. ამ პერიოდშიც, ის მოუღალავად განაგრძობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას: თანამშრომლობდა „მოამბესა“, „კვალსა“ და „ივერიაში“, მონაწილეობდა რაფ. ერისთავის იუბილეს მოწყობაში, ზრუნავდა „ქართული სალიტერატურო ფონდის“ დაარსებისათვის.

1899 წლიდან პ. უმიკაშვილი თბილისის სათავადაზნაურო ბანკში მსახურობდა.

გარდაიცვალა 1904 წლის 25 მაისს და 28 მაისს დიდი პატივისცემით დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე (1946 წლის 30 ნოემბერს მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს).

პ. უმიკაშვილის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას რომ ვეცნობიო, გულწრფელ აღსარებად წარმოგვიდგება მისი სიტყვები: „ჩემი სურვილი იყო დავხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღრმავებას, აღმეძრა მასში ჭეშმარიტების სიყვარული, კაცობრიობისა და სამშობლოს სიყვარული, თვითმცნობელობა, თვითმოქმედება, და საზოგადოდ, მოქმედება ქვეყნისა და ერის წარმატებისათვის“.

ნიკოლოზ ყიფიანი

„ნიკოლოზ ყიფიანს თვალსაჩინო ადგილი უკავია, როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ბელგიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.—წერდა პროფესორი ჟეტეიკო ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი ნიკ. ყიფიანის ერთ-ერთი ნაშრომის წინასიტყვაობაში,— არც ტალანტით, არც შრომისმოყვარეობით, არც პატრიოტული მგზნებარებით, დაბოლოს, არც ტრაგიკული ბედით იგი სახელოვან მამას არ ჩამოუვარდებოდა".[1] — დასძენდა უცხოელი მეგობარი.

დღეს ყველამ ვიცით, რომ ქართულ მწერლობაში ნიკოლოზ ყიფიანს არ დარჩენია დიდი კრიტიკოსის ან პუბლიცისტის სახელი, მაგრამ, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ მისი ბიოგრაფია შეუდარებელი სისავსით წარმოგვისახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე, დემოკრატიული ინტელიგენციის პროფილს და უაღრესად ნათელ წარმოდგენას იძლევა 60—70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფებებსა და ბრძოლაზე.

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი დაიბადა 1847 წელს, თბილისში; მამამისი იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო; სამსახურითაც დიდად აღზევებული—მეფისნაცვლის, ვორონცოვის, კანცელარიის დირექტორი. მეუღლეც ღირსეული ჰყავდა დიმიტრის — დუშელი მემამულის, გენერალ იაგორ (გიორგი) ჭილაშვილის უმცროსი ასუ-

---

[1] La Gèorgie et deux grandes géorgiennes dans le passé: La Reine Thamar, la Reine Kéthevane... Avec une préface de M-lle J. Iotcjko (საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15269-ბ).

(„საქართველო და წარსულ დროთა ორი დიდი ქართველი: თამარ მეფე და ქეთევან დედოფალი", ქ-ნ ჟეტეიკოს წინასიტყვაობით...")

ლი ნინო, რომელმაც 1844 წელს ეკატერინეს ინსტიტუტი დაამთავრა პეტერბურგში.

თბილისის არისტოკრატია მოხიბლული იყო ნინო იაგორის ასულის მშვენიერებით, მისი დახვეწილი მანერებით, ფორტეპიანოზე დაკვრით, უზადო ფრანგულით, მხიარული, ცოცხალი ხასიათით. 17 წელი შეუსრულდა, როცა დიმიტრი ყიფიანთან ჯვარი დაიწერა (1844 წ. 22 იანვარს) და თითქმის 45 წელი მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების უღელს. — „გახდა მისი ნამდვილი მეგობარი და ამხანაგი, ბედსა და უბედობაში განუყრელი, ნუგეშმცემელი გულშემატკივარი". ივი აღმერთებდა ქმარს და სხვაგვარად არ მიმართავდა, თუარ „ღვთიურო დიმიტრი" («Божественный Димитрий»).

ნინო ჭილაშვილი გატაცებული იყო ლიტერატურით, მუსიკით, თეატრით და, სხვათა შორის, გ. ერისთავის „გაყრის" პირველ წარმოდგენაში ივანეს საცოლეს როლიც შეუსრულებია.

შვილების აღზრდა, განსაკუთრებით პირველი ვაჟისა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს წმიდათა-წმიდა ვალად მიაჩნდა და პირადად ხელმძღვანელობდნენ მას. ოთხი-ხუთი წლის კოლას დედა უკვე ასწავლიდა ფორტეპიანოზე დაკვრას, ცეკვას, ხატვასა და ფრანგულ ენას. ბავშვს ქართული ზღაპრებით ართობდნენ და დედაენის ჯავარს უსისხლხორცებდნენ: დიმიტრი ყიფიანის დედობილი მარია ივანოვა („ბაბაშა", ფეოდოროვის ქვრივი, თვით ქართველი) და დუშელი გლეხის ქალი ანიკა.[1]

როცა კოლა რვა წლისა გახდა, მამამ აღმზრდელ-მასწავლებლად მოუყვანა ფრანგები: „მოსიო გილიარ, მოსიო ტურეს, მოსიო დორეს", მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მათ ხელში ბავშვი სწავლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდა და დაითხოვა ისინი, შვილის აღზრდა კი თავის ბიძაშვილს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს მიანდო. ნიჭიერ პედაგოგს დიდი გავლენა მოუხდენია შეგირდზე, პირველად აღუძრავს მასში ცნობისმოყვარეობა და

---

[1] ნ ი კ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა", „მოამბე", 1894 წ., № 4.

სწავლის წყურვილი. „რაკი მიხაკოსთან კარგად ვიწყე სწავლა, — იგონებდა ნიკ. ყიფიანი 40 წლის შემდეგ, — მამაჩემმა დამაყენა ფორტეპიანოს მასწავლებელი მოსიო სიმონ, ხატვის მასწავლებელი პოლიდორ ივანიჩ ბაბაევი, ფრანგული ენისა — კიკამპოა, ასე რომ, მიხაკოს გარდა, კიდევ სამი მასწავლებელი მყავდა“ [1].

დიმიტრი ყიფიანის სახლი იმ დროს ჩვენი კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო, სადაც თავს იყრიდნენ გამოჩენილი ადამიანები, რომელთა ნახვა შთაბეჭდილებიან ბავშვს ათასგვარი ფიქრითა და ოცნებით ავსებდა. სამარადჟამოდ აღებეჭდა მის სულს მომხიბვლელი საუბრები გ. ერისთავისა, მანანა ორბელიანისა, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა, პლატონ იოსელიანისა. — სამუდამოდ დაამახსოვრდა გრაფი სოლოგუბი და ვერდერევსკი, ბერჟე და ინგლისელი მოგზაური. კამერონი, გრაფი დე-როზმარდუკი და ალექსანდრე დიუმა. თვითონაც ხშირი სტუმარი იყო ვახტანგ ორბელიანის ოჯახისა, სადაც თანატოლი და სეხნია, შემდეგ კი ჭირის თანამოზიარე ეგულებოდა, — ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისა, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა და სადაც მუდამ სიყვარულით ეგებებოდნენ ეკატერინე და ნინო, დავითი და მისი ქალ-ვაჟნი.

უველგან, სადაც პატარა კოლას უხდებოდა ყოფნა, ფრანგულად ან რუსულად ლაპარაკობდნენ, დედაც ფრანგულად ელაპარაკებოდა, მასწავლებლებიც. მისი წერილები დედისადმი, რომელთა დიდი ნაწილი შენახულია, დაწერილია ფრანგულად, ინგლისურად ან რუსულად. [2]

მამა შიშობდა, რომ ბავშვს დედაენა არ გაუცხოვებოდა და ყოველნაირად ცდილობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მის გაწაფვას. ამ დიდ საქმეს ის პირად მოვალეობად თვლიდა. ერთ წერილში კოლა საგანგებოდ სწერდა მამას: „В особенности занимаюсь Грузинским языком... Михако, наш учитель грузинского языка, уехал... я купил Лексикон Чубинова (это ужас, как там исковеркан наш родной

---

[1] ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი — „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“, „კვალი“, 1893, № 15.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი № 14969-ხ და სხვ.

язык!)"... читал „Цисъкари", „Вепхисткаосани" (очен нравится)". — ატყობინებდა მამას 1860 წლის 9 სექტემბერს.[1] 13 — 14 წლისა ქართულად ლექსებსა თხზავდა და მამა კმაყოფილი იყო: «Стихи Коли хороши», — უზიარებდა თავის შთაბეჭდილებას მეუღლეს 1861 წლის 29 იანვრის წერილში.[2] ამაყობდა, რომ მისმა 13 წლის ვაჟმა უკვე ბრწყინვალედ იცოდა რუსული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური და დედაენასაც ჩინებულად ფლობდა.

დიმიტრი ყიფიანი ოჯახის წევრებს უკითხავდა თავის მოთხრობებს, წერილებსა და თარგმანებს, აჩვევდა ბავშვებს სერიოზულ კრიტიკულ მსჯელობას, უვითარებდა ლიტერატურულ გემოვნებას.

1857 წელს ნიკოლოზი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. ბეჯითი სწავლითა და კარგი ყოფაქცევით აქაც ასახელა მშობლები. «Мне пишут. — ატყობინებდა დიმიტრი 1860 წელს მეუღლეს, — что Коля хорошо учится и большею частью сидит в учебной. За это я целую его крепко».

დედას იგი დაჰყავდა იტალიურ ოპერაში, წარმოდგენებზე, ლექციებზე; 1859 წელს ბავშვზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გალახოვსკის ლექციებს მინერალოგიისა და ფიზიკის საკითხებზე, ბოგაჩევის მოხსნებას ვულკანიზმზე და სხვ.

მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი, — ასე ვთქვათ, ნებადართული ატმოსფერო იყო, რომელშიც ნიკოლოზ ყიფიანის სული და გონება იწვრთნებოდა, მთავარი სამყარო კი, სადაც მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მშობლებისა და გიმნაზიის მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებოდა; ოჯახში ღრმად შეთვისებული რწმენა სიკეთისა, ჭეშმარიტებისა და სიყვარულისა ახალ ნიადაგზე იდგამდა ფესვს და ძალიან სწრაფადაც ვითარდებოდა.

პატარობიდანვე მისი ჭეშმარიტი აღმზრდელები და სულიე-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14969-ბ

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14823-ბ.

რი მოძღვარნი გახდნენ ჩვენი გამოჩენილი სამოციანელები: ანტონ ფურცელაძე, მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი და დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რომლებიც მასზე 7 — 10 წლით უფროსნი იყვნენ. ბავშვი ხარბად უსმენდა ჯერ მიხ. ყიფიანის მიმზიდველ საუბრებს სამყაროს აგებულებაზე, სახალხო გმირებსა და სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრებაზე, ხოლო 1859 წლიდან ანტონ ფურცელაძეს დაუმეგობრდა და მისი რევოლუციურ-დემოკრატიული საქმიანობის თანაზიარი გახდა.

ანტონ ფურცელაძე დიმიტრი ყიფიანის ბიძაშვილი იყო (დედის მხრივ) და თბილისში ჩამოსვლისთანავე მათ ოჯახში ცხოვრობდა. როგორც ცნობილია, მისი იდეური მრწამსი სწორედ აღნიშნულ წლებში ყალიბდებოდა. ყიფიანების სახლში ის დღენიადაგ პეტერბურგიდან მიღებულ დემოკრატიული მიმართულების წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს დასციცინებდა და ამ მღელვარე შთაბეჭდილებებს პატარა, ცნობისმოყვარე მეგობარს უზიარებდა, მისთვის ჩვეული გაცხარებით ეპაექრებოდა უკელაზე მწვავე საკითხებზე და წასაკითხ მასალას ურჩევდა.

1859-60 წლებში ანტონ ფურცელაძემ და მისმა მეგობრებმა ფარული წრე შექმნეს და დაბალი წრეებიდან გამოსულ, საკმაოდ გამობრძმედილ მეგობრებთან ერთად (პ. უმიკაშვილი, ვახ. თულაშვილი, კ. ივანოვი, კიკნაძე, სარქისოვი, მდივანი და სხვ.), მასში 13 წლის ნიკოლოზ ყიფიანიც შევიდა. ანტ. ფურცელაძის ცნობით, ამ წრეში ბატონყმობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ მსჯელობდნენ, საზღვარგარეთულ არალეგალურ გამოცემებსაც კითხულობდნენ (იგულისხმება გერცენის გამოცემები) და ყრმა თანამებრძოლს, რომელიც ფურცელაძის სიტყვით, უკვე იმ დროს ძალიან დიდ იმედებს იძლეოდა, ყოველგვარ საიდუმლოს უმჟღავნებდნენ.[1]

ნიშნად იდეური თანაზიარობისა, 1861 წელს ანტონ ფურცელაძემ 14 წლის ნ. დ. ყიფიანს მიუძღვნა ნ. ნეკრასოვის ლექსის — „ოდეს შემესმის კვალად ბრძოლის ხმა“ — თარგმანი, რომელიც ჟურნალ „ცისკრის“ მე-11 ნომერში დაისტამბა.

სხვათა შორის, თეითონაც ადრე დაახლოებია ჟურნალ

---

[1] „Закавказская речь“, 1911 г., № 257.

„ცისკარს“; „ამ დღეებში მე და კოტე კალოუბანსკი ვიყავით კერესელიძესთან, — სწერდა 1861 წლის 17 მარტს მამას. — იქ მე გავიცანი ჩვენი პოეტი ქალი ბარბარე ჯორჯაძე. ძალიან კარგი და ჭკვიანი ქალი მეჩვენა... კერესელიძეს ქუთაისიდან ბაქრაძის წიგნი მოსვლია (ეს წიგნი „ცისკარში“ დაბეჭდა იმან, რომელიც დღეს გამოვიდა). იქ წარმოუდგენიათ „გაყრა“ და კიდევ რაღაც კომედია „კალმასობა“; რაც რომ ფული შეკრიბეს, სულ ქართული წიგნების დასაბეჭდათ გადადეს, კერესელიძე ცდილობს, რომ აქაც წარმოადგინონ „გაყრა“ და შენი ნათარგმნი „რომეო და ჯულიეტა“.[1] ამას ზედ დაერთო, რომ 1860 წელს პეტერბურგიდან ჩამოვიდა დავით ყიფიანი—კოლას მკვიდრი ბიძაშვილი, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მეგობარი, ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი.

აქედან მოკიდებული, მშობლებმა ნიკოლოზის აღზრდა ფაქტიურად დავითს მიანდეს. ერთ წერილში დიმიტრი მეუღლეს სწერდა: «Службы Датико не захатели в Тифлисе и не мудрено, он был бы у всех бельмом на глазу, потому, что он и душою и умом лучше многих, очень многих» [2].

მიუხედავად კანდიდატის დიპლომისა, დავით ყიფიანს საჭელმწიფო სამსახურის ნება არ დართეს და 1860-63 წლებში ის მთელ თავისუფალ დროს უმცროსი ბიძაშვილის აღზრდას ანდომებდა. ყიფიანების მიმოწერიდან ჩანს, რომ ისინი განუწყვეტლივ ერთად ყოფილან. 1862 წლის 3 აგვისტოს დავითი ნინო იაგორის-ასულს ამშვიდებდა, კოლა ერთი წუთითაც არ მშორდებაო. „დათიკო ინსტიტუტიდან ახლად ჩამოსული იყო, მე ვიყავი 16 წლისა — იგონებდა 90-იან წლებში ნიკოლოზ ყიფიანი, — მახსოვს ბიძია ქაიხოსრო რა სიხარულით გვიყურებდა, დილიდან საღამომდე რომ ვწერდით ამ წერილებსა“.

უმაღლესი განათლების მქონე ბიძაშვილი ჭაბუკს, უწინარეს ყოვლისა იტაცებდა პოლიტიკური საუბრებით, პეტერბურგის სულიერი ცხოვრების დახასიათებით, ჩერნიშევსკისა და დო-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14958-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 14802-ხ.

ბროლიუბოვთან შეხვედრების შთაბეჭდილებებით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უახლესი ცნობებით. 1863 წლის 24 ივლისს კოლა ამის თაობაზე ქარაგმულად სწერდა დედას: «Я занимаюсь с помощью Датико науками кое какими». [1]

ანტონ ფურცელაძისა და დავით ყიფიანისაგან დემოკრატიული იდეებით შთაგონებულ გიმნაზიელს მხურვალედ სურდა ეს იდეები თავისი მეგობრებისათვის გაეზიარებინა, სასწავლებელშიაც ეპოვნა თანამოაზრენი.

1860 წელს მამას სწერდა: „გამომიგზავნე «Записки Гарибальди»... «Жизнь Гарибальди», книгу, которую подарил мне Датико». [2]

აღსანიშნავია, რომ აქ, საერთოდ, პირველად ეხვდებით გარიბალდის სახელს ქართველი კაცის ნაწერში.

1861 წლის მარტში ნიკ. ყიფიანი მამას სწერდა: „ახ, როგორ მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე ეს წიგნები, მეტადრე გარიბალდის ბიოგრაფია. მე ძლიერ შემიყვარდა ისა, რაც წავიკითხე... მაგისი პატიოსნება და ვაჟკაცობა. მე იტალიელი რომ ვყოფილიყავი უეჭველად წავიდოდი სამსახურში იმის ჯარში, მაგრამ ქართველი რომ ვარ, ჩემი ვალია ვემსახურო საქართველოს და ვიყო იმისთვის სასარგებლო ყოველთვის". [3]

იმავე დროს, ნიკ. ყიფიანს დაუწყია გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის — „თაიგულის" გამოცემა, რომელიც, სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა და მალე საცენზურო კომიტეტის მკაცრი მსჯელობის საგნადაც გამხდარა.

ამ ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებაზე საკმაო წარმოდგენას იძლევა ერთი ადგილი ნიკ. ყიფიანის 1862 წლის 25 დეკემბრის წერილიდან: «Наш «Букет» вышел бы уже, но остановило его еще одно маленькое улучшение: нам хочется поместить в нем портрет раненного Гарибальди»,

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15128-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15149-ხ.

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14958-ხ.

რომელიც კოსტიამ და გიმნაზიელმა სულთანოვმა გადმოხატეს ლონდონის „ილუსტრირებული ჟურნალიდან“. [1]

ჟურნალს ასულდგმულებდა ნიკ. ყიფიანის თაოსნობით ორგანიზებული წრე. რომლის შესახებაც ის სწერდა: «У меня собирался кружок товорищей (в гимназии)... бывали у меня тогда часто Кананов, Мгебров, Цхведадзе, Гогебашвили, братья Цветковы и т. д.» [2].

გიმნაზიაში სწავლის დროს, ნიკ. ყიფიანს შეუდგენია „სოლომონ დოდაშვილის ვრცელი ბიოგრაფია“; 1859 წლიდან დაუწყია ხალხური ლექსების, განსაკუთრებით, არსენა ოძელაშვილზე გამოთქმულ ლექსთა შეკრება. რომელიც მანვე გამოსცა პირველად.

1860-63 წლებში ნიკ. ყიფიანის ინიციატივით, გიმნაზიის წრე ხშირად აწყობდა ქართულ წარმოდგენებს, რომელთაც უფროსებიც ესწრებოდნენ. რუსული და უცხო ენებიდან თარგმნიდნენ მხატვრულ და მეცნიერულ-პუბლიცისტურ თხზულებებს; როგორც 1863 წლის 22 იანვრის ბარათიდან ჩანს, წრის ექვს წევრს შეერთებული ძალით უთარგმნია „მსოფლიო ისტორიის ნარკვევები“. [3]

კოლას უკვე გადაკითხული აქვს ასობით წიგნი ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, — მისი სიტყვით რომ ვთქვათ, — „გამამხნევებელი და წამქეზებელი ბიოგრაფიები სხვადასხვა ასპარეზზედ მოქმედი კაცებისა და ქალებისა“. მის საყვარელ გმირთა გალერეაში უკვე მკაფიოდ არიან გამოქანდაკებული სახეები ბელინსკისა, დობროლიუბოვისა და ტურგენევისა, ვიქტორ ჰიუგოსი და გამბეტასი, გლადსტონისა და კასტელარისა, ჯორჯ ზანდისა და ჟანა დარკის, ვაშინგტონისა და ლინკოლნის, შილერისა და ჰაინესი, როშელისა და გარიბალდის. „У меня есть, милый папаша, маленькая просьба к тебе, — სწერდა 1862 წლის 25 დეკემბერს, —если

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14963-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15158-ხ.

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14967-ხ.

ты будешь выписывать в будущем 1863 году газеты и журналы, то выпиши... газету „Современное слово“ и журнал „Современник“!.. Это два издания лучше всех других изданий русских“[1].

ნიკოლოზ უიფიანის 1862-63 წლის კერძო წერილები ბევრ ისეთ საკითხს ჰფენენ შუქს, რომელთა პასუხს იმდროინდელ ჟურნალისტიკაში ვერ ვპოულობთ. ამ ბარათებსა და ნიკ. უიფიანის გამოუქვეყნებელ მოგონებებში დამარწმუნებლად ცხადდება, რა განუზომელი გავლენა ჰქონია ჩვენს საზოგადოებასა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე რევოლუციონურ-დემოკრატიულ მოძრაობას, მოწინავე რუსულ ლიტერატურას. «От «Накануне» я был в восторге. — წერს ნიკ. უიფიანი. — Помню прекрасную личность Инсарова, этого патриота — болгара, готовящегося на борьбу против угнетателей родной земли... Эта личность патриота, борца за свободу родины врезалось в моей памяти навсегда“. —

მაშინ გამოაქვეყნა დობროლიუბოვმა თავისი სტატია — „Когда же придет настоящий день?“... Это заглавие романа означает „Накануне освобождения родины от угнетателей“ и Добролюбов задался вопросом, — Когда же придет настоящий день освобождения нашей (русской) родины от угнетателей... сочинения Добролюбова имеют огромное воспитательное значение и очень содействуют умственному и нравственному развитию молодежи... Хорошие вещи необходимо читать и перечитывать... „Отцы и дети“ я прочитал тоже, когда мне было 16 лет. Прочитав «отцов и детей», со мною произошла преинтереснейшая история. Я вообразил, что я нечто в роде Базарова, а что мой отец... нечто в роде Николая или Павла Кирсанова[2]...

---

1 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14967-ხ.

2 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15165-ხ.

სხვა წერილებიდანაც ასევე ჩანს, რომ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში, როცა ნიკ. ყიფიანი ძალიან ბევრ რუსულ და ევროპულ წიგნს კითხულობდა, მათ ნიადაგზე აღძრულ ფიქრთა ავტორიტეტულ პასუხს „სოვრემენიკში“, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ანტონოვიჩის წერილებში პოულობდა. მათი დახმარებით მიიკვლევდა გზას საზოგადოებრივი და მხატვრული აზროვნების რთულ ლაბირინტში და მის წერილებშიც განუწყვეტლივ ვხვდებით ამ საღმერთებელ სახელებს.

ტურგენევით გატაცება მას ხელს არ უშლიდა სწორად ამოეშიფრა „მამებისა და შვილების“ იდეური ჭარაგმა და თავისი დამოუკიდებელი დასკვნის შესამოწმებლად, გაფაციცებით თვალს ადევნებდა ბაზაროვის გარშემო „რუსკოე სლოვოსა“ და „სოვრემენიკს“ შორის ატეხილ პოლემიკას: «Правда была, по-моему, на стороне „Современника“ и Антоновича. — წერს ის. — Этот роман был написан против молодежи, против нового движения в русской жизни“.

ევროპელ მწერლებისაგან ჰაბუკის გული ფრიდრიხ შილერისა და ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედების რევოლუციურ რომანტიკასა და გაფაქიზებულ სულიერ სიწმინდეს მოუხიბლავს. „Les Misérables“ — это чудная, чудная вещь. — ვკითხულობთ მის ერთ-ერთ წერილში. — В этом романе ты встретишь очаравательную личность епископа Мириеля... В моей религии первое место занимают Виктор Гюго, Шиллер и Жорж Занд“.

მხატვრულ ნაწერებში გიმნაზიელს სიკეთისა და ჭეშმარიტების პათოსი ატყვევებდა, ხოლო ამ ლიტერატურულ შთაბეჭდილებებს გამეფებული ბოროტების საიდუმლოებათა გამოცნობის აუცილებლობამდე მიჰყავდა, ამიტომ მის წერილებში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მილლის, ბოკლის, შლოსერის, გერვენიუსის, შერერისა და რიტერის სახელებს. 1864 წლის 21 ივნისს მამას ატყობინებდა: «Мне попалась политическая экономия Милля и очень заинтересовала меня. Все это время я занимаюсь почти исключительно

этим предметом». (რაც შეიძლება, მიეძალები ბოკლს, შლოსერს, გერვენიუსს...) [1].

გზა, რომელიც ნიკოლოზ ყიფიანმა აქამდე განვლო, თითქოს სავსებით საკმარისი იყო ახალი ადამიანის ხასიათისა და იდეური მრწამსის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა; 1862 წელს იგი მიაბარეს დავით ყიფიანის ახალგახსნილ პანსიონში — ქართული თავისუფალი აღზრდის ამ პირველ ტაძარში.

ეს სასწავლებელი ილია ჭავჭავაძის წრის თაოსნობით დაარსდა და მისი აღზრდის სისტემას საფუძვლად დაედო რევოლუციონერ-დემოკრატთა პედაგოგიური შეხედულებანი.

კოლა და მისი უმცროსი ძმა კოტე ამ ახალი პანსიონის პირველი მოწაფეები იყვნენ. უფროსი ვაჟის დაჟინებული თხოვნით, მამა კიდეც ჩქარობდა მათს იქ მიბარებას.

პანსიონში პედაგოგებად მიწვეული იყვნენ სამოციანელები, ილიას თანამებრძოლები. ისტორიას ამ სკოლაში ასწავლიდა ნიკო ღოღობერიძე, გეოგრაფიას—პოლონელი ემიგრანტი ზაგურსკი, არითმეტიკას — ბესარიონ ღოღობერიძე, ქართულ ენასა და სიტყვიერებას — გ. წერეთელი, რუსულ ენასა და სიტყვიერებას — სპიროვი, ფიზიკას — მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული — ყორღანოვი, ხატვას — საბაევი. ამასთან ზაგურსკი, მოსიო შარლე და თვითონ დავით ყიფიანი კოლას ცალკე გაკვეთილებსაც უტარებდნენ ახალსა და კლასიკურ ენებში. [2]

სახელმწიფო სასწავლებლებისაგან განსხვავებით, დ. ყიფიანის პანსიონში დიდი ყურადღება ექცეოდა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, აგრეთვე, მოსწავლეთა თვითმოქმედებას. ეწყობოდა წარმოდგენები, ლექცია-მოხსენებები, დისპუტები, გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალები, ღირსეული ადგილი ეკავა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას.

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14970-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, №№ 14958, 14957, 14968-ხ.

ნიკ. ყიფიანი აღფრთოვანებული იყო ახალი სასწავლებლით, სადაც მის დაუცხრომელ ცნობისმოყვარეობასა და სამოღვაწეო მოქმედებისაკენ სწრაფვას ფართო გასაქანი მიეცა. «...Мы, мальчики Грузины старшего класса, делаем сборник Грузинских стихов. Нам помагают Датико, Амаля» (მარკევიჩი, დავით ყიფიანის მეუღლე. ა. კ.). — სწერდა მამას 1862 წლის დეკემბერში.

1863 წელს ახალთაობამ დააარსა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — „საქართველოს მოამბე", რომლის ერთ-ერთი მესვეური და თანარედაქტორი დავით ყიფიანი იყო. გარდა ამისა, ჟურნალში დიმიტრი და მიხილ ზაალის ძე ყიფიანებიც თანამშრომლობდნენ. ამან საზოგადოებრივი ცხოვრება ერთბაშად გამოაცოცხლა, გაჩაღდა პოლემიკა, განახლდა მოწინავე იდეებისათვის ლაშქრობა; 16 წლის ნიკოლოზ ყიფიანი მხურვალედ მონაწილეობდა ჟურნალის ორგანიზაციაში და მრავალმხრივ დახმარებას უწევდა მას.

ჯერ კიდევ 1862 წლის დეკემბერში აღტაცებული ატყობინებდა მამას: „Кстати надо сказать, что число подписчиков на „Грузинский Вестник" доходит до 500. Это очень довольно. Но Чавчавадзе еще не получил букв, так, что не может еще приступить к печатанию. Впрочем, ожидает на днях" [1]. 10 ნოემბერს მამას სთხოვდა, პირველი ნომრისათვის უეჭველად მოემზადებინა მიტჩელის ლექციები. ხოლო მისი შეკითხვის პასუხად: საქმის ცოდნით განუმარტავდა: მე ვკითხე დათიკოს, რომელ განყოფილებაში დაბეჭდავთ მიტჩელის ლექციებს, რომ პროგრამის მიხედვით, სამეცნიერო განყოფილება არა გაქვთ მეთქი? მან მიპასუხა: „В программе этого отдела не внесли... Но, что для науки всегда будет место в „მოამბე". [2] 25 დეკემბერს კი აცნობებდა: „Лекции Митчеля, т. е. твой перевод я отнес в тотже день И. Чавчавадзе. Он был очень рад и благодарен".

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14963-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14959-ხ.

მამას მისთვისვე მიუნდვია აღნიშნული წერილის კორექტურისათვის თვალისდევნება, რის შესახებაც სწერს: „Ты пишешь, чтоб корректура была тщательная; Она будет, кажется, очень тщательна, так, как в „Вестнике" корректор хорош, т. е. аккуратен. Это один мой приятель — Умиков. (და თუ არ მომეწონა, მე თვითონ გავასწორებო. ა. კ.).

როგორც ირკვევა, ამ ლექციების ბოლო ნაწილი ნიკ. ყიფიანს უთარგმნია.[1]

1862 წლის დეკემბერში, სასწრაფო საქმის გამო, დავით ყიფიანი პეტერბურგს გამგზავრებულა და თავისი საპროგრამო „შინაური მიმოხილვის", ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების დამთავრება და სტილისტური დამუშავება კოლასთვის დაუვალებია. დათიკომ დამავალა მძიმე საქმე, — სწერს მამას, — «Это его статья для «Грузинского Вестника», которую он не успел ни кончить, ни обработать. Приходится мне сделать это». (1862 წ. 18 დეკემბერი).[2] უფრო ადრე, 10 ნოემბერს, აცნობებდა: „დავიწყე ვალტერ სკოტის თარგმნა, მინდა დავბეჭდო „საქართველოს მოამბის" მარტის ან აპრილის ნომერში".[3]

შემონახულია ფრაგმენტები და რუსული კონსპექტური თარგმანი ნიკ. ყიფიანის პოლემიკური ფელეტონისა, რომელიც „ცისკრის" წინააღმდეგაა მიმართული. ეს თხზულება დაწერილია არა უგვიანეს 1863 წლის ნოემბრისა, ილია ჭავჭავაძის „სხარტულას" გავლენით[4] და, როგორც ავტორის განცხადებიდან ჩანს, „საქართველოს მოამბეში" დასაბეჭდად ყოფილა მომზადებული. მასში გაკრიტიკებულია ივ. კერესელიძის 1862 წლის „სალაყბო ფურცელი", მისი ავტორის მერყეობა, აგრეთვე, მხილებულია ანტონ ფურცელაძის ტენდენციურობა და

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14960-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14962-ხ.

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15959-ხ.

[4] წერილში ნათქვამია: „ახლა „ცისკარიც" მოინდომებს „სხარტულას" შემოღებას."

უპრინციპობა. ეტყობა, ეს წერილი „საქართველოს მოამბის“ მოულოდნელი დახურვის გამო დარჩა დაუბეჭდავი.[1]

ის ფაქტი, რომ 1863 წელს ნიკ. ყიფიანი „საქართველოს მოამბის“ მხარეზე დადგა, უდავოდ, მისი იდეური სიმტკიცის მაჩვენებელია. მით უფრო, რომ მისი პირველი პოლიტიკური მოძღვარი, ანტონ ფურცელაძე შეეცადა გადამწყვეტ მომენტში თავის „ცისკარში“ გვერდით ჰყოლოდა იგი. ამასთან, ნიკ. ყიფიანსაც შეუმჩნევია, რომ კერესელიძის ჟურნალიც ახალი გზით აპირებდა წინსვლას. „ცისკარი“ тоже не унывает, — სწერდა ის 1863 წლის 22 იანვარს. — Идет теперь прогрессивно: Наш Антон Пурцеладзе... сделался сотрудником большим редактора“.[2]

„საქართველოს მოამბის“ გავლენით, ნიკ. ყიფიანს თავისი ხელნაწერი ჟურნალისათვის ისეთი მიმართულება მიუცია, რომ საცენზურო კომიტეტს ჯერ შეუჩერებია, ხოლო შემდეგ კატეგორიულად აუკრძალავს მისი გამოცემა. ამ საქმით დაინტერესებულ მამას ატყობინებდა: «Ты спрашиваешь о нашем журнале. Я очень рад, что он тебя интересует. Второй № ...не вышел еще... К сожалению, из Кутаиса ничего не пишут: послать им экземпляры, или нет; (1862 წ. 30 ნოემბერი). „თაიგული“ наш выходит, я доволен этим номером (1862 წ. 18 დეკემბერი)... „I-й № „საქართველოს მოამბე“ еще не вышел: цензор задерживал долго статьи... Так, как с „Вестником“ случилась такая беда, редакция его принуждена отложить до второго номера... многие статьи... с нашим „თაიგული“ тоже случилась беда... Нам сказали, что тут крепко следят за проявлением какой нибудь более или менее либеральной идей.» [3].

---

[1] პროკოფი რატიანი, „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“. 1962 წ., გვ. 243.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14967-ხ.

[3] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიმიტრი ყიფიანის ფონდი, № 414. საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 14960—14962-ხ.

მამა-შვილს ერთმანეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ; დიმიტრი ვაჟს ერთგულ თანამებრძოლად და მესაიდუმლედ თვლიდა. მათი იმდროინდელი პოლიტიკური საუბრების თაობაზე, ნიკ. ყიფიანი 1893 წელსაც კი გადაკვრით წერდა: „გულით ვწუხვარ, რომ „სხვადასხვა მიზეზების გამო", არ შემიძლია დაწვრილებით გიამბოთ, რა და რა საგანზედ გვქონდა ბაასიო". [1]

1863 წელს, როცა მსხვილ მემამულეთა სურვილის წინააღმდეგ, დიმ. ყიფიანი გუბერნიის მარშლად იქნა დასახელებული, ნიკოლოზიც აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო ბრძოლაში, ეთათბირებოდა ამ საქმეზე მამას, ესწრებოდა კენჭისყრას და უფრო იმსჭვალებოდა „პატრიციებისადმი" სიძულვილით. ყოველივე ეს ამაღელვებლად აქვს აღწერილი თავის მოგონებებში. [2]

დავით ყიფიანთან ერთად, იგი დიდი გატაცებით შველოდა მამას ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული მასალების შედგენაში, საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად წამოწყებულ მუშაობასა და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ასეთი გონებრივი განვითარებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრთობის სკოლა ჰქონდა გამოვლილი 17 წლის ნიკოლოზ ყიფიანს, როცა 1864 წელს მშობლებმა პეტერბურგს გაგზავნეს უმაღლესი განათლების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უფრო ადრეც, 1860 წელს იბარებდა შვილს პეტერბურგში, იქაურ სასწავლებელში შესაყვანად, მაგრამ მეუღლე ვერ დაითანხმა. [3]

13 ივლისს, დავით ყიფიანის თანხლებით, ნიკოლოზი პეტერბურგს გაემგზავრა. დიმიტრი მეუღლეს სწერდა: «Вот и решил я самому отвезти моего Колю и Датико в Орпири,

---

[1] „ქვალი" 1893 წ., №15.

[2] ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი,—„ცხოვრება დიმ. ყიფიანისა", „მოამბე", 1894 წ., № 4. Სახ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, № 14968-ხ.

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15056-ხ, № 14790-ხ.

посадить их на параход, благословить их возвротиться назад».[1]

თვითონ ნიკოლოზს კი დღიურში ჩაუწერია: «Часа через два мы оставляем Квишхет; Тут уже начались прощания со мною на 4 или 5 лет... В Петербурге мы приедем к первым числам августа».[2]

1864 წლის შემოდგომიდან ნიკოლოზი დაბინავდა დავით ყიფიანის ცოლის — ამალია მარკევიჩის მშობლების ოჯახში. მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა აგრეთვე დეიდამისი, ლიზა ნაზაროვა (ჭილაშვილი), რომლის მეუღლესაც დიდი თანამდებობა ეკავა.

ღვიძლი შვილივით მიიღეს იგი ეკატერინე ჭავჭავაძის (დადიანის) ოჯახშიც. «Она меня приняла очень любезно, просила, навещать часто». — ატყობინებდა იმავე წელს დედას. ეკატერინე მაინც საყვედურს უთვლიდა დიმიტრის. კოლა იშვიათად მოდის ჩვენსაო.[3]

1864 წლიდან, ნიკ. ყიფიანი ერთდროულად ემზადებოდა გიმნაზიის ატესტატის მისაღები და უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისათვის. რადგან ხელისუფალნი დავით ყიფიანის პანსიონში სწავლას ანგარიშს არ უწევდნენ, ნიკოლოზი მშობლებს სთხოვდა, თბილისის გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, იმის ცნობა გამომიგზავნეთო. როგორც წერილებიდან ჩანს, ძალიან ბეჯითად მეცადინეობდა და დედასაც იმედს აძლევდა: «Папаша мне сказал, чтобы я вернулся в Грузии только тогда, когда я буду чувствовать себя полезным для нея. А так, как, я непременно хочу вернуться, то надо сделаться полезным для Грузии, значит, быть хорошим человеком» (15. XII. 1864 г.)

პირველმა გამოცდებმა იმედები გაუცრუა მას. მართალია, ფრანგულ ენაში ხუთიანი მიიღო, მაგრამ ძველ ისტორიაში სქოლასტიკოსმა პედაგოგებმა ჩასჭრეს. მან მხოლოდ 1867

---

1 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14877-ხ.

2 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14877-ხ.

3 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14983-ხ.

წელს მოახერხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა, ისიც იმ პირობით, რომ კურსის დამთავრებამდე გიმნაზიის ატესტატიც უნდა აეღო. მაინც დარწმუნებული იყო, რომ განუწყვეტელი ბეჯითი მუშაობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა და მამისათვის მიცემულ ფიცს შეასრულებდა. პეტერბურგს რომ ჩამოვედი, — წერს ერთ ბარათში, — მაშინ იმედი მქონდა, რომ 1865 წელს შევიდოდი და 1869 წლის სექტემბერში დავამთავრებდი უნივერსიტეტს. თუ მართლაც კანდიდატობას მივაღწევ 69-ში, მაშინ არაფერი არ დამიკარგავს, თუ 70-ის აგვისტოში ან სექტემბერში დავამთავრებ, გამოვა, რომ ერთი წელი დამიკარგავს. პირობას ვაძლევ მამას, რომ 70-ის შემოდგომაზე მაინც დავამთავრო.[1]

დიმიტრი თოთქმის ყოველ წელს ნახულობდა შვილს პეტერბურგში და ძალიან კმაყოფილი იყო მისი სწავლითა და ყოფაქცევით. 1868 წელს იგი, სხვათა შორის, პეტერბურგიდან პარიზსა და ლონდონს გამგზავრებულა,[2] ხოლო 1867 წელს უმცროსი ვაჟი კოტეც პეტერბურგს ჩაუყვანია სასწავლებლად.

ნიკოლოზი მეტად თავდაჭერილ, სტოიკურ ცხოვრებას ეწეოდა სატახტო ქალაქში. მშობლებს სთხოვდა, უფრო ნაკლები რაოდენობით გაეგზავნათ ფული, ხოლო დანაზოგს ღარიბ ამხანაგებს უნაწილებდა, ან ახალი წიგნების შესაძენად ხარჯავდა.[3] სალომე დადიანთან (შემდეგ მიურატისა) და ამალია მარკევიჩის უმცროს დასთან მისი ურთიერთობის გარშემო გავრცელებული ჭორის თაობაზე მამას სწერდა: «Эти 5—7 лет я должен употреблять единственно только на то, чтоб сделать из себя человека... конечно, я не буду избегать ни молодых людей, ни молодых девушек, наоборот, я буду стараться сблизиться и с теми и другими, но не для любви и не для сентиментальных вздохов... Если и кому вздy-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15143-ხ; 15144-ხ

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15100-ხ.

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15132-ხ.

мается влюбить меня в себя, я отвожу ей словами Ахматова: «некогда, моль, дражайшая...» [1].

მართლაც, პეტერბურგში მისვლისთანავე ნიკ. ყიფიანი თავდავიწყებით დასწაფებია იქაურ კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. უკვე 1864 წლის ოქტომბერში გაუცნია რომელიღაც რედაქტორი ქალი, რომელიც თავის ჟურნალში ნათარგმნ რომანებს ბეჭდავდა და, კიდეც უცდია მასში მოწაწილეობა. დედ-მამისადმი წერილები სავსეა მარლინსკის, მიხაილოვისა და სხვა თეატრთა სპექტაკლების მიმოხილვით. ერთმანეთს სცვლიან ერმიტაჟის, ფრანგული კომედიის, მუზეუმების, კუნსტკამერის, ზამთრის სასახლის, სამხატვრო აკადემიის გამოფენათა შთაბეჭდილებანი. ესწრება შექსპირის წარმოდგენებს და ამ საქმით დაინტერესებულ მამას დაწვრილებით აცნობს თავის მოსაზრებებს, პროფესიული სიზუსტით მსჯელობს გამოჩენილ რეჟისორთა და მსახიობთა ხელოვნებაზე. [2]

მაგრამ ყოველივე ეს ნებადართულის სფეროში შედიოდა. წერილების გაცნობა კი იმასაც გვაგრძნობინებს, რომ ქართველი სტუდენტი იმთავითვე გაჟღენთილა პეტერბურგის რევოლუციური სუნთქვით და თბილისის არალეგალურ წრეებში აღმოცენებულ განწყობილებებს იქ ფართო გასაქანი უპოვია. მას სისტემატური მიმოწერა აქვს თბილისელ მეგობრებთან: ანტ. ფურცელაძესთან, კოტე ქალოუბანსკისთან, კიკნაძესთან, კ. ივანოვთან; ეკითხულობ დარვინს, ბოკლს, მილს, — ატყობინებს დედას. [3] ვცდილობ ვიშოვო „სოვრემენნიკის“ ნომრები. — სწერს მამას. [4]

ახალ შუქზე მშობლიურ კულტურასა და ლიტერატურასაც ახალი ბრწყინვა ეძლევა. ბარათაშვილის შემოქმედებით მოჯადოებული, 1865 წელს მამას სთხოვს: „ნეტავ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ, მგონია, იცნობდი, სწავლა სად მიიღო? სამსახურში ყოფილა თუ არა? ყოფილა სადმე ან რუ-

---

1 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14989-ხ.

2 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15132-ხ, 15135-ხ. და სხვ.

3 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15138-ხ.

4 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14997-ხ.

სეთში, ან იქით — სპარსეთში? რა ხასიათისა იყო? საზოგადოებაში რა იყო? საზოგადოება როგორ უყურებდა?“ [1].

დიდი პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გასაახსნელად ესოდენ მარჯვედ დასმულ კითხვებზე იმავ წლის 5 აპრილს დიმიტრი ყიფიანმა უპასუხა ვრცელი წერილით, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს. [2]

სერთოდ, წერილებში მშობლებისადმი ნიკ. ყიფიანი არაჩვეულებრივად გულახდილია. მამას არ უმალავს თავის პოლიტიკურ შეხედულებებსა და განწყობილებებს, გულმხურვალედ თანაუგრძნობს მის საზოგადოებრივ წამოწყებებს და იმასთან დაკავშირებით, რომ საადგილმამულო ბანკის დაარსების გეგმა მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგობას წააწყდა, სწერს: „ჩვენი კეთილმდგომარეობისა და წინსვლის ერთი დამაბრკოლებელი — ჩვენი გაუთლელი პატრიციები არიან და მეორე — ეგ მთავრობა. ორბელიანებსა, მუხრანბატონებსა და სხვა ბატისა და ქათმის ბატონებს, შენ ყოველთვის დაამარცხებ, ეგ მთავრობა თუკი ვერ დაამარცხე, საზოგადო საქმეს მაინც არ გადასდგები და ქვეყნის თვალში მაგითი მთავრობა უფრო დაეცემა. აბა ვნახოთ, რას იზამს მთავრობა!“. [3]

ამ წერილების პოლიტიკური სითამამე გაკვირვებას იწვევს. ნიკ. ყიფიანი უსაზღვრო სიძულვილს გამოხატავს მეფის ხელისუფლებისადმი. ჩვენთვის ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ საერთოდ, მაშინდელი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური სულისკვეთება მჟღავნდება, და, რამდენადაც, ცენზურით შებოჭილ პრესაში ამ ფაქტის ასე პირდაპირ დადასტურებას ვერ ვხვდებით. „არა გწყალობენ, რაღა! — სწერს მამას 1865 წლის 13 იანვარს, — ჯანი გავარდეთ. თუ არა გწყალობენ! რად გვინდა მაგათი წყალობა!.. ამისთანა მთავრობასაც რა ვუთხრა, შეარცხვინა ღმერთმა!“ [4].

ამ შეუკავებელ პროტესტს მხოლოდ პირადი, ოჯახური

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 883-2.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14920-ხ.

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14996-ხ.

[4] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14981-ხ.

უკმაყოფილება როდი იწვევს. იგი არანაკლებ მტკივნეულად განიცდის მთელი ხალხის, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის, მის სათაყვანო მოძღვართა ტრაგედიას. 1865 წელს მამას ატყობინებდა: კიდევ ახალი ამბავი: «Один русский публицист и литератор—Серно-Соловьевич (в роде Чернышевского) ссылается в Сибирь, в рудники. ესეც პროგრესი და განათლება! ესეც მთავრობა!» [1]

ამ დროს ნიკ. ყიფიანი თავს უკვე ახალთაობის წარმომადგენლად თვლის, თაობისა, რომელმაც, მისი აზრით, თერგდალეულთა საქმე წინ უნდა წასწიოს, უფრო მეტი გაბედულება და თავდადება გამოიჩინოს. 1865 წ. 8 მაისის წერილში იგი ამ ახალთაობის სახელით ლაპარაკობს: «Здешняя молодежь (которая будет по всей вероятности, гораздо лучше, толковее своих предшественников (წვეროსანოე), в восторге от твоего дела».

მშობლებისათვის მოულოდნელად, ამ პოლიტიკურმა განწყობილებამ ნიკ. ყიფიანი ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლამდე მიიყვანა.

1868 წლის 28 სექტემბერს იგი დაიჭირეს და პეტერბურგის პოლიციის სატუსაღოში მოათავსეს, როგორც საშიში პოლიტიკური დამნაშავე. გაჩხრეკის დროს მის ბინაში აღმოაჩინეს დიდძალი აკრძალული ლიტერატურა და ნაწერები, რითაც აშკარა გახდა, რა მოღვაწეობას ეწეოდა ის პეტერბურგში. [2]

მასთან ერთად დააპატიმრეს რუსი რევოლუციონერები ვასილ სუფშინსკი და ეკატერინე სოლოდოვნიკოვა.

1864 წელს ნიკ. ყიფიანს „ლა კლოშედან" გადმოუთარგმნია ვრცელი სტატია: „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი"; 1866 წელს ქართულ ენაზე პირველად უთარგმნია რევოლუციური ჰიმნი „მარსელიეზა"; 1867 წელს—სენ-სიმონის სიტყვა მუშებისადმი. ორგანიზაციული კავშირი დაუმყარებია რუს (ტკაჩევი, ნეჩაევი, ელპიდინი, სუფშინსკი და სხვ.) და ფრანგ

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14981-ხ.

[2] დაწვრილებით იხ. პროკ. რატიანი, „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან", 1962 წ.

რევოლუციონერებთან. 1867 წელს დაუარსებია კავკასიელ სტუდენტთა ფარული სალარო; ამ მიზნით, აღურიცხავს პეტერბურგში მოსწავლე ყველა კავკასიელი სტუდენტი[1] და ბ. კოზმინის სიტყვით, განზრახული ჰქონია მთელი რუსეთის სტუდენტთა საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა.[2] 1867 წლის 18 ნოემბრის წერილში ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი, რომლითაც პოლიციამ ნ. ყიფიანის რევოლუციური საქმიანობის კვალს მიაგნო. იგი წერდა: „ერთი თვის წინათ შევგროვდით ჩვენ პირველად ოცდაათიოდე კაცი, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ და დავამყაროთ ერთმანეთ შორის კავშირურთიერთობა. საქმე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებდა, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფოდით, ეს იყო გაერთიანება, ჯერჯერობით თუნდაც მარტო კავკასიელ ახალგაზრდობისა... სხვა დროს მე თქვენ დაწვრილებით გიამბობთ იმ გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს რამოდენიმე კაცს და მათ შორის მეც“. ამ საბრძოლო სულისკვეთებით გაჟღენთილ წერილში ნიკ ყიფიანი გარკვევით წერს: „სალარო მე მაინტერესებს, როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციული გაერთიანების ატრიბუტი“: რომ... „ახალგაზრდობა.... გამოიჩენს მზადყოფნას გააკეთოს საქმე და გამოიჩენენ სიმტკიცეს, წავიდნენ ცეცხლში, როცა გაისმება ხმა და როცა გამოჩნდება ადამიანი, რომელიც წინ გაუძღვება მათ“.[3]

მამხილებელ მასალად, გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიკ. ყიფიანს წარუდგინეს სალაროს წესდება, წევრთა სია, წრეების დეპუტატთა ანგარიში, მისი მიმართვა წრეების დეპუტატთა კრებისადმი, ამონაწერები „კოლოკოლიდან“ და „პოლიარნაია ზვეზდადან“, სერნო-სოლოვიევიჩის პასუხი გერცენს, ჩერნიშევსკის, პისარევის, მიხაილოვის, პრუდონის პორტრეტები და ფოტოსურათები, მისი ხელით ჩაწერილი პოლიტიკური გამოცანები და სხვ.

---

[1] „დროება“. 1871 წ., № 14.

[2] Б. П. Козьмин, Революционное подполье в эпоху „белого террора“. М. 1929, стр. 23.

[3] პროკ. რატიანი, „თერგდალეულთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან“, 1962 წ.

პოლიციისათვის აშკარა გახდა, რომ ხელთ ჩაუვარდათ აქტიური რევოლუციონერი, რომელიც, მათი რწმენით, ემიგრანტთა ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული. ისინი ყოველნაირად შეეცადნენ, რომ მისი საშუალებით გაეხსნათ ფარული რევოლუციური ორგანიზაციების ქსელი, მაგრამ გამოძიების პროცესშიც ნიკ. ყიფიანმა დიდი სიმტკიცე და მოხერხება გამოიჩინა. პოლიციამ მისგან ვერ გაიგო ვერავითარი ახალი ცნობა.

ნიკ. ყიფიანი დარწმუნებული ყოფილა, რომ რუსეთში აჯანყება იფეთქებდა და მეფის მთავრობა დაემხობოდა. 1867 წელს იგი აღგზნებით სწერდა მამას: ხმა გავრცელდა, რომ მანდ ამბოხება დაიწყო, თბილისის მოსახლეობა აღსდგა და თბილისს თუშ-ფშავ-ხევსურთა ჯარი უახლოვდებაო. „უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ სისხლი მიდუღდა, ვფიქრობდი, შეგვეძლო მე და ჩემს ამხანაგებს მთელი ქვეყანა გადაგვეტრიალებინა. — წერდა ის მოგვიანებით. — ...თითქოს ცეცხლი მოდებული გვქონდა... ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით წაღმა-უკუღმა ყოველისფერზედ და ბევრსაც ვფიქრობდით, რომ... ქვას გავხეთქავდით... რაკი მიდუღდა სისხლი, საფიქრებელი, სალაპარაკო და გასაზიარებელი ბევრი მქონდა და მსმენელი კი, ვინც შემხვდებოდა ხოლმე, იღლებოდნენ ჩემი ...ქადაგებით“. [1]

მეტად გავლენიანმა ნათესავებმა (ბუტკოვი, ნაზაროვი, ერისთავი, დადიანი, ჩიქოვანი და სხვ.) ნიკ. ყიფიანი მაინც გადაარჩინეს მძიმე სასჯელს, მას „უსასტიკესი გაკიცხვა“ გამოუცხადეს, დროებითი საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესეს, ქალაქიდან გასვლა აუკრძალეს და, 1868 წლის 10 ოქტომბერს, თავდებით, საპატიმროდან გამოუშვეს.

ამ რეპრესიებმა ნიკ. ყიფიანი ვერ გატეხა; რამდენიმე თვის შემდეგ, 1869 წლის დამდეგს, მან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგელ სტუდენტთა გამოსვლებში, რის გამოც, კვლავ დააპატიმრეს. ამჯერად ვეღარ გასჭრა ვერც ნათესავების შუამდგომლობამ, ვერც მამის მუდარამ. საბრალ-

[1] „კვალი“, 1893 წ., № 15.

მდებლო დასკვნაში ჩაუწერეს: „ეწეოდა პროპაგანდას დაბალი წოდების ხალხში, უმთავრესად იმ მიზნით, რომ დამახინჯებულად წარმოედგინა გლეხთა მდგომარეობა და გამოეწვია... გაუგებრობა და არეულობა, 1870 წლის დადგომასთან დაკავშირებით“.

როგორც მძიმე დამნაშავე, იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, სწავლის უფლება აღუკვეთეს და ადმინისტრატიული წესით, პოლიციის თანხლებით, საქართველოში გადმოგზავნეს.

შემდეგ ბევრს ეცადა დიმიტრი, რომ შვილისათვის ოდესაში ან ხარკოვში სწავლის გაგრძელების ნება მიეცათ, გამოცდების ჩასაბარებლად დაეშვათ, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ნიკ. ყიფიანის იმდროინდელი აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა გაშუქებულია ისეთ ნაშრომებში როგორიცაა: «Деятели революционного движения в России» და ბ. პ. კოზმინის — «Революционное подполье в эпоху «белого террора» (1929 წ.).

ნიკ. ყიფიანი არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ აპირებდა ბედთან შერიგებას. განზრახული ჰქონდა, შეუპოვრად განეგრძო ბრძოლა, მაგრამ ხელისუფალთა მიერ ოჯახის, განსაკუთრებით, საყვარელი მამის გაძლიერებული დევნა, აიძულებდა მეტი თავშეკავება გამოეჩინა. „როდესაც დაებრუნდი პეტერბურგიდან, — წერს ის, — ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დამაბრუნეს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან... ჩემი მოსვლა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ჩემი მოყვანა თბილისში მიხაკომ შეატყობინა მამაჩემს... მამაჩემთან და მიხაკოსთან საუბრებმა გადამაყენა იმ გზიდან, რომელსაც სტუდენტობაში დავადექი და რომელსაც შეეძლო, ძალიან შორს და ძალიან მოშორებულადაც წაეყვანე“. [1]

პეტერბურგელ ამხანაგებთან კავშირი ნიკ. ყიფიანს მაინც არ გაუწყვეტია. 1869 წლის 11 სექტემბერს იგი გ. ნაცვლიშვილს სწერდა: „ჩემი ანდერძის ამსრულებლად, რაც მე პოლიციამ პეტერბურგში სიცოცხლე მომისპო, დარჩი შენ... უპირველეს ყოვლისა, „სოვრემენიკი“, თუ რამე წმინდა გაგაჩნიათ

[1] „კვალი“, 1893 წ., № 15.

ამ ქვეყნად, შემინახეთ, შეაგროვეთ.... ყდაში ჩასვით, განსაკუთრებით ჩერნიშევსკის სტატიები...“

საერთოდ, დაპატიმრებებმა, პოლიტიკურმა დევნამ და იმედების დამსხვრევამ ნიკ. ყიფიანს უკურნებელი სულიერი ტრავმა მიაყენა; კალაპოტიდან ამოაგდო და მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ, რომ მან მისი შესაფერი კვალი ველარ დააჩნია ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მთელი სიცოცხლის მანძილზე, როგორც თვითონ, ისე მისი ოჯახი გაძლიერებული პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. თანამდებობაზე, საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს ან სასწავლებლის დაარსებაზე ფიქრიც არ შეეძლო. ათი წლის შემდეგ, როდესაც ის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მზრუნველთა საბჭოს წევრად აირჩიეს, პოლიციის სამმართველომ ეს ქვეყნის დაჭკვიანებად მიიჩნია. პ. პისჩუროვი სრულიად კონფიდენციალურად ატყობინებდა და ურჩევდა დიმიტრი ყიფიანს: „მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ ხელმწიფემ დიდმა მთავარმა, მეფის მოადგილემ ინება მიეღო ს. პეტერბურგიდან ცნობები შესახებ იმისა, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველო საბჭოში შედიან ისეთი პირები, რომელნიც ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციონური წრის გამო ან მასთან ახლოს იდგნენ. ამ პირთა შორის... აღნიშნულია... ნიკოლოზ ყიფიანი. დიდი მთავრის, მეფის მოადგილის ბრძანებით წარმოებული ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ ყიფიანი 1869 წელს უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ არეულობათა გამო გადმოსახლებულ იქნა ს. პეტერბურგიდან კავკასიაში და იმყოფებოდა პოლიციის თვალყურისდევნების ქვეშ... მან სახელი გაიტეხა პოლიტიკური კეთილსაიმედობის მხრივ და გამოააშკარავა ისეთი შეხედულებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან მთავრობის ნებასა და განზრახვებს... დაარწმუნეთ ნიკოლოზ ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით უარი განაცხადოს აღნიშნული სკოლის საბჭოს წევრის სახელწოდებაზე“. [1]

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ფრთაშეკვეცილი იქნე-

[1] ს. ხუნდაძე, „დიმიტრი ყიფიანი“, 1936., გვ. 212.

მასალებს, ეხმარებოდა გაზეთის გავრცელებაში. სოფრ. მგალობლიშვილის ცნობით, იგი „დროების“ ჯგუფის ერთი უველაზე აქტიური წევრი იყო.[1] „გოგებაშვილის სახლი, — წერს, სხვათა შორის, ს. მგალობლიშვილი, — ის იყო იმ დროს, რაც სტანკევიჩისა რუსეთში. აქ დაიარებოდნენ: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე... ა. ფურცელაძე, ნ. ყიფიანი და სხვ.“[2]

ნ. ყიფიანმა ჩვენში ერთმა პირველთაგანმა მიჰყო ხელი სახალხო წიგნების გამოცემას. „სასოფლო გაზეთი“ 1872 წლის 19-ე ნომერში იუწყებოდა: „გამომცემელი ნიკოლოზ ყიფიანი აპირებს ამ მოკლე ხანში შეუდგეს სახალხო წიგნების გამოცემას“.

უკვე იმავე წელს გამოვიდა „არსენას ლექსი“, მესტვირისაგან თქმული სახალხო პოემა, ნიკოლოზ ყიფიანისაგან გამოცემული... და მენახირის ნაამბობი, პოემიდან „კაკო“. ყდაზე აღნიშნული იყო, რომ შემოსავალი (ფასი 5 კაპიკი) „სახალხო წიგნების გამრავლებას“ „მოხმარდებოდა. ეს იყო „არსენას ლექსის“ პირველი გამოცემა და ტექსტიც თვით ნიკ. ყიფიანს ჩაეწერა, ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე, 1859 წელს. გამოცემა სწრაფად გავრცელდა, საზოგადოება მოწონებით შეხვდა და სერ. მესხმა მას აღტაცებული რეცენზია უძღვნა.

ნიკ. ყიფიანი ცხოველ ინტერესს იჩენდა ქართული თეატრისადმიც. 70-იან წლებში მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში თბილისსა და ქვიშხეთში („დროება“, 1875, №: 94), შემდეგ კი, „მოძრავ დრამატიულ დასში“, ვასო აბაშიძესთან, მაკო საფაროვასთან, კოტე ყიფიანთან და სხვებთან ერთად („დროება“, 1879 წ, № 149). 1871 წლიდან, სერგეი მესხსა და ნიკ. ავალიშვილთან ერთად, წარმოდგენებს მართავდა ზურაბ ანტონოვის თხზულებათა გამოცემისათვის ფონდის შესაქმნელად („დროება“, 1871, № 6), რის თაობაზეც თვითონვე დაბეჭდა ვრცელი რეცენზია (1871, № 6). აქ მას განხილული აქვს ორი სპექტაკლი „ტივით მოგზაურობა“ და „ცოლის შერთვევინება“. აქებს იმ დროს სცენაზე ახალ ფეხადგმული

---

[1] ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, 1938 წ., გვ. 180.

[2] იქვე, გვ. 45.

ნ. ავალიშვილის, ელენე ყიფიანის, ლადო აბაშიძის, ბაბო ხერხეულიძის „სცენურ ნიჭს“ და კიცხავს ქართული და სომხური წარმოდგენებისადმი საზოგადოების გულგრილობას.

პუბლიცისტურ წერილებში ნიკ. ყიფიანი საჭირბოროტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, გმობდა ინტელიგენციის ეროვნულ ინდეფერენტიზმს, არისტოკრატიის დროსტარებას მუშტაიდში, „სანსუში“ და „მონპლეზირში“. „მოაგროვეთ ეს ფული და ნიჭიერი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნეთ. რამდენი გამოგვეზრდია საზოგადო ხარჯით უნივერსიტეტში ან გიმნაზიებში? რამდენი შკოლა გამართულა ჩვენის მეცადინეობით, საზოგადოების ხარჯით?“

ნიკ. ყიფიანმა მწვავედ დასვა პროფესიული განათლების საკითხიც, რასაც ის პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ერის მომავლისათვის საზიანოდ თვლიდა, რომ არა გვყავს სასოფლო მეურნეობის მცოდნენი, აგრონომები, ტექნიკოსები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები. რომ მთელს ქვეყანაზედ შეიძლება აღმოჩნდეს სამი ქართველი აგრონომი, ოთხიოდე ექიმი, ხოლო ტექნიკოსი და ინჟინერი — არც ერთი. სამაგიეროდ, შეიძლება მოვაგროვოთ ორასი ან სამასი ადვოკატი, ათასი და ვინ მოსთვლის რამდენი ჩინოვნიკი და კიდევ უფრო მეტი სამხედრო მოსამსახურე.[1]

მიუხედავად მკაცრი ცენზურისა და განსაკუთრებული პოლიტიკური დევნისა, ნ. ყიფიანის სტატიებს არც პოლიტიკური სიმწვავე აკლია. ხშირად, გაკვირვებასაც იწვევს ავტორის პუბლიცისტური შემართება. ძალიან საყურადღებოა ამ მხრივ მისი „გასართობი საუბარი“ („დროება“, 1872, № 2), რომელშიც არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი უსაზღვრო სიძულვილია გამომჟღავნებული. ვერ მოგილოცავთ ახალ წელს, — ამბობს ის, — ვერ გეტყვით მრავალს ამ დღეს დაესწარით მეთქი.

ნიკ. ყიფიანს ეკუთვნის პირველი სტატია ფერეიდნელი ქართველების შესახებ. — „ქართველების კოლონია სპარსეთში“ („დროება“, 1872, № 13). ავტორს გადმოცემული აქვს ფერე-

---

[1] „დროება“, 1871, № 44.

იდნელ ათამა ონიკაშვილთან საუბრის შინაარსი და ამ ფაქტს პატრიოტული პროპაგანდისათვის იყენებს. ფერეიდნელთა და აჭარელთა მაგალითი მას ქართველთა ეროვნული სიმტკიცისა და გამძლეობის დადასტურებად მიაჩნია.

ასეთივე მიზანს ისახავს 1875 წელს დაბეჭდილი წერილი: „საქართველოს ისტორიის სურათები“ („დროება“, № 6), რომელშიც განხილულია 1753 წელს პარიზში გამოსული პეისონელის წიგნი საქართველოს შესახებ. პუბლიცისტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ევროპას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქართველოზედ და ევროპის ქვეყნები დიდ მყობადსაც მოელოდნენ საქართველოსგან“.

ნიკ. ყიფიანი მრავალმხრივ საზოგადოებრივ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ მოწოდებით, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურის კრიტიკოსი იყო. მისი პუბლიცისტური სტატიები ლიტერატურული პოზიციებიდან და ლიტერატურული თვალთახედვით არის დაწერილი. ხშირად, სოციალურ მოვლენებს ის მხატვრული შემოქმედების ფაქტებით აშუქებს და, უნდა ითქვას, ამაში დიდად ხელს უწყობს, როგორც ქართული და რუსული, ისე ევროპული მწერლობის საფუძვლიანი ცოდნა.

კრიტიკულ-ესთეტიკურ მრწამსით ნიკ. ყიფიანი ტიპიური სამოციანელია. ბელინსკის, განსაკუთრებით კი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრება ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ მისთვის ურყევ ავტორიტეტს წარმოადგენს. ხელოვნება მის წარმოდგენაში განუყოფლად დაკავშირებულია ხალხის ინტერესების, მისი ფიქრისა და გრძნობის გამოხატვასთან, კაცობრიობის უსპეტაკესი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლასთან. ლიტერატურულ ქურუმებად ის მხოლოდ დიდ ჰუმანისტებს აღიარებდა. ლიტერატურას ახალგაზრდობის, მთელი ხალხის გონებრივი, ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის მძლავრ საშუალებად თვლიდა.[1] ხელოვნების წმინდა ვალია, — ამბობდა ის, — აღძრას სიყვარული კეთილისა, ჰეშმარიტისა და მშვენიერისა. ამ მხატვრული იდეალის მთელი სისავსით განხორციელება მხოლოდ რეალის-

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15165-ხ.

ტურ ხელოვნებას შეუძლია. იდეურობა, აზრობრივი მიზანდასახულობა ყოველი შემოქმედებითი ნაწარმოების უპირველესი პირობაა. მხატვრულ ძეგლში შინაარსი უნდა ვლინდებოდეს ცხადად, სხარტად და მწყობრად. ის, რაც ამ თვისებებს მოკლებულია, „უფერული და უაზრო აჩია-ბაჭიაა“.[1] ნიკ. ყიფიანს არ მოსწონს გრენვილ მურიეს ნაძალადევად შეთხზული „ხუთი წელი ესპანეთის მონასტერში“; მისი რწმენით, რაც ცხოვრების სინამდვილისაგან დაშორებულია, რაც ფიქრსა და გრძნობას ვერ სწვდება, მეხსიერებას არ აღებეჭდება, არ ზრდის და არ ასწავლის, — მხატვრული შემოქმედების გარეშე დგას. „იმისთანა დრამები, — წერს ნიკ. ყიფიანი, — როგორც „შური“ და მური... ან რა დასაწერი იყო, ან რა წასაკითხი, ან რა დასამახსოვრებელი“.

სამაგიეროდ, ის სიხარულით ხვდებოდა ხალხის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებს, სწორად აფასებდა და გზას უკაფავდა მათ. ჯერ კიდევ 1871 წელს აღნიშნავდა „...ხეირიანი რა გვაქვს? ერთი — „სცენები პიროვოი პოსრედნიკთან“ და ერთიც კიდევ — რა? აღარაფერი!“...[2] ასევე. პირველთაგანი მიესალმა ისეთ თხზულებებს, როგორიცაა: ნიკ. ლომოურის — „ალი“, ეკ. გაბაშვილის — „რომანი დიდ ხევში“ და „სხვადასხვაგვარი ქორწილი“, რაფ. ერისთავის — „სამშობლო ხევსურისა“, ი. გოგებაშვილის — „რანი ვიყავით გუშინ“ და სხვ.

რადგან მწერლობის ერთ საპატიო ამოცანად ნიკ. ყიფიანს ხალხის ფართო ფენებში კითხვის სურვილის აღძრა მიაჩნდა, იგი ისეთ ნაწერებს ანიჭებდა უპირატესობას, რომლებშიც „შინაარსი გადმოცემულია ხალისიანად, ლამაზად და მსუბუქად“ ამის მაგალითად თვლიდა ტურგენევის რომანებს, ვ. ჰიუგოს „საბრალონს“, „კაცი, რომელიც იცინის“ და სხვ. ამ მწერალთა შემოქმედება მას, უწინარეს ყოვლისა, ხიბლავდა მდიდარი სიუჟეტით, ზნეობრივი სიფაქიზითა და რომანტიკული შეფერადებით.

---

[1] ნ. ყიფიანი, „ახალი მოღვაწეობა ქართულ მწერლობაში“, „დროება“, 1883, № 87, 88.

[2] „დროება“ 1871 წ., № 8

ნიკ. ყიფიანის ლიტერატურულ გემოვნებასა და მიმართულებაზე მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს მისი ვრცელი წერილი კირ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული „ჩონგურის“ შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1865 წლის 9 მარტით, ე. ი. დაწერილია აკაკი წერეთლის ცნობილი რეცენზიის დაბეჭდვამდე.[1]

აკ. წერეთლის რეცენზიასთან შედარებით, ამ წერილს ის ღირსება აქვს, რომ „ჩონგურში“ დაბეჭდილ ნიკ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ფონზე, აქ თვით აკაკის ლექსებიცაა განხილული და შეფასებული. „მშვენიერია ილია ჭავჭავაძის „არაგვი“ და უფრო მშვენიერი — აკ. წერეთლის „ამაო ძებნა“ -- ამ „არაგვის“ პასუხი:... „იანიჩარი“, „გუთნის დედა“ — ჭავჭავაძისა, — „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „აპელაციის მცოდნე“ —წერეთლისა, „ლოთური მუხამბაზი“— გრ. ორბელიანისა, ერთი მეორეს სჯობია“.

მაგრამ. ნიკ. ყიფიანის წერილი სახელდახელო პანეგირიკი როდია; მასში რელიეფურად ვლინდება ავტორის ლიტერატურული გემოვნება და იდეური მრწამსი. იგი „ჩონგურის“ ჩრდილოვან მხარეებსაც ამჩნევს და პროფესიული სიზუსტითაც ასაბუთებს თავის კრიტიკულ შენიშვნებს. არ მოსწონს, მაგალითად, რაფ. ერისთავის „ყადის ჯორი“, რადგან ამ ლექსის იდეა გამოხატულია არა სპეციფიკური პოეტური საშუალებებით, არამედ დეკლარაციულად, განმარტებით, ასახვაში მგოსნის უადგილო, გულგრილი და მშრალი ჩარევით.

რა თქმა უნდა, რაფ. ერისთავის შემოქმედების ამგვარი შეფასება დღეს არათუ სასტიკად, უსამართლოდაც მიგვაჩნია, მაგრამ მისი მაშინდელი ლექსები უეჭველად იძლეოდა ჰკაცრი. კრიტიკის საფუძველს; 80-იან წლებში კი, ნიკ. ყიფიანიც აღტაცებული იყო პოეტის ახალი ლექსებით.

ნიკ. ყიფიანმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა „კრებულში“ დაბეჭდილ მხატვრულ ნაწარმოებებს. 1871 წლის თებერვლის სტატიაში — „გასართობი საუბარი“,[2] იგი გაკვრით შეეხო ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ გრიგოლ ორბე-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14989-ხ.

[2] „დროება“, 1871, № 6.

ლიანის „სადღეგრძელოს“, ილია ჭავჭავაძის — „მგზავრის წერილებს“ და გ. წერეთლის — „ჯიბრს“, ხოლო იმავე წლის მარტში ვრცელი რეცენზია დასტამბა „დროებაში“.[1]

აღნიშნულ რეცენზიაში ნიკ. ყიფიანმა პირველმა ცხადჰყო, რომ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოსა“ და ჟუკოვსკის პოემას «Певец во стане русских воїнов»-ს შორის პრინციპული განსხვავება არსებობს. საინტერესოა, რომ ამ საკითხს იგი წყვეტს არა ფორმის ატრიბუტთა გათვალისწინებით, არა კომპოზიციური აღნაგობის მონაცემებითა და პარალელური პასაჟების ძიებით, არამედ ძირითადი მხატვრული ჩანაფიქრის, იდეური მიზანდასახულობის, ერთიანი მხატვრული ქსელადობისა და საერთო ინტონაციის საფუძველზე. „სადღეგრძელო“ კრიტიკოსისათვის, უწინარეს ყოვლისა, მხურვალე, მებრძოლი სულისკვეთების პატრიოტული თხზულებაა. იგი ქართული ეროვნული სულითაა გაჟღენთილი.

ამგვარი პარალელების ძიება ნიკ. ყიფიანს ფორმალისტური კრიტიკის ექსცესისად მიაჩნია და საბუთიანადაც ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

„მგზავრის წერილების“ განხილვისას, კრიტიკოსი მწერლის იდეათა პროპაგანდისტად გამოდის, ვრცელი ამონაწერები მოაქვს ნაწარმოებიდან და ცდილობს შთააგონოს საზოგადოებას მათი აქტუალური მნიშვნელობა.

ნიკ. ყიფიანის ამ წერილიდან გარკვევით ჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტულ-პოპულარიზატორულ აქცენტს ლიტერატურულ კრიტიკაში.

ემყარებოდა რა კომედიისათვის დართულ შენიშვნას, ს. მესხი ფიქრობდა, რომ გ. წერეთლის „ჯიბრი“ ბატონყმობის-დროინდელი იმერეთის ცხოვრებას ასახავდა. ნიკ. ყიფიანის აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაეწიოს არა სქოლიოს ან ქრონოლოგიურ მონაცემებს, არამედ თხზულებაში გამოხატულ იდეურ ტენდენციებსა და პერსონაჟთა ინდივიდუალურ ნიშანთვისებებს. შინაარსის ანალიზს კრიტიკოსი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ „ჯიბრში“ არსებული სი-

---

[1] „დროება“, 1871, № 8.

ნამდვილეც მოჩანს და განვითარების ტენდენციაც იგრძნობა. ერთი შეხედვით, კიკოლა (კომედიის მთავარი გმირი) არაფრით განსხვავდება სხვა პერსონაჟებისაგან, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ მის ბუნებაში უკვე შეჭრილია ახალი დროის, ახალი ადამიანის თვისებები. იგი მოხერხებული, ინიციატივიანი და მიზანსწრაფულია. მართალია, ჯერჯერობით, ყოველივე ეს ძველი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სიტუაციებში ყლინდება, მაგრამ თვით ხასიათის აღნიშნული ნიშნები ახლახან შეცვლილი სინამდვილის ჩარჩოებში ვეღარ ეტევა. ამ საინტერესო მსჯელობის საფუძველზე, ნიკ. ყიფიანს მეტად საგულისხმო დასკვნა გამოაქვს: „კიკოლა იმ წრეში, რომელიც გამოხატულია კომედიაში, არის კაცი მომავლისა“. ნიკ. ყიფიანს მიაჩნია, რომ „ჯიბრში“ ასახულია გარდამავალი ხანა. ახლის საწყისი პროცესები, ამიტომ, ის, რაც ახალია, ჯერ კიდევ ფერმკრთალად გამოიყურება, მაგრამ, რადგან მისი განვითარების ტენდენცია დომინანტურია, ამ სიტუაციაში მაინც ტიპიურია.

თხზულების პერსონაჟებსა და სიტუაციებზე ჩვენს წარმოდგენას ის განსაზღვრავს, თუ როგორი ეფექტურობით არიან ისინი გამოყენებული სინამდვილის დასახასიათებლად.

დაბოლოს, ამ წერილში ნიკ. ყიფიანი გაკვრით, უარყოფითის ჩვენებით დადებითი იდეალის წარმოსახვის საკითხსაც შეეხო. მისი აზრით, გადამწყვეტია არა მასალა, არამედ მწერლის პოზიცია, ასასახავის მიმართ დამოკიდებულება და მასზე აღმოცენებული მკითხველის განწყობა.

დღეს აშკარაა, რომ მიუხედავად ნათელი თვალთახედვისა და ამ წერილში მოცემული მწყობრი შინაარსობრივ-მხატვრული ანალიზისა, ნიკ. ყიფიანი აზვიადებდა „ჯიბრის“ მნიშვნელობას, მაგრამ აზვიადებდა არა მიკერძოების გამო, როგორც მისი მოპაექრენი წერდნენ, არამედ უნებურად, თხზულების საერთო იდეური კონცეფციისაღმი უსაზღვრო სიმპათიის გამო. გარდამავალ პერიოდებში პოლიტიკური ვნება ხელოვნების კრიტიკაზე იშვიათად როდი ახდენს ამგვარ ზეგავლენას.

ნიკ. ყიფიანმა საყურადღებო წერილები დაბეჭდა ქართული მხატვრული თარგმანისა და ქალთა სამწერლო მოღვაწეობის

შესახებ, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიტერატურული ცხოვრების როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში.

წერილში — „ახალი მოღვაწეობა ქართულ მწერლობაში", რომელშიც განხილულია ჟურნალ „ქართული ბიბლიოთეკის" პირველი ნომერი,[1] ნიკ. ყიფიანმა მწვავედ დააყენა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევის საკითხი. მკაცრად განიხილავდა რა ქართულად გადმოთარგმნილ ევგენია ტურის „აკლდამებსა" და გრენვილ მურიეს — „ხუთი წელი ესპანეთის მონასტერში", კრიტიკოსი მოითხოვდა, რომ ქართველი მთარგმნელები არ გამოსდევნებოდნენ სენსაციურ და მოდუნ თხზულებებს. იდეური თვალსაზრისით შეერჩიათ ნაწარმოებები და უპირატესობა მუდამ მებრძოლი, პატრიოტული მოთხრობებისათვის მიენიჭებიათ.

რადგან ლიტერატურულ პრინციპულობას ნიკ. ყიფიანი ზნეობრივ ნორმად თვლიდა, იგი სათაყვანებელ დას (ელენეს) და მამასაც არ მოერიდა, პირველს დაუწუნა „ქართულ ბიბლიოთეკაში" დაბეჭდილი თარგმანები, ხოლო მამის შესახებ 1872 წელს წერდა: „სამწუხაროა, რომ უფ. დიმიტრი ყიფიანი ზოგჯერ იღებს კალამს იმისთანა თხზულებების სათარგმნელად, როგორიცაა ოქტავ ფეულეის „რომანი ღარიბი ყმაწვილი კაცისა". [2]

ჯერ, 1872, შემდეგ, 1883 წელს ნიკ. ყიფიანმა ფართოდ გააშუქა ქართველ ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობა და სოციალური და ეროვნული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად აღიარა ის; მაგრამ, კრიტიკამ რომ მწერალ ქალს რამე შეღავათი მისცეს, ეს როგორც მისი, ისე ლიტერატურის შეურაცხყოფა იქნებოდაო. ნიკ. ყიფიანი სასტიკად, მაგრამ საბუთიანად, აკრიტიკებს ბარბარე ჯორჯაძის, ნინო ორბელიანის, ეკატერინე ლორთქიფანიძის, ანასტასია ნიკოლაძის ნაწერებს.— აღტაცებულია ასპარეზზე ახალგამოსული ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებით.

1875 წელს ნიკ. ყიფიანი დაჭორწინდა. შეირთო გურული

---

1 „დროება", 1883, №№ 87, 88.

2 „დროება", 1872. № 2.

თავადის მიხეილ ერისთავის ასული ანასტასია (ტასო), რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა (დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ ერისთავი ახლო მეგობრები იყვნენ). ლიტერატურითა და ეროვნული მოღვაწეობით გატაცებულ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს იმედი ჰქონდათ რომ ოჯახსაც მოაწყობდნენ და ქვეყანასაც სამსახურს გაუწევდნენ, მაგრამ ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდათ.

მთავრობა სამსახურის ნებას არა და არ აძლევდა, კერძო ადვოკატობასა და მასთან დაკავშირებულ ადგილიდან ადგილზე ხეტიალს ზარალი მოჰქონდა; ოჯახის შესანახავად სარგებლით აღებული ვალები სწრაფად იზრდებოდა, მამას, რომლის მთელი ქონება (პენსიაც კი) დადიანების საჩივრის გამო, დაგირავებული იყო, აღარავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო. უკვე 1877 წელს ნიკოლოზ ყიფიანს მოსვენებას არ აძლევდნენ მევალეები.[1] განსაკუთრებით გულს უკლავდა, რომ მისი მევალეები მამამისს აწუხებდნენ, ემუქრებოდნენ, რის გამოც შვილების მიმართ უაღრესად მოკრძალებული დიმიტრიც იძულებული ხდებოდა უფროსი ვაჟისათვის საყვედურის წერილები მიეწერა.

სიღარიბემ, განუწყვეტელმა ნერვიულობამ, ნათესავებთან უთანხმოებამ, ცოლ-ქმარი თანდათან გააუცხოვა და 1883 წლიდან სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს. ბავშვები დაიქსაქსნენ: უფროსი ქალიშვილი ვეტა (ელისაბედი, დაბადებული 1876 წ.) ხან ბაბუასთან და ბებიასთან იმყოფებოდა ქვიშხეთში, ხანაც— მამიდასთან (ლოლა ლორთქიფანიძესთან), ქუთაისში; უმცროსები — ნინო და ვარია, მამამ ბათუმში წაიყვანა, სადაც 1883 წლიდან ადვოკატად («Поверенный по судебным делам Кутайсского судебного округа») იყო და თვითონ ზრდიდა. უველაზე უმცროსი, ვაჟი, დედასთან დარჩა.[2]

ნიკ. ყიფიანს ამ პირობებშიც არ აუღია ხელი საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე; 1883 წელს მან სიტყვა წარმოთქვა გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე, იმავე წელს წერილები გამოაქვეყნა „დროებაში". 1887 წელს მამის ვერაგულ-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14922-ხ.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14923-ხ, 15952-ხ.

მა მკვლელობამ მისი სულიერი მდგომარეობა საბოლოოდ შეარყია, არა მარტო იმიტომ, რომ მამა ერთადერთი მეგობარი და საღმერთებელი პიროვნება იყო, არამედ იმიტომაც, რომ ეს მკვლელობა მის თვალწინ მზადდებოდა და მან ამ საქმის მთელი საიდუმლოება იცოდა.

დიმიტრის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახის საქმეები ერთბაშად აიმღვრა. ძმებს—ნიკოლოზსა და კოტეს, ურთიერთშორის ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ; ქონებას გაყოფა, რომელიც დიმიტრიმ 1886 წელს დაიწყო, ვერ მოასწრო და ამ ნიადაგზე ეს უთანხმოება მეტისმეტად გამწვავდა. ქვიშხეთი კოტეს დარჩა, ნიკოლოზსა და ლოლას დედისეული პატარა მამული ერგოთ დუშეთში და ამან ძმები ერთმანეთს გადაჰკიდა. იმავე ხანებში ნიკოლოზს ვაჟიშვილიც გარდაეცვალა და სასოწარკვეთილმა გადასწყვიტა სამუდამოდ მიეტოვებინა სამშობლო. 1890 წლის ივნისში იგი ბათუმიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა და ამ გადაკარგვის საიდუმლოება მხოლოდ თავის უფროს ქალიშვილს, 14 წლის ვეტას გაანდო. [1]

იმ იმედით, რომ გავლენიან პირთა შემწეობით რაიმე სამუშაოს იშოვიდა და საცხოვრებელ ადგილს ამოირჩევდა, — 1890 წლის ზაფხული ნიკ. ყიფიანმა კარლსბადში გაატარა, მაგრამ, რაკი მოლოდინი არ გაუმართლდა. სექტემბერში პარიზს გაემგზავრა.

მისი მაშინდელი მდგომარეობის შესახებ, „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „...შორის ქვეყნიდან გადმოვარდნილს არ უცხო ქვეყანაში, სადაც ერთი ნაცნობიც კი არ მოეპოვებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა თავის შრომით და მხნეობით გაეკვლია გზა. ორიოდე მანეთი, რომელიც ჩამოჰყვა, უკვე გამოლეოდა; დღეს-ხვალ სახლიდან დაითხოვდნენ და ცის ქვეშ დარჩენილს შიმშილით სიკვდილი მოელოდა. ორმოცი სანტიმიღა ედო

---

[1] „ლიტერატურულ მატიანეში“ (1-2) შეცდომით არის აღნიშნული, ითქოს, ნიკ. ყიფიანი „ერთი რომანტიკული ისტორიის გამო“ 1895 წელს გარდახვეწილიყოს საზღვარგარეთ. „რომანტიკული ისტორია“ რომ არაფერ შუაშია, უკვე ვნახეთ, რაც შეეხება თარიღს, 1890 წ. 8 მარტს ნ. ყიფიანი ჯერ ისევ ბათუმშია (იხ. ნ. ნიკოლაძის კატალოგი, 176), ხოლო იმავე წლის ივლისში იგი კარლსბადშია (ლიტ. მუზეუმი, № 15170-ბ).

ჯიბეში. ეს უკანასკნელი ფული მიჰქონდა რედაქციაში განცხადების დასაბეჭდათ“.

საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ამ წერილებში დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში აღმოჩნდა სამშობლოდან დევნილი, სამოციანი წლების ჩვენი ერთი თვალსაჩინო ინტელიგენტი. განცხადება დაიბეჭდა, მაგრამ იტალიური ენის შესასწავლად მისი კარი მაინც არავის შეუღია. კომისიონერთა დავალებით, კარდაკარ წიგნის ვეება ამანათებს ატარებდა ზურგით, კაპიკის პურს ყიდულობდა და ქუჩაში ჰამდა, სანმიშელის მოედანზე ხელგაწვდილი იდგა. [1]

1891 წლის ოქტომბერში გადაუწყვეტია კიდეც საქართველოში დაბრუნება, მაგრამ, ჯერ, სამგზავრო ფული ვერ უშოვია, შემდეგ კი, ბედის საძიებლად ნიცაში წასულა და იქ ავად გამხდარა. [2] მის წერილებში უკვე ერთმანეთს ენაცვლება იმედი და ეჭვი. რწმენა და სასოწარკვეთა. „Вероятно, когда я возвращусь к вам, мы с твоею мамою помиримся и мы все заживем счастливо... Я боюсь вообще строить планов о будущем, потому, что многия мои мечты, многия мои надежды и ожидания, которыми был воодушевлен, не осуществились, разлетелись в прах.“ — სწერდა 1891 წლის ზაფხულში ვეტას.

სამშობლოდან მიღებული ცნობები უნუგეშო იყო: გარდაიცვალა საყვარელი და ლოლა, საამაყო ბიძაშვილი და აღმზრდელი მიხაკო ყიფიანი, — ყველაფერს მევალეები დაეპატრონენ, ყველაზე მახლობლებმაც გაწირეს და დაივიწყეს; ჭორები, ცილისწამება, მუქარა... საბოლოოდ გადაწყდა საზღვარგარეთ დარჩენა, გზის გაკაფვა შვილების წაყვანა.

1891—95 წლებში ნიკ. ყიფიანი ხან ნიცაშია, ხან ჟენევაში. ხანაც პარიზსა და ამსტერდამში, რადგან მუდმივ სამუშაოს ვერსად პოულობს და ამიტომ ვერც შვილების წაყვანას ახერხებს.

ნიკ. ყიფიანს ამ პირობებშიც არ შეუწყვეტია ლიტერატუ-

---

[1] „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2834.

[2] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, №15163-ხ, №15164-ხ.

რუსი მოღვაწეობა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა. „ივერიის“ 1891 წლის 214-ე ნომერში დაიბეჭდა მისი ვრცელი ფელეტონი — „წერილი ნიცციდან. გარიბალდის ძეგლის გახსნა“, რომელშიც კვლავ იგრძნობა სამოციანელი რეოლუციონერის აბალგაზრდული მგზნებარება, ყმობისდროინდელი მისწრაფებების ერთგულება. ავადმყოფი, მიუსაფარი ქართველი ლიტერატორი საგანგებოდ მისულა ნიცაში, რათა გარიბალდის ძეგლის გახსნას დასწრებოდა და თავისი შთაბეჭდილებანი თანამემამულეთათვის გაეზიარებინა. ნიკ. ყიფიანის წერილში გარიბალდი წარმოდგენილია არა მარტო იტალიის გამათავისუფლებლად, არამედ პარიზის კომუნართა ქომაგადაც. ყველა ჩაგრულის მეგობრად. დიდებული მონუმენტის აღწერას ავტორი სიმბოლურად ამთავრებს: ამხედრებული გარიბალდი ხალხს მიუძღვის, ვითომც გესმით მისი მჭექარე: „Avanti!“ „წინ!“

დასაბეჭდ მასალებს ნიკ. ყიფიანი მეუღლეს უგზავნიდა. 1892 წელს ვეტას სწერდა: „На днях я отправил вашей маме мои рукописи для напечатания... Биография моего отца, история его последних дней, воспоминания мои о Михако Кипиани и воспоминания мои о Давиде Кипиани“.

აქ მოხსენებული ნაწერებიდან პირველი სამი ცნობილია, ხოლო მეოთხე — „მოგონებანი დავით ყიფიანზე“, რომელსაც უეჭველად მნიშვნელობა ექნება ქართველ სამოციანელთა მოძრაობის შესასწავლად. ჯერჯერობით, მიკვლეული არ არის.

მიმზიდველად დაწერილი მოგონება — „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“, 1893 წელს დაიბეჭდა „კვალში“ (№ 15) და ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს ჩვენს წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ნიკ. ყიფიანმა პირველმა მოჰკიდა ხელი სახელოვანი მამის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესწავლას, — შეკრიბა და განიხილა მდიდარი მასალა, რომელიც მუდამ საჭირო იქნება მკვლევარისათვის. 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№ 4) დაიბეჭდა მოზრდილი ნაწილი მისი მონოგრაფიული ნარკვევისა: „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა“. რომელიც იმავე წელს ცალკე

წიგნად გამოვიდა (ამონაბეჭდი „მოამბიდან“). იგი დაწერილია უბრალოდ, მაგრამ მღელვარედ და საბუთიანად. ცენზურისა და ხელისუფლების შიშით, ჟურნალმა ბოლო თავების გამოქვეყნება ვერ მოახერხა, მაგრამ მკითხველი მაინც გრძნობს, ვინ დაანთხია თავდადებული მოხუცის სისხლი სტავროპოლში. „მერე რა მოხდა და რანაირად, ამის დაწვრილებით მოთხრობა ამჟამად შეუძლებელიაო“, — ასე ამთავრებდა მწერალი თავის წიგნს.

ამ თხზულების დასასრული — „დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი“, დაიბეჭდა აეტორის გარდაცვალების შემდეგ, 1912 წელს, გაზეთ „თემში“ (№ 95); დოკუმენტური სიზუსტით, დამაინტერესებლად მასში მხილებულია კავკასიის მთავარმართებლის ვერაგული ინტრიგა.

1895 წელს ნიკ. ყიფიანი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში დამკვიდრდა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები იქ გაატარა.

ბელგიაში ნიკ. ყიფიანი ინკოგნიტოდ ცხოვრობდა და ცნობილი იყო, როგორც რუსი პროფესორი ივან მარტინოვი. მას მეგობრული დახმარება გაუწია პოლონელმა პროფესორმა ქალმა ჟეტეიკომ, რომელიც ბრიუსელის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ლაბორატორიას განაგებდა. 1898 წელს ნიკოლოზიც იმავე უნივერსიტეტის რუსული სიტყვიერების კათედრის პროფესორად დანიშნეს და მისი მატერიალური მდგომარეობა, შედარებით, გაუმჯობესდა. უმცროსი ქალიშვილები — ნინო და ვარო, მაშინვე ბრიუსელში დაიბარა, უმაღლეს სასწავლებელში შეიყვანა და მათზე მუდმივი მზრუნველობით სიხარული და ბედნიერება დაიბრუნა. ნიკ. ყიფიანი ჭაბუკური ენერგიით შეუდგა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. საერთოდ, ნიკ. ყიფიანი ავადმყოფურად მგრძნობიარე და მოსიყვარულე, ბავშვურად მიმნდობი და ატაცებულად გულწრფელი კაცი იყო. ეს იყო მისი ნაკლიცა და ღირსებაც, მიზეზი მისი პირადი ბედნიერებისაც და უბედურებისაც.

საოცნებოა ისეთი უშუალო, გულღია მეგობრობა, როგორიც მას თავის ქალიშვილებთან ჰქონდა. მათი მიმოწერა ამაღლებული მშობლიური სიყვარულის, სულიერი სიწმინდის, ადამიანის

მშვენიერების არაჩვეულებრივი დოკუმენტია. ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებთან ერთად, ისინი გულწრფელად უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ჩერნიშევსკისა და დრ-ბროლიუბოვზე, ტურგენევსა და ვიქტორ ჰიუგოზე, დიმიტრი ყიფიანსა და ილია ჭავჭავაძეზე, ოჯახის წევრებსა და მახლობლებზე.

ერთ წერილში ნიკ. ყიფიანი სწერდა ვეტას: „Ты ошибаешься, не относя к разряду светлых личностей твою маму и мою мать, не ставя их на ряду с твоим дедушкой и с Лёлей... Ты должна любить ее (маму) больше всех на свете, больше, чем меня"... „ვარიკო და ნუცა, რომ მოვიდნენ ჩემთან და შენ არ მოხვედი, ძალიან გულს დამაკლდა, მაგრამ ეგება მალე მოხვიდე შენცა და გამახარო... მე უთქვენოდ ჯავრით მოვკვდი ამდენ ხანს... ვარიკოს და ნუცას მე თვითონ ვუვლი და სულ ჩემთან არიან". [1]

ჯერ არს, აქვე ვთქვათ, რომ ნიკ. ყიფიანის ქალიშვილები სასახელო მამულიშვილები გამოვიდნენ. ბარბარე (ვარო) ყიფიანმა, რომელსაც პროფესორი ჟეტეიკო ხელმძღვანელობდა, 1904 წელს საინტერესო მოხსენება წაიკითხა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. მთელი დარბაზი აღტაცებით შეხვდა ქართველ მეცნიერ ქალს და „უველაზე მეტ ტაშს პროფესორი თარხნიშვილი უკრავდა", — იტყობინებოდა გაზეთი „ცნობის ფურცელი".[2]

ნიკ. ყიფიანი მაინც მძიმედ განიცდიდა სამშობლოდან მოწყვეტას; ეკატერინე გაბაშვილი გადმოგვცემს: „ბელგიის ქალაქ ბრიუსელში 1904 წელს შევხვდი სტუდენტ ქალებს, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილებს: ნინოს და ვაროს... წარმომიდგინეს ვიღაც პროფესორი რუსული ენისა ივან ივანიჩ მარტინოვი, რომელიც მაშინვე ვიცანი: ეს ამ ქალების მამა იყო, დიმიტრის უფროსი შვილი, კოლა ყიფიანი, ჩვენში კარგად ცნობილი ვექილი და საზოგადო მოღვაწე. შემდეგ, რაღაც ოჯახური უბედურობის გამო უგზო-უკვლოდ დაკარგული...

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, №№ 15158-ხ, 15167-ხ.

[2] „ცნობის ფურცელი", 1904 წ. 2/15 სექტემბერი.

მის ხმას, ძველებურად იშვიათის ჰარმონიით სავსეს, ქვითინი შეეპარა... ვეღარ ვიხილავ იმათ, ვეღარ მოვეხვევი ძმურად, მეგობრულად... მე რენეგატი ვარ... ბავშვებიცა და მამაც ნამდვილი ქართველი ინტელიგენტები იყვნენ". [1]

სინამდვილეში, ნიკ. ყიფიანს არაფერი ჰქონდა თავის თავის სასაყვედურო; ის უცხოეთშიც ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს და, გვგონია, მანამ არც ერთ ქართველს არ გაუწევია ჩვენი ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის ისეთი ფართო პროპაგანდა დასავლეთში, როგორსაც ის ეწეოდა. ბრიუსელის წლები არა მხოლოდ მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის მთელ პერიოდს წარმოადგენს, საერთოდ ჩვენი კულტურული მატიანის ერთი მეტად საყურადღებო ფურცელიცაა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველწყაროებს მოკლებული იყო და პირადი ბიბლიოთეკაც ბათუმში დარჩა,[2] ნიკ. ყიფიანმა გადაწყვიტა დაეწერა და ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე გამოეცა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ნარკვევები: „Если бог поможет, — სწერდა ვეტას, — Я намерен много рабатать по истории нашей родины. В нашем прошлом много, много очень интересного... У меня почти готовь целый ряд этюдов по истории Грузии". [3]

მართლაც, ბრიუსელის უნივერსიტეტის ფირმით, 1905 წელს ლიეჟში დაიბეჭდა მისი საკმაოდ ვრცელი ნაშრომი: „La Géorgie, et deux grandes gèorgiennes dans le passé: La Reine Thamar, la Reine Kethevane". (Déddié á trois Géorgiennes, petites filles de Dimitri Kipiani) („საქართველო და წარსულ დროთა ორი დიდი ქართველი: თამარ მეფე და ქეთევან დედუფალი").

---

[1] „ლიტერატურული მატიანე". 1940, № 1-2.

[2] საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი № 15166-ხ (ერთგან ამბობს, ძნელია წერა, „როცა ასე დაშორებული ვარ საქართველოს და როდესაც ხელში არა მაქვს მასალა"., „კვალი",. 1893 წ., № 15).

[3] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15166-ხ

წიგნი გამოვიდა ფსევდონიმით: „Vetninwar“, რომელსაც პროფესორი ჟეტეიკო წინასიტყვაობაში ასე განმარტავს: „ვეტას, ნინას და ვარიასი ვარ“.

ეს ნაშრომი მარტოდენ თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის მოღვაწეობას როდი ეხება; ავტორი უცხოელ მკითხველს მოკლედ აცნობს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას, ბუნებას, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს. განხილული აქვს შოთა რუსთაველის, ნიკ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვა ძველ და ახალ მწერალთა შემოქმედება. ინტერესს იწვევს მის მიერვე ლექსად გადათარგმნილი კარგა მოზრდილი ნაწყვეტი ხალხური ბალადისა. წიგნი დაწერილია პატრიოტული მღელვარებით, პოეტურად, როგორც მაგალითად: „წარსულის საუნჯენი, შეიძლება არც ერთ ქვეყანაში არ გამოიყურებოდეს ისე ცოცხლად, ისე გულისშემძვრელად, ისე მახლობლად და თანადროულად, როგორც საქართველოში. აქ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ, რომ ისტორიულ ძეგლს არ შეხვდეთ“ და ა. შ.

პროფ. ჟეტეიკოს, აგრეთვე, ნინო, ვარო, ვეტა ყიფიანების ცნობით, აღნიშნულ ნაშრომს გარდა, ნიკ. ყიფიანს „მრავალი რუსული, ფრანგული და ქართული ხელნაწერები ჰქონია დასაბეჭდად გამზადებული სოციალიზმის, პედაგოგიკის, ლინგვისტიკის, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე“.

1903 წელს ნიკ. ყიფიანს ანტონ ფურცელაძისათვის ასეთი საპასუხო წერილი გამოუგზავნია: „მინდა გამოგიგზავნო ერთი ორიოდე, სამიოდე ჩემი ნაწერი. ამასთან ნიმუშად გიგზავნი ერთს ამ ნაწერთაგანს. მინდა გთხოვო, დააბეჭდინო, როდესაც სულ ყველა, რაც მაქვს დასაბეჭდი, მოგივა. თავდაპირველად მინდა გთხოვო დააბეჭდინო ერთი ლექსი, რომელსაც შენ გიძღვნი და რომლის სათაური არის „ვისაც ვახსოვარ“. სულით და გულით ქართველი ვარ, დავრჩი ქართველი... თუმცა გადმომტყორცნა ბედმა... საქართველოდამ ცხრა ჭიას აქეთა... რა დამავიწყებს ჩვენ საქართველოს, ჩვენს რუსთველსა ან ბარათაშვილს... როგორ მიეცემა დავიწყებასა ჩემი მშობელი, დაუვიწყარი და თავდადებული დიმიტრი ყიფიანი...

გიგზავნი ექვს ჩემ ლექსს — ნაწერსა. ერთი ამათგანი —

„კაენი“, ვერ დაიბეჭდება, მგონია; შენი აზრი მომწერე, თუ როგორ გეჩვენება ეს ექვსი ლექსი... ქართულად ნაწერი საქართველოს წარსულის შესახებ, ისტორიული მოთხრობანი და სხვ. მაქვს, რამდენიმე თითქმის გათავებული. რომ ვიცოდე, უპატრონებ, გამოგიგზავნი“.

60-იან წლებში პეტერბურგში, 80-იან წლებში ბათუმში, 900-იან წლებში ბრიუსელში დაკარგულ აუარებელ ხელნაწერებთან ერთად, ანტ. ფურცელაძისთვის გამოგზავნილი ეს ლექსები და მოთხრობებიც დაკარგულია, და, რაღა გასაკვირია, ამ საოცარი ბიოგრაფიის ადამიანის ტალანტსა და ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე სრული, სამართლიანი წარმოდგენა რომ არ გვქონდეს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ ნიკ. ყიფიანს (ივან მარტინოვს) მაშინდელი ბელგიის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც კარგა შესამჩნევი კვალი აღუბეჭდავს. ერთ იქაურ გამოცემაში ნათქვამია: Il était un des pionnieres les plus ardents du feminisme et prit une large part a l,oeuvre des féministes belges“.[1]

იმავე წყაროს თანახმად, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებში ნიკ. ყიფიანს ამ საკითხზე ასობით პუბლიცისტური წერილი და კორესპონდენცია ჰქონია გამოქვეყნებული. როგორც ირკვევა, იგი სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებსა და კრიტიკულ წერილებს პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში. 1903 წელს პარიზის ყოველდღიურ გაზეთ „აურორეში“ ორ თვეს განუწყვეტლად იბეჭდებოდა მისი ფელეტონები „მუჟიკის“ ფსევდონიმით. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხელმიუწვდომელი, შეუკრებავი და შეუსწავლელია, თორემ ჩვენს წინ უფრო ნათლად წარმოსდგებოდა ნიკოლოზ ყიფიანის — ევროპული მასშტაბის ქართველი კრიტიკოსის, ჟურნალისტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის სახე. მაგრამ ნიკ. ყიფიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ავტორიტეტზე ის

[1] „ის იყო ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მგზნებარე პიონერი და დიდ მონაწილეობას იღებდა ბელგიის ქალთა მოძრაობაში“.

ფაქტიც მეტყველებს, რომ ბელგიაში მას რამდენიმე სრულიად ეროვნული საზოგადოება დაუფუძნებია, რომლებიც შემდეგ დიდხანს განაგრძობდნენ არსებობას.

სხვათა შორის, ბრიუსელში ის განთქმული ყოფილა, აგრეთვე, როგორც პოლიგლოტი, — უნივერსიტეტში, სანლუის ინსტიტუტში, უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში, რუსულთან ერთად, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებსაც ასწავლიდა; პოლიგლოტთა წრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო. არაჩვეულებრივი ზნეობრივი სიფაქიზით, თავაზიანობითა და მაღალი ინტელიგენტური თვისებებითაც ბრიუსელში დიდი პოპულარობა მოუპოვებია და დაუვიწყარი სახელი დაუტოვებია. მის ახლომცნობთაგან „ცნობის ფურცლისათვის“ გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ვისაც გაგონილი მაინც აქვს, რა ძნელია ევროპაში ლუკმაპურის შოვნა, ადვილად მიხვდება, რომ მართლა გასაკვირველის ხასიათისა და ენერგიის ადამიანი უნდა ყოფილიყო ნიკ. ყიფიანი, რომ მიუხედავად იმ საშინელი მდგომარეობისა, რომელშიც მას მოუხდა იქ ცხოვრების დაწყება, მაინც შესძლო ისეთი საპატიო სახელის მოპოვება, რომელიც მან დაიმსახურა მთელ ბრიუსელში. რომ ვამბობ, მთელ ბრიუსელში მეთქი, გადაჭარბებით არ მომდის, რადგან, მართლაც მთელი განათლებული ბრიუსელი კარგად იცნობდა როგორც განათლებულ, დაუღალავს და დაუზარებელ მუშაკს, რომელიც ყოველ პატიოსან საქმეს პირნათლად ემსახურებოდა.

განა გასაკვირველი არ არის, რომ ბელგიის მთავარ ქალაქში, სადაც სწავლულნი და განათლებულნი უხვად მოიპოვებიან, ერთ გადახვეწილ ქართველს წილად ხვდა დაეფუძნებია ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საზოგადოებანი: La Ligue du droit des femmes“ და „La Societé de l'amelioration du scrt de la femme.“ ნიკ. ყიფიანის მეთაურობით დაარსდა „Cercle polyglotte,“ სადაც ის რუსული ენის განყოფილებას განაგებდა.[1]

[1] „ცნობის ფურცელი“, 1905, 2 ივნისი („ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ლიგა“, „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საზოგადოება“, „პოლიგლოტთა წრე“).

ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ნიკ. ყიფიანს განუცხადებია „La Paix du monde veut que toutes les femmes soient unies sens différance de classes, de races et de religions.[1]

ნიკ. ყიფიანი ორატორული ხელოვნებითაც განთქმული ყოფილა ბრიუსელში. „იმ კრებას, რომელზედაც იგი ვერ დაესწრებოდა სოლმე, უსიცოცხლოდ უნდა ჩაევლო. იმის მოხსენებების დროს დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი".

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ნიკოლოზ ყიფიანს მაინც უჭირდა ცხოვრება, ცდილობდა შვილებისათვის არაფერი მოეკლო, თვითონ კი, ბევრ რასმე იკლებდა. 1904 წლის სუსხიან ზამთარი ზაფხულის პალტოში გავატარეო, — იწერებოდა ერთ წერილში და მევალეებისაგან შეწუხებულ უფროს ქალიშვილს ვეტას სთხოვდა: „ერთის სიტყვით, რაღა გეხვეწოთ, მიშველეთ საჩქაროდ, თუ დროით მიშველით, უბედურებას გადამარჩენთ".

სიღარიბემ და „გადაჭარბებულმა შრომამ ნიკ. ყიფიანს ძალზე შეურყია ჯანმრთელობა და ექიმებმა აუკრძალეს მუშაობა. — ამბობს ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილში ვინმე „ბ-ლი", — მაგრამ ნ. ყიფიანი, რომლისათვისაც მუშაობა თვით სიცოცხლე იყო, არ დაემორჩილა ექიმების გადაწყვეტილებას. პირიქით, ჩვენი ხალხის გამოღვიძების ამბებმა უაღრესად აუშალა მუშაობის საღერღელი (იგულისხმება 1905 წლის რევოლუცია. ა. კ.).

თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, მან მოისურვა უკანასკნელი ფიქრი ისევ სამშობლოსკენ მიეპყრო... სიკვდილის წინ თვითონ შეასწორა თავისი ისტორიული ნარკვევების კორექტურა და ეს იყო მისი უკანასკნელი შრომა". [2]

ნიკ. ყიფიანი გარდაიცვალა 1905 წლის პირველ მაისს; 3 მაისს დიდი პატივისცემით დაასაფლავეს ბრიუსელში — „მის კუბოსთან თავი მოიყარეს უნივერსიტეტის წარჩინებულმა პროფესორებმა, სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებ-

---

[1] მსოფლიო მშვიდობა მოითხოვს, რომ ყველა ქალი განურჩეველად კლასისა, რასისა და სარწმუნოებისა გაერთიანდნენ.

[2] „ცნობის ფურცელი", 1905, 2 ივნისი.

მა, პოლონელმა და რუსმა ახალგაზრდობამ, გულდაწყვეტილი ქართველების პატარა კოლონიამ".

ეკ. გაბაშვილი, რომელსაც იმხანად კვლავ მოუხდა ბრიუსელში ყოფნა და შემდეგ, ენერგიულად ცდილობდა, რომ ქართველ საზოგადოებას დახმარება აღმოეჩინა ნიკ. ყიფიანის დაობლებული ქალიშვილებისათვის, წერს: დამინახეს თუ არა, შემომტირეს: „მამა აღარ გვყავსო, მეგობარო კატო, ძვირფასი მამა, დაუვიწყარი, შეუდარებელი მამა, ერთადერთი დასაყრდენი ამ ქვეყანაზე". [1]

პროფ. ჟეტეიკოს წყალობით, ნიკ. ყიფიანის ქალიშვილებმა დაამთავრეს ბელგიაში სწავლა და ბევრი რამ გააკეთეს, როგორც მამის სახელის უკვდავსაყოფად, ისე სამშობლოს სასარგებლოდ; სხვათა შორის, ბარბარე ყიფიანის თაოსნობით 1910 წ. ბრიუსელის ინტერნაციონალურ მუზეუმში ქართული სექციაც დაუარსებიათ. [2]

---

1 „ლიტერატურული მატიანე", 1940, № 1-2.

2 საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 15272-ხ.

ივანე მესხი

70—80-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთების მკითხველს მუდამ მიიზიდავს ფართო თვალთახედვით, პატრიოტული ტკივილით დაწერილი პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები, რომლებსაც ივანე მესხი („ი.—ი“., „ი. მ—ი“) აწერს ხელს. იგი ერთი მათგანი იყო, ვისაც ბრძოლაში გამოწრთობილი მამულიშვილები თავიანთ ღირსეულ ცვლად და შემდგომი წარმატების იმედად თვლიდნენ.

ივანე მესხმაც, მესხების სახელოვანი ოჯახის შვილმა, პირნათლად განვლო ხანგრძლივი მოღვაწეობის გზა და ღმიდად მოიხადა ვალი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ივანე დაიბადა 1849 წელს, ქუთაისში, არქიელის გორაზე,— პაპის, ანდრია მარჯანიშვილის, ოჯახში. ღარიბმა აზნაურმა, ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს უბრალო მოხელემ, სისო მესხმა და მისმა მეუღლემ, მაგდანა მარჯანიშვილმა, ცამეტი საამაყო შვილი (რვა ვაჟი და ხუთი ასული) აღუზარდა დედა საქართველოს.

ბავშვობა ივანემ სოფ. რიონში, შამისეულ ოჯახში გაატარა. მისი პირველი მასწავლებელი იყო დედა (ქოტე მარჯანიშვილის მამიდა), რომელიც საინტერესო ქართულ და რუსულ წიგნებს უკითხავდა და არითმეტიკაშიც ავარჯიშებდა.

50-იანი წლების ბოლოს მესხების ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში („სილაზე“) გადავიდა და ივანე მშობლებმა იქაურ გიმნაზიაში მიაბარეს. როგორც ყველა და-ძმა, ისიც იმთავითვე გამოირჩეოდა სიბეჯითით, სწავლისადმი მხურვალე ინტერესით, — და თავის თანაკლასელ გ. ჭალადიდელთან ერთად, ეწაფებოდა ლიტერატურას, წერდა ლექსებს და სხვათა შორის, გატაცებული ყოფილა მუსიკითაც.

„ივანე დიდი მოყვარული იყო მუსიკისა, -- წერს მისი უმცროსი ძმა დავით მესხი, — ჩინებულად უკრავდა თარზე... უნდა გავიხსენო ანდრია მრევლიშვილის ლოტბარობით შესანიშნავი მგალობელთა გუნდი გიმნაზიის ეკლესიისა. ამ გუნდში გამოირჩეოდა ივანე მესხის მოძახილი (ალტი) და ზორბა მაიაკოვსკის ბანი. ეს მაიაკოვსკი იყო მამა რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკისა". [1]

ეპოქის მოწინავე აზრებით გულანთებულ ჭაბუკს გიმნაზიაში სწავლის დროს უთარგმნია ნეკრასოვისა და დობროლიუბოვის ლექსები, რომლებიც „დროებაში" დაიბეჭდა. ეს ახალგაზრდული პოეტური ცდები საყურადღებოა, უწინარეს ყოვლისა, იდეური ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ნ. ნეკრასოვის „კარგი ზნის კაცი", რომელიც „დროების" 1868 წლის 45-ე ნომერშია დაბეჭდილი, გმობს გაბატონებული წრეების ცრუ მორალს. მწვავე სატირით, მაშინდელი სოციალური სინამდვილის მკაცრი მხილებით მოუხიბლავს ახალგაზრდა მთარგმნელი, აგრეთვე, ნ. დობროლიუბოვის ლექსს „ამა დროის სიმღერა. ვუძღვნი ყოველთა საქმის მცოდნეთა" („დროება", 1868, № 51).

საზოგადოებრივი უსამართლობით გამოწვეულ ამ მტკივნეულ განცდებს ბუნებრივად უერთდება დაჩაგრულ სამშობლოზე გულისმომწყვლელი ფიქრი, მისი განთავისუფლების მხურვალე სურვილი... ქვეყნის ავკარგის შეცნობით აფორიაქებული გიმნაზიელი თარგმნის და „დროებაში" (1869 წ. № 10) ბეჭდავს გოცც-მილლერის ლექსს -- „ქრისტელი დედაკაცი მორეაში".

ივანე მესხს პუბლიცისტიკაშიც იმ დროს უცდია კალამი და აღსანიშნავია, რომ პირველივე წერილის თემად სწავლა-აღზრდის საკითხი ამოურჩევია, რომელმაც მალე მთავარი ადგილი დაიკავა მის მოღვაწეობაში.

1869 წლის ივნისში, გიმნაზიის დამთავრებისთანავე, სერგეის რჩევით, ივანე პეტერბურგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

---

[1] დ. მ ე ს ხ ი, მოგონებანი, 1940 წ., გვ. 38.

1869 წლის 2 ივლისს ს. მესხი სწერდა პეტერბურგში მყოფ კირ. ლორთქიფანიძეს: „ამ წიგნს ჩემი ძმა მოგიტანს, შენ ხომ იცი, ოტჩენაში ხარ და ამიტომ კეთილ გზაზე უნდა დააყენო ჩემი ძმა, ეს შენი ვალია. პირველად შენთან ჩამოხტება, შენ მოუნახე სახლი, დაარიგე. როგორც რიგია, თორემ ჯერ სულ გამოუცდელია. სთხოვე, რომ იაროს შენთან და ელაპარაკე სხვადასხვა საგნებზედ. კეთილი წადილები აქვს, მაგრამ ეს არ არის საკმაო კაცისათვის. ექიმობას რომ აპირებს, მე ძალიან მომწონს.“

უმცროსი ძმისადმი ასეთივე სიყვარულითა და მზრუნველობითაა გამთბარი ს. მესხის სხვა წერილებიც კირ. ლორთქიფანიძისადმი (1870 წ. 15 თებერვლის და სხვა).

ივანემ იმავე წელს ჩააბარა გამოცდა პეტერბურგის სამხედრო-ქირურგიულ აკადემიაში და კიდეც მიიღეს, მაგრამ 1869 წელს, სტუდენტთა გამოსვლებისა და ამის შედეგად გაძლიერებული რეპრესიების გამო, ბევრ ქართველ მეგობართან ერთად, ისიც იძულებული გახდა სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა და მშობლიურ ქუთაისს დაბრუნებოდა.

1870–71 წლებში ი. მესხი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ჟურნალისტურ საქმიანობაში; როგორც „დროების“ მუდმივი კორესპონდენტი, სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს საჭირბოროტო საკითხებზე და დიდ მუშაობას ეწეოდა „კრებულის“ დასაარსებლად და გასავრცელებლად. 1871 წელს იგი ამ ჟურნალის მთავარი წარმომადგენელი იყო ქუთაისში: „ხელისმოწერა მიიღება... ივანე მესხთან, სილაზე“, — ვკითხულობთ „კრებულის“ პირველსავე სარედაქციო განცხადებაში [1].

პეტერბურგში გატარებულ ერთ წელს ამაოდ არ ჩაუვლია; ივ. მესხის წერილებში ახლა უფრო იგრძნობა მწვავე საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ინტერესი, სოციალურ წინააღმდეგობებში წვდომის უნარი, უთანასწორობისადმი შეურიგებლობა. მისი რეპორტაჟი და კორესპონდენცია პოლიტიკურად მიზანსწრაფული, იდეურად შეუპოვარი ხდება; ყოველდღიურ

[1] „მნათობი“, 1871 წ., თებერვალი.

წვრილმანებზე წერისას, ავტორი ახერხებს ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებების წინ წამოწევას, მისი პროტესტის გადმოცემას. სათაურის მიხედვით, უწყინარ კორესპონდენციაში— „გეგუთის რკინისგზაზედ...“ („დროება“, 1871 წ., № 17), ივანე მესხი მუშათა ცხოვრების შემაშფოთებელ სურათს გვიხატავს.

„საწყალი მუშა“ — აღმოხდება ახალგაზრდა ავტორს და ეს წამოძახილი საუკუნის შემდეგაც გვაგრძნობინებს ხალხის მდგომარეობას რეფორმის შემდგომ დროინდელ სოფელში; უმიწობა, უგზოობა, უწყლობა, შიმშილი, გაუნათლებლობა, ცრუმორწმუნეობა, სოციალური დევნა — აი, როგორ წარმოგვიდგება მაშინდელი იმერული სოფლის სურათი ივ. მესხის წერილების მიხედვით. ათასში ერთგან, ფარღალალა ფიცრულში წეყუდრებული სკოლა, სადაც „ფეხ და თავშიშველი ყმაწვილები“ იყინებიან; სასამართლოს კარებთან ატუზული გლეხები, „უფროსის მოლოდინში რომ ფეხზე წყდებიან“ და „მჭევრმეტყველებაში გასავარჯიშებლად მოსული ადვოკატები“, რომლებმაც იციან: „ოღონდ სათვალეები გაიკეთე, სერთუკი ჩაიცვი და გაჭირვებული მთხოვნელები ბუზივით დაგესევიან“; შარიანი მეზობელი, რომელიც საჩივლელად მოსულა, „სტუმარმა ქვეშაგები დამიჭმუჭნაო“; [1]. გლეხის ამონაკვნესი: „ოღონდაც ცივი წყალი და მჭადი მქონდეს და სხვას არას ვინატრებდიო“; „ჩრდილოეთის ნათება“ და ხალხის ოხვრა: — „უეჭველად წარღვნის ნიშანიაო“ ან „ნემეცებს პარიჟი დაუწვავთ და იმის სხივი ზეცას მოსდებიაო“; [2] გლეხები წელზე ფეხს იდგამენ და ამ ჯოჯოხეთური სურათის ფონზე: „კეთილშობილები იმას აკეთებენ, რასაც სხვა სოფელში: ან მწყეროზენ, ან კურდღლობენ, ან ნარდს არახუნებენ... რისთვის იმუშავებენ, როცა იციან, თუ გლეხები ცოცხალი იქნებიან, შიმშილით არ დაიხოცებიან. გლეხების ჩამორთმევა იმათ არაფრით ატყვიათ, ისევ ის გლეხები უმუშავებენ მიწას, ისინი კი, იმის მეტს არაფერს აკეთებენ, რომ შემოსავალს კრეფენ მამულებიდან;“[3].

---

[1] „დროება“, 1870 წ. № 48

[2] „დროება“, 1870 წ. № 42

[3] „დროება, 1870 წ. № 44

ამრეზით უყურებენ ახალგახსნილ სკოლას: „ჩემს შვილს გამუ-
რული გლეხის ბიჭს როგორ ამოვუჯენ გვერდშიო.“ [1]

თემის შესაბამისად, მრავალფეროვანი და ზუსტად გამიზ-
ნულია ავტორის გამომსახველობითი საშუალებანიც; საქმიანი
რეპორტაჟი, აღწერითი თხრობა, ალაგ-ალაგ გამოცოცხლებუ-
ლია ცხოვრებიდან ამოტანილი დიალოგებით, გლეხური გამო-
ნათქვამებით, ანდაზებით, ირონიული და სატირული კილოკა-
ვით, მიხვეულ-მოხვეული ქარგმით, ზოგჯერაც გამომწვევი რეპ-
ლიკით. ასობით უსაქმურ თავადთა შორის, ავტორს ერთი
ისეთიც შეხვედრია, რომელიც გლეხებთან ურთიერთობას არ
უკადრისობს; „ნეტავი, როგორ უყურებენ დანარჩენი კეთილ-
შობილები ამ მართლა კეთილშობილს?“ — კითხულობს ის. ან
კიდევ: „კეთილშობილები თაკილობენ, არავითარ შემწეობას
არ აძლევენ შკოლას... რას უნდა მივაწეროთ ამგვარი გულგრი-
ლობა ჩვენი კეთილშობილებისა ამისთახა კეთილ საქმეში?“ [2].

ივ. მესხის ეს წერილები ხალხის ბედით შეშფოთებული,
მის მომავალზე მწარედ ჩაფიქრებული ჟამთაღმწერლის მიერ
შექმნილი ჩვენი მაშინდელი ცხოვრების მატიანეა.

ცოდნას მოწყურებული, ქვეყნის საკეთილდღეო სამსახურს
მოწადინებული ახალგაზრდა, 1871 წლის შემოდგომაზე შვეი-
ცარიაში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. ამ იშ-
ვიათმა შემთხვევამ მთელი ქართველი საზოგადოების ყურა-
დღება მიიპყრო და „დროებაც“ აღტაცებით გამოეხმაურა
საზღვარგარეთ სწავლის მისაღებად წასულ „პირველ მერ-
ცხლებს“.

ივანე მესხი და მისი ამხანაგები კარგად გრძნობდნენ იმ
პასუხისმგებლობას, რომელსაც ეს საზოგადოებრივი ყურა-
დღება აკისრებდა. „სწორედ საფუძველი ჰქონდა „დროებას“
ამ მოვლენას დაჰხარებოდა. — წერს ის — ვამბობ „მოვლენას“.
რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ საზღვარგარეთის

---

[1] „დროება“, 1870 წ., № 46.

[2] „დროება“, 1870 წ., № 38.

უნივერსიტეტში ერთდროულად სამი ქართველი შეუდგა მეცნიერების შესწავლას.[1]

სერგეი მესხი, ამ ჰაბუკების მთავარი მრჩეველი და დამრიგებელი, 1872 წლის 26 იანვარს კირ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „ჩემი ძმა ივანე ეხლა ციურიხშია. ის და ვლ. ნიკოლაძე ერთად წავიდნენ. ამათ გარდა, ოთხი სხვები არიან ახლა ჩვენები შვეიცარიაში: ძიგოევი და ჯაფარიძე ჟენევაში, და სუმბათოვი... და ქადაგოვი—ციურიხში. ეს კიდევ არაფერი: ერთი ჩვენებური ქალიც მიდის მალე იქ, მედიცინის შესასწავლად! კარგად შემომხედე!“...

მართლაც, სულ მალე, არა ერთი, არამედ ხუთი ქართველი ქალიშვილიც გაემგზავრა იქ უმაღლესი განათლების მისაღებად და შვეიცარიაში მოწინავე ქართველ სტუდენტთა ძლიერი კერა შეიქმნა. ერთ კორესპონდენციაში ივ. მესხი ამბობს: აქ, შვეიცარიაში იმიტომ წამოვედით, რომ „ცოტა მეტი თავისუფლებააო“... „საზოგადოდ შვეიცარიას ბევრი სხვა მშვენიერებაც აქვს, რომელიც იზიდავს ახალ გაზრდობას“.[2]

ივანე და მისი ქართველი მეგობრები ჩასვლისთანავე დასწაფებიან იქაურ ცხოვრებას, გასცნობიან სტუდენტთა მეთაურებს, დაახლოვებიან მოწინავე საზოგადოებას. ისინი სისტემატურად ესწრებოდნენ სტუდენტთა სხდომებს, ლექციებს, დისკუსიებს, მონაწილეობდნენ პირველი ინტერნაციონალის ადგილობრივი სექციების საქმიანობაში, ისმენდნენ პარიზის კომუნის გამოჩენილ ხელმძღვანელთა მოხსენებებს და, რაც ყველაზე საყურადღებოა, დადიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში წარმოების ორგანიზაციისა და მუშათა შრომის პირობების შესასწავლად.

ურთიერთდახმარებისა და აზრთა გაზიარების მიზნით, 1873 წელს ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოება „უღელი“, რომელსაც ივანე მესხი ჩაუდგა სათაეში (საზოგადოებას თავმჯდომარე არ ჰყავდა, ივანე აღმასრულებელი მდივანი იყო). საზოგადოების მიზანი იყო, გარს შემოეკრიბა სა-

---

[1] „დროება“, 1872, № 22

[2] „დროება“, 1872, № 17

ზღვარგარეთ მოსწავლე ჩვენი ახალგაზრდობა, დაერაზმა იგი ცოდნის შესაძენად, მეცნიერების დასაუფლებლად; ლექცია-საუბრები გაემართა ქართულ ცხოვრებაზე, გაეცნო საქართველოს ისტორია, შეედგინა და გამოეცა ქართული სახელმძღვანელოები. ამ მიზნით, კომისიაც გამოუყვიათ; ივანეს არითმეტიკის სახელმძღვანელოს შედგენა უკისრია და კიდეც შეუსრულებია ეს ვალდებულება.[1]

რამდენადაც „უღელის“ სხდომებზე საერთაშორისო-პოლიტიკურ თემებზეც კითხულობდნენ მოხსენებებს და მისი წევრები, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკურ ორგანიზაციებთანაც იყვნენ დაახლოებული, ამ საზოგადოებას, ფაქტიურად, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა.

საზოგადოების სხდომათა სამ ოქმს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ივანე მესხი აწერს ხელს.

როგორც ს. მესხის 1873 წ. 30 მარტის წერილიდან ჩანს, „ივანე მესხმა იკისრა სხვადასხვა სახელმწიფოთა მმართველობის მექანიზმი გააცნოს ამ წრეს“.

„უღელის“ წევრები და მათი აქტიური მხარდამჭერნი ქართველ მკითხველს ფართოდ აცხობდნენ ამ საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს; „დროების“ 1873 წლის მე-16 ნომერში ვკითხულობთ: „ქართველი სტუდენტები... ყოველ მხრით დაბრკოლებას გრძნობენ და შევიწროვებულს მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც მატერიალურად, ისე სწავლის მისაღებ ასპარეზზე... ამათ ვერ დაუმსახურებიათ ის სანატრელი დახმარება სამშობლოდან, რომელსაც ასე ძლიერ საჭიროებენ...“ აუცილებელია ურთიერთ დაახლოება, ამიტომ „ციურიხის ქართველებმა გადაწყვიტეს დაეარსებინათ წრე, რომელშიც საზოგადოდ საზღვარგარეთ მყოფ ყველა ქართველსაც უნდა მიეღო მონაწილეობა.“ საზოგადოების წევრები თავთავიანთი დარგიდან ერთმანეთს წაუკითხავენ ლექციებს, რომლებსაც შემდეგ საერთო ძალით გადაამუშავებენ. „ეს ნაწარმოებები თბილისში გაიგზავნება ქართულ გამოცემათა რედაქციებში, ანდა, ცალკე წიგნებათ დაიბეჭდება“.

---

[1] დ. მ ე ს ხ ი, მოგონებანი, 1940, გვ. 16.

„უღელმა“ „დროება“-„კრებულის“ მეთაურთა დიდი ინტერესი გამოიწვია, უწინარეს ყოვლისა, კოლექტივიზმის სულისკვეთებით, ქვეყნის საკეთილდღეოდ შეერთებული შრომის მაგალითით. ამ საზოგადოების უნარიანი წარმართვით ივანე მესხმა ფართო სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა, როგორც შვეიცარიაში მყოფ მეგობართა წრეში, ისე საქართველოში. ძირითადად, ის აწესრიგებდა საზოგადოების წევრთა და ქართულ ჟურნალ-გაზეთთა შორის კავშირ-ურთიერთობას. „ჟენევიდან მოგივათ... ბეთანიშვილის წერილი“ „უღელთან“ მიწერილი, — აცნობებდა 1873 წ. 23 დეკემბერს ს. მესხი დავით მიქელაძეს, — რომელიც პირველს ფურცელს გარდა (როგორც თითონაც ჩემს ძმას სწერს), გამოსადეგი იქნება დასაბეჭდად... დღეს მეორე იმდენივე წერილი მივიღე მე ჩემი ძმისაგან... და ჟენევაში გავუგზავნი „უღელის“ წევრებს წასაკითხად და მერმე მანდ გამოგზავნიან რედაქციაში. მგონი, „კრებულისათვის“ კარგად გამოდგეს“.

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა იმდროინდელი მიმოწერიდან მკაფიოდ შეგვიძლია აღვადგინოთ ივანე მესხის, როგორც ენერგიული, პრინციპული, უანგარო, სასარგებლო საქმეთა დაუცხრომელი ინიციატორის სახე. სერ. მესხიც აღტაცებული იყო ძმის აქტივობითა და კეთილსინდისიერებით. ბარათებში კეკე მელიქიშვილისადმი, ის წერდა: „ივანეს უთხარი, რომ იმის სტატია საზოგადოება „უღელის“ თაობაზე ძალიან კარგია, გონიერი სტატიაა“ (1873 წ. 20 აპრილი); „ყველა ჩვენებურ ყმაწვილებში მანდ ყველას ივანე უნდა სჯობდეს“; «უღელზე“ [ყველაფერი] ივანეს აცნობე, როგორც საქართველოს კონსულს (ელჩს)“; „რაც კი დაგჭირდება, შეგიძლია ივანეს მიმართო და ის დაგეხმარება ისე, როგორც მე... შენ შეგიძლია მიმართო ძმას ისე, როგორც შენს ძმას... და მე დარწმუნებული ვარ, არაფერს არ დაზოგავს შენთვის“ (1873 წ. 20 თებერვალი); „ივანე რომ ყოფილიყო მანდ... მაგისთანა ხეპრული საქმე არ მოგვივიდოდათ. მე მივწერ ივანეს ამ ამბავს და იმედი მაქვს,... როგორც საქართველოს ელჩისაგან, დიდი სამდურავი მოგიეათ“.

ივ. მესხი ურთიერთდახმარებისა და ძმური მხარდაჭერის

მაგალითს უჩვენებდა ყველას. თვითონ მძიმე ავადმყოფი და მატერიალურად ხელმოკლე, უკანასკნელ კაპიკს უნაწილებდა ამხანაგებს, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტ ქალებს. 1873 წლის 29 აგვისტოს ოლღა გურამიშვილს სწერდა: ერთმა პირმა, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდებს დასახმარებლად გადასცა ფული და მოწიწებით გთხოვთ, ეს ფული თქვენ და სხვა სტუდენტმა ქალებმა გაინაწილოთ.[1]

1873 წელს ივანემ ციურიხიდან „კრებულში“ დასაბეჭდად გამოგზავნა ვრცელი სტატია — „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“, რომელიც იმავე წლის მე-8 და მე-10 ნომრებში დაიბეჭდა.

ეს სტატია იმ დროის ქართული პედაგოგიური აზროვნების ღირსშესანიშნავ მოვლენად იქნა აღიარებული; აღზრდის საკითხები მასში სოციალური ცხოვრების მწვავე პრობლემებთან კავშირშია განხილული და ავტორი ცნობილ პედაგოგთა შეხედულებებს იშველიებს.

მართალია, ივანე ჯერ ციურიხის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ, ერთი წლის შემდეგ, მედიცინას თავი გაანება და იქაურ პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დროება“-„კრებულში“ დაბეჭდილი მისი პედაგოგიური წერილები, სწორედ ის გადამუშავებული ლექციებია, რომლებსაც „უღელის“ სხდომებზე კითხულობდნენ და, საერთო ძალით, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად ამზადებდნენ.

შესავალში ავტორი ამბობს, — რადგან ზოგიერთმა ქართველმა შვილები სწავლის მისაღებად შვეიცარიაში გამოგზავნა და, ამის გამო, მათ აქა-იქ კიდეც დასცინიან, გადავწყვიტე, ჩვენს საზოგადოებრიობას დაწვრილებით გავაცნო აქაური აღზრდის სისტემაო.

ქართველ პედაგოგს ყველაზე უფრო თავისუფალი აღზრდის პრინციპი იზიდავს და საგანგებოდ გამოჰყოფს მოზარდთა

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს პირადი არქივის კატალოგი, თ. მაჭავარიანის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 63.

და უფროსების, კერძოდ, ბავშვისა და აღმზრდელ-მასწავლებლის დამოკიდებულების საკითხს. იმ დროის ჩვენი სასკოლო ცხოვრებისათვის, სადაც „ლინეიკასა“ და „როზგს“ ჯერ კიდევ გასავალი ჰქონდა, ამ საკითხს აქტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა და ივ. მესხის წერილი მამხილებელ როლსაც ასრულებდა. „იმისთანა ქვეყანაში და იმისთანა სასწავლებლებში, — წერს იგი, — სადაც მასწავლებლები მათი ბავშვების ამხანაგები, მეგობრები და ტკბილი მოსაუბრენი იქნებიან და არა რაღაც ღმერთებრივ ბატონები და მბრძანებლები... (სადაც) ყოველი ორი სიტყვის შემდეგ „სამშობლო“ და მისი სამსახური ისმის“, წარმატებაც მეტი იქნება.

ბავშვის გონებრივ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში ავტორი გადამწყვეტ როლსა და პასუხისმგებლობას სკოლას ანიჭებს; თუ ბავშვი სწავლაზე გულს იცრუებს, ამის მიზეზს მარტო „სკოლის გარეთ მის ცხოვრებაში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ თვით სკოლაში და ამ უკანასკნელის სწავლის მსვლელობაში“.

ბავშვზე უნდა ვიმოქმედოთ მტკიცე დისციპლინით, წესიერი მოპყრობით, ტკბილი სიტყვით და არა სხვადასხვა მკაცრი სასჯელით.

მაგრამ, ივანე მესხს კარგად ესმის აღზრდაში, მოქალაქეობრივი ხასიათის ჩამოყალიბებაში სოციალური ფაქტორის როლი და, ამიტომ, თავის წერილებში ვრცლად ეხება შვეიცარიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას, — ყურადღებას ამახვილებს მის დემოკრატიულ მხარეებზე.

წოდებრივი პრივილეგია, მოქალაქეთა უფლებრივი უთანასწორობა, მისი რწმენით, წინასწარ არღვევს აღზრდის საფუძველს.

ივ. მესხი ამტკიცებს, რომ განათლება სავალდებულო და უფასო უნდა იყოს, რომ სკოლა და მშობელი შეერთებული ძალით უნდა იღწვოდნენ ბავშვის აღზრდისათვის, რომ „მშობელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სკოლის საქმეებში“. ავტორი ერთმანეთისაგან განუყოფლად თვლის და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას: „რათ ვარგა მარტო თავი გქონდეს „განათლებული“, თუკი,

ამასთან, გულიც არ გინათებს და როგორც კაცი, არ ვარ გიხარ!"

აღზრდის საკითხი, ისე როგორც ყოველი დიდი საზოგადოებრივი პრობლემა, მხოლოდ ხალხის აქტიური და ფართო მონაწილეობით შეიძლება გადაიჭრას. „დროება"-„კრებულის" პუბლიცისტურ სულს ორგანულად ეხმიანება, კერძოდ, ავტორის მსჯელობა, „საბალხო თვითმოქმედებაზე"; ივანე მესხი აღტაცებულია პესტალოცის პედაგოგიური მემკვიდრეობით,— „შვეიცარიის სანაქებო შვილს" უწოდებს მას და მოსწონს რომ „შვეიცარიაში სკოლა ეკლესიის გავლენისაგან განთავისუფლებულია".

მეორე სტატიაში („კრებული", 1873 წ. № 10) ივ. მესხი განხილული აქვს სასწავლო დისციპლინების პროგრამა და მათი სწავლების მეთოდიკა. ცალკეული კლასების მიხედვით ამასთან, იგი იწონებს, რომ სწავლება საკლასო ოთახის კედლებით არ იზღუდება და მასში დიდი ადგილი უკავია ექსკურსიებს, მოგზაურობებსა და თავისუფალ გაკვეთილებს.

ამ წერილიდან, სხვათა შორის, ვგებულობთ, რომ ციურიხში, ბეისტის პანსიონში, 1872 წლიდან სწავლობდნენ: ნაცვლიშვილი (12 წლისა), ნიკოლაძე (12 წლისა) და ქუთაისელი ნიკიტინი (11 წლისა).

„დროებასა" და „კრებულში" გამოქვეყნებული წერილებითა და კორესპონდენციებით, შვეიცარიაში მყოფმა ქართველმა ახალგაზრდებმა, უდავოდ, ხელი შეუწყეს ქართულ პუბლიცისტიკის გამოცოცხლებას, საზოგადოებაში დემოკრატიული შეხედულებების გავრცელებასა და არსებული სოციალური სინამდვილისადმი კრიტიკული თვალსაზრისის განმტკიცებას. ისინი მოხერხებულად სარგებლობდნენ პირადი შთაბეჭდილებების ფორმით და, ვითომდა, უბრალო კორესპონდენციებში მკითხველს საოცნებოდ უსახავდნენ დემოკრატიულ წყობილებასა და ევროპულ ცივილიზაციას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მეთაურებიც ოსტატურად იყენებდნენ მათ ნაწერებს ხალხში დემოკრატიული მისწრაფებები გასაღვივებლად. ამის წყალობაა, რომ მაშინდელი „დროება", რომელსაც პოლიტიკურ თემებზე ორიგინალური მასალები

გამოქვეყნება აკრძალული ჰქონდა, ალბათ, არც ერთ გამოცემას ტოლს არ დაუგდებდა თავისი პროგრესული მიმართულებით.

ყველაფერი, რასაც ისინი შვეიცარიის ცხოვრებაზე წერდნენ, კარდინალურად ეწინააღმდეგებოდა და ნიღაბს ხდიდა რომანოვების იმპერიაში გამეფებულ ძალმომრეობასა და სულშემხუთავ რეჟიმს, უჩვენებდა მკითხველს, რომ სადღაც, ამ ჩვენს პლანეტაზე, არსებობს უკეთესი ცხოვრება და ის, რაც აქ ხდება, შეუძლებელია მარადიული იყოს.

ივანე მესხი აღწერდა შვეიცარიის მომაჯადოებელ ბუნებას, იქაურ ზნეჩვეულებებს, დღესასწაულებს, მაგრამ ეს მისი წერილების გარესამოსი იყო. ყურადღებას მუდამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე ამახვილებდა და ისიც ისე, რომ მკითხველს აშკარად ეგრძნო ადგილობრივი სინამდვილისადმი კონტრასტი. ნაწერებში უხვად ურთავდა მოწინავე დემოკრატ მოაზროვნეთა ციტატებს და, ზოგჯერ, მათი მოხსენებებისა და ნაშრომების მიმოხილვასაც. ამასთან, კონტრასტის გასაძლიერებლად, იმასაც დასძენდა, — შვეიცარიაში, ჩვეულებრივ, სახალხო დღესასწაულებზე ისეთ სიტყვებს წარმოსთქვამენ, რომ ვერ მოგწერო, მკითხველო, „რადგან, ვეჭვობ, იმისთანა სიტყვები, რომლის წარმოთქმაზეც მე დავესწარი,... (ცენზურა. ა. კ.) ძრიელ გაჭირვებით იშოვნიდნენ ადგილს „დროებაში“, სხვადასხვა მიზეზების გამო“.[1]

ი. მესხი მუდამ ხაზს უსვამს, რომ შვეიცარიის ხალხმა თავისი უფლებები ბრძოლით მოიპოვა და ერთსულოვნად იცავს მას.

ერთ კორესპონდენციაში[2] ივანე მესხს აღწერილი აქვს შვეიცარიელთა სახალხო გართობანი — „ფურების ტარება“ („Ochsen Zug“) და „ექვსი ზარის ხმა“ („Sechse Leuten“). ხოლო მათი წარმოშობის მიზეზთა ახსნისას, განმარტავს, რომ ამ საზეიმო ცერემონიალით ხალხმა სამარადისოდ უკუდავყო ანტიდემოკრატიულ შეთქმულებაზე თავისი გამარჯვება.

---

[1] „დროება“, 1873 წ., № 31.

[2] „დროება“, 1872 წ., № 30.

შვეიცარიის ცხოვრებასთან კონტრასტით, ივანე მესხი სასაცილოდ ხდის თვითმპყრობელობის სამხედრო-პოლიტიკურ რეჟიმს. იგი არა ერთგან აღნიშნავს, რომ „უაზრო და უმსგავსო სამხედრო დისციპლინას შვეიცარიაში ადგილი არა აქვს“,— რომ „სალდათები და ოფიცრები ერთად სვამენ ლუდს და ერთად საუბრობენ პოლიტიკაზე“.

1873 წლის აპრილის წერილში[1] ივ. მესხი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონარქთა მიერ მოსყიდული პირები ცდილობდნენ შეეცვალათ ციურიხის უნივერსიტეტში უცხოელთა მიღების წესები; „დასაფრთხობად, პოლიციისაგან მოწმობას თხოულობენო“, — წერდა ის.

ივ. მესხი დროულად ეხმიანებოდა ქართულ პრესაში წამოჭრილ საკითხებს და ევროპის მოწინავე იდეათა შუქზე განიხილავდა მათ. ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში იმ დროს ბევრს სწერდნენ თბილისის ახალგახსნილ სამრეწველო საწარმოებში მუშათა მძიმე მდგომარეობაზე; ამასთან დაკავშირებით, ქართველი სტუდენტები დაწვრილებით გასცნობიან ჟენევისა და ციურიხის პროლეტარიატის მდგომარეობას და ივ. მესხს საყურადღებო წერილიც გამოუქვეყნებია „დროებაში“.[2] რადგან ჩვენში ხშირად წერენ მირზოევის ფაბრიკაში გამეფებულ მძიმე პირობებზე, გადავწყვიტე, აქაური ფაბრიკების წყობილებას გავცნობოდი და ჩემს ამხანაგთან ერთად, გავსწიე რკინის ფაბრიკაში, რომელსაც „მექანიკურ ფაბრიკას“ ეძახიან, რათა გამეგო, როგორი წესი და წყობილება არის იქო. „ფაბრიკაში შესვლა და პირობების გაგება ყველას შეუძლია,— გადმოგვცემს ავტორი — ასე რომ, არა ჰგავს მირზოევის ფაბრიკას, სადაც ახლოსაც არავის აჭაჭანებენ. „თითქმის მთელი საათნახევრის განმავლობაში დავდიოდით მე და ჩემი მოხუცი ჩიჩერონე (რომელიც ყველაფერს დაწვრილებით მიხსნიდა), ხელფასი აქ ორჯერ თუ სამჯერ უფრო მეტია, სამუშაო დღის ხანგრძლიობა კი — ნაკლები. შემდეგ წერილ-

---

[1] „დროება“, 1873 წ., № 14.

[2] „დროება“, 1872 წ., № 11.

ში მოგაწვდით „სტატისტიკურ ცნობებს მთელი შვეიცარიის მუშების მდგომარეობაზე“.

ასეთი სტატიები, უეჭველად, ხელს უწყობდა ჩვენი მუშების გათვითცნობიერებას, ახალჩასახული პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების გამოფხიზლებას.

ივ. მესხმა საინტერესო სტატია გამოაქვეყნა რელიგიის ჭურუმთა, კერძოდ, კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს მსახურთა განსაქიქებლად, რომელშიც მხილებულია რომის პაპის მაჭინაციები, დასაბუთებულია, რომ პაპი მტარვალებთან ხელიხელ ჩაკიდებული ყვლეფს მშრომელ ხალხს „ეხლა რომის პაპი ძლიერ შეწუხებულია“, — წერს ავტორი, რადგან „აღარ ჰყავს მისი საყვარელი „სულიერი შვილი“. „ნეტარხსენებული“ ნაპოლეონი“.[1]

ივ. მესხი და მისი ამხანაგები საფრანგეთ-პრუსიის ომისა და პარიზის კომუნის პერიოდში მოხვდნენ საზღვარგარეთ და აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში. მათი წერილებიდან ცხადად ჩანს, რომ ახალგაზრდა ქართველები ფრანგი ხალხისადმი, კომუნარებისადმი ძმური თანაგრძნობით იყვნენ გამსჭვალული და გმობდნენ როგორც გერმანელ მილიტარისტებს, ისე ვერსალელ ჯალათებს.

1873 წლის ზაფხულში ივანე გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ. „დროებისათვის“ გამოგზავნილ წერილში[2] ის ზიზღით, დაუფარავი მტრობით აღწერს გაყოყოჩებულ დამპყრობთა სახელმწიფოს. „ბევრი სიმშვენიერე აქვს ამ დალოცვილ ქვეყანას [შვეიცარიას] და მის ერთ მუჭა ხალხს“, მისი მოშორება და ორი თვით პრუსიაში წასვლა ისე გამიჭირდა, როგორც ამ ორი წლის წინათ საქართველოსთან გამომშვიდობება. „წავედი პრუსიაში, სულ სხვა „სახელმწიფოში“, სხვა „ზრდილობიან“ ხალხისაკენ... ჩემს თვალს აქ არც ერთი სამხედრო კაცის ეპოლეტების კრიალი და ხმლების რაჩხა-რუჩხი არ ასცდენია... შარშანწინდელი მიტრალიეზებით დახარჯული თოფისწამლის სუნი კიდევ ისმის აქ. ბერლინის სასახლეს სპე-

---

[1] „დროება“, 1873 წ., № 18.

[2] „დროება“, 1873 წ., № 38.

ციალურად უკანასკნელი ომების „გმირთა“ დასაჯილდოებლად გამოუცხვია ახალი „რკინის ჯვარი“. არათუ სალდათებს და ოფიცრებს „უმშვენებს“ გულმკერდს, არამედ ბავშვების სათამაშოებისათვისაც კი მოუხერხებიათ გამოყენება... სადაც გზაზე, შტუტგარტიდამ მაინცამდე სათამბაქოში შეეედი და რაღაც ხის სათამბაქო შემომაძლიეს, სახურავიცა და ძირიც ყველას ამ „რკინის ჯვრისა“ აქვს... ერთი საშინელი, უშნო და ულაზათო რამ არის“.

ავტორს განუშორებლად თვალწინ უდგას ორი საპირისპირო სახე — პრუსიისა და შვეიცარიისა. ყოველ ნაბიჯზე თვალში ხვდება განსხვავებული ხასიათი და წარმოდგენები. რადგან მდაბიურად აცვია, აქ მას ათვალწუნებით უყურებენ, მდიდარი სახლის მეპატრონენი ლაპარაკის ღირსადაც არ თვლიან. იგი ამჩნევს, რომ „პრუსიელებმა ხანდახან, მეტადრე, თუ ომებზეა ლაპარაკი, კვეხნა იციან ხოლმე“.

როგორც ყველა უცხოელს, მასაც აოცებს შვეიცარიისა თუ გერმანიის დაწინაურებული ტექნიკა, კეთილმოწყობილი სოფლები და ქალაქები, მომხიბლავი ბუნება, მაგრამ ქედს როდი იხრის მათ წინაშე, პირიქით, სიამაყით იგონებს თავის საოცნებო მამულს. „ამისთანა თუ არა, — წერს იგი, — ამის მსგავსი მაინც ბევრი რამ მინახავს ჩემს პატარა, ლამაზ სამშობლოში.“

საგულისხმოა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1875 წელს, ივ. მესხმა „დროებაში“ გამოაქვეყნა საყურადღებო ფელეტონები „სამშობლოს სიყვარული“,[1] რომლებშიც, ითვალისწინებს რა სხვადასხვა ხალხის ისტორიულ მაგალითებს, ცდილობს გაარკვიოს თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობის მიზეზები და აღორძინების საშუალებანი.

ლათინური ანდაზით: „Jbi bene, ubi patria“ (იქ არის კარგი, სადაც სამშობლოა), — რომლითაც ეს ფელეტონები იწყება, ავტორი გარკვეულ შეფასებას აძლევს უცხოეთში გატარებულ წლებს და აცხადებს, რომ ჩამორჩენილობისა და

[1] „დროება“, 1875 წ., № 10, 11, 12.

მოუწყობლობის გამო, მამულიშვილმა კი არ უნდა დაივიწყოს და უარყოს თავისი ქვეყანა. არამედ უნდა გარდაქმნას და ააყვაოს ის. ყველას უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა, — ეს მხოლოდ ინსტიქტური გრძნობაა; ჭეშმარიტ მამულიშვილს ღრმად შეგნებული უნდა ჰქონდეს სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობა და „ბედნიერათ რაცხდეს თავისთავს, როდესაც სამშობლოს დღეგრძელობისა და კეთილდღეობისათვის გაუწყნარებლად იბრძვის". პატრიოტი მარტოდენ იგია, ვისაც შეუძლია ყოველივე პიროვნულზე, სიცოცხლეზედაც კი, სიხარულით ხელი აიღოს სამშობლოს ბედნიერებისათვის.

ივ. მესხის ფელეტონთა ლაიტმოტივს „ნამდვილ ახალ თაობაზე" ფიქრი შეადგენს, — ახალთაობაზე, რომელიც ნათელი მიზნების ზეიმისათვის თავის თავს მსხვერპლად მიუტანს ხალხს; ავტორი დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს. სკოლა და საზოგადოება უნდა ზრდიდეს მოქალაქეს და არა მოხელეს; ვინც სამსახურს ეძებს, ვინც თანამდებობისთვის გიჟდება, სამშობლოს ვერასოდეს გამოადგება. რადგან ფული და თანამდებობა კაცს რყვნის.

ივ. მესხის ფელეტონები დაწერილია მეგობრისადმი გაგზავნილი წერილების ფორმით და მათში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პატრიოტული აღზრდის იდეალი.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ივ. მესხი გაბედულად ილაშქრებდა წოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ და ხალხის ყველა ფენისათვის თანაბარ უფლებებს მოითხოვდა. მისი წინადადებით, ქუთაისის ბანკმა 1882 წელს საგრძნობი თანხა გამოუყო იქაურ „საქალებო სკოლას", რის გამოც ზოგიერთ პირს საჯაროდ გაულაშქრებია ივ. მესხის წინააღმდეგ: „რათ უნდა შევეწიოთ იმისთანა სკოლას, რომელშიც თავადაზნაურები არ იზრდებიანო?... რატომ უნდა მივცეთ დახმარება იმისთანას, რომელიც გლეხის შთამომავლობისა არისო".

ივ. მესხი კრებაზე საპასუხო გამოსელით არ დაკმაყოფილდა, პრესაში ამხილა რეტროგრადები და, მიუხედავად იმისა,

რომ საქმე კინაღამ დუელით დამთავრდა, ბოლომდე დაიცვა და გაიტანა თავისი აზრი.[1]

1874 წლის ზაფხულში ივანეს მძიმე ოპერაცია გაუკეთეს ქენევაში და შემდეგ კროიცნახში (სამხრეთ გერმანიაში) ისვენებდა რამდენსამე თვეს.

1875 წელს მან წარმატებით დაამთავრა ციურიხის პედაგოგიური ინსტიტუტი და, როგორც ჩანს, მომავალი მოღვაწეობის თაობაზე აღმზრდელ ძმას რჩევა სთხოვა. იმავე წლის 26 მარტს სერგეი მესხი კეკე მელიქიშვილს ატყობინებდა: „კარგი, ვსთქვათ, დაბრუნდა. რა უნდა გააკეთოს. რა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი... მგონია, ერთი საქმეა, რომელიც აწ უკანასკნელს დროს ივანეს შეუყვარდა და რომელსაც აქ უნდა მოჰკიდოს ხელი, — ეს პედაგოგიაა... მაგრამ პანსიონის გახსნას საშუალება ეჭირვება... ბესარიონ ჯაფარიძე და ივანე რომ ერთად დაბრუნებულიყვნენ, მაშინ საქმე უკეთ მოთავდებოდა“.

1875 წლის მაისში ივანე უკვე საქართველოშია და, როგორც ს. მესხის 29 ივნისის წერილით ირკვევა, ზაფხულში კერძო გაკვეთილების აღებას აპირებს, მერე კი, ქუთაისში პანსიონის გახსნის იმედი მიუციათ, — „შენ პანსიონი გახსენი და შეგირდებიც შოვნა ჩვენ ვიცით.“

„დროების“ 1875 წ. 87-ე ნომერში, მართლაც, გამოქვეყნდა ვრცელი განცხადება: „შეგირდების სადგომი“, რომელსაც ხელს აწერს „სადგომის მზრუნველი ივანე მესხი“. განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „1875 წ. 25 აგვისტოდამ ვხსნი ქუთაისში „შეგირდების სადგომს“, რომელსაც ექნება მიზანი... ყოველგვარი საშუალება იხმაროს მოსწავლე ყმაწვილების გონებისა და ზნეობის გაუმჯობესებისათვის“.

ივ. მესხს მიზნად დაუსახავს, პრაქტიკულად განეხორციელებინა აღზრდის ის სისტემა, რომელიც შვეიცარიაში შეითვისა და რომელსაც „დროება“-„კრებულში“ ქადაგებდა. ს. მესხის აგვისტოს კერძო ბარათის მიხედვით, დასაწყისში „საქმე ჩინებულად მიდიოდა და თვითონაც (ივანეც) ძალიან კმა-

---

[1] გაზ. „შრომა“, 1882, № 20, 23, 26.

ყოფილი იყო“, შაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა; სამი თვის შემდეგ, ხელისუფლებამ ივ. მესხს პანსიონი დაუხურა და წინადადება მისცა, საქმეები ალექსი ჭიჭინაძისათვის გადაეცა, ხოლო თვითონ სამუდამოდ ხელი აეღო პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. საბაბად, ჯერ, ის დაუსახელებიათ, დიპლომი არ გაქვსო, მაგრამ მალე, პირდაპირ უთქვამთ, არაკეთილსაიმედო ხარო. ამ საქმის ირგვლივ მეტად საინტერესო ცნობებს ვპოულობთ სერგეი მესხის კერძო წერილებში. „ივანეს პანსიონი დაუკეტეს. თურმე მესამე განყოფილების სიაში ყოფილა ივანე ჩაწერილი, როგორც არასაიმედო კაცი და აქაურ ჟანდარმებს მოუთხოვნიათ ნეეროვისათვის (კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველი. ა. კ.), რომ არამც და არამც იმას პანსიონის გახსნის უფლება არ მისცეთო. მართლაც, ამ ერთი თვის წინათ პოლიციამ მიწერილობა წარუდგინა და მოსთხოვა, რომ პანსიონი და შკოლა დაკეტეო. ეხლა ერთმა იმის ამხანაგმა — ალექსი ჭიჭინაძემ ითხოვა ამ პანსიონის გახსნა და (როგორც „დროებიდამ“ შეიტყობ), კიდეც მისცეს ნებართვა, მაგრამ იმ პირობით, რომ ივანე მესხმა ამ შკოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოსო“ (1876 წ. 12 იანვარი)... „ივანე, მგონია, მოგწერე, ეს ორი კვირა იქნება, რაც აქ ჩამოვიდა და საადგილმამულო ბანკში მსახურობს სეკრეტერად. რადგან პედაგოგიური კარიერა სამუდამოდ მოუსპეს [საქართველოში სამასწავლებლო სემინარიის გახსნას აპირებენ და ამ მიზნით ქუთაისმა მას ფერმა დაუთმო], მაგრამ „იქ ივანე მესხი ცხოვრობს და ამის გამო არ შეიძლებაო“, — უთქვამთ. (1876 წ. 27 იანვარი). „ივანე ქუთაისში უსაქმოდ დარჩა ეხლა. დღეს ან ხვალ ის ჩამოვა აქ და საადგილმამულო ბანკში მზათ აქვს ადგილი: სეკრეტერის თანამდებობა უნდა აასრულოს... პედაგოგიას კი, იძულებულია, რომ სამუდამოდ გამოეთხოვოს, რადგან ეს გზა იმას სამუდამოდ შეკრული ექნება მთავრობისაგან.“

ხელისუფლების მიერ დევნილ ახალგაზრდა მოღვაწეს მოწინავე ქართული საზოგადოება დაეხმარა; ჯერ, 1876 წ. იანვარში, ილია ჭავჭავაძემ მიიწვია ბანკის მდივნად, ხოლო

ორიოდე თვის შემდეგ. ქუთაისის ბანკში შესთავაზეს სამსახური.

მიუხედავად შევიწროებისა, ივ. მესხი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში. 70-იან წლებში ის ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრის ერთ-ერთი ინიციატორი იყო; ხშირად მართავდა საღამოწარმოდგენებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ: აკაკი წერეთელი, ანტ. ლორთქიფანიძე, ალ. ჭყონია, ეფროსინე კლდიაშვილი, თემ. ლექავა, ხელთუფლიშვილისა და ნიკოლაძის ქალები და სხვ. აწყობდა სპექტაკლებს ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ და, ამ მიზნით, თბილისიდანაც იწვევდა მსახიობებს.[1]

რამდენჯერმე ქუთაისის სცენაზე ივ. მესხის გადმოკეთებული პიესებიც წარმოუდგენიათ. 1880 წელს, მაგალითად, დაუდგამთ მისი „ჰერკულესი“.

ის და ალექსი ჭიჭინაძე „დროებაში“ მორიგეობით, ათავსებდნენ სხარტულ ფელეტონებს „მშვილდ-ისარით ნადირობა.“ [2] 80-იან წლებში ივანე პატრიოტული საქმეების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ქუთაისში, ყურადღება მიიპყრო, სხვათა შორის, მისმა სიტყვამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე, დიმ. ყიფიანის მოკვლის გამო.[3]

ივ. მესხის მოქალაქეობრივი სისპეტაკე და საზოგადოებრივ-ეროვნული აქტივობა გამოვლინდა, აგრეთვე, მუნიციპალური მოღვაწეობის ასპარეზზე. იგი თითქმის ორმოც წელს მუშაობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი — ბათუმის თვითმმართველობაში და ამ ქალაქების ისტორიაში უკვდავჰყო კიდეც თავისი სახელი.

ივ. მესხმა თითქმის ოცდაათი წელი დაჰყო ბათუმში და ლ. ასათიანთან, გრ. ვოლსკისთან, დავით კლდიაშვილთან ერთად, ფერი უცვალა ქართული სული შთაბერა თურქეთის მონობისაგან ახალგანთავისუფლებულ ქალაქს.

---

[1] ეფ. მესხი, მოგონებანი, 1957 წ., გვ. 22.

[2] დ. მესხი, მოგონებანი, გვ. 16

[3] „ივერია“, 1887, № 230

მემუარებში — „ჩემი ცხოვრების გზაზე", დავით კლდიაშვილს კარგად აქვს დახატული ივანე მესხის, როგორც უანგარო, ნიჭიერი და თავდადებული მამულიშვილის პორტრეტი. „მოხერხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მოქნედი, — წერს დავ. კლდიაშვილი, — იგი სულ და გული შეიჭიდა ახლადშემოღებული თვითმმართველობისა". [1]

ივ. მესხის, ლ. ასათიანის, გრ. ვოლსკის თაოსნობით დაარსდა ბათუმში „საურთიერთო-საკრედიტო საზოგადოება"; გაიხსნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა, 1897 წელს — ვაჟთა, ხოლო 1900 წელს — ქალთა გიმნაზია; აშენდა ელექტროსადგური და საავადმყოფო, დაიწყო ჭაობების ამოშრობა. ივანე იყო ქართული დრამატული საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, [2] საღამო-წარმოდგენების გასამართავად იგი სისტემატურად იწვევდა ქართველ მწერლებსა და მსახიობებს (აკ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვ. აბაშიძე და სხვ.); აქვეყნებდა წერილებს „ივერიასა" და „ნოვოე ობოზრენიეში";

საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობის სარბიელზე ი. მესხი მუდამ გულისყურით უსმენდა ილია ჭავჭავაძის ხმას და მასთან შეთანხმებით წყვეტდა ყველა პრინციპულ საკითხს. 1898 წ. სექტემბერში, ქალაქის თავის არჩევნების დროს, ივ. მესხი დაწვრილებით უხსნიდა ილიას შექმნილ ვითარებას, სთხოვდა ამ თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატურის დასახელებას.

1913 წელს ივ. მესხს ბათუმის თვითმმართველობაში მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს. იმავე დროს დაიბეჭდა მისი საყურადღებო ისტორიულ-ეკონომიური გამოკვლევა: „История Батумского городского хозяйства".

ივ. მესხი მოესწრო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. რამდენსამე წელს ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოშიც იმსახურა და შემდეგ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

გარდაიცვალა 1932 წელს; დაკრძალულია თბილისში, ვერის ახალ სასაფლაოზე.

---

1 დ. კლდიაშვილი, თხზ., 1947 წ., გვ. 669.

2 ეფ. მესხი. მოგონებანი, გვ. 39.

ბესარიონ ჯაფარიძე

„კრებულის“ 1872 წლის მე-10—12 ნომრების სარედაქციო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჟურნალს, სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად, „თანამშრომლობა აღუთქვა ბ. ჯაფარიძემ“. უთუოდ, ამ მიზეზის გამო იხსენიებენ მას „კრებულის“ თანამშრომლად დ. კარიჭაშვილი, ლ. ასათიანი, ი. ბოცვაძე და სხვები; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბესარიონ ჯაფარიძეს 1873 წ. ჟურნალში დასაბეჭდად წერილებიც გამოუგზავნია კირილე ლორთქიფანიძისათვის. ამასთან, ბესარიონ ჯაფარიძე ერთი ყველაზე გამოჩენილი პირი იყო იმ მოღვაწეთა ჯგუფში, რომელიც „დროება“-„კრებულს“ მეთაურობდა.

ბ. მ. ჯაფარიძე დაიბადა 1848 წელს, სოფ. ლაგვანთაში (რაჭა). მამამისი მცირე შეძლების მემამულე იყო.

1868 წელს ბესარიონმა პირველ მოწაფედ დაასრულა ქუთაისის გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. მაგრამ აქ დიდხანს არ უსწავლია, რადგან იმთავითვე, რუს რევოლუციონერებს დაუახლოვდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 1869 წლის მღელვარებაში, რის გამოც დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში დაამწყვდიეს.

როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთი მოთავე, ის, ნიკ. ყიფიანთან და ნიკოლოზ ორბელიანთან ერთად, მკაცრად დასაჯეს; ჟანდარმთა შეფის ბრძანებით, 1869 წლის აპრილში ადმინისტრატიული წესით თავის სოფელში გადმოასახლეს, უნივერსიტეტიდან გამორიცხეს და ერთი წლით უმაღლეს სასწავლებელში შესვლა აუკრძალეს.[1] ეს ერთი წელი მან სოფ. ლაგვან-

[1] „Деятели революционного движения в России, т. I., стр. 10, 1928 г.

თას გაატარა, მაზრის უფროსისა და ჟანდარმერიის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ.

მეფის იმპერიაში დარჩენა მას კარგს არას უქადდა და გადაწყვიტა, როგორმე, საზღვარგარეთ წასულიყო განათლების მისაღებად. მართალია, მის მშობლებს სათანადო სახსარი არ ჰქონდათ, მაგრამ, — როგორც იოანე მესხი გადმოგვცემს, — „მეგობრების შემწეობით... ამოუჩნდა ერთი ახალგაზრდა მდიდარი ყმაწვილი კაცი (შეიძლება. ნ. ნიკოლაძე იგულისხმებოდეს ა. კ.), რომელმაც იკისრა... ბესარიონისა... და ერთი მისი ამხანაგის, რომელიც (მან)... იტალიანურ შვეიცარიაში დამარხა (უთუოდ, ლაპარაკია ვლ. ნიკოლაძეზე. ა. კ.) საზღვარგარეთ გაგზავნა და სწავლის დასრულებამდინ მათი იქ შენახვა". [1]

მაგრამ, საზღვარგარეთ წასვლის ვიზაზე უარი უთხრეს, — ვერავითარმა თხოვნამ და პროტექციამ ვერ გაჭრა, — „ვრათუ საზღვარგარეთ წასვლა, ქუთაისში ჩამოსვლის ნებაც კი არ ჰქონდა".

სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ ამ მდგომარეობიდანაც იპოვა გამოსავალი; 1870 წ. ჯერ ოდესაში წასვლა მოახერხა და იქაური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როგორღაც, საზღვარგარეთის პასპორტიც აიღო და 1871 წლის შემოდგომაზე შვეიცარიაში გაემგზავრა, ჟენევის აკადემიის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა.

ჟენევის აკადემია (რომელიც შემდეგ უნივერსიტეტად გადაკეთდა), იმ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული უმაღლესი სასწავლებელი იყო, განსაკუთრებით ცნობილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტით, რომელსაც გამოჩენილი პროფესორი კარლ ფოხტი ხელმძღვანელობდა (ერთ ხანს რექტორიც იყო). ფოხტის ლექციები ზოოლოგიასა, შედარებითს ანატომიასა, ემბრიოლოგიასა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში ყველა

---

[1] „ივერია", 1877, № 44.

ქვეყნიდან იზიდავდა ახალგაზრდობას, მით უფრო, რომ პრაქტიკულ მეცადინეობასაც სტუდენტები უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით გადიოდნენ.

მოკლე ხანში, ბ. ჯაფარიძემ კარგად შეისწავლა ფრანგული და გერმანული ენები და, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში გულმოდგინედ ეუფლებოდა არჩეულ დარგს.

შვეიცარიაში მყოფ ქართველ სტუდენტთაგან, ბეს. ჯაფარიძეს ყველაზე სუსხიანი ცხოვრების გზა ჰქონდა გავლილი, — შეიძლება ითქვას, — რევოლუციურ ბრძოლასაც ნაზიარები იყო და, ბუნებრივია, რომ ყველაზე თავდავიწყებით ის დაეწაფა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

„დროებაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, რომ ბეს. ჯაფარიძე სისტემატურად ესწრებოდა პირველი ინტერნაციონალის ადგილობრივი სექციის სხდომებს, არ აკლდებოდა მოხსნებებს სოციალიზმსა და კომუნიზმზე, პარიზის კომუნაზე, ეროვნულ საკითხებზე, ქალთა ემანსიპაციაზე, — ისმენდა პროფესორების — ჰარტმანის, ვერტემეიერის, მონიეს, ფოხტის და სხვ. საჯარო ლექციებს და, რაც მთავარია, მუდამ კრიტიკულად, საკუთარი თვალთახედვით სჯიდა და აფასებდა ყოველ ახალ აზრს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების ღრმა ცოდნით, პუბლიცისტური ერუდიციითა და მოქალაქეობრივი უმწიკვლობით, სულ რაღაც ერთი-ორი წლის განმავლობაში, ბეს. ჯაფარიძემ არათუ ჩვენი საზღვარგარეთელი სტუდენტების სიყვარული დაიმსახურა, სამშობლოშიაც აღიარება ჰპოვა და მაშინდელი პროგრესული ინტელიგენციის ერთ-ერთი მესვეურის სახელი დაიმკვიდრა.

დაარსების დღიდანვე ბ. ჯაფარიძე სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „უღელის“ ჟენევის განყოფილებას. სადაც საინტერესო ლექციებს კითხულობდა საერთაშორისო მდგომარეობაზე. 1874 წელს გ. წერეთელი სწერდა სერგეი მესხს: „ჯაფარიძემ ილაპარაკა ესპანეთის საქმეებზეო“. „გადაეცი ჯაფარიძეს, — სთხოვდა სერგეი მესხი კეკე მელიქიშვილს 1873 წ. 21 აგვისტოს, — ...რომ მოუთმენლად მოველი იმის წიგნს,

რომელშიც... დაწვრილებით იქნება აღწერილი „უღელის“ ამბავი“. „ჩვენმა საზღვარგარეთულმა კოლონიამ, რომ სამშობლო ენა არ დავიწყებოდა, დააარსა პატარა წრე, — გადმოგვცემს ი. მესხი — რომლის სხდომებზედაც კითხულობდნენ და ერთმანეთს უხსნიდნენ ხოლმე „დავითიანს“ თუ „ვეფხისტყაოსანს“ თუ „ქართლის ცხოვრებას“ და სხვადასხვა ჩვენის ძველისა და ახალის მწერლების ნაწერებს. — კოლონიას ჩინებული ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელშიც ბევრი ქართული წიგნებიც იყო. ამ წრის ჟენევის განყოფილება... ბეს. ჯაფარიძის თაოსნობით დაარსდა“.

ქართველ ქველმოქმედთაგან საზღვარგარეთელი სტუდენტების დასახმარებლად შემოწირულ თანხებს, უმთავრესად, ბესარიონ ჯაფარიძეს უგზავნიდნენ გასანაწილებლად; ბესარიონ ჯაფარიძე ერთ-ერთი მოთავე იყო 1874 წელს ჟენევაში გამართული ქართველთა კონგრესისა.

ოდნავ მაინც რომ მოვახერხოთ წარმოდგენა, თუ როგორ შეძლო ამ ახალგაზრდა კაცმა მოკლე ხანში პროგრესული საზოგადოების ნდობის მოპოვება, მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების იმდროინდელი კერძო წერილებიდან. ეს მით უფრო აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი დღეს თითქმის სრულიად დავიწყებულია და მის შესახებ ძალიან ცოტა მასალა არსებობს.

„ყმაწვილებზე რა გითხრა, — სწერდა 1873 წელს გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძეს შვეიცარიიდან. — ისინი არიან ორი წრისანი: ჟენევაში ჯაფარიძე, მეტად მოსაწონი ყმაწვილია, მტკიცე და მაგრად შეთვისებული აზრებითა. ის თავის გონების ძალითა დგას მხოლოდ მაგრად; ის აზრში და მოქმედებაში დამოუკიდებელი ახალგაზრდა კაცია, ის სხვისი ტვინით და აზრებით არ დადის“. და აი. ბეს. ჯაფარიძის პორტრეტი კეკე მელიქიშვილისადმი სერ. მესხის წერილების მიხედვით: „ჟენევაში არის ერთი ძლიერ კარგი ყმაწვილი, რომელიც შენც გეცოდინება, ბესარიონ ჯაფარიძე. ის ხელს მოგიმართავს სწავლაში პირველად“ (1873 წ. 30 მარტი); „ბესარიონს ეუთხარი მე, რომ შენ ჩემი საცოლო ხარ და ყური უგდე-მეთქი... დამპირდა, არას დავზოგავო. (ახლა მხოლოდ ორმა კაცმა

ივანემ და ჯაფარიძემ იცის ჩვენი საიდუმლოება". „ჯაფარიძეს იმიტომ გაეუმხილე, რომ ჩემი დიდი პატივისცემა და ძმური სიყვარული აქვს. ამას გარდა, ის ისეთი სანდო და პატიოსანი ყმაწვილია, რომ რაღაც უნებურად მიენდობა იმას კაცი და იმედი უნდა გქონდეს, რომ არასოდეს არ გიღალატებს" (1873 წ. 29 აგვისტო).

„ბარაქალა ბესარიოს! როგორც ეტყობა, თქვენში ყველაზე უფრო სინდისიანად და ნაყოფიერად ისევ ის შრომობს. წაბაძეთ მაინც ამ კეთილ მაგალითს!"; „ბესარიონისათვის გამბეტას სიტყვებს გიგზავნი"; „შენი თარგმანი გასასწორებლად-ჯაფარიძეს უჩვენე!" (1874 წ. 3 თებერვალი).

1873 წლიდან „დროების" უცხოეთის განყოფილება, ფაქტიურად, ბეს. ჯაფარიძეს ჰქონდა ჩაბარებული და, რადგან მის სტატიებს მკითხველები მუდამ მოუთმენლად მოელოდნენ, სერ. მესხიც ხშირად გაახსენებდა ხოლმე: „ბესარიონს სტატიებისა და კორესპონდენციების გზავნა არ დააივიწყდეს"; „შენი, ივანეს და ბესარიონის იმედი მაქვს გაზეთის საქმეში" (1874 წ. 22 იანვარი); „გაზეთს კარგად გამოვცემ, შვეიცარიიდან პოლიტიკურ საკითხებზე ბესარიონის იმედი მექნება" (1874 წ. 27 იანვარი).

ჟენევიდან გამოგზავნილ პირველ წერილში ბ. ჯაფარიძე წერდა: „იმის გაგონებამ, რომ ციურიხში. სადაც ორს საათს შემდეგ უნდა მივსულიყავი, — ეხლა რევოლუცია არისო, — დიდს აღტაცებაში მომიყვანა. ჩემდა სასიამოვნოდ, თუ სამწუხაროდ (ამის გადაწყვეტა მკითხველისთვის მიმინდვია) ისეთი რევოლუცია არ დამხვდა, როგორსაც მოველოდი. გამოვედი სადგურზე, მეგონა „ათას წითელ ბაირაღებს დავინახავდი და ამასთანავე, თოფ-იარაღის ტრიალს". (ამხანაგს მაშინვე შევეკითხე: არის რევოლუცია თუ არა?)... „რევოლუცია აქ არ არის, მაგრამ ცოტაოდენი არეულობა კი არის მუშა ხალხშიო".

ავტორი აღწერს სახალხო მიტინგს, რომლის მონაწილენი მგზნებარედ ლაპარაკობდნენ თანამდებობის პირთა უკანონობასა და თავიანთ გაჭირვებაზე, მოაქვს ვრცელი ციტატები ორატორთა რევოლუციური სიტყვებიდან, პატრიოტული სიმღერებიდან.

მკითხველი გრძნობს, რომ ახალმისული ქართველიც რევოლუციონერთა რიგებში დგას, მათთან ერთად იბრძვის და მუშტშემართული ემუქრება ცხენოსან ჯარისკაცებს, რომლებმაც დემონსტრატები „გადაჯეკნეს“. აჯანყებულები ციხის ალაყაფთან „მიიჭრენ დაპატიმრებული ამხანაგების გასათავისუფლებლად“. „სალდათები გულგრილად ესროდნენ ზევიდგან ძირს მდგომ ძმა-ხალხს“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). საბედნიეროდ, თოფები მხოლოდ წამლით იყო დატენილი (და აქ ძალიან საყურადღებოა, რომ ქართველ სტუდენტს კლასობრივი ბრძოლის არც ერთი დეტალი შეუმჩნეველი არ რჩებაა). „მაგრამ ზოგიერთ სალდათს (მდიდარი ოჯახიდან გამოსულს) ტყვიით გატენილი ესროლათ“ (და ექვსი კაცი მოკლეს).

„ეს პატარა რევოლუცია სამი დღის დაწყებული იყო, როცა მე ციურიხში მივედი და იმის მოთავე იქ მყოფი ფრანგი ჯარისკაცები იყვნენ“. შვეიცარიელ გერმანელებს, თურმე, დიდი ზეიმით სურდათ აღენიშნათ საფრანგეთზე ბისმარკის გამარჯვება. ის გერმანელი პროფესორებიც კი, — ამბობს ბეს. ჯაფარიძე. — რომლებიც წიგნებში ლიბერალობენ, სინამდვილეში, გუნდრუკს უკმევდნენ ბისმარკს; „როგორც თვითონ ის ლიბერალი მოიქცა, ციურიხელებიც ისე დახვდნენ“.

ასეთი განწყობილებით განშორდა ბეს. ჯაფარიძე მეფის რუსეთს და ასე შეხვდა შვეიცარია მას.

„დროების“ მკითხველებს თვალწინ გადაეშალათ უჩვეულო სამყარო; ქართულ პრესაში პირველად გაისმა რევოლუციური ქარიშხლის გუგუნი და პარიზის კომუნის დღეებში დაწერილ წერილებს თან შემოჰყვა უშუალოდ განცდილი საბრძოლო განწყობილება.

მას შემდეგ ბესარიონ ჯაფარიძე განუწყვეტლად უგზავნიდა „დროებას“ მღელვარე, ღრმა შინაარსიან სტატიებს, რითაც ხელს უწყობდა თანამემამულეებს, ახლოს გასცნობოდნენ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას. ამ წერილებით ნათლად წარმოგვიდგება მებრძოლი ჟურნალისტი, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა უყურადღებოდ არ რჩე-

ბა, რომელიც ყველაფერზე თამამად და საფუძვლიანად მსჯელობს; რომელსაც თავისი ხალხი საკაცობრიო ცხოვრების რთულ სამყაროში შეჰყავს. იგი წერს ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე. ესპანეთისა და იტალიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. რომის პაპზე, საერთაშორისო მუსიკალურ კონგრესზე და ა. შ. მის წერილებში ვხედავთ ბისმარკის წინააღმდეგ ამბოხებულ ციურიხსა და არჩევნების დღეებში მოზეიმე ჟენევას, ვკითხულობთ ლოზუნგებს: „რესპუბლიკის ჭონებაზედ, თავისუფლების საჭიროებაზედ, ერთობის მნიშვნელობაზედ"; გვატყვევებს მისი გადამდები ენთუზიაზმი, ღრმა ანალიზი და პათეტიკური რეპლიკები: „ძნელი გასაგებია, რამდენნაირად ზრდის კაცს თავისუფლება!" მისი, თითქო სასხვათაშორისო კომენტარი: „ჩვენში ვინ გაბედავს იფიქროს, თუ ხალხის რომელიმე მხიარულება ისე მოხერხდება, ღობესავით რომ ჯარი არ შემოერტყას და ტყესავით თოფ-შუბები არ იდგეს".

ბ. ჯაფარიძე საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის თემასაც კი აჭაურ სინამდვილესთან გაპაექრებისათვის იყენებს. „არის წესიერება ძალათ დადგენილი, — ამბობს ის, — ამნაირ წესიერებას გვიქადაგებენ ჩვენი კონსერვატორები და არის მეორე წესიერება -- თავისუფლებით დამდგარი, — ეს არის რესპუბლიკური წესიერება. რომელი მათგანი უკეთესია, გვიპასუხოს პატიოსანმა და სინდისიანმა კაცმა".[1]

პუბლიცისტი ხაზს უსვამს შვეიცარიის რესპუბლიკური წყობილების ყველა დადებით მხარეს, რადგან ესმის, რომ ყოველი მათგანი თვითმპყრობელური რეჟიმის მამხილებელ საბუთს წარმოადგენს. ლაპარაკობს რა შვეიცარიაში ებრაელთა თანასწორუფლებიანობაზე, დაასკვნის: „ზოგს ევროპის სახელმწიფოში არათუ ებრაელებს, ქრისტიანებსაც არა აქვთ ნება, რომ გაიცნონ თავის წარსული ისტორია და ამით თვალხილულად დაადგნენ თავის ახლანდელ გზას". კონსტიტუციური წყობილების წყალობით, „ჟენევა გონების აღზრდის, მეცნიერებისა და პატიოსნების სამშობლოა".

---

[1] „დროება", 1873 წ., № 38.

მაგრამ, როგორც ვთქვით, შვეიცარიის ბურჟუაზიული დემოკრატია ბეს. ჯაფარიძეს ვერ აკმაყოფილებდა. იგი კარგად ამჩნევდა იქ გამეფებულ კლასობრივ უთანასწორობასა და ათასგვარ უსამართლობას. შეიძლება ითქვას, რომ იდეალს იგი პარიზის კომუნასა და კარლ მარქსის პირველ ინტერნაციონალში ხედავდა და გარკვეულადაც ამჟღავნებდა მათდამი მხურვალე სიმპათიებს.

ბესარიონ ჯაფარიძე პირადად იცნობდა პარიზის კომუნის ბევრ მონაწილესა და ხელმძღვანელს, ზოგ მათგანთან მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა; ქართულ პრესაში მას ეკუთვნის პირველი ორიგინალური წერილები პარიზის კომუნაზე; უშუალოდ კომუნის დღეებში დაწერილ სტატიაში („დროება", 1871 წ. №16) გადმოცემული აქვს სედანის ბრძოლის მონაწილე ფრანგ ტყვეებთან საუბარი. „ნაღვლიანის სიტყვებით ასწერდნენ ნაპოლეონის მაცდურობას, — ამბობს ის, —... უმეტეს ჯარს თვითონ თავს იხვევდა და საქმეს კი ცოტას აკეთებდაო. (ერთმა შვეიცარიელმა ფრანგ ტყვეს ჩიქორთული ფრანგულით უთხრა „ემსახურე რესპუბლიკას!" „ფრანგმა ყოველის ღონისძიებით სცადა — ხელით, სახის გამოცვლით და სიტყვით, რათა გაეგებინებია, რომ იგი თავს არ დაზოგავს ამ საქმისათვის" (კუთხეში პარიზის კომუნაზე ლაპარაკობდნენ და შვეიცარიელმა კმაყოფილებით უთხრა ფრანგს). „აი, თქვენმა სალდათებმა ციურიხშიაც მოახდინეს რევოლუციაო".

ბეს. ჯაფარიძეს გადმოცემული აქვს მოკლე შინაარსი იმ სამი ლექციისა, რომლებიც „იქითა კვირაში წაიკითხა როსსელის სეკრეტარმა ზეპპენფელდმა პარიზის კომუნის შესახებ, რომ მსმენელებისათვის დაენახვებინა, რა იურიდიული სიმართლე ჰქონდა კომუნას მთელი საფრანგეთის წინაშე".[1] შეუძლებელია არ გავიხსენოთ ერთი ადგილი, რომელიც საქართველოს ეხება. „ამას წინათ აქ (შვეიცარიაში), — წერს ბეს. ჯაფარიძე, — ერთი ფრანცუზი გავიცანი. ამ ფრანცუზს შარშან მაისს პარიზის კომუნაში მიეღო მონაწილეობა, ერთი ბატალიონის წინამძღოლი იყო და ამის გამო ეხლა, როგორც ბევ-

[1] „დროება", 1872 წ., № 7

რი სხვები, ესეც აქ არის გადმოვარდნილი. სხვათა შორის, იმან მითხრა, რომ ჩემს ხელქვეით ერთი ქართველი, სახელად ბაგრატიონი მსახურობდაო და ძლიერ მხნე და ვაჟკაცი ყმაწვილი იყოო... ეს ბაგრატიონი, როგორც შემდეგ შევიტყე,... მოუკლავთ პარიზის ერთს ბარიკადაზე, იმ დროს, როდესაც ვერსალის ჯარმა პარიჟი აიღო“ [1].

ეს ადგილი ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ პარიზის კომუნარებთან ბესარიონ ჯაფარიძის მეგობრული ურთიერთობის დადასტურებით, არამედ იმ სიხარულისა და ეროვნული სიამაყის გამჟღავნებითაც, რომელიც ავტორს პარიზის კომუნაში ქართველი კაცის მონაწილეობით უგრძვნია.

როგორც ვთქვით, ბესარიონ ჯაფარიძე სისტემატურად ესწრებოდა პირველი ინტერნაციონალის ადგილობრივი სექციის სხდომებს, ისმენდა ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ ლექცია-მოხსენებებს (იქნებ, ამასაც ნიშნავდეს ს. მესხის წერილი კეკე მელიქიშვილისადმი: „ინტერნაციონალური საზოგადოების კრებებზე ბესარიონთან ერთად იარეო“).

ქართველ საზოგადოებას პირველად ბეს. ჯაფარიძემ გააცნო კარლ მარქსის ინტერნაციონალის მიზნები და ამოცანები. როგორც მუდამ, იგი არც აქაა გულგრილი მიმომხილველი. ვრცელი წერილი, რომელსაც „დროების“ ორი გვერდი უკავია [2] და მორიგი კორესპონდენციის პირბადითაა გაპარებული, არა მარტო ზუსტად და მიმზიდველად გადმოსცემს პირველი ინტერნაციონალის პროგრამას, არამედ ურყევი საბუთიანობითაც იცავს მას მოწინააღმდეგეთა შეტევისაგან. ცენზურაც რომ მოიგერიოს და პირველი ინტერნაციონალის იდეები რაც შეიძლება მომხიბვლელად წარმოგვიდგინოს, ავტორი, პარალელურად, ერთი იქაური ანტიმუშური საზოგადოების თვალთმაქცობასაც ამხელს. „მე მინდა იმ ორ საზოგადოებაზე გითხრათ ორიოდე სიტყვა, — წერს ის. — ერთი იმიტომ, რომ ისინი დიდად განსხვავდებიან სხვებიდან თავისი მიმართულებით და მეორე იმიტომ, რომ რომელსამე შემდგომ წერილში

---

[1] „დროება“, 1872 წ., № 22.

[2] „დროება“, 1872 წ., № 7.

მსურს უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ ისინი სხვა მხრით... ერთი ამ ორთაგანი არის „ხალხთა შორის მუშების საზოგადოება, რომელსაც ინტერნაციონალს (Jnternationale) უძახიან და მეორე, მისი მოპირდაპირე „სახალხო წრე". პირველის მიზანი არის, გამოიყვანოს მუშა ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ის ეხლა იმყოფება და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად. მაშასადამე, მისგან გახსნილ ლექციებსაც ის მიმართულება აქვს, რომ ცხადად დაანახვოს მსმენელს ეხლანდელი მუშა ხალხის მდგომარეობა, აუცილებელი საჭიროება მისი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა და სოციალური საშუალებანი ამ გამოსვლისათვის. ამ აზრით კითხულობენ სოციალიზმის ისტორიას და მის ეხლანდელ მდგომარეობას სხვადასხვა სახელმწიფოებშიდ".

იმ დროის ქართველ პუბლიცისტთა შორის, და არც შემდეგ, ვიდრე 90-იან წლებამდე, ჩვენ არ გვეგულება სხვა მოაზროვნე, რომლის ნაწერებშიც ასე იყოს მხილებული კლასობრივი უთანასწორობა, ასე ისმოდეს პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა, ასე იგრძნობოდეს მუშათა კლასის ისტორიული მისია, მისი კლასობრივი ინტერესები და ასე შორს სწვდებოდეს პოლიტიკური რადიკალიზმი.

ლაპარაკობს რა სხვადასხვა ბურჟუაზიულ საზოგადოებათა მიერ მოწყობილ ლექციებზე, ბესარიონ ჯაფარიძე შენიშნავს: მათი გულწრფელობა და „მუშა ხალხისადმი ერთგულება არა მჯერაო".[1] ცხოვრების გარდაქმნისა და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდრად, ავტორს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება მიაჩნია. „ცხოვრების მატერიალურად გაუმჯობესება შეუძლებელია იქ, სადაც მას გონებითი გაუმჯობესება არ მიუძღვის წინ... მეორეს მხრივ, გონების გახსნაც ფუჭია, თუ ხალხს მდგომარეობა ნებას არ აძლევს, რომ თავისუფლად ეცადოს მოიყვანოს აღსრულებაში მისი გონების ნამუშევარი... მუშა ხალხს თავისი ინტერესი აქვს, ვაჭარს

[1] „დროება", 1872 წ., № 7

თავისი და ა. შ. თვითეული გაზეთი ან ჟურნალიც ამ მიზნით გამოდის“ [1].

ავტორს ესმის, რომ მუშათა კლასი, ძირითადი რევოლუციური ძალაა, რომ ლიბერალური დაპირებებით მისი მოტყუება შეუძლებელია და იგი ყველა ხელსაყრელ სიტუაციას გამოიყენებს თავისი კლასობრივი მოთხოვნილებების წამოსაყენებლად. „ბატონმა შერერმა რა დაინახა, რომ მარტო მისი სამი თვის წინეთ დაწერილი შესხმით არ თავდებოდა საქმე, გაპარვა იკადრა... მუშა ხალხს ესარგებლნა ამ შემთხვევით და თავის საჭიროებათა მოთხოვნა დაეწყო“ [2]. ყველა მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი მუშა ხალხია და ქვეყნის ბატონ-პატრონიც ის უნდა იყოს; „მუშა ხალხი თავის ხელით აკეთებს ყველაფერს და მარტო მისი ცოდნისაგან წარმოიშობა ყოველგვარი გაუმჯობესება“.

ბესარიონ ჯაფარიძის წერილებში მოცემულია ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლიანი ანალიზი. მას განსაკუთრებით ვრცლად აქვს განხილული შვეიცარიის კონსტიტუცია, მისი დემოკრატიულ-რესპუბლიკური მხარეების აქცენტირებით; იმ დროს (1872 წ.) შვეიცარიაში ახალ კონსტიტუციას ამტკიცებდნენ. ქართველმა პუბლიცისტმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ქართველ მკითხველს, „დროების“ ფურცლებზე, ფართო საუბარი გაუმართა ახალი კონსტიტუციის პროექტის ავ-კარგიანობაზე და, საერთოდ, კონსტიტუციური წყობილების ღირსებაზე [3]. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „მოისპობა სიკვდილით დასჯა, სწავლა იქნება სავალდებულო და უფასო... არც ერთი კანონი და დებულება... არ შევა წარმოებაშიდ ხალხის უკითხავად ე. ი. ...ხალხის კენჭისყრით გადაწყდება“. მაგრამ, ბეს. ჯაფარიძე არ თანაუგრძნობდა კონსტიტუციის იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც, კონფედერაციის უფლებები უნდა გაფართოებულიყო კანტონთა უფლებების შეკვეცის ხარჯზე.

---

[1] „დროება“, 1875 წ., № 22.

[2] „დროება“, 1871 წ., № 16.

[3] „დროება“, 1872 წ., № 12, 1873 წ., № 23.

თვეების მანძილზე, თვითეული მოქალაქე ფიქრობდა, სწონიდა ამ საქმეს, — გადმოგვცემს ის. — ფიქრობდა, ვისთვის მიეცა ხმა. „დახედეთ, როგორ ესმით თავიანთი მოვალეობა! როგორ აფასებს თვითეული თავის აზრსა და თავის ხმას! აი ნიმუში!“

ადვილი მისახვედრია, რომ ეს წერილები, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო თვითმპყრობელობის პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ავტორი ყველა თემას, ყველა საშუალებას მოხერხებულად იყენებდა ამ მიზნით, შვეიცარიის საზოგადოებრივი ცხოვრების აღწერით თვალნათლივ ამხელდა მონარქიული წყობილების შავბნელ მხარეებს, მის დრომოჭმულობასა და შუასაუკუნოებრივ სისასტიკეს. შვეიცარია არ მოსწონთ იმპერატორებსა და ბისმარკებს, რადგან „მათი ქვეშევრდომებისათვის შვეიცარიის თავისუფალი ცხოვრება ძალიან შემაცდენელი და მიმზიდველი რამ არის“.[1] აქ ციურიხელ აჯანყებულებსაც კი არავინ უპირებს დასჯასო, — ჭარაგმულად წერს ერთ წერილში, — „არსაიდამ არ ისმის, რომ ვინმე დაახრჩონ ან დახვრიტონ ან დაკარგვით დასაჯონ“.[2]...

ამ პუბლიცისტურ ხერხზე განსაკუთრებით მკაფიო წარმოდგენას იძლევა წერილი — „ვენის გამოფენა“,[3] რომელშიც ის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნიმუშებზე საუბარს მონარქიული რეჟიმების დამხობის წინასწარმეტყველებით ამთავრებს: გამოფენა საინტერესოა, იმით, რომ „ხელმწიფეები, სხვადასხვა სახელის და ფერის, ბლომათ აპირებენ თავის მოყრას... სხვადასხვა სანახაობაში საუცხოო სანახავია: იაპონიის მიკადო, სპარსეთის შაჰი, ოსმალეთის ხონთქარი, ეგვიპტის დიდი ვეზირი, გერმანიის და სხვა მარკგრაფები და კურფიუსტები, ორიოდე იმპერატორი (იგულისხმება ალექსანდრე მეორეც. ა. კ.), იტალიის კოროლი, ტიერ-პრეზიდენტი და სხვა... ყველა ამათი ნახვა საინტერესოა, განსაკუთრებით, ამ ჩვენს დროში: ვინ იცის, გვე-

---

[1] „დროება“, 1871 წ., № 29.
[2] „დროება“, 1871 წ., № 16.
[3] „დროება“, 1873 წ., № 17.

ღირსება კიდევ თუ არა ამათი ნახვა!“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

სტატიაში ესპანეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ,[1] პუბლიცისტი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს მმართველობასა და ხალხს და ამბობს, კარგია, რომ ამადეიმ თვითონ მიატოვა სამეფო ტახტი, „სანამ ძალით თავის მამასთან [საიქიოს] გაგზავნიდნენო“.

ეროვნულ საკითხში ბეს. ჯაფარიძე თერგდალეულთა პოზიციაზე იდგა. მისი ოცნება იყო სამშობლოს განთავისუფლება და დაწინაურება. თავისი ნაწერებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით იგი ხელს უწყობდა ხალხის რევოლუციურ გათვითცნობიერებას, მის აღორძინებასა და უკეთესი მერმისის გამოსაჭედად მომზადებას, ამხელდა კაცთმოძულე წამქეზებლებსა და შუღლის მთესველთ. მისი აზრით, ერს შეუძლია იამაყოს არა თვალწარმტაცი ბუნებით, არამედ პროგრესული საზოგადოებრივი წყობილებით, სამოქალაქო თავისუფლებით, ურთიერთის დაფასებით, პატივისცემითა და სიყვარულით. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მას ვრცელი ამონაწერი მოაქვს შვეიცარიის პრეზიდენტის სიტყვიდან, რომელშიც ნათქვამია: — გვიყვარს სამშობლო და „ყველაზე მეტად გვიყვარს მისი თავისუფალი წყობილება, მისი რესპუბლიკური სიცოცხლე... მარტო სამშობლოს ბედნიერების სურვილი არ არის საკმაო, ამ ბედნიერებისათვის თვითონ უნდა ვიმუშაოთ“.[2]

ბეს. ჯაფარიძის წერილები გამსჭვალულია ეროვნული ოპტიმიზმით. იგი დასცინოდა იმათ სასოწარკვეთილებას, ვინც გაიძახოდა, „ქართული ენა ფუჭდება, ძველებური სიტყვის სიუხვე და აზრის სივრცე ეკარგება-ო“. არა! „ენა კი არა, თქვენ ეცემით!“ „ჩვენს ენას ახლა უფრო ერთგული პატრონები გამოუჩნდნენ“.[3]

ძველი თაობის წინააღმდეგაა მიმართული ბეს. ჯაფარიძის

---

[1] „დროება“, 1873 წ., № 12.

[2] „დროება“, 1874 წ., № 418.

[3] „დროება“, 1875 წ., № 121.

საინტერესო წერილი — „ჩვენი რა ბრალია?“, რომელშიც მომავლის იმედად გამოცხადებულია ხალხი.

სამეურნეო-ეკონომიურ საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიებში ბეს. ჯაფარიძე ქადაგებდა ფართო თვითმოქმედებას, მანქანა-იარაღებისა და დამუშავების ინტენსიური მეთოდების შემოღებას, ღარიბთათვის უფასო სამეურნეო განათლებას.[1]

მატერიალური ხელმოკლეობის გამო, ბეს. ჯაფარიძემ ვერ მოახერხა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება; ქეელმოქმედს, რომლის იმედითაც ის საზღვარგარეთ გაემგზავრა, დახმარების გაგრძელება აღარ შესძლებია და რადგან სხვა სახსარიც არ გამოსჩენია. იძულებული გამხდარა სამშობლოში დაბრუნებაზე ეფიქრა. 1875 წლის თებერვალში, ცოტა ხნით, პარიზს გაემგზავრა და იქ, სხვათა შორის, „დროების“ საქმეებზე ნ. ნიკოლაძეს მოეთათბირა, აპრილში კი, საბოლოოდ გამოეთხოვა ევროპას. ეტყობა, ამდენი წვალების შემდეგ, უდიპლომოდ ჩამოსვლა მაინც ეძნელებოდა და გზად ოდესაში გამოუველია დამამთავრებელი გამოცდების ჩასაბარებლად, მაგრამ ნება არ დაურთავთ.

მიუხედავად სიღარიბისა, ბესარიონს სახელმწიფო სამსახურში შესვლა არ უცდია. ამის თაობაზე ივანე მესხი წერს: „ბ. ჯაფარიძეს ერთი ძლიერ საგულისხმო დარწმუნება ჰქონდა, რომელიც თავის ამბანაგებში ხშირად გამოუთქვამს:... სამსახურს საზოგადოთ... ჩვენს ახალგაზრდობაზე მაინც თავისი გავლენა აქვს. რაც უნდა ძლიერის რწმენის, მტკიცე ხასიათის და კეთილის განზრახვის პატრონი იყოს, — ეს სამსახური, „კანცელარიაში“ ერთი ან ორი წელიწადი ტრიალი, ყმაწვილს კაცს სულითა და გულითაც დაავარდნილად ხდის, უქარწყლებს მას მის წმინდა რწმენას და ჩვრად აქცევს“.[2]

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე, ბ. ჯაფარიძე ხმის უმრავლესობით „დროების“ ხელმძღვანელ ჯგუფში აირჩიეს და 1875—1876 წლებში ამ გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი თანამ-

---

[1] „დროება“, 1873 წ., № 16, 1875 წ., № 14.

[2] „ივერია“, 1877 წ., № 44.

შრომელი გახდა. წერილებში კეკე მელიქიშვილისადმი, სერ. მესხი გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდა საიმედო მუშაკის შემომატების გამო. „ბეს. ჯაფარიძე მუდმივი თანამშრომელი იქნება გაზეთისა“, — სწერდა ის 1875 წ. 3 დეკემბერს; „უცხო ქვეყნებს ჯაფარიძე შეადგენს ხოლმე“ (1875 წ. 8 დეკემბერი); „ახლა ისევ ჩვენ: ბეს. ჯაფარიძე (პოლიტიკა), აკაკი (ფელეტონები), ჩხოტუა (რუსეთი და ნარევი) და მე დავრჩით გაზეთის მუდმივ თანამშრომლებად“ (1876 წ. 21 იანვარი).

1875-76 წლებში ბეს. ჯაფარიძე, ფაქტიურად, „დროების“ თანარედაქტორი იყო, სანამ, „რაღაც სულ უბრალო მიზეზის გამო“, — როგორც ივანე მესხი გადმოგვცემს, — იძულებული არ გახდა, რედაქციის შემადგენლობიდან გასულიყო. ი. მესხი ამ ინციდენტის მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ შენიშნავს: „ამ შემთხვევაში იგი ისე მოიქცა, როგორც იმის ადგილზე სხვა მოიქცეოდა“.

1875 წელს მოწინავე მოღვაწეებმა თბილისში დააარსეს „ქართული წიგნის გამომცემელთა საზოგადოება“, რომელსაც ბეს. ჯაფარიძე ჩაუდგა სათავეში. იმავ წლის 3 ნოემბერს, ს. მესხი კეკე მელიქიშვილს სწერდა: „ჩვენ აქ საზოგადოება შევადგინეთ, რომლის მოთავენი არიან: ბ. ღოღობერიძე, ილია ჭავჭავაძე, გ. თუმანიშვილი, ბეს. ჯაფარიძე და მე“... (გვინდა ფული მოვაგროვოთ წიგნების გამოსაცემად და გავრცელებაგასაღებაზედაც ვიზრუნოთ.) „ამჟამად ათი კაცი ვართ მოთავენი, — აცნობებდა ის 3 დეკემბერს, — ილია ჭავჭავაძე, ბეს. ღოღობერიძე, ბეს. ჯაფარიძე... (ჯერ ნ. ბარათაშვილის ლექსებს ვბეჭდავთ). ივ. მესხის ცნობით, ბეს. ჯაფარიძე „ამ საზოგადოებას სათავეში ედგა და წიგნების გამოცემაც ძლიერ მარჯვედ და კარგად მიდიოდა. იმის თბილისში მყოფობის დროს ოთხი წიგნი გამოიცა ნახევარი წლის განმავლობაში... გამოსაცემ თხზულებას ის ჰკრებდა და აძლევდა საბეჭდავში, კორექტურას ჰსინჯავდა, — დაბეჭდილს თბილისში თუ სხვა ჩვენებურს ქალაქებში და სოფლებში არიგებდა გასასყიდლად“. ბ. ჯაფარიძის რედაქციით და ხელმძღვანელობით 1876 წელს გამოვიდა: 1. „ლექსნი, თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისა-

გან". „ქართული მწერლობა". წიგნი პირველი; 2. „თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა". „ქართული მწერლობა". წიგნი მეორე (დართული აქვს ვრცელი შესავალი წერილი — „გამომცემლობისაგან", რომელიც ბეს. ჯაფარიძეს ეკუთვნის); 3. ქართული ანდაზები" (შეკრებილი პეტრე უმიკაშვილისაგან). „ქართული მწერლობა". წიგნი მეოთხე.

ჩვენში ეს საამხანაგო საზოგადოების მიერ მხატვრული ლიტერატურის ძეგლთა სერიული გამოცემის პირველი შემთხვევა იყო და, უდავოდ, კარგ ნაყოფს გამოიღებდა, ბეს. ჯაფარიძეს რომ იმ დროს სხვა საქმე არ გამოსჩენოდა და თბილისიდან არ წასულიყო.

1876 წლის მაისში „დროების" გარშემო შემოკრებილმა ახალთაობამ იგი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დირექტორად დაასახელა და საზოგადოებამაც დიდი ნდობა გამოუცხადა ახალგაზრდა მოღვაწეს („ბეს. ჯაფარიძე ქუთაისის ბანკში დირექტორად მიდის და" [ივანეც თან მიჰყავსო], — სწერდა ს. მესხი 21 მაისს კეკე მელიქიშვილს).

იმავე დროს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომელმაც მიზნად დაისახა ახალი გაზეთის გამოცემა (და ერთი წლის შემდეგ, კიდეც დააარსა „ივერია"); ბეს. ჯაფარიძე ამ წრის ერთ-ერთი მეთაური იყო. როგორც ს. მესხის ერთი წერილიდან ირკვევა, ილიას, 1876 წლის ივნისში, ბესარიონი „ივერიის" გამოცემის საორგანიზაციო თათბირზე მიუწვევია. იქ „ახალი რედაქტორებისათვის" კენჭი უყრიათ და ბესარიონს 10 ხმა მიუღია, ერთხმად ამოურჩევიათ (1876 წ. 7 ივნისი).

როგორც „ივერიის" მუდმივ თანამშრომელსა და თანარედაქტორს, უნდოდა, მიეტოვებინა ბანკი და თბილისში გადმოსულიყო, მაგრამ ვერ მოესწრო.

1877 წლის 9 დეკემბერს ბესარიონი სამკურნალოდ თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც მალე გარდაიცვალა.

პროგრესულ ქართველ მოაზროვნეთა კრებულს უდროოდ გამოაკლდა ნიჭიერი, ღრმად განათლებული პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

ივანე მესხი, „ივერიაში“ დაბეჭდილ ნეკროლოგს ასე ამთავრებს: „ბ. ჯაფარიძე, როგორც კაცი-ადამიანიც, ხელით სათითებელი იყო. განსვენებული იყო რაჭველი და როგორც რაჭველი — იყო პატიოსანი, გულღია, მართალი, ბეჯითი, მეტისმეტი კეთილი, წყნარი და ამხანაგობაში გამტანი. დაუფასებელი კაცი იყო“.[1]

[1] „ივერია“, 1877 წ., № 44.

დავით ჩხოტუა

70-იანი წლების გამოჩენილმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა დავით ჩხოტუამ „კრებულის“ 1873 წლის მეათე ნომერში გამოაქვეყნა ისტორიული ნარკვევი — „იოანე ჰუსი“.

დავითი 1849 წელს დაიბადა სოფელ საბერიოში. იგი აფხაზეთის სამთავროს კარზე დიდად მიღებული თავადის, ზურაბ ჩხოტუას უფროსი ვაჟი იყო.

მდიდარ მემამულეს, რუსეთის არმიის გენერალს — ზურაბ ჩხოტუას, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის შვილების აღზრდა ჰქონდა მინდობილი და პატარა დავითიც მთავრის სასახლეში იზრდებოდა თანატოლ გიორგისთან ერთად.

როგორც საკუთარ, ისე მთავრის შვილებს, სახელოვანი აფხაზი ქართული სულისკვეთებით ზრდიდა და კიდეც შესძინა ჩვენს კულტურას ორი თავდადებული პატრიოტი მოღვაწე — გიორგი შერვაშიძე და დავით ჩხოტუა.

ზურაბი ქართულ ეროვნულ საქმეებშიც მხურვალედ მონაწილეობდა და, სხვათა შორის, 1891 წელს ახალგახსნილი სკოლისათვის მიწის ნაკვეთიც გადაუცია საბერიოში.[1]

დავითის პირველი მასწავლებელი იყო დედა (დადიანის ასული), რომელიც ხმამაღლა უკითხავდა „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ქართულ წიგნებს, აცნობდა სამშობლოს წარსულს და გულში უნერგავდა საქართველოს სიყვარულს.

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს დავითის თანაკლასელები და მეგობრები იყვნენ: გიორგი ჭალადიდელი, ივანე მესხი, ბესარიონ ჯაფარიძე, ვლადიმერ ნიკოლაძე და, ცხადია, აქ წრეში კიდევ უფრო გაუღვივდა ეროვნული მოღვაწეობის ინტერესი.

---

[1] „ივერია“, 1891 წ., № 99.

1869 წელს დ. ჩხოტუამ წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და, ერთხანს, მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა, გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ამ მიზნით, მან, ერთმა პირველთაგანმა, განიზრახა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის ჩამოყალიბება. 1869 წლის 17 მაისს ს. მესხი სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „სტატია ვერეშჩაგინის არტელებზე, მგონი, შესანიშნავია ჩვენთვის. ამ საქმეზე ღირს მოლაპარაკება; ერთ ყმაწვილ აფხაზის მებატონეს უნდა ამისთანა ამხანაგობა გამართოს აფხაზეთში“.

მაგრამ, იმავე წლის შემოდგომაზე დავითი გიორგი შერვაშიძესთან გაემგზავრა ოდესაში და იქაური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. გიორგი შერვაშიძეს ცოლად ჰყავდა ელენე ანდრეევსკაია (დედით თუმანიშვილი), დავითიც მათ ოჯახში ცხოვრობდა და დაახლოებული იყო ოდესის რჩეულ საზოგადოებასთან.

როგორც „დროების“ კორესპონდენტი, დ. ჩხოტუა სისტემატურად გზავნიდა საბუნებისმეტყველო-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ხასიათის წერილებს, რომლებმაც ყურადღება მიიქცია ლაღი სასაუბრო ენითა და საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით. განსაკუთრებით საინტერესოა 1870 წელს „სასოფლო გაზეთსა“ (№ 2, 3) და 1871 წელს „დროებაში“ (№ 7, 8, 9, 10) დაბეჭდილი ვრცელი სტატიები: „მიწის ისტორია ან გეოლოგია“ და „საჭმლის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში“.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული თემების მეცნიერული გაშუქებით, ავტორი ხელს უწყობდა სამყაროზე მატერიალისტური თვალსაზრისის გავრცელებას და ახალი სპეციალური გამოთქმებით ამდიდრებდა ენას („კუჭის წვენი“, „თორმეტგოჯა ნაწლავი“ და ა. შ.), იგი პატრიოტულ მიმართულებას აძლევდა წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობას. წერილში დ. ჩხოტუა კონკრეტული ანალიზით აცამტვერებს ცრუმეცნიერთა მტკიცებას, თითქოს, ზოგიერთი ხალხი, კერძოდ ქართველები, კვების თავისებურების გამო, გონებრივად ჩამორჩენილი იყვნენ და, ამიტომ, არ შეეძლოთ მისწვდომოდნენ საკაცობრიო კულტურის მონაპოვარს.

ასევე, პატრიოტული სულისკვეთებითა და ღრმა ანალიზით გამოირჩევა დ. ჩხოტუას „ტყიბულის თაობაზე“, რომელიც მოწინავედ დაიბეჭდა „დროების“ 1871 წლის 35-ე ნომერში. დასაწყისში, პუბლიცისტი აღშფოთებას გამოთქვამს, რომ ტყიბულელმა მემამულეებმა — აგიაშვილებმა და კანდელაკებმა, ქვანახშირით მდიდარი ადგილები კატრის ფასად მიჰყიდეს ვინმე ნოვოსელსკის. შემდეგ, დამაჯერებლად განუმარტავს საზოგადოებას, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალს დროში წიაღისეულ სიმდიდრეებს. განსაკუთრებით ქვანახშირს. და გონებამახვილური ანალოგიებით ცხადყოფს ტყიბულის საბადოების ღირებულებას. ამ წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა; ნ. ნიკოლაძე მას ვრცელი სტატიითაც გაეპასუხა „დროებაში“.

მეტად ორიგინალურად არის გააზრებული და ხორცშესხმული დ. ჩხოტუას მოწინავე სტატია: „განათლებაზედ“ („დროება“, 1870 წ. № 28), რომელიც ქართული ანდაზით იწყება: „სტუმარი წყალს ვერ მიაგნებს, თუ მასპინძელი არ ჩაუძღვაო“. ხალხის განათლება ავტორს ახალთაობის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია. ამ დიდ სახალხო საქმეში საზოგადოება თავად-აზნაურობასა და ხელისუფლებას ვერ მიენდობა, რადგან „ხალხის განათლება მათთვის პურისა და პატივის მოკლებას ნიშნავს;“ „ისინი განათლებას ისე უყურებენ, როგორც უწინ ყმებს უყურებდნენ“. ბატონყმობის გაუქმებამ თავად-აზნაურობას ვერაფერი ასწავლა. პირიქით, ბევრს კიდეც გაუღრმავა წოდებრივი ფანატიზმი. „რას მოგწონს, ყმაწვილო თავი, — ეუბნებიან ისინი დაბალი წრიდან გამოსულ განათლებულ თანამემამულეს. — შენისთანა ორმოცი ფეხისმბანელი მყავს“.

დ. ჩხოტუა ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოდ თელის აღზრდისა და განათლების არსებულ სისტემას. ახლანდელ სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდებს — ამბობს ის, — „არათუ არ გახსნიათ აზრი, არამედ ის ნიჭიც დაუკარგავთ, რომელიც შესვლის დროს ჰქონდათ... იმათ არ შეუძლიათ რუსულად ან ქართულად, თუნდაც ერთი აზრიანი წინადადება გამოთქვან“. ამ წერილის ღირსება ის არის, რომ მასში ნაჩვენებია აღზრდა-

განათლების უშუალო კავშირი ხალხის ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან; ახალთაობამ მიზანშეწონილად უნდა გამოიყენოს „ლიტერატურა, როგორც საშუალება თავისი აზრის გავრცელებისა", — წინააღმდეგ შემთხვევაში, — „ლიტერატურის შრომა დარჩება ფუჭად". აქვე, დ. ჩხოტუამ მწვავედ დააყენა ქართული ენის უფლების საკითხი სკოლასა და საზოგადოებაში.

1873 წელს გ. შერვაშიძე პეტერბურგს გადავიდა საცხოვრებლად, დავით ჩხოტუა თან გაჰყვა და პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

1872—1874 წლებში იგი პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო; მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის მეთაურებთან და აქტიურად თანამშრომლობდა „დროებაში".

ცნობილია, რომ ს. მესხმა საზღვარგარეთ გამგზავრებამდე სთხოვა დ. ჩხოტუას „დროების" მუდმივი თანამშრომლობა. 1874 წელს დ. ჩხოტუამ უნივერსიტეტი დაამთავრა და შეიმოდგომაზე თბილისს დაბრუნდა. აქ გ. შერვაშიძემ თავისი მამულების (ყოფ. ანდრეევსკის მამულები) მმართველად დანიშნა და ისიც სიამოვნებით დათანხმდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი სიცოცხლე ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადო მოღვაწეობისათვის მიეძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პროგრესული ინტელიგენცია აღტაცებით შეხვდა ნიჭიერ, განათლებულ, მგზნებარე ჭაბუკს, რომელსაც პირველი დღეებიდანვე ქართული ფიქრისა და აზრის მპყრობელთა წრეში ვხედავთ.

„გუშინ აქ. რედაქციაში, კრება გვქონდა, — სწერდა ს. მესხი კეკე მელიქიშვილს 1875 წლის 3 დეკემბერს, — ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ბეს. ღოღობერიძე,... დ. ჩხოტუა". კრებაზე გაზეთის გაუმჯობესების ღონისძიებანი განუხილავთ და რედაქციის ახალი ძალებით შევსება გადაუწყვეტიათ. ამის თაობაზე ს. მესხის იმდროინდელ წერილებში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით: „ჩხოტუა მუდმივი თანამშრომელი იქნება

გაზეთისა"; „მოწინავე წერილებს ილია ჭავჭავაძე, ჯაფარიძე ან ჩხოტუა შეადგენს"; „რუსეთსა და ნარევს — ჩხოტუა უხელმძღვანელებს"; „ახლა ისევ ჩვენ, ბეს. ჯაფარიძე (პოლიტიკა), აკაკი (ფელეტონები), ჩხოტუა (რუსეთი და ნარევი) და მე დავრჩით გაზეთის მუდმივ თანამშრომლებად".

ს. მესხის 1876 წლის 7 ივნისის წერილიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ კრებაზე, სარედაქციო კოლეგიის წევრობის კანდიდატებად (თანარედაქტორებად) წამოუყენებიათ: ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩხოტუა, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, ბეს. ღოღობერიძე, ნ. ღოღობერიძე და ამათგან, ფარული კენჭისყრით პირველი ოთხი ამოურჩევიათ.

ივანე მესხის სიტყვით, 1875—76 წლებში „დროებას" სამი მუდმივი თანამშრომელი ჰყავდა. ერთი თვით რედაქტორი იყო, მეორე — ბეს. ჯაფარიძე და მესამე — დავით ჩხოტუა.[1]

პოლიტიკური რადიკალიზმის გამო, ცენზურა ეჭვით ეკიდებოდა დ. ჩხოტუას წერილებს და, უნდა ითქვას, საკმაო საფუძველიც გააჩნდა ამ უნდობლობისათვის. ახალგაზრდა პუბლიცისტი გაბედულად ამხელდა თვითმპყრობელობის სიმახინჯეს, კოლონიურ რეჟიმს, საგლეხო რეფორმის თვალთმაქცობას. რადგან გლეხს მიწა არ მისცეს, ფაქტიურად, ის კვლავ მემამულეზეა დამოკიდებული, — წერდა დ. ჩხოტუა „შესანიშნავი შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში ყმების განთავისუფლება, — ვკითხულობთ ერთ მის წერილში, — ამ დროიდან მოეღო ბოლო ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ (ხაზი ჩვენია. ა. კ.) ჩვენს ქვეყანაში მონებას".[2]

გადმოგვიშლის რა ხალხის აუტანელი ცხოვრების სურათებს, ავტორი კითხულობს: „ხედავთ თუ არა, სად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ამ მოტრიალებულ ჩარხს?" შეიძლებოდა, ცოტა მაინც სწავლა-განათლების იმედი გვქონოდა, განსაკუთრებით, „სამეურნეო და სახელოსნო სკოლებისა", მაგრამ ისიც ხელმიუწვდომელია ჩვენთვის, რადგან, სიღარიბის გამო, ხალხს

---

[1] „ივერია", 1877, № 44.

[2] „დროება", 1870, № 45. „რა მოელის ამგვარს ჩვენს ცხოვრებას?".

სწავლის საშუალება არ აქვს და კიდეც რომ ჰქონდეს, თუ მშობლიურ ენაზე არ ასწავლიან, მაინც არაფერი გამოვა.

სტატიაში — „უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის გახსნაზე“,[1] დ. ჩხოტუამ მეცნიერულად დაასაბუთა მშობლიური ენის მნიშვნელობა ერის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებაში.

ავტორის შეხედულებანი ენის წარმოშობასა და განვითარებაზე, აზროვნებასთან მის კავშირზე და, აქედან გამომდინარე, დედაენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, იმ დროისათვის ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. „ხალხის ტვინი არის განვითარებული შესაბამ იმ სიბრძნისა, — ნათქვამია აღნიშნულ სტატიაში, — რომელიც გამოიხატება მის ენაში. ანუ ხალხის ენა არის გამომხატველი მისი ჯონებითი განვითარებისა. ენა არის შედეგი ხალხის ცხოვრებისა... ყოველი მოდგმის და ყოველი საუკუნის შემდეგ ხალხის ენა მდიდრდება... ამის გამო, ენის სიმდიდრე გვიჩვენებს ჩვენ მისი აზრის სიმდიდრეს. რაც უფრო ღარიბია ხალხის ენა სიტყვებით, ისე უფრო ღარიბია ზნეობითი და გონებითი განვითარება... ენა იზრდება, როგორც ხალხი... რაც უფრო დაწინაურებულია ხალხი თავის ცხოვრებაში, ისე უფრო მდიდარია მისი ენა აბსტრაქტული სიტყვებით,... (ამიტომ)... უცხო ენაზედ განათლების მიღება ანუ ჭეშმარიტად აზრის გახსნა არს შეუძლებელი ხალხისათვის, თუ ჯერ თავის მშობლიური ენა არ შეუსწავლია კარგად“.

დ. ჩხოტუა ეთნოგრაფიულ გამოკვლევებსაც აქვეყნებდა „დროებაში“. ძალიან საინტერესოა მისი „ორი ჩვეულება აფხაზეთში“.[2] რომელშიც დახასიათებულია „გამზრდელობა“ და „სტუმარ-მასპინძლობა“.

ამ წერილის მიხედვით, დ. ჩხოტუა თავისი დროის კარგად განსწავლულ ეთნოგრაფად წარმოგვიდგება, რომელსაც უნარი შესწევს ყოფა-ცხოვრების მოვლენებს შორეული ფესვები გამოუძებნოს და მათი დასაბუთებული ახსნაც მოგვცეს. „ჩვე-

---

[1] „დროება“, 1870 წ., № 37.

[2] „დროება“, 1872 წ., № 30, 31.

ულება არის ხალხის ან კერძო პირის ცხოვრების შედეგი“.— აბობს ის. -- კვალი, რომელშიც აღბეჭდილია წარსული ცხოვრების პირობები“ (ამიტომ მათი შესწავლა აუცილებელია), „რათა წარმოვიდგინოთ წარსული, რომელიც შთანთქმულია საუკუნეთა სიღრმეში“.

დ. ჩხოტუას ყველა წერილი მრავალპრობლემურია. ერთდროულად, ის რამდენიმე საკითხს განიხილავს, მაგრამ ხალხის სოციალური ცხოვრება მუდამ ყურადღების ცენტრში დგას. მაშინაც კი, როცა მშობლიური ენის როლზე წერს, მშრომელი და უსაქმური კაცის ხელს ერთმანეთს ადარებს და დასძენს, უსაქმო კაცის ხელი შეჩვეულია «თბილად და თეთრად იცხოვროს საწყალ მუშახელების ოფლითო“. ქართველი ერის ისტორიული ავბედობის მიზეზადაც გაბატონებული წრეების წოდებრივ სიხარბესა და შინაურ შუღლს თელის. „საქართველოს მუდამ ჰყავდა ასი მეფე, ათასი მთავარი, ლეგიონი თავადებისა, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტვინი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასა“.[1]

დ. ჩხოტუას პუბლიცისტურ ნაწერებში აშკარად გაისმის ბრძოლისაკენ მოწოდების ხმა. მას სჯერა ხალხის გამარჯვება, სჯერა უკეთესი მერმისი და ერთ წერილს ასეთი მგზნებარე ოპტიმისტური შეძახილით ამთავრებს: „სანატრელი დღის მოახლოება ჩვენზედვე არის დამოკიდებული, ვებრძოლოთ ხალხის დამჩაგვრელ მიზეზს, წინ აღვუდგეთ მხნედ ბოროტებასა და ეჭვი არ არის, ვნახავთ გამარჯვების დღეს“.[2]

გამორჩეული პუბლიცისტური მანერა, მკითხველთან გასაუბრების ინტიმურობა დიდ დამაჯერებლობას აძლევს დ. ჩხოტუას წერილებს. ესაუბრება რა მკითხველს სამშობლოს მომავალზე, ერთ სტატიაში, პუბლიცისტი ჯერ აყალიბებს ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებაში გავრცელებულ თვალსაზრისს და დასძენს: „ღმერთმა ქნას!“ შემდეგ, იმავე საკითხზე საკუთარი შეხედულების დასაბუთებას იწყებს გამოთქმით: „მაგრამ ვნახოთ!“ თემისა და მიზანდასახულობის შესაბამი-

---

[1] „დროება“, 1872 წ. № 30.

[2] „დროება“, 1872 წ. № 39.

სად, ყველა მის წერილს გასაუბრების შესაფერი მანერა აქვს გამონახული. ამით უნდა აიხსნას, რომ იმ დროის ქართულ ჟურნალისტიკაში, რომელიც არც თუ ისე ღარიბი იყო პუბლიცისტებით. დ. ჩხოტუამ ერთბაშად მოიხვეჭა სახელი. როცა გაზეთის ახალ რედაქტორებს კენჭი უყარეს: ი. ჭავჭავაძემ 15 ხმა მიიღო, ს. მესხმა — 10, ბეს. ჯაფარიძემ — 10, დ. ჩხოტუამ —10. ნ. ნიკოლაძემ — 6, აკაკიმ — 4, ბეს. ღოღობერიძემ — 1.

დ. ჩხოტუა ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემელი იყო და როცა ილია „ივერიის“ გამოცემას შეუდგა, მუდმივი თანამშრომლობა აღუთქვა მას[1].

მაგრამ თვითმპყრობელობას უკვე აღემართა მასზე შურისძიების მახვილი და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. 1877 წელს საბაბიც გამოუჩნდა.

ვორონცოვის ყოფილმა ექიმმა, მდიდარმა მემამულემ ანდრეევსკიმ, მთელი ქონება თავის ორ ქალიშვილს — ელენესა (გ. შერვაშიძის მეუღლეს) და ნინოს უანდერძა. ამ ანდერძის საფუძველზე მამულების გასაყოფად, 1876 წლის ზაფხულში, გ. შერვაშიძესთან ერთად, ოდესიდან თბილისს ჩამოვიდნენ მისი სიდედრი (ანდრეევსკის ქვრივი) და ცოლისდა — ნინო ანდრეევსკაია. ქონება გაჰყვეს და წილისყრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ანდრეევსკები დროებით გ. შერვაშიძის სახლში დაბინავდნენ, მტკვრის პირას, 22 ივლისს. ღამით. ე. ი. სწორედ იმ დღეს, როცა მამულების გაყოფა დამთავრდა, ნინო ანდრეევსკაია, მეტად ახირებული და თამამი ქალიშვილი, ჩუმად მტკვარში საბანაოდ წავიდა და დაიხრჩო.

მეფისნაცვალმა მიხეილმა, რომელსაც ეზიზღებოდა აფხაზეთის მთავრის უკანასკნელი მემკვიდრე გიორგი შერვაშიძე, გადაწყვიტა, ეს შემთხვევა მისი და მისი ერთგული პირების გასანადგურებლად გამოეყენებინა და სათანადო მითითება მისცა პოლიციას. რამდენიმე დღის შემდეგ დააპატიმრეს შერვაშიძის ძიძიშვილი და მამულების მმართველი დავით ჩხოტუა, მისი ძმა ნიკო ჩხოტუა და შინამოსამსახურეები: პეტრე გაბი-

---

[1] ს. მესხი, თხზ. ტ. 1, გვ. 395.

ონია, ზურაბ ქორიძე და ივანე მგელაძე. სრულიად უსაბუთოდ მათ ბრალი დასდეს ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობაში. პოლიციის სამმართველომ წინასწარ შეადგინა საბრალდებულო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, დავით ჩხოტუამ, თითქოს, თვითონ დაახრჩო ქალიშვილი, შემდეგ კი, მოსამსახურეთა დახმარებით, მისი გვამი მტკვარში ჩააგდო და კვალის დასაფარავად, ვითომ, ბანაობის დროს დახრჩობის სიმულაცია მოაწყო, — ქალის ტანსაცმელი იქვე მდინარის პირას დაალაგა.

პოლიციის გამომძიებლებმა ჯერ ათასგვარი დაპირებით სცადეს მოწმეების მოსყიდვა, ხოლო როცა ეს არ მოხერხდა, ისეთი მხეცური საშუალებებით დაიწყეს დაპატიმრებულთა დაკითხვა, რომ ზურაბ ქორიძე და ივანე მგელაძე, რომელთაც ყალბი ჩვენებები გამოსძალეს, გამოძიების დროს წამებით დაიხოცნენ.

მთავრობას შერჩა მხოლოდ პოლიციელი ოფიცრებისა და მეფისნაცვლის დაპირებებით მოსყიდული ორი-სამი გარეშე პირის (სისხლის სამართლის დამნაშავეთა) ცილისმწამებლური ჩვენებები, ამიტომ, გიორგი შერვაშიძეს ხელი ვეღარ ახლეს და მთელი ჯავრი დავით ჩხოტუაზე ამოიყარეს.

სასამართლო პროცესი ორი წლის შემდეგ, 1878 წლის ზაფხულში მოეწყო და ხელისუფლებამ მას არაჩვეულებრივად სენსაციური ხასიათი მისცა. შეეცადნენ სახელი გაეტეხათ მოწინავე, პროგრესული მოღვაწეებისათვის და შავრაზმული გაზეთები ნიშნისმოგებით წერდნენ უმაღლესი განათლების მქონე ქართველ ჟურნალისტზე, რომელმაც, თითქოს, საკუთარი ხელით დაახრჩო ქალიშვილი.

მოწმეთა მიმართ არნახული ძალმომრეობის მიუხედავად, სასამართლო პროცესზე ყველასათვის აშკარა გახდა ამ საქმის პროვოკაციული ხასიათი. მოწმე ბარბარე თუმანოვისამ — პირდაპირ განაცხადა, რომ მოსამართლეები ძალას მატანდნენ, ჩხოტუას წინააღმდეგ ილაპარაკეო. მე მას კარგად ვიცნობ, ის მშვენიერი ახალგაზრდაა, ეს „ყველაფერი ჰორია და საქმეც მთლად ჰორზედ არის დამყარებულიო“. ნინო ჩემი ნათესავი იყო და დარწმუნებული ვარ, ბანაობის დროს დაიხრჩოო.

მოწმედ დასახელებულმა ტუსაღმა მუსსა-იზმაილ-ოღლიმ რომელზედაც პოლიცია დიდ იმედს ამყარებდა, თქვა: „პოლიციის ოფიცერი ლოლაძე შემოვიდა ჩემთან ციხის საავადმყოფოში, სადაც მე, წერეთელი და პეტრე გაბისონია ვიწევით და მითხრა, თუ გაბისონიას გასტეხ, ველიკი კნიაზი დანიშაულს გაპატიებსო“. მე ვუთხარი, თუ არ დამაფიცებენ რასაც მეტყვით, იმას გავიმეორებ-მეთქი, მაგრამ, რადგან ახლა (ვექილების მოთხოვნით) დამაფიცეს, ალაჰის წინაშე ტყუილის თქმა აღარ შემიძლიაო. სასამართლო იძულებული გახდა, არ მიეღო უკვე გარდაცვლილი ქორიძისა და მგელაძის ჩვენებებიც, რადგანაც ადვოკატმა კოლა ორბელიანმა ცხადყო, როგორი ბარბაროსული ხერხებით გამოსტაცა ის პოლიციელმა ლოლაძემ პატიმრებს.

მეთევზეებმაც, რომლებმაც ნინო ანდრეევსკაიას გვამი აღმოაჩინეს, დაბეჯითებით განაცხადეს, რომ მას არავითარი ძალმომრეობის ნიშანკვალი არ ეტყობოდა და ქალიშვილობრმა შემთხვევის მსხვერპლი იყო.

მოწმედ მოწვეულმა სერგეი მესხმა და პეტრე უმიკაშვილმა კარგად დაახასიათეს ბრალდებული და უარყვეს პოლიციის მიერ გავრცელებული ჭორები.

არ ჩიოდა დაზარალებულის დედაც.

ჩხოტუების გამართლებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მაგრამ თვითმპყრობელობის „მართლმსაჯულებამ“ საკმარისად მიიჩნია პოლიციის პოლკოვნიკ ბელიკის, უბნის მოსამართლე წინამძღვროვის, პოლიციელ მელიქ ბეგლაროვის ეჭვები, აგრეთვე, მთავრობის საექიმო კომისიის დასკვნა, რომ ნინო ანდრეევსკაია მოკლული იყო და დავით ჩხოტუა მკვლელად სცნო. მას ყოველგვარი ღირსება აჰყარეს და სამუდამო კატორღა მიუსაჯეს.

1879 წელს ეს საქმე სენატმა განიხილა, სადაც გამოჩენილმა ადვოკატმა, მწერალმა სპასოვიჩმა და სასამართლო მედიცინის პროფესორმა ნიკიტინმა ეჭვშეუვალად დაასაბუთეს დ. ჩხოტუას უდანაშაულობა, რომ ნინო ანდრეევსკაია ნამდვილად ბანაობის დროს დაიხრჩო. სპასოვიჩმა სასამართლოს მოსთხოვა მოტივი — რა მიზეზით შეიძლებოდა, დავით ჩხო-

ტუას მოეკლა ნინო ადრეევსკაიაო, და, როცა მოტივი ვერ დაუსახელეს, — გაბედულად განაცხადა, XIX საუკუნეში ასეთი ბარბაროსული პროცესი უპრეცედენტოაო. აღსანიშნავია, რომ დ. ჩხოტუას დასაცავად წარმოთქმული სიტყვა სპასოვიჩმა, 15 წლის შემდეგ, თავის რჩეულ ლიტერატურულ ნაწერთა კრებულში შეიტანა, სადაც, სხვათა შორის, შენიშნავდა, დღემდე მოსვენებას არ მაძლევს ამ უდანაშაულოდ დაღუპული ახალგაზრდის ტრაგედიაო.

მთელი საზოგადოება გრძნობდა, რომ ბრალდება დ. ჩხოტუასთან და, საერთოდ, ადგილობრივ პროგრესულ ინტელიგენციასთან პოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის იყო შეთითხნილი (საგულისხმოა, რომ ნიკო ჩხოტუაც კი, რომელიც შერვაშიძის სახლში განუყრელად თავის უფროს ძმასთან იყო და საქმეში მთავარ თანამონაწილედ გადიოდა, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, გაანთავისუფლეს).

„ივერია“ და „დროება“ ფართოდ აშუქებდნენ საქმის მსვლელობას, ცდილობდნენ ემხილებინათ მეფის მოხელეთა ბინძური შეთქმულება და მისი პოლიტიკური ხასიათი.

„დროების“ სასამართლო პროცესის რეპორტაჟში[1] ნათქვამია, რომ მთელი საზოგადოება დავ. ჩხოტუას თანაუგრძნობდა და მოუთმენლად მოელოდა დარბაზში მის შემოყვანას. „მაგრამ არავითარი განსაკუთრებული შეხაბეჭდილება არ მოუხდენია. ვისაც ადრე ენახა, ამბობდა, რომ იმაში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო. ის შემოვიდა თამამად, თითქოს აქ არა არის რაო. თითქო, სრულებით ბრალდებულად არ გრძნობს თავის თავსო. ის არის 29 წლის ყმაწვილი კაცი, შავ თვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშიანი, შავი გრძელი თმა დიაკვანივით ჩამოუშვია უკან. „მე ჩემს თავს არ ვაღიარებ დამნაშავედ და არავითარ დანაშაულს ამ საქმეში არ ვხედავო“. — გაცხარებით თქვა დ. ჩხოტუამ და მომეტებულის მღელვარებისაგან სტოლზე მუშტი დაარტყა“.

როცა პოლიცმეისტერმა, პოლკოვნიკმა ბელიკმა თავისი სიტყვა დაასრულა, დ. ჩხოტუამ თქვა: „თუ ერთი სიტყვა ან

[1] „დროება“, 1878 წ. № 42.

ერთი გარემოება მართალი გამოდგება, რაც აქ ბელიკმა ილაპარაკა, მაშინ რაც გერჩიოსთ, ის მიყავითო".

„არავითარი უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ დავით ჩხოტუა ერია ამ საქმეში. რომ იმან ჩაიდინა ეს საქმე", — წერდა ს. მესხი.[1]

„დავით ჩხოტუა, რომლის ბედის ჩარხიც ასე უკუღმართად დატრიალდა ამ უკანასკნელს დროს, „დროების" ერთ-ერთი ბურჯი იყოო", — მწუხარებით მოთქვამდა მისი განუყრელი მეგობარი ივანე მესხი.

„ივერიის" ათამდე კრცელ ფელეტონში[2] ნათლად ჩანს ახალგაზრდა მოღვაწის ალალმართლობა და გამომჟაღვნებულია პოლიციისა და ხელისუფლების ვერაგობა. დავით ჩხოტუას საბუთები მართალია, იგი უდანაშაულოა. — ეკითხულობთ აქ.

სხვათა შორის, როცა სასამართლო პროცესზე დამსწრე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეუმჩნევიათ, რომ მოსყიდული თარჯიმნები დამახინჯებულად თარგმნიდნენ მოწმეთა ჩვენებებს, მათი მოთხოვნით, თარჯიმნობა დავით ერისთავს უკისრია...

მაგრამ პოლიტიკური შურისძიების კლანჭებისაგან დავით ჩხოტუა ვერ დაიხსნა ვერც მისმა სიმართლემ, ვერც მეგობრებისა და საზოგადოების მხურვალე მხარდაჭერამ. 29 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა ვერაგულად მოჰგლიჯეს ეროვნული მოღვაწეობის ასპარეზს, ქართულ ჟურნალისტიკას. 25 წელი გაატარა მან ბორკილებში და მხოლოდ 1906 წელს დაბრუნდა სამშობლოში, ამნისტიით; დაბრუნდა მძიმედ დაავადებული, გატეხილი, სამოც წელს მიწევნილი. მას შემდეგ, უმთავრესად, მშობლიურ სოფელ საბერიოში ცხოვრობდა და იშვიათად თუ ჩამოაკითხავდა თბილისს.

ყოველივე ამის მიუხედავად, დავ. ჩხოტუას მაინც არ დაუკარგავს მხნეობა, პატრიოტული სულისკვეთება და ლიტერატურულ-მეცნიერული ინტერესი. 1913 წელს მან ჟურნალ

---

[1] „დროება", 1876, № 43.

[2] „ივერია", 1878 წ., № 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 47.

„განათლებაში“ (№ 8) საყურადღებო ენათმეცნიერული გამოკვლევა დაბეჭდა ქართული ენის შესახებ. იმავე ხანებში საჯარო ლექციებსაც კითხულობდა „ვეფხისტყაოსანზე“ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კაპიტალურ ნაშრომს ამზადებდა რუსთაველის შემოქმედებაზე („Герой поэмы Руставели и их мировоззрение»).[1]

დ. ჩხოტუა გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 1929 წ. ივლისში. დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ საბერიოში. მის მდიდარ არქივს დაკარგულად თვლიან.[2]

---

1 იხ. აკადემიკოს ს. ჯანაშიას წერილი „ოპალისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“, 1936 წ. I. გ. იმედაშვილი, „რუსთველოლოგია“, 1941 წ., გვ. 154, 158.

2 ს ო ლ. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, 1962 წ., გვ. 82.

დიმიტრი ყაზბეგი

1872 წელს „კრებულის“ უკანასკნელ (№ 10—11—12) ნომერში „დ. ყ.“-ს ინიციალებით დაბეჭდილმა პატარა მოთხრობამ — „მავნე სულები“, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა სერიოზულად მიახედა დარიალის ხეობისაკენ, აგრძნობინა რაღაც ახალი სუნთქვა, უჩვეულო რამ სურნელი და კოლორიტი. სერგეი მესხმა კარგა ვრცლად განიხილა ეს ნაწარმოები და უდავოდ საერთო თვალსაზრისი გამოხატა თავის რეცენზიაში:[1] „პირველი ალაგი პროზაულ სტატიებში უფ. დ. ყ-ის „მავნე სულებს“ უჭირავს (ჩვენ ვამბობთ ბეჭდვის რიგობაზე და არა ღირსებაზე). „მავნე სულები“ გახლავთ ერთი სურათი, ანუ, როგორც თვითონ ავტორი არქმევს „ამბავი მოხევეთა ცხოვრებისაგან“. ამ პაწაწკინა მოთხრობაში ცხოვლათ გამოხატულია უბრალო და არა ხელოვნური კალმით მთიული მოხევეების გონებითი ძალა და ცრუმორწმუნეობა. მოთხრობის კითხვის დროს მკითხველს ნათლად წარმოუდგება თვალწინ კერიას ირგვლივ შემომჯდარი მოხევეები, რომელნიც შიშითა და კრძალვით ლაპარაკობენ თუ „წმინდა გივარგიზე“, თუ „დევზე“ და თუ სხვა მავნე სულებზე. ჩვენ გაგვიგონია, რომ ავტორს ამგვარი მოხევეების ცხოვრებიდამა ძალიან ბევრი რამ აქვს დაწერილი და ამიტომ ვაცხადებთ სურვილს, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ეს სურათები დაებეჭდა. ჩვენის აზრით, ამგვარი ამბავებით ჩვენ უფრო უკეთ გავიცნობთ მთიულების გონების გახსნილობასა და იმათ ცხოვრებას, ვიდრე დიდრონი ტომების აღწერითა და გამოკვლევით“.

---

[1] „დროება“, 1873 წ. № 13.

მოთხრობა ძალიან მოსწონებია ნიკო ნიკოლაძესაც. ათეულ წლების შემდეგ ის იგონებდა: „1872 წელს, როცა „კრებულს" ვეცემდი, პ. უმიკაშვილმა გადმომცა დიმიტრი ყაზბეგის ნაწერი მოხევეების ცხოვრებიდამ, შესანიშნავი უფრო ენით. ეს ნაწერი მაშინვე დავბეჭდეთ, რასაკვირველია. მითხრეს მაშინ, დიმიტრის ბევრი ასეთი ნაწერი აქვსო; ვეცადე მათი მიღება, მაგრამ ვერ მოვახერხე".

ამ თხზულებას ყველაზე ადრე დაუინტერესებია თვით პეტრე უმიკაშვილი, რომლისთვისაც ის ავტორის ძმას — ფიდო ყაზბეგს გადაუცია. მართალია, მათ, მწერლის თანხმობა არა ჰქონიათ, მაგრამ პეტრეს მაინც წაუღია დასაბეჭდად. „სახელი არ დაერქვა დიმიტრისა და მე მოვნათლე, დავარქვი „მავნე სულები". შემდეგ დიმიტრიმ მომიწონა, კარგი სახელი მიგიციაო"... — წერს პ. უმიკაშვილი. იგი ისე მოუხიბლავს ამ მოთხრობას, რომ „კრებულიდან" თავის „სასოფლო გაზეთშიაც" გადაუბეჭდავს.

„კრებულის" 1873 წლის სარედაქციო განცხადებაში დიმიტრი ყაზბეგი უკვე ჟურნალის მუდმივ თანამშრომლადაა დასახელებული და რედაქცია მკითხველს მისი ნაწერების გამოქვეყნებას ჰპირდებოდა.

ერთი შეხედვით, შეიძლება, კიდეც გაგვიკვირდეს, ამ პაწაწინტელა მოთხრობას რით უნდა გამოეწვია ასეთი საყოველთაო ყურადღება. მაგრამ, საგულდაგულო ანალიზით ცხადი ხდება, რომ ლიტერატურული საზოგადოებრიობის დაინტერესება საფუძველს მოკლებული არ იყო. უწინარეს ყოვლისა, „მავნე სულები" ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს, რაღაც უცხო ზოდის ნაგლეჯი იყოს. სუბიექტურად, ავტორი სრულებით არ ჩანს; პირველყოფილი უშუალობით მოქმედებენ და მეტყველებენ თვით გმირები — ძლიერი, საკუთარი რწმენისა და ხასიათის ადამიანები. მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, ეს შემომქმედის ერთი ყველაზე უძნელესი ამოცანაა. მთელი წარმატება განპირობებულია ენობრივი ვარიაციებით, ადგილობრივი დიალექტისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკით, მეტყველების სურათოვნებითა და ეპიკური ლაკონიზმით. ამის წყალობაა, რომ მოთხრობაში, რომელიც

შთლიანად დიალოგზეა აგებული. ჩვენ არა მარტო გვესმის, არამედ კიდევ უფრო მეტი სიცხადით ვხედავთ. ამ თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ „მავნე სულები“, რომელიც რიგითს მკითხველს, შეიძლება, ფერმკრთალ გაუჩალხავ ამბად მოჩვენებოდა. მწერლებს მოეწონათ. ის, თითქოს, ლიტერატურული სალონის შეჯიბრებისათვის მკაცრად დაწესებული გეგმით, ზუსტად განსაზღვრული პირობებით შექმნილი ეტიუდია. ქართულ მწერლობას, უდავოდ, ჰქონდა დიდი იმედის უფლება, მაგრამ დიმიტრი ყაზბეგი, ისე როგორც ბევრი მისი ნიჭიერი თანამედროვე, გამოუსჩეებლად ჩაქრა.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი დაიბადა 1838 წელს, სოფ. სტეფანწმინდაში. ის იყო შვილიშვილი „მთის მოურავის“, ცნობილი გაბრიელ ყაზბეგისა, მკვიდრი ბიძაშვილი ჩვენი საამაყო ბელეტრისტის — ალექსანდრე ყაზბეგისა. მამამისი განათლებული, კეთილი, პატივსაცემი და დაფასებული კაცი იყო, — უყვარდა საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, წერდა ლექსებს; მონაწილეობდა შამილთან ომებში და ერთ სანს, მთის დიამბეგად მსახურობდა.

თავისი უფროსი ვაჟი ნიკოლოზმა ჯერ დუშეთის სკოლაში შიაბარა, ხოლო 1852 წელს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გადაიყვანა, სადაც დიმიტრი ილია ჭავჭავაძესა, დავით ყიფიანსა, ნიკო ღოღობერიძესა, პეტრე ნაკაშიძესა და შემდგომ გამოჩენილ სხვა მოღვაწეებთან ერთად სწავლობდა.

1857 წელს დიმ. ყაზბეგმა წარჩინებით დაასრულა გიმნაზია და, რადგან რუსეთში წასასვლელად ქონებრივი შეძლება არ ჰქონდა, ორი წელი მშობლიურ სტეფანწმინდაში გაატარა.

1859 წელს დიმიტრი პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა, მეცნიერებას დაეწაფა, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებს მიეძალა, ახალ იდეებს ეზიარა.

ხელმოკლე ოჯახს მატერიალური დახმარება არ შეეძლო და დიმიტრი მძიმე პირობებში ცხოვრობდა. ერთი მისი ნათესავის წერილში ვკითხულობთ: „სწავლის ფასი უნივერსიტეტში ვერ შეუტანია და ლექციებზედაც ვეღარ დადისო“. რო-

გორც მოგონებებიდან ჩანს, იგი ამ ვითარებაშიც გამოირჩეოდა თავდაჭერით, ცოდნით, ხასიათის სიმტკიცითა და შემართებით. „დიმიტრი ყაზბეგი მინახავს ყმაწვილობაში, როცა ახალჩამოსული ვიყავი პეტერბურგს, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე. — ...კირილეს ნათქვამიდან მახსოვს, დიმიტრი ითვლებოდა ილიკო ჭავჭავაძის წრის უმჯობეს წევრად, მასზე ყველა დიდ იმედებს ამყარებდა თურმე... ერთიანად ჩაყურყუმალებული იყო ვალტერ სკოტის თხზულებებში... შეუპოვრად ჰკიცხავდა მთავრობის განზრახვას უნივერსიტეტის ალაგმვის შესახებ... (არეულობის დროს)“.

კირილე ლორთქიფანიძის ცნობით, ლექციებს დიმიტრი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ესწრებოდა და, თანამემამულეთაგან განსხვავებით, რუსული მშობლიურ ენასავით ემარჯვებოდა.

სტუდენტთა 1861 წ. მღელვარებაში მას აქტიური მონაწილეობა მიუღია და რეპრესიებს რომ გადარჩენოდა, იმავე წლის შემოდგომაზე ხარკოვის უნივერსიტეტში გადასულა, მაგრამ პოლიტიკურ დევნას ვერც იქ დამალვია და, მეგობართა დახმარებით, ერთი წლის შემდეგ, საზღვარგარეთ გამგზავრებულა ცოდნის გასაღრმავებლად. რამდენიმე ხანი მან პარიზში დაჰყო, ლექციებს ისმენდა, — 1863 წლიდან კი ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში სწავლობდა, რომელიც 1865 წელს დაამთავრა.

ყველასათვის მოულოდნელად, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, დიმიტრი მამა-პაპათა კერას შეეხიზნა და წინაპართა ადათ-წესებით ცხოვრებას შეუდგა. მამულები გლეხებს დაურიგა, შრომობდა, ჭირსა და ლხინში ხალხთან იყო და ნათესავებსაც ამას უქადაგებდა. „დიმიტრის შინ დაბრუნებამ, — იგონებს მისი უმცროსი და, — ნათელი სხივები შემოიტანა ჩვენს მივარდნილს ოჯახში. სოფლის მყუდრო ცხოვრება შეირყა, გაიღვიძა, გამხიარულდა და გამოცოცხლებულმა სიომ დაბერა... დიმიტრიმ შეცვალა ჩვენი შინაური ცხოვრება... სხვადასხვა წიგნებს გვაძლევდა წასაკითხავად. წაკითხულს გვიხსნიდა: დობროლიუბოვის, ბელინსკის და კიდევ მრავალი

ს.ჩვა რუსი გამოჩენილი მწერლის სახელი პირველად იმისაგან გავიგონე".[1]

სტეფანწმინდაში მას ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურის მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია; სხვათა შორის, თავის სახლში გლეხის შვილებისათვის უფასო სკოლაც გაუხსნია, სადაც თვითონ და მისი და-ძმები ასწავლიდნენ.

წლების მანძილზე, დიმიტრი დიდი გულისყურით სწავლობდა მოხევეთა ყოფა-ცხოვრებას, იწერდა ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, გადმოცემებს, — დადიოდა სოფლიდან სოფელში, არ აკლდებოდა ხატობებს, ღამისთევას, — იყო განთქმული მონადირე, მოჯირითე და მსროლელი, — მოხევეებთან ურთიერთობაში მტკიცედ იცავდა მთის ჩვეულებებს და, რაღა თქმა უნდა, მთელ იმ კუთხეში არაჩვეულებრივი პატივისცემაც მოუპოვებია.

მეფის მოხელე მის ნათესავებს არაფრად ეჭაშნიკებოდათ განათლებული სახლიკაცის ამგვარი საქციელი, ხოლო ერთმა შემთხვევამ ეს ურთიერთობა უფრო გაამწვავა; დიმიტრის შეუყვარდა შინამოსამსახურე ოსი ქალიშვილი ტასო და, მიუხედავად ნათესავების აღშფოთებისა, კიდეც შეირთო. განრისხებული მამის გული რომ ოდნავ მაინც მოელბო, 1868 წელს დუშეთში, ილია ჭავჭავაძესთან, სასამართლოს ბოქაულად დაიწყო სამსახური, მაგრამ იმავე წელს, მამის გარდაცვალებისთანავე, სამსახურს თავი გაანება.

თბილისელ მეგობრებთან, ქართული ლიტერატურის მოღვაწეებთან, დიმიტრი ყაზბეგს მუდამ მჭიდრო კავშირი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძე მისი ხშირი სტუმარი იყო. ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ილიას ერთი ხელნაწერიდან ჩანს, რომ 1864—1866 წლებში სტეფანწმინდაში მას ბევრი საინტერესო ხალხური ლექსი, ანდაზა და ფრთიანი გამოთქმა ჩაუწერია. სავარაუდოა, რომ „მგზავრის წერილებში" მოხევის საუბარიც მან დიმიტრი ყაზბეგის დახმარებით დაამუშავა.

„იმის ამხანაგები ხშირად თითო კვირაობით რჩებოდნენ

---

[1] „მნათობი", 1925 წ., № 4, გვ. 191.

ჩვენთან, — წერს ელ. ყაზბეგი. — მაშინ დიმიტრის ლაპარაკი და სხვადასხვა საგნებზე ბაასი დაუშრეტელ წყაროდ ხდებოდა".[1]

მეგობრები, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე, დიდი წარმოდგენისა ყოფილან დიმიტრი ყაზბეგის ნიჭსა და ცოდნაზე. პეტრე უმიკაშვილის ცნობით, ილია ხშირად იტყოდა ხოლმე: „დიმიტრი ამხანაგებში მთელის თავით მაღლა იდგა ჩვენზეო". ჩვენს მოღვაწეებს არა ერთხელ უცდიათ მისი თბილისში ჩამოყვანა და ლიტერატურულ საქმეებში ჩაბმა. „ილიკო ჭავჭავაძეს ბევრჯერ უთქვამს ჩვენთვის, — წერს ნ. ნიკოლაძე, — უბედურებაა, რომ ასეთი კაცი უსაქმოდ და უხეიროდ ლევდეს თავის დროს მთაშიო. ვეცადეთ ბევრი, თბილისში ჩამოგვეყვანა, საქმეში გაგვება, მაგრამ არა გამოვიდა რა".

1873 წელს „კრებულის" რედაქციას პეტრე უმიკაშვილი გაუგზავნია სტეფანწმინდას, დიმიტრი ყაზბეგისაგან ნაწერების ჩამოსატანად. ამ მიზნით, პეტრე უმიკაშვილი 1876 წელსაც სტუმრებია ხევს. მაგრამ დიმიტრის უთქვამს: „წერის გუნებაზე ვერ მოვდივარ, ძალად ნამუშევრობა არ ვარგაო, არ გამოვაო".

1873 წელს, როცა ილია ბანკის დაარსების თაობაზე რუსეთს გაემგზავრა, — სთხოვა და დიმიტრი ყაზბეგიც თან გაჰყვა.[2] როცა ილია ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს, მისი წინადადებით დიმიტრი შემფასებლად გავიდა, მაგრამ თბილისს გადმოსელა არც ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გამო მოისურვა.

საზოგადო საქმეში ის მეტად პრინციპული, კერპი და თვითრჯული კაცი ყოფილა. სხვათა შორის, პეტერბურგში ყოფნის დროს, ბანკის საკითხებზე ილიასა და მას მაგარი შეჯახებაც მოსვლიათ. 1874 წლის 15 ივნისს ილია ვახილ მაჩაბელს ატყობინებდა: „...მაგ გულიშამბაროეთან არის ჩემი წიგნები ყაზბეგისაგან დატოვებული... ყაზბეგთან კინაღამ ის

---

[1] „მნათობი", 1925 წ. № 4.

[2] „დროება", 1873 წ., № 21.

არ მომივიდა, რაც მე და შენ ვიცოდით, ბოლოს შეგვარიგეს და მე მაღიარეს დამნაშავედ".

დიმიტრი ყაზბეგი გარდაიცვალა 1880 წლის 10 თებერვალს, 42 წლისა; დაკრძალულია სტეფანწმინდაში.

პოლიტიკურმა დევნამ, ჟანდარმერიის განუწყვეტელმა თვალთვალმა და აფორიაქებულმა ცხოვრებამ უნაყოფოდ მოაშთო ყველასაგან აღიარებული მისი ნიჭი და ცოდნა.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ, 1881 წელს, სტეფანწმინდაში ჟანდარმები ჩასულან დიმიტრი ყაზბეგის დასაპატიმრებლად.

ჟურნალი „კრებული“

დაარსება და სარედაქციო-ტექნიკური მუშაობის საკითხები

დაარსება.

60-იანი წლების ბოლოს ქართულ ენაზე ხუთი პერიოდული გამოცემა გამოდიოდა. მაგრამ მოწინავე საზოგადოება ჯერ მაინც განიცდიდა „საქართველოს მოამბის“ დანაკლისს. მკითხველთა ეს გულისტკივილი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკას უშუალოდ მის მომდევნო გამოცემებში არ მიუღწევია თერგდალეულთა პირველი ჟურნალის დონისათვის. ამას მაშინდელ გამოცემათა მესვეურებიც გრძნობდნენ. პროგრესის გზიდან ჩამომდგარი „ცისკარიც“ კი კრძალვით იგონებდა ახალგაზრდობის მებრძოლ ორგანოს, ხოლო „დროება“ და „მნათობი“ ჯერ განუხორციელებელ იდეალად სახავდნენ მას. კარგად შეუმჩნევია ეს ფაქტი ვახტანგ კოტეტიშვილს: „... თუ რუსეთში იტყოდნენ, ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო, ასევე უნდა ითქვას ჩვენშიაც, რომ „საქართველოს მოამბის“ კალთიდან გამოვიდნენ ყველა მიმართულებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნეში“.[1]

მართალია, „დროება“ და „მნათობი“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ „კრებულს“, მაგრამ პრინციპულ პრობლემათა ყოველმხრივი ანალიზი, აგრეთვე მათი გადმოცემის მასშტაბის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ „საქართველოს მოამბის“

---

[1] ვ. კოტეტიშვილი. ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX ს. 1959.

პირდაპირ მემკვიდრეს სწორედ ეს ჟურნალი წარმოადგენს. მასში არა მარტო მთელი სისავსით შენარჩუნებულია, არამედ განვითარებული და ახალი ვითარების შესაბამისად, მაღალ ხარისხშია აყვანილი თერგდალეულთა პირველი გამოცემის დემოკრატიული ტრადიციები.

როგორც ირკვევა, შვიდი წელი „კრებულმა“ მატერიალურ-ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო დაიგვიანა. თორემ ის, დროის მიხედვითაც, უშუალოდ უნდა მოჰყოლოდა „საქართველოს მოამბეს“.

1864—1866 წლებში („საქართველოს მოამბის“ დახურვიდან „დროების“ დაარსებამდე), ახალი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის თაობაზე სამოციანელთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოშობილა. ერთ ნაწილს ჟურნალის განახლება მოუთხოვია, მეორეს — გაზეთის დაარსება. გაზეთის დაარსების აზრს იცავდნენ ილია ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომლები. ჟურნალის განახლებას კი — უმთავრესად, ჩვენი პეტერბურგელი სტუდენტები მოითხოვდნენ; 1865 წელს მათ შორის ცხარე მიმოწერაც გაიმართა. გაზეთის მომხრეთა სახელით, პეტერბურგში წერილებს გზავნიდა ნიკო ღოღობერიძე, ხოლო იქიდან სტუდენტთა თვალსაზრისს იტყობინებოდნენ კირილე ლორთქიფანიძე და დავით ღოღობერიძე. ამ პოლემიკური მიმოწერის ფრაგმენტებად უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, ნიკო ღოღობერიძის ორი წერილი — კირილე ლორთქიფანიძისა და დავით ღოღობერიძისადმი.

სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ცნობათა შეჯერება უეჭველს ხდის, რომ ეს წერილები ნიკო ღოღობერიძეს ადგილობრივი ჯგუფის დავალებით გაუგზავნია. მათში აღბეჭდილია ილია ჭავჭავაძის მოსაზრებანი. იმავე საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით, გაზეთთან ერთად, დროდადრო ლიტერატურული დამატებაც („კრებული“) უნდა გამოსულიყო.

ნიკო ღოღობერიძე 1866 წლის 12 იანვარს დავით ღოღობერიძეს პეტერბურგში სწერდა, „დროებას“ ლიტერატურული დამატებაც ექნებაო. დამატება გამოვა წიგნად, რომელშიც

დაიბეჭდება გრძელი სტატიები, „თარგმანი და ორიგინალები“, საცენზურო კომიტეტს უკვე მივმართეთ ამის თაობაზეო.[1]

რამდენიმე დღის შემდეგ (16 იანვარს), ნ. ღოღობერიძეს კირ. ლორთქიფანიძისათვის გაუგზავნია ვრცელი წერილი, რომელიც, არსებითად, პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისადმია მიმართული და მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს საკვლევი საკითხის ირგვლივ.

„...ადვილად მიხვდებოდით,... რა მოსაზრების გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალის. ჩვენის აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდ სტატიებს ვერ ერეოდნენ ჩვენი მოუმზადებელი მკითხველები. გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უსწავლელს კაცს, გაზეთის ახალ-ახალი ან ხშირათ ცხოვრების შესახები ამბები უფრო გაართობს. ვინებ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზედ. გამოცემა გაზეთისა, უეჭველია, უფრო ადვილია, მინამ ჟურნალისა.* სხვა რომ არა ვთქვათ, გაზეთში ხანდახან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია, უიმისოთაც შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს, მაშინ, როდესაც ჟურნალში თუ ერთი ანორი სტატია არიქნა ნამდვილი, რაღა ჟურნალი იქნება. ამასთანავე. ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არასდროს არ მოგვცემდნენ. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ჩვენ გაზეთთან დამატება გამოვა წიგნებათ, რომელმაც უნდა აასრულოს ჟურნალის ვალი, რადგანაც ამ დამატებაში დაიბეჭდება გრძელი სტატიები. რედაქციის შეძლებაზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც მოახერხებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა“...[2]

---

[1] ვ. სიფრაშვილი. „უცნობი წერილი“, გაზ. „თბილისი“, 1959 წ. 1/VII.

* ხაზგასმა ყველგან ჩვენია, ა. კ.

[2] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი. კირ. ლორთქიფანიძის არქივი: — გ. წერეთელი, თხზ. ტ. 1, 1931. ს. ხუნდაძის შენიშვნებით. გვ. 408. კ. მეძველია, კირ. ლორთქიფანიძე, (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 102.

ამრიგად, წერილებში მეცნიერული სიზუსტით არის შეფასებული ქართული ჟურნალისტიკის განვითარების პირობები და აქედან გამომდინარე, სწორად არის განსაზღვრული მისი წინსვლის გზები, რასაც უეჭველია, საფუძვლად უდევს „საქართველოს მოამბის“ გამოცდილება და პირადად ილია ჭავჭავაძის დაკვირვება.

უდავოდ, ყოველივე ეს ჰქონდა მხედველობაში სტეფანე მელიქიშვილს, „დროების“ ათი წლის თავზე რომ განაცხადა: „პირველი აზრი ამ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოთქვა ეს აზრი, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“.[1]

„დროების“ პირველმა რედაქტორმა, გ. წერეთელმა, პირველივე ნომრის სარედაქციო წერილში აუწყა საზოგადოებას, რომ ეს გაზეთი „საქართველოს მოამბის“ მიმართულებას განაგრძობდა: „ქართულს ენაზედ ჯერ ჩვენ არა გვაქვს ჟურნალი, რომელსაც კი თავისი მნიშვნელობა ესმოდეს. ამ სამის წლის წინ დაწესდა „მოამბე“, კარგის მიმართულებით, მაგრამ, საუბედუროდ, ერთის წლის მეტი არ უცხოვრია“.[2]

„დროება“ „პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი“ იყო და, ცხადია, დროდადრო, მხატვრულ ნაწერებსაც ბეჭდავდა, მაგრამ, მცირე ფორმატის გამო, ვრცელი თხზულებების გამოქვეყნება მას არ შეეძლო. რაკი სათანადო ორგანო არ არსებობდა, შემოქმედებითი იმპულსიც მოდუნდა და, უთუოდ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ იმ წლებში (1864—1870) ჩვენს ლიტერატურას მნიშვნელოვანი არაფერი შემატებია (ი. ჭავჭავაძის „სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან“ ცალკე წიგნად გამოუციათ და, ეტყობა. ისე მცირე ტირაჟით, რომ ჩვენამდე არც ერთ ეგზემპლარს არ მოუღწევია).

მატერიალური სივიწროვისა თუ მხატვრული მასალის სიმ-

---

[1] „დროება“, 1876, № 24.

[2] „დროება“, 1866, № 1.

ცირის გამო, „დროებამ“ დიდხანს ვერ შეასრულა საპროგრამო დაპირება, ვერ გამოსცა ლიტერატურული დამატება.

ლიტერატორთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც არ აკმაყოფილებდა „დროების“ მიმართულება და საზოგადოებრივ-პირადი მოღვაწეობითაც განკერძოებით იდგა (ნ. ავალიშვილი, ანტ. ფურცელაძე, მ. ქიქოძე და სხვ.) 1869 წელს დააარსა საკუთარი ორგანო — ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“. „დროების“ ჯგუფი ამ ჟურნალის გამოცემას უკმაყოფილოდ შეხვდა და მალე მათ შორის პოლემიკაც გაჩაღდა.

პეტერბურგელ სტუდენტებს, რომლებზედაც „მნათობის“ პირველ ნომერს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, თბილისელმა მეგობრებმა წერილობითი კამათი გაუმართეს.[1] სერგეი მესხი არ ეთანხმებოდა კირილე ლორთქიფანიძეს „მნათობის“ შეფასებაში და ირონიულად დასძენდა, ნეტავ ვიცოდე, რა მოგეწონა მაგ ჟურნალისაო. 1869 წლის 14 ივლისს ს. მესხი უკვე ბეჟან ხოშტარიძეს სწერდა პეტერბურგში: „მნათობის“ ორი ნომერი გამოვიდა. მეორე ნომერში он заигривает с „დროება“ და ზოგან კიდეც იკბინება ვითომ... კაცს რომ შენი კბენა უნდოდეს, უნდა დაასწრო და პირველად შენ უკბინო, მერე ვეღარ გაბედავს კბენას“.[2]

პოლემიკა, მართლაც, იმ წელსვე დაიწყო და იმთავითვე მწვავე ხასიათი მიიღო. „დროებაში“ ზედიზედ დაიბეჭდა ს. მესხის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის წერილები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები და სატირულ-იუმორისტული ფელეტონები „მნათობის“ წინააღმდეგ (1869 წ. № 28, ლაზ. მეშვილის (ს. მესხის) წერილი; ნ. ნიკოლაძის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, 1870 წ. № 20; გ. წერეთლის ლექსი — „კუხელის სიმღერა“, 1871 წ. № 21; ლექსი — „ფუტკარმა უთხრა კრაზანას“, 1871 წ. № 33; ვრცელი ფელეტონი „ფუტკარი“, 1871 წ. № 33 და სხვ.). ამ წერილებში ანტ. ფურცელაძეს გაუხსენეს მისი ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ.

---

[1] „საისტორიო მოამბე“, 1960, № 11—12, გვ. 651.

[2] ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, 1949, გვ. 59.

განაჭიქეს მისი ლექსები და მოთხრობები (—„მესამე თაფლიანი თეფში“ „მნათობიდან“ — „ილიას კვეხნით შეევები, შემილეწეს ფერდებია“).

„მნათობის“ თანამშრომლები ვრცლად პასუხობდნენ მოკამათეებს, „დროების“ ჯგუფს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ბევრი სადავო საკითხი, ბევრი ბრალდება რჩებოდა უპასუხოდ. გაზეთთან ლიტერატურული დამატების გამოცემა ახლა კი, მართლაც, გადაუდებელ ამოცანად იქცა და „დროების“ მესვეურებიც იმ წელსვე შეუდგნენ თადარიგს. ასე რომ, „მნათობთან“ პოლემიკამ ნამდვილად დააჩქარა „კრებულის“ დაარსება და ამდენად, სწორად უნდა მივიჩნიოთ იმ დროს გავრცელებული აზრი, რომ „მნათობის“ მოკამათე „დროების“ მეთაურებმა ჯიბრით ჟურნალის გამოცემაც განიზრახეს და 1870 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს“...[1]

„კრებულისათვის“ მასალების შეგროვება 1869 წელსვე დაუწყიათ, ხოლო არა უგვიანეს 1870 წ. მაისისა ბეჭდვასაც შედგომიან. საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტ აქტივობას ამ მხრივ სერგეი მესხი იჩენდა. „ნიკოს მივწერე, — აცნობებდა ის კირილე ლორთქიფანიძეს 1870 წლის 15 თებერვალს, — თუ სანახევროდ შემომიდგება ამ ორ თვეში გამოვცემთ ერთ დამატებას წიგნათ, რომელიც „დროების“ ხელისმომწერებსაც დაურიგდება და ცალკედაც გაიყიდება. იმაში დავბეჭდ მაშინ შენ სტატიას. ამას გარდა, მე მაქვს კიდეც სასბორნიკო სტატიები და ლექსებიც. რა კარგი იქნება, რომ ამ სბორნიკისათვის ერთ კარგ პატარა მოთხრობას ან რომანს, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრებიდან, დაწერდეს ვინმე“.[2]

ერთი თვის შემდეგ, 29 მარტს, მესხი ატყობინებდა მასვე: „ამ წელს ოთხი სბორნიკის გამოცემა შეუძლებელი საქმეა. სხვადასხვა მიზეზების გამო. ორი კი შეიძლება. პირველათ, როგორც გწერდი, გამოვა მაისში ან ივნისში და მეორე კი —

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე. ისტორია ქართულის გაზეთებისა და ჟურნალებისა. 1903 წ. გვ. 38.

[2] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, — ს. ხუნდაძე „მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის“, გვ. 79.

ნოემბერში ან დეკემბერში. მერე გაისს, ნებართვა უნდა ვითხოვო, რომ დროგამოშვებით სბორნიკების გამოცემის ნება მოგვეცეს „დროების“ დამატებასავით“.[1]

იმავე წლის ბოლოს, როგორც ჩანს, პირველი ნომერი უკვე გამოსული იყო, რადგან გაზ. „კავკაზის“ 1871 წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებულია განცხადება: „В типографиях Дубелира и К.,.. Меликова, в библиотеке Иванова и в книжных магазинах Аладатова и Энфиаджианца поступит на днях в продажу „Сборник“ („კრებული“) (на грузинском языке“). და შემდეგ, მოტანილია პირველი ნომრის სარჩევი.

ჟურნალ „მნათობის“ თებერვლის ნომერში (1871 წ.), რომელსაც 30 თებერვლის საცენზურო ვიზა აქვს, გამოცხადებულია, რომ დუბელირის სტამბაში და სხვ. იყიდება „კრებულის“ პირველი ოთხი წიგნი. ეს ცნობა მთლად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან, როგორც ირკვევა, პირველი ოთხი ნომერი, მართლაც, ერთმანეთზე მიყოლებით, თითქმის ერთდროულად გამოსულა (№ 1-ის საცენზურო ვიზა გაცემულია 30 დეკემბერს, № 2-ის — 31 იანვრის, № 3-ის — 30 მარტს, № 4-ის — 30 აპრილს). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ნომრები 1870 წელს უკვე გამზადებული ყოფილა დასაბეჭდად.

„მნათობის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულია „კრებულის“ სარედაქციო განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ამ წლიდან დაწყებული, გამოიცემა ა ხ ა ლ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ქართულ ენაზე „კრებული“.

ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და ცოტ-ცოტათ გააცნოს საზოგადოება როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათს წარსულს და ეხლანდელს მდგომარეობას. ამას გარდა, „კრებული“ თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულს ნაწილს,

[1] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, — ს. ხუნდაძე „მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის“, გვ. 77.

რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს საზოგადოებას...“ და ა. შ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამა წლის დამდეგს. ეხლა, რაკი მთავრობის ნებართვა მივიღეთ „კრებულის“ ჟურნალათ გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოვცემთ აპრილში და მეხუთეს მაისის ნახევრამდინ...“ და ა. შ.

მოტანილი ცნობების შეჯერების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1) ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის შესახებ „დროების“ მესვეურებმა საცენზურო კომიტეტში განცხადება შეიტანეს 1870 წლის დასაწყისში; 2) ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღებამდე, 1870 წელს, დასაბეჭდად მოამზადეს და 1871 წლის აპრილის ბოლომდე გამოსცეს ოთხი ნომერი, არა როგორც ჟურნალი, არამედ, როგორც „დროების“ ლიტერატურული დამატება; 3) ყოველთვიური, დამოუკიდებელი სალიტერატურო ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის ნებართვა მთავრობისაგან მიღებული იქნა 1871 წლის აპრილში [1].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდიდან მოკიდებული, იურიდიულად, „კრებული“ დამოუკიდებელ გამოცემას წარმოადგენდა და მას საკუთარი რედაქცია ჰყავდა, იგი წინანდებურადვე განუყრელად იყო დაკავშირებული „დროებასთან“, რასაც ორივე რედაქცია გარკვევით აუწყებდა მკითხველს. „კრებულის“ საპროგრამო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ორივე გამოცემაზე ერთდროულად შეიძლებოდა ხელმოწერა, ხოლო „დროების“ 1871 წლის მე-15 ნომერში (16 აპრილის) ამის თაობაზე ნათქვამია: „კრებულს“ მთავრობის ნებართვა მიუღია ჟურნალათ გამოცემაზე და მისი რედაქცია აცხადებს, რომ ამ თვეშივე გამოსცემს ჟურნალის მესამე — მეოთხე წიგნებს.

„კრებულის“ რედაქცია აცხადებს, რომ „დროებაზე“ და „კრებულზე“ ერთად ხელისმოწერა მიიღება. ამას ჩვენ უნდა დავუმატოთ აქ, რომ ამ ორ გამოცემას შუა, ხელმოწერის გარდა, სხვა კავშირიც იქნება. ორივე რედაქციის აზრით, გაზეთს „დროებას“ ის დანიშნულება უნდა

[1] „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6. გვ. 202—206.

ჰქონდეს, რომ მკითხველი მასში ახალ ამბებს, თანამედროვე ცხოვრების გაკვრით გამოსახვას და დაფასებას პოულობდეს. გაზეთს საკმარისი ადგილი არა აქვს მოთხრობებით, კომედიებით, რომანებით, დაწვრილებული ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით და სწავლული გამოკვლევით გააცნოს მკითხველი ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას. ეს შრომა წიგნის, ჟურნალის საქმეა და ეს საქმე იკისრა „კრებულმა"; ჩვენ კი გვაკისრია გაზეთის საქმე.

ა მ ნ ა ი რ ა თ, „კ რ ე ბ უ ლ ი" და „დ რ ო ე ბ ა" ჩვენ ლიტერატურაში ერთი მეორის დამხმარე და შემავსებელი იქნებიან.

რა ცოდნით და მოხერხებით შევასრულებთ ჩვენ ამ მოვალეობას, ამის განსჯა ჩვენი კი არა, მკითხველის საქმე იქნება. შეძლებისამებრ, ორივე რედაქცია სინდისიანათ მოეკიდება თავის საქმეს".[1]

საერთო მიზნის წარმატებით შესრულებისათვის, ჟურნალისა და გაზეთის რედაქციებს ფუნქციები გაუნაწილებიათ. აქვე დავსძენთ, რომ ჟურნალის არსებობის მთელი ხნის მანძილზე, ეს კავშირურთიერთობა უაღრესად მტკიცე იყო მაგრამ, ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია ზუსტად სიმ. ხუნდაძის მოსაზრება,[2] რომ ეს ორგანო („კრებული") ფაქტიური დამატება იყო გაზ. „დროებისა". გარკვეულ პერიოდში, როგორც იურიდიულად, ისე ფაქტიურად, „კრებული" და „დროება" დამოუკიდებელი გამოცემები იყო, რომლებიც ერთ საქმეს ემსახურებოდნენ.

სახელწოდება ჟურნალის სახელწოდება უეჭველად რუსული „სბორნიკის" მიხედვით არის წარმოქმნილი და ამ სიტყვის პირდაპირი. იმდროინდელ ჟურნალისტიკაში უკვე გავრცელებული მნიშვნელობით არის გამოყენებული. იგი გულისხმობს სხვადასხვა მასალების კრებულს და წარმოშობილია იმ დროს, როცა მისი გამოცემა „დროების" დამატებად ე. ი. მართლაც, კრებულად იყო გათვალისწინებუ-

[1] „დროება", 1871 წ. № 15.

[2] ს. ხუნდაძე. ნარკვევები... 1941 წ., გვ. 188, აგრეთვე: შ. რადიანი. ახალი ქართული ლიტერატურა. 1954 წ., გვ. 364.

ლი. ჟურნალად გამოცემის ნებართვაც ამ სახელწოდებით მიუღიათ. სახელწოდების შერჩევაშიც, უთუოდ, ჩანს საქმის ინიციატორთა გარკვეული სიფრთხილე; ეტყობა, ისინი მთლად დარწმუნებული არ ყოფილან, რომ მაშინდელ პირობებში ნამდვილი ჟურნალის გამოცემას მოახერხებდნენ. კერძო მიმოწერაშიც „კრებულის“ ხელმძღვანელები თავიანთ ჟურნალს ხშირად „სბორნიკად“ იხსენიებენ („შენი... სტატია სბორნიკისათვის მაქვს შენახული“. ს. მესხის 1870 წ. 29 აგვისტოს წერილი და სხვ.).

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კირ. ლორთქიფანიძეს განზრახული ჰქონია „კრება“ ან „კრებული“ ეწოდებინა იმ ანთოლოგიისათვის, რომელიც 1864 წელს „ჩონგურის“ სახელწოდებით გამოსცა პეტერბურგში; მაგრამ ილია ჭავჭავაძემ არ ურჩია ეს: „კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამ თარგმნილსა ჰგავს“.

პროგრამა

„კრებულს“ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პროგრამა არ წამოუყენებია. 1871 წლის მარტის (აპრილის) „განცხადებაში“ („მნათობი“, 1871 წ. № 2) საპროგრამო იდეურ-ლიტერატურულ მოთხოვნებს, არსებითად, გვერდი აქვს აულილი. ეს, ჯერ ერთი, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ საზოგადოებას მაშინ უკვე კარგად იცნობდა გაზეთ „დროების“ მიმართულებას, რომლის თანამებრძოლადაც „კრებული“ თავს აცხადებდა, მეორეც, მთავრობას „კრებულის“ ვრცელი პროგრამა არ დაუმტკიცებია და რედაქციას უფლებაც არ ჰქონდა ხელისმოწერაზე განცხადებაში გადმოეშალა თავისი მიზნები და მისწრაფებანი. ხელისუფლებამ სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ნებართვა გასცა, საქმის ინიციატორებს კი სრულებითაც არ აკმაყოფილებდათ ეს. მათი იდეალი იყო „სოვრემენიკისა“ და „საქართველოს მოამბის“ მსგავსი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი. „დროებასთან“ კავშირ-ურთიერთობაზე მითითება, გადაკრულად, „კრებულის“ ამდაგვარ პროფილზე მიუთითებდა, რადგან „დროება“ „პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი“ იყო. სარედაქციო განცხა-

[1] „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 203.

დებაში ჟურნალის იდეური პროგრამა ორად-ორ, მოხერხებულად შეკუმშულ წინადადებაშია გადმოცემული: „ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და ცოტაოდათ გააცნოს საზოგადოება როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათ წარსულს და ეხლანდელს მდგომარეობას... „კრებული“ თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულ ნაწილს (წაიკითხე: პოლიტიკურს! ა. კ.), რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს საზოგადოებას“.

როგორც აღვნიშნეთ, 1866 წელს ახალგაზრდობამ გაზეთი, უმთავრესად, იმიტომ აბუჭობინა ჟურნალს, რომ „ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას არასდროს არ მისცემდნენ“.

გაზეთს „საპოლიტიკო ნაწილის“ ნებას აძლევდნენ მოკლე ოფიციალური ცნობებისა და მასალების გამოსაქვეყნებლად: „ბიბლიოგრაფიაში“, რომელიც „დროებამ“ (1871, № 15) „კრებულის“ საპროგრამო განცხადების განსამარტებლად გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ იმ მოვლენებს, რომლებსაც „დროება“ გაკვრით გამოსახავს და შეაფასებს, „კრებული“ ვრცელი კრიტიკითა და სწავლული გამოკვლევით გააცნობს მკითხველს“ („ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას“). ამასთან, „კრებულის“ წერილებში არა ერთგზის მითითებულია, რომ იგი თავის თავს „საქართველოს მოამბის“ გამგრძელებლად თვლის და მის პროგრამას იზიარებს.

„კრებულმა“ ამ მიხვეულ-მოხვეული გზით შესძლო საზოგადოებისათვის ეუწყებია თავისი პროგრამა, იდეური მიმართულება. ცხადია, აქ არაფერს ვამბობთ, თუ როგორ აღასრულა მან ეს განაზრახი, თავისი დაპირებისდაკვალად უპასუხა თუ არა ეპოქის მოთხოვნებს, ამის დადგენა მთელი ჩვენი გამოკვლევის მიზანს შეადგენს. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ პირველი ნომრების გამოსვლისთანავე, მოწინავე საზოგადოებამ „კრებული“ პროგრესული, დემოკრატიული მიმართულების სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პო-

ლიტიკურ ჟურნალად სცნო. საყურადღებოა, რომ თანამედროვეებს „კრებული“, უწინარეს ყოვლისა, სწორედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემად ესახებოდათ. ღუი ბლანი და პრუდონი, პოლიტიკური და ეკონომიური კითხვები... „1860-ანი წლების რუსის მწერლებისაგან აღძრული მუშა ხალხის შესახებ კითხვები“, სხვადასხვა რეფორმები, ქალთა მდგომარეობა და განათლება, სასწავლებლები... ლასალი, ჯონ სტიუარტ მილი, — აი, როგორ აღბეჭდილა „კრებულის“ შინაარსობრივი სახე, მაგალითად, ამ ჟურნალის ახალგაზრდა მკითხველის ზაქარია ჭიჭინაძის მეხსიერებაში.

მაგრამ, ყველაზე მკაფიოდ ჟურნალის პროგრამა ჩამოყალიბებულია ვრცელ წერილში — „კრებულის“ დანიშნულებაზე“, რომელიც 1871 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა ხელმოუწერლად. ამ სტატიის ავტორი არის ნიკო ნიკოლაძე. წერის კულტურით, პუბლიცისტური მანერითა და სოციალურ-ეკონომიური მოვლენების ანალიზით, ეს წერილი შეიძლება საყურადღებო მოვლენად ჩაითვალოს ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ, ჟურნალად გამოცემასთან დაკავშირებით, „კრებულის“ უწინდელს შინაარსს ახალი ნაწილები — „მიმოხილვა“, „კრიტიკა“ და სხვა დაემატება“. მაგრამ, მისი სიტყვით, მთავარი ეს როდია. „ჟურნალი სხვა რამითაც განირჩევა სხვადასხვა სტატიების კრებისაგან. ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის მიმართულებას, მის დროშას და ჩვენი „კრებული“ დარწმუნებულია, რომ ხელცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს“. [1]

ამრიგად, ჟურნალის, როგორც პერიოდული გამოცემის, არსებით ნიშნად ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია მტკიცე იდეური მი-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1932 წ., ტ. II.

მართულება და მთელი მასალის ამ მიზანსწრაფულობით შერჩევა. ფორმულა, უდავოდ, ქართულ სინამდვილეს ეპასუხება და მასში პოლემიკის დანალექიც შესამჩნევია.

პროგრამის გამოცხადებას, მიმართულებისა და მიზნის გარკვეულად გამოხატვას ნ. ნიკოლაძე პერიოდული გამოცემის აუცილებელ მოვალეობად და წარმატების ერთ-ერთ პირობად თვლის. ჟურნალის „შრომა მით უფრო ადვილდება, რაც უფრო უკეთ და სრულად გაცნობილი აქვს მკითხველს მისი მიმართულება“. ეს მიზანი, ეს გადამწყვეტი საპროგრამო პრინციპი სტატიის დასაწყისში ძალიან ზოგადად არის განსაზღვრული; მას, შეიძლება ითქვას, პროპაგანდისტული დანიშნულება აქვს: „კრებულს ისევე მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი, თავისი საზოგადოების ბედნიერება“.

ნ. ნიკოლაძის ვრცელი საპროგრამო წერილი სწორედ იმის ახსნას ისახავს მიზნად, თუ როგორ ესმის ახალ ჟურნალს „საზოგადოების ბედნიერება“ და რა გზებს სახავს მის მისაღწევად. ამ მხრივ, „კრებულის“ დანიშნულებაზედ“ დიდად განსხვავდება ილიას წერილისაგან „საქართველოს მოამბეზედ“. ნ. ნიკოლაძეს აინტერესებს კონკრეტული სოციალური საკითხები, მათი ახსნა და გადაუდებელი პრაქტიკული გადაწყვეტა. აქ მთელი სისავსით იგრძნობა რეფორმის მომდევნო წლებში შექმნილი საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილი, ახალი გზების ძიება; წინა პლანზე წამოწეულია ეკონომიური პრობლემები. ამის შედეგია, რომ საპროგრამო სტატია, არსებითად, ეკონომიური ხასიათისაა; ფართო საერთაშორისო პარალელებითა და პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების მოშველიებით, იგი შესაფერად მომზადებული, პრაქტიკული ასპარეზით დაინტერესებული აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი.

უწინარეს ყოვლისა, მას აინტერესებს, რა უშლის ხელს ბედნიერებას. ამ კუთხით მიდგომა საშუალებას აძლევს, ყურადღება გაამახვილოს თანამედროვე ცხოვრების მტკივნეულ მხარეებზე; ყოველი დებულების საილუსტრაციოდ ავტორს კონკრეტული მაგალითი მოაქვს. მისი აზრით, ბედნიერებას

სელს უშლის რწმენა, რომ ბედნიერება თვით ადამიანმა კი არ უნდა შექმნას, არამედ ზეცამ უნდა მოუვლინოს. ნამდვილად კი, კაცს „ბუნების კანონების გამოკვლევით, მათი გონიერად ხმარებით... როგორც თავისი საკუთარი სხეულის, აგრეთვე გარშემო ბუნების გაუმჯობესება და თავის სასარგებლოდ ხმარება შეუძლია".

ავტორი გეოგრაფიული ფაქტორის როლსაც ამჩნევს, მაგრამ მას რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას როდი ანიჭებს. პირიქით, გარკვევით აცხადებს, — ათასობით მაგალითი ვიცით, რომ ხალხებმა თვითონვე გარდაქმნეს გარემო პირობები. ერთი სიტყვით, „კაცის ტვინს და შრომას შეუძლია ბუნების კანონების გამოკვლევით და მათი გონიერათ ხმარებით თავიანთ ბუნების ხასიათის შეცვლა".

ჩვენს პლანეტას შეუძლია თავის ყველა შვილს მიანიჭოს ბედნიერება. კაცის მოთხოვნილება უსაზღვრო როდია. მისი მთლიანად დაკმაყოფილება არცთუ ძალიან ძნელია. გაიხსენეთ, რა გაუმაძღარია მშიერის ფანტაზია და რა იოლად ქრება ის, როცა ცოტაოდენ ნოყიერ საკვებს შეჭამს. ასე რომ, საყოველთაო ბედნიერების მიღწევა სავსებით შესაძლებელია; დედამიწაზე ადამიანთა ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა არსებობს. ადამიანი ნიადაგ უნდა ებრძოდეს ბუნებას, იკვლევდეს მას, ცოდნას იძენდეს. „ბუნება არც მტერია კაცისა, არც მეგობარი, არც სიკეთე უნდა მისთვის, არც სიავე".

მანამდე ჩვენში არავის მოუცია საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლის ასე სწორი განსაზღვრა, რასაც, სხვა რომ არა ვთქვათ რა, დიდი საგანმანთლებლო მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება დავადგინოთ, რომ საპროგრამო წერილის ძირითად პათოსს სწორედ ამის მტკიცება წრმოადგენს. როგორც ბუნების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები ერთმანეთთან არის ჩართული და ერთი-მეორეზედ დამოკიდებული. მაგრამ, ბუნებასთან ბრძოლა, დოვლათის სიუხვე ჯერ კიდევ არ ნიშნავს საყოველთაო ბედნიერებას, რადგან „ჭონვა და მოხმარება ერთი და იგივე საქმე როდია. შეიძლება, რომ... რომელიმე ქვეყანაში საკმაო საზრდო და სიმდიდრე იყოს და

ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს, უთავბოლო ან უხეირო გაწყობილების გამო".

აქამდე ავტორი მატერიალისტურ პოზიციაზე იდგა, უაღრესად პრინციპული პრობლემაც წამოჭრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მისცა მას მეცნიერული, მატერიალისტური გაშუქება. „უხეირო განწყობილებაში", მაგალითად, იგი გულისხმობს, რომ ახალციხის მაზრაში შეიძლება ბევრი პური იყოს და უგზოობის გამო იმერეთში ვერ შეიტანონ. ამიტომ პურის მთელ მარაგს მდიდარი ვაჭარი შეისყიდის და შემდეგ მამასისხლად გაჰყიდის. მერედა, რა უშველის ამ „უხეირო გაწყობილებას?"... გზების გაყვანა და სხვადასხვა სახის საზოგადო ქველმოქმედება. ეს, რა თქმა უნდა, იდეალისტური, უტოპიური შეხედულებაა.

საერთოდ, სტატიაში მოცემული არაა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მწყობრი თვალსაზრისი და საპროგრამო წერილს ამას ვერც მოვთხოვთ. ბოლოს და ბოლოს, მისი ძირითადი მიზანი იმის განცხადებაა, რომ „კრებულში" მთავარი ადგილი დაეთმობა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ეკონომიურ საკითხებს, რადგან „კაცობრიობის ისტორიაში სტრატეგიის და ტაქტიკის მნიშვნელობა პოლიტიკურ ეკონომიას და ზოგიერთ სხვა მეცნიერებას აქვთ". ავტორი სწუხს, რომ„ ჩვენ არაფერი გაგვეგება ამ ცოდნისა" და ამის დამამტკიცებელი მაგალითებიც მოაქვს. მისი რწმენით, ქვეყნის მომავალი ამაზეა დამოკიდებული. საზოგადოებრივ მეცნიერებას „ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ ემონება კაცობრივი საზოგადოება".

ამრიგად, „კრებულის" რედაქციის ყურადღება მიპყრობილია ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოშობილი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისაკენ, ეკონომიური განვითარების გზებისა და ღონისძიებებისაკენ.

ავტორი არაფერს ამბობს სოციალურ-კლასობრივ უთანასწორობასა და ბრძოლაზე, პოლიტიკურ გადატრიალებებსა და ა. შ. ეტყობა, საცენზურო პირობების გამო, ის მოერიდა მწვავე პოლიტიკური საკითხების წამოჭრას; მაგრამ არც ის იქნება მართებული, რომ არ აღვნიშნოთ საპროგრამო სტატიის

სერიოზული ნაკლოვანებანი. უწინარეს ყოვლისა, იგი ცალმხრივი და დაწვრილმანებულია; მას არ გააჩნია „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილის ფილოსოფიური სიღრმე, განზოგადებულობა, თანმიმდევრობა და სიცხადე. ერთი რიგის დეტალების (ეკონომიკის) გამოდევნების გამო, ავტორი ვერ სწვდება ჟურნალის მიმართულების ყველა ასპექტს. მას თითქმის მხედველობიდან რჩება, რომ „კრებული“ ლიტერატურული ჟურნალია, არ ჩანს, რა პოზიციას დიაკავებს ჟურნალი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში. წერილის მიხედვით, ძნელი წარმოსადგენია ჟურნალის პროფილი და, საერთოდ, ვერ იძლევა იმის სწორ სურათს, რასაც ჟურნალი ნამდვილად წარმოადგენდა. ამასთან, საპროგრამო წერილს არ შეეფერება ასეთი მრავალსიტყვაობა და გაჭიანურება; სრულიად ზედმეტია ქართული პუბლიცისტიკის გაცვეთილი მორალისტური მოტივების გადამღერება — რომ საზოგადო საქმეში უნდა ვიყოთ უანგარო, მიუკერძოებელი, გულწრფელი, პირდაპირი და სხვ. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ავტორი გადაჭარბებულ როლს ანიჭებს ადამიანთა „ხასიათს, ზნეს, პატიოსნებას“, განათლებულ მოქალაქეებს და, საერთოდ, პიროვნებას. საპროგრამო წერილში ნათლად არ ჩანს, საზოგადოების რომელი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა „კრებული“, ვისი სახელით, ვისი დროშით გამოდიოდა სამოღვაწეო ასპარეზზე. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ავტორმა ცენზურის შიშით ვერ შესძლო ამის თქმა და მხოლოდ მინიშნებით დაკმაყოფილდა.

ავტორი გრძნობს, რომ ბევრ გარეშე საგნებზე მოუხდა საუბარი; მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ ჩამოუყალიბებელი დარჩა ძირითადი დებულებები, ვერ გამოკვეთა ჟურნალის პროგრამა.

პროგრესული საზოგადოებრიობა „კრებულს“ აღტაცებით შეხვდა. „დროება“ ხშირად აქვეყნებდა ს. მესხისა და სხვათა ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს (1871, № 1, № 24; 1872, № 14; 1873, № 13, 19 და ა. შ.).

რეცენზენტები მოითხოვდნენ, რომ „დროებას“ ცალკე ბიბლიოგრაფიული განყოფილება დაეარსებინა „კრებულის“ ახალი ნომრების გახსახილველად.

„კრებულმა“ თავისთავი მოწინავე შეხედულებების პროპაგანდისტად გამოაცხადა; მან მიზნად დაისახა არა მარტო გაეცნო საზოგადოებისათვის პროგრესული იდეები, ეპოქის დადებითი იდეალები, არამედ კიდეც შეეყვარებინა მისთვის შრომა და ცოდნა, ჩაენერგა და აღეზარდა მასში მაღალი ზნეობა, — შეეძულებინა და შეეზარებინა მისთვის „განხეთქილება, ერთმანეთის გლეჯა, ერთიმეორის შეუბრალებლობა“, — ე. ი. ყოველივე, რაც „ბოლოს უღებს საზოგადო ბედნიერებას,... აბრკოლებს მის წარმატებას“.

ჟურნალის საპროგრამო წერილს ნ. ნიკოლაძე საზოგადოების წინაშე მაღალი ვალდებულების აღიარებით ამთავრებდა: „...ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფენილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტისმეტათ ძნელია... მაგრამ ამ სიძნელეშიც „კრებული“ ყოველთვის იმ ანარით ჩაიდგამს სულს და სიმხნევეს მოიმატებს, რომ მის შრომას მიზნათ საზოგადო სარგებლობა და სიკეთე აქვს“.

რედაქტორი

ყველა მკვლევარს „კრებულის“ პირველ რედაქტორად (ზოგიერთს დამაარსებლად და ერთადერთ რედაქტორადაც) გიორგი წერეთელი მიაჩნია (ზ. ჭიჭინაძე: „კრებულის“ გამოცემა გ. წერეთელმა დაიწყო 1871 წელს“[1] „1871 წ. გამოსვლა იწყო კრებულმა გ. წერეთლის რედაქტორობით“,[2] არჩ. ჯორჯაძე: „1871 წლიდან არსდება გ. წერეთლის რედაქტორობით „კრებული“[3]; გ. ბაქრაძე: „კრებული-ს“ რედაქტორ-გამომცემელი გ. წერეთელი“[4]; ს. ხუნდაძე: „გ. წერეთელი რედაქტორობდა „კრებულს“ 1871 — 1873 წლებში“[5]; „კრებული“ 1871 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით“[6]; „კრებული“ დააარსა გ. წერეთელმა“[7]; ვ. კოტეტიშვილი: „1871 წელს გ. წერეთლის რედაქ-

[1] ზ. ჭიჭინაძე, „ნიკო ნიკოლაძე“. 1897 წ. გვ. 36.

[2] ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ქართულის გაზეთების და ჟურნალებისა“, 1903 წ. გვ. 38.

[3] არ. ჯორჯაძე, თხზ. ტ. V, გვ. 126.

[4] გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკა, გვ. 8.

[5] ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. I, გვ. 381. ს. ხუნდაძის შენიშვნებით.

[6] ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. 1949. გვ. 85.

[7] იქვე, გვ. 12.

ტორობით არსდება „კრებული“[1]; შ. რადიანი: „კრებული“ გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა“[2]; დ. გამეზარდაშვილი: „1871 წელს მისი (გ. წერეთლის) რედაქტორობით გამოსვლას იწყებს „კრებული“[3] და: „გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა „კრებული“ 1871—1873 წლებში“ აპ. მახარაძე: „კრებულის“ პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი“[4]; ი. ბოცვაძე: „კრებული“ დააარსა გიორგი წერეთელმა“.[5]

ამასთან, მკვლევართა ერთ ნაწილს, აგრეთვე, ჩვენს მიერ დასახელებულ ზოგიერთ მკვლევარს, ოღონდ სხვა ნაშრომში ან იმავე ნაშრომის სხვა ადგილზე, — გ. წერეთელთან ერთად, ნიკო ნიკოლაძეც მიაჩნია „კრებულის“ დამაარსებლად და ხელმძღვანელად. გრ. ყიფშიძე: „...Г. Церетели и Н. Николадзе... были главными сотрудниками и основателями „Кребули“ в 1871 г.“[6]. გ. ბაქრაძე: „კრებულის“ უმთავრესი თანამშრომელი იყო სკანდელი (ნიკო ნიკოლაძე)[7]; ვ. კოტეტიშვილი: „კრებულის“ უმთავრეს სულისჩამდგმელად ნ. ნიკოლაძე გამოდის“[8]; — მიხ. ზანდუკელი: „გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძესთან ერთად 1871 წელს ჩაუდგა სათავეში... „კრე-

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს. გვ. 412.

[2] შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 364.

[3] დ. გამეზარდაშვილი ნარკვევები. ქართული რეალიზმის ისტორიიდან. II. 1957, გვ. 442, 425.

[4] ა. მახარაძე, ნარკვევები. 1957, 1 გვ. 375—აგრეთვე „გ. წერეთელი პერიოდული პრესის მოღვაწე“. პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. სამასწაულებლო ინსტიტუტის შრომები, 11, 1942 წ.

[5] ს. მესხი, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით. გვ. 228.

[6] Гр. Кипшидзе. — „Периодическая печать на Кавказе, 1901 г. стр. 33.

[7] გ. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 8.

[8] ვ. კოტეტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 412.

ბულს"[1]; — ს. ხუნდაძე: „კრებული" 1871 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით, ბაგრამ მისი ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს"[2]. აპ. მახარაძე: „1871 წლის დამდეგიდან გამოსვლას იწყებს გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის ჟურნალი „კრებული"[3]

საყურადღებოა დ. გამეზარდაშვილის მოსაზრება: „კრებულის" დაარსების ინიციატივა უშუალოდ მას (ნ. ნიკოლაძეს) ეკუთვნის, მაგრამ თუ რედაქტორად გ. წერეთელი გვევლინება, ეს იმიტომ, რომ ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა მასზე დაწესებული საიდუმლო მეთვალყურეობის შესახებ და ისიც, რომ ჟურნალის გამოცემის უფლებას მას არავინ მისცემდა"[4].

საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა ანგარიში გავუწიოთ ორ გარემოებას; ერთი: მართალია, ჟურნალად გამოცემის ნებართვა მიღებული იქნა 1871 წლის აპრილში, მაგრამ მას ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა და, არსებითად, არავითარი გავლენა არ მოუხდენია „კრებულის" ხასიათზე — პრინციპულად იგი მთლიანი, ერთიანი გამოცემაა პირველი ნომრიდან უკანასკნელ ნომრამდე; — მეორე: „კრებულის" პირველი ოთხი ნომერი მომზადდა და დაიბეჭდა აღნიშნული ნებართვის მიღებამდე.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „კრებულის" დაარსების თაოსნობა სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის. ამ უკანასკნელს დაეკალა „კრებულის", როგორც „დროების" ლიტერატურული დამატების, შედგენა და რედაქცია. პირველი ოთხი წიგნი მისი რედაქტორობით მომზადდა და დაიბეჭდა. ამრიგად, „კრებულის" დამაარსებელი და მისი პირველი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძეა. ჟურნალის 1872 წლის №10-12-ში იგი წერს: „ჯიბრის" დაბეჭდვის დროს „კრებული" ჯერ კიდევ ჟურნალათ არ გამოდიოდა და მისი რედაქცია გ. წერეთლის ხელში არ ყოფილა. ამ სტრიქონების დამწერმა

---

1 მ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954., II, გვ. 474.

2 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა... 1949., გვ. 85.

3 ა. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ნარკვევები. I, გვ. 371.

4 დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები. II, გვ. 443.

(ე. ი. ნ. ნიკოლაძემ — ა. კ.) მისცა „ჯიბრს“ დიდი მნიშვნელობა და პირველი ადგილი „კრებულის“ მეორე წიგნში“. წერილში — „ჩემ პიროვნებაზე“ (1873 წ. № 7) ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „მელაღუმის“ დაბეჭდვის დროს „კრებულის“ შედგენა... თვითონ „მელაღუმის“ დამწერს (ე. ი. ნ. ნიკოლაძეს) ებარა“. („მელაღუმე“ დაბეჭდილია მე-4 ნომერში).

„დროების“ 1871 წ. № 21-ში (ფელეტონი) ნათქვამია: „...პირველად უნდა შევნიშნოთ უფ. კუხელს, რომ 1869 წელში „დროების“ გამომცემელი და ახლანდელი „კრებულის“ ერთი და იგივე პირნი არ არიან“. (1869 წლის შესაბამის პერიოდში „დროების“ რედაქტორი იყო გ. წერეთელი).

გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში, რომელიც კარლ მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდში ინახება, ნიკო ნიკოლაძე გარკვევით აღნიშნავს: «Дело так шло долго не могло (მხედველობაში აქვს „დროებასა“ და „მნათობს“ შორის გაჩაღებული კამათი. ა. კ.). В конце года я основал (ხაზი ჩვენია. ა. კ.) журнал «Кребули», который и вел единолично до лета 1871 года (ხაზი ჩვენია. ა. კ.), когда смерть моего отца заставила меня покинуть Тифлис».

ამავე ავტობიოგრაფიის ერთი ადგილიდან გარკვევით ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში გ. წერეთელი ჟურნალის რიგითი თანამშრომელი იყო: „В „Кребули“ — წერს ნ. ნიკოლაძე, — Я, впрочем дал место и статье Г. Церетели об университете“.

„კრებულის“ პირველ წიგნებზე „დროების“ 1871 წლის № 24-ში გ. წერეთელმა („კრებულის“ მკითხველის“ ფსევდონიმით) გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია, რომელშიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს ჟურნალის რედაქციის მიმართ. ცხადია, იმ დროს გ. წერეთელი „კრებულის“ რედაქტორი არ იყო.

ეს გარემოება ეჭვს არ იწვევს. ახლა გამოვარკვიოთ, რა მდგომარეობა შეიქმნა 1871 წლის გაზაფხულიდან, როცა მიღებული იქნა მთავრობის ნებართვა „კრებულის“ ჟურნალად

გამოცემის შესახებ. აღნიშნული ნებართვით. „კრებულის“ გამომცემლად და რედაქტორად მთავრობამ დაამტკიცა გ. წერეთელი. კერძოდ, იგი აწერს ხელს „მნათობსა“ (1871, № 2), „კრებულსა“ და „დროებაში“ ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სარედაქციო განცხადებებს. მაგრამ საკითხის გარშემო არსებულ მასალას რომ ვეცნობით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ეს დამტკიცება ფორმალური იყო და „კრებულს“ მას შემდეგაც ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, ჟურნალის ფაქტიურ რედაქტორად კვლავ ის დარჩა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთავრობამ ნ. ნიკოლაძეს უარი უთხრა დამტკიცებაზე; შეიძლება, ნიადაგი მოსინჯეს, გამოარკვიეს, რომ ნიკოლაძეს არ დაამტკიცებდნენ და შემდეგ გ. წერეთელი წარადგინეს. ან, როგორც დ. გამეზარდაშვილი ვარაუდობს, „ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა მასზე დაწესებული საიდუმლო მეთვალყურეობის შესახებ და ისიც, რომ ჟურნალის გამოცემის უფლებას მას არავინ მისცემდა“.[2] მართლაც, ნიკო ნიკოლაძე იმ დროს ემიგრაციიდან ახალდაბრუნებული იყო, პოლიტიკურად საშიშ პიროვნებად ითვლებოდა და, ცხადია, რედაქტორად არაიითარ შემთხვევაში არ დაამტკიცებდნენ.

მართალია, ამ მოსაზრებათა უარსაყოფად ან დასადასტურებლად პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ, სამაგიეროდ, უტყუარი ცნობები გაგვაჩნია საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად ე. ი. იმის დასადგენად, თუ ფაქტიურად ვინ უდგა სათავეში „კრებულს“.

თავიდანვე ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გ. წერეთელი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, ხელს აწერს ჟურნალის მხოლოდ ერთ ნომერს.

ჟურნალად გადაკეთებული „კრებულის“ ვრცელი საპროგრამო წერილი, რომელიც 1871 წლის მე-3 ნომერშია დაბეჭდილი („კრებულის“ დანიშნულებაზედ“), ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის. პერიოდულ გამოცემათა ამ ხასიათის საპროგრამო წერილებს, ჩვეულებრივ, რედაქტორები წერენ.

---

[1] „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 206.

[2] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან,— 1, გვ. 443.

ზემოაღნიშნულ სარედაქციო განცხადებაში, რომელსაც გ. წერეთელი აწერს ხელს, საგანგებოდ იყო მითითებული, რომ: „კრებულის“ რედაქციაში ნიადაგ მონაწილეობას მიიღებს ს. სკანდელი“—(ნ. ნიკოლაძე). დახარჯენი თანამშრომელები ცალკე იყვნენ დასახელებული. ამით პირდაპირ მინიშნებული იყო, რომ ჟურნალის მეთაურად, ფაქტიურად, კვლავ ნ. ნიკოლაძე რჩებოდა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ნ. ნიკოლაძეს „კრებულში“... დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა... თვით რედაქტორს არ ეკითხებოდა ამდენი“[1].

1872 წლის 26 იანვარს სერგეი მესხი თბილისიდან ატყობინებდა კირ. ლორთქიფანიძეს, „რომ „კ რ ე ბ უ ლ ი ს“ წ ა ყ ვ ა ნ ა ნ ი კ ო ლ ა ძ ე მ ი თ ა ვ ა“.[2]

სოფრ. მგალობლიშვილიც გვიდასტურებს, რომ „კრებულის“ სულისჩამდგმელი, მიმართულების მიმცემი და მეთაური ნიკო ნიკოლაძე იყო. „კრებულისა“ და ნიკოლაძის გარშემო შემოიკრიბნენ მაშინდელი ჩვენი მწერლები და მთლად მაშინდელი ინტელიგენცია“[3].

„კრებულს“ ნ. ნიკოლაძე საკუთარი ფულით სცემდა, რადგან ქართული ჟურნალის ხელმოწერის თანხა მაშინ ხარჯების ერთ მესამედსაც ვერ ანაზღაურებდა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის ფინანსიური დახმარების გარეშე „კრებული“ ვერ გამოვიდოდა. ზ. ჭიჭინაძე ამბობს: „ნიკოლაძე ცხადად დარწმუნდა, რომ საქართველოში რიგიანი ჟურნალის არსებობა დიდ დახმარებას და ხარჯს მოითხოვდა“. „მე თვით ვარ ამის მნახველი, — განაგრძობს ზაქ. ჭიჭინაძე, — რომ მან [ნ. ნიკოლაძემ] 1000 მანეთის ოქრო გადასცა მესტამბეს „კრებულის“ ბეჭდვის ანგარიშში“[4].

ს. მესხი 1873 წლის 21 მაისს სწერდა კეკე მელიქიშვილს:

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ნ. ნიკოლაძე, 1897, გვ. 34.

[2] ს. მ ე ს ხ ი ს წერილები, ი. ბოცვაძის წინასიტყვაობით, რედაქციით, შენიშვნებით. გვ. 45.

[3] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი. 1938 წ., გვ. 60.

[4] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, — ნ. ნიკოლაძე, 1897, გვ. 36.

„შენ იცი, როგორ მოუთმენლად მოველოდით ჩვენ ნიკოლაძის ჩამოსვლას. ყველა სიკეთეს იმისგან,... იმის ფულებისაგან მოველოდით. მე და ჩემს გაზეთს, ღვთის მადლით, მაგის ფულები არა გვჭირია, მაგრამ... „კრებულისათვის“ (გვჭირდება. [1]).

ყველაფრიდან ჩანს, რომ „კრებულის“ სარედაქციო მუშაობა მთლიანად ნ. ნიკოლაძეს აწვა მხრებზე. ამას „კრებულის“ სარედაქციო განცხადებებიც ადასტურებს. 1872 წლის დეკემბრის განცხადებაში („დროება“, 1873 წ. № 1; „კრებული“, 1872 წ., № 10—12) ნათქვამია: „კრებულის“... რედაქცია და თანამშრომლობა, პატივსადები მიზეზებისა გამო, თითქმის უფრო ხშირად ერთ კაცზედ იყო მიგდებული“.

იმ დროს, საერთოდ, ყველა ნ. ნიკოლაძეს სცნობდა „კრებულის“ მეთაურად. ილია ჭავჭავაძე 1871 წ. 19 მარტს სწერდა პეტრე ნაკაშიძეს: „...გიგზავნი.... ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდად“[2].

აკ. წერეთელი წერს: „ნ. ნიკოლაძემ საკუთარი ჟურნალი „კრებული“ გაიჩინა, გიორგიმაც რაღაც საქმეს მოჰკიდა ხელი“ („თემი“ 1912 წ. № 93).

საერთოდ, ამ საქმესთან ახლო მდგომი კომპენტენტური პირები (გრ. ყიფშიძე, გ. თუმანიშვილი) გ. წერეთელთან ერთად, ნ. ნიკოლაძესაც თვლიდნენ „კრებულის“ დამააარსებლად და რედაქტორად. გ. თუმანიშვილი, მაგალითად, წერს: „Н. Николадзе... в первой книжке издававшегося им вместе с Г. Е. Церстели... „Кребули“...[3]

„ნ. ნიკოლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის... „კრებულის“ გარშემო ქართული ლიტერატურის მოწინავე ძალების გაერთიანების საქმეში“.[4] ეჭვს არ იწვევს, რომ „კრებულს“ ნ. ნი-

---

[1] ს. მესხი, წერილები, დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. აკადემიური გამოცემა, ტ. X, ჯ. ინგოროყვას რედაქციით, შენიშვნებით. 1961 წ., გვ. 32.

[3] Г. Туманов, Характеристики и воспоминания, 1913 г. стр. 234—235.

[4] გ. აბზიანიძე, ნარკვევები ქართული პროზის ისტორიიდან, 1959 წ., გვ. 117.

კოლაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები აძლევდა იდეურ გეზს. „კრებულის“ საქმე პირველის ნომრიდანვე ბრწყინვალედ წავიდა, [რადგან] ნ. ნიკოლაძის კალამმა ბრწყინვალებით მორთო იგი, ქართველობას ამცნო და დაუმტკიცა, რომ ქართულს ენაზედ შეიძლება ჩინებული წერილების წერა და მუშაობაო“ (ზ. ჭიჭინაძე).[1]

1872 წლის გაზაფხულზე ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. ჟურნალის მე-6 და მე-7 ნომრები წასვლამდე გამოუშვა მან (ცენზურის ვიზა შესაბამისად: 15 იანვარი და 14 მარტი). მისი წასვლის შემდეგ, 1872 წელს, „კრებულის“ ერთადერთი წიგნი გამოვიდა (№ 8—9 ერთად. ცენზურის ვიზა: 21 ივლისი); 1872 წლის მე-10, 11, 12-ე ნომერი 1873 წელს გამოვიდა ერთ წიგნად (ცენზურის ვიზა: 1873 წ. 20 იანვარი).

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში. „კრებულის“ გამოცემა, ფაქტიურად შეწყდა.

იმავე ხანებში გიორგი წერეთელი და სერგეი მესხიც ემზადებოდნენ ხანგრძლივი დროით საზღვარგარეთ წასასვლელად და ჟურნალი მთლად უპატრონოდ რჩებოდა. როგორც ცნობილია, ს. მესხის გამგზავრებასთან დაკავშირებით (1872 წ. ივლისი), „დროების“ რედაქტორად კირ. ლორთქიფანიძე მიიწვიეს და „კრებულის“ მეთაურობაც მას დაევალა. ზაქ. ჭიჭინაძის გადმოცემით, „1872 წლის ბოლოს მთავრობას თხოვნა მისცეს და... რედაქტორად კირილე ლორთქიფანიძე იქნა დამტკიცებული“. [2]

ამასთან დაკავშირებით, ჟურნალის რედაქციამ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა („კრებული“, 1872, № 10—12; „დროება“, 1873, № 1) 1873 წელს „კრებულის“ გამოცემის თაობაზე. ამ განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ამ იანვრიდან დაწყებული „კრებულის“ სარედაქციო შრომაში მონაწილეობას მიიღებს უფ. კირილე ლორთქიფანიძე“; ნ. ნიკო-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, — ნ. ნიკოლაძე, 1897 წ., გვ. 34.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული ჟურნალებისა და გაზეთებისა, 1903 წ., გვ. 39. „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 209.

ლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ. რიგით თანამშრომლებად არიან დასახელებული.

კირ. ლორთქიფანიძე მაშინვე შედგომია „კრებულის“ ხელმძღვანელობას.[1] 1873 წლის 29 იანვარს ილია ჭავჭავაძე მას უგზავნის „გლახის ნაამბობის“ დასასრულს და წერს: „არ ვიცი, როგორ მოგეწონებათო“.

კირ. ლორთქიფანიძეს გაუძნელდა რედაქტორობა. 1873 წლის პირველი ნომრის გამოცემა მან მაისის ბოლოსღა მოახერხა (ცენზურის ვიზა 26 აპრილი). ამის გამო სერგეი მესხი 1873 წ. 6 ივნისს სწერდა კეკე მელიქიშვილს: „იწერები, მადლობა ღმერთს, „კრებულის“ პირველი წიგნი მივიღეო. მართლაც, რომ მადლობა ღმერთს. ეხლა ივნისია. მეშვიდე წიგნი უნდა მზადდებოდეს, მაგრამ ჯერ მეორეც არ არის მზად და ვინ იცის, როდის დამზადდება. კირილე სრულებით ჟურნალისტი არ არის, იმას ისეთი ხასიათი არა აქვს, რომ ყოველთვის და ყოველ საგანზე შეეძლოს წერა. ჯერ იმას ერთი სტრიქონი არ დაუწერია „კრებულისათვის“. ამბობს, ამისთანა მდგომარეობაში მე წერა არ შემიძლიაო, ჩემი სახლკარი არა მაქვსო, გული მუდამ დამშვიდებული არა მაქვსო! რომ რაზე საგანს ვეუბნები — აი, ამაზე უნდა მოილაპარაკო „კრებულში“ მეთქი, ან თვითონ რომ რასმეზე საჭიროთ თვლის დაწერას, ამბობს, რომ მართალია, ამ საგანზე ჟურნალში უნდა ითქვას რამეო, მაგრამ კარგათ არ ვიცი ეს საგანი. ესა და ეს წიგნები უნდა წაკითხული მქონდეს ჯერაო და მერე შემეძლება წერაო! განა, ჩვენ არა ვგრძნობთ, რომ ის საგნები, რომლებზედაც ვსწერთ, ჩვენ გარკვევით გაცნობილი არა გვაქვს, მაგრამ ყველა საგნების საფუძვლიანად გაცნობას თუ ვუცადეთ, ჩვენ დღეში ვერაფერი დაგვიწერია“.[2]

---

[1] რა თქმა უნდა, ზუსტი არ არის გ. აბზიანიძის მოსაზრება, რომ 1873 წ. ოქტომბრიდან 1874 წ. ოქტომბრამდე კ. ლორთქიფანიძე „კრებულის“ რედაქციის ერთი ხელმძღვანელი წევრთაგანი იყო“ (გ. აბზიანიძე, ნარკვევები... გვ. 343); კირ. ლორთქიფანიძე 1873 წლის იანვრიდან დეკემბრამდე „კრებულის“ რედაქტორი იყო.

[2] სერგეი მესხი, წერილები, დასახელებული გამოცემა, გვ. 25.

ამ პერიოდში „კრებულის“ საქმეებს, ფაქტიურად, სერგეი მესხი განაგებდა და ნიკო ნიკოლაძეს მასთან ჰქონდა მიმოწერა ცალკეული მასალების, კერძოდ მისი თხზულების — „სხვათა შორის“ დაბეჭდვის თაობაზე.

1873 წლის მაისში ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და მაშინვე სათავეში ჩაუდგა „კრებულს“. მძიმე სამუშაო დახვდა; ერთდროულად მოსამზადებელი და დასაბეჭდი იყო მე-2, 3, 4, 5, 6, 7, 8-ე ნომრები. ს. მესხი 1873 წლის 5 სექტემბერს პარიზიდან ჟენევაში აცნობებდა კეკე მელიქიშვილს: [ნ. ნიკოლაძე იწერება ქალაქიდან] „საშინელ გაცხარებულ შრომაში ვართო, „კრებულის“ 4, 5, 6, 7 და მერვე წიგნი ამ სექტემბერში უნდა გამოვსცეთო. მასალები სულ ჭზათ გვაქვსო [თბილისში რომ ვიყო] „სერთუკის კალთას ჩაჭოესწეედი“.

მკითხველთა დასაშოშმინებლად, „დროების“ 1873 წლის № 35-ში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა „კრებულის“ რედაქციის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „გამოვიდა და ამ მოკლე ხანში ხელისმომწერებს დაურიგდება „კრებული“ (ამას მოჰყვება მე-7—მე-8 ნომრების შინაარსი, ა. კ.)... ამ წიგნების და აგრეთვე №№ 4,5, 6-ის აკინძვა და გაგზავნა ცოტათი უფრო მეტს დროს თხოულობს, ვინემ ჩვენ გვეგონა, მაგრამ სექტემბრის განმავლობაში კი ხელისმომწერებს ეს გამოსული ნომრები დაურიგდება“.

ამ სარედაქციო განცხადების თაობაზე 1873 წ. 15 ოქტომბერს სერგეი მესხი სწერდა კეკე მელიქიშვილს: „ესეც სექტემბერი გათავდა, ოქტომბერიც დადგა და „კრებულის“ არათუ მერვე, მეხუთე წიგნიც კი არსად ჩანს ჯერ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე მ ა რ ტ ო შ ი ნ ა ა რ ს ს ა ც ხ ა დ ე ბ ს... ახირებულია! შინაარსს თუნდა მთელი წლისას გამოვაცხადებ წინათვე, საქმე სტატიებში და გამოცემაშია. ღმერთმანი, ამნაირად მუდამ მოტყუებით, ჩვენ მკითხველებთან სახელი გაგვიტყდება და მერე რაც უნდა გამოვაცხადოთ, კაცი აღარ დაგვიჯერებს. ნუთუ, წიგნები თუ მზათ იყო, ამდენი ხანი მარტო ყდების შეკვრას მოუნდნენ!“

ნ. ნიკოლაძემ არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, პირ-

დაპირ შეიძლება ითქვას, გმირული თავდადება გამოიჩინა და მარტოდ-მარტომ მოკლე ხანში შესძლო მთელი წლის ხარეზის ამოვსება და დაპირების შესრულება, ოქტომბრის დამდეგისათვის გამოუშვა მე-3, 4, 5, 6, 7, 8, 9 ნომრები და დასაბეჭდად მოამზადა უკანასკნელი მე-10 ნომერი. დამახასიათებელია, რომ ოთხი ნომრის საცენზურო ვიზა გაცემულია სექტემბერში. ამრიგად, 1873 წლის ათი ნომრიდან ცხრა ნიკო ნიკოლაძის გამოცემულია. ამ პერიოდშიც „კრებულის“ მუშაობის საკითხებზე უმთავრესად მასთან აწარმოებდნენ მიმოწერას. („კრებულის“ გარჩევაც მოგივაო“, — სწერდა გ. წერეთელი 1873 წ. 16 ოქტომბერს).

1873 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა, 1875 წლამდე დარჩა იქ და „კრებულის“ გამოცემაც შეწყდა.

მაშასადამე, კვლევაძიებამ არ დაადასტურა დამკვიდრებული აზრი, რომ 1871—1873 წლებში „კრებული“ გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა. გამოირკვა, რომ: 1) „კრებულის“ დაარსების თაოსნობა ეკუთვნოდა ნ. ნიკოლაძეს; 2) „კრებული“ გამოდიოდა ნ. ნიკოლაძის სახსრებით; 3) „კრებულის“ პირველი რედაქტორი იყო ნ. ნიკოლაძე. — იგი მას რედაქტორობდა 1870 წლის ივნისიდან 1871 წლის აპრილამდე, ე. ი. „კრებულის“ ჟურნალად გამოცემაზე მთავრობის ნებართვის მიღებამდე, როცა იგი გაზეთ „დროების“ დამატების სახით გამოდიოდა (პირველი ოთხი ნომერი); 4) 1871 წლის აპრილიდან 1872 წლის ბოლომდე „კრებულის“ რედაქტორად ფორმალურად ითვლებოდა გ. წერეთელი; 5) 1873 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ოფიციალურად (ფორმალურად) „კრებულის“ რედაქტორად ითვლებოდა კირ. ლორთქიფანიძე; 6) არსებობის მთელ პერიოდში, 1870 წლიდან 1873 წლის ბოლომდე, „კრებულს“, თითქმის განუწყვეტლად, სათავეში ედგა ნიკო ნიკოლაძე; იმ დროსაც, როცა ოფიციალურ რედაქტორებად გ. წერეთელი და კირ. ლორთქიფანიძე ითვლებოდნენ, ჟურნალის ფაქტიური გამომცემელი და რედაქტორი ნ. ნიკოლაძე იყო. „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 ნომერი უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული და დაბეჭდილი.

ასე რომ, ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც მას „გიორგი წერეთლის ჟურნალს“ უწოდებენ. სტატიების რაოდენობასა და ღირსება-მნიშვნელობასაც რომ ანგარიში არ გავუწიოთ,— თუ „საქართველოს მოამბის“ ანალოგიით (რომელსაც ილია ჭავჭავაძის ჟურნალს ეძახიან) ამ ჟურნალსაც ვისიმე სახელს შევარქმევთ, მაშინ მას, უდავოდ, ნიკო ნიკოლაძის ჟურნალი უნდა ვუწოდოთ, ან, თუ ეს აუცილებელია, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის ჟურნალი.

პერიოდულობა

„კრებულის“ პერიოდულობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზაქ. ჭიჭინაძე, რატომღაც, ორთვიურ ჟურნალად თვლიდა მას [1]; გრ. ყიფშიძე [2], გ. ბაქრაძე [3], შ. რადიანი [4] და სხვ. ყოველთვიურ ჟურნალად მიიჩნევს; არჩ. ჯორჯაძე [5], ვახ. კოტეტიშვილი [6], და სხვ. საერთოდ, ეჭვქვეშ აყენებენ, რომ „კრებული“ ჟურნალი იყო; ს. ხუნდაძეს, მ. ზანდუკელს, დ. გამეზარდაშვილს, ა. მახარაძეს, გ. აბზიანიძეს, ი. ბოცვაძესა და სხვ. არაპერიოდულობის მიუხედავად, „კრებული“ ჟურნალად მიაჩნიათ.

როგორც ვთქვით, „დროების“ მესვეურებს, თავიდანვე, ძნელად, თითქმის, შეუძლებლად მიაჩნდათ მაშინდელ პირობებში ქართული ჟურნალის გამოცემა; ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდათ „გაზეთთან დამატება გამოეშვათ წიგნებად“, „რომელმაც უნდა აასრულოს ჟურნალის ვალი“. „რედაქციის შეძლებაზედ არის დამოკიდებული,— სწერდა ნ. ღოღობერიძე,— რამდენსაც მოისურვებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა“.

1870 წელსაც, როცა „კრებულის“ გამოცემას შედგომიან,

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართულის გაზეთების და ჟურნალების. 1903, გვ. 38 („1871 წელს თბილისში გამოსვლა იწყო ორთვიურ ჟურნალ „კრებულმა“).

[2] Гр. Кипшидзе, Периодическая печать на Кавказе, 1901 г., стр. 33.

[3] ქართული პერიოდიკა, გვ. 8.

[4] შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 364.

[5] არჩ. ჯორჯაძე, თხზ. ტ. V, გვ. 126.

[6] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., გვ. 414.

ნ. ნიკოლაძე და მისი მეგობრები ამავე აზრისა ყოფილან. ისინი უკვე 1869 წლის ბოლოდან აგროვებდნენ პირველი ნომრების მასალებს[1] და 1870 წლის ბოლოსათვის ოთხი ნომერი ჰქონდათ გამზადებული დასაბეჭდად. ამან ეტყობა, დიდი მხნეობა შეჰმატა საქმის ინიციატორებს, — იფიქრეს მომდევნო ნომრებსაც ადვილად მოვამზადებთო, — და მთავრობას ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ნება სთხოვეს და კიდეც მიიღეს. „კრებულის“ საპროგრამო განცხადებაში[2] ამის თაობაზე ნათქვამია: „კრებული“ გამოვა ყოველ თვე... პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამ წლის დამდეგს. ეხლა, რაკი მთავრობის ნებართვა მივიღეთ — „კრებულის“ ჟურნალათ გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოვცემთ აპრილში და მეხუთეს მაისის ნახევრამდი. დანარჩენი წიგნები: გამოვლენ უთუოდ ყოველი თვის დასაწყისში“.

ამ მომენტს ნ. ნიკოლაძეც ხაზს უსვამს საპროგრამო წერილში: „კრებულის“ დანიშნულებაზედ“[3]. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აქ იგი პერიოდულობას ჟურნალურობის ერთ მთავარ ნიშნად თვლის და ამაზე, როგორც აუცილებელ პირობაზე, ისე ლაპარაკობს: „კრებული“ დღეის იქით ჟურნალათ გამოიცემა. ეს ცვლილება მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ „კრებულის“ წიგნები დანიშნულ ვადაზე გამოვლენ, თვეში ერთხელ...“ და სხვ.

რედაქციამაც ხელისმოწერა გამოაცხადა, როგორც ყოველთვიურ ჟურნალზე (რაც შემდეგაც ასე მეორდება). 1872 წ. № 7-ის განცხადებაში, მაგალითად, ნათქვამია: „ფასი ნახევარი წლის ანუ ექვსი წიგნისა“ და ა. შ.

დასაწყისში საქმე კარგად მიდიოდა; — პირველი ოთხი წიგნი, რომლებიც 1870 წელს იყო მომზადებული, აკურატუ-

---

[1] ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949 წ., გვ. 77.

[2] ჟურ. „მნათობი“, 1870. № 2.

[3] „კრებული“, 1871 წ., № 3.

ლად თავ-თავის დროზე გამოვიდა: № 1 — იანვარში; №2 — თებერვალში; № 3 — აპრილის დასაწყისში; № 4 — მაისის დასაწყისში. მაგრამ, ეს იყო და ეს. მას შემდეგ, „კრებული“ არც ერთხელ აღარ გამოსულა თავის დროზე. მომდევნო № 5 ექვსი თვის დაგვიანებით გამოვიდა: ოქტომბერში და იმ წელს (1871 წ.) მეტი აღარც გამოსულა. ამრიგად, 1871 წელს, ფაქტიურად, მხოლოდ ეს ერთი ნომერი მომზადდა [1].

უნდა ვიფიქროთ, რომ რედაქციას ამთავითვე ეჭვი ეპარებოდა „კრებულის“ ყოველთვიურად გამოცემის შესაძლებლობაში. უთუოდ, ამის შედეგია, რომ „კრებულის“ არც ერთ წიგნს არ აწერია თვე და ნომერი. ესეც თითქო, ერთგვარად საეჭვოდ ხდის მის პერიოდულობას. ყველა ნომერს ყდასა და სატიტულო ფურცელზე აწერია წელი და „პირველი წიგნი“, „მეორე წიგნი“ და ა. შ.

რადგან რედაქცია ვალდებული იყო, 1871 წელს ხელის-მომწერთათვის თორმეტი წიგნი დაერიგებინა, შემოდგომის მიწურულისათვის კი ხუთიც არ ჰქონდა გამოშვებული, — დაიწყო მაშინდელი ქართული ჟურნალებისათვის ტრადიციული მობოდიშებანი. დაგვიანების მთავარ მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ ნ. ნიკოლაძე სხვა საქმეებით იყო დატვირთული და ვერ ასწრებდა. „დროების“ 1871 წ. № 33-ში დაიბეჭდა „კრებულის“ სარედაქციო განცხადება: „კრებულის“ რედაქცია დიდათ დანაშაულია მკითხველების წინაშე წიგნების დაგვიანებისათვის. მაგრამ დაგვიანების მიზეზი მასზე დამოუკიდებელი გარემოება იყო. რედაქციას იმედი ჰქონდა თავის დროზე გამოეშვა „კრებულის“ წიგნები, რადგანაც მის შრომაში ნიადაგმონაწილეობას იღებდა უფ. სკანდელი. მაგრამ უფ. სკანდელს შინაური გარემოების გამო ტფილისის მიტოვება მოუხდა. ახლა რედაქციამ საჭირო ღონისძიება მიიღო,

---

[1] ზაქ. ჰიპინაძე გამოსული ნომრების რაოდენობით მსჯელობს „კრებულის“ პერიოდულობაზე. რადგან 1871 წელს სულ ხუთი წიგნი გამოვიდა, იგი ასკვნის: „კრებულს“ გამოცემის დრო არ დაუნიშნეს. გამოსვლა იწყო დრო და დრო, ერთ წელიწადს ექვსი (sic!) წიგნი გამოიცა“ (ზ. ჰიპინაძე, „ნ. ნიკოლაძე“, 1897, გვ. 28). როგორც ზემოთ ვთქვით, სხვა ადგილას ზ. ჰიპინაძე ორთვიურ ჟურნალად თვლიდა „კრებულს“.

რომ დაგვიანებული წიგნები ერთათ გამოსცეს და ამ წელსვე „კრებულის“ წიგნები დანიშნულს ვადაზე გამოიყვანოს“.

რადგან ვერც ეს დაპირება შესრულდა, საქმის Მეთაურები ძალიან შეშფოთებული იყვნენ. „დიდად სამწუხაროა, — სწერდა 1872 წლის 26 იანვარს სერ. მესხი კირ. ლორთქიფანიძეს,— რომ „მუდამ „მნათობს“ დავსცინოდით ღოღიალზე და თითონვე იმაშივე სასაცილო შევიქენით... „კრებულმა“ თითქმის კიდეც გადააჭარბა „მნათობს“ ფეხმძიმობაში. მაგრამ რა გაეწყობა... ამ დღეებში გამოვიდა „კრებულის“ მეექვსე წიგნი...“

ასე რომ, 1871 წელს რედაქციამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება ხელისმომწერთა წინაშე; მასზე ვალად დარჩა შვიდი ნომერი (№№ 6, 7, 8, 9, 10, 11, 12), ამიტომ, 1872 წლის დასაწყისში რედაქციას ახალი ხელისმოწერა აღარ გამოუცხადებია. „დროების“ 1872 წ. № 1-ში იგი განმარტავდა: „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე წიგნი ამ მოკლე ხანში გამოვა და ხელისმომწერლებს დაურიგდება. დანარჩენი შარშანდელი წლის ხუთი წიგნი ამ წლის პირველ თვეებში გამოვა. სანამ შარშანდელი ხელისმომწერლები არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი (12 წიგნით), მანამ, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, „კრებულზე“ ხელისმოწერა აღარ მიიღება.“

რედაქციას იმედი ჰქონდა, რომ 1871 წლის დავალიანებას (7 ნომერს) 1872 წლის პირველ ნახევარში დაფარავდა. ამიტომ ახალი ხელმოწერაც მხოლოდ ამ წიგნებზე შეიძლებოდა: „ვისაც შარშან ხელი მოუწერია „კრებულზე“, იმათ დანარჩენი შვიდი წიგნი ამ წელს გაეგზავნებათ, ხოლო ახალი ხელისმოწერა მხოლოდ ამ ნახევარი წლის „კრებულზე“ ანუ მომავალს ექვს წიგნზე მიიღება“ [1]... მართლაც, 1872 წელი მთლიანად 1871 წლის დაფარვას მოუნდა. არც ერთი ახალი, პირობითად რომ ვთქვათ, 1872 წლის ნომერი არ გამოსულა (თუმ-

---

[1] „კრებული“ 1872, № 6.

ცა 1871 წლის დავალიანების დასაფარავად გამოსულ ნომრებს 1872 წელი აწერია).

უფრო მეტიც. რედაქციამ ვერც ეს დაპირება შეასრულა: შვიდი წიგნის ნაცვლად, 1872 წელს სამი გამოსცა; № 6 გამოვიდა — იანვარში; № 7 — მარტში; № 8—9 (ერთ წიგნად)— ივლისში. 1871 წლიდან რედაქციას ვალად დარჩა სამი წიგნი, რომელიც ექვსი თვის პაუზის შემდეგ, 1873 წლის თებერვალში გამოვიდა, ისიც ერთ წიგნად (№ 10, 11, 12).

ს. მესხის ცნობით,[1] ამ ნომრებმა ცენზურის მიზეზით დაიგვიანა.

ასეა თუ ისე, სისტემატურმა დაგვიანებამ საგრძნობლად შეარყია საზოგადოების ნდობა „კრებულისადმი" და 1873 წლისათვის რედაქციას საგანგებო ზომები მიუღია. განცხადებაში „კრებულის" გამოცემაზე 1873 წელსა" („კრებული", 1872, № 10-11-12) ნათქვამია: „აქამდის „კრებული" თავთავის დროზედ არ გამოდიოდა... ეხლა საქმე გამოიცვალა... რედაქციას იმედი აქვს, რომ მკითხველებს თავთავის დროზედ რიგიანი წიგნები გაუგზავნოს. ამიტომაც რედაქცია აცხადებს ხელისმოწერას... ამ წლის პირველი წიგნი გამოვა იანვრის დამლევს... აპრილიდან დაწყებული „კრებულის" წიგნები გამოვა თვისა და თვის თავზედ".

ამ განცხადებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. კერძოდ, ამას უნდა ემყარებოდეს ზაქ. ჭიჭინაძის სიტყვები: „1871 წელს" „კრებული" ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა. 1872 წლის ბოლოს მთავრობას თხოვნა მისცეს „კრებულის" თვიურად გამოცემაზე. ნებართვა მიიღეს... 1873 წელს „კრებულმა" თვიურად იწყო გამოსვლა"[2]...

რაკი ძველი (1871 წლის) დანომვრა, როგორც იქნა, მოთავდა, 1873 წლიდან ახალი ნომერაცია დაიწყო. მიუხედავად საზეიმო დაპირებისა, 1873 წლის პირველი ნომერიც დიდი

---

[1] „დროება", 1873 წ., № 13 და 14. აგრეთვე: ს. მესხი, წერილები. 1873 წ. 2 თებერვლის წერილი კეკე მელიქიშვილისადმი.

[2] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ისტორია ქართული ჟურნალებისა და გაზეთებისა, გვ. 39.

დაგვიანებით გამოვიდა (მაისში). მასზე პირველად გამოჩნდა სატიტულო წარწერა: „სალიტერატურო ჟურნალი. გამოიცემის ჩყოა (1871) წლიდამ“, რომელიც მომდევნო ნომრებზეც შენარჩუნებულია.

მხარდაჭერისა და საზოგადოებრივი წახალისების მიზნით, „დროება“ განსაკუთრებული ალერსით გამოეხმაურა ახალ ნომერს. ს. მესხი წერდა: „ჩვეულებრივი მოლოდინის შემდეგ.... როგორც იქნა, ვეღირსეთ ამ წლის „კრებულის“ პირველი წიგნის გამოსვლას. წარმოიდგინეთ ახალი გათხოვილი ქალი, რომელსაც ქმარი სადღაც გაექცა და მოსვლას უგვიანებს, თავის ამბავსაც არ ატყობინებს; ეს ებუტება ქმარს, ემუქრება თავის გუნებაში, რომ როცა მოვა, ხმას არ გავცემო... მაგრამ შემოდგამს თუ არა კარებში ფეხს, ის ივიწყებს ყველაფერს, მივარდება და გულში ჩაიხუტებს. ეს შედარება ცოტა არ იყოს, იდილიურია, მაგრამ სწორედ ამ იდილიურ მდგომარეობაში გვაყენებს „კრებული“. ერთი დაგვენახვება და მერე რამდენიმე თვით ჰქრება... მაგრამ გამოჩნდება თუ არა, ჩვენ გვავიწყდება ყველა სამდურავები იმის დანახვაზე და სიხარულით მივეგებებით“.[1]

საქმე ვერც შემდეგ გამოსწორდა. „კრებული“, მართლაც, ხან გამოჩნდებოდა, ხან რამდენიმე თვით გაქრებოდა. № 2 (თებერვლის) 30 ივნისს გამოვიდა (ცენზურის ვიზა გაცემულია 27 ივნისს, ხოლო უკანა ყდის წიბოზე (ფრჩხილებში) დაბეჭდილია: „გამოიცა 30 ივნისს, 1873 წელს“. № 3 (მარტის) გამოვიდა 20 ივლისს (ცენზურის ვიზა გაცემულია 17 ივლისს, ხოლო უკანა ყდის ფრჩხილებში დაბეჭდილია: „გამოიცა 20 ივლისს“). №№ 4, 5—6 (ერთად), მე-7 და მე-8 ნომრები თითქმის ერთდროულად გამოვიდა ოქტომბერში (საცენზურო ვიზა გაცემულია № 4 — 25 სექტემბერს; № 5—6 — 29 აგვისტოს; №7—17 სექტემბერს; №8—27 სექტემბერს). № 9 ნოემბერში გამოვიდა, ხოლო უკანასკნელ, მე-10 ნომერს, მართალია. ცენზურის ვიზა 1874 წლის 1 იანვარს აქვს მიცემული.

---

[1] „დროება“, 1873, № 19.

მაგრამ სინამდვილეში ძალიან დაგვიანებით გამოვიდა (პარიზში 1874 წლის ოქტომბერში მიუღიათ).[1]

მეთაურები მტკივნეულად განიცდიდნენ შექმნილ მდგომარეობას. „მომწერეთ, „კრებული“ რასა იქს. — სწერდა ს. მესხი 1873 წ. 8 დეკემბერს კირ. ლორთქიფანიძეს, — მეცხრე წიგნის შემდეგ გამოვიდა თუ არა. ეს წელიწადი მიყირჭულშია, ხომ ხედავთ, და თუ არ დაუჩქარეთ, წახდა საქმე. მომავალი წლისათვის რას აპირებთ „კრებულის“ თაობაზე, ისიც შემატყობინეთ“.[2] ასეთივე გულისტკივილს გამოთქვამს გ. წერეთელი ს. მესხისადმი წერილში (1874 წ. 6 თებერვალს): „ღმერთმა იცის, „კრებული“ გამოვა თუ არა... თუ ღმერთი გწამს, შენ თუ რამე იცი, მომწერე. წარმოიდგინე, ორი წიგნი მივწერე კირილეს და.... პასუხი არ მომსვლია. ვინ არიან მშრომელნი ან რას იწყებენ, ან როგორ უნდა წაიყვანონ საქმე, კაცმა არ იცის“.[3]

მკითხველებს კარგა ხანს ეგონათ, რომ „კრებული“, ჩვეულებისამებრ, იგვიანებდა, მაგრამ 1873 წლის მე-10 ნომრის შემდეგ იგი აღარ გამოსულა და ასე, ყოველგვარი განცხადებისა და გაფრთხილების გარეშე, შეწყდა მისი გამოცემა.

„კრებულის“ ფუნქციები კვლავ „დროებას“ დაეკისრა. ს. მესხი ადრეც წერდა: „ვინცა ვართ, ყველანი „დროებას“ დავადგებით, რადგან „კრებულს“ ამნაირათ სიცოცხლე არ შეუძლია“.[4]

1874 წლის გაზაფხულზე გადაწყვეტილი ყოფილა, რომ „კრებული“ აღარ გამოვიდოდა. თებერვალში ს. მესხმა პარიზიდან კირ. ლორთქიფანიძეს გამოუგზავნა ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტის“ თარგმანი და სთხოვა: „თუ „კრებული“ გამოდის,

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 57.

[2] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, კირ. ლორთქიფანიძის არქივი, № 649, აგრეთვე: „საისტორიო მოამბე“, 1960, № 11—12, გვ. 654.

[3] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. გვ. 132.

[4] ს. მ ე ს ხ ი, წერილები (1874 წ. 20. I. წერილი კეკესადმი).

იმაში დაბეჭდეო“. „მაგრამ, რადგან ჟურნალი აღარ გამოდიოდა, თარგმანი „დროების“ მაისის ნომერში გამოქვეყნდა.

ამრიგად, მთელი თავისი არსებობის მანძილზე „კრებული“ დიდი დაგვიანებით გამოდიოდა. იძლევა თუ არა ეს საფუძველს, რომ იგი არაპერიოდულ გამოცემად მივიჩნიოთ, მის ჟურნალურ ხასიათში ეჭვი შევიტანოთ? რა თქმა უნდა არა. პრინციპულად (იურიდიულად და ფაქტიურად) „კრებული“ ყოველთვიური ჟურნალი იყო. რედაქცია მუდამ ენერგიულ ზომებს იღებდა, რათა უზრუნველეყო მისი სისტემატურად, ყოველთვიურად გამოცემა, დაგვიანების შემთხვევაში, ბოდიშს იხდიდა მკითხველის წინაშე, ცდილობდა დროულად შეევსო ხარვეზი.

დაგვიანება არაპერიოდულობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ქართული ჟურნალისტიკისა და მწიგნობრობის იმდროინდელი პირობებით; „კრებულს“ აკლდა მასალა, არ ჰყავდა არც ერთი თავისუფალი (ხელფასიანი) თანამშრომელი, არ ჰქონდა არა თუ ჰონორარის გაცემის, — ქაღალდის შეძენის სახსარიც კი, — იდევნებოდა ცენზურის მიერ.

ამ მიზეზებით, იმ დროის ვერც ერთი ქართული ჟურნალი ვერ გამოდიოდა პერიოდულად. მხოლოდ „ცისკარი“ ახერხებდა ასე თუ ისე სისტემატურად გამოსვლას. ისიც, უმთავრესად, იმის წყალობით, რომ მასალის შერჩევას პრინციპულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა; გაჭირვების დროს, ბეჭდავდა თითქმის ყველაფერს. რაც ხელთ მოხვდებოდა. „კრებული“, ამ მხრივ, ყველა წინამორბედ და მის თანამედროვე ქართულ გამოცემაზე შეუდარებლად მაღლა იდგა. მას იშვიათად თუ დაურღვევია იდეური გეზის შესაბამისად, მასალის მკაცრი შერჩევის პრინციპი. ყოველი ახალი ნომერი, არა მარტო აგრძელებდა წინა ნომრის ხაზს, არამედ აღრმავებდა, აფართოებდა და მიზანსწრაფულად ანმტკიცებდა მას. ამაშია, უწინარეს ყოვლისა, მისი ჟურნალური ხასიათი და ცალკეული ნომრების დაგვიანებით გამოსვლა არავითარ საბუთს არ გვაძლევს ალმანახად ან „დროების“ დამატებად გამოვაცხადოთ ის. სულ დაიბეჭდა „კრებულის“ 22 ნომერი, 18 წიგნად. აქედან: 1871 წელს: ხუთი ნომერი (1, 2, 3. 4, 5);

1872 წელს — ოთხი ნომერი, სამ წიგნად (6, 7, 8—9); 1873 წელს — წინა წლიდან გადმოსული სამი ნომერი, ერთ წიგნად (10—11—12) და 1873 წლის ათი ნომერი, ცხრა წიგნად (1, 2, 3, 4, 5—6, 7, 8, 9, 10. აქედან, მე-10 ნომერი, ფაქტიურად, 1874 წელს გამოვიდა).

ტირაჟი, ფასი და გავრცელება

ქართული ჟურნალ-გაზეთები დიდი გაჭირვებით ვრცელდებოდა,—„ხელისმომწერი სანთლით საძებარი იყო“ და როგორც გამოცემა, ისე ხელმოწერა ქველმოქმედებად ითვლებოდა. „დროებას“ 300 ხელისმომწერი ჰყავდა, „ცისკარს“ — 100, „მნათობს“ — 250, „სასოფლო გაზეთს“ — 300-მდე და „კრებულს“ რაღა მოუგროვდებოდა?“[1]. იმდროინდელ ჟურნალებს, უმთავრესად, ამიტომ არ ესიამოვნათ ახალი მოძმის დაბადება, — ფიქრობდნენ, „სარჩოს გაგვიყოფს“ და ყველანი გავჩანაგდებითო. „მნათობის“ 1871 წლის მეორე ნომერში კუხელმა დაუფარავად გამოთქვა ეს აზრი, — „ჩვენი სალიტერატურო ასპარეზი ძალისძალით არის გადიდებული“, — ჩვენს ხალხს ჯერ ამდენი გამოცემის შენახვის თავი არ აქვსო.

„კრებულის“ მესვეურებმა კარგად გაითვალიწინეს მოსალოდნელი სიძნელეები და ეფექტური ღონისძიებანი გაატარეს ჟურნალის გავრცელების უზრუნველსაყოფად.

პირველი ნომერი, რომელიც დღესაც ყურადღებას იქცევს მდიდარი შინაარსითა და გაფორმებით, რედაქციამ უფასოდ დაუგზავნა „დროების“ მკითხველებს. გაზეთებში გამოქვეყნდა განცხადება, რომ: „Сборник“ („კრებული“) разсылается безплатно всем подписчикам газеты «Время»[2]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დროების“ მკითხველებს დაეგზავნათ დაახლოებით 350—400 ეგზემპლარი. იმავე განცხადებიდან ვგებულობთ, რომ „კრებულის“ პირველი წიგნი კერძო წიგნის მაღაზიებშიც იყიდებოდა და ამ მიზნითაც არა ნაკლებ 200 ეგზემპლარისა მაინც უნდა ღაებეჭდათ; ამასთან, „გამო-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული ჟურნალებისა და გაზეთებისა, გვ. 38.

[2] Кавказ, 1871, № 2.

ცემის ნახევარი ხალხში მუქთად რიგდებოდა". [1] ამ მონაცემთა საფუძველზე, საკმაო სიზუსტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კრებულის" პირველი წიგნის ტირაჟი, სულ მცირე, 650 ცალს მაინც შეადგენდა.

ჟურნალს გამოსვლისთანავე დაუპყრია მკითხველი საზოგადოება და მთელი ტირაჟი თვალის დახამხამებაში გავრცელებულა. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს „დროებაში" გამოქვეყნებული შემდეგი განცხადება: „ჩვენ ხშირად მოგვდის სხვადასხვა მხრით „კრებულის" პირველი წიგნის მოთხოვნა. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ არც ერთი ეგზემპლარი აღარ გვაქვს ამ წიგნისა. ასე რომ, იმას ჩვენ „კრებულის" ხელისმომწერლებსაც ვეღარ ვუგზავნით... რადგანაც ამ წიგნს ბევრი პირი თხოულობს, ჩვენ მის ხელახლად დაბეჭდვას შევუდგებით და ამ ორი თვის განმავლობაში ვეცდებით გავუგზავნოთ ჩვენ კორესპონდენტებს „კრებულის" პირველი წიგნის მეორე გამოცემა, მაგრამ „კრებულის" რედაქცია სთხოვს ყველას, ვისაც კი ამ წიგნის შეძენა სურს, დროთი შეატყობინოს რედაქციას თავისი სურვილი, რომ ხელახლავ უწიგნო არ დარჩეს, რადგანაც მეორე გამოცემა დაიბეჭდება მარტო ორას ეგზემპლიარათ". [2]

ირკვევა, რომ: ა) „კრებულის" პირველი წიგნის მეორე გამოცემა (200 ეგზემპლარი) პირველი ტირაჟის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა; ბ) პირველი ნომრის ორივე ტირაჟი (ძირითადი და დამატებითი) 800—900 ეგზემპლარამდე აღწევდა; გ) გაითვალისწინებდა რა პირველი ნომრის გამოცემის გამოცდილებას, მომდევნო ნომრებს რედაქცია ამაზე ნაკლები ტირაჟით მაინც აღარ გამოუშვებდა.

ამ ფაქტების შუქზე მთლად სწორად აღარ მოჩანს გრ. ყიფშიძის ცნობა, რომ: „Кребули" печатался в количестве 500 экз." [3].

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ნ. ნიკოლაძე, 1897 წ., გვ. 36.

[2] „დროება", 1871, № 33.

[3] Гр. Кипшидзе, Периодическая печать на Кавказе, 1901, стр. 33.

იქნებ, გრ. ყიფშიძეს მხედველობაში ჰქონდა ჟურნალის გამოცემის უკანასკნელი პერიოდი ან, უბრალოდ, იმ დროისთვის წარმოუდგენლად მოეჩვენა დასახელებულზე უფრო დიდი ტირაჟი. ყველა აღნიშნული ცნობის შეჯერებით უნდა დავასკვნათ, რომ „კრებულის“ ტირაჟი სხვადასხვა დროს 500—900 ეგზემპლარს შორის მერყეობდა. ეს სარეკორდო რიცხვია იმდროინდელი ქართული პერიოდული გამოცემისათვის და თავისთავადაც მეტყველებს ჟურნალის ღირსებაზე.

„კრებულზე“ ხელმოწერა პირველად 1871 წლის აპრილში გამოცხადდა (ჟურნალად გამოცემაზე ნებართვის მიღების შემდეგ); განცხადებები დაიბეჭდა „მნათობში“ (№ 2), „დროებაში“ (№ 5), „კავკაზში“ (№ 1) და სხვ.

შემდეგ განცხადებები ხელმოწერის პირობებსა და გავრცელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, თვით „კრებულშიც“ სისტემატურად ქვეყნდებოდა (1871 წ. № 4, 5, 6. 7...., 1872 წ. № 7, 10-11-12. — 1873 წ. № 2, 3 და ა. შ.).

„კრებული“ საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებშიც დიდი რაოდენობით იგზავნებოდა და საზღვარგარეთაც (პარიზი, ჟენევა, ციურიხი და სხვ.) მიდიოდა.[1] ხელმოწერის განცხადებები საინტერესო ცნობებს შეიცავს ჟურნალის მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მკითხველებთან, ანგარიშს უწევდა მის მოთხოვნებს, ატყობინებდა ამა თუ იმ ნომრის დაგვიანების მიზეზს, აცნობებდა მომდევნო ნომრებში დასაბეჭდ მასალას.

„კრებულს“ კორესპონდენტ-გამავრცელებლებიც ჰყავდა სხვადასხვა ადგილას (გერასიმე კალანდარიშვილი და სიმონ ჩომახიძე — ქუთაისში, რაჟდენ ციციშვილი — სიღნაღში, ლევან ჯანდიერი — თელავში, ანა მუსხელიშვილი — ახალციხეში, ზურაბ არუთინოვი — ფოთში, დავით ბარნაბიშვილი — მარტვილში, მამია გურიელი — ოზურგეთში, დიმიტრი მეღვინეთუხუცესი — გორში, ზურაბ მორთულაძე — დუშეთში და

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, 1874 წ. 7. X. წერილი კეკე მელიქიშვილისადმი.

ა. შ.; ბეთანელი — პეტერბურგში, ი. მესხი — ციურიხში, ბ. ჯაფარიძე — ჟენევაში და სხვ.)

„კრებულის“ გავრცელებას ხელს უწყობდა გაზ. „დროებასთან“ მისი მჭიდრო კავშირი, საერთო ხელისმოწერა.

„კრებულის“ გამოწერის ფასი პირველივე განცხადების მიხედვით, („მნათობი“, 1871, № 2) განსაზღვრული იყო ასე: წლიურად, თბილისში, გაუგზავნელად: ხუთი მანეთი, — გაგზავნით (ყველგან) — ექვსი მანეთი. „დროებასა“ და „კრებულზე“ ერთად ხელმოწერის თანხა 10 მანეთი. „დროების“ ხელისმომწერთ შეეძლოთ თეით გაზეთის რედაქციაშივე დამატებით გაეგზავნათ სამი მანეთი „კრებულის“ გამოსაწერად.

რადგან 1871 წელს რედაქციამ ხელისმომწერები ყველა 12 ნომრით ვერ დააკმაყოფილა, 1872 წელს ერთხანს, ახალი ხელისმოწერა აღარ გამოცხადებულა („კრებული“, 1872, № 1), ხოლო ივნისში („კრებული“, 1872 წ. № 6) ხელმოწერა გამოცხადდა 1871 წელს დარჩენილ ექვს წიგნზე (ვისაც ადრე არ ჰქონდა გამოწერილი). „ამ ნახევარი წლისა... გაგზავნით სამი მანეთი“.

1873 წლისთვისაც ხელმოწერის იგივე პირობები იყო დატოვებული: ერთი წლით, გაუგზავნელად — 5 მან., გაგზავნით—6 მან. ნახევარი წლით, გაუგზავნელად—2 მან. 50 კაპ., — გაგზავნით — 3 მან. „დროება“ და „კრებული“ ერთად, მთელი წლით — 9 მან. — ნახევარი წლით — 5 მან.

ამასთან, „კრებულის“ ნომრები თავისუფლადაც იყიდებოდა სტამბასა და წიგნის მაღაზიებში. ერთი ეგზემპლარის ფასი თავიდანვე განსაზღვრული იყო 50 კაპიკით („კავკაზი“, 1871, № 1). შეიძლებოდა ცალკეული ნომრების გამოწერაც: — გაგზავნით — 60 კაპ. (ზოგ ნომერს კიდეც აწერია უკანა ყდაზე: „ფასი ათი შაური“).

ხელმოწერას იღებდნენ: — თბილისში — „კრებულისა“ და „დროების“ რედაქციები, ივანოვის ბიბლიოთეკა; ქუთაისში — გერასიმე კალანდარიშვილი (სასულიერო სასწავლებელში), ს. მესხის ოჯახი და სხვ.

იმ დროისთვის დიდი ტირაჟის მიუხედავად, ხელმოწერის თანხა სანახევროდაც ვერ ანაზღაურებდა გამოცემის ხარჯებს.

როგორც აღვნიშნეთ, ტირაჟის ნახევარი ხალხში უფასოდ რიგდებოდა და რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძის ფინანსიური დახმარების გარეშე, „კრებული“ ვერ იარსებებდა.

სტამბა

„კრებულის“ პირველი ნომერი დაბეჭდილია დუბელირის (გ. წერეთლისა და ამხ.) სტამბაში. მე-6 ნომრიდან (1872 წ. იანვარი) ამ ფირმის სახელწოდება წარმოდგენილია ახლებურად: გ. წერეთლისა და ამხ. (დუბელირის) სტამბა.

დუბელირის სტამბა დაარსდა მიხ. ვორონცოვის მმართველობის დროს, 1846 წელს. გ. წერეთელმა ის იჯარით აიღო 1870 წელს და საგანგებოდ გადააკეთა „კრებულის“ გამოსაცემად. „კრებულთან“ ერთად, ერთხანს ამ სტამბაში „დროება“ და „სასოფლო გაზეთიც“ იბეჭდებოდა. საერთოდ, გ. წერეთელი სტუდენტობის პერიოდშივე დაინტერესებულა სასტამბო საქმით და საფუძვლიანადაც გასცნობია მას პეტერბურგში. მაგრამ, დუბელირის სტამბა მარტო გ. წერეთელს არ აუღია იჯარით; ამხანაგობაში (კომპანია), რომლის სახელითაც იგი სტამბას მართავდა, შედიოდნენ, აგრეთვე, ნ. ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და, შესაძლებელია, ს. მესხიც. დუბელირის სტამბის უფროს ასოთამწყობად ექვ. ხელაძე მიიწვიეს. საიჯარო თანხას, თითქმის მთლიანად, ნ. ნიკოლაძე იხდიდა, რადგან „ხელისმომწერთა ფული... ქაღალდს... არ ჰყოფნიდა“.[1]

1873 წელს, მცირე ხნით, „მნათობის“ სტამბაც „კრებულისას“ შეუერთდა; მაგრამ, იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ნ. ნიკოლაძის ფინანსიური მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა და მას საიჯარო თანხის გადახდა უძნელდებოდა. ამის თაობაზე ს. მესხი 1873 წ. 21 მაისს კეკე მელიქიშვილს სწერდა: „შენ იცი, როგორ მოუთმენლად მოველოდით ჩვენ ნიკოლაძის ჩამოსვლას. ყველა სიკეთეს იმისგან ან უკეთ რომ ვსთქვათ, იმის ფულებისაგან მოველოდით. მაგრამ სწორეთ „ჯიბეცარიელი, მილიონებზე მაღლა მყვირალიო“, — გრ. ორბელიანმა რომ სთქვა, ისე ჩამოვიდა, მე და ჩემს გაზეთს,

[1] ზ. ჭიჭინაძე, ნ. ნიკოლაძე, გვ. 36; ზ. ჭიჭინაძე — ნ. ღოღობერიძე, გვ. 135, 182.

ღვთის მადლით, მაგის ფულები არა სჭირია. მაგრამ ტიპოგრაფიის გადასახდელად გვჭირდებოდა და „კრებულისათვის“.[1]

ზაქ. ჭიჭინაძის ცნობითაც, ნ. ნიკოლაძეს ვალის გადახდა ვერ მოუხერხებია და სამი წლის იჯარის შემდეგ (1870—1873). სტამბა „ისევე პატრონის ხელში გადასულა“ (მოგვიანებით, დუბელირი და ენფიანჯიანცი გაერთიანებულან;[2] 90-იან წ.წ. დუბელირის სტამბა ავლაბარში გადაუტანიათ და იქ, სხვათა შორის, ზაქ. ჭიჭინაძეც ბეჭდავდა, თურმე, წიგნებს[3].

ამასთან დაკავშირებით, „ცროება“-„კრებულის“ მესვეურებს, ს. ზარაფოვის თანხით, საკუთარი სტამბის შეძენა განუზრახავთ, მაგრამ ვერც ეს მიზანი განუხორციელებიათ. ეტყობა, ეს სასტამბო დავიდარაბაც იყო ერთ-ერთი პირველი, რომ 1873 წლის „კრებულის“ ნომრები არარეგულარულად, დიდი დაგვიანებით გამოდიოდა. ბოლოს, ჟურნალის რედაქცია იძულებული გამხდარა ს. მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბისათვის მიემართა, რომელიც ისედაც დატვირთული იყო შეკვეთებით; 1873 წლის ივნისიდან (№ 2) „კრებული“ აღნიშნულ სტამბაში იბეჭდებოდა.

აარსებდა რა საკუთარ სტამბას, „კრებულის“ რედაქციას იმედი ჰქონდა, რომ ჟურნალთან ერთად, სხვა ქართულ წიგნებსაც დაბეჭდავდა. ჟურნალმა, მართლაც, შესძლო რამდენიმე წიგნის გამოცემა; 1871 წელს დასტამბა გ. ერისთავის „დავა“ და ა. ცხვედაძის ოთხმოქმედებიანი კომედია „ბედნიერი ქორწილი“;[4] 1873 წელს ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ (ამონაბეჭდი „კრებულიდან“). მაგრამ უსახსრობის გამო, მეტის გაკეთება ვერ შესძლო. სტამბაშივე შეიძლებოდა როგორც ჟურნალის ნომრების, ისე აღნიშნული გამოცემების ყიდვა.[5].

---

1 ს. მესხი, წერილები, გვ. 151.

2 „ქართული წიგნი“ (ბიბლიოგრაფია), 1, გვ. 529.

3 ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართულის სტამბის და წიგნის ბეჭდვისა, გვ. 46 — 47.

4 „ქართული წიგნი“ (ბიბლიოგრაფია) 1, გვ. 47.

5 გაზ. „კავკაზი“, 1871, № 2; „მნათობი“, 1871, თებერვალი.

რედაქცია

„კრებულის“ თითქმის ყველა განცხადება რედაქციის სახელით გამოქვეყნდა. მაგრამ, არც საპროგრამო განცხადებაში, არც ჩვენს ხელთ არსებულ სხვა საბუთებში არ ჩანს, ნამდვილად წარმართავდა თუ არა ჟურნალს სარედაქციო კოლეგია და ვინ შედიოდა მის შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ „კრებულს“ სათავეში ედგა მუშაკთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე წყვეტდა როგორც ამა თუ იმ თხზულების დაბეჭდვას, ისე ჟურნალის მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ამ ხელმძღვანელი ჯგუფის — რედაქციის — საქმიანობაში მონაწილეობდნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და კირ. ლორთქიფანიძე (1873 წლიდან). მათი წერილებიდან ირკვევა, რომ, გამოცემის ორგანიზაციულ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს დასაბეჭდ ნაწარმოებთა შესახებ, ერთად განიხილავდნენ პოლემიკურ სტატიებს და განსაზღვრავდნენ ჟურნალის პოზიციას, შეთანხმებულად წყვეტდნენ თანამშრომელთა მოწვევის საკითხს და სხვ.

რედაქციას ჰქონდა მუდმივი ადგილსამყოფელი, სადაც იმართებოდა სხდომები, თხზულებათა კითხვა-განხილვა, ავტორებთან და ხელისმომწერებთან მოლაპარაკება და მიმოწერა.

1871 წლის იანვრიდან რედაქცია მოთავსებული იყო სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში (დუბელირის — გ. წერეთლისა და ამხ. — სტამბასთან ერთად), შემდეგ — ხანის ქუჩაზე. ხატისოვის (ბებუთოვის) სახლში, 1873 წლის დასაწყისიდან კი — „დროების“ რედაქციასთან ერთად, — სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ტექნიკური გაფორმება

1871 წლის თებერვლის სარედაქციო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „კრებული“ გამოვიდოდა „სივრცით თოთხმეტ პატარა თაბახიდგან მოკიდებული ოცამდი“. ჟურნალი, ფაქტიურად, ყოფრო მცირე მოცულობით გამოდიოდა — საშუალოდ, 8-დან 12 თაბახამდე. ამასთან, შეერთებული ნომრები, მაგალითად,

1872 წლის X, XI და XII ნომრები ერთად, — დიდად არ აღემატება ცალკე გამოსულ ნომრებს.

გარეგნულად, „კრებული“ მიმზიდველ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩახვეული ასოებით შესრულებული სათაური, მოწითალო ყავისფერი ყდა, ზომიერი ფორმატი აშკარად გვიჩვენებს, რომ რედაქციას იმთავითვე საგულდაგულოდ უზრუნვია მხატვრული გაფორმებისათვის.

სამწუხაროდ, ასეთი გულმოდგინება არ ემჩნევა მასალის დალაგებას და, საერთოდ, შეუძლებელია რაიმე თანმიმდევრობის დადგენა. ჟურნალი დაყოფილი არ არის რუბრიკებად, განყოფილებებად, სრულიად სხვადასხვა ჟანრისა და დარგის თხზულებანი აღრეულია ერთმანეთში.

რუბრიკების მიხედვით მასალის დალაგების აუცილებლობას ჟურნალის მესვეურებიც გრძნობდნენ; საპროგრამო სტატიაში — „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, ნიკო ნიკოლაძე მკითხველს ჰპირდებოდა — თხზულებებს შინაარსის მიხედვით დავალაგებთო, ხოლო 1873 წლის 19 თებერვალს ს. მესხს სწერდა: „თუ ძმა ხარ, ეს რუბრიკა — „სხვათა შორის“ — არ წაშალოო“.

მასალის არათანამიმდევრული, გარკვეულ პრინციპს დაუმყარებელი დალაგება „კრებულს“, უეჭველად, უკარგავს ჟურნალის იერს. ხშირად, „კრებულის“ კითხვას ნუმერაციის აღრევაც აძნელებს. გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ნაწარმოები („გულივერის მოგზაურობა“, „მიმომავალი ურია“, „საქართველოს ისტორიული სურათები“ და სხვ.) დამოუკიდებელი ნუმერაციით იბეჭდებოდა, მრავალი გვერდი სხვა ადგილებშიც შეცდომით არის დანომრილი. ცხადია, ამ ვითარებაში გვერდების მითითებას არავითარი აზრი არა აქვს.

აქა-იქ, ტექნიკური გაფორმების სხვა ნაკლოვანებებსაც ვხვდებით. ცუდად დაჭრისა და აკინძვის გამო, ცალკეული სტრიქონები და სიტყვები დაკარგულია (1873 წ. № 3 და სხვ.). ყოველ ნომერს წამძღვარებული აქვს სარჩევი („პირველი წიგნის შინაარსი“ და ა. შ.), მაგრამ გაუგებრობას აქაც ვაწყდებით: 1873 წლის მე-3 ნომრის სარჩევში დასახელებული „მეფის

სოლომონ მეორის დრო“ სინამდვილეში აქ დაბეჭდილი არ არის.

შედარებით, უკეთ გამოიყურება კორექტურა. შეცდომები იშვიათია, და, რაც არის, მეტწილად, გასწორებულია სქოლიოში ან საგანგებოდ ჩართულ გვერდებზე (1872 წ. № 7, 1873 წ. № 1, 2 და ა. შ.). საყურადღებოა, რომ ამ მხრივ ავტორები რედაქციას მკაცრ მოთხოვნას უყენებდნენ და თვითონაც მონაწილეობდნენ კორექტურასა და ტექნიკურ გაფორმებაში; „კრებულში“ „ქართვლის დედის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძემ ვრცელი წერილი გაუგზავნა პეტრე ნაკაშიძეს დუშეთიდან, და სხვათა შორის, სთხოვა: „კორექტურა შენთვის მომინდეიაო“. „გლახის ნაამბობის“ კორექტურის თაობაზე 1873 წ. 14 მარტს ილიას ვრცელი წერილი გაუგზავნია კირ. ლორთქიფანიძისათვის, ხოლო „მეფე ლირის“ ტექნიკური გაფორმების შესახებ, მას, შეიძლება ითქვას, მთელი ინსტრუქცია გამოუგზავნია პეტერბურგიდან პეტრე უმიკაშვილისათვის: „...ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დაჰსტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ“.

ცენზურა

როგორც იმ დროის ყველა ლეგალური გამოცემა, „კრებულიც“ ცენზურის არტახებით იყო შებოჭილი. პოლიტიკური დევნისა და ტერორის განუშორებელი შიში ქვეცნობიერად აკონტროლებდა შემოქმედებით პროცესს, არღვევდა მის ბუნებრივ უშუალობას, ფსიქიურად უქვემდებარებდა მას „აკრძალულის“, „დაუშვებელის“ სუსხიან მუქარას, რაც შეუმჩნევლად ადუნებდა აზრთა, სახეთა და გამოთქმათა იმ სითამამეს, რომელიც ტალანტის სრული გამოვლინებისა და წარმატების აუცილებელი პირობაა. ცენზორის ჩრდილი მწერლის სამუშაო მაგიდას არასოდეს შორდებოდა. 1866 წ. 16 იანვარს ნიკოლოზ ღოღობერიძე სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს: „წ ე რ ი ს დ რ ო ს ა ქ ა უ რ ი ცენზურა უნდა იქონიოთ სახეში“.

და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორებსა და რედაქციას ამ საშიშროებათა წინასწარ გათვალისწინებით მომზადებული ნაწერები მიჰქონდათ საცენზურო კომიტეტში, იქ მაინც ათასგვარ საბაბს პოულობდნენ მათ საწინააღმდეგოდ. ცენზურის გაუთავებელი შარების გამო, ჟურნალის ცალკეული ნომრები რამდენიმე თვის დაგვიანებით გამოდიოდა. 1872 წლის ოქტომბრის წიგნი (ისიც მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრები ერთად) ხუთი თვის დაგვიანებით გამოვიდა. ს. მესხი („ს. მ.“) ამის თაობაზე წერდა: „ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ეს უკანასკნელი სამი წიგნი „კრებულისა“ შარშან დეკემბერში იყო სრულიად მზათ, მაგრამ შემდეგ იმდენი წვალება, იმდენი წეწაგლეჯა გამოიარა, თუ გარეგანი და თუ შინაგანი მიზეზებისა გამო, რომ გამოსვლით თებერვლის დამლევამდე ვერ გამოვიდა“.[1]

1871 წლის № 4 საცენზურო ვიზა გაცემულია 30 აპრილს, სოლო მე-6 ნომრისა 25 სექტემბერს — ექვსი თვის დაგვიანებით. 1872 წლის მე-8—9 ნომრისა 21 ივლისს, ხოლო მომდევნო ნომრისა კვლავ ექვსი თვის დაგვიანებით — 1873 წლის 20 იანვარს. 1873 წლის მე-5—6 ნომრის ვიზა გაცემულია უფრო ადრე (29 აგვისტოს), ვიდრე მე-4 ნომრისა (25 სექტემბერს).

ხელისუფლებისა და გავლენიან პირთა მითითებით, ცენზურა სტამბაში გაგზავნილი ნომრებიდანაც იღებდა ცალკეულ თხზულებებს. 1872 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილი გ. წერეთლის „ჩვენი საზოგადოების ქრონიკის“ ქვესათაურებში მეორე თავად მოხსენებულია „ლექსათ გაბაასება ძველსა და ახალ თაობას შუა“ (დასახელებულია სარჩევშიც), რომელსც ტექსტში ვერ ვხვდებით. მის ნაცვლად, მეორე თავი წერტილებითაა დაფარული.

კომიტეტში რაღაც გასაოცარი გაბოროტებით ჯიჯგნიდნენ ილია ჭავჭავაძის ნაწერებს. „კრებულში“ დაბეჭდილი თითქმის ყველა მისი ლექსი და მოთხრობა საგრძნობლად დაჩეხილია ცენზურის მიერ. ის თხზულებანი, რომელთა გამოქვეყნება

---

[1] „დროება“, 1873 წ. № 13.

ილიამ „საქართველოს მოამბეში“ ვერ მოახერხა, „კრებულშიაც“ დასანანი ხარვეზებით დაიბეჭდა. ილია წინასწარ ითვალისწინებდა ამას და ცენზორთა უნდობლობა ცოტათი მაინც რომ ჩაეცხრო, 1873 წ. 18 იანვარს ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „...ჩემი „აჩრდილის“ პირველ ნაწილს გიგზავნი. თუ მოგეწონოთ, სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა სჯობია, ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს“. საქმეს ვერც ამ სიფრთხილემ უშველა. ცენზორი „მაინც აუღელვებია“ „აჩრდილის“ რევოლუციურ პათოსს და, გარდა ამ სტროფისა, XVI თავიდან: („გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან, მთავრის ღიმილზე პატიოსნებას და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას“, ბევრი სხვა ადგილიც ამოუშლია პოემიდან. სრულებით არ გაუშვეს IX თავი (1873 წ. მე-5—6 ნომრის სარჩევში დასახელებულია, დაბეჭდილი კი არ არის). VIII თავიდან ამოშლილია ბოლო 13 სტრიქონი; XVIII თავიდან — ბოლო 4 სტრიქონი; VII თავიდან ამოღებულია: „წარტყვევნილი ვარ წარსულ დღეთა შენთა ნატვრითა, შენის აწყმოთი სული, გული დამწყლულებია“... „ამ გულში მე მაქვს (შენი აწმყო), შენი წარსული“. VIII თავში ცენზურას ერთი სიტყვის წაშლით (რომელსაც ფრჩხილებში ვათავსებთ) უცდია პოეტის პოლიტიკური მახვილის დაჩლუნგება: „(აქ) კაცად-კაცადს, ზნეობით მკვდარსა, ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“ და ა. შ.

ლექსში — „1871 წ. 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“ — კომუნის მიმნიშნებელი სახელწოდება ცენზურამ ამოშალა და „კრებულის“ 1873 წ. მე-5—6 ნომერში „პარიჟის“ სათაურით დაიბეჭდა. ცენზურისაგან შებღალული გამოქვეყნდა აგრეთვე ილიას ლექსი „ბედნიერი ხალხი“ (1871, № 5), მაგრამ განსაკუთრებული „წეწვა-გლეჯა“ მაინც „მგზავრის წერილებმა“ განიცადა. დასაბეჭდად წარდგენილ ხელნაწერში ცენზორმა მთლიანად ამოშალა I თავი. III თავიდან ამოაგდო ცნობილი ადგილი: „სიტყვა „რევოლუციამ“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს

და მერე დაიწმინდება ხოლმე. ასეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ". ამავე თავიდან ამოღებულია სიტყვები: „მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს (თავისი გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი) თავისი იმედი და უიმედობა"; VII თავში ცენზურას არ გაუშვია წინადადება: „ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ". ამოშლილია დასასრულიც: „მიგიხვდი, ჩემო მოხეევე, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", — ჰსთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ გული გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი" და ა. შ. ილია უზომოდ აუღელვებია ცენზურის სისასტიკეს; „კრებულისათვის" წარდგენილი, ცენზორის მიერ ნასწორები ავტოგრაფი მას მწარე, დამცინავი შენიშვნებით აუჭრელებია. დასაწყისში, სადაც აწერია: «Дозволено цензурою 23 июля, 1871 г.» — სიტყვასთან: «Цензурою» ილიას ჩაუმატებია: «дурацкою», ხოლო სხვა ადგილებზე მისივე ხელით მიწერილია: „ცენზორს სუნის აღება სცოდნია!" „ახ, ცენზორო, უნდა!" და სხვ.

მიუხედავად ენერგიული ცდისა, „კრებულმა" ვერასგზით ვერ მოახერხა ილიას პუბლიცისტური წერილის — „ზოგიერთი რამ", დაბეჭდვა. ავტორი კირ. ლორთქიფანიძეს დუშეთიდან სწერდა: „რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ" უნდა ჰქონდეს. მაცნობე, ჰბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დავუთმოთ". მაგრამ, როგორც ჩანს, ვერავითარმა „დათმობამ" ვერ უშველა. აღნიშნული წერილი მხოლოდ 1876 წელს გამოქვეყნდა „დროებაში" (14 მარტის ნომერში).

საცენზურო კომიტეტი ჟურნალში დასაბეჭდად წარდგენილ თარგმანებსაც უნდობლად ეკიდებოდა: ნაწყვეტებს ბაირონის „გიაურიდამ", რომელიც 1872 წ. 10—12 ნომერში გამოქვეყნდა (მ. გურიელის თარგმანით), ბოლოს, სქოლიოში, დართული აქვს რედაქციის შენიშვნა: „ეს ადგილები გამოცელი-

ლია. იქ, საცა საბერძნეთი უნდა იყოს, იმის მაგიერათ თარგმანში საქართველოა მოხსენებული". მაგრამ, აღნიშნული „ალაგები" „კრებულში" არ დასტამბულა, ცენზორს ამოუღია და ამიტომ, რედაქციის შენიშვნასაც, ალბათ, ამ ძალმომრეობის მინიშნება ჰქონდა მიზნად.

რედაქცია ცდილობდა გზა გაეწმინდა მოწინავე თხზულებებისათვის და ბევრ გონებამახვილურ ხერხს იყენებდა საცენზურო რეპრესიების მოსაგერიებლად. საინტერესოა ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის ლექსის „მესმის, მესმის სანატრელი" დაბეჭდვის ისტორია. 1870 წელს ილიას რამდენიმე ნაწარმოები გადაუცია ნ. ნიკოლაძისათვის „კრებულში" დასაბეჭდად და შემდეგ, სხვათა შორის, ეს ლექსიც წაუკითხავს. ამასთან, უთქვამს, ლექსი გარიბალდის შეეხება და ცენზურა მუდამ უარს მეუბნება მის დაბეჭდვაზეო. მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძეს ეს ლექსიც წამოუღია, მისთვის ფრჩხილებში წაუმძღვარებია შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის-ო" და ამ გზით ცენზორისთვის ნებართვაც გამოუტყუებია (დაიბეჭდა 1871 წ. პირველ ნომერში).

ჟურნალში ხშირად აკრძალული ლიტერატურიდან ამოღებული ნაწყვეტებიც კი იბეჭდებოდა, ცხადია, ავტორისა და თხზულების სახელწოდების მიუთითებლად. ნ. ჩერნიშევსკის რომანიდან „რა ვაკეთოთ?" ამოღებული ვრცელი ამონაწერით იწყება ჟურნალის პირველსავე ნომერში დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძის წერილი „საახალწლო".

ჟურნალის რედაქცია და თანამშრომლები არც ამით კმაყოფილდებოდნენ, ისინი პირდაპირ ბრძოლასაც აწარმოებდნენ ცენზურის წინააღმდეგ, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის. 1873 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა აკაკის ცნობილი ლექსი — „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს", რომელშიც გაშარჟებული და დაგმობილია ცენზორთა უვიცობა. „აკაკის მშვენიერი ლექსი ცენზორზე (ტვინმეისტერი) ხომ წაიკითხე?" — აღტაცებით სწერდა ს. მესხი კეკე მელიქიშვილს. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის დაბეჭდვის ნებართვა ცენზორს 1869 წელს გაუცია, მაგრამ „კრებულმა" მხოლოდ ოთხი წლის შემდეგაც ძლივძლივობით მოახერხა მისი გამოქვეყნება.

ისტორიული მაგალითების მოშველიებითაც, „კრებულის-თანამშრომლები მტკიცედ უხერგავდნენ მკითხველს სიტყვის თავისუფლების აზრს და უჩვენებდნენ მას შეფარვით გამოთქმული იდეების გაგების გზას. პ. უმიკაშვილის ვრცელი წერილი იოსებ მაძინის შესახებ, არსებითად, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დასაბუთებისა და მოთხოვნის გაბედულ ცდად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ითქვას, გაოცებასაც კი იწვევს ამ აზრების სითამამე. „ის ქვეყანა, საცა აზრი ცენზურას ემორჩილება, — წერს პ. უმიკაშვილი, — რასაკვირველია, პირჩაკეტილია... არიან კიდეც იმისთანა სახელმწიფოები, სადაც არავითარი ცენზურა არ არის, სრული თავისუფლებაა". თავისუფალი აზრებისათვის „ლიტერატურისა და მწერლების შევიწროება და დასჯა", — ავტორის სიტყვით, — მოწინავე ადამიანებს აიძულებს საიდუმლო სტამბები გამართონ და ლიტერატურა კონტრაბანდად შემოიტანონ.

ასე რომ, „კრებულმა". მართალია, ისტორიულ, უცხოურ მაგალითებზე მითითებით, მაგრამ მაინც გასაგებად გააშუქა არალეგალური პრესის როლი, საკმაოდ დაასაბუთა მისი შექმნის აუცილებლობა.

პუბლიცისტიკა

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც 1866 წ. ახალთაობამ ჟურნალის გამოცემას გაზეთი ამჯობინა, იმისი შიში იყო, ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას არ მოგვცემენო[1]. მაგრამ, სულ მალე, ყველა დარწმუნდა, რომ ხელისუფლება არც „დროებას“ აძლევდა დამოუკიდებელი პოლიტიკური მსჯელობის უფლებას. სამაგიეროდ, ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ჟურნალისტები კარგად დახელოვნდნენ და ისწავლეს, როგორ უნდა აევლოთ გვერდი ამ სიძნელისათვის. ცხოვრებაც აღარ ითმენდა, — გაზეთით ინტერესგაღვიძებული მკითხველი საზოგადოებრივი მოვლენების უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვდა.

სარედაქციო განცხადებებსა და საპროგრამო წერილებში საგანგებოდაა გაშუქებული ჟურნალის პუბლიცისტური მიზანდასახულობა.

ნ. ნიკოლაძის საპროგრამო წერილი — „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, მთლიანად ჟურნალის პუბლიცისტური პროფილის დახასიათებას ეძღვნება ავტორი ვრცლად განიხილავს პუბლიცისტური გამოცემის მნიშვნელობას, რომლის არსსაც, მისი სიტყვით, ის წარმოადგენს, რომ „საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება... გამოიკვლიოს საზოგადო საჭიროება და გამოძებნოს ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თანადროული ცხოვრების გაუმჯობესება“.

ნ. ნიკოლაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ

---

[1] ნ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ი ს წერილი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი; გ. წერეთელი, თხზ., ტ. I, 1931 წ., ს. ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 408.

(1869—1870 წლიდან), „დროებაშიც“ იგრძნობა პუბლიცისტიკის გაძლიერება და, — რადგან ეს ორი გამოცემა ერთი იდეური მიმართულების ორგანოები იყვნენ, — პუბლიცისტიკის დარგში განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ერთიანობა. ის რაც გაზეთში „გაკვრით გამოსახვას და დაფასებას პოულობდა“, „კრებულში“ დაწვრილებითი ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით, ბუნებისა და კაცობრიობის ცხოვრების შესახებ სწავლული გამოკვლევებით“ შეუქდებოდა[1]. გაზეთი და ჟურნალი ერთმანეთს ავსებდნენ. ამასთან, როგორც „დროება“. ისე „კრებული“ თავიანთ თავს „საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ. მაგრამ, შვიდი წელი, რომელიც „კრებულს“ „საქართველოს მოამბისაგან“ აშორებს, მეტად მდიდარი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებით, რასაც უეჭველად, გავლენა უნდა მოეხდინა პუბლიცისტიკაზე, როგორც სოციალური მოვლენებისადმი ყველაზე სწრაფად მგრძნობიარე ჟანრზე. ბატონყმობის გაუქმების გამო, ზოგიერთი პოლიტიკური საკითხის აქტუალობა ამ ხნის განმავლობაში განელდა, სამაგიეროდ, ახალი ტკივილები და ახალი პრობლემები წარმოიშვა. ქვეყანა, ხალხი მოუმზადებელი შეხვდა შეცვლილ ვითარებას, რომელიც მრავალ ამოცანას უსახავდა თვითეულ სოციალურ ჯგუფსა და მათი ინტერესების გამომხატველ სულიერ ძალებს. გადაუდებელ მოთხოვნილებად იქცა ანალიზი წარსულისა და გათვალისწინება მომავლისა; პუბლიცისტიკაც წინანდელზე შეუდარებლად უფრო მაძიებელი და ანალიტიკური გახდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპულ საკითხებზე საერთო თვალსაზრისი რედაქციას ბეჭდვითი ორგანოში გაერთიანების საფუძვლად მიაჩნდა. „კრებულის“ პუბლიცისტიკა ამ მხრივაც სანიმუშოა; მისი იდეური მიმართულება ზედმიწევნით მონოლითურია. თუ „საქართველოს მოამბეში“ ერთგვარი გადახვევა მაინც შეიმჩნეოდა (დიმ. ყიფიანის „ზეციური მნათობების“ წინასიტყვაობა, ვ. თულაშვილის „შინაური

[1] „დროება“, 1871 წ., № 15.

მიმოხილვის“ რამდენიმე ადგილი), აქ თითქმის შეუძლებელია რაიმე წინააღმდეგობის აღმოჩენა. „კრებული“ ცდილობდა, ერთ გარკვეულ გზაზე დაეყენებია მკითხველი და შეთანხმებული აზრის განმტკიცებისათვის დაემორჩილებინა ყველაფერი. იგი იდეურ თანამოაზრეთა წრეში გამომუშავებულ შეხედულებათა დამამკვიდრებელი და თანმიმდევრულად გამტარებელი პოლიტიკური ორგანო იყო. იდეური მიმართულების ცნება, რომელსაც ჩვენში ილია ჭავჭავაძემ და „საქართველოს მოამბემ“ მისცეს დასაბამი, სამოციანელთა ახალმა ჟურნალმა გააღრმავა და იმ დროის კვალობაზე, პარტიული პრესის გაგებამდე აამაღლა. ჯერ კიდევ საპროგრამო წერილში ნ. ნიკოლაძე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ „ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავის საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის „მიმართულებას“, მის დროშას და ჩვენი „კრებულიც“ დარწმუნებულია, რომ... ი მ ა ს თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა დ ა დ რ ო შ ა გ ა მ ო ა ქ ვ ს“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ჩვენს პრესაში, ნ. ნიკოლაძე პირველი ლაპარაკობს პარტიულ თანაზიარობასა და პარტიულ დისციპლინაზე, პირველი მოითხოვს არსებულის საპირისპიროდ „საკუთარი სამაგიერო გაწყობილობისა და მოაზრების წარმოდგენას“, „სიტყვისა და მოქმედების ისეთ თანხმობას“, რომელიც სიმტკიცეს აძლევს მებრძოლს და აჩქარებს სანატრელი იდეალის მოახლოებას. მებრძოლი იდეურობით გაჟღენთილი, დაკონკრეტებული სამოქმედო პროგრამა „კრებულის“ პუბლიცისტიკას საპატიო ადგილს ანიჭებს არა მარტო ქართულ, არამედ მაშინდელი რუსეთის ხალხთა ჟურნალისტიკაშიც.

პრესას, განსაკუთრებით, პუბლიცისტიკას, ამ სტატიებში ხალხის წინამძღოლის მისია აქვს დაკისრებული. ხალხთან დაახლოების, ხალხის შემეცნების მისწრაფება ყველაფერში თვალნათლივ ჩანს. მასობრიობა, მკითხველთა წრის გაფართოება, საზოგადოების ყველა ფენაში შეღწევა „კრებულს“ წმიდათაწმიდა ვალად გაუხდია. პუბლიცისტიკის მიზანია, „მკი-

თხველი საზოგადოების და ხალხის თავისაკენ გადაყვანა", — წერდა ნ. ნიკოლაძე.

„კრებულში" მხილებულია ევროპის ბურჟუაზიული პრესის მოსყიდულობა, გამომზეურებულია ხალხისადმი ღალატის მაგალითები და პრესის მოვალეობად გამოცხადებულია მასების პოლიტიკური გათვითცნობიერება და საჭირბოროტო სიტუაციებში სწორი ორიენტირება.

პუბლიცისტიკის მიზანდასახულობათა გაფართოებამ, ბუნებრივად გამოიწვია მისი თემატიკური და ჟანრობრივი გამრავალფეროვნება. უნდა ითქვას, რომ იგი სრულად მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, სახელმწიფო წყობილებისა და ხალხის მდგომარეობის საჭირბოროტო საკითხებს, მეცნიერებისა და აღზრდის სხვადასხვა პრობლემებს. აქ წინა პლანზე იწევს ისეთი თემები, რომლებსაც ადრინდელ ჟურნალებში ან სრულებით ვერ ეხვდებით ან გაკვრით იყო მოხსენიებული: რეფორმის შემდგომ პერიოდის სოფლის ცხოვრება, ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება, ტექნიკა, ეკონომიური თეორიები, მუშათა მოძრაობა, ბანკები და ასოციაციები, ქალთა ემანსიპაცია, საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, უმაღლესი განათლება, მედიცინა, ბიოლოგია; ახალ ჭრილში შუქდება ტრადიციული თემები და პრობლემებიც. ს. მესხი ამის თაობაზე შენიშნავდა: „ათასი კითხვებია ცხოვრებაში აღძრული" და პუბლიცისტი ვალდებულია ყველაფერი გააშუქოს და ახსნასო[1].

ამ ვითარებაში თავისთავად ისპობა ის მრავალთემიანობა და მრავალპრობლემიანობა, რომელიც „საქართველოს მოამბის" პუბლიცისტიკისათვის იყო დამახასიათებელი. ყოველი წერილი ერთ რომელიმე თემას, ერთ გარკვეულ საკითხს ეძღვნება.

ადრინდელ გამოცემებთან შედარებით, „კრებულში" უფრო ფართოდაა წარმოდგენილი შინაური და საერთაშორისო ქრონიკა, პოლიტიკური მიმოხილვა, თეორიული წერილები,

[1] „დროება", 1873 წ., № 13.

ნარკვევები, განსაკუთრებით კი, პუბლიცისტურ-მხატვრული მოგზაურობანი; განათლებული ახალგაზრდები, რომლებმაც ბევრი რამ ნახეს და გამოსცადეს, მოგზაურის შთაბეჭდილებათა საბაბით გადასცემენ მკ-თხველს თავიანთ სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ შეხედულებებს.

მაგრამ „კრებულში“ (აგრეთვე იმ პერიოდის „დროებაში“) წამოყენებული არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულება არ უპირისპირდება და არ ეწინააღმდეგება „საქართველოს მოამბის“ იდეებს; პირიქით, „კრებული“ იცავს, აღრშავებს, ანვითარებს და პროპაგანდას უწევს მათ.

როცა ე. წ. „პირველ“ და „მეორე დასს“ შორის განსხვავებაზე ლაპარაკობს, პროფ. სიმ. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ „60-იანი წლების მეორე, და 70-იანი წლების პირველ ნახევარში ინტელიგენციის ყურადღება სხვა სახის სოციალურ-ეკონომიური საკითხებისადმი იყო მიპყრობილი, ვიდრე 60-იანი წლების პირველ ნახევარში“[1].

სახელოვანი მეცნიერის ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება თაობათა შორის განსხვავების საფუძვლად. საქმე ის ხომ არ არის, როგორი ვითარება იყო, არამედ ის, — როგორი იყო ამ ვითარებისადმი დამოკიდებულება. ერთი თაობის („დასის“) ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის წინაშე, მისი მოღვაწეობის მანძილზე, ცხოვრების განვითარების ლოგიკით, ცხადია, სულ ახალ-ახალი პრობლემები წამოიჭრება და, თუ ამ პრობლემების ახსნა-გადაწყვეტაში აზრთა სხვადასხვაობა არ იჩენს თავს, მაშინ გათიშვის შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია. ამასთან, შეუძლებელია მაშინდელ „დასებს“, არა მუშურ, არა მარქსისტულ პარტიებს მოვთხოვოთ ბოლომდე მტკიცე, ყოველმხრივ შეთანხმებული, ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული პოლიტიკა. მოძრაობის საწყის საფუძველთა პრინციპებზე შარტოდენ გაღრმავება-განვითარება, აგრეთვე, არ იძლევა დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის შესახებ დასკვნების გამოტანის მიზეზს. ს. ხუნდაძეს, როგორც ჩანს, სწორედ

---

1 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, „ნარკვევები“... 1941 წ., გვ. 184.

ასეთი გაღრმავება-განვითარება მიუჩნევია იდეური დაპირისპირების საბუთად. სოციალური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების დონის შესაფერისად, ილია ჭავჭავაძეს („საქართველოს მოამბეს") ახალთაობის სოციალურ-ეროვნული იდეები გადმოცემული აქვს ზოგად ფორმებში, საერთო დებულებების სახით, ხოლო „ახალი ახალგაზრდობა" („კრებული"), როგორც ვთქვით, ანაწევრებს, აკონკრეტებს, გაშლილი სახით იძლევა იმავე ზოგად დებულებებსა და პრინციპებს.

თვით „კრებულის" პუბლიცისტიკაში თაობათა დამოკიდებულების, კერძოდ, „ახალთაობის" პრობლემას დიდი ადგილი უკავია; ამ საკითხს, საკმაოდ ვრცლად განიხილავენ პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ხოლო ნ. ნიკოლაძემ მას საგანგებო წერილები მიუძღვნა: „ჩვენი ახალგაზრდობა", „კრებულის" დანიშნულებაზედ", „საზოგადო საქმეები. ახალგაზრდობის აღზრდა"; „ჩვენი მწერლობა", „ახალი ახალგაზრდობა".

ილია ჭავჭავაძესა („საქართველოს მოამბე") და გ. წერეთელ-ნ. ნიკოლაძის („დროება"-„კრებული") ჯგუფს შორის იდეური მიმართების თაობაზე ზემოთქმული თვალსაზრისის სისწორეში განსაკუთრებით გვარწმუნებს მათი იდეური წყაროების ერთიანობა. დადგენილია, რომ ქართველ სამოციანელთა (თერგდალეულთა, „საქართველოს მოამბის") იდეურ წყაროსა და საფუძველს, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის პროგრესულ ტრადიციებთან ერთად, რუს რევოლუციონერ დემოკრატთა მოძღვრება წარმოადგენდა. ამის საპირისპიროდ, „ახალი ახალგაზრდობის" („დროება" — „კრებულის") ჯგუფის იდეურ წყაროდ ს. ხუნდაძე, ფაქტიურად, ევროპულ სოციოლოგიას მიიჩნევდა („ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო ევროპიული მეცნიერებით: პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებით და საზოგადოების დებულებებით"[1] „კრებულის" პუბლიცისტიკის შესწავლამ ეს მოსაზრება არ დაადასტურა.

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორია საქართველოში, ტ 1, გვ. 73.

„კრებულის“ პუბლიცისტები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, დ. ჩხოტუა, ბ. ჯაფარიძე). მართალია, ახლოს გაეცვნენ ევროპის სოციოლოგიურ თეორიებს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობისათვის შესაფერისი და სანუგეშო მათ იქ ვერაფერი ჰპოვეს და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებისადმი ერთგული დარჩნენ. უცხოელ სოციოლოგთა ცალკეულ შეხედულებებს ისინი მხოლოდ გაკვრით, სასხვათაშორისოდ იხსენიებენ, სრულად არ გადმოსცემენ არც ერთის მსოფლმხედველობას და ხშირად, კიდეც აკრიტიკებენ მათ. იმ დროში, რომელზედაც ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ საპროგრამო წერილში ლაპარაკობს, კვლავ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებითაა აელვარებული. ეს ჟურნალი ჯონ სტიუარტ მილსა და პრუდონს, ლუი ბლანსა და ლასალს კი არ აღიარებს ავტორიტეტებად, არამედ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნააზრევში პოულობს იდეურ საზრდოს. მაშინდელი ქართული პრესა, მემუარული და ეპისტოლარული მასალები ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ 70-იან წლებში ჩვენში არა თუ შენელებულა, უფროც გაძლიერებულა რუსი რევოლუციონური დემოკრატებისადმი ინტერესი. ს. მგალობლიშვილი, ი. მანსვეტაშვილი, ი. მეუნარგია, ალ. ყიფშიძე და იმ დროს მოსწავლე სხვა გამოჩენილი მოღვაწეები ერთხმად გვიდასტურებენ, რომ ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, პისარევის ნაწერები, — „სოვრემენიკი“ — ხელიდან ხელში გადადიოდა, ახალგაზრდობა მათ აღმერთებდა, „მათი სახელი მთელ მოწინავე თბილისს პირზე ეკერა“. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ პრობლემებზე („რეფორმის“ შეფასება, გლეხთა მდგომარეობა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა) ჯერ კიდევ არავინ იძლეოდა მათზე უფრო გარკვეულ პასუხს; ამასთან, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ერთგულ მოწაფეებს არც მოგვიანებით დაუხრიათ რევოლუციურ-დემოკრატიული დროშა, 70-იან წლებშიც ისინი რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ავანგარდში მიდიოდნენ.

მრავალისმეტყველია ის ფაქტი, რომ „კრებულის“ პირველსავე ნომერში ნ. ნიკოლაძემ საპროგრამო ხასიათის წერილი —

„საახალწლო“, ნ. გ. ჩერნიშევსკის ვრცელი ციტატით დაიწყო და „რა ვაკეთოთს“ სიტყვებით წარმოგვისახა ამ ჟურნალის წარმოდგენა მომავალზე! ავტორის მიუთითებლად (რადგან ჩერნიშევსკის ხსენება აკრძალული იყო), ქართველ პუბლიცისტს ვრცელი ამონაწერი მოაქვს ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმრიდან.

ნ. ნიკოლაძის წერილებში იმის ახსნასაც ვპოულობთ, თუ რით იყო გამოწვეული 70-იან წლებში ქართველ სამოციანელთა ერთგულება რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოძღვრებისადმი. მიმოხილვაში — „რუსეთის ცხოვრება“, ნ. ნიკოლაძე იმ თეზისს ემყარება, რომ „ჩვენი მამულის ბედი და მომავალი მტკიცედ დასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე და რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი აქვს ჩვენი ქვეყნის იღბალზე“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). შესაბამისად, ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა თვალს უნდა ადევნებდეს და კვალში უნდა მიჰყვებოდეს რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობას, მასში უნდა ეძებდეს და პოულობდეს შთამაგონებელ ძალას, იდეურ წყაროს, მომავლის ჩირაღდანს. ნ. ნიკოლაძე იქვე დასძენს, რომ, მართალია, 60-იანი წლების მოძრაობაზე უკეთესი, ჯერჯერობით, რუსეთს სხვა არაფერი შეუქმნია, მაგრამ სულ მალე ის ახალი ძალით იფეთქებს და გაგვიყოლიებს: „...ამისთანა იშვიათი პირები რუსეთს ჰყოლია ხოლმე, მაგალითად — ...ბელინსკი, დობროლიუბოვი და სხვები უკეთესებიც (იგულისხმება ჩერნიშევსკი. ხაზი ჩვენია ა. კ.). და თუმც ამჟამად, „რუსეთს ამისთანა მოთავე აკლია (ხაზი ჩვენია. ა. კ.), ამისაგან სრულებით ის დასკვნა არ უნდა გამოგვყავდეს, ვითომ, შემდეგშიაც შეუძლებელი იყოს მისი გამოჩენა და მოქმედება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არც შეუძლებელი, არც ნამეტნათ მოშორებული საქმეა. როცა ეს იმედი ასრულდება, რუსეთის გონებით მოძრაობას იმ ერთობის და ერთკილოიანი მოქმედების გზა დაენიშნება, რომელიც საზოგადოებას წარმატებას ანიჭებს“.

როგორც ვხედავთ, ევროპის სოციალური თეორიებისადმი

„კრებულის“ ფრთხილ და კრიტიკულ დამოკიდებულებას უაღრესად პრინციპული საფუძველი ჰქონია, — შესაძლებელია დავსძინოთ: საფუძველი სწორი. და წინასწარმეტყველურიც.

საძიებელ საკითხზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს ნ. ნიკოლაძის ვრცელი თხზულება — „სხვათა შორის“. რევოლუციონერი დემოკრატებისადმი შეურყეველი რწმენა აქ გადმოცემულია არა მხოლოდ ცალკეული გამონათქვამებით, არამედ ნაწარმოების მთლიანი კონცეფციით. ავტორს აღწერილი აქვს ევროპაში მოგზაურობა, სადაც ის პირადად ესაუბრა ლუი ბლანსა და სხვა გამოჩენილ თეორეტიკოსებს. ეგრძნობათ, რომ იგი ძალიან კარგად იცნობს მათ შეხედულებებს; ეპაექრება და აკრიტიკებს მათ, — ეკამათება ლუი ბლანს ფრანგი ხალხის პოზიციებიდან, პროგრესული კაცობრიობის სახელით. ავტორი განუზომელ მოწიწებას გრძნობს პარიზელ კომუნართადმი, მაგრამ ასეთივე მოწიწება არ იგრძნობა ლუი ბლანისა და სხვა თეორეტიკოსების მიმართ. იგი ხელცარიელი, თითქოს, იმედგაცრუებული ბრუნდება რუსეთში, რათა აქ, კვლავ, აღტაცებით მოიყაროს მუხლი სამოციანელთა მოძღვრების წინაშე. აქ უკვე აშკარა კონტრასტთან გვაქვს საქმე. თხზულება გაჟღენთილია რუსეთისა და მისი მოწინავე შვილებისადმი პატივისცემით, მისი მომავლის რწმენით. იგი ნეკრასოვის სტრიქონებით დასტირის ბრძოლაში დაცემულ სამოციანელთა წმინდა საფლავებს და აქ ყოველი სიტყვა გაისმის, როგორც მათი საქმისადმი ერთგულების ფიცი.

ნ. ნიკოლაძე დაინტერესებულია 70-იანი წლების რუსეთის ცხოვრებით, დაეძებს მასში ახალ ცხოველ აზრს, მაგრამ ამაოდ, ვერც აქ პოულობს „სოვრემენიკსა“ და ჩერნიშევსკიზე უკეთესს ვერაფერს; გული უკვდება, რომ მათ ხსოვნას დაიწყების ფერფლი ეფინება. „ჩვენი მეხსიერება და მოგონება... [იმათ] ნათელ და წმინდა ხსოვნას მოვანდომოთ, რომლებმაც თავიანთი მოვალეობა მტკიცედ აასრულეს, საქმით სიტყვა ამართლეს და რწმენისათვის, კეთილი საქმისათვის, მამულისათვის თავი დადვეს!.. მათი სწავლა, მათი ცხოვრება, მათი გზა და ბედი ჩვენი სამკვიდრებელია. ამის მეტი ნათელი არა უღირსებია

რა ჩვენთვის ცხოვრებას, ამის მეტი მოშავალს ჩვენთვის არა დაუმზადებია რა" (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ გულწრფელ აღსარებას იმასღა დავუმატებთ, რომ რუს საზოგადოებრივ მოღვაწეთა ასეთივე შეურყეველი პატივისცემითაა გამსჭვალული ს. მესხის წერილი — „რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი", დავით ერისთავის — „წყლებზე" და სხვ.

ამრიგად, „კრებულის" პუბლიცისტთა წერილების გაცნობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მათი სოციალურ შეხედულებების ძირითად თეორიულ-იდეურ წყაროდ კვლავ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ნააზრევი რჩება; უცხოურ თეორიებს ისინი თავიანთ მოძღვრებად არ აღიარებენ, ავტორიტეტად არ თვლიან და უცხოელ სოციოლოგთა გამონათქვამებს გაკვრით, სხვათა შორის იხსენიებენ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათადმი ინტერესის გაძლიერებას საფუძვლად უდევს იმის რწმენა, რომ სოციალური განვითარება კანონზომიერი მოვლენაა და ამ კანონების შეცნობა საშუალებით შესაძლებელია. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, საზოგადოებრივ მეცნიერებას „ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან ემორჩილება კაცობრივი საზოგადოება". რაკი თანამედროვე ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ახსნა-შესწავლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნად გამოცხადდა, ჟურნალიც მეტ ადგილს უთმობს მას.

„კრებულის" პუბლიცისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი წყობილება, მისი „კანონები და საქციელი ღმერთისგან დაფუძნებული და სამუდამოდ დაწესებული არაა" და ამიტომ „მათი შეცვლა შესაძლებელი და სასარგებლო საქმეა". ისტორიულ წერილებშიაც ისინი სოციალურ მხარეზე აშახვილებენ ყურადღებას და საზოგადოებრივი წყობილების განვითარებას უჩვენებენ მკითხველს, ამხელენ რელიგიასა და სქოლასტიკას, მოითხოვენ თავისუფალ აზროვნებას.

„კრებულის" პუბლიცისტიკაში გაბატონებულ ადგილს ეკონომიური საკითხები იკავებს, წამყვანი როლი პოლიტიკურ ეკონომიას ენიჭება. რედაქციის აზრით, მას „კაცობრიობის

ისტორიაში სტრატეგიისა და ტაქტიკის მნიშვნელობა აქვს".[1] „პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები იმრიგადვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები". თუ „საქართველოს მოამბე", ამ მხრივ, არსებითად, ორიოდ თარგმანით დაკმაყოფილდა, აქ პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებს, თითქმის, ყველა პუბლიცისტი ეხება, პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა, თვითეული მათგანი ამ მეცნიერების თვალსაზრისით განიხილავს. ნ. ცხვედაძეს „ეკონომიური აზროვნება" რენესანსის, კაცობრიობის გონებრივი პროგრესის ერთ უმთავრეს ნიშნად მიაჩნია.[2]

პუბლიცისტებს სწამდათ, რომ სოციალური ცხოვრების მოვლენათა ამგვარი ანალიზით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ავტორიტეტის განმტკიცებით, ისინი ხელს უწყობდნენ ხალხის გამოფხიზლებას, მისი პოლიტიკური შემეცნების გამომუშავებას და, ბოლოს და ბოლოს, გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ მის ამხედრებას. ყოველივე ამით, ისინი, ფაქტიურად, ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდნენ მკითხველს, — რომ „ეხლანდელი წესები და ჩვეულებები შეურყეველი არ დარჩებიან", რომ — „ყველა თეორიას იმდენი ფასი აქვს, რამდენათაც ისინი... კაცობრიობის სამსახურს გვასწავლიან".[3]

ნიშნავს თუ არა ეს, რომ „კრებულის" ყველა პუბლიცისტს ყოველთვის სწორად ესმის მეცნიერული ცოდნის, სწავლა-განათლების, თეორიის მნიშვნელობა? არა, არ ნიშნავს. ზოგიერთი ავტორის წერილში კვლავ შესამჩნევია ცოდნის, თეორიის გადაჭარბებული შეფასება, მისი თავისთავადი ყოვლისშემძლებლობის აღიარება (ალეველი, ნაწილობრივ, ნ. ნიკოლაძის „კრებულის" დანიშნულებაზედ" და სხვ.).

„კრებულის" პუბლიცისტიკის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მისი პრაქტიციზმია. კორესპონდენციული მანერა აქ ისე გაბატონებულია, რომ „საქართველოს მოამბის" პუბლი-

---

[1] „კრებულის" დანიშნულებაზედ", „კრებული", 1871 წ., № 3, „საზოგადო საქმეები", „კრებული", 1872 წ., № 6.

[2] „კრებული", 1873 წ., № 1.

[3] „კრებული", 1873 წ., № 2, გვ. 81.

ცისტიკა მასთან შედარებით, აბსტრაქტულადაც კი გვეჩვენება. „რა ვქნათ?“ „რა ვაკეთოთ?“, „როგორ გავაკეთოთ?“, „რა გვიშველის?“ აი, უმთავრესი კითხვები, რომლებზედაც ამ ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები უპასუხებს.

პუბლიცისტიკის წამყვანი თემა სამეურნეო-ტექნიკური საკითხები გახდა. საპატიო მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა იმაზე მსჯელობამ, თუ როგორ შეიძლება „ხრიოკი, ჭაობიანი ადგილები ადამიანმა სამოთხედ აქციოს“. ლამაზ, მაგრამ უსარგებლო ფრაზას პუბლიცისტიკაში მაზანდა გაუვიდა. სიტყვა და სადღეისო საქმე ერთმანეთს გადაეჯაჭვა. პუბლიცისტი თვითონაც „საქმის კაცად“, პრაქტიკოსად იქცა.

ნ. ნიკოლაძის წერილის—„ჩვენი ახალგაზრდობა“, ძირითად პათოსს პრაქტიკული მოღვაწეობისაკენ მისწრაფება წარმოადგენს. — ერობა, მიწა-წყლის გამოყენება, გზების გაყვანა, საავადმყოფოებისა და სკოლების დაარსება; ასეთივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული მისი სტატია „ახალი ახალგაზრდობაც“. ამ ახალგაზრდობისათვის „პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით [უნდა] გამოიხატებოდეს. ის საქმეს ეძებს და აფასებს“.

„საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს „კრებულის“ პუბლიცისტები უმთავრესად, ზოგადობას, არაკონკრეტულობას, არაპრაქტიკულობას უსაყვედურებენ. ნ. ნიკოლაძე ამას ძირითად განმასხვავებელ ნიშნადაც თვლის. მისი სიტყვით, „ძველმა თაობამ“ (იგულისხმება „საქართველოს მოამბის“. ჯგუფი. ა. კ.) ბანკის დაარსება მოინდომა, ტყვილა იბზუილა“, „სასწავლებლის გამართვისათვის მარტო შეურაცხყოფა დაიმსახურა“[1]... ცხოვრება, ეპოქა, ყოველ თაობას ან ერთსა და იმავე თაობას, სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს. ზოგჯერ საჭიროა ეკონომიური ცვლილებები. ზოგჯერ — სამხედრო სწავლა, ზოგჯერ, „როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი დგებიან, ხალხი მშვიდობიანათ შრომობს და ცხოვრობს... საჭიროა მწარმოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, აღებ-მი-

[1] „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“, 1873 წ., № 1.

ცენობის მცოდნე, გზების და გამსაღებელი ადგილების გამოძიებელნი". [1]

პრაქტიციზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული „კრებულში" გამოქვეყნებული გ. წერეთლის პუბლიცისტური წერილები. პრაქტიკული უმოქმედობა და უინიციატივობა მას ერის გადაგვარებისა და დაღუპვის მომასწავებლად მიაჩნია. იგი მღელვარედ წერს საერთო-სახალხო თვითმოქმედებაზე, როგორც ახალ ვითარებაში ერის გადარჩენის აუცილებელ პირობაზე. მოდუნებულ, მთვლემარე, უმეცარ ხალხს შთანთქავს და გააჩანაგებს კაპიტალისტური ევროპა, რადგან „იმათ აქვთ ფული, ჩვენ არა, იმათ აქვთ სწავლა, ჩვენ — არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არა ვიცით რა. იმათ აქვთ ქარხნები, ჩვენ კი — არაფერი". მთელს ჩვენს სიმდიდრეს ისინი ჩაიგდებენ ხელში და ჩვენსავე მამულში მოჯამაგირეებად გაგვიხდიან. [2]

ქართული ეროვნულ-სოციალური სინამდვილის მოვლენათა ანალიზი „კრებულის" პუბლიცისტებს წინანდელზე უფრო ფართოდ გადააქვთ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, უფრო ხშირად მიმართავენ უცხოურ პარალელებს, ამ მხრივ, „კრებულის" პუბლიცისტიკის დევიზად იქცა ნ. ნიკოლაძის დებულება, რომ „ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიურიც". [3]

ხალხთა ცხოვრების პირობების გაცნობა, საერთაშორისო საქმეებში გარკვევა ცოტად თუ ბევრად განათლებული ადამიანის საარსებო მოთხოვნილებად იქცა. გ. წერეთლის „მგზავრის წერილების" მთავარი პერსონაჟი ხ-სკი გაკვირვებით კითხულობს: „ღმერთო ჩემო, მაშ, კაცია ის, თუ ახლანდელი ევროპის ცხოვრების მოძრაობას ყურს არ ადევნებს!"

„კრებულის" პუბლიცისტები საერთაშორისო ცხოვრების იმ მოვლენებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისთვისაც აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. იმ წერი-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა", „კრებული", 1873 წ., № 1.

2 „საამხანაგო ბანკები", „კრებული", 1872 წ., № 8—9.

3 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 173.

ლებშიაც კი, რომლებიც სხვადასხვა ხალხთა შორეულ წარსულს შეეხებოდა, ავტორები თანამედროვე საქართველოს სავიბრობოტო პრობლემებს ეხმიანებოდნენ. რეფორმაციისადმი, ლუთერისადმი მიძღვნილ სტატიაში ნიკ. ცხვედაძე ვრცლად ლაპარაკობს ქართველ გლეხთა ჩაგვრაზე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ქართული ენის დევნაზე, ქართველი თავად-აზნაურობის ფუქსავატობაზე და ა. შ.[1]

ჯერ „დროებამ", ხოლო შემდეგ „კრებულმა", საძირკველი ჩაუყარა და დაამკვიდრა ჩვენში საერთაშორისო ინფორმაცია და მიმოხილვა, პოლიტიკური ცნობიერების ვრცელი ასპარეზი გადაუშალა ქართველ კაცს. იმდროინდელი ქართველი მკითხველი საფრანგეთ-პრუსიის ომის ან პარიზის კომუნის ამბებს უკეთ იცნობდა, ვიდრე, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ, ყირიმის ომის ამბებს იცნობდნენ.

მხოლოდ ხალხოსანმა პუბლიცისტებმა აიგდეს სასაცილოდ „დროება"-„კრებულის" გატაცება საერთაშორისო პრობლემებით. ისინი ტენდენციურად, შეიძლება ვთქვათ, დემაგოგიურადაც მიუდგნენ ამ საკითხს. სტეფანე ჭრელაშვილი ამბობდა: „ქართველი საზოგადოება, მთელი ხალხი სწყდებოდა შიმშილითა და უმოსავლობით, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბაასობდნენ ტიერზე და გიზოზე... აღტაცებულნი მოგვითხრობდნენ ლუი ბლანზე, როშფორებზე და გამბეტაებზე... ბოკლისა და დარვინის თეორიების შეტს ვერასა ჰპოულობდნენ სალაპარაკოდ... ელაპარაკებოდნენ ქართველ მკითხველებს მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელ სიტყვაზე... რა მედარვინ-ბოკლება, შე მამაცხონებულო, ლამის არის სული ამომხდეს სიღარიბისა..., უსამართლობისა და შევიწროებისაგან... [მათ] ნაწერებს რომ შეხედოთ, გეგონებათ ევროპულ პუბლიცისტებს ვკითხულობო".[2]

სტეფანე ჭრელაშვილს მოვლენებისადმი ღრმა ისტორიულ მიდგომას ვერ მოვთხოვთ, ვერც სოციალური ასპექტის გამახვილებას ვუსაყვედურებთ, მაგრამ, ისე კი, უდავოა, რომ საერთა-

---

1 „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თაეის მიზეზებით XVI საუკუნეში", „კრებული", 1872 წ., № 10—12.

2 „ქართული მწერლობა", ჟურნ. „იმედი", 1881 წ., № 1.

შორისო ცხოვრების ფართო გაშუქებით, 70-იანი წლების პროგრესულმა პრესამ ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა შემდგომი პერიოდის რევოლუციურ აზროვნებასა და მოძრაობას. ჩვენს ჟურნალისტებს კარგად ესმოდათ, რომ ისინი მომავლის თესლს აღივებდნენ, დაჩაგრულ ხალხს განთავისუფლების გზას უშუქებდნენ და საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის დახასიათებით, გაბედული მოქმედებისათვის ამზადებდნენ. მათ სწამდათ ხალხი, სწამდათ მისი ბედნიერი მომავალი და მათი პუბლიცისტური ნაწერებიც ოპტიმიზმითაა განათებული; ოპტიმიზმი ასულდგმულებს „კრებულის“ პუბლიცისტთა მხურვალე პრაქტიკულ საქმიანობას, აქტივობასა და ახალი გზების ძიებას. „დღეს უფრო ნათლად ჩანს საქმე, ჩანს ასპარეზი, ჩანს გამარჯვების იმედი“,[1] წერდა ნ. ნიკოლაძე. თუმცა, მათ ისიც იცოდნენ, რომ „ძალიან იშვიათად მოხდება... კაცს თავისი აზრის ასრულება თავისსავე სიცოცხლეში ენახოს“.[2]

პუბლიცისტიკა, უსათუოდ, მამხილებელი უნდა იყოს, მაგრამ მხილებით არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდეს, თვითონვე უნდა ცდილობდეს ცხოვრების გაუმჯობესებას, საზოგადოების მდგომარეობისა და მოთხოვნილების მიხედვით უნდა წარმართავდეს საზოგადოებრივ აზრს, ეძებდეს „ასრულების გზას“.

ჟურნალის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სერიოზულ საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე იგი, თითქმის, მხოლოდ ორიგინალურ სტატიებს ბეჭდავდა. ამ მხრივაც, მას ვერც ერთი მაშინდელი ქართული გამოცემა ვერ შეედრება; 60-მდე პუბლიცისტური წერილიდან მხოლოდ ოთხია გადმოთარგმნილი ან გადმოკეთებული. ამასთან დაკავშირებით, ს. მესხი აღტაცებით წერდა: „ეს სამი ერთად გამოსული წიგნი „კრებულისა“ მდიდარია სტატიების სხვადასხვაფერობით... რომელნიც ორს გარდა, ყველა ორიგინალური არიან“.

რედაქცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წერილების „თვისებასა და ღირსებას“. თანამშრომლები ერთმანეთს არ ინდობდნენ, მკაცრად მოითხოვდნენ ღრმა ანალიზს, დახვეწილ სტილს, ნათელ დასკვნებს. პუბლიცისტთა ტემპერამენტისა, განათლე-

---

[1] „ახალი ახალგაზრდობა“, 1873 წ., № 1.

[2] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „იოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872 წ., № 8—9.

ბისა და სხვა განსხვავების მიუხედავად, „კრებულის“ პუბლიცისტიკას უდავოდ გააჩნია ერთიანი სტილი, რომელიც მაღალი კულტურით, სიმყარითა და ღრმა მეცნიერულობით გამოირჩევა.

პუბლიცისტური სტილის, საერთოდ, პუბლიცისტური ოსტატობის საკითხი, „კრებულამდე“, პრინციპულად არც ერთ ქართულ ორგანოს არ აღუძრავს. ამ ჟურნალის რედაქცია და თანამშრომლები არა მარტო პრაქტიკულად იბრძოდნენ ჩვენი პუბლიცისტიკის აღმავლობისათვის, არამედ თეორიულ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ პუბლიცისტურ ხერხებსა და საშუალებებზე, ავრცელებდნენ რუსული და ევროპული პუბლიცისტიკის გამოცდილებას.

პუბლიცისტური ოსტატობის ცალკეულ მხარეებს შეეხნენ: გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. ნათაძე, ნ. ცხვედაძე, ხოლო ნ. ნიკოლაძემ ამ საკითხს მიუძღვნა ვრცელი წერილი — „თანამედროვე მწერლობა“,[1] რომელშიც საფუძვლიანადაა დახასიათებული ევროპული, კერძოდ, ფრანგული პუბლიცისტიკის სტილისტური თავისებურებანი. ამ საინტერესო ნაშრომში ნ. ნიკოლაძე ღრმად სწვდება პუბლიცისტური ხელოვნების საიდუმლოებას, ადგენს მიზნისა და შინარსისადმი ფორმის შესატყვისობის ნიშანთვისებებს, არკვევს პუბლიცისტიკის სხვადასხვა ჟანრის (სახეობის) სპეციფიკას, განიხილავს და აფასებს იმ დროის გამოჩენილ პუბლიცისტთა შემოქმედებას. პუბლიცისტიკის სინონიმად ავტორი აქ „პოლიტიკური მწერლობის“ ცნებას იყენებს და მისი შინაარსისა და ფორმის განვითარებით განსაზღვრავს ამა თუ იმ პერიოდში ხალხის საზოგადოებრივ აქტივობასა და ინტელექტუალურ-სულიერ დონეს.

უთუოდ, ამ დაუოკებელი წინსწრაფვითაა განპირობებული პუბლიცისტიკის პირდაპირობა, ცხარე, ბეჯითი ტონი; პუბლიცისტი „ულაპარაკოდ“ თავს გვახვევს საკუთარ აზრს. საჭიროდ არ თვლის, გაგვაცნოს და განიხილოს ერთმანეთის საწინააღმდეგო ან, საერთოდ, განსხვავებული თვალსაზრისი; საკითხს მხოლოდ იმ კუთხით და იმ მასშტაბით აშუქებს, რაც

---

[1] „კრებული“, 1873 წ., № 8.

აუცილებელია მკითხველისათვის მისი შეხედულების შთასაგონებლად. ამ ნიშნების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ „კრებულში“ ფრანგული პუბლიცისტური სტილი მეფობს. ჩვენი პუბლიცისტები ხომ, მართლაც, აღტაცებული იყვნენ ფრანგული პუბლიცისტიკის პირდაპირობით, ნიშანში სწრაფი დამიზნებით, გონებამახვილური შთამაგონებლობით. ფრანგების ცოდნა,... „ჰიპოთეზა, თეორია ან დედააზრი.—წერდა ნ. ნიკოლაძე. — ელვასავით გაჰკრავს ცოდნის ნისლიან ცაზე, ბნელ ზღარეებს გაანათებს, გზას აღმოაჩენს, მიზანს უჩვენებს“.[1]

სამეურნეო-ტექნიკურ საკითხებზე დაბეჭდილი სტატიებიც კი მებრძოლი ტონითაა დაწერილი; — ხშირად, მოდაღე ან მისი თვალსაზრისი არ ჩანს, მაგრამ პუბლიცისტი მაინც იბრძვის, თავის აზრს მაინც უხილავ მოკამათესთან პაექრობის ფორმით გადმოსცემს.[2]

მოხდენილი ფორმა „კრებულის“ პუბლიცისტებისათვის აზრის სწორად გადმოცემის ღონისძიებას წარმოადგენდა; მათთვის უმთავრესი აზრი იყო და არა ლამაზი ფრაზა, მკითხველის დარწმუნება და არა გაკვირვება, შინაგანი ლოგიკა და არა ფოიერვერკი. „ფრაზებით ბებიაჩვენის დროს აკვირვებდა ხალხს განსვენებული შარლინსკი. ფრაზები მოძველდნენ. ეხლა მკითხველი აზრს თხოულობს, ახალს, მარჯვე, სწორ აზრს და არა ფრაზას... ამნაირი ფრაზები მოსპო და მოკლა მეცნიერებამ, რომელიც თხოულობს ფაქტს და ფაქტზე დამყარებულ აზრს და არა სიტყვების... უმნიშვნელო ჭრიჭინს“.[3]

„კრებულის“ პუბლიცისტიკა წინანდელზე მომზადებული აუდიტორიისათვის იყო გამიზნული. ძალად გაუბრალოება. გაპრიმიტიულება ავტორებს დაუშვებლად მიაჩნდათ, მაგრამ საყოველთაო-სახალხო გასაგებრობას თავიანთ წმინდა მოვალეობად თვლიდნენ და ამას მაღალი პუბლიცისტური ოსტატობით აღწევდნენ. პუბლიცისტიკის არსებით ნიშანს შეადგენს მოვლენების ანალიზი, კონკრეტული კვლევა-ძიება, ფაქტების

---

[1] „სხვათა შორის“, „კრებული“, 1873 წ., № 4.

[2] „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

[3] ნ. ნიკოლაძე, „ივერიის პირველი ნომერი“, „დროება“, 1877 წ., № 26.

მიმოხილვა და განზოგადება, საქმიანობა, ინტელექტუალიზმის გაძლიერება. „კრებულის“ პუბლიცისტებს კონკრეტული მასალის გარეშე საზოგადოებრივ მოვლენებზე მსჯელობა ვერ წარმოუდგენიათ. სტატისტიკური მონაცემები მათთვის ძირითადი მამტკიცებელი საბუთია. კარგად მეტყველი ციფრობრივი შკალებითაა აღჭურვილი ნ. ნიკოლაძის წერილები: „სხვათა შორის“, „ახალი საფრანგეთი“, გ. წერეთლის — „ამ დროის ვითარება“, „საამხანაგო ბანკები“, ს. მესხის — „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“, ნიკ. ცხვედაძის — „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა“ და ა. შ. ეს დასაბუთებისა და დარწმუნების მეტად ეფექტური საშუალება იყო. თურქეთის მონობაში მყოფი აჭარისა და ჭანეთის მძიმე მდგომარეობას ვერც ერთი პათეტიკური შეძახილი ვერ წარმოუსახავდა მკითხველს ისე რელიეფურად და დამაჯერებლად, როგორც ნ. ნიკოლაძის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები ამ პროვინციების სახალხო მეურნეობის, განათლების, მოსახლეობის მატერიალური პირობების, აღებმიცემობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ. „საამხანაგო ბანკების“ მნიშვნელობას გ. წერეთელი საქართველოსა და გერმანიის ეკონომიკის დამახასიათებელი ციფრობრივი მასალით ასაბუთებს. საკამათო საკითხებზე მსჯელობისას, პუბლიცისტები მკითხველს ურჩევენ „სტატისტიკურს ცნობებს ჩახედეთ და იქ შეიტყობთო“.[1]

სიახლედ უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა და მოაზროვნეთა შეხედულებების ციტაცია (ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი, ბოკლი, შლოსსერი, ბიუხნერი, შულცე-დელიჩი და სხვ.).

ამ ნოვატორულ ხერხებთან ერთად, „კრებულის“ პუბლიცისტები ოსტატურად იყენებდნენ ქართული პუბლიცისტიკის, კერძოდ, „საქართველოს მოამბის“, საუკეთესო ტრადიციებს, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მოვლენათა დახასიათების ლიტერატურულ-მხატვრულ მეთოდს. სიმახვილე ენიჭება პო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ამ დროის ვითარება“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

ლიტიკურ სატირას, უფრო ფუნქციონალური ხდება იუმორი, გამჭვირვალობა ემატება ალეგორიასა და ქარაგმას, შენარჩუნებულია პორტრეტი, პეიზაჟი, დიალოგი. ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. ნათაძე, დ. ჩხოტუა, ნ. ცხვედაძე მიზნობრივად იყენებენ ხალხურ გამოთქმებს, შედარებებს, ფრთიან სიტყვებს, იგავებს. „საზოგადო სარგებლობაზე" გავრცელებული უკუღმართი შეხედულების განსაქიქებლად, ნ. ნიკოლაძე ასეთ მხატვრულ ანალოგიას მიმართავს: „ვის არ მიაჩნია ეს სიტყვები იმ უცნაურ და თვალთმაქცურ მაკრატლათა, რომლითაც ადვილად შესაძლებელია „საზოგადო მატყლით" თავისი საკუთარი ტყავის და სხეულის გათბობა?!"

საინტერესო პუბლიცისტურ მანერას წარმოადგენს ე. წ. „უსიტყვოდ თქმა", რომელიც საცენზურო პირობებით იყო გამოწვეული. ავტორი უშუალოდ არ გადმოგვცემს სათქმელს, მაგრამ სათანადო სიტუაციის შექმნით, სავსებით გვაგებინებს თავის აზრს.

უთუოდ, ამავე ნიადაგზე აღმოცენდნენ „კრებულის" მჭადაგებელი გმირები, რომლებიც ახალი იდეების პროპაგანდას ეწევიან პუბლიცისტურ ნაწერებში, განსაკუთრებით, სამგზავრო წერილების ფორმით დაწერილ თხზულებებში (ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები", გ. წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა", ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის", იასონ ნათაძის „მგზავრის შენიშვნები", დ. ერისთავის „წყლებზე"), ისინი გვევლინებიან უშუალოდ ავტორის, ლირიკული გმირის ან მისი რუპორის სახით, ფართოდ მსჯელობენ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე, გამოაქვთ მათ შესახებ პირდაპირი მსჯავრი, გამოთქვამენ გაბედულ შეხედულებებს. ასეთებია: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" მთხრობელი და მოხევე, გ. წერეთლის — ხოროშევსკი, ი. ნათაძის — მთიული და სხვ.

„კრებული" თავს ვერ მოიწონებს მაღალხარისხოვანი ფელეტონით, რომელიც მაშინ ევროპული, განსაკუთრებით, ფრანგული პუბლიცისტიკის წამყვან ჟანრად ითვლებოდა. ამ მხრივ ის დიდად ჩამოუვარდება „ცისკარსა" („სალაყბო ფურცელი") და „საქართველოს მოამბეს" („სხარტულა" „სფირიდონისა და

ბითი ძეგლის განხილვა მისთვის ფორმისა და შინაარსის ერთდროული და ერთმანეთისაგან განუშორებელ გათვალისწინებას გულისხმობს და თუ იდეა წამყვანია, ხელოვნება მაინც იქ იწყება, სადაც მას შესაბამისი მხატვრული ფორმა აქვს გამოძებნილი, — ამდენად, როგორც მოცემული ძეგლის ატრიბუტები, ხელოვნებისათვის ისინი ერთად იბადებიან და ერთად არსებობენ, და, რაკი ასეა, დემოკრატიულ შინაარსს დემოკრატიული ფორმა შეესიტყვება და ხალხის სასარგებლო იდეა მისთვის გასაგებ, მისაწვდომ და მიმზიდველ ფორმაში უნდა იქნას განსახიერებული. იგი, უწინარეს ყოვლისა, უბრალოებით, მკაფიობითა და მხატვრული სახეების განათებით უნდა გამოირჩეოდეს; მწერლის ენა, სტილი, მანერა, გამოსახვის საშუალებათა ერთობლიობა საყოველთაო, ადვილად გასაგები უნდა იყოს. ყოველივე ეს კი, დიდ ნიჭთან ერთად, დაძაბულ შემოქმედებით შრომას მოითხოვს, რადგან უბრალოება სიმარტივეს არ ნიშნავს და ბუნდოვნება სიზარმაცის ნაყოფია. მხატვრული სახის გამკაფიოება ზედმეტის, აუცილებლისა და ჭარბის თვალთახედვით მის მკაცრ აწონ-დაწონასა და დახვეწას მოითხოვს. „ერთი უპირველესი პირობა მწერლისა ის არის, რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს მისი ნაწერი". [1]

ხელოვნება მხოლოდ ადამიანთადმი მიმართებაში, ლიტერატურა მხოლოდ მკითხველთადმი მიმართებაში ავლენს თავის არსებობას და ამ მიმართების გარეშე იგი მკვდარია. უნდა შევნიშნოთ, რომ ფორმის დემოკრატიზაციის მოთხოვნას პ. უმიკაშვილი, ზოგჯერ, თითქოს გადაჭარბებულ უტილიტარიზმამდე მიჰყავს. ერთგან, მაგალითად წერს: „რა დროს დეფისები და ტირეებია, როდესაც ძველი მწერლობა კვდება და თაგვების კერძათა ხდება?"

მაგრამ, ეს პოლემიკის კოცონიდან ავარდნილი ნაპერწკლებია და ავტორის პრინციპულ თვალსაზრისს არ გამოხატავს. პირიქით, როგორც „კრებულში", ისე შემდგომ გამოქვეყნებულ წერილებში, ფორმის მიმართ პ. უმიკაშვილი მე-

---

[1] პ ე ტ რ ი ძ ე — „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის", „კრებული", 1872 წ., № 8-9.

თადეოზის ბაასი“). ჟურნალის მეთაურებს კარგად ესმოდათ მისი მნიშვნელობა. 1869 წლის 5 დეკემბერს, ნ. ნიკოლაძე სწერდა ს. მესხს: „საქმე ფელეტონშია, Игривый, остроумный, заманчивый и дельный, სადაა ამნაირი ფელეტონი? ვეცადოთ, რომ ეს რუბრიკა კარგად ავავსოთ, დანარჩენი ადვილი საქმეა“.

რუბრიკა, მართლაც, არსებობდა, მაგრამ იქ დაბეჭდილ გ. წერეთლის, პ. უმიკაშვილისა და თვით ნ. ნიკოლაძის ფელეტონებს აკლია მარილი, სიმსუბუქე, სილაღე, გონებამახვილობა და მიმზიდველობა. „კრებულის“ ვერც ერთმა ფელეტონისტმა ვერ შესძლო არა თუ საკუთარი სტილის, მანერისა და კილოს გამომუშავება, არამედ მისთვის შესაფერი თემების მიგნება. აქ არც ძლიერი სატირაა, არც მოხდენილი იუმორი, არც ამბის მთავარი რგოლია გამოძებნილი, არც საკითხისადმი მიდგომის კუთხე ჩანს. ლაპარაკია ყველაფერზე და არაფერზე; წვრილმანი და სერიოზული ერთნაირი ენითა და კილოთია დახასიათებული. ეს უგერგილო ფელეტონები მითქმა-მოთქმისა და გაკილვის საგანი გამხდარა იმ დროს. ს. მესხი 1873 წ. 22 სექტემბერს კეკე მელიქიშვილს ასე უზიარებდა თავის შთაბეჭდილებას: „პირველი ნახევარი (შესავალი) გ. წერეთლის ფელეტონისა[1] სწორედ რომ უბრალო და უაზრო ყბედობაა, და როგორც მივსწერე, სრულიადაც რომ არ გამოეშვა, უკეთესი იქნებოდა, მაინცა და მაინც არც მეორე ნახევარია ერთობ აზრიანი და კარგი...“ ფელეტონისტმა „ერთ რომელსამე ისეთ უმთავრეს შემთხვევას უნდა მოავლოს გონების თვალი, სტაცოს ხელი თავში, გამოსწიოს, რომ იმას თან წარმოადევნოს დანარჩენნი... მისცეს ურთიერთშორის დამოკიდებული წყობა, აბსნას იმათი მთელი ცხოვრების ვითარება, იმისი ეხლანდელი მოძრაობა და მომავალი ბედ-იღბალი“.

დაღებით ტრადიციებთან ერთად, „კრებულის“ პუბლიცისტიკაში ადრინდელი სტილის ზოგიერთი მანკიერებაც გადმოვიდა. ასეთ რეციდივად მიგვაჩნია ცალკეული ადგილების გაჭიანურება, მკითხველთან ზედმეტი ფამილარობა; ქართული პუბლიცისტიკის იმ დროისათვის უკვე გაცვეთილ მოტივებად

[1] იგულისხმება „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

გვეჩვენება ჟურნალში აქა-იქ გაბნეული მოწოდებანი, რომ საზოგადო საქმეში უნდა ვიყოთ უანგარო, მიუკერძოებელი, გულწრფელი და ა. შ.

მიუხედავად პრობლემატიკის გართულებისა და ანალიზის გაღრმავებისა, პუბლიცისტიკის ენა წინანდელზე მეტად დაუახლოვდა სალაპარაკო მეტყველებას. ე. წ. „სადღესასწაულოები“ და „ტელემახიდური“ პერიოდები მოკლე. მკვირცხლმა ფრაზებმა შეცვალა. მეორე მხრივ, „კრებულის“ სტატიებში „საქართველოს მოამბეზე“ უფრო ხშირად გვხვდება პროვინციალიზმები (იმერიზმები) და ბარბარიზმები. ყურადსაღებია, რომ რუსიციზმებთან ერთად („კუჩერი“, „კნუტი“, „პალაჩი“ და სხვ.), ამ ჟურნალში ფრანგული, გერმანული და ინგლისური ბარბარიზმებიც მოიპოვება („კელნერი“, „კურზალი“, „კამელია“, „მადამ“, „მესიე“, „ოტელი“ და ა. შ.).

როგორც რაოდენობით, ისე მნიშვნელობით, პუბლიცისტიკას წამყვანი ადგილი უკავია „კრებულში“. ამ მხრივ, ის „საქართველოს მოამბეზე“ უფრო ახლოსაც დგას „სოვრემენნიკთან“. რედაქციის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ყველა ნომერში ახერხებდა პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებას და მხედველობიდან არ გამორჩენია მაშინდელი საშინაო თუ საერთაშორისო მდგომარეობის არც ერთი საყურადღებო ფაქტი. საზოგადოებრივ მოვლენათა პუბლიცისტური განხილვა მოცემულია, აგრეთვე, ლიტერატურულ კრიტიკასა და მხატვრულ ნაწარმოებებშიც. პუბლიცისტიკის მკვლევარი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის ამ ჟურნალში დაბეჭდილ პოლემიკურ სტატიებსა და მეცნიერულ-პოპულარულ გამოკვლევებს.

„კრებულში“ პუბლიცისტური თხზულებანი გამოაქვეყნეს ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, პ. უმიკაშვილმა, ნ. ცხვედაძემ, ს. მესხმა, დ. ჩხოტუამ, გ. ზედგინიძემ, დ. ერისთავმა, ი. მესხმა, კირ. ლორთქიფანიძემ, რომელთაგან ამ ჟურნალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სახეს პირველი სამი აძლევდა. საერთოდ კი. „კრებულის“ პუბლიცისტიკის სულისჩამდგმელი და მთავარი შემოძრავებელი ძალა ნიკო ნიკოლაძე იყო. ამ ჟურნალში მან 15 პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა. ასე თუ ისე, იგი საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. თუ „კრებულის“ პუბლიცისტიკა

როგორც შინაარსის ისე ფორმის მხრივ, ქართული პუბლიცისტიკის ახალ, მაღალ საფეხურად მიგვაჩნია, ეს, უწინარეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძის დამსახურებაა. მან ახალი თემები და პრობლემები, მათი გაშუქების ახალი საშუალებანი შემოიტანა ჩვენს პუბლიცისტიკაში, საგრძნობლად გააფართოვა მისი ჩარჩოები, დაამკვიდრა მაღალი პუბლიცისტური კულტურა, განამტკიცა მისი მეცნიერულ-თეორიული საფუძველი, მძლავრი ბაქანება მისცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებასა და მოღვაწეობას. რუსულ და ევროპულ ჟურნალისტიკაში მიღებულმა გამოცდილებამ, ფართო განათლებამ და ერუდიციამ მას რეფორმატორის როლი არგუნა ჩვენს პუბლიცისტიკაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი პუბლიცისტიკის მძლავრი მოქალაქეობრივი პათოსი. ნიკოლაძის მაშინდელი წერილები დიდ პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

გ. წერეთელი, უმთავრესად, საქართველოს სამეურნეო-კულტურული ცხოვრების საკითხებს აშუქებდა და ამ მიზნით ფელეტონის ან მსატვრული ნარკვევის ფორმას იყენებდა. მის ნაწერებში ჩანს ჩვენი ცხოვრების ღრმა ცოდნა, ეპოქის გადაუდებელ მოთხოვნათა შეგრძნება, საასარებლო მოღვაწეობის ენთუზიაზმი და პოლიტიკური ალღო. ამასთან, რა დასამალია, რომ ამ ნაწერებს აჩრდილება ეტყობა; აქა-იქ საკითხები, ფაქტები, ავტორის მოსაზრებანი უსისტემოდაა გადმოცემული და განხილული; მჩატე და დაუწმენდავია ენა.

პ. უმიკაშვილის სტატიები თვითმყოფი მსჯელობითა და პრაქტიკული დასკვნებით გამოირჩევა. ავტორი საკუთარ დაკვირვებებსა და ადგილობრივ გამოცდილებას ემყარება. შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად ქართული პუბლიცისტიკის ტრადიციებზე დგას. მის ნაწერებში ყველაზე უფრო შესამჩნევია ფამილარობა, გაჭიანურებული მსჯელობა.

„კრებულის“ პუბლიცისტიკამ დიდად შეუწყო ხელი ხალხის ნაციონალურ-სოციალურ გათვითცნობიერებას. მკითხველთა პოლიტიკურ შეგნებას მან მძლავრი შუქი მოჰფინა. საჭირბოროტო საკითხთა ღრმა თეორიულ განხილვასთან ერთად, საზოგადოებაზე შთამაგონებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ჟურ-

ნალის მოქალაქეობრივი გამბედაობა, ჭეშმარიტად რაინდული თავდადება.

* * *

„საქართველოს მოამბისაგან“ „კრებულს“, სულ რაღაც, შვიდი-რვა წელი აშორებს, მაგრამ მათ საგრძნობლად განსხვავებულ სოციალურ ვითარებაში მოუხდათ მოღვაწეობა და ამან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა თვითეულის სოციალურ პრობლემატიკაზე. პირველის სოციალური შეხედულებანი, ძირითადად, ბატონყმური ინსტიტუტის კრიტიკასა და მისი გაუქმების პერსპექტივებს ასაბაბს, ხოლო მეორესი — ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათსა და ტენდენციებს.

ვ. ი. ლენინი 1911 წელს წერდა: „1862—1904 წლების პერიოდი იყო სწორედ ასეთი მსხვრევის ეპოქა რუსეთში, როცა ძველი სამუდამოდ, ყველას თვალწინ ინგრეოდა, ახალი კი მხოლოდ ეწყობოდა, ამასთან, ამ მოწყობის შემომქმედი საზოგადოებრივი ძალები საქმით, ფართო საერთო-ნაციონალური მასშტაბით, მასობრივი, აშკარა მოქმედებით სულ სხვადასხვაგვარ ასპარეზზე პირველად მხოლოდ 1905 წელს მოგვევლინენ“.[1]

ბატონყმური რეფორმა, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიული იყო,[2] ახალი ამოცანების წინაშე აყენებდა საზოგადოების ყველა ფენას, ყველა კლასსა და წოდებას, ახალ ძიებასა და ახსნას, ახლადწამოჭრილი საკითხების ახლებურად გაშუქებას მოითხოვდა სულიერი სამყაროს ქურუმთაგან. საწყის საფეხურზე — „მანიფესტის“ გატარებისა და უშუალოდ მის მომდევნო წლებში, როცა „კრებული“ გამოდიოდა, ამ საკითხთაგან უმთავრესი, პირველადი მნიშვნელობა თვით აღნიშნული რეფორმისა და მისი პირდაპირი შედეგების შეფასებას ჰქონდა.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი კულტურისა და ხელოვნების შესახებ., 1957 წ., გვ. 122.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 17. გვ. 127.

ვ. ი. ლენინს სამოციანელთა იდეოლოგიის ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნდა საგლეხო რეფორმისა და მისი უშუალო შედეგების მკაცრი კრიტიკა[1]. საგულისხმოა, რომ სამოციანელთა „მემკვიდრეობის შესაფასებლად ვ. ი. ლენინმა განიხილა სკალდინის პუბლიცისტური ნარკვევები, რომლებიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1870 წელს, იმ დროს, როცა „კრებულის“ გამოცემა დაიწყო. „დროება“, განსაკუთრებით კი, „კრებულის“ პუბლიცისტიკა ამ მნიშვნელოვან საკითხზე ქართველ სამოციანელთა პოზიციის გარკვევის საკმაო შესაძლებლობას იძლევა.

უწინარეს ყოვლისა, ისინი ასაბუთებდნენ, რომ „რეფორმა“ იმპერატორის მოწყალებას კი არ წარმოადგენდა, არამედ განვითარების კანონზომიერებით იყო გამოწვეული და ბატონყმობის უღელქვეშ ტანჯულ გლეხთა აჯანყებებმა დააჩქარა. „კრებულის“ პუბლიცისტებს კარგად ესმოდათ, რომ თვითმპყრობელობა მემამულეთა ინტერესებით ხელმძღვანელობდა, რომ მას არ სურდა და არც შეეძლო გლეხთა ჭეშმარიტი განთავისუფლება.

გლეხობის ეკონომიურ გაჩანაგებაზე, სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბატონყმობის ნაშთების არსებობაზე წერენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. ნათაძე.

„კრებულის“ — პუბლიცისტიკა გვიჩვენებს, რომ მოწინავე ახალგაზრდობის წინაშე „რეფორმის“ შემდეგ წინანდელზე მწვავედ დაისვა გლეხთა მდგომარეობის საკითხი. წერილში — „ჩვენი ახალგაზრდობა“, ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს, რომ ბატონყმური დამოკიდებულება, არსებითად, შენარჩუნებულია და ზოგიერთი „განათლებული“ ცრუ მოქადაგეც კი არ თმობს თავის პრივილეგიებს.

ჟურნალი მკაცრად უპირისპირებდა ერთმანეთს თავადაზნაურობასა და ხალხს, ამხელდა მემამულეთა წოდებრივ ფანატიზმს, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი მათ გულგრილობას, სიზარმაცეს, მუქთახორობას, ეგოისტურ პრივილეგიათა შენარჩუნებისათვის ბრძოლას.

„ამ წოდების ოდენა უზნეობა და ქვეყნის გამცემლობა არც

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი კულტურისა და ხელოვნების შესახებ 1957 წ., გვ. 52—54.

ერთს წოდებას არ მიუძღვის. ერთ მხარეზე ესენი იყვნენ, მეორეზე — „შრომელი ხალხი". იმას წამხდარი აქვს ზნე, ხასიათი. უსაქმურია, ზარმაცია, სახელგატეხილია. ხალხი კანმრთელია. „მომავალიც ამ კანით ღონიერ ხალხზე ტრიალებს... ბურთი და მოედანი იმათ დარჩება".[1]

როცა პ. უმიკაშვილისა და ი. ნათაძის ფელეტონებში აღწერილ სოფლის სურათებს ვეცნობით, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ბატონყმობა კიდევ კიდევ ხელუხლებელია. ბრიყვი თავადები, რომლებსაც ეჩვენებათ, გლეხები ძალიან გაგვითამაშდნენო, კოზით სცემენ მათ.[2]

„კრებულის" პუბლიცისტიკაში ასახული „განთავისუფლებულ" გლეხთა ცხოვრება თითქმის არაფრით განსხვავდება ბატონყმობის დროინდელი სურათებისაგან; სრული სიცხადით ჩანს, რომ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ხოლო გლეხთა ხმამაღალი ჩივილი იმის მაუწყებელია, რომ „რეფორმას" მათი სოციალური ინსტიქტი უფრო გაუმახვილებია. ამით უნდა აიხსნას, რომ 70-იანი წლების დასაწყისში არნახული პოპულარობა მოიპოვა „არსენას ლექსმა", რომელშიც ხალხმა ნათელი მომავლის იმედი შეიგრძნო. „კრებულის" პუბლიცისტებმაც არსენა თანამედროვეობის გმირად გამოაცხადეს, მიზანი, რომლისთვისაც ის იბრძოდა, კერეთ აღუსრულებელ მიზნად აღიარეს. „არსენა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ კაცათა ჰგონიათ და სხვა არაფრათა. — წერდა პ. უმიკაშვილი. — მაგრამ კარგათ რომ დავაკვირდეთ, ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ... არსენაში გამოითქვა ბუნებითი ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც არ უნდა იყოს ეს ძალა... ვინა შრომობს გლეხკაცზე მეტსა. ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლეხკაცს?.. მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რა!.. ვისაც ხალხი უყვარს და თავის სიყვარულს საქმეებით აჩენს, იმას როგორ არ შეიყვარებს ხალხი!.. ხალხს შორეულ, უცხო სიცოცხლედ არ

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ამ დროის მოძრაობა", „კრებული", 1873, № 3.

[2] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ნობათი, „კრებული", 1873, № 10; ი. ნათაძე (ალეველი) „მგზავრის შენიშვნები", „კრებული", 1872 წ., № 7.

მიაჩნია არსენას სიცოცხლე, და იმისი აზრები ძალიან არა ჰგვრდება არსენას აზრებსა... არსენას ცხოვრება ხალხის შემაგულიანებელი სიცოცხლე იყო და ხალხის ცხოვრების გამომთქმელია... (რადგან) ამ ცხოვრების გარემოება არ იცვლება (ხაზი ჩვენია. ა. კ.); ძნელია ამგვარი მკაცრი და სასტიკი ცხოვრება". [1]

„კრებულის" პუბლიცისტები ცხადყოფდნენ, რომ მეფის „მანიფესტმა" ვერ განკურნა მშრომელთა სოციალური ტკივილები, ხალხი ახალი წინააღმდეგობებისა და განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა; მაგრამ, ისინი მამხილებლის როლით არ დაკმაყოფილებულან, შეეცადნენ კიდეც, გაეანალიზებიათ რეფორმის შედეგად შექმნილი მდგომარეობა, ამოეცნოთ განვითარების ტენდენცია და უახლოესი პერსპექტივებიც დაესახათ.

შემდგომი გზების განსაზღვრა ისტორიული ამოცანა იყო და, შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმის განვითარების აღიარებით, „კრებულის" პუბლიცისტებმა ეს ამოცანა სწორად გაიგეს. „სიმართლეა ის, — წერდა ვ. ი. ლენინი 1911 წელს, — რომ რუსეთში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის უახლოესი ამოცანების თვალსაზრისით, 1861—1905 წლების პერიოდისათვის (და ჩვენი დროისათვისაც), თუ „ერთადერთ მნიშვნელოვან" არა, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა საკითხი: თუ „როგორ ჩამოყალიბდება" ეს წყობილება, ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც მეტად სხვადასხვაგვარ ფორმებს ღებულობს ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში, საფრანგეთში და სხვაგან". [2]

„კრებულის" პუბლიცისტიკის ძირითად საგანს, უმთავრეს თემას სწორედ იმის გამორკვევა შეადგენდა, თუ „როგორ ჩამოყალიბდება" ეს წყობილება, ბურჟუაზიული წყობილება საქართველოში.

ნ. ნიკოლაძის საპროგრამო სტატიას „კრებულის" დანიშნულებაზედ", იმის დაუცხრომელი კვლევა ამოძრავებს, თუ „რა გზით უფრო სასარგებლოთ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შეძენა, ერთი სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირად

[1] ა. ც ი ც ი ა ნ ი ძ ე. „არსენა", „კრებული", 1872 წ., № 7.

[2] ლ ე ნ ი ნ ი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957 წ., გვ. 122.

უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევებში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართველობა და რა გაწყობილება გამოსადეგია ამ საქმეებში".

გ. წერეთლის, თითქმის, ყველა პუბლიცისტური წერილი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო განვითარების საკითხს ეძღვნება, იძლევა რა 1863—1872 წლების სოციალური მოვლენების ანალიზს, გ. წერეთელი დაასკვნის, რომ მომავალი ვაჭრობა-მრეწველობას ეკუთვნის და თავად-აზნაურობა, რომელიც ფულს ბანქოში ფლანგავს, დასაღუპავადაა განწირული.[1]

გ. წერეთელი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ სავაჭრო-სამრეწველო განვითარება აწმყოს ძირითადი ტენდენციაა, და მისგან თავის დაღწევა, შინაური კარების გამოკეტვა წარმოუდგენელია და ამას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ფოთის რკინიგზამ, რომლის გაყვანის ნებართვა ჩვენთვის არავის უთხოვნია, სარგებლობის ნაცვლად, ზარალი მოგვაყენა, ჩალვადრები უსაქმოდ დაყარა, საზღვარგარეთის იაფმა საქონელმა ჩვენსას მაზანდა დაუცა და „გაყიდვის მაგიერათ, ღორებს შეავაჭამეთ", „... გამოჩნდა, რომ რკინიგზა ყოფილა გამართული იმ განათლებული ხალხებისათვის, რომელთაც ნამუშევრისა და სხვა ნაწარმის უმრავლესობა აწუხებდათ... რკინიგზა გაკეთებულია ფულიან კაცებისა და ყოველნაირ ხელობაში გაწვრთნილი კაცებისათვის".[2]

ერთი წლის შემდეგ, გ. წერეთელი უკვე აღტაცებით აღნიშნავდა, რომ რკინიგზამ ყველაფერი შეატრიალა, რომ გურულებს კურტანი აუკიდნიათ, რომ მეგრელები და იმერლები სავაჭროდ შორს წასულან და რომ, ყველაფერი ეს ხდება „საქართველოს საკეთილდღეოდ".[3]

ვაჭრობა, ფული, რკინიგზა „კრებულის" პუბლიცისტებს სამრეწველო განვითარების პირობად მიაჩნიათ, უმთავრესი კი

---

[1] გ. წერეთელი — „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა", „კრებული", 1872 წ., № 7.

[2] გ. წერეთელი, „საამხანაგო ბანკები", „კრებული", 1872 წ., № 8—9.

[3] გ. წერეთელი, „ამ დროის მოძრაობა", „კრებული", 1873 წ., № 3.

შათთვის სწორედ საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაა. გ. წერეთელი ნიადაგ იმ აზრს ქადაგებს თავის წერილებში, რომ სამრეწველო-ტექნიკურ ჩამორჩენილობას შეუძლია ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს, ევროპის მოჯამაგირედ გადააქციოს.[1]

ნ. ნიკოლაძის ნარკვევში—„სხვათა შორის", ფაბრიკანტი და მისი თანამგზავრები ფართოდ მსჯელობენ მრეწველობის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე; პუბლიცისტი ციფრობრივი მასალით უჩვენებს მკითხველს, თუ რა სწრაფად აღწევენ ამ ასპარეზზე წარმატებას მოხერხებული, ინიციატივიანი ადამიანები, რა უპირატესობანი გააჩნია კაპიტალისტურ წარმოებას ფეოდალურ მეურნეობასთან შედარებით.

„კრებულის" პუბლიცისტური წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ადამიანთა სამეურნეო ინტერესებმა და ცნობისმოყვარეობამ დედამიწის ზედაპირიდან მიწის წიაღში გადაინაცვლა, ქვანახშირისა და ნავთის მაძიებლები მთა და ბარს შეესივნენ. ხრიოკ ადგილს ფასი დაედო, შავი ქვა პატიოსან თვლებს გაუტოლდა. პუბლიცისტები პოეტური შთაგონებით წერენ ახალ საბადოებსა და სამრეწველო წამოწყებებზე. მათ წერილებში აქამდე უცნაური სათაურები ჩნდება: „ნახშირის სენი", „მადნეული სენი", „გიჟები მადნის ძიებით" და ა. შ. არკვევს რა ტყიბულის ქვანახშირის მნიშვნელობას, გ. წერეთელი შენიშნავს, რომ ეს „ურგები" ადგილი, რომელსაც ორიოდე წლის წინ ზედაც არავინ უყურებდა, ახლა ასიათასობით მანეთად იყიდება. ავტორის ირონია ამ ფელეტონში იმ თანამემამულეთა წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც იოლ გამდიდრებაზე ოცნებობენ და „ნაცვლად ნაყოფიერი შრომის დაწყებისა". უცხოელებს კიტრის ფასად აძლევენ მადნეულით სავსე ადგილებს.[2]

„კრებულის" პუბლიცისტებს მტკიცედ სწამთ, რომ ბურჟუაზიულ გზას მოჰყვება წარმოების განვითარება, ტექნიკის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „საამხანაგო ბანკები", „კრებული", 1872 წ., № 8—9.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ამ დროის ვითარება", „კრებული", 1872 წ., № 10—12.

ალმავლობა, სიმდიდრეთა დაგროვება, მეცნიერების წინსვლა, მაგრამ მათი ნაწერების ანალიზი, უდავოდ გვიჩვენებს, რომ ევროპის ბურჟუაზიული წყობილება ჩვენი პუბლიცისტების იდეალს არ წარმოადგენდა, როგორც ადგილობრივი, ისე ევროპის სოციალური ცხოვრების ეკონომიურ-პოლიტიკური მიმოხილვით, ისინი მკაფიოდ უჩვენებენ მკითხველს, რომ კაპიტალიზმის დროს ქონებრივი უთანასწორობა ღრმავდება, კლასობრივი წინააღმდეგობა მწვავდება, სიღატაკე და შევიწროება ახალ ფორმებს იღებს. ობიექტურად, კაპიტალიზმისადმი, ბურჟუაზიული დასავლეთისადმი მათს დამოკიდებულებაში ვლინდება მშრომელთა, ხალხის, კერძოდ, გლეხობის სულისკვეთება, განწყობილება. ისინი შეგნებულად ებრძვიან კაპიტალისტური წყობილების აპოლოგიას, იხედებიან უფრო შორს, მის მიღმა, მაგრამ ეს შორეული მეტისმეტად ბუნდოვნად და ზოგად კონტურებში ესახებათ.

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, დ. ერისთავი, დ. ჩხოტუა, ი. ნათაძე და სხვ. სიმდიდრის დაგროვებას თავისთავად არ თვლიან ხალხის ბედნიერების გარანტიად. ისინი იქვე სვამენ მომდევნო კითხვას: როგორ არის ეს სიმდიდრე განაწილებული საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის? „ქონება და მოხმარება ერთი და იგივე საქმე როდია. — ამბობს ნ. ნიკოლაძე. — შეიძლება, რომ... რომელიმე ქვეყანაში საკმაოდ საზრდო და სიმდიდრე იყოს, და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს, უთავბოლო ან უხეირო გაწყობილების გამო“.[1]

აღნიშნულ სტატიაში, ალბათ, საცენზურო პირობების გამო, ავტორმა ვერ მოახერხა წამოყენებული დებულების სწორად გაღრმავება, მაგრამ შემდეგ წერილებში, როგორც მან, ისე დანარჩენმა პუბლიცისტებმა, საკმაო სიცხადით გადაუშალეს მკითხველს კაპიტალიზმის დროს სოციალური უთანასწორობისა და კლასობრივი ჩაგვრის სურათი.[2]

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

[2] პ. უმიკაშვილი, „ნობათი“ „კრებული“, 1873 წ., № 10.

ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტიხალხურ ხასიათს „კრებული“ პუბლიცისტები ნათელყოფენ ინგლისის, გერმანიისა და, განსაკუთრებით, საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მაგალითებითა და ანალიზით. უდავოდ, ამ მიზნით, სტატიებში: „ახალი საფრანგეთი“, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „შვილი XIX საუკუნისა“, „სხვათა შორის“, „ანრი როშფორი“, — ნ. ნიკოლაძემ მოგვცა საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების, ბურჟუაზიული რევოლუციების, — XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე პარიზის კომუნამდე, — გაშლილი და ამომწურავი დახასიათება. ამ წერილებში აქცენტირებულია ბურჟუაზიის ანგარება, მშრომელთა ინტერესების საპირისპიროდ, ფეოდალურ არისტოკრატიასთან მისი კავშირი. ამ ნიშნებს იგი ხედავს როგორც 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ისე ნაპოლეონ მესამის ბატონობის ხანაში პრუსიასთან ომისა და პარიზის კომუნის დროს. იძლევა რა 1789 წლის რევოლუციის შეფასებას, ნ. ნიკოლაძე წერს: „რევოლუციამ ხალხს პირადი უფლებები და თანასწორობა მიანიჭა დანარჩენ წოდებებთან, მაგრამ სიღარიბე და მძიმე შრომის გამოუდეგრობა... ამ ხალხს უთანასწორობას აგრძნობინებდა და უმჯობესი ბედის სურვილს აღუძრავდა“.[1]

ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრებაზე დაკვირვებას ქართველი პუბლიცისტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ეკონომიური ბატონობა პოლიტიკური ბატონობის საფუძველს წარმოადგენს. „კანონმდებლობა საერთოდ და კერძოდ — ძალიან ემორჩილება მჭონებელ კლასებს და ძალიან დაუნდობელია უქონელთადმი“.[2]

კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი მკაცრად აკრიტიკებენ იმ ბურჟუაზიულ თეორიებს, რომლებიც სოციალური გაჭირვების მიზეზად ბუნების მოვლენებსა და სხვა შემთხვევით ფაქტორებს აცხადებდნენ. კერძოდ, მათ წერი-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

2 „კრებული“, 1873 წ., № 8.

ლებში ძირფესვიანად განქიქებულია ყბადაღებული ჭარბი მოსახლეობის თეორია. [1]

კირ. ლორთქიფანიძე მკითხველს აფრთხილებს, ამერიკისა და ინგლისის მოჩვენებითმა ფუფუნებამ შეცდომაში არ შეგიყვანოსო. ეს ფუფუნება გარეგნულია და თვით ცხოვრებას რომ ჩაუკვირდეთ, შეამჩნევთ, რომ „შრომის კანონი“ იქაც ირღვევაო. ერთნი განცხრომით ცხოვრობენ, მაგრამ „იმათ გვერდში ჰსდგას მრავალი შემაძრწუნებელ სიღარიბეში ჩავარდნილი კაცი, რომლებიც იხოცებიან უცების ან ნელ-ნელა შიმშილით“.

„კრებული“ სოციალური ურთიერთობის თვალთახედვით აშუქებს კაცობრიობის ისტორიის ძირეულ მოვლენებს და მკითხველი გრძნობს, რომ ეს ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. ამ აზრითაა გამსჭვალული ნ. ნიკოლაძის „ახალი საფრანგეთი“, ნ. ცხვედაძის — „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავის მიზეზებით XVI საუკუნეში“. პ. უმიკაშვილის „იოსებ მაძინი“, დავით ჩხოტუას „იოანე გუსი“ და სხვა სტატიები.

პუბლიცისტებს მრავალი მაგალითი მოაქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ გადამწყვეტ მომენტებში ბურჟუაზია თავადაზნაურობასთან ერთად გამოდიოდა ხალხის წინააღმდეგ. ეხებიან რა იტალიის, ინგლისის, ჩეხეთის, საფრანგეთის, გერმანიის საზოგადოებრივ მოძრაობას სხვადასხვა პერიოდში, ისინი ყველგან გამოჰყოფენ ორ ნაკადს — ხალხურს და ბურჟუაზიულლიბერალურს, რომელიც მუდამ კომპრომისითა და ღალატით ამთავრებს წამოწყებულ საქმეს. „კაცობრიობის ცხოვრებაში შენიშნულია, რომ ყოველთვინ იმას უფრო მეტად აქვს კეთილშობილური აზრები, რომელსაც სჩაგრავენ, მინამ იმას, ვინც სხვას სჩაგრავს“.

სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს „კრებულის“ პუბლიცისტები კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციების შედეგად აცხადებდნენ. ესეც ერთ-ერთი ნიშანია, რომ „კრებულის“ პუბლიცისტები უარყოფდნენ კაპი-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „კრებულის“ დანიშნულებაზედ, „კრებული“, 1871 წ., № 2., კირ. ლორთქიფანიძე „საზრდო...“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

ტალიზმის განვითარების ლიბერალურ-მემამულურ გზას და გლეხურ-დემოკრატიულ გზას აღიარებდნენ.[1]

მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ „კრებულის" (აგრეთვე „დროების") პუბლიცისტებს ჰქონდათ მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეური მოძღვრება, ეპოქის მიერ წამოჭრილი მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტის კონკრეტული პროგრამა? არა! როგორც „კრებულში" გამოქვეყნებული, ისე მათი სხვა იმდროინდელი ნაწერების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მათ არ გააჩნდათ თანმიმდევრული მსოფლმხედველობრივი კურსი, შორსმწვდომი გეგმა, ლოგიკური და პერსპექტიული თვალთახედვა. ისინი გარდატეხისა და იდეური ძიების ხანაში მოღვაწეობდნენ, ზოგად დემოკრატიულ მოთხოვნათა მხურვალე დამცველებად გამოდიოდნენ, ხალხის საყოველთაო ბედნიერებაზე ოცნებობდნენ და თავიანთი ფართო ჰუმანისტური მისწრაფებების შესაბამისად, სწრაფად ამოძრავებული ცხოვრების მიერ წამოჭრილ სულ ახალი და ახალი კითხვების პასუხს ხან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებაში პოულობდნენ (უმთავრესად), ან ევროპის ძველ და ახალ უტოპისტთა და სოციოლოგთა ნაწერებში. ეს იყო გულწრფელი, ქვეყნისა და ხალხის ჰეშმარიტი ინტერესებით შთაგონებული იდეური ძიება.

სხვათა შორის, ამით უნდა აიხსნას, რომ ნ. ნიკოლაძის საპროგრამო წერილები: „კრებულის" დანიშნულებაზედ", „ახალი ახალგაზრდობა", მოკლებულია პოლიტიკურ კონკრეტულობასა და მკაფიობას, თუმცა, ავტორს კარგად ესმის, რომ არსებულის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე თავის თავად მოითხოვს „საკუთარი სამაგიერო გაწყობილებისა და მოსაზრების წარმოდგენას".

სოციალურ ურთიერთობათა საკითხზე მათი მსჯელობა ზოგად დემოკრატიულ ხასიათს ატარებს; „კრებულის" მიზნად ნ. ნიკოლაძემ „საზოგადოების ბედნიერება" გამოაცხადა. ასეთ ბედნიერებად მას მიაჩნია, რომ „ყოველ კერძო პირს, საზო-

---

[1] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX в. Кн. I. стр. 299.

გადოების წევრს, მისი სხეულის და გონების ძალა რაც შეიძლება სრულად გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება მიეცეს". საყურადღებოა ისიც, რომ, მისი აზრით, „საყოველთაო ბედნიერების მიღწევა სავსებით შესაძლებელია" და „კაცობრიობა ერთს დროს ისეთ ნაირად გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთად არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისადაგვარად, ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ, ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას".

აქ, უდავოდ, ლაღად გადმოცემულ სოციალისტურ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ვინაიდან პუბლიცისტი მიზნის განხორციელების გზებსა და საშუალებებზე თითქმის, არაფერს ლაპარაკობს, მის ლამაზ სურვილებს უტოპიური ხასიათი აქვს, განურჩევლად იმისა, ემყარებოდა თუ არა ის უტოპიური სოციალიზმის თეორიას. მაგრამ, ამ სახითაც კი, მსგავს შეხედულებებს, უეჭველად, დიდი გამათვითცნობიერებელი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დემოკრატიული იდეალების წარმოსახვა, ნიადაგს უმზადებდა ჩვენში სოციალისტური აზროვნების აღმავლობას, მეცნიერულ სოციალიზმს.

„კრებულის" პუბლიცისტიკა აღსავსეა სოციალური პროგრესის სულისკვეთებით, საზოგადოებრივ ბოროტებაზე სიმართლის გამარჯვების რწმენით, ხალხის ძლევამოსილობის პათოსით. კაცობრიობის ბედ-იღბალს ხალხი გადაწყვეტს. ყველა წერილში ვგრძნობთ, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალა ხალხია და, გმირი ის არის, ვინც ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს და ის გაიმარჯვებს, ვინც ხალხის ინტერესებს იცავს. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სოციალური მოძრაობის დახასიათებისას, ნ. ცხვედაძე, პ. უმიკაშვილი, ნ. ნიკოლაძე, დ. ჩხოტუა დამრცხების უმთავრეს მიზეზად ნიადაგ იმას აცხადებენ, რომ მოძრაობებმა „ვერ შესძლეს ხალხის სურვილი პირდაპირ გამოეხატათ". ამასთან, ხალხი ამ ნაწერებში მუდამ გაიგივებულია მშრომელებთან, დაჩაგრულებთან. ავტორები წამდაუწუმ იმ აზრს უნერგავენ მკითხველს, რომ „მეფეებისა და მღვდლებისა

კი არ უნდა იყოს ქვეყანა, არამედ ხალხისა... ხალხმა უნდა გაიაროს თავისი საქმე, თავისი ცხოვრება".[1]

„კრებულის" პუბლიცისტიკა დიდი დამაჯერებლობით ამხელდა სქოლასტიკურ აზროვნებას, სოციალური ცხოვრების მოვლენებზე რელიგიურ ცრურწმენას, განათლების, აღზრდის კლასობრივ ხასიათს.

ხალხის ინტერესებისათვის თავდადება ამ ნაწერებში ადამიანის ყველაზე წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად და ზნეობის ეპირველეს ღირსებადაა გამოცხადებული. მხოლოდ საერთო საქმისათვის თავგანწირული ადამიანები ამშვენიერებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. ადამიანები „საზოგადო საქმისათვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნისათვის უნდა კვდებოდნენ" (ნ. ნიკოლაძე).

არავითარ ეჭვს არ იწვევს და ამ საკითხს შეგვიძლია ვრცლად არც შევეხოთ, რომ „კრებულის" პუბლიცისტები გადაჭრით ილაშქრებდნენ მონარქიის, აბსოლუტიზმისა და ყოველგვარი დესპოტური ხელისუფლების წინააღმდეგ, რესპუბლიკური წყობილების მხურვალე დამცველებად გამოდიოდნენ. არსებითად, ეს იდეა უდევს საფუძვლად ნ. ნიკოლაძის სტატიებს: „ახალი საფრანგეთი", „ნაპოლეონ III", „თანამედროვე მწერლობა", — პ. უმიკაშვილის — „იოსებ მაძინი", ნიკ. ცხვედაძის — „XVI საუკუნე". ნიღაბს ხდის რა ლუი ბონაპარტეს ავაზაკურ პოლიტიკას, ნ. ნიკოლაძე დაასკვნის: „დიდად სამწუხარო და საშიში საქმეა საზოგადო ბედისა და მომავლის ერთი კაცისათვის მინდობა. მისი ტვინით ცხოვრება, მის უკან სდევნა".

ხალხი თვითონვე უნდა განაგებდეს თავის საქმეებს, რისთვისაც ის ფართო საარჩევნო უფლებებით უნდა სარგებლობდეს და აღმასრულებელი ხელისუფლება მის წინაშე პასუხს აგებდეს.

იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბარი პ. უმიკაშვილს საშუალებას აძლევს, მკაფიოდ გამოხატოს თავისი დემოკრატიულ-რესპუბლიკური შეხედულებანი, დაგ-

---

[1] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „იოსებ მაძინი", „კრებული", 1872 წ., № 8—9.

მოს მონარქია, როგორც ხალხის უბოროტესი მტერი და წარმოუსახოს მკითხველს პროგრესული საზოგადოებრივი წყობილების იდეალი. სახელმწიფო წყობილება „რესპუბლიკური იმიტომ უნდა იყოს. — ვკითხულობთ მის წერილში. — რომ ყოველნი კაცნი... კანონით უნდა იყვნენ თავისუფალნი და თანასწორნი. მხოლოდ რესპუბლიკური წესები აძლევენ კაცს ამ მომავალსა, რადგანაც უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით ხალხსა... პოლიტიკურის, მოქალაქობრივის, სისხლის სამართლის ერთობის უქონლად, აღზრდისა და ამორჩევის უფლების ერთობის უქონლად... წინსვლა შეუძლებელია".

საინტერესოა, რომ სტატიაში — „ერობა" ნ. ნიკოლაძემ სხვა კუთხეც გამოძებნა ამ მიუდგომელი ციხე-სიმაგრის საიერიშოდ. ავტორს სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს ეს კუდშეკვეცილი „ერობა", მაგრამ თუ მაინც და მაინც მასზე წერს, მხოლოდ იმიტომ, რომ მასში რესპუბლიკური დაწყობილობის მარცვალს ხედავს, „ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი და სანდომი არიან. — გადაკრულად შენიშნავს ის. — ...მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის... ყველაზე უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავალევინებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის, და ეს გარემოება, მარტო ეს, — ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ! — გვამაღლებს კაცობის ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას" (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

მაღალ სოციალურ იდეალებთან ერთად, „კრებული" მათი განხორციელებისათვის საჭირო მორალური თვისებების გამოშუშავებასაც ხელს უწყობდა; იგი ქადაგებდა საბრძოლო დისციპლინას, საქმისადმი ერთგულებას, სიტყვასა და მოქმედების ერთიანობას, უანგარობას, ხასიათის სიმტკიცეს. პუბლიცისტები დიადი საქმეებისათვის წამებულ ადამიანთა სახეებისაკენ მიაპყრობენ მკითხველის ყურადღებას, მათი მაგალითით სურთ საზოგადოების აღზრდა. მხოლოდ ერთი სიტყვით რომ მოგვ-

თხოვოხ „კრებულის“ პუბლიცისტიკის არსის გადმოცემა, ეს სიტყვა თავისუფლება იქნებოდა. განთავისუფლებისაკენ სწრაფვითაა გაშუქებული ყველა წერილი, ყოველი სტრიქონი.

მიუხედავად იმისა, რომ „კრებულში“ აქა-იქ გვხვდება ევროპელ სოციოლოგთა სახელები და ციტატები (შლოსერი, ბოლეშოტი, ლუი ბლანი, პრუდონი, გერვინიუსი, ციმერმანი, სპენსერი, დრეპერი, მილი, შულცე-დელიჩი, ლასალი და სხვ.), როგორც აღვნიშნეთ, ამას პირდაპირი კავშირი არ აქვს ამ ჟურნალის თანამშრომელთა მსოფლმხედველობასთან. ისინი ან, სხვათა შორის არიან დასახელებული, ან გაკრიტიკებული არიან. ან კიდევ დამოწმებული არიან რომელიმე კონკრეტული საკითხის გასარკვევად. „კრებულის“ პუბლიცისტთა მსოფლმხედველობა გამომუშავებულია სოციალური სინამდვილის მოვლენებზე უშუალო დაკვირვების შედეგად და მას ასაზრდოებს, ერთი მხრივ — რუსული და ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების ტრადიციები, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპის იმდროინდელი საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობა, რომელზედაც უკვე გავლენას ახდენდა მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება. ახალი დროის მოვლენებში „კრებულის“ პუბლიცისტები იმის ნიშანს ხედავენ, რომ მოახლოვდა ის მიზანი, რომელიც მათ გულმომაკვდინებელ სიშორეში ეჩვენებოდათ, როცა ცხოვრებაში ფეხი შედგეს.[1]

თუ ევროპაში გავრცელებული რომელიმე იდეური მოძღვრების რაიმე გვარ ზეგავლენაზე ვიღაპარაკებთ, მაშინ „კრებულის“ პუბლიცისტთა წერილების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, ასეთი გავლენა მათზე მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას მოუხდენია. ამის საბუთს იძლევა მათ მიერ ევროპის იმდროინდელ პოლიტიკურ მოვლენათა შეფასება, მალთუსის „თეორიის“ განჭიქება, ევროპაში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლებისადმი დამოკიდებულება, — საერთოდ, კაპიტალიზმის პირო-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“, 1873 წ., № 1.

ბებში ანტაგონისტური კლასების ურთიერთობის დახასიათებ.
და პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მისიის ერთგვარი
შეგრძნება.

განიხილავს რა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის
შედეგებს, ნ. ნიკოლაძე ლაპარაკობს უმუშევრობაზე, კრიზი-
სებზე, მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობაზე, კონკურენციის
შედეგად ატეხილ ომებზე, ბურჟუაზიის აღზევებაზე და რო-
ყოველივე ეს „საგანგებო ცეცხლს უკიდებდა მუშა ხალხის და-
ცემულ იმედს“. პუბლიცისტი განიხილავს იმ დროს ევროპაში
გავრცელებულ სხვადასხვა თეორიებს, თუ როგორ და რა სა-
შუალებით შეიძლება „მუშა ხალხის ფეხზე წამოყენება“ და
დაასკვნის: „თითქმის ყველა იმ საზოგადო აზრს დაადგა, რო-
მუშა ხალხის ბედს გააუმჯობესებს მარტო მისი ეკონომიური
განთავისუფლება „პატრონების დამოკიდებულებიდამ“. ავტო-
რი არ თანაუგრძნობს ასოციაციების თეორიას, არ მიაჩნია ი-
მუშათა ხსნის გზად. ბოლოს და ბოლოს, ვრცელი მიმოხილვის
შემდეგ, იგი გადმოსცემს ახალ თეორიას, რომელშიც მეცნიე-
რული სოციალიზმის სული იგრძნობა, და სრულ სიმპათიას
უცხადებს მას: „მეცნიერები ამტკიცებენ, რო-
სანამ ეხლანდელი კანონმდებლობა და ეკო-
ნომიური და პოლიტიკური გაწყობილება
თავიდამ ბოლომდე არ შეიცვლება, მანამ-
დი მუშა ხალხის ბედი... ვერ გაუმჯობეს-
დება და მისი ნამდვილი გათავისუფლება
არასგზით არ მოხდებაო. ხალხის ბედნი-
ერებისა და გათავისუფლებისათვის საჭი-
როა ცვლილებების მოხდენა არამარტო პო-
ლიტიკურ წესში, მთელ საზოგადოებრივ
გაწყობილებაშიც და კანონშიც“ (ხაზი ჩვენია
ა. კ.).

„კრებულის“ პუბლიცისტთა, ისე როგორც მთელი ჩვენი
მაშინდელი მოწინავე მოაზროვნეების ყურადღება რუსეთისა-
კენ იყო მიპყრობილი; იქიდან მოელოდნენ სულიერი და პო-
ლიტიკური მოძრაობის ახალ ნაკადს, ახალ იდეურ მიმართუ-
ლებას, რომელიც სამოციანი წლების მოძრაობაზე მაღალ-

საფებური იქნებოდა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს შესაფერ პასუხს გასცემდა. ასეთი ნაკადი მაშინ ჯერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ ჩვენი პუბლიცისტები დარწმუნებული იყვნენ და კიდეც წინასწარმეტყველებდნენ, რომ იგი უსათუოდ გამოჩნდებოდა და ჩვენს ქვეყანასაც გაიყოლიებდა. ასე გვესმის ჩვენ, კერძოდ, ნ. ნიკოლაძის მსჯელობა რუსეთის 60—70-იანი წლების იდეურ მოძრაობაზე.[1]

„კრებულის“ პუბლიცისტთა სოციალური მსოფლმხედველობის ხასიათზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებად მიგვაჩნია აგრეთვე პარიზის კომუნისადმი მათი დამოკიდებულება და ის პოლიტიკური დასკვნები, რომლებიც აქედან გამოჰქონდათ. პარიზის კომუნა მათ განიცადეს და აღიქვეს არა როგორც უცხო და შორეული რამ, არამედ როგორც საყოველთაო, საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი მოვლენა, რომელიც ყველა ხალხის, კერძოდ, ქართველი ხალხის, უახლოესი მყობადის ძირითად ტენდენციასაც გამოხატავდა. აქ საქმე გვაქვს არა გულგრილ რეპორტაჟთან და მშრალ პუბლიცისტურ ანალიზთან, არა ფილანტროპიულ თანაგრძნობასთან, არამედ მუშათა კლასობრივი ბრძოლის სისხლხორცეულ გაგებასა და უშენიშვნო მხარდაჭერასთან. გარკვეული აზრით, „კრებულის“ პუბლიცისტები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მეხი, ბ. ჯაფარიძე, ი. მეხი, დ. ჩხოტუა) ჩვენ ამ ბრძოლის უშუალო მონაწილეებადაც კი გვესახებიან.

საფრანგეთ-პრუსიის ომის ფონზე პუბლიცისტებმა ღრმა პოლიტიკურ ასპექტში გააშუქეს პარიზელ კომუნართა ისტორიული ბრძოლა. მათ ნაწერებში შთამბეჭდავადაა გადმოცემული ფრანგი მშრომელების უტეხი ნებისყოფა, სოციალური სამართლიანობისათვის თავდადება, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთდროული ამბედრება, პრუსიელთაგან საშიშროს დასაცავად, უწინარეს ყოვლისა, თვით ქვეყნის შიგნით რეაქციის დაძლევის აუცილებლობის შეგნება.

ქართველ პუბლიცისტთა სტატიები დაწერილია უჩვეულო

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „რუსეთის ცხოვრება“, „კრებული“, 1873 წ., № 5—6.

მღელვარებით; აქ ერთმანეთს ცვლის რეპორტაჟი და მხატვრული აღწერა, ანალიზი და წინასწარგანჭვრეტა. შეუძლებელია საგანგებო გულისყურით არ მოვეკიდოთ ჩვენი პუბლიცისტიკის ამ საამაყო ფურცლებს, რომლებიც ეპოდენ თანაღროულად ჟღერს, რომლებსაც ასე თბილად შემოუნახავს ქართველი მოწინავე ინტელიგენციის გულისძგერა პარიზის კომუნის დღეებში, რომლებშიც ასე სისხლხორცეულადაა გაერთიანებული ეროვნული და საკაცობრიო ინტერესები.

გაკვრით თუ საფუძვლიანად, პარიზის კომუნას „კრებულის“ თითქმის, ყველა პუბლიცისტი შეეხო, მაგრამ უშუალო შთაბეჭდილებათა საფუძველზე დამყარებული ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ანალიზით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნ. ნიკოლაძის თხზულებებს: „სხვათა შორის“, „ნაპოლეონ III“ და „თანამედროვე მწერლობა“, — აგრეთვე დავით ერისთავის ნარკვევს „წყლებზე“.

ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“ დაწერილია პარიზში, სადაც პუბლიცისტი კომუნის დამარცხებიდან ერთი წლის შემდეგ მივიდა, მას, როგორც წმიდათაწმიდა სახსოვარი, ისე შემოუვლია კომუნართა ბრძოლასთან დაკავშირებული მემორიალური ადგილები, უსაუბრნია კომუნის გამოჩენილ მეთაურებთან, მუშა კომუნარებთან, ჟურნალისტებთან, გასცნობია მთელ იმდროინდელ პრესას და, ყოველივე ამის შედეგად, ნათელი აზრი შეუმუშავებია კომუნის წარმოშობის მიზეზებზე, პოლიტიკურ ხასიათზე, დამარცხების მიზეზებსა და კომუნის საკაცობრიო მნიშვნელობაზე. მისი წერილიდან მკითხველს თვალწინ უდგება მუშათა გმირული, კლასობრივი ბრძოლის სურათები.

კომუნის მიზნებისა და ამოცანების ღრმა გაგება იგრძნობა ლუი ბლანთან საუბარში. ქართველი პუბლიცისტი მეშვარცხენპოზიციიდან აკრიტიკებს ლუი ბლანსა და მის პარტიას; ივსცხარედ ეკამათება გამოჩენილ ფრანგ სოციალისტს, მერყეობასა და არათანმიმდევრობას უკიჟინებს მას. კომუნას მუშათ კლასობრივი მოთხოვნილებანი უნდა განეხორციელებია დ ბურჟუაზია დაეთრგუნაო, ეუბნება. „მე ის კი შევნიშნე რომ არც ნამეტანი თქვენს პარტიას უქნია ამ ხალხის გულ-

მოსაგებად. გამბეტას იდეალი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელშიაც ხალხს თავისუფლება ეძლევა — როგორც უნდა, ისე უშველოს თავს და თუ ვერა მოახერხა რა, შიმშილით მოკვდეს... უმჯობესი თქვენი პარტიის წევრები, რომლებიც მის ნამდვილ ძალას... შეადგენდნენ, დახვრიტეს... მოძრავი, აღტაცი მუშა ხალხის უმჯობესი ნაწილი ამოჟლიტეს...“

ნ. ნიკოლაძის წერილი საყურადღებო შენიშვნებს შეიცავს კომუნის სტრატეგიისა და ტაქტიკის ცალკეულ საკითხებზე. ჯერ ლუი ბლანთან, ხოლო შემდეგ, გაზეთ „რადიკალის“ მთავარ რედაქტორ გიოსთან კამათში, ქართველი პუბლიცისტი გადამწყვეტ როლს ანიჭებს მოსამზადებელ მუშაობას, პარტიულ დარაზმულობას, კონსპირაციას, ხელისუფლებისათვის მოულოდნელ ორგანიზებულ გამოსვლას, მტრის პროვაკაციულ განზრახვათა გამოცნობას, მუშათა მებრძოლი ბირთვის გადამწყვეტი იერიშისათვის შენარჩუნებას, „პარტიულ დისციპლინას“, „საერთო მიზანსა“ და „პირდაპირ მოქმედებას“.

პარიზის კომუნაზე „კრებულში“ დაბეჭდილ მასალებს რომ ვეცნობით, გაკვირვება გვიპყრობს: აქ ხომ ჩვენი თანამედროვე თვალსაზრისია გამოხატული, მათში ხომ სწორადაა შეფასებული კომუნართა ბრძოლის კლასობრივი ხასიათი და ყველა ხალხის სოციალური მოძრაობისათვის ამ გაკვეთილის მნიშვნელობა! ეს უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენი პუბლიცისტები იმ დროს რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე ხაზზე იდგნენ. უეჭველია, რომ პარიზის კომუნამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მაშინდელ ქართულ სოციალურ აზროვნებაზე და მაშ მხატვრულ ლიტერატურაშიც ჰპოვა მძლავრი გამოძახილი (ი. ჭავჭავაძის „პარიზის კომუნის დაცემის დღე“, „აჩრდილი“, ანტ. ფურცელაძის — „ვაი მართალთა“ და სხვ.).

აშკარაა, რომ სოციალურ საკითხებზე თავისუფალი მსჯელობა შეუძლებელი იყო, ბევრი რამ, უთუოდ, ჭარაგმულადაა გადმოცემული. მაგრამ, ისიც რის გამოხატვა „კრებულის“ პუბლიცისტებმა მოახერხეს, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მათ მსოფლმხედველობაზე. ჩვენს ქვეყანაში ისინი თავიანთი დროის მოწინავე იდეალთა მოციქულები იყვნენ, ხოლო, პრინციპული არსით, მშრომელთა საერთაშორისო სოცია-

ლური მოძრაობის ნიადაგზე აღმოცენებული ეს იდეალები ღვიძლი და მახლობელი იყო, როგორც რუსეთის, ისე ყველა ქვეყნის ხალხისათვის, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახალი ეპოქა სულ უფრო მეტად აახლოვებდა და ანათესავებდა ხალხთა სოციალურ ინტერესებსა და მისწრაფებებს. დროის კვალობაზე, ჟურნალი მშრომელი ხალხის იდეებს გამოხატავდა, მის სოციალურ განწყობილებებსა და მისწრაფებებს ასახავდა, საერთოდ ერთგული იყო გ. წერეთლის განცხადებისა: „მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა, აი, ერთი დიდათ საინუგეშო ნიშანი ამ დროებისა. მაშ, გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავე მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული“.

„კრებულში“ (აგრეთვე, „დროებასა“, „მნათობსა“ და „საპოფლო გაზეთში“) ხშირად ქვეყნდებოდა წერილები საბანკო საქმესა და კოოპერირებაზე. ამ საკითხებს მაშინ ევროპულ და რუსულ პუბლიცისტიკაშიც დიდი ადგილი ეკავა.

ჩვენში ბანკის საკითხი აქტუალურად საგლეხო რეფორმის წინ წამოჭრა, დიმიტრი ყიფიანმა, როგორც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა, საგანგებოდ ურჩია ამ წოდებას, რომ თანხის ნაწილი, რომელსაც მთავრობა ყმების განთავისუფლების საკომპენსაციოდ უხდიდა მას, სათავად-აზნაურო ბანკის დასაფუძნებლად გადაედო. მისი მტკიცებით, ეს ღონისძიება მემამულეებს საშუალებას მისცემდა, თავი დაეცვათ ბურჟუაზიის ეკონომიური შემოტევისაგან, შეენარჩუნებიათ და განევითარებიათ მეურნეობა, არ შემოჰფლანგოდათ მიღებული ფული, თანდათან შეთვისებოდნენ ახალ საზოგადოებრივ ვითარებას. მაგრამ, აზრთა სხვადასხვაობისა და ორგანიზაციული მიზეზების გამო, საქმე გაჭიანურდა; 70-იანი წლების დასაწყისიდან, „საბანკო მოძრაობას“ ახალთაობა ჩაუდგა სათავეში და მას უფრო ფართო მიზნები დაუსახა. მასზე დიდი ეროვნული და სოციალური იმედები დაამყარა. 1872 წლიდან პრაქტიკული საქმიანობაც გაჩაღდა: ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყაზბეგი რუსეთს გაგზავნეს ნებართვის მისაღებად და შესაფერისი წესდების შესამუშავებლად. პრესაში ცხარე პოლე-

შიკა გაჩაღდა როგორც განზრახული ბანკის, ისე, საერთოდ, საბანკო საქმის გარშემო. პუბლიცისტები ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, თუ რომელი პროფილის ბანკი აჯობებდა ჩვენთვის, რა პოლიტიკურ და ეკონომიურ წინამძღვარებს უნდა დამყარებოდა ის, ვის უნდა მიეღო მონაწილეობა, როგორ უნდა გაენაწილებიათ ან გამოეყენებიათ მოგება და ა. შ.

იოლი გამდიდრების მოსურნე არისტოკრატებისა და მათი იდეოლოგებისაგან განსხვავებით, „კრებულის“ პუბლიცისტებს ბანკი ყოვლის განმკურნებელ მალამოდ არ მიუჩნევიათ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ვერავითარი ბანკი და ასოციაცია ვერ დააყუჩებდა იმ სოციალურ ტკივილებს, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ. ბანკს ისინი თვლიდნენ ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების მასტიმულირებელ ძალად, რომელსაც, მათი აზრით, შეუძლია გაადვილოს სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობათა გადალახვა და, დროებით მაინც, შეამსუბუქოს მოსახლეობის საერთო მდგომარეობა.

1870 წელს ნ. ნიკოლაძემ „დროებაში“[1] დაბეჭდა ვრცელი სტატია — „ბანკის თაობაზედ“, რომელშიც მწვავედ დააყენა ბანკის დაარსების საკითხი. თავის მოსაზრებას ავტორი საქართველოს მეურნეობის მძიმე მდგომარეობით ასაბუთებდა. ადგილ-მამული მოუვლელია და მის ასაღორძინებლად არავითარი სახსარი არ მოგვეპოვება. ყველგან „ჭკუა მჭირია ისმისო“.

1871 წელს, წერილში — „ერობა“ („კრებული“, № 5), საქართველოს სამეურნეო მდგომარეობის დახასიათებასთან დაკავშირებით, ნ. ნიკოლაძე გაკვრით შეეხო ბანკის საკითხს და მის ამოცანად კვლავ „ადგილობრივი მეურნეობისა და აღებმიცემობის ამაღლება და გავრცელება“ გამოაცხადა. ავტორი იქვე დასძენდა, „საერობო ბანკის გაწყობაზე აქ ჩვენ ბევრს არას ვიტყვით, იმიტომ, რომ ამ მოკლე ხანში ამ საგანზე ცალკე სტატიის დაბეჭდვას ვაპირებთ შესახებ ჩვენი ბანკებისაო“.

ეს „ცალკე სტატია“ — სახელწოდებით „ბანკის საქმე ჩვენში“, ავტორმა ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა.[1] იძლევა რა

[1] „დროება“, 1870 წ., № 17.

რეფორმის შემდგომ დროინდელი სამეურნეო პირობების დახასიათებას, ნ. ნიკოლაძე მას „ავადმყოფის კრიზისს“ ადარებს და სასწრაფო, გადაუდებელ ღონისძიებას მოითხოვს. „ამ რიგათვე ჩვენს საზოგადოებას ამ მოკლე ხანში ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ანდა, ნელინელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე, ღონეზე მოსვლა, — ესე იგი, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება“, — წერს ის. სასწრაფო ღონისძიების გამოსაძებნად, — პუბლიცისტის სიტყვით, — პოლიტიკურ ეკონომიას უნდა მივმართოთ. ეს მეცნიერება, რომელიც „საზოგადოებრივი ცხოვრების ექიმია“, მეურნეობის გამომჯობინების ერთ-ერთ საშუალებად კრედიტს (სესხს) და „მის მმართველ ბანკს“ თვლის.

არსებული ბანკის ნაკლად პუბლიცისტს მიაჩნია მაღალი სარგებელი (ორი აბაზი). ძვირსარგებლიანი ფულის მეურნეობაში დაბანდება კი უაზრობაა, რადგან ამ გზით ვერავითარი წამოწყება ვერ იხეირებს — შემოსავალი სარგებლის გადახდას მოუნდება; მცირესარგებლიანი კრედიტი სამეურნეო ინიციატივის წახალისებაა, ხოლო მაღალსარგებლიანი — დეგრადაციის პროცესის დამაჩქარებელია, მას ვერავითარი მეურნეობა ვერ გაუძლებს, კრედიტორი მას უმიზნოდ დახარჯავს და ასეთი ბანკიც სიკეთის ნაცვლად, ზიანს მოიტანს;

ნ. ნიკოლაძე საზოგადოებას აფრთხილებს, რომ კრედიტის არამიზნობრივი გამოყენების მიზეზით, ბანკი იძულებული გახდება საწინდრები (გირაო) გაჰყიდოს და ეს დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყანას, რადგან ეროვნული მიწა-წყალი ფულიანი ხალხის ე. ი. უცხო ვაჭრებისა და კაპიტალისტების ხელში გადავა.

პუბლიცისტი ეროვნულ საფრთხესაც ხედავს ამ მოსალოდნელობაში და მისი კვლევა-ძიებაც, არსებითად, ამ საფრთხის აცილებისკენაა მიმართული. განიხილავს რა აწაბრების შესაძლო წყაროებს, ავტორი ორ მათგანზე ამახვილებს ყურადღებას: 1. მდიდართა მიერ შესანახად შეტანილი კაპიტალი და 2. ობლიგაციები. ძირითად წყაროდ მას სწორედ ეს უკანასკნე-

---

[1] „კრებული“, 1872 წ., № 6.

ლი მიაჩნია და ადგილობრივი პირობებისათვის ყველაზე შესაფერისად „საზოგადო ადგილ-მამულის კრედიტს“ თვლის, როგორც ბანკის ერთ-ერთ ფორმას, თანაც ისეთ „კრედიტს“, რომელიც გრძელი ვადით იძლევა ფულს, რადგან „ჩვენი აღებმიცემობა ჯერ მეტისმეტად თოთოა“ და „ხანგრძლივი კრედიტი გვჭირია“. მაგრამ, ასეთ ბანკს ხომ ბევრი ფული ესაჭიროება, საიდან უნდა ვიშოვოთ ის? ნ. ნიკოლაძე რჩევას იძლევა, რომ ქართული ბანკის ობლიგაციები უცხო ქვეყნებში გაასაღონ, მთელი მხარის ფინანსიური გარანტიით, რადგან „მთელი მხარე არასოდეს გაკოტრდება“ და ამიტომ, უცხოელებიც ხალისით შეიძენენ ობლიგაციებს. რაკი ამ „კრედიტის“ გარანტიად ავტორს მთელი საზოგადოება მიაჩნია, მათ „საზოგადო ბანკებს“ უწოდებს.

აღხიშნულ მტკიცებაში, ობიექტურად, ეროვნული ბურჟუაზიის მისწრაფებანია გამოხატული. ეს ფაქტი ძალიან საინტერესოა იმ მხრივ, რომ როგორც კი პუბლიცისტი, რომელიც ადრე განხილულ წერილებში ბურჟუაზიის მოწინააღმდეგედ წარმოგვიდგება, — ჩვენი ქვეყნის კონკრეტული სამეურნეო ამოცანების ახსნა-გადაწყვეტას შეეცდება, ბურჟუაზიის ინტერესთა გამომხატველად გვევლინება და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარება იმ დროს განვითარების ძირითადი და პროგრესული ტენდენცია იყო. მაგრამ „კრებულის“ პუბლიცისტთა მსოფლმხედველობის დემოკრატიული ხასიათი აქ იმით მჟღავნდება, რომ ისინი ბატონყმობის ნაშთთა შეზრდის წინააღმდეგ მოქმედებენ, მემამულურ მეურნეობათა როლის იგნორირებას ახდენენ და მთელი აქცენტი ეკონომიურ განვითარებაში თავისუფალ მონაწილეობაზეა და საზოგადო თაოსნობაზე გადააქვთ. ჩვენი აზრით, ეს შეადგენს საბანკო საკითხზე. ნ. ნიკოლაძისა და „კრებულის“ სხვა პუბლიცისტთა შეხედულების არსს. მაგრამ, სოციალურ-ეროვნულ ინტერესთა ამგვარი შეხამების ცდას, დროდადრო, ისინი ანტიისტორიულ და ანტინაციონალურ რეცეპტებამდე მიჰყავდა. ამის ნიშანია ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის ზოგიერთ იმდროინდელ წერილში უცხოური კონცესიებით, უცხოელ კაპიტალისტთა შორის საბანკო ობლიგაციების გავრცელებით გატა-

ცება. მაგრამ, ეს არ წარმოადგენს მათი მწოფლმხედველობის არსებით ნიშანს, ეს მხოლოდ მაძიებელთა უნებური შეცდომებია. საკმაოა ითქვას, რომ იმავე წერილებში, სადაც ისინი უცხოურ კონცესიებსა და კრედიტზე ლაპარაკობენ, უველა ამ ღონისძიების ერთ უმთავრეს დანიშნულებად უცხოელ კაპიტალისტთაგან ჩვენი ქვეყნის დაცვას თვლიან.

ნ. ნიკოლაძის ამ წერილს ს. მესხმა საგანგებო რეცენზია მიუძღვნა „დროებაში“ და მთლიანად გაიზიარა მისი დებულებები.[1]

ამ შეხედულებებს, ჩვენი აზრით, უტოპიური ხასიათი ჰქონდა. სხვა რომ არა ვთქვათ რა, ქართულ ბურჟუაზიას მაშინ სააშკარო ეკონომიური პოტენციალი არ გააჩნდა და ჩვენში მთავარ შემძლებელ კლასს კვლავ თავად-აზნაურობა წარმოადგენდა და ამიტომ, ახალ დაარსებულ ბანკსაც საფუძვლად მისი ქონება დაედო.

საბანკო საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენდა და, პრინციპულად, ასეთსავე პოზიციაზე იდგა გ. წერეთელიც.[2] მანვე წამოჭრა თბილისისა და ქუთაისის ბანკების გაერთიანების საკითხიც. შექმნილ ვითარებაში ბანკი მას სამეურნეო-ეროვნული კატასტროფისაგან თავდახსნის ერთადერთ საშუალებადაც კი ეჩვენებოდა.[3]

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გ. წერეთლის სტატია „საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილობა“,[4] რომელშიაც პუბლიცისტი საყოველთაო სარგებლიანობის თვალსაზრისზე დგას. უფრო ადრე, აკრიტიკებდა რა „ურთიერთნდობის საზოგადობის“ წესდებას, გ. წერეთელი დაბალი ფენების მხარდაჭერასა და წახალისებას მოითხოვდა.[5]

ჩვენი პუბლიცისტები შეუნელებლად იკვლევდნენ ამ საკითხს და სულ უფრო რწმუნდებოდნენ, რომ სათავადაზნაურო ბანკი საერთო საქმეს ვერ უშველიდა. სულ მალე, გ. წერე-

---

[1] „დროება“, 1872 წ., № 14.

[2] „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“, „კრებული“, 1872 წ., № 17.

[3] „რა გვეპირება?“, „კრებული“, 1871 წ., № 5.

[4] „კრებული“, 1872 წ., № 8—9.

[5] „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“, „კრებული“, 1872 № 7.

თელმა ურთიერთნდობისა და ურთიერთდახმარების პრინციპზე დამყარებული საამხანაგო ბანკების პროპაგანდა წამოიწყო „კრებულში“. როგორც თვითონ ამბობს, ამ ტიპის „საერო და საპოფლო ბანკების“ იდეა მას ევროპიდან გადმოუღია. ამ პროექტს ის უებარი გამდიდრების იმედით კი არ მოუხიბლავს, არამედ სახალხო თვითმოქმედებისა და კოლექტივიზმის სულისკვეთებით; გეგმის გადმოცემისას პუბლიცისტი ზოგად სოციალურ-ეთიკურ ტენდენციას მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე პრაქტიკულ მხარეს.

„საამხანაგო ბანკებით“ გატაცება მშრომელი ხალხის, ახლად ჩასახული მუშათა კლასის ბედ-იღბალზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი. „ხელმოკლე შეძლების ხალხი, ქალაქის ამქრობა იქნება თუ სოფლის მუშა, გაჭირვებაში ხელის გასამართავად შეამხანაგდებიან, ერთმანეთს პირს აძლევენ საერთო ფულის სესხებაზე“.

ავტორს გადმოუთარგმნია და თავისი წერილისათვის დაურთავს „როჭდესვენის მოსესხე ამხანაგობის წესდება“, იმ იმედით, „იქნებ, ღმერთმა ქნას და ჩვენშიც ვინმემ ითავოსო“. მაგრამ, ამ განცხადებიდან და თვით წერილის ტონიდანაც ჩანს, რომ პუბლიცისტს, მაინცა და მაინც, არც ამ ღონისძიების იმედი აქვს და ისიც გამწვავებულ სოციალურ ვითარებაში საშველის ძიებათა ერთი მორიგი რგოლია. გ. წერეთელი აქ ხშირად იმოწმებს შულცე-დელიჩის მოსაზრებებს მუშათა ასოციაციების შესახებ. ამ წერილს „დროებაც“ მიესალმა,[1] მაგრამ ჩვენ მაინც არავითარი საბუთი არ გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ამხანაგობებსა და ასოციაციებს „კრებულის“ პუბლიცისტები რაიმე სერიოზულ როლს ანიჭებდნენ სოციალური ცხოვრების გარდაქმნაში. „კოოპერატიული სოციალიზმის“ აღირებასაც აქ ჩანს ესეც, მათი კონცეფციით, მშრომელთა მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთ შემსუბუქებელ ღონისძიებად წარმოგვიდგება, ერთგვარ სოციალურ ექსპერიმენტად გვესახება. ამასთან, კოოპერირების იდეა ჩვენში უფრო ადრე გავრცელდა: 1866 წ. შულცე-დელიჩის გეგმებზე დიმ. ბაქრაძემ წერილები გამოაქვეყნა „დროებაში“.[2] იმავ დროიდან სხვადასხვა სახის

---

[1] იხ. ს ე რ. მ ე ს ხ ი ს წერილი. „დროება“, 1873 წ., № 13.

[2] „ისტორიული მოძრაობა განახლებისა“, „დროება“, 1866 წ., № 5—20.

„ამხანაგობების“ დაარსებაც შეინიშნება. მაგრამ კოოპერირებას, როგორც სოციალურ მოძღვრებასა და მოძრაობას, „კრებული“ არ თანაუგრძნობდა, კარგად ამჩნევდა მის უტოპიურ ხასიათს. შულცე-დელიჩისა და ლასალის უტოპიზმი გააკრიტიკეს როგორც „მნათობმა“ (ანტ. ფურცელაძე), ისე „კრებულმაც“ (ნ. ნიკოლაძე).

ევროპის სოციალური აზროვნების მიმოხილვისას, ნ. ნიკოლაძე ამ საკითხსაც ეხება; — ზოგიერთის აზრით, ასოციაციები — შეერთებული შრომა და ცხოვრებაა მშრომელთა ხსნა, მაგრამ აქაც მრავალი მიმდინარეობა გაჩნდა და სასიკეთო პირი არც ამ თეორიას უჩანსო. სწორედ ასოციაცია-კოოპერირების უტოპიურ თეორიათა უარყოფას მიჰყავს ის იმის აღიარებამდე, რომ „სანამ ეხლანდელი კანონმდებლობა და ეკონომიური და პოლიტიკური გაწყობილება თავიდან ბოლომდე არ შეიცვლება, — მანამდე მუშა ხალხის ბედი ვერ გაუმჯობესდება და მისი ნამდვილი გათავისუფლება არას გზით არ მოხდება“.[1]

გ. წერეთელი, მართალია, იწონებს სხვადასხვა „ურთიერთმომხმარებელთა“ და „ურთიერთ ნდობის საზოგადოებათა“ დაარსებას, იქნებ, ცოტა მაინც დაგვიფაროს მსხვილი მრეწველებისა და ვაჭრებისაგანო, მაგრამ დიდ იმედს არ ამყარებს მათზე; ბოლოს და ბოლოს, ასეთ გაერთიანებებსაც შეძლებულთათვის მოაქვთ სარგებლობა, ღარიბებს კი ვერაფერს შველისო. ჩვენს უფულო, უმიწაწყლო და უუფლებო გლეხობას ხომ საამისო გზაც დახშული აქვსო.

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში დიდი ადგილი უკავია ქალთა ემანსიპაციის საკითხს, რომელიც ჩვენს პრესაში, პრინციპულად, მხოლოდ „საქართველოს მოამბის“ შემდეგ წამოიჭრა და უშუალო გამოხმაურება იყო ევროპისა და რუსეთის ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობისა, რაც იმ დროს სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. ამ საკითხს არც ერთი პუბლიცისტი არ ტოვებს უყურადღებოდ, ხოლო სერგეი მესხმა ვრცელი წე-

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „კრებული“ 1873 წ., № 2.

რილიც მიუძღვნა: „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებეხ ისინი?“[1]

როგორ ესმით „კრებულის“ პუბლიცისტებს ქალთა ემანსიპაცია, რა უფლებების მიცემას ისწრაფვიან დედაკაცთათვის? მათი ნაწერების შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი აქაც რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციაზე დგანან, — მოითხოვენ სრულ გათანასწორებას ოჯახსა და საზოგადოებაში, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში.

პუბლიცისტები მხარს უჭერენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკურ მოთხოვნებს, „სრულ თანასწორობასა და თვითმოქმედებას“. მაგ განუყოფელ კავშირში აქვთ გააზრებული ქალთა პოლიტიკური, ეკონომიური, ზნეობრივი თანასწორუფლებიანობა.

„კრებული“ ყოველმხრივ მხარს უჭერდა და ახალისებდა ქართველ ქალთა პოლიტიკურ-კულტურულ აქტივობას, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა. ამ ნაწერებმა, სხვათა შორის, ბევრი საყურადღებო ისტორიული ცნობაც შემოგვინახა. 1868 წელს ქართველ ქალებს პეტერბურგში პეტიცია გაუგზავნიათ ქალებისათვის უნივერსიტეტებში სწავლის უფლების მინიჭების შესახებ. „კრებულის“ მესვეურთა რჩევითა და დახმარებით, 1872 წელს რამდენიმე ქართველი ქალიშვილი (კეკე მელიქიშვილი, ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე, ოლიმპიადა ნიკოლაძე) შვეიცარიაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

„კრებულმა“ სიხარულით აცნობა მკითხველს 1871 წელს თბილისში „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ დაარსება (ეკ. მელიქიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ო. გურამიშვილი), ხოლო ნ. ნიკოლაძემ ვრცლად და დიდი გულთბილობით განიხილა ამ საზოგადოების მიერ 1872 წ. გამოცემული პირველი წიგნი: „თარგმანნი საამო საკითხავთა თჰზულებათა“.

ქალთა ემანსიპაციის საკითხზე „კრებულის“ თვალსაზრისი მკაფიოდ გამოხატავდა ამ ჟურნალის საერთო იდეურ მრწამსს. შეესაბამებოდა მის იდეურ მიმართულებასა და სოციალურ-პო-

---

[1] „კრებული“, 1871 წ., № 4.

ლიტიკურ იდეალებს. ეს განმანათლებლურ-დემოკრატიული შეხედულებანი ხელს უწყობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ქალთა აქტიურ მოღვაწეობას და მტკიცე საფუძველს ქმნიდა უფრო ფართო და რევოლუციური მოქმედებისათვის.

* * *

განურჩევლად თემისა და კონკრეტული მიზანდასახულობისა, „კრებულის“ პუბლიცისტთა სტატიები სამშობლოს ინტერესებითაა შთაგონებული, ეროვნული აღორძინების სულით მეტყველებს. ჟურნალი წმიდად ინახავდა და მაღლა ეზიდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშას, ახალ შუქს ჰფენდა ამ მოძრაობის იდეებს, რასაც საფუძვლად ედო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის ჯანსაღი შეფასება, მომავლის რწმენა, აქტიური მოქმედება და ბალხურობა, რადგან მხოლოდ ხალხის წიაღში ღვიოდა პატრიოტული გრძნობა, მხოლოდ იგი ინახავდა დედაენას და, ამასთან, განსაკუთრებით განიცდიდა ეროვნული ჩაგვრის სიმძიმეს. მეფის რუსეთი ხომ მარტოდენ მემამულე-კაპიტალისტთა მიერ ხალხის ექსპლოატაციის ქვეყანა არ იყო, იგი ეროვნული ჩაგვრის სახელმწიფოსაც წარმოადგენდა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა ხალხთა საპყრობილე უწოდა.

„კრებული“ თანმიმდევრულად ამხელდა ცარიზმის დამპყრობლურ-დისკრიმინაციულ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში — მართვა-გამგეობაში, ეკონომიკაში, განათლებისა და კულტურის დარგში, ამჟღავნებდა ხელისუფლების ცალკეულ ღონისძიებათა რეაქციულ არსს, მცირე ერებისადმი უსულგულობასა და სისასტიკეს, ცხადყოფდა, რომ მთავრობა ყოველმხრივ ამუხრუჭებდა განაპირა მხარეთა სამეურნეო-კულტურულ პროგრესს. მაგალითად, იმ საბაბით, თითქოს, ადვილობრივი მოსახლეობა საამისოდ მომზადებული არ იყო, ისეთი უსუსური უწყების შემოღებასაც კი — აჭიანურებდა, როგორიც იყო „ერობა“. ჟურნალი ფარდას ხდი-

და ამ სიყალბეს, ამტკიცებდა, რომ ქართველებს სხვაზე ნაკლებ როდი შეგვიძლია სიკეთის შეფერებაო.[1]

მოვლენების ღრმა ანალიზისა და კონკრეტული მხილების ფონზე, პუბლიცისტები დაჩაგრულ-დაცემული სამშობლოს საერთო სურათსაც წარმოგვისახავენ; ამ სურათებში აღბეჭდილია მშობელი ქვეყნის მშვენიერებაც, სასოწარკვეთილი მდგომარეობაც და მისადმი უსაზღვრო სიყვარულიც. „ლამაზია ის, აყვავებული, ნარნარვარდივით გადაშლილი მაგრამ გარეგანი სილამაზის მეტი არაფერი ღვივის და აცხოველებს ამ საყვარელ ქმნილებას.—ჩივის საზღვარგარეთ გემით მიმავალი ნ. ნიკოლაძე. — იმას აკლია ძლიერი შემაერთებელი ხელი, აკლია ძალის მიმცემი ერთობის სიცხოველე... ნუთუ ჩვენი ქვეყანაც „ვერ აყვავდა, ისე დაჭკნა ნისლიან დღის განთიადზე?“... ღვინყმ სიკვდილის წინ ერთი ლექსი დაწერა, რომელშიც საყვარელ არსებას მიმართავს, ნეტავ, ულრან ტყეში გტოვებდე და არა ამ საძაგელ ადამიანთა შორისო. მოიყვანეთ, ვინც გინდათ ჩემს ადგილზე, შეხედოს აქედან ჩვენს ქვეყანას, ჩაუფიქრდეს მის ბედს, გააცანით მისი მდგომარეობა... „თუ მისი გული დაწურულ ღრუბელივით არ დაპატარავდეს, თუ... ნაღველი ყელში არ ამოუვიდეს, მაშინ შემაბით ყელზე ამ ხომალდის ქვაბი და ჩამიშვით ამ ზღვის უფსკრულში... რა ვიცი ბინძური კაცის ხელში ჩავარდეს შენი საყვარელი არსება, რაგინდ გაიპილწოს ის მის ალერსში... გული მაინც არ გითმენს და... დახსნის სურვილით მაინც ივსები... გემი მიმაფრენს, მაშორებს ჩემს საყვარელ ქვეყანას... სჩანს მარტო ნისლი, ნისლი, ნისლი...“ [2]

ჟურნალი რაინდული შემართებით იცავდა ეროვნული თვითმყოფობის ყველა ელემენტს, პირველ რიგში, დედაენის უფლებასა და სიწმინდეს, რაც საკვირველი ბუნებრივია, რადგან ის იმ წლებში გამოდიოდა, როცა მთავრობამ გააფთრებული იერიში მიიტანა ნაციონალურ ენებზე, როცა რეაქციული პრესა ამ ენების სრულ მოსპობას მოითხოვდა, როცა ადგილობრივი ენები სკოლიდან გამოდევნეს, როცა ხელისუფლების რუ-

[1] ნ. ნიკოლაძე, „ერობა“, „კრებული“, 1871 წ., № 5.

[2] ნიკოლაძე. „სხვათა შორის“, „კრებული“, 1873 წ., № 4.

პორმა“ გაზეთმა „კავკაზმა“ უსირცხვილოდ მოითხოვა აქაური ენებისა და მწერლობის „გაუქმება“. პ. უმიკაშვილმა, ნ. ნიკოლაძემ, ნ. ცხვედაძემ, ა. წერეთელმა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ, მკაცრი და დასაბუთებული პასუხი გასცეს მაბეზღარა ჟურნალ-გაზეთებსა და მათ სულისჩამდგმელებს. „კრებულის“ ფურცლებზე იმათ ნათელჰყვეს დედაენის როლი ერის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებაში. ნ. ცხვედაძე კათოლიკური ეკლესიის უდიდეს ბოროტებად და მის წინააღმდეგ ბალხთა ამხედრების ერთ უმთავრეს მიზეზად დედაენათა იგნორირებას აცხადებდა.[1]

„კრებულის“ პუბლიცისტური ნაწერები აღვივებდა ჯანსაღ ეროვნულ გრძნობასა და თვითშეგნებას, მკითხველს განუმტკიცებდა ნაციონალური ღირსების სულისკვეთებას. „მამულის სიყვარულის ჩანერგვა“ ჩვენს პუბლიცისტებს ლიტერატურისა და პრესის საამაყო მოვალეობად მიაჩნდათ. ამ მიზანს ემსახურებოდა, სხვათა შორის, მათ წერილებში უხვად ციტირებული პატრიოტული მოწოდებანი, სხვადასხვა ხალხის ეროვნულ გმირთა სიტყვები და წერილები, ამონაწერები მამულიშვილობის ფიციდან, პროკლამაციებიდან და მანიფესტებიდან, სახელგანთქმულ მწერალთა და პოეტთა თხზულებებიდან.[2]

ეროვნული გრძნობისა და თვითშეგნების განსამტკიცებლად, „კრებული“ მიზანსწრაფულად იყენებდა საქართველოს ისტორიას; გმირული წარსულის მაგალითებით ცდილობდა თანამემამულეთა გამხნევებას მაგრამ ჟურნალი შიშველი პროპაგანდისა და თვითრეკლამის გზას არ დადგომია. აღნიშნულ მიზანთა მიღწევის საუკეთესო საშუალებად მას წარსულის კრიტიკული ანალიზი და მასზე დამყარებული ეროვნული თვითშემეცნება მიაჩნდა.

თავიანთი ეროვნულ-სოციალური იდეალების განმახორციელებელ ძალად სამოციანელები ხალხს თვლიდნენ და, რო-

---

[1] ნ. ცხვედაძე, „დასაელეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

[2] პ. უმიკაშვილი, „იოსებ მაძინა“, „კრებული“, 1872 წ., № 8—9, დ. ერისთავი, „წყლებზე“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12 და სხვ.

გორც აწმყოსა და მომავალში, ასევე წარსულშიაც, მისი ცხოვრებითა და ბრძოლით იყვნენ დაინტერესებული. „კრებულში“ მათ წამოაყენეს საქართველოს სოციალური ისტორიის შექმნის საკითხი, მოითხოვეს ხალხის, როგორც მთავარი მამოძრავებელი ძალის ჩვენება ჩვენს ისტორიაში. პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძის სიტყვებს: ჯერჯერობით, საქართველოს ხვირიანი ისტორიის დაწერა შეუძლებელია, „ჩვენ გვაკლია მასალები, რომლის შემწეობით ჩვენ უნდა შეგვეძლოს აზრის შედგენა მაშინდელი ხალხის მდგომარეობაზე, მოქმედებაზე და მიმართულებაზე, მაშინდელ ჩვეულებებზე და ზნეზე... რა სჭიროდა, რა უნდოდა ხალხს, რას ეძებდა, რას არა. ხალხი ხომ ისტორიის პირველი მომქმედი პირია და რანაირად დაიწერება ისტორია თუ მის პირველ მომქმედ პირზედ სრულიად არაფერი გაგება გვაქვს?“[1]

უთუოდ, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა რედაქცია, რომ ჟურნალში შემოიღო საგანგებო რუბრიკა: „ჩვენი ისტორიის მასალები“.

თავის ისტორიულ გამოკვლევებში გ. წერეთელი ცდილობს გვიჩვენოს ხალხის ცხოვრება. სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები, კავკასიელ ხალხების ინტერესთა ერთიანობა. გამოკვლევები დაწერილია ბელეტრისტულად, პატრიოტული მგზნებარებით, მაგრამ აშკარად შეიმჩნევა, რომ ავტორს აკლია მასალა, კრიტიკულად ვერ ეკიდება წყაროებს, ემოცია სჭარბობს ლოგიკას, ხარვეზებს ფანტაზიით ავსებს. ასე რომ, მიუხედავად კეთილი განზრახვისა, ამ თხზულებებს რომანტიკულ-სუბიექტური ელფერი დაჰკრავს და სწორად მიგვაჩნია მიხ. გაფრინდაშვილის მოსაზრება, რომ „ეს გამოკვლევები უმთავრესად პროპაგანდისტული ხასიათისაა“,[2] რასაც. სხვათა შორის, თვით გ. წერეთელიც აღიარებდა ავტორეცენზიაში: „ამ სტატიას („საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის ძველათ“) არა აქვს სამეცნიერო საფუძველი... (მაგრამ ბევრი ისეთი მხარე

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „დროება“, 1872 წ., № 10—12.

[2] მიხ. გაფრინდაშვილი, გ. წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955 წ.

აქვს) რომ „თვალს აუხელს ბევრს ჩვენებურ მკითხველს“.[1] ისტორიულ ნაწერებში გ. წერეთელი პრაქტიკულ წინადადებებს აყენებდა, — მოითხოვდა ქართული გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებას, საქართველოს რუკების გამოცემას და აქტუალური მნიშვნელობის დასკვნებიც გამოჰქონდა.

„კრებული“ შეუპოვრად გამოდიოდა ეროვნული ინტერესების დასაცავად, მედგრად უხვდებოდა ჩვენი ხალხისა და კულტურის ავადმზრახველებს. ფრიად დამახასიათებელია ამ მხრივ გ. მუხრანსკის რენეგატული გამოხდომის მხილება.

„კრებულმა“ გ. მუხრანსკის ბროშურის გამოსვლისთანავე, გამოაქვეყნა პ. უმიკაშვილის პოლემიკური სტატია — „მცირე ტომთა ენებზე“,[2] რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. 1873 წლის 30 მარტს ს. მესხი სწერდა შვეიცარიაში მყოფ კეკე მელიქიშვილს: „პეტრე უმიკაშვილის სტატია შენ ძალიან მოგწონებია, ისე მოგწონებია, რომ მეხვეწები თვალები ამოვუკოცნო“.

პ. უმიკაშვილის სტატია დაწერილია მწვავედ, გაბედულად; მასში განსაკუთრებით იგრძნობა მისი პოლემიკური სტილის შანერა, რომლის შესახებაც თვითონვე შენიშნავდა ხუმრობით: „ტკბილი, მშვიდი კაციაო, ამბობენ ჩემზე და ტკბილი კაცის მათრახმა სუსხი კარგი იცის“. პ. უმიკაშვილი აკრიტიკებს ავტორის ულოგიკობას, „პოგოდინის აფორიზმებზე“ დამყარებულ მის დოგმატურ მსჯელობას. მას ბევრი ფაქტი მოაქვს იმის დასადასტურებლად, რომ „ხალხი და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის“; ერთ სახელმწიფოში შეიძლება რამდენიმე ხალხი ცხოვრობდეს და თვითეულ მათგანს თავისი დედაენა შენარჩუნებული ჰქონდეს. ზოგჯერ, სხვადასხვა ენის მქონე ხალხები ერთ სახელმწიფოს ქმნიან (შვეიცარია), ხანაც, ერთი და იგივე ენის მქონეთ სხვადასხვა სახელმწიფო აქვთ (გერმანია და ავსტრია; ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები). პ. უმიკაშვილი რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით უდ-

---

[1] „კრებულის“ მკითხველის“ ფსევდონიმით: „დროება“, 1871 წ., № 24.

[2] „კრებული“, 1872 წ., № 10—11—12.

გება ეროვნულ საკითხს. მისი აზრით გადამწყვეტია არა ენობრივი ერთიანობა ან განსხვავება, არამედ ხალხის სოციალური ინტერესები. წერილში მეცნიერულადაა გამოაშკარავებული რასობრივი თეორიის სოციალური არსი, — ცალკეულ შემთხვევებში ავტორი დარვინის შეხედულებებსაც იშველიებს.

ეროვნული კონსოლიდაციისა და გაერთიანების ინტერესებით იყო შთაგონებული ის დიდი ყურადღება, რომელსაც „კრებული“ და მისი პუბლიცისტები თურქეთის უღელქვეშ მყოფი აჭარისადმი იჩენდნენ.

ნარკვევში „სხვათა შორის“ ნ. ნიკოლაძე იძლევა იმდროინდელი აჭარისა და ჭანეთის პოლიტიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის ნათელ დახასიათებას, იყენებს სტატისტიკურ მასალებს, გადმოგვცემს აჭარელთა ეროვნულ სულისკვეთებას, ნათლად გვაგრძნობინებს მისი განთავისუფლებისა და დედა საქართველოსთან შემოერთების გარდუვალობასა და ისტორიულ სამართლიანობას. ავტორი ღრმად განგვაცდევინებს, რომ აჭარა საქართველოს ღვიძლი შვილია, რომ ის თვალისჩინივით უფრთხილდება დედაენას, ეროვნული სიამაყით უყურებს დამპყრობლებს, მთელი არსებით გრძნობს მშობელ ერთან სისხლხორცეულ კავშირს. ყოველივე ეს ავტორის გულისტკივილს იწვევს, — ასე მგონია, აქ ყველაფერი საყვედურს მეუბნება, — „არა გრცხვენია?.. შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არა აქვს და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს, — დაკარგული და მივარდნილია“...

ეროვნული კონსოლიდაციის ამგვარი გაგება, მიტაცებული კუთხეების ბედ-იღბალზე ასეთი ზრუნვა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ნიშანია. მაგრამ, ამ აღმავლობაზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური აღორძინების პროგრამა, რომელიც „კრებულ“ — „დროებამ“ წამოაყენა და ის პრაქტიკული საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ.

სამეურნეო-ეკონომიური ჩამორჩენილობა, ეპოქის მაჯისცემის შეუცნობლობა, „კრებულმა“ ეროვნული კატასტროფის

მომასწავებლად გამოაცხადა. ქვეყნის სამრეწველო-ტექნიკური დაწინაურება გამოცხადებულია მისი შემდგომი წინსვლის ქვაკუთხედად; სამეურნეო განვითარება აღიარებულია პირველი რიგის ეროვნულ ამოცანად.

პუბლიცისტურ წერილებში ფართო მსჯელობაა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მათი ინტენსიურად და რაციონალურად გამოყენების საშუალებებზე, რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყვანაზე, სამეურნეო-ტექნიკური სასწავლებლების დაარსებაზე.

ჟურნალი სამაგალითოდ სახავს ზოგიერთი ქართველის სამეურნეო თაოსნობას, მაგრამ ეროვნული თვითკრიტიკა, საერთოდ, წინსვლის აუცილებელ პირობადაა მიჩნეული. პუბლიცისტები ბევრ ნაკლსა და მანკს ამჩნევენ თანამემამულეებში, ეროვნულ ხასიათში და მათ გამომზეურება-გაკიცხვას პატრიოტულ მოვალეობად თვლიან; ზოგჯერ კრიტიკა ძალიან მკაცრადაც გვეჩვენება. ნ. ნიკოლაძის აზრით,... „ამისთანა წინაპარს ამისთანა შთამომავალი შეჰფეროდა?.. ბევრი თაობა ჩავა საფლავში და დაიბადება ჩვენში, სანამ ჩვენი გული ისევ გავაჟკაცდება, სულის დიდებას და გმირობას შეიძენს, შრომას და ლტოლვას შეეჩვევა... ჩვენ სხვის შეძენილს და ნაშრომს მივჩერებივართ“...[1]

„კრებულმა“ გააღრმავა და განამტკიცა სოციალური და ეროვნული იდეალების ის განუყოფელი ერთიანობა, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფუნდამენტად გამოაცხადა.

სამშობლოს სამეურნეო-ეკონომიურ აღორძინებაზე ფიქრი სრულებით არ გამორიცხავდა შესაფერ სიტუაციაში ხალხის რევოლუციურ-შეიარაღებული გამოსვლის აუცილებლობას. პირიქით, პ. უმიკაშვილის „არსენა“ და „იოსებ მაძინი“, ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, „ნაპოლეონ III“, გ. წერეთლის, ნიკ. ცხვედაძის, დ. ჩხოტუასა და სხვათა სტატიები აშკარად მიუთითებდნენ ამ გზაზე. აღნიშნული წერილების მთელი პათოსი და შინაარსი რევოლუციური აჯანყების დასაბუთება და

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ფიქრი ლიხის მთაზედ“, „კრებული“, 1871 წ., № 4.

პროპაგანდაა. ჟურნალი ხალხისა და მამულისათვის თავგანწირვას, გამბედაობასა და საბრძოლო შემართებას ქადაგებს, ჩვენი ხალხის ყველაზე დიდ სიამაყედ ის მიაჩნია, რომ „არცერთ ერს დედამიწის ზურგზე... ასე ძვირათ არ დაუფასებია თავისი საკვიდრებელი და არცერთს ასე ძვირათ არ დაჯდომია“. სწორედ ამ რწმენას ემყარება ის ეროვნულ-სოციალური ოპტიმიზმი, რომლითაც გაჟღენთილია „კრებულის“ პუბლიცისტიკა. გულისმომწყვლელი აწმყოს ფონზე აქ მუდამ მოჩანს ბედნიერი, აყვავებული სამშობლო და განთავისუფლებული ხალხი. „ჩვენი მიმართულება, რომელიც სუსტი და უიმედოა, შემდეგში, მომავალი თაობისათვის, მომავალი მოთავეების ხელში ყოვლისმძლეველი და შეუმუსვრელი შეიქმნება. აი ჩვენი პროგრამა და ჩვენი იმედი“. [1]

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში არათუ ეროვნული მძულვარების ვერავითარ ნიშანს ვერ ვხედავთ, — იგი მთლიანად გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. ხალხთა ურთიერთობის საფუძვლად გამოცხადებულია მშრომელთა ბედის თანაზიარობა, ინტერესთა ერთიანობა, განთავისუფლებისათვის ბრძოლა; უბრალო ადამიანისათვის სამშობლოზე ოცნება არის ოცნება ეროვნული და სოციალური შევიწროებისაგან განთავისუფლებულ სამყაროზე, საყოველთაო საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. ამიტომ ხალხთა ჰეშმარიტი მეგობრობის საფუძველი თავისუფლება და თანასწორობაა. ეროვნული გრძნობა აღიარებულია ადამიანის ღირსების ერთ უმთავრეს ნიშნად, რომლის შებღალვა არავის უნდა ეპატიოს. ხალხთა მეგობრობის იდეა გაცისკროვნებულია ახალი, რევოლუციური დემოკრატიის ჰუმანიზმით, რომელიც კაცთმოყვარების ბრჭყვიალა პრინციპით კი არ კმაყოფილდება, არამედ აქტიურად იბრძვის უსამართლობისა და ეროვნული მძულვარების წინააღმდეგ. დადებითი იდეალების განსახორციელებლად. „კრებულში“ დაგმობილია არა მარტო ცალკეულ პირთა ნაციონალისტური პოზიცია, არამედ სახელმწიფოთა შოვინისტური, დიდმპყრობელური პოლიტიკაც. ცალკეული ერებისა და ქვეყნები-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „სხვათა შორის“, „კრებული“, 1873 წ., № 4.

სადმი დამოკიდებულებაში ეს მომენტი გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ჩვენი პუბლიცისტების თვალსაზრისზე.

გ. წერეთელი პუბლიცისტური ზედმიწევნობით აანალიზებს კოლონიალიზმის ბუნებას, მის დამღუპველ გავლენას ხალხთა ცხოვრებასა და კაცობრიობის განვითარებაზე. პუბლიცისტი ისტორიული მაგალითებით ასაბუთებს, რომ კოლონიური რეჟიმი დამღუპველია არამარტო დაპყრობილი, არამედ დამპყრობელი ხალხებისათვისაც; იგი მხოლოდ ფიზიკურ ძალმომრეობას ემყარება. ამიტომ, დიდი, „მუშტი-კრივში და ხანჯლის ხმარებაში უფრო ხერხიანი“ ქვეყანა განუკითხავად სპობს მცირე ერებს, რომლებიც, იქნებ, გონების ძალითა და ჭკუის თვისებით ბევრად სჯობიან მას; ასე გაანადგურეს რომაელებმა ბერძნები, ეგვიპტელები, ასურები, ებრაელები. ეს „წარჩინებული, ქვეყნის საუნჯე ხალხები რომ არ დაეფატრათ და შთაენთქათ“, ვინ იცის, „კაცობრიობა რამდენი საუკუნით წინ იქნებოდა ახლა, რამდენად უფრო ბედნიერი იქნებოდა“. მაგრამ ბარბაროსულმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ არც რომაელებს დააყენა კარგი დღე. „ამ დიდებული ხალხების სისხლში თეთრონაც დაიხრჩო“.

გ. წერეთელი თანამედროვე სამყაროშიც ანალოგიურ სურათს ხედავს, — „დღესაც კაცობრიობა იმგვარადვე სდევნის განსხვავებას, მრავალგვარობას. ჩემი შენ არ მოგწონს და შენი — მე. მე მინდა ჩემს წესზე მოგაქციო, არც დასაჩაგრავად ვზოგავთ ერთმანეთს“.[1]

პრუსიული მილიტარიზმისადმი ზიზღითაა გაჟღენთილი ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, „ნაპოლეონ III“, „თანამედროვე მწერლობა“, დავ. ერისთავის „წყლებზე“.

პუბლიცისტები კარგად ასაბუთებენ, რომ ომი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა დაჩაგრულთა უფლებებს იცავენ. „სხვა — ომი კი... ღმერთმა დასწყევლოს. ომი, რომელიც არის სხვა ქვეყნის დასაპყრობად აღძრული, ის ომი არის წყეული, ამისთანა ომში მებრძოლნი არიან ხალხის სისხლით

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „მგზავრის წიგნები“, „კრებული“, 1873 წ., № 5—6.

შესვრილნი და აღარე თუ გვიან რომ არ გადაბდესთ ეს უსამართლობა, არ იქნება... ამისთანა ჯარს და მხედრობას გმირული სული არ უდგია".

ხალხთა მეგობრობის ყველაზე პროგრესულ ნიშანს „კრებულის" პუბლიცისტიკაში წარმოადგენს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი აქტიური მხარდაჭერა. გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებში" ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის მთელი ისტორიაა გადმოცემული — უძველესი დროიდან მოყოლებული XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. პუბლიცისტს სწორად აქვს შენიშნული სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებანი. ეს მსჯელობა იმდენად დასაბუთებული და დემოკრატიულია, რომ დღემდე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. ავტორს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანები აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული აქვს ამ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. იგი კარგად იცნობს გამათავისუფლებელ მოძრაობაში მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობასა და ინტერესთა ჰიდილს. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მებრძოლთა სულისკვეთებას: „იცი, ამისთანა გამწარებულს მამულის მებრძოლს რანაირი შეხედულება აქვს ბრძოლის ჟამს? ის საშიშია, იმის სახეს ვერავითარი მხნე და ბრძოლებში გამოცდილი მებრძოლი ვერ გაუმაგრდება... ავსტრიის ჯარი იტალიაში კი ვერ იბრძოლებს აგრე. იმათ არა აქვთ მაგისთანა გამამხნევებელი საგანი... იტალიელი იბრძვის თავის ქვეყნისათვის, თავის დაჩაგვრის... წინააღმდეგ... ავსტრიელი სალდათი მოსული უცხო კაცია იტალიაში. ის იპყრობს ქვეყანას, ართმევს საკუთრებას თავის უფროსის ბრძანებით. ნუთუ ამ უსამართლობისათვის ისე აუდუღდება გული ავსტრიელ სალდათს, როგორც იტალიელს?.. ერთი გრძნობს თავის მხარეზე სიმართლეს, მეორე — ძალას".[1]

„კრებულის" პუბლიცისტები ყოველ ერში არჩევდნენ ორ მხარეს — პროგრესულსა და რეაქციულს, — მხარს უჭერდნენ პირველს და ებრძოდნენ მეორეს. ისინი მკაფიოდ განასხვავებ-

[1] გ. წერეთელი, „მგზავრის წიგნები". „კრებული", 1873 წ. № 3.

დნენ თვითმპყრობელურ რეჟიმს რუსი ხალხისაგან, გვიჩვენებდნენ ორ რუსეთს და ცარიზმის წინააღმდეგ რუსი ხალხის საამაყო შვილთა თავდადებულ ბრძოლას.

„კრებულის“ პუბლიცისტიკა ხელს უწყობდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულ სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შეკავშირებას, ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობის გამთიშველ, წამქეზებლურ, ხალხთა ერთმანეთზე წასისინების პოლიტიკას. იგი დიდ აღმზრდელობით როლს ასრულებდა, — ავითარებდა ქართველ მკითხველში მაღალ პოლიტიკურ შეგნებასა და მორალურ თვისებებს.

პედაგოგიური შეხედულებანი ორგანულად შესისხლხორცებულია ჟურნალის საერთო იდეურ მიმართულებასთან და ემყარება, ერთი მხრივ, აღზრდის საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებს, რუსული და მსოფლიო პედაგოგიური აზროვნების თეორიასა და პრაქტიკას. საერთოდ, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, „კრებული“ ფართოდ და მეცნიერული სიღრმით აშუქებდა სწავლა-აღზრდის საკითხებს.

ისტორიული ფაქტებითა და თანამედროვეობის კონკრეტული მაგალითებით, „კრებული“ ნათლად უჩვენებდა მკითხველს აღზრდის წოდებრივ-კლასობრივ ხასიათს; ყოველი კლასი, მისი ინტერესების გამომხატველი ყოველი ხელისუფლება ცდილობს თავის პოლიტიკურ ინტერესებს დაუმორჩილოს სწავლა-განათლება. აღზარდოს ერთგულ, მორჩილ მსახურთა კადრი.[1]

ცარიზმის განათლების სისტემის ანალიზით ნ. ნიკოლაძე ცხადყოფდა აღზრდის პოლიტიკურ ხასიათს. 1863 წელს, პოლონეთის აჯანყების გამო, კატკოვმა და მისმა „მოსკოვის უწყებებმა“ დაგმეს „რეალური აღზრდა“ და უპირატესობა „კლასიკურ აღზრდას“ მისცეს. კატკოვი ამტკიცებდა, რომ „რეალურმა აღზრდამ“ „გაასულელა“ და „გაათამამა ახალგაზრდობა“ აღარც ღმერთი სწამს და აღარც მეფეო. ხელისუფლებამ ყურად იღო კატკოვის რჩევა და კვლავ „კლასიკურ“

[1] ჰ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „იოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872 წ., № 8—9.

სისტემაზე გადავიდაო.[1] „კრებული“ მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნებს, ახალ მიზნებს უსახავდა ჩვენს სკოლას. „ყაცი ეძებს აღზრდაში ცხოვრებისათვის გამოსადეგ იარაღს,... რომელსაც მისი შრომის გაადვილება და მისი მდგომარეობის გაუკეთესება შეეძლება. აღზრდით შეძენილ ცოდნას, კაცის აზრით, მისი ღონისძიებების გადიდება და მის გონების და ზნეობის დატკბობა უნდა ჰქონდეს მიზნათ“. „სწავლა-აღზრდა საერთო საზოგადოებრივი საქმეა, დიდ გავლენას ახდენს მის ბედსა და უბედობაზე“, მის მომავალზე, ბრძოლასა და ცხოვრებაზე.[2]

ცხოვრება ბრძოლაა, — მომავალში თუ ბრძოლა არა, შრომა მაინც იქნება, — და ესეც ბუნებასთან ბრძოლაა, — აღზრდის მიზნებიც აქედან გამომდინარეობს: „... ამნაირი ბრძოლისა და შრომისათვის დაამზადოს ყმაწვილი, ესე იგი, გააცნოს იმას ბუნება თავისი ძალებით, აჩვენოს ამ ბუნების სარგებლობის გზა და დაწვრილებით დაანახოს ის გაწყობა და წესი, რომელიც საჭიროა გონიერი და ძმური ცხოვრებისათვის, ერთი სიტყვით. გაუნათლოს და დაუიარაღოს გონება“.[3]

ამ დებულებაში კონდენსირებულია ეპოქის ყველა ძირითადი მოთხოვნა, უარყოფილია ცალმხრივი განათლება, სწავლის იდეალად აღიარებულია ბუნებისა და საზოგადოების ღრმა ცოდნა, რომელიც საზოგადოების „გონიერი და ძმური ცხოვრების“ მოსაწყობად იქნება გამოყენებული, — ბრძოლის გზით „საზოგადოებას გაუკეთესებს“, და ამით, ბუნებისაგანაც მეტ სარგებლობას მიიღებს. აღზრდას წაყენებული აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო პრაქტიკული ამოცანები, ადამიანის გონებრივი და ზნეობრივი ამაღლება, სოციალური ბორკილებისა და ბუნების მონობისაგან მისი განთავისუფლება. სჯსწავლებელმა დამოუკიდებელი, პატიოსანი, გონიერი, სამართლია-

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

2 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

3 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

ხი, მებრძოლი და ინიციატივიანი მოქალაქე უნდა აღუზარდოს საზოგადოებას.

უდავოა, რომ ჟურნალის პედაგოგიურ შეხედულებათა არსს პატრიოტულ-დემოკრატიული აღზრდის პრინციპი განსაზღვრავს. ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანია „კრებულის“ იდეალი; ადამიანი, რომელმაც იცის, რა მოწოდება აქვს, სწამს საზოგადოების მომავალი. იბრძვის და შრომობს მშრომელთა ინტერესებისათვის და ამ ბრძოლასა და შრომაში გრძნობს ბედნიერებას, ადამიანი არ უნდა იყოს „თავისი მდგომარეობის ყურმოჭრილი ყმა“.[1]

მხოლოდ დემოკრატიულ-პატრიოტულ აღზრდას შეუძლია ადამიანის ზნეობრივად ამაღლება, რადგან მორალის საფუძველია საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა. „რათ ვარგა მარტო თავი გქონდეს „განათლებული“, თუკი ამასთან გულიც არ გინათებს და როგორც კაცი არ ვარგიხარ?“[2] ამ მიზანს სკოლა მაშინ მიაღწევს, როცა ყოველგვარი ცენზი გაუქმდება და ადამიანი მარტოდენ პირადი ღირსებით დაფასდება; „ახალგაზრდას... გმირობა და ტალის ხასიათი მთელ სხეულში უნდა უჯდეს... ნიადაგ საზოგადოების სიკეთეზე უნდა ფიქრობდეს“.[3]

მწვავე პოლემიკის საგანს წარმოადგენდა იმ დროს უმაღლესი და საშუალო სკოლების ტიპიზაციის საკითხი. ადარებდა რა „კლასიკურ“ და „რეალურ“ გიმნაზიებს, მათ შორის არსებულ განსხვავებას ნ. ნიკოლაძე უწოდებდა „განსხვავებას ორნაირი აღზრდის სისტემას შორის“. ჟურნალი უარყოფდა „კლასიკური“ გიმნაზიების დამკვიდრებულ ტიპს, სადაც ლათინური და ბერძნული ენები ბატონობდნენ, — უპირატესობას აძლევდა „რეალურ გიმნაზიას“, საბუნებისმეტყველო და ცხოვრებაში გამოსადეგი ტექნიკური ცოდნით, მაგრამ საშუალო სკოლის იდეალად ისეთ სასწავლებელს სახავდა, რომელიც ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო განათლებით ხელს შეუ-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „მელაღუმე“, „კრებული“, 1871 წ., № 4.

2 ი ვ. მესხი, „უმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“, „კრებული“, 1873 წ., № 10.

3 ნ. ნიკოლაძე, „ფიქრი ლიხის მთაზედ“, „კრებული“, 1871 წ., № 4.

წყობდა ახალგაზრდობის ყოველმხრივ, ჰარმონიულ აღზრდას, გააცნობდა მას „როგორც საზოგადოებას, ისე ბუნებას“.[1] საერთოდ კი, მრეწველობისა და ტექნიკის აღმავლობის პირობებში სავსებით ბუნებრივია ჩვენი ავტორების გატაცება ზუსტი მეცნიერებით, სახელოსნო სასწავლებლებით, ბუნებისმეტყველებით, მედიცინით.

1871 წელს საქართველოში იმპერატორი ალექსანდრე II ჩამოვიდა. სხვათა შორის გადაწყდა, რომ მისთვის რაიმე სასარგებლო დაწესებულების დაარსება ეთხოვათ. „მამებმა“ (გრ. ორბელიანი, მიხ. თუმანიშვილი და სხვ.) დაიჟინეს სამხედრო სკოლა ვთხოვოთო, — ახალთაობა კი (ი. ჭავჭავაძე, მ. თარხნიშვილი, ნ. ნიკოლაძე. ბეს. ღოღობერიძე და სხვ.) უმაღლეს სასწავლებელს ამჯობინებდა. ეს საკითხი ცხარე პოლემიკისა და ბრძოლის საგანი გახდა. ერთი მხრივ, „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ჩანს, თვით ახალთაობის წარმომადგენელთა შორისაც. ახალთაობის წრეში აზრთა სხვადასხვაობა იმას გამოუწვევია, თუ რომელი ტიპის სასწავლებელი ეჯობებდა საქართველოსათვის — უნივერსიტეტი თუ რომელიმე ტექნიკური ინსტიტუტი. პოლემიკა, უმთავრესად „დროება“ — „კრებულში“ გაჩაღდა.

„კრებულში“ ამ საკითხს პირველად ნ. ნიკოლაძე შეეხო („ახალგაზრდობის აღზრდა“, 1871 წ., № 3). მსჯელობდა რა საერთოდ აღზრდის ხასიათსა და მიზნებზე, აგრეთვე, საქართველოს მაშინდელ სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობის თავისებურებებზე, ავტორი ცალ-ცალკე ახასიათებდა სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებელთა ამოცანებს და ასკვნიდა, რომ ჩვენთვის „პრაქტიკულ მხარეს“ მეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, ერთი რომელიმე სპეციალური სასწავლებლის (სამეურნეო აკადემია, ტექნოლოგიური ინსტიტუტი და სხვ.) დაარსება გვირჩევნიაო.

არსებითად, აღნიშნული წერილის პასუხად, გ. წერეთელმა

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებული“, 1871 წ., № 3; იხ. ვლ. ზამბახიძე. „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები“, გვ. 193.

1871 წელს (№ 26) „დროებაში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია: „საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა?“

ამ წერილში ავტორმა ვერ შესძლო თავის შეხედულებათა ყოველმხრივ დასაბუთება და იმავე ხანებში „კრებულშიც“ (1871 წ., № 5) დაბეჭდა უფრო განვრცობილი წერილი: „რა გვეჭირვება?“.

უწინარეს ყოვლისა, გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება გადაუდებელ საჭიროებად იქცა და რომ, ეს სასწავლებელი „ჩვენსავე ნიადაგზე უნდა გაიხსნას“.

ავტორი ცალკ-ცალკე ახასიათებს საინჟინერო აკადემიას, ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, სამეურნეო აკადემიას და საბოლოოდ უნივერსიტეტზე ჩერდება, რადგან: „უნივერსიტეტში გამოზრდილს ყოველ საქმეში თვალი აქვს ახელილი, ყოველს საქმეს გონება უწვდება და ცხოვრების მოთხოვნილების გაგებაში განსაკუთრებით გონება ფხიზელია“. — (თუკი მოინდომებს, ყოველგვარი ხელობის შესწავლაც ადვილად შეუძლია). „სისხლში აქვს გამჯდარი საზოგადოების სიკეთის წადილი,... სადაც გასაჭირია, იქ ეტანება“. ქალაქი, სადაც უნივერსიტეტი არსებობს, მუდამ გამოირჩევა კულტურით, ზნეობით, განათლებით, საზოგადოებრივი მოძრაობით. უნივერსიტეტის დაარსება გაამრავლებს გიმნაზიებს და გააუმჯობესებს მათ მუშაობას. უნივერსიტეტში პირდაპირ შედის გიმნაზიადამთავრებული, ჯერეთ გაურყვნელი ახალგაზრდა, რაკი უნივერსიტეტი დაარსდება, დღეს-ხვალ, სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებსაც გახსნიანო. „ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას თუ რამე უშველის, ისევ უნივერსიტეტი“, — ასე ამთავრებდა გ. წერეთელი თავის სტატიას.

ჩანს, ნ. ნიკოლაძე არ ეთანხმებოდა ავტორის მოსაზრებებს, მაგრამ წერილი კამათის წესით გამოუქვეყნებია (იმ დროს თვითონ იყო რედაქტორი).[1]

აღნიშნულ დავას პრინციპული ხასიათი არ ჰქონდა, რადგან

[1] პირადად მე მინდოდა იმპერატორისთვის „ერობა“ გვეთხოვაო. (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. I; დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, 1962., გვ. 38—39).

ავტორები, არსებითად, ერთ პოზიციაზე იდგნენ, — არც ნ. ნიკოლაძე უარყოფდა უნივერსიტეტის დიდ მნიშვნელობას და არც გ. წერეთელი მოითხოვდა მხოლოდ უნივერსიტეტს.

განათლების სფეროშიც, ძირეული გარდაქმნები „კრებულის“ პუბლიცისტებს შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ იმ ეროვნულ-სოციალურ იდეალთა განხორციელების პირობებში, რომლებსაც ისინი ემსახურებოდნენ.

მხატვრული ლიტერატურა

„კრებულმა“ შეამჭიდროვა ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ძალები, გზა გაუხსნა ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსებს, აზიარა მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, გააძლიერა მხატვრული სიტყვის გავლენა საზოგადოებაზე. აქ მთელი სისავსით იგრძნობა ლიტერატურული ცხოვრების მრავალფეროვნება, მისი იდეური და მხატვრული დადუღება. ჩვენი რეალისტური ლიტერატურის ამ აყვავების წლებს ნ. ნიკოლაძე „დავაჟკაცების პერიოდად“ თვლიდა, ხოლო „კრებულში“ დაბეჭდილ ლექსებსა და მოთხრობებს „საქრესტომათიო ნაწერებს“ უწოდებდა. განიხილავდა რა 1871 წლის ნომრებს, ხიკ. ყიფიანი წერდა: „ამ ხუთი წიგნით „კრებულის“ რედაქციამ მეტი შესძინა ლიტერატურას, ვიდრე ზოგიერთმა გამოცემებმა ათი-თხუთმეტი წლის ღოღვითა“.[1] ჟურნალის წარმატება განპირობებული იყო ცხოველმყოფელი იდეებით, თემების აქტუალობით, ცხოვრებისეული მოვლენების ღრმა მხატვრული ანალიზით, უბრალოებითა და სიმართლით. ყველაფერში იგრძნობა ლიტერატურული ჰორიზონტის გაფართოება და გემოვნების დახვეწა. აქტიური ხედვის არეში შემოდის და ბუნებრივ საშენ მასალად იქცევა მსოფლიო ლიტერატურის მხატვრული სახეები. არასოდეს ჩვენს ლიტერატურაში არ შეიმჩნეოდა ევროპული მწერლობისადმი ასეთი ინტერესი არასოდეს არ შეიმჩნეოდა რუსულ ლიტერატურასთან, განსაკუთრებით, თანადროულ, სწორედ იმ დღეების რუსულ ლიტერატურულ სინამდვილესთან ის სისხლხორცეული კავშირი, რომელსაც „კრებულში“ ვხედავთ. მხედველობაში გვაქვს არა თარ-

[1] ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „გასართობი საუბარი“, „დროება“, 1872 წ., № 2.

გმანები, არამედ ორიგინალურ მხატვრულ, პუბლიცისტურ და კრიტიკულ ნაწერებში გამოყენებული და მითითებული მხატვრული სახეები, როგორც ჩვენი მკითხველისათვის ნაცნობი სამყარო, როგორც მხატვრული აზროვნების აქტიური მასალა, როგორც ლიტერატურული ასოციაციების ელემენტი; „მე მზად ვიყავ ჩავმჯდარიყავ ვაგონში, როგორც პატივცემული რეპეტილოვი და მეთქვა: „წამიყვანეთ სადმე!“ „მანილოვის ფანტაზიებში წავედი“; გათენებისას იაგნიცკიმ „წამიკითხა პუშკინის ლექსი „მეთევზეები“; მომაგონდა ის ადგილები „ვაი ჭკუიდან“;[1] ნ. ნიკოლაძის ნარკვევის — „სხვათა შორის“, იდეურ პათოსს აძლიერებს მასში ჩართული ნეკრასოვის ლექსები. მთლიანად მოაქვს ნ. ნეკრასოვის „Родная Земля, назови мне такую обитель“, პ. უმიკაშვილს[2]. ნ. ჩერნიშევსკის რომანიდან („Что делать?“) ამოღებული ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმარით (თარგმანითურთ) იწყებს ნ. ნიკოლაძე ფელეტონს-„საახალწლო“[3] და სხვ.

ჩვენს მწერლებს შესისხლხორცებული ჰქონდათ რუსული ლიტერატურის უახლესი მონაპოვარიც. „თუ რუსეთის გაცნობა გსურთ,... წაიკითხეთ შჩედრინის თხზულებანი. აი, ის იცნობს ჭეშმარიტად რუსეთს“. „...მაშინ აღარ იქნებიან პროფესორები, რომელთაც ოსტროვსკის სახელი გაგონილიც არა აქვთ...“ — ამბობს დავით ერისთავის მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი.

„კრებულმა“ აღამაღლა ქართული ლიტერატურული ტრადიციის როლი აქტიურ შემოქმედებით პროცესში; მან არათუ დასძლია ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი წინა წლებში შესამჩნევი ერთგვარი ინდეფერენტიზმი, არამედ წარმატების პირობად გამოაცხადა მისი შემოქმედებითი ათვისება.

ყურადღებას იქცევს ჟურნალის ჟანრობრივი მრავალფეროვნება. „კრებულში“ იბეჭდებოდა პოემები, ლირიკული და სატირული ლექსები, მოთხრობები, რომანები და ნარკვევები, ფელეტონები და დრამატული სცენები, კომედია, ტრაგედია

---

[1] დავ. ერისთავი, „წყლებზე“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

[2] პ. უმიკაშვილი, „არსენა“, „კრებული“, 1872 წ., № 7.

[3] „კრებული“, 1871 წ., № 1.

და დრამა, ხალხური ლექსები, ანდაზები, სიმღერები და გამოცანები; განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი „მოგზაურობანი“.

ლიტერატურული პროდუქციის ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება, განსაკუთრებით დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალი, საერთოდ, მასალის ნაკლებობას განიცდიდა და პარალელურად არსებულ „ცისკარსა“ და „მნათობში“ იმ დროს ღირსშესანიშნავი, თითქმის, არა დაბეჭდილა რა. ვინც 60—70-იანი წლების ქართულ ლიტერატურას იცნობს, კარგად მოეხსენება, რომ 1863 წლიდან („საქართველოს მოამბის“ დახურვიდან) 1871 წლამდე („კრებულის“ დაარსებამდე) და 1873 წლიდან („ივერიის“ პერიოდამდე), თითქმის არც ერთი რიგიანი თხზულება არ დაწერილა. ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს ლიტერატურული ჟურნალის როლს მწერლობის განვითარებაში, კერძოდ, „კრებულის“ დამსახურებას.

რედაქციამ შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარა იმ დროის ყველა ნიჭიერ მწერალთან; მისი დაკვეთითა და წახალისებით დაწერა ილია ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილი, დაამთავრა „აჩრდილი“, საბოლოოდ გაჩალხა „დედა და შვილი“, „მგზავრის წერილები“ და სხვა ნაწარმოებნი. ამავე სტიმულის ნაყოფია: დ. ერისთავის — „წყლებზე“, ი. ნათაძის — „მგზავრის შენიშვნები“ და ბევრი სხვა თხზულება. ამ საქმეში რომ ჟურნალი თვითდინებას გაჰყოლოდა, იგი ერთ წელსაც ვერ გასტანდა და მრავალი შესანიშნავი ლექსი თუ მოთხრობა, რომელიც დღეს ფასდაუდებელ განძად მიგვაჩნია, უთუოდ, არ გვექნებოდა.

რედაქციის წევრები სოფელ-სოფელ დადიოდნენ მასალების შესაკრებად (პ. უმიკაშვილი სამჯერ ასულა სტეფანწმინდას დიმ. უაზბეგთან მოთხრობებისათვის), მაგრამ იდეურმხატვრული მომთხოვნელობას რედაქცია მაინც არ ასუსტებდა და მკაცრი შერჩევით აქვეყნებდა თხზულებებს, — ითვალისწინებდა: „შეგვეფერება ჩვენ თხზულება, ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რამე ზემოქმედება თუ არა?“ (ნ. ნიკოლაძე). ამასთან, დაბეჭდვის საკითხს მთელი რედაქცია წყვეტდა, რადგან, ერთი კაცის „გემოვნებას... სასტიკს საზღვარს ვე-

რავინ განუსაზღვრავს“ (პ. უმიკაშვილი). უნიჭო, უიდეო ნაწერები კი, როგორც ჩანს, „კრებულს“ ბლომად მისდიოდა. ე. წ. „უიღბლო გენიოსები“ ხომ ლიტერატურას ყოველჟამს ჰყოლია აქვიატებული; ამ ასპარეზიდან მოძალადეთა გაძევება ისე ადვილი როდია, როგორც ოპერის სცენიდან უნიჭო მომღერლის სტვენა-ყიჟინით დაფრენა ბევრი ძალად პოეტი აქვიატება ხოლმე პოეზიას, ხმის ჩახლეჩამდე „მღერის“ და ჩვენც გვაიძულებს მოვუსმინოთ. „კრებული“ დიდ პრინციპულობას იჩენდა მათ მიმართ, — უკანვე უბრუნებდა ავტორებს დაწუნებულ ლექსებსა და მოთხრობებს.[1]

რეცენზიებში, სხვათა შორის, კატეგორიულად დგას „სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავ“ ნაწარმოებთა შექმნის საკითხი.[2] გასართობობა, სასიამოვნო საკითხაობა, ხალისიანობა ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა, რომელსაც მოითხოვდნენ მხატვრული ლიტერატურისაგან. „რაც იწერება ქართულად, — ვკითხულობთ ნიკ. ყიფიანის რეცენზიაში. — იმასაც კითხვით ძალიან ნაკლებად კითხულობენ. უბედურება ის არის, რომ ლიტერატურა... კითხვის ხალისსაც ვერ ჰბადებს ქართველ საზოგადოებაში... „კრებულის“ გამომცემლებს მოუნდომებიათ... ისეთი საქმე, რომელიც აქამომდე ყველა მწერალსა და მთხზველს ავიწყდებოდა: განუღვიძოს მკითხველს სურვილი და ხალისი კითხვისა, შეაყვაროს ქართული წიგნის კითხვა“. „..ჩვენი საზოგადოება ახლა ასეთ გონებით მდგომარეობაშია, რომ იმას კითხვაში წახალისება ეჭირვება. არაფერი არ წაახალისებს ისე ჯერ შეუჩვეველს კითხვაში, როგორც კარგი მოთხრობები, რომანები, კომედიები და ლექსები. რასაკვირველია, საჭიროა რომ სიამოვნების გარდა, ეხლანდელ ნაწერებში ჩვენი მკითხველი სარგებლობას ხედავდეს“, — წერდა სერ. მესხი.

მხატვრული ნაწერების დამაინტერესებელ მხარეზე, მის „თავშესაქცევრობაზე“, ასევე დაბეჯითებით წერდნენ, აგრეთვე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „ჩემ პიროვნებაზე“, „კრებული“, 1873 წ., № 7.

[2] „დროება“, 1871 წ., № 16.

ღრმა იდეურობით, დემოკრატიული შინაარსითა და რევოლუციური სულით „კრებულის“ ნაწერები ახალი საფეხურია ჩვენს ლიტერატურაში, წინსვლაა კრიტიკული რეალიზმის გზაზე, განვითარებაა „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურული ტრადიციებისა; იგი პროგრესული ტენდენციურობით ასახავს ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებას, აელენს მის შინაგან წინააღმდეგობებს; უარყოფს მოძველებულს და წინ სწევს ახალსა და საიმედოს, წარმოაჩენს საზოგადოებრივი უკუღმართობის ფესვებს. მხატვრულად განსახიერებული ყოველი ფაქტი, თვითეული მხარე ადამიანის სულის გამოვლინებისა შეიგრძნობა როგორც დიდი საზოგადოებრივი სინამდვილის განუყოფელი ელემენტი და ნიშანთვისება; ხელს უწყობს მის შემეცნებას, მის საიდუმლოებებში ჩაღრმავებას, ამაღლებს საზოგადოებრივ შეგნებას, განამტკიცებს ადამიანური ღირსებისა და მოვალეობის აზრს, ჰგმობს ბოროტებას, წარმოსახავს უკეთესი მერმისის იდეალს.

„კრებულის“ პოეზიასა და პროზაში, დრამატურგიასა და ზეპირსიტყვიერებაში გადმოცემულია ხალხის ვწუხარება, მისი ფიქრი და ოცნება, მისი უკმაყოფილება და ლტოლვა, დიდ სოციალურ მოვლენათა სიღრმისეული, ტენდენციური და პერსპექტული ასახვა განაპირობებს ამ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ზემოქმედების ძალას. სხვადასხვა თხზულებაში, სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად ირეკლება კაცის ბედი და უბედობა, მაგრამ მიზეზთა მიზეზი პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული უთანასწორობა ყოფილა მუდამ. თემების, სიუჟეტების, თვით ჟანრებისადმი ინტერესიც კი, საზოგადოებრივი ცხოვრების კარნახით, მათი სოციალური აქტუალობით არის განსაზღვრული. სიახლენი თავს იჩენს როგორც თემატიკაში, ისე იდეურ-მხატვრულ გადაწყვეტაში.

მაშინაც კი, როცა ამ თხზულებებში ინტიმური განცდებია გამოხატული, როცა წინა პლანზე ერთი ან რამდენიმე ინტელიგენტია წამოწეული, — ამ განცდათა სიღრმეში, ამ პერსონაჟთა სიტყვასა და საქმეში ხალხის ხმა ისმის, — ხალხის განწყობილება იგრძნობა. ხალხის ისტორიის მამოძრავებელი ძალაა, ხალხი უკმაყოფილოა, ხალხი მართალია, ხალხი მებრძოლია, ხალხი

წარსული, აწმყო და მომავალია; რა აწუხებს ხალხს, რა მოუხდება ხალხს, რა სატკივარი აქვს და რა წამალი ესაჭიროება მას, — აი, რა კითხვებზე უპასუხებს თითქმის ყველა ნაწარმოების დედააზრი. ხალხის სამსახური ჩვენი მწერლების იდეური ჩირაღდანი და მათი ნაწერების უკვდავების საწინდარია. ისინი სტიქიურად, მხოლოდ „მინიჭებული მადლით“ როდი აღწევდნენ ამას, — თავადაც ხალხში ტრიალებდნენ, მის გულსა და სულს იცნობდნენ და ღრმად შეგნებული ჰქონდათ, რომ: „ჩვენს მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოსაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკსა და ენას მივეჩვევით და იმნაირს წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდინ და გონებამდის მიღწევა შეეძლება. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულსა და გავლენას და მარტო ამით შევაძლებინებთ იმას (მწერლობას) ხალხის სამსახურს“. [1]

ლიტერატურამ თავს იდო ხალხის ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის ამოცანა, მისი გათვითცნობიერება და მომზადება, ერთგვარი სოციალური ანალიზი. ყოველივე ამის შედეგად, ახალი განათება ეძლევა ჩვენი მწერლობის წარმმართველ მოტივს — პატრიოტიზმს. ეროვნული იდეა დიდი შთამბეჭდაობითა და რეალისტური სიმართლით ვლინდება სხვა იდეებთან განუყოფელ კავშირში, რომელიც თავის მხრივ, ცხოვრების მრავალფეროვნების სწორად ასახვიდან გამომდინარეობს. სოციალური ურთიერთობის მწვავე მოვლენებისაგან განყენებულად, თვითმიზნურად მისი მოწყვეტა და „მაღლა დაყენება“ არყევდა ბუნებრიობას, გულწრფელობას, აშიშვლებდა ტენდენციას. „კრებულის“ ავტორები განსაკუთრებულ ეფექტს აღწევენ სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეათა სიღრმისეული ერთიანობის ჩვენებით. სოციალური კონფლიქტების ფონზე, ხშირად, პატრიოტული გრძნობა, თითქოს, მოულოდნელად შემოიჭრება წინა პლანზე, ბუნებრივად მოჰყვება სოციალური წინააღმდეგობების გაღრმავებას, სიუჟეტისა და

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 5—6.

ხასიათების ლოგიკურ განვითარებას, თავს იჩენს ცხოვრების კანონზომიერ დინებაში, როგორც მისი განუშორებელი რამ ნაწილი. იგი ახლა წინანდელზე უფრო ღრმად მოტივირებულია, რადგან უშუალოდ ცხოვრებისეულ მოვლენებში, ცოცხალ სიტყვასა და მოქმედებაში მჟღავნდება.

თვალსაჩინო ისტორიულ მოვლენათა ახლებური ინტერპრეტაცია, წარსულის სოციალური თვალთახედვით გაშუქება, აქტუალურ საზოგადოებრივ ამოცანათა მიხედვით, ფაქტების ნამყოს, აწმყოსა და მყობადში გადაადგილება, ცნობილი ამბების ახალ იდეურ-მხატვრულ ასპექტში წარმოსახვა და, აქედან გამომდინარე, ისტორიული მასალისადმი თავისუფალი დამოკიდებულება, ისტორიულ მოვლენებში ჩაღრმავება მწერლებს საშუალებას აძლევს, უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ ხალხის როლი, ხოლო ხალხის წარსულისა და აწმყოს რეალისტური ასახვა — მისი სულისა და გულის, აზრისა და გრძნობის, ჩვეულებისა და ადათის „წარმომშობი ერის შნოსა და კილოზედ“ [1] გამოხატვა, აფართოებს ჩვენი ლიტერატურის ნაციონალურ ხასიათს. ამ დროს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეები უშუალოდ იჭრება და ჟღენთავს მხატვრულ ლიტერატურას, რასაც ასაზრდოებს, როგორც ეროვნული ნიადაგი, ისე რუსეთისა და ევროპის რევოლუციური მოძრაობა და მწერლობა. ი. ტურგენევის გენიალურმა რომანმა „წინა დღით“ და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მგზნებარე წერილებმა ხალხთა პატრიოტული შემართება შარავანდედით შემოსა. დიმიტრი ინსაროვი და ელენა სტახოვა თავისუფლებისათვის მებრძოლთა, ყველა კეთილშობილ ადამიანთა საოცნებო გმირებად იქცნენ. მთელი რუსეთი აღაფრთოვანა ელენა სტახოვას წამოძახილმა: „სამშობლოს განთავისუფლება! ამ სიტყვების წარმოთქმაც კი შიშს მოჰგვრის ადამიანს, იმდენად დიადია ის“.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან უჩვეულოდ გაფართოვდა ქართველი კაცის საერთაშორისო-პოლიტიკური ხედვისა და

---

[1] ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი, „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, „დროება“, 1870 წ., № 2.

ინტერესების არე, რამაც მხატვრულ ლიტერატურაზე სათანადო გავლენა მოახდინა. საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა ქართული ლიტერატურის აქტუალურ თემებად იქცნენ. „კრებულის“ მხატვრულ ნაწერებში ქართველ კაცს პირველად ვხედავთ ევროპის სარბიელზე, პარიზისა და ჟენევის ქუჩებში, იქაური ცხოვრებისა და საქმეების მონაწილედ და, ცხადია, ამ გარემოებამაც თავისი ნიუანსები შემოიტანა ლიტერატურაში, გაამრავალფეროვნა ხასიათები, სიტუაციები, პოლიტიკური კონფლიქტების შინაარსი. ქართულ ლიტერატურაში გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე ოდესმე, მკვიდრდება უცხოური თემა, — საკაცობრიო სულიერი საგანძურიდან მხატვრულ მეტყველებაში ახალი ეპითეტები, შედარებები და პარალელები შემოვიდა.

„მგზავრის წერილებში“ გ. წერეთელმა თავისებურად სცადა, რომ საერთაშორისო თემებისათვის მოქალაქეობრივი უფლება დაემკვიდრებია ჩვენს ლიტერატურაში. მიიმწყვდია რა ღრმად განათლებული, მოწინავე პოლონელი რევოლუციონერის ხ-სკის პოლემიკის ქარცეცხლში, ავტორმა გამანადგურებლად დასცინა გონებაშეზღუდულ კიკოლიკს. „ღმერთო ჩემო! მაშ, კაცია ის, ვინც ეხლანდელ ევროპის ცხოვრების მოძრაობას ყურს არ უგდებს!“ -- ამბობს ხ-სკი.

გ. წერეთლის „მგზავრის წერილების“ ერთ ნაწილში მოქმედება პეტერბურგში მიმდინარეობს, ხოლო მოთხრობის მთავარი გმირი არის პოლონელი სტუდენტი, რომელიც თვით ავტორის ზნეობრივ-პოლიტიკურ იდეალს განასახიერებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენს სამოციანელებს ეს იდეალი ყველა მოწინავე, დაჩაგრული, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის საერთო იდეალად მიაჩნდათ და ამით სავსებით გადალახული ჰქონდათ ეროვნული შეზღუდულობა. დ. ერისთავის პერსონაჟები ფრანგები და გერმანელები არიან; ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, თითქმის, მთელი ევროპის ფონზე იშლება. ანტ. ფურცელაძის ერთ-ერთი მოთხრობის („ვაი მართალთა“) გმირი — მიხაკო, ქართველი კაცისათვის უცხო გარემოში — პარიზის კომუნის ბარიკადებზე, ცნობილი დელაკლუზის გვერდით აღმოჩნდა.

შორეული ჰორიზონტებიდან სამშობლოს ეს ახლებური ხილვა, კაცობრიულის ეს მახლობელი განცდა ამდიდრებს და აფაქიზებს პატრიოტულ შეგნებას. სამშობლოზე პოეტური წარმოდგენა გაფართოვდა და ამაღლდა, შეცნობადი გახდა, რომ პატარა საქართველო თვალუწვდენი მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია.

„კრებულის“ შემოქმედება ღრმად ჰუმანისტურია და, ამ მხრივაც, წინ გადაგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში; ადამიანისადმი თანაგრძნობა, გაჭირვებულის სიბრალული, დაცემულის აღდგენა, მოყვასისათვის თავგანწირვა აქ თვით ადამიანობის გადამწყვეტ თვისებად გვესახება და სოციალურ-ეროვნული ასპექტიც მუდამ საგანგებოდაა განათებული. ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, ადამიანთა შორის მტრობისა და სიძულვილის მიზეზი ის არის, რომ ისინი არ იცნობენ ერთმანეთს, არ სურთ ერთმანეთის სულში ჩახედვა, გაურბიან, და ამიტომ, უფრო შორდებიან ერთმანეთს. დიდმა ჰუმანისტმა მწერლებმა მიზნად დაისახეს გადმოეშალათ დაჩაგრულ ერთა და კლასთა შვილების ცხოვრება და სული. ასეა ეს ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“, „საბრალონში“, „კაცი, რომელიც იცინის“,—დიკენსისა და ბიჩერ-სტოუს რომანებში. ლევ ტოლსტოიმაც ამ მიზნით გვიჩვენა „ჰაჯი მურატში“ უშიშარი და გონებაგამჭრიახი მთიელი. ლიტერატურა თავისებური ხელოვნებაა ადამიანის სიყვარულისა; ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები კაცთსიყვარულით სუნთქავს და გვაღელვებს; განურჩევლად იმისა, დადებითი გმირები მოქმედებენ მასში, თუ უარყოფითი, მწერალსა და მკითხველს გულს უთრთოლებს ადამიანის სიყვარული, მისი ბედი. რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს ჰუმანისტური სულისკვეთება ლიტერატურის უდიდეს მონაპოვრად მიაჩნდათ. ბ. ბელინსკისადმი მიძღვნილ ლექსში, ნ. ნეკრასოვი განსაკუთრებული პათოსით გამოჰყოფდა ამ მხარეს. ხელოვანს უველგან და ყოველთვის ადამიანის სიყვარულით სავსე გული უნდა უძღოდეს ლამპრად. მაგრამ, კაცთმოყვარების მორალისტურ გაგებას, — „შემწყნარებლურ ჰუმანიზმს“ (მაგ. დიმ. ყიფიანის „ზვიმა“), „კრებულის“ ნაწერებში

სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლა, რევოლუციურ-დემოკრატიული ჰუმანიზმი სცვლის. რადგან ჩვენი მწერლების შემოქმედებითი მეთოდი — კრიტიკული რეალიზმი, ემყარებოდა დადებით იდეალებს — სოციალურ და ეროვნულ თანასწორობას, პატრიოტიზმს, ჩაგრულ ხალხთა მხარდაჭერას, ბუნებრივია, რომ ეროვნული სოლიდარობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეას დიდი ადგილი უკავია მათ თხზულებებში. მას საფუძვლად უდევს ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებაზე განუყოფელი წარმოდგენა, მსოფლიოს ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პათოსი, ხალხთა მეგობრობისადმი მიდგომის რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისი, რომელიც ყოველ ერში გმობს რეაქციულს და მხარს უჭერს პროგრესულს. ივი მწვავე სოციალური კონფლიქტების ფონზეა გადატანილი და მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალურ-კლასობრივი ასპექტი გააჩნია.

პატრიოტულისა და ზოგადკაცობრიულის ეს ურღვევი მთლიანობა, რომელსაც ინტერნაციონალიზმამდე მივყავართ, კარგად ჩანს იმ ნაწარმოებებში, რომლებიც ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი და სოციალურ-კლასობრივი ბრძოლებისადმია მიძღვნილი (გ. წერეთლის — „მგზავრის წიგნები“, დ. ერისთავის — „წყლებზე“, ნ. ნიკოლაძის — „სხვათა შორის“, ი. ჭავჭავაძის — „კომუნის დაცემის დღე“ და სხვ.).

თხზულებანი პარიზის კომუნაზე (ნ. ნიკოლაძე, დ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე) საინტერესოა როგორც რევოლუციურ-ჰუმანისტური სოლიდარობის თვალსაზრისით, ისე, ქართველი ინტელიგენციის სულიერ-პოლიტიკური ბიოგრაფიის გასათვალისწინებლად.

ხალხთა საბრძოლო სოლიდარობის ამგვარი გაგება, მისი დემოკრატიული ფორმა და შინაარსი, — სინამდვილის უარყოფითი მხარეების მხილება და დადებითი იდეალების განხორციელების რწმენა აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ქართველ სამოციანელთა კრიტიკულ რეალიზმზე. ყველა ხალხისადმი გულწრფელი პატივისცემით გაჟღენთილი ნაწარმოებები ჩვენს მკითხველს უვითარებდა სპეტაკ მორალურ თვისებებს, ამაღლებულ აზრსა და გრძნობას, დიდ აღმზრდელობითს როლს

ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. იგი ხელს უწყობდა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებულ სხვადასხვა ერის მშრომელებთან შეკავშირებას, ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობის გამთიშველ, წამქეზებლურ პოლიტიკას.

„კრებულის“ ნაწერები გამოირჩევა ღია ტენდენციით, მოვლენებისა და სიტუაციებისადმი დამოკიდებულების პირდაპირი გამოხატვით, რაც უდავოდ, ავტორთა პოლიტიკური მგზნებარების დადასტურებაა, მაგრამ მათი ზემოქმედების ლიტერატურულ ღირსებაზე კი უარყოფითად მოქმედებდა, თუმცა, ეპოქის სულისკვეთების გამო, ეს ნაკლოვანებანი იმ დროს არცთუ ისე საჩოთირო იყო. გ. პლეხანოვი არ ფარავდა ნ. ჩერნიშევსკის რომანის — „რა ვაქეთოთ?“ გამჭვირვალე ტენდენციურობასა და მხატვრულ სისუსტეს, მაგრამ აღფრთოვანებით წერდა, რომ ამ თხზულებამ დიდი ზნეობრივი სიწმინდე და სიმტკიცე ჩაუნერგა მოწინავე რუსი ინტელიგენციის მთელ თაობებსო. საყურადღებოა, რომ „კრებული“ სამაგალითოდ თვლიდა პარიზის კომუნის მონაწილე ფრანგ მწერალს როშფორს, რადგან მის ნაწარმოებებში პოლიტიკური მიზანი პირდაპირ ჩანს.

„კრებული“ დაჟინებით იცავდა პუბლიცისტურ სტილს, ასაბუთებდა მის უპირატესობას და, ზოგჯერ ყოველივე ზღვარსაც შლიდა მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკას შორის; შეუძლებელია დავივიწყოთ, რომ ამ პერიოდში ი. ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების სცენებს“ „კაცია ადამიანზე“ მაღლა აყენებდნენ და „დიდი ლიტერატურის“ ნიმუშად თვლიდნენ; ფსიქოლოგიური ჩაღრმავება, ლირიკული წიაღსვლები, ემოციური კონფლიქტები, თითქმის სანტიმენტალიზმად გამოცხადდა და ყველაფერი ეს, მარცლაც იყო სანტიმენტალიზმის რეაქცია. „კრებულის“ შემდეგ ამ ტენდენციამ ცალმხრივი მიმართება მიიღო; 1878 წელს გ. თუმანიშვილი უკმაყოფილოდ შენიშნავდა: „ჩვენს ახალ მწერლობას უფრო პუბლიცისტიკური ხასიათი აქვსო“.[1]

---

[1] „ალმანახი შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან“, 1.

დადებით გმირთა ასეთი მდიდარი გალერეა, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანთა ასეთი მთლიანი ხასიათები, „კრებულამდე“ ჩვენს ლიტერატურაში არ გვხვდება. ეს მოქადაგე პერსონაჟები, მეტწილად მთხრობელის (ლირიკული გმირის) სახით წარმოსდგებიან, რაც უთუოდ, ამძაფრებს შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით შესამჩნევია, სხვა ერის დადებით გმირთა წინა პლანზე წამოწევა.

ახალმა შინაარსმა, მისმა ახლებურმა გააზრებამ, ახალმა თემებმა და მასალამ თავისებური კვალი დააჩნია მხატვრულ ფორმას, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ამ იდეათა ასახვის საშუალებანი.

სოციალურ იდეათა გამოვლენის თემატური არე ვრცელი და მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება, ხოლო ასახვის საშუალებათა არსენალიც მდიდარი და ამოუწურავია. მას მრავალი ასპექტი გააჩნია და, თუ ლიტერატურის ისტორიკოსისათვის იგი უკვე საყურადღებოა თავისთავადაც, როგორც საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების გამომხატველი ლიტერატურულ ფაქტი, — შემოქმედებითი ტრადიციის გასათვალისწინებლად, ამასთან ერთად, აუცილებელია აღნიშნული სპეციფიკის თვალთახედვით გავაანალიზოთ ამა თუ იმ იდეაზე შექმნილ თხზულებაში როგორ და რამდენად არის მიღწეული ცხოვრების ასახვის სიმართლე და სისრულე. სახეთა ტიპიურობა, სურათთა შთამბეჭდაობა და ესთეტიკური დამაჯერებლობა.

ამ მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან: „უინტერესო რომანი, უინტერესო პიესა იდეების, აზრების, სახეების სასაფლაოა. მკითხველს ვერაფრით აიძულებ, რომ შეიცნოს სამყარო მოწყენილობის ეზით“ (ალ. ტოლსტოი), ა. ფურცელაძის ნაწარმოებებს — „მაცი ხვიტია“, „სამის თავგადასავალი“, „ვაი მართალთა“, „მართა“, „ჩვენებური საქმის ბოლო“ და სხვ., ეპოქის ისეთი მოწინავე იდეები უდევს საფუძვლად, ჰუმანიზმის ისეთი მაღალი იდეალები ამოძრავებს, — მხატვრულადაც რომ შესაფერ დონეზე იდგნენ (ასახვის სიცხადით, ცხოველმყოფელობით, ხელშესახებობით რომ გვიზიდავდნენ),

ისინი უეჭველად, მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში დაიმკვიდრებდნენ ადგილს.

რა თქმა უნდა, ტალანტსა და ოსტატობასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს ცხოვრების, კერძოდ, არჩეული თემის მთლიანი სამყაროს ცოდნა. იგი, არსებითად, განსაზღვრავს მწერლის, როგორც მხატვრის უშუალობას. მისი, როგორც მოქალაქის გულწრფელობა, ხელოვნებისათვის საკმარისი არ არის. მწერალი ღრმად უნდა იცნობდეს, გრძნობდეს ასასახავს, — გულითა და გონებით სწვდებოდეს მას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია, რომ იგი უშუალო და გულწრფელი იყოს, ხოლო გულწრფელობის გარეშე მხატვრობა არ არსებობს. საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, ხალხის ცხოვრების პირობების, ბრძოლის ქცევის, მიდრეკილების, ზნე-ჩვეულების, ტრადიციის, შინაგანი ბუნების შეგრძნობა, შეცნობა, გარდასახვა, მხატვრული ლიტერატურის ურთულესი ამოცანაა და დიდ გამოცდილებას, დაკვირვებას, გათანაზიარებას მოითხოვს. უამისოდ, შეუძლებელია, რომ ნაწარმოებმა დიდი მღელვარება, სიყვარული (თუნდ, სიძულვილი), სიხარული ან სევდა განგვაცდევინოს. და, რადგან მხატვრულ ფანტაზიასაც კონკრეტული შთაბეჭდილებები ასაზრდოვებს და ამოძრავებს, მწერალი ახლოს უნდა იცნობდეს ხალხის ცხოვრებას...

ლ. ტოლსტოი წერდა: „მე დიდი ხანია გამომიმუშავდა ჩვევა, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები სამი მხრივ განვსაჯო: 1. შინაარსის მხრივ: რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ხალხისათვის ის, რაც ახლებურად აღმოაჩინა მხატვარმა, რადგან ყოველი ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის ხელოვნების ნაწარმოები, როცა ხსნის ცხოვრების რომელიმე ახალ მხარეს: 2. რამდენად კარგი, ლამაზი და შეთანხმებულია მისი ფორმა; 3. რამდენად გულწრფელად აღწერს მხატვარი საგანს, ე. ი. რამდენად სწამს მას, რასაც ასახავს“.

რაოდენ გულწრფელიც არ უნდა ყოფილიყო ანტონ ფურცელაძის სიმპათია ფრანგი ხალხისადმი, „მაცი ხვიტიაში“ წარმოდგენილი საფრანგეთის ცხოვრება მაინც მოკლებული იქნებოდა მხატვრულ გულწრფელობას, რადგან მწერალი არ იცნობდა ამ ცხოვრებას. აუცილებელია დიდი სიკეთე, წრფელი

გული, შინაგანი სითბო, — როგორც კარამზინი ამბობდა, — მაგრამ მაშინაც ყველაფერი ამაოა, თუ მწერალი ხალხის ცხოვრებას არ იცნობს.

ქართულ ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა დიდი ქალაქის სურათები, უცხოელ მუშათა ბრძოლა და განწყობილება, რის შედეგადაც, ქართულ პროზაში გაძლიერდა წერის ექსპრესიული მანერა, დინამიზმი, აჩქარებული, თითქმის, უპაუზო რიტმი, საბრძოლო ინტონაცია (გ. წერეთლის — „მგზავრის წიგნები“; დ. ერისთავის — „წყლებზე“, ნ. ნიკოლაძის — „სხვათა შორის“, აგრეთვე, ანტ. ფურცელაძის „ვაი მართალთა“, რომელიც იმ დროს დაიბეჭდა და ფრიად საინტერესოა ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ).

თხზულებები, რომელთაც ფონად საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა აქვთ („წყლებზე“, „სხვათა შორის“, „ვაი მართალთა“), ახალ, ორიგინალურ ფურცელს წარმოადგენს ქართული პროზის ისტორიაში. ამ ნაწარმოებებში უჩვეულოა წერის ექსპრესიული მანერა, რომელიც სწორად გადმოგვცემს დიდი, მებრძოლი ქალაქის აჩქარებული სულსა და მღელვარებას. სურათები სულმოუთქმელად სცელიან ერთმანეთს, გვაგრძნობინებენ მდგომარეობის დაძაბულობას, მოახლოებულ ტრაგედიას. ასეთ აბობოქრებულ ვნებათა ღელვას, დაჭიმულობასა და პათეტიკას ალ. ყაზბეგის რომანებამდე ვერ ვხვდებით და ამიტომ, ამ ფრაგმენტებს ქართული პროზის სტილის განვითარების გასათვალისწინებლად, უდავოდ, მნიშვნელობა აქვს. მკითხველს იპყრობს მოქმედების განვითარების სისწრაფე და დინამიზმი და ყოველივე ამას, თითქოს, თავისთავად წარმოუშვია ჩვენი იმდროინდელი პროზისათვის უჩვეულო რიტმი — აჩქარებული, თითქმის უპაუზო. ლექსიკური მასალაც — ბრძოლის, იმედის, გამხნევების, პროტესტის, შეურიგებლობის გამომხატველი სიტყვა-გამოთქმები აძლიერებს საიერიშო ინტონაციას.

დესპოტურ საცენზურო პირობებში გაბედულ შეხედულებათა გამოთქმის მოთხოვნილებამ, გააძლიერა მხატვრულ ლიტერატურაში ალეგორიის, კერძოდ, ალეგორიული სატირის მნიშვნელობა (ი. ჭავჭავაძის — „მგზავრის წერილები“; გ. წე-

რეთლის — „მგზავრის წიგნები“ ი. ნათაძის — „მგზავრის შენიშვნები“ და სხვ.). ალეგორიის აზრი მკითხველამდე ადვილად აღწევდა, უფრო მეტი, კიდეც აცხოველებდა და უფრო გასაგებადაც ხდიდა შემოქმედის ჩანაფიქრს და, ამავე დროს, ცენზურას პირდაპირი საბუთიც არ ჰქონდა, ხელი ჩაევლო ავტორის „დანაშაულისათვის“. „კრებულის“ თანამშრომლები, ამ მხრივაც დიდად დახელოვნებულ ოსტატებად წარმოგვიდგებიან. მჭრელი და „შარმოუდებელი“ ალეგორია, თითქმის, ათავისუფლებდა მათ საცენზურო შეზღუდვისაგან. ამას ხელს უწყობდა, აგრეთვე, მწვავე პოლიტიკურ შეხედულებათა დიალოგებში გადატანა, ვითომდა, სასხვათაშორისო რეპლიკები, ეპიგრაფები, ანდაზები, მოხერხებულ ადგილას ჩართული უცხოელ კლასიკოსთა ლექსის სტრიქონები, ისტორიულ-პოლიტიკური კონტრასტები, ასთეისტური პაუზა, — უსიტყვოდ თქმა, „გამოტოვებული თავები“ — მწვავე ადგილების განზრახ გაწყვეტა.

„დროებასა“ და „კრებულში“ სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის პროცესი გაძლიერდა, მწერლობის ენა უფრო დაუახლოვდა ხალხურ მეტყველებას, დასავლური დიალექტებიდან შემოსული ლექსიკური მასალითა და გამოთქმის იერით, უფრო დინამიკური, მოქნილი და ტემპერამენტიანი გახდა. არჭაიზმის საკითხებზე პოლემიკა, „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბესთან“ შედარებით, ჩაცხრა.

ქართული ენის ბუნებისა და ისტორიული განვითარების ზოგად პრობლემებს განიხილავს გ. წერეთელი ვრცელ გამოკვლევაში: „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“.[1] ემყარება რა მიულერის, შლეიხერის, პატკანოვის, ბუსლაევის, სტოიუნინისა და იმ დროის სხვა ენათმეცნიერთა ნაშრომებს, ავტორი იძლევა ქართული ენის ფონეტიკის დახასიათებას და ცდილობს გაარკვიოს სალიტერატურო ენისადმი დიალექტების მიმართება. რამდენადაც მცდარი და ნაკლული არ უნდა იყოს მისი შეხედულებანი, როგორც ასეთი კვლევა-ძიების ერთ-

[1] „კრებული“ 1872 წ., № 7.

ერთი პირველი ცდა, აღნიშნული ნაშრომი, უეჭველად, ინარჩუნებს ისტორიულ-ფილოლოგიურ მნიშვნელობას.

ჟურნალი ვერ ურიგდება „გრძელ, დახლართულ, გადაკვარაჭინებულ“ ფრაზას, — სამწერლო ენის იდეალურ თვისებად სიმარტივესა და უბრალოებას აცხადებს, მოითხოვს, რომ ნაწერს „ხალხის ან საზოგადოების ნამდვილი ლაპარაკის კილო ჰქონდეს“. [1]

სალიტერატურო ენის გამდიდრება — გამრავალფეროვნება, საერთოდ, ხელს უწყობს მხატვრულ სრულყოფას, სულიერ და საზოგადოებრივ მოვლენათა არსში წვდომას, ემოციურობას პერსონაჟის მეტყველების ინდივიდუალიზაციას, ეროვნული და სოციალური კოლორიტის გამახვილებას; მაგრამ „კრებული“, ამ მხრივ, ყოველთვის ვერ ინარჩუნებს ზომიერებას; ხშირად, უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს დიალექტიზმები („იმერიზმები“) და ბარბარიზმები.

მხატვრულ აღმავლობას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ზეპირსიტყვიერების მძლავრი ზემოქმედება; — ფოლკლორულ წყაროს ხალხური სიბრძნე, სინათლე და უბრალოება შემოჰქონდა ლიტერატურაში, — მკაფიოდ იგრძნობა, რომ ჩვენს მწერლებს „ყური უთხოვებიათ ხალხური პოეზიისათვის, მის ხასიათს გაცნობიან, მისი სულით აღვსილან, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამოხატულება... საფუძვლიანად დაუნახავთ და შეუსწავლიათ“. [2]

ამ ნაშრომის მიზანს „კრებულში“ დაბეჭდილ ნაწარმოებთა ამომწურავი ანალიზი არ წარმოადგენს. ბევრი მათგანი საკმაოდ შესწავლილია და, ასეთ შემთხვევაში, უმთავრესად, იმ საკითხთა კვლევა-ძიებით ვკმაყოფილდებით, რომლებიც უშუალოდ, ჟურნალში მათ გამოქვეყნებასთან ან ჟურნალის საერთო იდეურ-ლიტერატურული სახის ჩვენებასთანაა დაკავშირებული.

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 8.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „გლახის ნაამბობზედ“, „კრებული“, 1873 წ., № 5-6.

პოეზია

პოეტური ტალანტი იშვიათი, და უთუოდ ყველაზე ნანატრი მადლია. ჩვენს ლიტერატურას ამ მხრივ საყვედური არ ეთქმის, მაგრამ, ზოგჯერ, ისიც გრძნობდა პოეტების ნაკლებობას. 50-იანი წლების დასასრულიდან 80-იან წლებამდე ქართულ პოეზიას ახალი ვარსკვლავი აღარ შემომატებია. მოლექსე ბევრი გვყავდა, პოეტები კი — ცოტა.

„კრებულის“ დიდი დამსახურება ის არის, რომ მან შეამჩნიდროვა და განამტკიცა ქართული პოეზიის ფრონტი, შემოიკრიბა თავისი დროის ყველა სასიქადულო პოეტი — ილია და აკაკი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, — ფართო სარბიელი გადაუშალა ნიჭიერ ახალგაზრდებს — გ. ჭალადიდელსა და მ. გურიელს, — მიაკვლია და გამოამზეურა სახელოვანი რომანტიკოსების — ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ბარათაშვილის ლექსები, და ყოველივე ამით, მკითხველს მთელი საუკუნის პოეტური მაჯისცემა აგრძნობინა.

ახალი დროის პოეტთა შემოქმედებაში ძლიერდება მოქალაქეობრივი მოტივები, გაბატონებულ ადგილს იჭერს პოლიტიკური ლირიკა, მწვავე სატირა, — მძაფრდება საბრძოლო ინტონაცია, ორატორულობა, პათეტიკური მეტყველება.

„კრებულში“ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები არ დაბეჭდილა (ჟურნალის თანამშრომლები გ. წერეთელი და პ. უმიკაშვილი იმ დროს ცალკე წიგნებად სცემდნენ მათ); გარდამავალი ხანის მწერლობიდან გამოქვეყნდა, მხოლოდ, ავთანდილ ბასტამაშვილის ლექსი „ტფილისის გაოხრებაზე“,[1]

[1] „კრებული“, 1872 წ., № 10—12 (სქოლიოში შენიშვნით: „ეს ლექსი ავთანდილ ბასტამაშვილის ქაღალდებში იპოვა მისმა ასულმა და გადმოგვცა დასაბეჭდათ“).

რომელშიც აღწერილია აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დანგრევა. პოეტი დასტირის საქართველოს მწარე ხვედრს და შურისძიებისაკენ მოუწოდებს მეფე ერეკლეს („ბატონს“):

... ყველნს მიუხტნენ, გაუოხრონ რჯული იმანი,
ომი აჰკიდონ, ზედ მოჰფინონ ცეცხლის წვიმანი.
დრო-ჟამმა უყოს მაგიერი ფასღირებული.
მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს მოთმინებული.

ამ ლექსს პოეტური ღირსება არ გააჩნია და, ეტყობა, ჟურნალმა ის გამოაქვეყნა, როგორც გარკვეული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ა. ბასტამაშვილის მიერ გადმოცემული ფაქტები გ. წერეთელს იმავე ნომრის პუბლიცისტურ წერილში გამოუყენებია ფეოდალური საქართველოს შინაურ განხეთქილებათა დასახასიათებლად.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალ. ჭავჭავაძის სახელით, „კრებულის“ 1871 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა ოთხი ლექსი: 1. „ვაი სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“; 2. „ჰოი წარმავალნო გზასა ქალნო“; 3. „ვისაც გჰსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა“; 4. „ხელოქა ჰკვიანის ლექსი, თავის გულიდამ ამოღებული, თავის საყვარელთან მიწერილი“ (საერთო რუბრიკით: „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმულნი“).

„კრებულის“ რედაქციისათვის ოთხივე ლექსი ილია ჭავჭავაძეს გადაუცია. სქოლიოში ნათქვამია: „ეს ლექსნი დავით რეკტორის, ესე იგი, ცუკიას ხელით არის გადაწერილი. ოთხივე ესენი რედაქციას თ. ილ. ჭავჭავაძემ გადმოსცა დასაბეჭდად“.

ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა 1940 წლის გამოცემაში პირველი ლექსი შეტანილია სათაურით: „ვაჰ, სოფელსა ამას“.[1] „კრებულისა“ და 1940 წლის გამოცემის ტექსტთა შორის განსხვავება ორთოგრაფიული და, ნაწილობრივ, სტილისტური ხასიათისაა.

სტრიქონში: „ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით“,

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი. 1940 წ. ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, გვ. 30.

1940 წ. გამოცემას აღდგენილი აქვს სიტყვა „ხელმწიფენი“, რომელიც, ცენზურის მიზეზით, „კრებულის“ ზოგ ცალში სულ გამოტოვებულია (პუნქტირით), ხოლო ზოგიერთში — წარმოდგენილია გაწყვეტილად: „ ნი“.

შესწორებათაგან „კრებულის“ წაკითხვა მართებულად მიგვაჩნია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: „...შურით შეკრულნი“ (და არა „შურით შემკულნი“, როგორც ეს 1940 წ. გამოცემაშია).

მეორე ლექსი 1940 წლის გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ოჰ, წარმავალნო“.[1]

„კრებულში“ ამ ლექსს დართული აქვს (სქოლიოში) ი. ჭავჭავაძის შენიშვნა: „ეს, მგონია, კაზარმობის დროების ლექსია“; მაგრამ ი. გრიშაშვილს დადგენილი აქვს, რომ იგი დაწერილია არა 1832 წელს („კაზარმობის დროს“), არამედ პოეტის პირველი პატიმრობისას — 1804 წელს.

მესამე ლექსი 1940 წლის გამოცემაში შეტანილია სათაურით: — ვისაც გსურთ“.[2] ხელნაწერში მას სათაურად ჰქონია: „დუგაის მუშა, ხარიბა ქაფშას ხმა“.[3] სქოლიოში ამ ლექსსაც აქვს ი. ჭავჭავაძის შენიშვნა: „ესეც კაზარმობის ლექსი უნდა იყოს“, მაგრამ ი. გრიშაშვილი მასაც 1804 წლით ათარიღებს.

რაც შეეხება მეოთხე ლექსს, ი. გრიშაშვილი წერს: „კრებულში“ „დაბეჭდილია ერთი უცნაური ლექსი, რომელიც ა. ჭავჭავაძისათვის მიუკუთვნებიათ“.[4] მკვლევარს ეს ლექსი, კიდევ ერთ „უცნაურ“ ლექსთან ერთად, „შენიშვნებში“ შეუტანია და პეტიტით აუწყვია. ჩვენი აზრით, მარტო „უცნაურობა“ არ გამოდგება ამ ლექსის უარსაყოფად. „უცნაურობას“, ალბათ, ი ჭავჭავაძე და „კრებულის“ რედაქციაც გრძნობდა, მაგრამ მაინც ჩათვალეს „ალ. ჭავჭავაძის თქმულად“. ისინი უთუოდ სათანადო (იმ დროისთვის ახლობელ) ტრადიციასაც ემყარე-

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, თხზ. 1940 წ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, გვ. 32.

[2] იხ. გვ. 34.

[3] იხ. იქვე, გვ. 219., აგრეთვე: აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 1512.

[4] იქვე, გვ. 285.

ბოდნენ. ამასთან, ლექსი შეტანილია ალ. ჭავჭავაძის ხელნაწერებში, კერძოდ, დავით რექტორისეულ ხელნაწერში.[1] 1886 წელს „თეატრმა“ კვლავ გამოაქვეყნა იგი შენიშვნით: „ეს სახუმარო ლექსები ვითომ სომხისგან იყოს ნათქვამი, ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძის კალამს და მისთვის ვბეჭდავთ“.[2]

„ხელოქას ლექსი“ აღმოსავლურ-აშუღური პოეზიის ეპიგონთა საწინააღმდეგო სატირა და მასში რელიეფურად მჟღავნდება ახალი პოეტური კულტურის რეაქცია, „ევროპეიზმის“ მოციქულთა პოეტური კრედო. იდეურ-ესთეტიკური მრწამსითა და სტილისტური ხერხებით, იგი იმავე ციკლს განეკუთვნებ›, როგორიცაა ალ. ჭავჭავაძის -- „მუხამბაზი ლათაიური“, გ. ორბელიანის -- „სავათნოვას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ და სხვ. ისიც უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილს შეუძლებლად არ მიაჩნია, რომ ეს ლექსი ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს: „იქნება, ალ. ჭავჭავაძემ ოხუნჯობისათვის ხელოქას მიაკუთვნა თავისი საკუთარი ლექსი“.[3]. ვფიქრობთ, აქ მართლაც საქმე უნდა გვქონდეს იდეური მიზანდასახულობის შესაფერ პოეტურ მანერასთან.

იდეურ-შინაარსობრივად, „კრებულში“ დაბეჭდილი ალ. ჭავჭავაძის ლექსები საკმაოდ ეხმიანება ახალთაობის განწყობილებას და ზოგად პოლიტიკურ იდეალებს. მათში გარკვეულად იგრძნობა თავისუფლებისაკენ ლტოლვა, საერთოდ, დემოკრატიული სულისკვეთება, ტირანიისა და სოციალური ჩაგვრის გმობა. ლექსში -- „ვაჰ, სოფელსა ამას“. პოეტი ერთგვარი რეალისტური სიცხადითაც კი ამხელს მახინჯ სინამდვილეს — ღარიბ-ღატაკთა მტრებს, მტაცებლებსა და მოძალადეებს, სოციალურ უთანასწორობას, ხალხთა გამაჩანაგებელ ომებს; არც ხელმწიფესა და მის მოხელეებს ინდობს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ლექსი მთავრდება ძლიერი, იმედიანი სტრიქონებით, რომელთა წინასწარმეტყველურ აზრს 70-იანი

---

[1] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. № 1512, № 1511.

[2] „თეატრი“, 1886 წ., № 2.

[3] ალ. ჭავჭავაძე, თხზ. 1940 წ., გვ. 286.

წლებისათვის არათუ დაკარგული ჰქონდა მნიშვნელობა, უფრო მეტი აქტუალობითაც კი ჟღერდა:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთა ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას.
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

რაც არ უნდა ვთქვათ, უდავოა, რომ ეს ნაწარმოები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგად დემოკრატიული სულითა და XIX საუკუნის დასაწყისის ყველაზე პროგრესული იდეებითაა შთაგონებული და გამსჭვალული.

ამ ლექსის პუბლიცისტური ქარლო მეტად მახლობელი უნდა ყოფილიყო „კრებულისათვის“.

სამართლიანი ბრძოლისათვის დასჯილი ადამიანის გულის მდუღარება და დატყვევებულ სამშობლოზე უნუგეშო სევდაა გამოხატული ლექსებში: „ოჰ, წარმავალნო“ და „ვისაც გსურთ“. პირველში მოწოდება და საბრძოლო წაქეზებაც ისმის.

ამ ლექსთა პატრიოტული იდეა და დაუმორჩილებლობის სულისკვეთება ახალ ვითარებაშიც ინარჩუნებდა ცხოველმყოფელობას.

გრიგოლ ორბელიანი

ლიტერატურული მემკვიდრეობითობის საუკეთესო დადასტურებაა, რომ „კრებულის“ პირველი ნომერი იწყება დიდი რომანტიკოსის გრ. ორბელიანის პოემით — „სადღეგრძელო“. ამ ჟურნალშივე ნ. ნიკოლაძემ პირველად მოგვცა, როგორც აღნიშნული პოემის, ისე გრ. ორბელიანის მთელი შემოქმედების სწორუპოვარი იდეურ-მხატვრული ანალიზი.

„კრებულში“ პოემა იწყება სტრიქონებით:

აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც ჰყვნენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟკაცნი, რომელნი ლხინით გვალხენდნენ?

გრ. ორბელიანის თხზულებათა 1959 წლის გამოცემაში ეს ადგილი (მიძღვნა) გადატანილია პოემის დასასრულს (ეპილოგად).

„კრებულში“ „სადღეგრძელო“ მთავრდება სტრიქონებით:

დასრულდა, განკრა სიზმარებრ ესე ლხინიცა ღამისა,
წავიდეთ, სადაც ბიგუეწოდს ხმა საიდუმლო მხვედრისა!..

1959 წ. გამოცემაშიც [1] პოემა ამ სტრიქონებით მთავრდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიძღვნას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, აქ სულ ბოლოს არის დართული.

1871 წ. ივ. კერესელიძემ „სადღეგრძელო“ ცალკე წიგნად გამოსცა და ამ გამოცემას საფუძვლად დაედო „კრებულის“ ან „კრებულში“ გადაცემული ხელნაწერის ტექსტი.

პროფ. აკ. გაწერელიას დასკვნით, „კრებულის“ ტექსტი საფუძვლად დაედო პოემის შემდგომ გამოცემებსაც, გარდა 1928 წ. გამოცემისა, რომელშიც გამოტოვებულია იმპერატორის სადღეგრძელო.

ჟურნალში პოემას წამძღვარებული აქვს მიძღვნა: „თ. ალ. ვ. ორბელიანს“, რომელიც თორმეტ სტრიქონს შეიცავს და პოლემიკური პროლოგის ხასიათი აქვს: „ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვჰსთქვი? და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად, გულს დაშთა და მით ვიტანჯი!“ როგორც ამ მიძღვნიდან და პოემის სქოლიოებიდან ჩანს, ალ. ორბელიანს რჩევა-დარიგებით დიდი დახმარება გაუწევია პოეტისათვის; ის, ასე ვთქვათ, მთავარი კონსულტანტი ყოფილა ისტორიულ საკითხებში, ბევრი შენიშვნაც მიუცია ავტორისთვის და, როგორც ირკვევა, საბოლოო რედაქციაც დაუწუნებია, არ ურჩევია გადაუმუშავებლად მისი გამოქვეყნება. ერთ ბარათში, რომელიც ალ. ორბელიანის სიცოცხლის ბოლო წელსაა დაწერილი, პოეტი ასე „იგერიებს“ მის შენიშვნებს: „პავლემ ჰსთქვა: რაცა დავჰსწერე, დავჰსწერე; მეცა მოგახსენებ, რაცა შემეძლო, ის შევიძელ. კარგია და გავათავოთ! ნუღარ შემიყვან განსაცდელში სხვადასხვა თხრობებით... ჩვენი ისტორია საკვლია დიდი საქმეებით, დიდი მამაცობით და მამულისათვის თავდადებით სიყვარულითა. ყოველთა ამათთვის დიდი

---

[1] გრ. ორბელიანი, თხზულებანი, გაწერელიას რედაქციით, 1959 წ., გვ. 89—147.

მწერლობა უნდა და მას მწერალსაცა „საწერელი ზღვა უნდა“ და მე კი კოდაზე პატარა წყაროს მეტი არა მაქვს“.

ჩვენს მიერ ციტირებული მიძღვნის სტრიქონებშიც, ნაწილობრივ, ამ გაპაექრებისა და მობოდიშების კვალი ჩანს. განწყობილებითა და მიზანდასახულობით, მიძღვნა პოეტის წინასწარ მობოდიშებას წარმოადგენს, ავტორის პოეტურ კრედოს გვაცნობს და მკითხველს ამბის მოსასმენად ამზადებს. ამდენად, იგი წინათქმაა და პოემის პროლოგად უნდა მივიჩნიოთ (როგორც ყოველი მიძღვნა). ამ მხრივ, ჩვენი აზრით, „კრებულის“ ტექსტი შესწორებას არ მოითხოვდა. ვფიქრობთ, თბზულების იდეურ-მხატვრული ლოგიკით, პოემა ისე უნდა დაიწყოს და დამთავრდეს, როგორც „კრებულშია“.

„სადღეგრძელომ“ დაბეჭდვისთანავე მიიქცია ყურადღება. პირველი რეცენზია ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა „ცისკრის“ 1871 წლის მე-2 ნომერში („ბიძია დონიკეს“ ფსევდონიმით).[1]

1871 წელს პლ. იოსელიანმა „კავკაზში“ (№ 22) განიხილა „სადღეგრძელო“ და აზრი გამოთქვა, რომ იგი ჟუკოვსკის პოემის. „Певец во стане русских воинов“, მიბაძვას წარმოადგენდა. პლ. იოსელიანის დაბეჯითებითი ტონი გვაფიქრებინებს რომ აზრი „სადღეგრძელოს“ ჟუკოვსკის პოემასთან ნათესაობის შესახებ, მას თვით გრ. ორბელიანისაგან უნდა ჰქონდეს გაგონილი, მაგრამ ამ მოსაზრებამ, მაინც ცხარე კამათი გამოიწვია.

პლ. იოსელიანის ბიბლიოგრაფიული შენიშვნის გამოსვლისთანავე დაიბეჭდა ნ. ყიფიანის რეცენზია „კრებულის“ პირველ და მეორე ნომრებზე, რომელშიც იგი ამბობს: „ვისაც არ შეუძლიათ გარეგანი შეხედულებისა (ფორმისა) და შინაგანი

---

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ქრესტომათიაში (11) ეს ფსევდონიმი აუხსნელადაა დატოვებული (გვ. 120). სხვათა შორის, ამავე წიგნში (გვ. 548) ივ. კერესელიძის ფსევდონიმი „კუდაბზიკაძე“ ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმადაა გამოცხადებული და მას აქვს მიკუთვნებული პოლემიკური წერილი: „ჩვენი ნაცარქექიების ანუ ორი ვირის თავის მჩხაბავზე“, რაც გაუგებრობის შედეგია. ასეთივე მცდარი შეხედულება აქვს ამ საკითხზე გამოთქმული ი. გრიშაშვილსაც (იხ. აკაკი წერეთელი, დრამატ. თხზ. ტ. V).

თვისების ერთმანეთში გარჩევა, ჰგონიათ, რომ ეს თხზულება („სადღეგრძელო“, ა. კ.) არის რუსი პოეტის ჟუკოვსკის პოემის მიბაძვა („Певец во стане русских воинов“). ჟუკოვსკის პოემა ითვლება რუსულ ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებად და იმისი წაკითხვა თავიდან ბოლომდინ ძნელია იმ მიზეზით, რომ ამ გაგრძელებულ პოემაში აზრი ნაკლებათ სუფევს. „სადღეგრძელო“ სავსეა აზრითა და გრძნობითა, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი... არა! ეს პოემა მხოლოდ ფორმით ემსგავსება ჟუკოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული“.

პ. უმიკაშვილის მიერ 1873 წელს გამოცემული გრ. ორბელიანის თხზულებათა მიმოხილვის საბაბით, ნ. ნიკოლაძემ იმავე წელს გამოაქვეყნა „კრებულში“ საინტერესო წერილი, რომელშიც ვრცლად დაახასიათა გრ. ორბელიანის შემოქმედება. კრიტიკოსის აზრით, „სადღეგრძელო“ უმჯობესი ლექსია გრ. ორბელიანისა და ერთი უმჯობესთაგანი მთელ ჩვენს მწერლობაში“. ახალთაობა პოემას მოუხიბლავს სამშობლოზე აჩაღლებული ფიქრით, საზოგადო გრძნობით, პატრიოტული თავდადების სულით.

ყოველ ეპოქას თავისი ხასიათი, თავისი განწყობილება და მოთხოვნილება გააჩნია. ამის შესაბამისად, ხელოვნების ზოგი ნაწარმოების მნიშვნელობა ხან სუსტდება და თითქმის ქრება კიდეც, ხანაც მკვდრეთით აღდგება, არნახულ ცხოველმყოფელობასა და ზემოქმედებას შეიძენს. „სადღეგრძელო“ იმ დროს დაიბეჭდა, როცა პატრიოტული გრძნობა იდევნებოდა, „თავდადებასა და მსხვერპლად შეწირვას“ ღირსეული ასპარეზი არ ეჩანდა; ახალთაობა ამ დევნის, მოდუნებისა და ეროვნული პესიმიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა და გრ. ორბელიანის პოემაც, ცხადია, ვაჟკაცური შემართებისა და მამულისათვის თავდადების საგალობლად აჟღერდა. პოემაში აღწერილი ქართველი ხალხის გმირული წარსული მკითხველს აწმყოს კონტრასტად ესახებოდა და ეპოქაც კონკრეტულ შინაარსს აძლევდა პოეტის სიტყვებს:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჰაბუკი ხმალსა მისწვდება!
... ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებას ვითა მსხვერპლი.

„სადღეგრძელოს“ ხალასი ეროვნული გრძნობა, სამშობლოს ღირსებით გამოწვეული სიამაყე, მისი ბედნიერებისათვის თავდადება, ობიექტურად, გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს უპასუხებდა. აკი, ამიტომაც აიტაცა და გულთან ახლოს მიიტანა ხალხმა ამ პოემის სტრიქონები:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..

და ბოლოს, პოემის დემოკრატიული მოტივებიც ხელს უწყობდა ახალთაობის სოციალურ იდეალთა დამკვიდრებას. მართალია, ზოგად პოეტურ ფორმაში, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ მაინც გასაგებად და გულში ჩამწვდომად, მგოსანი თავისუფლებასა და თანასწორობას ადიდებდა. მაშინდელი მდაბიო მკითხველი მეტად კონკრეტულ მნიშვნელობას აძლევდა პოეტის ზოგად სენტენციურ და ჰუმანისტურ გამონათქვამებს და, როგორც ხშირად ხდება მხატვრულ ლიტერატურაში, ზოგად პოეტური სახეები მამხილებელ ხასიათსა და ახალ სოციალურ სიმახვილეს იძენდა. ხალხმა თავის გულისხმად მიიღო და ანდაზად აქცია პოემის ბევრი ადგილი:

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი.
ამ აზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულმოკლეობას,
ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგრელს და მისსა უსამართლობას...
მეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას,
ჩიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობას!

„სადღეგრძელო“ ახალთაობისათვის წარმტაცი იყო არა-ჩვეულებრივი ბატალური სცენებით, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის უბადლო სურათებით.

„კრებული“, რომლისთვისაც ხელოვნება შინაარსისა და ფორმის განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენდა, აღტაცებული უნდა ყოფილიყო პოემის მაღალმხატვრულობით; მტკიცედ შეკრული მრავალმოტივიანობით (სამშობლო, სიყვარული, ბუნება, კაცთმოყვარება), მომხიბლავი პეიზაჟებით, ნაჭედი ლექსით, ფრთიანი სიტყვებით, აფორისტული თქმებით, ოდნავ აცაღლებული, მაგრამ სადა, ხატოვანი ენით. — „პოეტური ფერის, შედარებებისა და სურათების ძალა ამ მხატვრობაში სწორედ შეუდარებელი რამ არის“, — წერდა ნ. ნიკოლაძე.

ორიგინალური და შინაარსის შესატყვისი, ტევადი და ხალისიანია პოემა კომპოზიციურადაც. ღრმააზრიანად შერჩეულ სახელოვან ისტორიულ გმირთა ხილვა პოეტს საშუალებას აძლევს საქართველოს მთელი გმირული წარსული გადმოუშალოს მკითხველს, — სადღეგრძელოები ლირიკული დიგრესიების როლს ასრულებს, ავტორის გულისთქმას გვამცნობს და ისტორიულ სურათებს ახლებურად ასხივოსნებს. აღნაგობის ამ ნიშნით, „სადღეგრძელოსა“ და ი. ჭავჭავაძის „აჩრდილს“ ერთგვარი ნათესაობაც აქვთ ერთმანეთთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილმა მხოლოდ 60-იან წლებში, გარდაცვალებიდან ორი ათეული წლის შემდეგ ჰპოვა ჰეშმარიტი აღიარება, და როცა მისი სიდიადე იგრძნეს, პოეტის არქივი მიმოფანტული აღმოჩნდა. ფასდაუდებელ რელიქვიად იქცა თვითეული ლექსი თუ ბარათი. ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთი ნ. ბარათაშვილის ახალი ლექსებით ცდილობდა მკითხველთან თავმოწონებას. იმ დროს მისი პოეზის ბევრი თაყვანისმცემელი დაეძებდა სანუკვარ ხელნაწერებს, მაგრამ ყველაზე მეტი ამაგი მისმა სულიერმა, იდეურმა მემკვიდრეებმა — თერგდალეულებმა დასდეს საამაყო წინამორბედს.

ჯერ „საქართველოს მოამბეში“, შემდეგ, კირ. ლორთქიფა-

ნიძის „ჩონგურში“, დაიბეჭდა რამდენიმე ახალი ნაწარმოები ბოლოს „კრებულმაც“ ისახელა თავი და მკითხველს ნ. ბარათაშვილის ოთხი უცნობი ლექსი და რვა კერძო წერილი გააცნო. იშვიათი აღმონაჩენით გახარებული რედაქცია იუწყებოდა: „დასაბეჭდად ვიშოვეთ ნ. ბარათაშვილის ლექსები და მისი მიწერ-მოწერა, რომელიც ძვირფასია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის“.[1]

ნ. ბარათაშვილის ახალი ნაწერების მიკვლევა და „კრებულში“ გამოქვეყნება, უმთავრესად, პ. უმიკაშვილისა და ი. ჭავჭავაძის დამსახურებაა. როგორც ცნობილია, პ. უმიკაშვილი 1858 წლიდან აგროვებდა სათაყვანო მგოსნის ხელნაწერებს და ნ. ბარათაშვილის ის ლექსებიც, რომლებიც „ცისკარში“ 1860 წლის შემდეგ დაიბეჭდა, მისი მონაპოვარი იყო.

კრებულის“ 1872 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსი — „ზვირთები მოდუდუნებენ“, სათაურით: „რომანსი“. იმავე წლის მე-8—9 ნომერში — ორი ლექსი: „აღშოჰხდა მნათი“ და „არ უკიჟინო, სატრფოო“; 1873 წლის მე-2 ნომერში — „დამჭროლა ქარმან სასტიკმან“.

პირველ ლექსს — „რომანსი“, სქოლიოში აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი, როგორც გვახსოვს, არსად არა ყოფილა დაბეჭდილი“. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში ეს ლექსი შეტანილია სათაურით: „ქეთევან“. ამავე სათაურით დაიბეჭდა იგი 1945 წლის აკადემიურ გამოცემაში.[2]

„კრებულის“ მიერ მიცემული სათაური — „რომანსი“, ჩვენ გაუგებრობის ნაყოფად მიგვაჩნია. შინაარსობრივად ლექსს, მართალია, სასიმღერო-სატრფიალო ხასიათი აქვს, მაგრამ ავტოგრაფებში (ოთხი ავტოგრაფი არსებობს), მას სათაურად აქვს „ქეთევან“. იმ ავტოგრაფს, რომელსაც 1945 წლის გამოცემა ემყარება (თაყაიშვილისეული), ხელით მიწერილი აქვს: „რომანსი“. ჩანს, ეს სწორედ ის ავტოგრაფია, რომლიდანაც „კრებულს“ აღნიშნული ლექსი გადაუბეჭდავს.[3]

---

[1] „კრებული“, 1872 წ. № 10—12. სარედაქციო განცხადება.

[2] ნ. ბარათაშვილი. თხზ. აკად. გამოცემა კ. კეკელიძის მთავარი რედაქტორობით, 1945 წ., გვ. 4.

[3] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 2516.

გარდა სათაურისა, „კრებულისა“ და 1945 წლის აკადემიური გამოცემის ტექსტს შორის სხვა ორთოგრაფიულ-სტილისტური განსხვავებებიც არსებობს.

გ. აბზიანიძის აზრით, ლექსში იგულისხმება ქეთევან შალვას ასული ერისთავი (1819—1907) — ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის (1808—1871) მეუღლე, ყაფლან ორბელიანის დისწული და პოეტის შორეული ნათესავი.[1] შესაძლებელია, „კრებულის“ რედაქციას ამ ლექსს სათაური („ქეთევან“) იმიტომ შეუცვალა („რომანსი“), რომ ქეთევან ერისთავი იმ დროს ცოცხალი იყო.

„კრებულში“ ამ ლექსს თარიღი არ უზის, ხოლო 1922 და 1945 წლების გამოცემებში, ავტოგრაფების მიხედვით, დათარიღებულია 1835 წლით.

მეორე ლექსი — „აღმოჰხდა მნათი“.. პოეტის თხზულებათა ახალ გამოცემებში, ძირითადად, ამავე სახით და ასევე უსათაუროდაა შეტანილი.[2]

ჟურნალში ეს ლექსი უთარიღოდ დაიბეჭდა, ხოლო 1922 წლის და მომდევნო გამოცემებში, ავტოგრაფთა მიხედვით, თარიღი მითითებულია: 1840 წ. მესამე ლექსიც — „არ უკიჟინო, სატრფოო,..“, მეორესთან ერთად, „კრებულის“ 1872 წლის 8—9-ე ნომერში გამოქვეყნდა.

1945 წლის საიუბილეო გამოცემა, ისევე, როგორც 1922 წლისა, ტექსტის გაცილებით უფრო სწორ გაგებას გვაძლევს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ის ავტოგრაფთა შეჯიბრების საფუძველზეა დადგენილი (ორივე ეს გამოცემა, ძირითადად „თაყაიშვილისეულ“ ავტოგრაფს ემყარება). „კრებულში კორექტურულ შეცდომებს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, აქაიქ თვითნებური ამოკითხვის („შესწორების“) შემთხვევებიც გვხვდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „კრებულის“ ტექსტის ზოგიერთი ადგილი ჩვენზე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს და ისინი მით უფრო ანგარიშგასა-

---

[1] გ. აბზიანიძე, „ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი“, „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 379.

[2] ნ. ბარათაშვილი, თხზ. 1922 წ., გვ. 18; თხზ. 1945 წ., გვ. (მე-17 ლექსი); 1954 წ., გვ. 32.

წევად გვეჩვენება, როცა ავტოგრაფიული ვარიანტებიც მხარს უჭერს. აქ, მაგალითად, პირველ გასწორებაში — „გარსა მოვავლო“ დადასტურებულია „ვეზირიშვილისეულ“ ვარიანტში; მეოთხე გასწორება („იყვნენ მარადის, მარადის“) გვხვდება „ვეზირიშვილისეულ“, „ერისთავისეულ“ და „მაიკო ორბელიანისეულ“ ვარიანტში; „კრებულის“: „სოფლის გასათავებლად“, აგრეთვე, დადასტურებულია „ვეზირიშვილისეული“ ვარიანტის მიხედვით. „კრებულში“ არც ამ ლექსს უზის თარიღი; 1922 და 1945 წლების გამოცემებში დათარიღებულია 1841 წლით.

მეოთხე ლექსში — „დამჭროლა ქარმან სასტიკმან“,[1] 1945 წლის გამოცემასთან შედარებით, მხოლოდ, ორიოდე ორთოგრაფიულ განსხვავებას ვპოულობთ, რაც იმის შედეგია, რომ როგორც „კრებულის“, ისე 1945 წლის გამოცემის ტექსტი მიმდინარეობს ერთიდაიგივე ავტოგრაფიდან, რომელსაც 1922 წლის გამოცემაში „მაიკო ორბელიანისეული“ ეწოდება, ხოლო 1945 წლის გამოცემაში — „საგინაშვილისეული“. ავტოგრაფს თარიღი არ უზის, და ამიტომ, ლექსი უთარიღოდ დაიბეჭდა, როგორც „კრებულში“, ისე 1922 წლის გამოცემაში, მაგრამ საიუბილეო გამოცემაში (1945 წ.) პირობითად, 1842 წლით დაუთარიღებიათ.

დიდი ინტერესი გამოიწვია „კრებულში“ ნიკ. ბარათაშვილის კერძო ბარათების დაბეჭდვამ; ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ ჩვენში ეს ლიტერატურულ-ეპისტოლარული მასალის გამოქვეყნების პირველი შემთხვევა იყო, არამედ იმითაც, რომ წერილები შუქს ჰფენდა პოეტის რომანტიკულ სულიერ სამყაროს და, რაც მთავარია, მისი მხატვრული შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

ნ. ბარათაშვილის კერძო წერილების გამოქვეყნების თაობაზე ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი ბარათის დედნები მას თავისი დის — ლიზას (ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლის), საოჯახო არქივში უპოვნია

---

[1] ნ. ბარათაშვილი, თხზ. 1945 წ., გვ. 39, 1922 წლის გამოცემა, გვ. 54. 1873 წ. კირ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილიდან ირკვევა, რომ ეს ლექსი „კრებულისათვის“ ილია ჭავჭავაძეს გადაუცია დასაბეჭდად (საკუთარი ხელით გადაწერილი).

და სიძისაგან მათი გამოქვეყნების ნებართვაც მიუღია (როგორც ჩანს, არც მთლად ადვილად!). 1872 წლის 9 დეკემბერს „კრებულის“ მაშინდელი რედაქტორს, კ. ლორთქიფანიძეს, ი. ჭავჭავაძე სწერდა: „ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ როგორ კარგად შეუმლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰჩანს, მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენმა ერთმა პატივცემულმა პირმა ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, — იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების გარდმომცემელსა“.

ამგვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამია: „Мир управляется слабостями людскими“.

ნიკ. ბარათაშვილის ოთხივე ეს წერილი (მაიკო ორბელიანისადმი), ილია ჭავჭავაძის ზემოთ ციტირებული სარედაქციო წინათქმით, გამოქვეყნებულია „კრებულის“ 1873 წლის პირველ ნომერში. პირველი წერილი დათარიღებულია: „წელსა 1842-სა ოქტომბრის 31-სა“. მეორე: 10-სა აგვისტოს 1845“; მესამე უთარიღოა: „საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ეწუხვარ, რომ ვერ გამოვიცან...“; მეოთხე წერილი ავტოგრაფში დათარიღებულია 1845 წ. 9 დეკემბრით. მაგრამ 1922 წლის გამოცემაში გაუსწორებიათ, ნ. ბარათაშვილი 9 ოქტომბერს გარდაიცვალა და აქ 9 თებერვალი უნდა იყოსო.

ს. მესხი, უთუოდ, საზოგადოების საერთო შთაბეჭდილებას გამოხატავდა, როცა წერდა: „ამ წიგნებში და განსაკუთრებით, პირველ მათგანში ნათლად იხატება ის სულის ბრძოლა, ის „ობლობა“ და ჰაზრის თანაზიარის ნაკლებობა, რომელიც ასე მშვენივრად გამოხატულია იმის ლექსებში („ჩემს მერანს“,

„სული ობოლი“ და სხვ.)... ეს წიგნი 1842 წელშია დაწერილი. თუ ეხლანდელს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ფარნით ძლივა მოსძებნის კაცი... თითო-ოროლა სანუგეშო და გულის დამამშვიდებელ მოვლენას, წარმოიდგინეთ ამ ოცდაათის წლის წინათ რა უნდა ყოფილიყო. როგორ უნუგეშოთ, ობლად და გულმოკლულად უნდა ეგრძნო თავი... ისეთის მაღალ გრძნობისა და იდეალების კაცს, როგორც ნ. ბარათაშვილი იყო?..“

დაინტერესებულ მკითხველთა თხოვნით, ნ. ნიკოლაძეს კვლავ უთხოვია ილიასათვის ნიკ. ბარათაშვილის წერილები, მაგრამ ილია სწერს: „ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ“.

იმავე წელს, გრ. ორბელიანის თანხმობით, პეტრე უმიკაშვილს გადმოუწერია ნიკ. ბარათაშვილის ოთხი წერილი მისდამი: 1841 წლის 28 მაისისა; 1841 წლის 18 ოქტომბრისა; 1842 წლის 2 მაისისა და 1843 წლის 21 აგვისტოსი, აგრეთვე მეხუთე უთარიღო წერილის ნაწყვეტი, რომელსაც ხელნაწერში აქვს გადამწერის შენიშვნა: „ეს ცალ ფურცელზედ იყო ნაწერი. წელიწადი არ არის დანიშნული (უნდა ვკითხო გრ. ორბელიანს)“.

„კრებულის“ 1873 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილ ამ ოთხ წერილს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა: „ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათი დასაბეჭდათ გადმოცემისათვის უგულითადეს მადლობას ვუძღვნით“. ოთხივე წერილი დათარიღებულია და დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

გრ. ორბელიანისადმი მიწერილი ოთხივე წერილი შემდეგ გამოცემებში პ. უმიკაშვილისეული ნუსხის მიხედვით იბეჭდებოდა, რადგან ავტოგრაფები გაიბნა.

„კრებულში“ დაბეჭდილი ლექსები და ბარათები აფართოებდა და აღრმავებდა ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წარმოდგენას, აფაქიზებდა გემოვნებას, ნათლად აჩენდა პროგრესულ თაობათა სულიერ კავშირსა და ლიტერატურული ტრადიციის განუწყვეტლობას. ახალგაზრდობამ საკუთარი სულის სწრაფვა და ნათელი ოცნების გამოსხივება იგრძნო პოეტის სიტყვებში:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთა დღეთ გარსა მოვაველო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოველო;
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველი და ვარდი.

ვახტანგ ორბელიანი

თანამედროვენი ვახტანგ ორბელიანს სიტყვაძვირ პოეტად თვლიდნენ; ათასში ერთხელ თუ დაწერდა რასმე და დაწერილს იშვიათად თუ გაიმეტებდა დასაბეჭდად. გასულ საუკუნეში მაინც დიდი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი.

„კრებულის" 1872 წლის 10—12-ე ნომერში ვახ. ორბელიანის „ძველი მაგრისი" დაიბეჭდა, — ინიციალებით — „ვ. ო."; რომლის მნიშვნელობა მაშინდელი მკითხველისათვის უკვე კარგად იყო ცნობილი. პოეტის თხზულებათა 1881 წლის (ზ. ჭიჭინაძისეულ) გამოცემაში ეს ლექსი „ძველი დმანისის" სათაურით შევიდა და შემდგომ გამოცემებშიც ამ სათაურით იბეჭდება.[1]

„კრებულისა" და უკანასკნელი გამოცემის (1949 წ.) ტექსტს შორის, გარდა შეცვლილი სათაურისა, ორთოგრაფიულ-სტილისტური განსხვავებებიც შეინიშნება. სხვათა შორის, 1894 წ. გამოცემაში სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა, რომელიც 1949 წ. გამოცემაში აღარ შეუტანიათ: „სოფელი დმანისი მდიდრის შენობათა ნანგრევებით ორბელიანის მამულშია, მაშავერის წყალზე. მამულის გაყოფის შემდეგ ერგო ავტორს". 1894 წლის გამოცემაში შეცდომით არის აღნიშნული, თითქო პირველად ეს ლექსი „კრებულის" 1873 წლის 10—12 ნომერში დაიბეჭდა.

არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ძველი მაგრისი" „კრებულის" იდეურ მიმართულებას სავსებით შეესატყვისებოდა. თავისი მინორული განწყობილებითა და უსასოო სევდით იგი პესიმისტური სულის გოდებად, წარსულზე უნუგეშო ოხვრად გვესახება. მაგრამ, იმდროინდელი მკითხველი მას, უწინარეს ყოვლისა, აღიქვამდა, როგორც არსებულის უარყოფას, აწმყოთი

---

[1] ვ. ორბელიანი. თხზ. 1894 წ. (გამოცემა მარიამ ორბელიანისა), გვ. 51, ვახ. ორბელიანი. 1949 წ., რაედენ გვეტაძის რედაქციით, გვ. 25.

უკმაყოფილებას და რამდენადაც სუსტი და პასიური არ უნდა ყოფილიყო ეს უარყოფა, მაინც სინამდვილისადმი პროტესტის გამოხატულებად გაისმოდა. საგულისხმოა, რომ „ივერიის“ რეცენზენტი ამ ლექსში „დაკარგულს ბედნიერებაზედ წუხილთან“ ერთად, მომავლის იმედსაც ხედავდა;[1] პოეტი „მამულის სიყვარულს უსახავდა გულში ქართველს“ და ამას ახალთაობისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ვახ. ორბელიანის შემოქმედებისადმი ახალთაობას წმიდა ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესიც ჰქონდა. მას ეწადა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდა წინა თაობის სულიერ სამყაროს, უფრო მკაფიოდ წარმოესახა ნ. ბარათაშვილის საზოგადოებრივ-ლიტერატურული გარემო, მის თანამედროვეთა და თანაბოლვაწეთა ფიქრი და გრძნობა.

ილია ჭავჭავაძე

„კრებულის“ პოეტური სუნთქვა, მისი იდეური და მხატვრული სიახლენი ცხადად და სრულყოფილად ილია ჭავჭავაძის ლექსებსა და პოემებში იგრძნობა. რაოდენობის მიხედვითაც, ილიამ ყველაზე მეტი პოეტური ნაწარმოები გამოაქვეყნა ამ ჟურნალში და ეს თხზულებანი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის უძვირფასეს ნაწილს შეადგენს. ათი ლექსი და ორი პოემა! — ასეთია ი. ჭავჭავაძის წვლილი „კრებულის“ პოეზიაში. გარდა ამისა, ნიკ. დიმიტრიძის კრიტიკულ წერილში მთლიანადაა მოტანილი მეთერთმეტე ლექსი — „იანიჩარი“, რომელიც პირველად „საქართველოს მოამბეში“ დაისტამბა. ამასთან, გადაწყვეტილი ყოფილა „კაკო ყაჩაღის“ მთლიანად დაბეჭდვაც, რაც, ჩანს, საცენზურო პირობებისა გამო, ვერ მოეხერხებიათ; „კრებულის“ 1873 წლის მე-5—6 წიგნში ნ. ნიკოლაძე საზოგადოებას აცნობებდა: „რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხი ცხოვრებიდამ“, რომლის ზოგიერთი ნაწყვეტი „საქართველოს მოამბეში“ და „ჩონგურში“ იყო დაბეჭდილი, და რომელიც სრულიად „კრებულში“ მალე დაიბეჭდება“ (ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში პ. ინგოროყვა

[1] „ივერია“, 1881 წ., № 8.

წერს, რომ „კრებულში“ დაიბეჭდა, აგრეთვე, ილიას ლექსი — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ [1]. ეს სატირა 1871 წელს არის დაწერილი — შენიშნავს პ. ინგოროყვა — ავტორის სიცოცხლეში იგი ორჯერ დაიბეჭდა: 1871 წელს „კრებულში“ (№ 5) და 1892 წელს“. შემდეგ, მკვლევარს განხილული და შეფასებული აქვს „კრებულის“ ტექსტი. სინამდვილეში—„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ პირველად „ივერიაში“ (1879 წ. № 2, გვ. 57—61) გამოქვეყნდა. პ. ინგოროყვა ამის მიხედვით ათარიღებს როგორც ამ ლექსს, ისე ორ ხელნაწერს: §—4993 და 5169,[2] რაც, აგრეთვე, ეჭვს იწვევს. შინაარსისა და რეალიების მიხედვითაც, აღნიშნული სატირა 1878—1879 წ. წ. უნდა იყოს დაწერილი).

„კრებულში“ იბეჭდებოდა ილიას, როგორც ახალი, ისე ადრინდელი ლექსები. რედაქციამ ისეთი ნაწარმოებების გამოქვეყნებაც შეძლო, რომლებსაც ცენზურა წლების განმავლობაში აკავებდა. განსაკუთრებით საინტერესოა, „კრებულის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ცნობილი ლექსის — „მესმის, მესმის სანატრელი“ დაბეჭდვის ისტორია.

როდესაც ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ გამოცემას შესდგომია, იგი სწვევია 1871 წელს ილიას დუშეთში... ილიას გადმოუცია „კრებულში“ დასაბეჭდად თავისი ლექსები, ამავე დროს, ილიას წაუკითხავს ეს ლექსიც — „მესმის, მესმის სანატრელი“, და თან დაუმატებია, რომ ეს ლექსი გარიბალდის ეხება, რომ მან რამდენჯერმე სცადა ამ ლექსის დაბეჭდვა, მაგრამ, ამაოდ.

ნ. ნიკოლაძეს თავის თავზე აუღია ცენზურისათვის თვალის ახვევა.[3] უდავოდ, ამ მიზნით, ცენზურის მოსაგერიებლად, „კრებულში“ (სქოლიოში) ლექსს დართული აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, გვ. 391, პ. ინგოროყვას რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, გვ. 391, პ. ინგოროყვას რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

[3] პ. ინგოროყვას შენიშვნა, იქვე. გვ. 381—382 (ნ. ნიკოლაძის ჩამბობის მიხედვით).

ავტოგრაფში, ცხადია, ლექსს ასეთი შენიშვნა არ აქვს და იგი, როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. ინგოროყვა, დაწერილია იმ დროს (1860 წ. 29 ივლისს), როცა გარიბალდი გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა, — 10 ივლისს აიღო მესსინა, სიცილიიდან მატერიკზე გადმოვიდა და ნეაპოლის მეფე დაამარცხა.

„კრებულში“ ლექსი, ჩვეულებრივ, უსათაუროდაა დაბეჭდილი, ხელმოწერილია ფსევდონიმით („***“) და დათარიღებულია: 1860 წ. 29 ივლისს. აკადემიური გამოცემის I ტომში იგი თითქმის უცვლელად არის შეტანილი.[1] აკადემიურ გამოცემასთან შედარებით, „კრებულის“ ტექსტს ზოგიერთი საინტერესო სტილისტურ-პუნქტუაციური თავისებურება გააჩნია, რაც, უთუოდ დროის სულისკვეთებას გამოხატავდა, და იმისათვის იყო გამიზნული, რომ მკითხველს უფრო ადვილად შეეცნო ლექსის იდეა.

ამ ლექსს გასაოცარი ცხოველმყოფლობით შემოუნახავს იმ დროის უშუალო შთაბეჭდილება, რომლის შესახებ გ. წერეთელიც წერს თავის „მგზავრის წიგნებში“: ხოროშევსკი გაგიჟებული შემოვარდა ჩვენთან და დაიძახა: „გარიბალდი ნეაპოლში შეიდაო“.. ნ. ნიკოლაძის ცნობაც რომ არ არსებობდეს, ეს ჩვენებაც, მოწინავე სტუდენტობის საყოველთაო აღტაცებაც, საკმარისი იქნებოდა იმის დასადასტურებლად, რომ გარიბალდის გადამწყვეტ გამარჯვებათა დღეებში დაწერილი ლექსი პოეტმა თავის საყვარელ გმირს მიუძღვნა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებითაა გამსჭვალული „კრებულში“ გამოქვეყნებული ილიას ბევრი სხვა პოეტური ნაწარმოებიც. ამ პერიოდში შეიქმნა ჩვენი ცხოვრების მახინჯი მხარეების მამხილებელ და თან იმედით სავსე ილიას ლირიკულ-სატირულ ნაწარმოებთა ციკლი: „რჩევა“, „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“, „ბედნიერი ერი“, „ირლანდიისადმი“ (თომას მურის მიხედვით), რომელთაგან პირველი ორი „დროებაში“ გამოქვეყნდა, ხოლო უკანასკნელი ორი — „კრებულში“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I. პ. ინგოროყვას რედაქციით, გვ. 52 (ამ გამოცემის შენიშვნაში გვ. 433 შეცდომითაა აღნიშნული, თითქოს, „კრებულში“ დაწერის ადგილიც — პაელოვსკი, — იყოს მითითებული).

„ბედნიერი ხალხი“ 1871 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა ფსევდონიმით („***“) და თარიღის აღნიშვნით: 1871 წ. 29 აგვისტო. აკადემიურ გამოცემაში (აგრეთვე. სხვა გამოცემებში) იგი დაბეჭდილია „ბედნიერი ერის“ სათაურით[1]. ამ ორ ტექსტს შორის განსხვავება გამოწვეულია საცენზურო „შესწორებებით“. რამდენიმე მკაცრი მამხილებელი გამოთქმა „კრებულში“ ამოღებულია.

აკადემიურ გამოცემაში გამოტოვებულია „კრებულის“ ტექსტის ქვესათაური: „იტალიანელი პოეტის მიბაძვა“.

საგულისხმოა, რომ აქ, ისე როგორც „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ „პოეტში“, „ერის“ სინონიმად გამოყენებულია „ხალხი“, რომელიც ორგვარი ნიუანსის — ეროვნულის და სოციალურის მატარებელ სიტყვად გვესახება.

ამ მწვავე სოციალური სატირის უშუალო იმპულსს წარმოადგენდა საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე მეორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ძველ და ახალს თაობას შორის ატეხილი დავა. მშობელი ერის მანკიერებათა ძაგებით, პოეტი მისდამი უსაზღვრო სიყვარულსა და თანაგრძნობას იწვევს, მისი განახლების მსურვალე სურვილს გამოხატავს. ასეთი იდეურ-მხატვრული გააზრებით, ეს ლექსი კარგად წარმოგვისახავს ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების მამხილებელი ხასიათის თავისებურებას, რომელიც დევიზის სახით იყო წამოყენებული ადრინდელ ლექსში: „ჩემო კალამო“, — ეს არის — „სიძულვილში გამოხატული სიყვარული“. საზოგადოებამ სამშობლოსადმი ტკივილიანი სიყვარული იგრძნო ამ, ერთი შეხედვით, ღვარძლიან სატირაში. „რამდენი კმაყოფილება და თან მწარე ღიმილი მოგვგვარა ჩვენ (ილია ჭავჭავაძის) ამ მშვენიერმა და გესლიანმა — „ბედნიერმა ხალხმა“, — წერდა ს. მესხი იმავე წელს „დროებაში“.[2]

„კრებულის“ რედაქციის დიდი გამარჯვება იყო ი. ჭავჭავაძის დრამატული პოემის — „დედა და შვილის“ გამოქვეყნება. ცენზურის მიზეზით, ეს საბრძოლო ნაწარმოებიც დიდხანს იდო პოეტის საწერი მაგიდის უჯრაში. პირველი ვარიანტის

[1] იხ. ტ. I, გვ. 83.

[2] „დროება“, 1871 წ., № 39.

წერა ილიამ 1860 წლის 14 ივლისს დაასრულა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ შეძლო. 1870 წელს, უთუოდ, „კრებულის“ რედაქციის თხოვნით, პოეტი კვლავ მიბრუნებია და გადაუკეთებია პოემა.

1871 წ. 19 მარტს იგი პეტრე ნაკაშიძეს სწერდა: „...გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ... შენთან მიწერილი ძღვნის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად...“

პოემა სულ მალე, 1871 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა, მაგრამ ცენზურის სისასტიკემ მას მძიმე დაღი დააჩნია. რედაქცია იძულებული გახდა სათაურშივე ჩაემატებინა შენიშვნა: „დედა და შვილი“. დრამული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდამ ოსმალოებთან ომის წინ“. ავტორის მიერ წარდგენილ ორიგინალში პოემას სათაურად ჰქონია „ქართვლის დედა“, რომელიც ცენზორს ამოუშლია და ავტორს პირველი ვარიანტის სათაური („დედა და შვილი“) აღუდგენია; ნაცვლად „კრებულის“ შენიშვნისა („თამარ მეფის დროებიდამ...“) პირველ ვარიანტში პოემას სრულიად საწინააღმდეგო აზრის შემცველი სათაურქვეშა წარწერა ჰქონია: „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“[1].

1879 წელს, როცა პოემა მეორედ დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 7-8), ავტორი, და ახლა უკვე თავად რედაქტორი, ცენზურის თვალასახვევად, ახალ შენიშვნას ურთავს მას: „ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროითაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს“. ამ ნაძალადევი შენიშვნების გარეშე „ქართვლის დედა“ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში დაიბეჭდა.

ავტოგრაფებთან[2] შედარებითა და შინაარსის ანალიზით, პ. ინგოროყვამ აღადგინა პოემის აუთენტიკური ტექსტი და ცხადყო, რომ მასში ასახულია არა წარსული, არამედ გამოხა-

---

[1] აქად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № S-4993.

[2] საქართველოს სახ: ლიტერატურული მუზეუმი, №121—ბ; ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 5024—S („კრებულისეული“ ავტოგრაფის განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ ის ცვლილებები, რომლებიც პოემამ ცენზურის ბრჭყალებში განიცადა).

ტულია საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურათი.[1]

„კრებულში“ პოემა იწყება პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელსაც თარიღად აქვს: 1871 წ. 18 მარტი. ბოლოს ავტორი ხელს აწერს — ფსევდონიმით — „***“.

1951 წლის აკადემიურ გამოცემაში პოემა დაბეჭდილია ავტორისეული (საბოლოო ვარიანტის) სათაურით: „ქართვლის დედა“ (სცენა მომავალი ცხოვრებიდან); სათაურს მოსდევს ეპიგრაფი: „გაგვიძეღ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“. რომელსაც აწერია: „ხალხური სიმღერა“. „კრებულში“ ეს მინაწერი (ეპიგრაფი) მიძღვნითს ლექსს მოჰყვება და აწერია: „გლეხური სიმღერა“, რაც, სხვათა შორის, უფრო სწორად გამოხატავს ილიას თვალსაზრისს ხალხური პოეზიის არსზე. აკადემიურ გამოცემაში მიძღვნა დათარიღებული არ არის, რაც მართებულად არ მიგვაჩნია.

„კრებულისეულ“ სტრიქონს: „მხოლოდა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“... აკადემიური გამოცემა ასწორებს ასე: „მხოლოდღა“..., რაც, ჩვენის აზრით, გაუმართლებელია. დედას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს და „კრებულის“ ტექსტიც აზრის სწორ გაგებას ემყარება. სტრიქონის: „მათ შვილნი თვისნი, შვილო ჩემო, არ ჰყვარებიან“, — შემდეგნაირი სწორება: „მას.. არ ჰყვარებიან“, — აგრეთვე უმართებულო შესწორებად მიგვაჩნია; დარღვეულია რიცხვში შეთანხმება. „ისმის ჯარების ორპირი სიმღერა“ აკადემიურ გამოცემაში იკითხება ასე: „ისმის ჯარების სიმღერა ორ-პირად“. ჩვენის ფიქრით, ასეთი გადაადგილება სიტყვა „ორპირის“ ორაზროვნებას მაინც არ ცვლის... ვერ დავეთანხმებით აგრეთვე სტრიქონის „აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, იმაგრე გული!“ შემდეგნაირ რედაქციას: „...მოიეც გული“. ეს ხელოვნური ფორმა უდავოდ ასუსტებს პოეტურ შთაბეჭდილებას და ჩვენი აზრით, მას „კრებულისეული“ „სიმაგრე“ სჯობია.

მიუხედავად სათაურის შეცვლისა, მადეზორიენტირებელი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, გვ. 361—364, 478.

შენიშვნისა და ცენზურის მიერ მთელი რიგი ადგილების ამოღებისა, იდეურ-მხატვრულად მონოლითურ ამ ნაწარმოებს „კრებულში" მაინც სავსებით შენარჩუნებული აქვს პატრიოტული მგზნებარება და საბრძოლო სულისკვეთება. გარდა იმისა, რომ ილიას თანამებრძოლებმა და მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცოდა პოემის აქტუალური მიზანდასახულობა, საერთო ეღერადობისა და ინტონაციის მიხედვითაც აშკარა იყო, რომ პოეტი მომავალ ბრძოლებს უმღეროდა. ცენზურას შეეძლო ცალკეული ადგილები ამოეღო, მაგრამ არ ძალუძდა ჩაეხშო საერთო სულისკვეთება, რომლითაც თვითეული სტრიქონია გაჟღენთილი. დაბოლოს, თვით მიძღვნითი ლექსიდანაც აშკარა იყო, რომ ავტორი მყობადს უმღეროდა და არა წარსულს:

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

„ქართვლის დედა" იყო პოეტური ხილვა დიადი გამათავისუფლებელი ბრძოლისა; მწერალმა მკაფიოდ წარმოსახა საყოველთაო, სახალხო აჯანყების სურათი; ნათლად წარმოაჩინა მისი მოტივები, მიზნები და პერსპექტივები; მგზნებარედ უმღერა თავდადებას, წმიდა მსხვერპლს, დიდებული ჰიმნი უძღვნა თავისუფლებას. სურათის გრანდიოზულობით, სიუჟეტური შეკრულობით, იდეის სიცხადითა და აზრის პოტენციური დიაპაზონით ამ პოემას ბადალი არ მოეძებნება მაშინდელ ჩვენს ლიტერატურაში. ნაწარმოებში ღრმა ფილოსოფიურ-პუბლიცისტური პათოსითაა გახსნილი თავისუფლებისა და მშვიდობის მიმართება. მეგობრობის საფუძველი თავისუფლებაა, თავისუფლებისა—ბრძოლა. დაჩაგრული ვერავის აპატიებს ბოროტებას; შეურაცხყოფილისა და ფებქვეშგათელილის შურისგება ადამიანური, ჰუმანისტური მოქმედებაა. თანამედროვეობის იდეურ მწვერვალზე უნდა მდგარიყო პოეტი, რომ ასე სწორად განეჭვრიტა და აესახა მოწინავე კაცობრიობის იდეალი. ამის შედეგია, რომ პოემას დიდი მღელვარება და უშუალობა შემორჩა. ი. ჭავჭავაძემ ძლიერი ხელით გადასწი-

შავბნელი აწმყოს ფარდა და თანამედროვენი გმირული მერმისის მშვენიერებას აზიარა; ნათლად აგრძნობინა მათ, რომ თავისუფლება განუყოფელია და საყოველთაო, რომ ხალხები მხოლოდ სისხლიანი ბრძოლით მოიპოვებენ მას. ასეთივე დემოკრატიულ-ჰუმანისტური სულითაა აღსავსე „კრებულში“ დაბეჭდილი ილიას ლექსი — „პარიჟი“ (1871 წელი 23 მაისი. კომუნის დაცემის დღე) და პოემა „აჩრდილი“, რომელნიც ერთიანი იდეური მსოფლშეგრძნებითა და მხატვრული გააზრებით არიან შედუღაბებული. ამ ერთიანობას, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული იდეებისათვის გულწრფელი მღელვარება ქმნის.

„პარიჟი“ 1873 წლის მე-5-6 ნომერში დაიბეჭდა ავტორის სახელისა და გვარის მოწერითა და თარიღის აღნიშვნით: 1871 წლის 29 მაისი. აკადემიურ გამოცემაში ლექსი შესულია ავტორისეული სათაურით: „1871 წელი 23 მაისი. (კომუნის დაცემის დღე)“[1]. „კრებულში“ კომუნის ხსენება ცენზურას აუკრძალავს, და საერთოდ, ცენზურა შემდეგაც სდევნიდა ამ ლექსს. 1883 წელს გაზეთ „შრომაში“ (ქუთაისი) არ გაუშვიათ კეზელის წერილი, რომელშიც ილიას ამ ლექსის ორი სტროფი ყოფილა ციტირებული.[2] სარჩევში ეს ნეიტრალური და არაფრისმთქმელი სათაური („პარიჟი“) „კრებულის“ რედაქციას პირველი სტრიქონით შეუცვლია: „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი“.

„კრებულისა“ და აკადემიური გამოცემის ტექსტი იდენტურია.

წინა თავში უკვე აღვნიშნეთ, როგორი ფართო გამოხმაურება ჰპოვა პარიზის კომუნამ ქართულ ჟურნალისტიკაში, მაგრამ აპოთეოზს ილიას ლექსი წარმოადგენს. ილიამ პოეტურ იდიომად აქცია მოწინავე ადამიანთა ფიქრი პარიზის კომუნაზე, სწორუპოვარი შემჭიდროებითა და უბრალოებით გამოხატა კომუნის ინტერნაციონალური ბუნება და სამარადისოდ

---

1 ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. I, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1951 წ., გვ. 77.

2 ს. ხუციშვილი. „ქართული პრესის ისტორიის ერთი სტრიქონი“, გაზ. „თბილისი“, 1959 წ., № 142.

შემოგვინახა თანამედროვეთა პირველგანცდის სითბო და უშუალობა. ლექსი გაშუქებულია ფრანგი ხალხის, როგორც მებრძოლი, რევოლუციური ტრადიციების მქონე ხალხის, ღრმა პატივისცემით. მასში არაჩვეულებრივი სიცხადით არის გამოკვეთილი ეროვნულისა და სოციალურის განუყოფელი ერთიანობა, ხალხის ღირსების შეფასება კაცობრიობის საერთო კეთილდღეობაში მის მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით.

მეტად მძიმე იყო პოეტის ამოცანა, როცა ის ხელს ჰკიდებდა კალამს პარიზის კომუნაზე ლექსის დასაწერად; სადად და უბრალოდ უნდა გადმოეცა კომუნის საკაცობრიო-ისტორიული მნიშვნელობა, ეგრძნობინებია ფრანგი ხალხის გმირული სული, ხაზი გაესვა მისი რევოლუციური ტრადიციებისათვის და, საერთოდ, რაინდული ისტორიისათვის, ქართველ მკითხველში გაეღვიძებინა კომუნარებისადმი ძმური სიყვარული, ჩვენი ხალხის ღვიძლ საქმედ წარმოედგინა მათი ბრძოლა, სამარცხვინო ბოძზე გაეკრა კომუნის მტრები, ე. ი. ყველა მძარცველი და ექსპლოატატორი, დაბოლოს, ჩაენერგა კომუნართა დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენა. ავტორის ეს ფართო ჩანაფიქრი ამ პატარა ლექსში მთელი ძლიერებითაა გამოხატული და ამით ერთხელ კიდევ ვგრძნობთ, რა დიადია პოეზია, რომელსაც შეუძლია ასე ლაკონურად და შთამბეჭდავად გადმოგვცეს ის, რასაც მრავალტომიანი გამოკვლევა დასჭირდებოდა. ლექსში არ გვხვდება არც ერთი უფუნქციო სიტყვა. პირიქით, თვითეულ სიტყვას, ჯერ ფრაზის და შემდეგ, მასთან, ერთად, მთელი თხზულების საერთო იდეურ-მხატვრულ შინაარსში რამდენიმე ფუნქცია აქვს დაკისრებული, რაც მთელ ნაწარმოებს ერთ ენერგიამოჭარბებულ ამოძახილად აქცევს. მაგალითად, ერთადერთი სიტყვით — „კვლავ", ილია ახერხებს პარიზის კომუნა წარმოსახოს ფრანგი ხალხის გმირული ისტორიის ფონზე, ხაზი გაუსვას ამ ერის რევოლუციურ ტრადიციებს, დაგვანახოს, რომ იგი მარცხდებოდა, მაგრამ ბრძოლას არ წყვეტდა და არც ამ დამარცხების შემდეგ შეწყვეტს. პოეტი უსაზღვრო მოწიწებას იწვევს თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი ხალხის წინაშე. ამ ერთი სიტყვის მუდამ ოპტიმალურ ადგილზე დასმით წარმოჩენილია პარიზის კო-

მუნის ეროვნულ-სოციალური და საკაცობრიო ხასიათი. სტროფშიგნითა კონტრასტები სიმართლისათვის დიადი ბრძოლისა და დამარცხებისა, რომლებსაც სიტყვა „ქვლავ“ აერთიანებს, ნათელ წარმოდგენას იძლევა ხალხის გაუტეხავ ნებისყოფასა და დაუოკებელ ენერგიაზე:

ქ ვ ლ ა ვ ეწამა მოყვასთათვის,
საოცარი იგი ერი,
ქ ვ ლ ა ვ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
ქ ვ ლ ა ვ ქვეყნისთვის დაღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
ქ ვ ლ ა ვ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.
... ქ ვ ლ ა ვ შეფერხდა ისტორია,
განახლების შედგნენ ძალნი
და ქ ვ ლ ა ვ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ორი მხატვრული სახე — „დიდ წამების მშვენიერი გვირგვინი“ და „გამარჯვებულ მტარვალთა დღესასწაული“ მთელი სისავსით გამოხატავს ორ მოპირისპირე ბანაკს, ორ სამყაროს, კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლას.

შეუძლებელია საგანგებო გულისყურით არ მოვეკიდოთ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ საამაყო სტრიქონებს, რომელთაც ასე თბილად შემოუნახავთ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის გულისძგერა პარიზის კომუნის დღეებში, რომლებშიც ასე სისხლხორცეულადაა გაერთიანებული ეროვნული და საკაცობრიო ინტერესები და ლიტერატურაში ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

უთუოდ, ამ ლექსის უშუალო შთაბეჭდილებით, „კრებულის“ იმავე ნომერში ნ. ნიკოლაძე ორ პერიოდად ჰყოფდა ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას. „უწინდელ მის ლექსებში, — წერდა კრიტიკოსი. — სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩანდა. იმათში ჭავჭავაძის პიროვნული თვისება, მისი საკუთარი ორიგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი,

თითქმის არა იყო რა. ეხლანდელ მის ლექსებში კი, საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე. იმათში სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა"[1].

აღნიშნული ნიშანთვისებების მიხედვით, ი. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების გამიჯვნა მართებულად არ გვეჩვენება, „ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა და სურათის უბრალოება" მის „უწინდელ ლექსებშიც" არის, მაგრამ 70-იანი წლების ნაწერებში რომ მოქალაქეობრივ-პოლიტიკური მოტივების გამახვილება და ფორმის შემდგომი დემოკრატიზაცია შეიმჩნევა, ეს აშკარაა და ნ. ნიკოლაძესაც, ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში. ამ თვალსაზრისით, ე. ი. ილიას პოეტური შემოქმედების იდეურ-მხატვრული განვითარების თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს „აჩრდილს", რომელიც ნ. ნიკოლაძის მიერ შემოსაზღვრული დროის (60-70-იანი წწ) მთელ მანძილზე, თითქმის განუწყვეტლად იწერებოდა, იხვეწებოდა და ახლდებოდა. ეს პოემა ილიას პოეტური შემოქმედების ისტორიის სანდო მატიანეა.

„აჩრდილის" წერა ილიამ 1858 წელს დაიწყო პეტერბურგში და იქვე დაასრულა 1859 წლის 26 იანვარს. ორი ათეული წლის განმავლობაში პოემამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, მაგრამ ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი და მისი სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურა, არსებითად ისეთივე დარჩა, როგორიც ამ პირველ ვარიანტშია. თხზულება შთაგონებულია საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით, წარმოადგენს ამ მოძრაობის პირველ მხატვრულ დოკუმენტს, პოეტურ ფორმაში ხორცშესხმულ სამოქმედო პროგრამას, რომლის სულისკვეთება და პრინციპული არსი აღნიშნული მოძრაობის საფუძვლად იქცა და სოციალური და ეროვნული თავისუფლების განუყრელი ერთიანობის დემოკრატიული გადაწყვეტით ბოლომდე შეინარჩუნა იდეურ-პოლიტიკური, აგრეთვე მხატვრული ცხოველმყოფელობა და აქტუალობა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ბატონყმობის დროს

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „გლახის ნაამბობზე", „კრებული", 1873 წ., № 5.

დაწერილი პოემა იდეურ-პოლიტიკური რადიკალიზმით წინ უსწრებდა თავის ეპოქას, შორეულ პერსპექტივებს წარმოსახავდა და თავისი არსით, იმ პერიოდისათვის არალეგალური ლიტერატურის სფეროს განეკუთვნებოდა. ამით აიხსნება, რომ ქართულ ლიტერატურაში ეგოდენი დევნა არც ერთ თხზულებას არ განუცდია, თვითეული თავი, თვითეული სტრიქონი ცენზურასთან თითქმის ოცი წლის ბრძოლით იქნა გატანილი, ისიც ათასგვარი მოხერხებითა და მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით.

როგორც ირკვევა, პოემის ხელნაწერი ილიას დამთავრებისთანავე გამოუგზავნია „ცისკარში“ დასაბეჭდად და მზრუნველობა თავისი მეგობრის — ილია წინამძღვრიშვილისათვის მიუნდვია, მაგრამ საქმე თავიდანვე გაძნელებულა. 1859 წლის ოქტომბერში „ცისკარმა“ (№ 10) შედარებით უწყინარი თავის გამოქვეყნება შესძლო. დამოუკიდებელი ლექსის სათაურით— „არაგეს“. ილიას დიდად აღელვებდა ამ ნაწარმოების ბედი; 1860 წლის შემოდგომაზე ი. წინამძღვრიშვილს სწერდა: „მომწერე, ჩემი „აჩრდილი“ და „ჰაჯი-აბრეკი“ რა ყოფაში არიანო [1]. „საქართველოს მოამბეშიც“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა და, ცხადია, საცდელს არ ღაჯკლებდა, ილიამ მხოლოდ სამი თავის გამოქვეყნება შესძლო; ასე რომ.

[1] პ. ინგოროყვას აზრით (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1951 წ., ტ. I, გვ. 268), ეს წერილი 1861 წლის აპრილში უნდა იყოს გამოგზავნილი პეტერბურგიდან და მასში აღნიშნულ ნაწარმოებთა ცალკე წიგნად გამოცემა უნდა იგულისხმებოდეს. მკვლევარს არავითარი საბუთი არ მოაქვს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, ხოლო მოტანილი ამონაწერი. ამის საფუძველს არ იძლევა. ფაქტებს კი, სულ სხვა დასკვნამდე მიეყავართ. 1861 წლის აპრილში ილია საქართველოში იყო. წერილი გამოგზავნილია არა უგვიანეს 1860 წლის ოქტომბრისა, რადგან „ჰაჯი-აბრეკი“, რომლის შესახებაც ილია სწერს, „ცისკრის“ 1860 წლის მე-11 ნომერში უკვე დაიბეჭდა. ამასთან, ილიამ კარგად იცოდა, რომ ცენზურა, რომელიც „აჩრდილის“ ცალკეულ თავებსაც კი არ უშვებდა „ცისკარში“, მისი ცალკე წიგნად გამოცემის ნებას არ დართავდა. ილიასა და წინამძღვრიშვილის მიმოწერიდან სხვა ბარათები არ შემორჩენილა, მაგრამ აღნიშნული ამონაწერის ტონიც გვიჩვენებს, რომ ილია პირველად არ მიმართავს მეგობარს ამ თხოვნით. ბარათში ილია „ცისკარში“ დასაბეჭდად წარდგენილ ხელნაწერებზე წერს და განსაკუთრებით, — სტატიაზე — რევაზ შალვას ძე ერისთავის „შეშლილის“ თარგმანის გამო; „აჩრდილის“ დაბეჭდვის იქედი კი, ეტყობა გადაწურული აქვს.

„კრებულის“ დაარსებამდე მკითხველი „აჩრდილს“ ორიოდე ნაწყვეტით იცნობდა; სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ახალი ჟურნალისათვის ილიას „აჩრდილიც“ იმთავითვე გადაუცია, მაგრამ რედაქციას მხოლოდ 1872 წლის მე-8-9 ნომრიდან მოუხერხებია პეჭდვის დაწყება. მართალია, დიდი ხარვეზებითა და საცენზურო დამახინჯებებით, მაგრამ პირველად მაინც „კრებულმა“ გააცნო ეს პოემა საზოგადოებას. 1951 წლის აკადემიური გამოცემის მიხედვით, „კრებულში“ 17 თავი დაიბეჭდა 25 თავიდან. აღნიშნულ ნაკლოვანებებთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალში „აჩრდილი“ თანმიმდევრულად ვერ იბეჭდებოდა — ჯერ ბოლო თავები დაისტამბა, შემდეგ — დასაწყისი.

გარდა IX თავისა,[1] რომელიც ცენზურამ მთლიანად ამოაგდო, „კრებულში“ პოემა დაიბეჭდა I-დან XVIII-თავამდე (ჩათვლით). ეს არის ილიას მიერ საგანგებოდ „კრებულისათვის“ გადამუშავებული „აჩრდილის“ მესამე ვარიანტის პირველი ნაწილი. პოემის ბოლო ნაწილი (XIX-XXV) პოეტს არც შეუსწორებია და, მაშასადამე, არც დასაბეჭდად წარუდგენია. როგორც ცნობილია, პოემის ეს მეორე ნაწილი საქართველოს ისტორიულ წარსულს ასახავს და სწორედ იმ ხანებში, 1872 წლის ივლისში, ილია დ. ერისთავს სწერდა, ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო, მთავარი ხალხია და ჩვენს ისტორიაში ხალხი არა ჩანსო. საგულისხმოა, რომ ამასობაში გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოც“ გამოვიდა და „აჩრდილის“ ავტორს სრულებით ვეღარ მიიზიდავდა, მსგავსად რომანტიკოსი პოეტისა, ფარნაოზისა და მირიანის აჩრდილების გამოწვევა.

„აჩრდილი“ მთლიანად 1881 წ. დაიბეჭდა „ივერიაში“ (№2, 3), მაგრამ ზოგიერთი აღგილი („გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან“, — მომდევნო სამი სტრიქონი) არც იქ გაუშვა ცენზურამ.

ილიამ კარგად იცოდა, როგორ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული „აჩრდილის“ დაბეჭდვა და 1871 წლის 18 იანვარს ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „ჩემი „აჩრდილის“ პირველ ნაწილ-

[1] ეს თავი სარჩევში აღნიშნულია („კრებული“, 1873 წ., 5—6), მაგრამ ცენზურას არ გაუშვია.

გიგზავნით. თუ მოგეწონოთ სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს („გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან“ და სხვ. ა. კ.) ცენზორი ამოშლის. ისევ ისა სჯობია, ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს“. საქმეს ვერც „წინადვე დასწრებამ“ უშველა, „აღელვებული ცენზორი“ დიდხანს აჭიანურებდა ცალკეული თავების დაბეჭდვას და დუშეთში მყოფ ილიას ხშირად უხდებოდა რედაქციისათვის მიმართვა... „უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, — სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს, — VII, VIII და IX მუხლი, დაბეჭდე, იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი „კრებულში“[1].

საცენზურო და ტექნიკური მიზეზების გამო, „კრებულისა“ და აკადემიური გამოცემის ტექსტს შორის საგრძნობი შინაარსობრივ-სტილისტური განსხვავებაა.

მაგრამ, საცენზურო დევნის მიუხედავად, ამ ჟურნალში „აჩრდილს“ სავსებით შენარჩუნებული აქვს მხატვრული მთლიანობა, რევოლუციურ-დემოკრატიული სული და ამაღელვებლად წარმოგვისახავს ლაღ პოეტურ ოცნებას სოციალურ და ეროვნულ თანასწორობაზე. სანატრელი მომავალი, რომელიც პოეტს „შრომის სუფევის“ სამყაროდ ესახება, გასხივოსნებულია კაცთა შორის სიყვარულის ხილვით. მყობადის კონკრეტულ იდეალს განსაზღვრავს არა მაცდური ფანტაზია, განყენებული კეთილი სურვილი და ზოგადი მინიშნება, არამედ წარსულისა და აწმყოს სინამდვილიდან აღებული ჩაგვრა-უთანასწორობის, ბრძოლისა და ძმობა-სოლიდარობის სურათები. ამიტომაც ესოდენ დამაჯერებელი და იმედის მომნიჭებელია ავტორის რწმენა:

შრომის სუფევა მოვა მაშინ,
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით...

---

[1] ცენზორის მიერ ნაჯიჯგნი „აჩრდილის“ „კრებულისეული“ ავტოგრაფი დაცულია კირ. ლორთქიფანიძის არქივში (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი).

მაგრამ, ამ პოემიდან რომ დემოკრატიული იდეების, მომავლის რწმენის, ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობის, რევოლუციური ბრძოლის საილუსტრაციო ადგილების მოტანას შეუდგეთ, მისი მთლიანად გადმოწერა დაგვჭირდებოდა. ბოლოსდაბოლოს, საქმე ცალკეული სტრიქონები კი არ არის, არამედ ნაწარმოების მთლიანი პათოსია, რომელიც ეპოქის ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ-ეროვნული მისწრაფებებისადმი უგულწრფელესი ერთგულებითაა წარმოქმნილი.

ი. ჭავჭავაძისათვის თავისუფლება უნივერსალურად ფართო ცნებაა, ადამიანური არსებობის დიადი მრავალფეროვნებაა. აი, როგორმა მსოფლშეგრძნებამ, სამყაროს როგორმა აღქმამ განსაზღვრა „აჩრდილის“ არაჩვეულებრივი მასშტაბურობა დროსა და სივრცეში, აი, რამ განაპირობა მისი ბუნებრივი მრავალმოტივიანობა. წარსულის სურათები, რომლებიც პოემის ბოლოშია გადატანილი; აწმყოსა და მყობადის კონტრასტადაა წარმოსახული და თანამედროვეობის ცხოველი სულითაა გააქტივებული. ილიამ ისტორიაშიც გვაგრძნობინა ხალხის კოლექტიური ნებისყოფა და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მეფეთა ჩრდილებზე მაღლა ერის ერთიანი შემართება და შემოქმედება დააყენა. რევოლუციურ-დემოკრატიული ჰუმანიზმით გაჟღენთილი პოემა პატრიოტულისა და ინტერნაციონალურის ერთარსებას უმღერის. ამ განუყოფელი კავშირის აზრი პოეტს მეტად ორიგინალურად და ფაქიზად აქვს ხორცშესხმული. სანატრელი გმირი, რომელსაც პოეტი დაჩაგრულთა მხსნელად მოუხმობს, საერთო ინტერესების დამცველია; თუმც, პოემაში ქართველ გმირთა სახეებია გაცოცხლებული, მაგრამ პატრიოტის ზოგადი სახის გამოსაქანდაკებლად, პოეტი შეგნებულად არღვევს ვიწრო ეროვნულ ჯაჭვებს და მის დამახასიათებელ ზოგად ნიშნებს იღებს:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება,
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.

ილია კვალდაკვალ მიჰყვებოდა ცხოვრებას. „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში მას განაწამები ყმები ედგნენ თვალწინ, —

მესამე ვარიანტის წერისას, პარიზელ კომუნართა შემტევი გუგუნი ესმოდა და ამან რევოლუციური მგზნებარება შეჰმატა პოემას. „ჭართვლის დედა“, „აჩრდილი“ და ლექსი პარიზის კომუნაზე თავისუფლების ერთი უჩვეულო ჰიმნი იყო, რომელიც მკითხველს „კრებულის“ ფურცლებიდან ესმოდა.

„აჩრდილი“ თვალს ვერ მოგეჭრის საზეიმო რითმაკაზმულობით, ბრჭყვიალა პოეტური სამკაულებით, ალაგ-ალაგ, საკმაოდ მძიმეცაა, ზოგან ნაძალადევ გამოთქმებსაც ვხვდებით, მაგრამ, რაღაც გრძნეული ალღოთი შერჩეული და ზუსტად თავის ადგილზე ნათქვამი, ერთიან პათოსს დამორჩილებული და საერთო სულისკვეთების ახალი შუქით აელვარებული ეს არასწორი ფორმებიც კი, არა მარტო კანონიერ უფლებას იხვეჭს, არამედ კიდეც გვხიბლავს მოულოდნელად შეძენილი ორიგინალობით.

თავისებური გაგებით, „აჩრდილი“ ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების სათავეა, მასში, თითქმის ყველა მისი ნაწარმოების შორეული საწყისებია თავმოყრილი და მთელი მისი შემოქმედების საერთო სული ტრიალებს.

„კრებულში“ ილიამ სტუდენტობის დროს დაწერილი რამდენიმე სატრფიალო ლექსიც გამოაქვეყნა. 1871 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა: „სატრფოვ, ხშირად ლაღი ფიქრი“; მე-2 ნომერში — „ახ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი?“ და „ჩ...სს“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა, რათ აღმიგზენ სიყვარული?“; მე-3 ნომერში — „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“.; მე-4 ნომერში დაისტამბა ფილოსოფიურ-ლირიკული ლექსი— „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის“. ჟურნალში ეს ლექსი დაიბეჭდა ფსევდონიმით (***) და უთარიღოდ. „სატრფოვ, ხშირად ლაღი ფიქრი“ აკადემიურ გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ს...ჩ...სას“ (გვ. 59) და, ავტოგრაფის მიხედვით, დათარიღებულია 1860 წ. 21 ივლისით. ტექსტთა შორის განსხვავება სტილისტურ-ორთოგრაფიული ხასიათისაა. იმავე პერიოდს ეკუთვნის (1860 წ. 22 ივლისი) ლექსი — „ჩ...სას“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა“)., რომელიც აკადემიურ გამოცემაში (გვ. 60) ავრეთვე, მცირე სტილისტურ-ორთოგრაფიული სხვაობითაა დაბეჭდილი. „ახ, სად არიან, სიჭაბუ-

კევ, სიტკბონი შენნი" აკად. გამოცემაში (გვ. 49) დათარიღებულია 1859 წ. 30 ნოემბრით. „ჩემო მკვლელო" ვიცი, ვიცი", — აკადემიურ გამოცემაშიც (გვ. 65) ზუსტად ისეა დაბეჭდილი, როგორც „კრებულში"[1].

ეს ლექსები მომხიბლავია გრძნობის სისპეტაკით, ჰაეროვნებითა და ნაზი სულიერი აღმაფრენით. ცეცხლოვანი სამოქალაქო-პოლიტიკური ლექსების გვერდით, სატრფიალო ლირიკა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პოეტის შინაგანი სამყაროს სიმდიდრესა და კეთილშობილებაზე. ილია წარმტაც ოცნებათა აღმძვრელ სიყვარულს უმღერის. კონკრეტული იმპულსი მის ლექსებში მხოლოდ ამ ოცნებათა შორეულ მიზეზად შეიცნობა. ორი ლექსი — „ს...ჩ...სას" და „ჩ...სას", სოფიო ჩაიკოვსკაიას ეძღვნება, მაგრამ ქალიშვილის პორტრეტი არც ერთგან არ ჩანს; ამ ლექსების მიხედვით, იმის თქმაც არ შეიძლება, იცნობდა თუ არა პოეტი მას. აქ ქალიშვილთან დიალოგიცაა, ალერსიც, „ტუჩის ტუჩთან ჩაკონებაც", მაგრამ ყველაფერი „სუბუქ ფრთით" ამაღლებული ფიქრის ნაყოფია, თვით ლირიკული გმირის საერთო სულიერი ლტოლვის, მისი უაღრესი თავშეკავებისა და მოკრძალების გამოვლენაა. მატერიალურისა და სულიერის ასეთ მიმართებასა და გააზრებული გრძნობის სიცხადეში მჟღავნდება ამ ლექსების რეალისტური ხასიათი. ჩვენი აზრით, ს. ჩაიკოვსკაიასადმი შორით ტრფიალების სტიმულითაა აღძრული მესამე ლექსიც — „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი", რომელიც იმავე ხანებშია დაწერილი. გზავნიდა რა ამ ლექსებს „კრებულში" დასაბეჭდად, ილია სალაღობო მობოდიშებით სწერდა: „... ტრფიალების ლექსს ჩემსას გიგზავნი... ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია იმ უდარდელს და ცრუდ მოტრფიალეს ქვეყანასა".[2]

„კრებულში" დაიბეჭდა აგრეთვე, ილიას მიერ გადმოკეთებული ჰაინეს ორი ლექსი, რომლებსაც თარგმანებთან ერთად, განვიხილავთ.

---

1 შეცდომითაა მითითებული, ეს ლექსი ჟურნალის მე-2 ნომერში დაიბეჭდაო.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, 1951 წ., პ. ინგოროყვას შენიშვნები, გვ. 412.

ორი დიდი სამოციანელის, ილიასა და აკაკის, მხატვრული ქმნილებანი, მათი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში, ერთმანეთის გვერდით „კრებულში“ გამოჩნდა. ორივეს ერთი მიზანი ასულდგმულებდა, ორივე სამშობლოსა და ხალხს უმღეროდა, მაგრამ თვითეულს მკაფიოდ განსხვავებული ხმა, გამოკვეთილი პოეტური ინდივიდუალობა ჰქონდა და მრავალ ხმაზე აჟღერებული პატრიოტული სიმღერაც უფრო ფართო აუდიტორიას სწვდებოდა, უფრო მეტად იპყრობდა მკითხველთა გულს.

„კრებულში“ დაიბეჭდა აკაკი წერეთელის რვა ლექსი: 1. „ვარდის“ ხმაზედ“ (1871 წ. № 4); 2. „ნადირობა“ (1871 წ. № 5); 3. „მუხამბაზი“ (1872 წ. № 10-12); 4. „ჩემს მეგობარს ნ-ს“ (1873 წ. № 1); 5. „სხვადასხვაგვარი სიყვარული“ (1873 წ. № 2); 6. „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“ (1873 წ. № 3); 7. „ორი სურათი“ (1873 წ., № 3); 8. „სიმღერა“ (1873 წ., № 10). გარდა ამისა, ფელეტონში — „სცენა საპატიმროში“ ჩართულია ლექსი „აქედამ და ციმბირამდე დიდი ბიჯი იქნება“.

„ვარდის“ ხმაზედ“ ჟურნალში დაიბეჭდა ქვესათაურით: „ვუძღვნი ან. მუსხელოვისას“.; აკადემიურ გამოცემაში იგი შეტანილია შეცვლილი სათაურით — „ჩონგური“ („მე ჩონგური ბისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“). დათარიღებულია „კრებულში“ დაბეჭდვის მიხედვით 1871 წ[1]. მიძღვნა. რომელიც ერთადერთ ხელნაწერშიც გვხვდება, ამოღებულია.

„ნადირობა“ აკადემიურ გამოცემაშიც (გვ. 141) იმავე სათაურით, ქვესათაურით („ვუძღვნი ჩემს ძაღლს“) და თარიღით (1864 წ.) არის დაბეჭდილი. ორ ტექსტს შორის რამდენიმე პრინციპული სტილისტურ-აზრობრივი ხასიათის განსხვავებაა. სტრიქონში, — რომელიც აკადემიურ გამოცემაში ასე იკითხება: „საზრდოს სუნით დაეძებენ“, — პირველი სიტყვა ცენზურას ამოუღია, მაგრამ იმ ეგზემპლარში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ხელით ჩაუწერიათ: „ჩ...“ (ჩინებს). ორიგინალ-

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. გ. აბზიანიძის რედაქციით, ტ. I, გვ. 208; „კრებულში“ დაბეჭდილი ყველა ლექსი შეტანილია I ტომში.

ში, მართლაც, „ჩინებს“ უნდა ყოფილიყო, თორემ: „საზრდოს“ ცენზორი რას ერჩოდა! აკადემიური გამოცემის ტექსტში ამ სიტყვის შეცვლით („ჩინებს“ — „საზრდოს“), ეს ლექსი პოლიტიკურ-სატირულ სიმახვილეს ჰკარგავს; „კრებულიდან“ ცენზორს მთლიანად ამოუღია სტროფი:

თავმსხვილაა და შავპირი,
ჩამოუგდია ქვიქვირი,
ეხლა ვიცი, ვინც ბრძანდება,
ბატონია დიდი ვირი.

აკადემიურ გამოცემაში ვკითხულობთ:

მაგის ყველას ეშინია,
რადგანც აქვს დიდი ზვინია.

„კრებულში“ ეს უკანასკნელი სიტყვა ამოშლილია, მაგრამ ხელით ჩაუწერიათ: „ჩინია“. აკადემიური გამოცემის ტექსტი უშინაარსოა: ცენზორი, ცხადია, „ზვინს“ არ ამოშლიდა; შინაარსისა და სატირის მიხედვით, აქაც „ჩინია“ უნდა იყოს.

„მუხამბაზი“ („ნახევარი ცხოვრების გზა გახვლიე“) აკადემიურ გამოცემაშიც (გვ. 256) დაბეჭდილია იმავე სათაურით, და თითქმის უცვლელად.

„ჩემს მეგობარს ნ...ს“ აკადემიურ გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ჩემს მეგობარს“ (გვ. 269); მიძღვნა ამოღებულია, თუმცა, ის ავტოგრაფშიაც არის. დათარიღებულია „კრებულში“ დაბეჭდვის მიხედვით (1873 წ.). „სიმღერა“ აკადემიურ გამოცემაში (გვ. 274) სრულიად უცვლელადაა შეტანილი და დათარიღებულია „კრებულში“ დაბეჭდვის მიხედვით: 1873 წ.

„კრებულში“ გამოქვეყნებული აკაკის ლექსები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი პოეზიის თემატიკასა და მოტივებზე, იდეურ მიმართულებასა და ლიტერატურულ ღირსებაზე. ეს ნაწერები საინტერესოა მხატვრული მასალის მიგნებითა და უშუალო შეგრძნებით, მსუბუქი პოეტური ენით, მწვავე სატირით, პუბლიცისტური მამხილებლობით და განაჩენით. ხალხის სამსახურს, მისი ინტერესებისათვის ბრძოლას, მაღალი

იდეალების დამკვიდრებასა და ბოროტების დამხობას აკაკი მწერლის წმინდა ვალად რაცხს.

ყოველდღიური ნაკლის ალეგორიული გმობა, ხოლო ზოგჯერ უმნიშვნელო ფაქტიც, აკაკის ლექსში ისეთ შინაგან პათოსს იძენს, რომ ლექსის იდეას შორსმწვდომი განზოგადება ეძლევა. დღეს ადვილად ვერც კი დავიჯერებთ, რომ აკაკის ლირიკული შედევრი — „სიმღერა“, რომელიც თაობათა საბრძოლო ჰიმნად და ახალი ლექსების შთაგონებად იქცა, 1873 წელს რამდენიმე ქართველი ქალიშვილის საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელში წასვლის საბაბით დაიწერა[1]. ეს ლექსი საუკეთესო მაგალითია აზრისა და გრძნობის შეერთებისა, ნათელი პოეტური აზროვნებისა და ლაკონიზმისა. ოპტიმისტური ლექსები იმ დროს არა ერთი და ორი დაწერილა, მაგრამ ამ ლექსის ხალისიანი ტონი, ძლივს შესამჩნევი, რაღაც გამახალისებელი სევდით შეფერადებული ლაღი, მაჟორული ჟღერა გულმიმტაცი და გადამდებია. მისი საბრძოლო სულისკვეთება ეპოქის ჩარჩოებიდან ამოდის და უფრო შორეულ ხანას ეხმიანება:

დაგეზამთრდა, სუსხმა დაგკრა,
ტკბილტაროსი შეგეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა...
დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგკრას,
ქარიშხალმაც გკბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

ბასრი პოლიტიკური სატირის ნიმუშებია „ნადირობა“ და „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“. პირველში მხილებულნი არიან არისტოკრატები და მეფის მსხვილი ჩინოსნები, ხოლო მეორეში — საცენზურო ტერორი, საერთოდ, თავისუფლებისა და კერძოდ, ხელოვნების ყოველგვარი შეზღუდვა.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია ლექსმა „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“. აქაც, ისე როგორც წინ დასახელებულ ლექსში,

---

[1] ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. 1940 წ., გვ. 270.

ავტორი ისეთ გამჭვირვალე ალეგორიას მიმართავს, რომელიც არსებითად აზრის პირდაპირი მნიშვნელობის დაფარვის ხერხს კი არა, მისი მეტი რელიეფურობით გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს.

აკაკი ამ ჟურნალშიც ალეგორიის დიდოსტატად გვევლინება. ალეგორიულია მის ლექსებში კონკრეტული მხატვრული სახე, ცალკეული სიტყვები, ლექსის მთლიანი აზრი. ლექსი — „ჩემს მეგობარს ნ...ს“, რომელიც, თითქო, სატრფიალო — ინტიმური ხასიათისაა. ნამდვილად, მწვავე საზოგადოებრივ-ეროვნულ ტკივილს გამოხატავს.

ბუნების სურათისა და ლირიკული გმირის სულიერი განწყობილების კონტრასტი ფართო მასშტაბის სოციალურ ალეგორიას ქმნის ლექსში — „ორი სურათი“. „მუხამბაზის“ მტანჯველი საზოგადოებრივ-ეროვნული სევდა იმედის ხალისიან, ნათელ ფერებში გადადის.

მამია გურიელი

დღეს ძნელი წარმოსადგენია, თუ დიდების რა მაღალ მწვერვალზე იდგა ამ შვიდი-რვა ათეული წლის წინათ მამია გურიელი. ყველა ქართული გამოცემა აღტაცებით ბეჭდავდა მის ლექსებს, აქებდნენ კრიტიკოსები, კრებულებსა და ანთოლოგიებში შეჰქონდათ მისი ნაწერები. ხშირად, გვარსაც არ აწერდნენ მის ლექსებს, — საკმარისი იყო მხოლოდ „მამია“[1]. — ისე, როგორც: ილია, აკაკი, ვაჟა. ერთ წიგნად სცემდნენ „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავ ადგილებსა და მამია გურიელის ლექსებს[2]. მისი სახელი რაღაც რომანტიკული შარავანდედით იყო მოცული. ბევრს ლაპარაკობდნენ მის სენსაციურ სამიჯნურო თავგადასავლებსა და სასამართლო პროცესებზე, ტოლუმბაშობასა და დეკლამატორობაზე. მამია თარგმნიდა ჰომეროსს, ბაირონსა და ლერმონტოვს. ლაისტი და თხორჟევსკი მამიას ლექსებს რუსულად და გერმანულად თარ-

---

1 „ჩანგი“, ვ. აბაშიძის გამოცემა, 1892 წ.

2 „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ადგილები და რამდენიმე ლექსი მ. გურიელისა... 1897 წ.

გმნიდნენ; მამიას ლექსებს სკოლაში ასწავლიდნენ; მის ლექსებზე კომპოზიტორები მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. მამია შოთა რუსთაველის როლს თამაშობდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებში.

„კრებულის“ დაარსების დროს მამია გურიელი სახელმოხვეჭილი მგოსანი იყო. მისი პირველი ლექსი („ფარვანა“) 1860 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში დაიბეჭდა. „დროებაში“ გამოქვეყნდა „შოშია“ (1867 წ. № 17), „ძმავ, მეგობარო, აზრით, გონებით!“ (1867 წ., № 51), „ადამიანი“ (1868 № 2), „ფანტაზია“ (1868 წ., № 17), „სნეული“ (1870 წ., № 14) და სხვ.

ისე როგორც სხვა ჟურნალ-გაზეთებში, მამია „კრებულშიც“ ფაზელის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაწერებს. აქ მისი შვიდი ნაწარმოები დაიბეჭდა: 1. „ებრაული მელოდია“ (ბაირონიდამ) (1871 წ. № 5); 2. „ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“ (1871 წ., № 5); 3. „დემონი“, ლერმონტოვის პოემა (1872 წ., № 6); 4. პოემიდამ „რაშიდ ვარდიძე“, (1872 წ., № 7); 5. „კითხვა“ (1872 წ., № 8-9); 6. „სატრფოსადმი“ (1872 წ., № 8-9); 7. ბაირონის — „გიაურიდამ“ (1872 წ.; № 10-11-12).

„ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“ 1897 წლის გამოცემაში დაბეჭდილია სათაურით: „ჩემს ძმას ჯაბას“ (გვ. 67), მცირეოდენი სტილისტურ-ორთოგრაფიული შესწორებებით [1].

„რაშიდ ვარდიძე“ ნაწყვეტია პოემისა „რაშიდ ვარდანოღლი“, რომელიც 1897 წ. გამოცემაში შეტანილია მთლიანად (გვ. 339); ამავე დროს, „კრებულში“ გამოქვეყნებული ნაწყვეტი (შესავალი) დაბეჭდილია ცალკე ნაწარმოებად, შეცვლილი სათაურით — „რაშიდ ვარდან ოღლი“ (გვ. 116).

„კითხვა“ სრულიად უცვლელადაა დაბეჭდილი 1897 წლის გამოცემაში (გვ. 122), მაგრამ 1873 წლითაა დათარიღებული. მაშინ, როცა ეს ლექსი 1872 წლის „კრებულში“ დაიბეჭდა.

„სატრფოსადმი“ 1897 წლის გამოცემაში (გვ. 13) შეტანილია უმნიშვნელო შესწორებებით.

---

[1] დაბეჭდილია მ. გურიელის თხზ. 1940 წ. გამოცემაშიც, საბლიტგამი, თბილისი, გვ. 29.

მ. გურიელის აღნიშნულ ნაწარმოებთა ძირითადი მოტივი სამშობლოა, პოეტი საქართველოს დიდებას უმღერის, მაგრამ არ ჩანს, როგორ აქვს წარმოდგენილი ახალი საქართველო, არ ჩანს, რაზე ამყარებს მისი განთავისუფლებისა და ბედნიერების იმედს. როგორც ცალკე რეალიების, ისე საერთო სულისკვეთების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მას რესტავრაციის იდეა ამოძრავებს. მის ლექსებში ძველის განცდა უფრო მტკივნეული და თვალსაჩინოა, ვიდრე ახლისა. საბრძოლო მოწოდებაც არქაულ ხასიათს ატარებს, მოკლებულია ქმედით ძალას, ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს („ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“).

მამია გურიელს, თითქმის სრულებით არ აინტერესებს ეროვნული ბრძოლის სოციალური მხარე, მის შემოქმედებაში არ იგრძნობა თანამედროვეობის რთული და ღრმა საზოგადოებრივი ტკივილები; იგი უაღრესად ცალმხრივი და შეზღუდულია. მისი ეროვნული მისწრაფებები პრინციპულად განსხვავდება თერგდალეულთა მსოფლმხედველობისაგან და დაშორებულია „კრებულის“ მაგისტრალურ ხაზს. იგი ვერ ხედავს ხალხს, ვერ ამჩნევს დიდ სოციალურ ძვრებს და, ამიტომ, მისი ეროვნული გრძნობა ავადმყოფურია, ხოლო მსოფლშეგრძნება—ღრმად პესიმისტური. პოეტი, თითქო თავს იიმედებს: „ჯერ გულში შიში არ შემდისო“, მაგრამ იქვე ასე მიმართავს ჯამბაკურს: ვხედავ, რომ „...იჭვები შემოგეპარა მაგ ლომებრ მკერდში, მისთვის, რომ უკვლოდ წარხდნენ ფიქრები და მათგან არა გვრჩება რა ხელში.“ „იგი ცრემლით გლოვობს“ არა მარტო წარსულს, არამედ საკუთარ იმედებსაც. პოეტისათვის, რომელიც ძველით ძველის აღდგენაზე ოცნებობდა, საესებით ბუნებრივია სამყაროს პასიური ჭვრეტა, სასოწარკვეთა, უსასოობაში გადასული ჰედონიზმი და ეროტიკა (ლექსი „კითხვა“).

„აუსრულებელი სურვილის სიყვარული!“ — ასე ახასიათებს მ. გურიელი თავის ეროვნულ მრწამსს, რომელიც თავისი სოციალური არსით არაჯანსაღია, არარეალური და ანტიდემოკრატიულია.

არათუ სამოციანელთა, არამედ გრ. ორბელიანის მსოფლ-

მხედველობასთან შედარებითაც კი, მ. გურიელის შემოქმედება კამერული, არაეპოქისეული და ნაციონალისტურია. ეს მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა დიდ ზიანს აყენებდა მის მხატვრულ ნაწერებს. მ. ლერმონტოვის „დემონის" სტრიქონი: „Бежали робкие грузины", მამიამ თავისებურად გადმოაკეთა: „ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში", ხოლო ბაირონის „გიაური" მთლიანად საქართველოს ფონზე გადმოიტანა და მასში თამარისა და დავით აღმაშენებლის სადიდებლები ჩაურთო.

შეიძლება ითქვას, რომ მ. გურიელის ლექსები პოეზიის სამყაროს არ განეკუთვნება. მათში არ ჩანს პოეტური გრძნობის სინატიფე, აზრის მოხდენილობა და სიღრმე, სამყაროს პოეტური აღქმა; მისი ლექსები მთლიანად აღწერითი ხასიათისაა და ძალად გალექსილ ამბებს მოგვაგონებს. მისი ემოციები დემონსტრატიულია, ალეგორიები — გულუბრყვილობამდე ტენდენციური, აზრი — უხეშად მიკერძოებული, ხოლო გამოსატვის საშუალებები — პროზაული. მ. გურიელს არ გააჩნია სიტყვისა და ფრაზის შეგრძნება, მხატვრული ლოგიკა და, სამწუხაროდ, არც ლიტერატურული პასუხისმგებლობა; აშკარად ჩანს, რომ იგი სერიოზულად არ ამუშავებდა თავის ნაწერებს. ყოველივე ამას ზედ ერთვის აუტანელი ენობრივი ნატურალიზმი, როგორც ლექსიკის („გაისურსნიან", „გაჟიჟნილი", „სახსალით"), ისე სტილის თვალსაზრისით („ჩვენ ხალხსა ეცაცხდით, რაღაც წმინდებად"; „მათზე ნაყოფნიც კარგნი გამოვლენ" და ა. შ.).

ი. მეუნარგიას გადმოცემით, მ. გურიელი გადაჭარბებული წარმოდგენისა ყოფილა თავის პოეტურ ტალანტზე. ჩვენ კი გვგონია, რომ იგი თვითონაც გრძნობდა თავის სისუსტეს (პოემა „რაშიდ ვარდიძის" დასაწყისი).

მაშ, რით უნდა ავხსნათ, რომ „კრებულმა" ასე ფართო ადგილი დაუთმო მ. გურიელის ლექსებს? გარდა მამიას პოპულარობისა და პოეტების ნაკლებობისა, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ეს ნაწარმოებებიც ერთგვარად ხელს უწყობდა ეროვნული გრძნობის გამოღვიძებას და, მართალია, სხვა იდეური პოზიციიდან, მაგრამ მაინც გადაჭრით გმობდა არსებულ

სინამდვილეს, წარმოადგენდა ერთგვარ პროტესტს თვით მპყრობელობისადმი, შეიცავდა მის ცალკეულ მანკიერებათა მხილებას. ამ აზრით. გარკვეულ ეტაპზე და გარკვეული მასშტაბით, მამია სამოციანელთა იდეურ თანამგზავრად წარმოგვიდგება. ამ მხრივ. განსაკუთრებით საყურადღებოა პოემა „რაშიღ ყარდიძე“.

ამ ნაწარმოებს პოეტი, თითქმის ოც წელს წერდა (1872-1889 წ.წ.). პოემას საფუძვლად დაედო ი. ჭავჭავაძის „იანიჩარის“ დედააზრი. ბედუკუღმართობით შორს გატყორცნილი რაშიდი თურქების ჯარის ოფიცერია და თავისუფლებისმოყვარე შავმთიელებს (იუგოსლავია) ებრძვის, მაგრამ მის გულში სამშობლოს ხმა არ გამქრალა და როცა მიჯნური მის ტანჯვას იგრძნობს და ეტყვის: „მერე რა გინდა ამათ ჯარებში, შენი მამულის მესისხლეებთანო?“ — ის ყველაფერს მიატოვებს და გადაიკარგება.

პოემის შესავალში (რომელიც „კრებულში“ დაიბეჭდა) პოეტი სასტიკად კიცხავს საზოგადოებაში გამეფებულ გაუტანლობას, კარიერიზმს, ეგოიზმს, მლიქვნელობას, ჩინ-მედლებით გატაცებას. აბსტრაქტულად აქ მომავლის იმედიც იგრძნობა და ახალთაობისადმი სიმპათიაცაა გამჟღავნებული.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მ. გურიელის შემოქმედებას მაინც შერჩა ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა. იგი, უწინარეს ყოვლისა, წარმოდგენას იძლევა ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების მრავალფეროვნებაზე, მის განვითარებაში მიმდინარე წინააღმდეგობებზე.

გიორგი ჭალადიდელი

გიორგი ჭალადიდელი (გ. მ. ქოჩაკიძე) „კრებულის“ ახალგაზრდა თანამშრომელთა ჯგუფს ეკუთვნის. იგი დავით ჩხოტუას, ივანე მესხის, ბესარიონ ჯაფარიძის და ვლადიმერ ნიკოლაძის თანაკლასელი, მეგობარი და იდეური თანამოაზრე იყო. „კრებულის“ დაარსებისას მკითხველი უკვე კარგად იცნობდა მის ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც „დროებასა“, „სასოფლო გაზეთსა“ და „მნათობში“ დაი-

ბეჭდა. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მისმა ლექსებმა: „დარჩენილი ჩერქეზი“, „მენავე“, „მოგონება“ („მახსოვს პირველად სასწავლებელში წასაყვანადა მე გამამზადეს“), „ელეგია“, „იმედი“, „საზანდრული“, „ქება შრომას“, „ფაცხა“ და სხვ. ამავე პერიოდში გ. ჭალადიდელი ბეჭდავდა „სცენებსა“ და ფელეტონებს („ცივ-ცივი ამბები“, „ჩვენებური სცენები“ და სხვ.); 1871 წელს ნ. ნიკოლაძემ საგანგებოდ განიხილა გ. ჭალადიდელის ნაწერები,[1] ხოლო აკ. წერეთელმა მას ლექსიც მიუძღვნა. უკვე იმ დროს მღეროდნენ მის ლექსებს: „მოგონება“, „ფაცხა“, და „ქალაქელი ბიჭი ვარ“. ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ახალგაზრდობა მას ალმერთებდა, საზოგადოებას ის დიდ იმედად, ახალ ვარსკვლავად მიაჩნდა. 1870 წ. ს. მესხი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ნ. ნიკოლაძის კრიტიკული შენიშვნების გამო — „ჭალადიდელს უეჭველი ნიჭი აქვს“ და ხელი უნდა შევუწყოთო. ა. ხახანაშვილის სიტყვით, გ. ჭალადიდელს „ილიასა და აკაკის ღირსეულ მემკვიდრედ თვლიდნენ“ [2].

მაგრამ მალე პოეტი სამხედრო სამსახურში შეიდა და, აკაკის თქმით, „თავისი ნიჭი ზარბაზნების კვამლში გახვია“. პირველ ხანებში გ. ჭალადიდელი მაინც აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

„კრებულში“, რომელსაც გ. ჭალადიდელი რუსეთიდან უგზავნიდა თავის ნაწერებს, მისი ოთხი ლექსი დაიბეჭდა: 1. პოემიდან — „უბედურნი“ (1872 წ. № 8-9); 2. „გორდის მთაჭე“ (1872 წ., № 10-12); 3. „ვუძღვნი ნ. ს.“ (1873 წ., № 3); 4. „დურგალი“ (1873 წ., № 10).

პოემა „უბედურნი“ 1875 წელს მთლიანად დაისტამბა „დროების“ კალენდარში. იგი მთლიანად არის შეტანილი გ. ჭალადიდელის თხზულებათა 1940 წ. გამოცემაშიც. „კრებულის“ ნაწყვეტი I, II და III თავებს შეესაბამება (გვ. 78);

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ჭალადიდელის ლექსებზე“, „დროება“, 1871 წ., № 26.

2 А. Хаханов, „Очерки по истории грузинской словесности, — 1895.

„უბედურნი“. პოემა ჩერქეზეთის ცხოვრებიდამ“; დათარიღებულია: 1872 წ., კრასნოე სელო (დაბეჭდილია 1947 წლის გამოცემაშიც, გვ. 45). „კრებულისა“ და უკანასკნელ გამოცემათა ტექსტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

ლექსი — „გორდის მთაზე“ უცვლელადაა დაბეჭდილი პოეტის თხზულებათა გამოცემებში. „ვუძღვნი ნ. ს.“ 1947 წლის გამოცემაში დაბეჭდილია გაშიფრული სათაურით: „ვუძღვნი ნ. სკანდელს“ (გვ. 58) და რამდენადმე განირჩევა „კრებულის“ ტექსტისაგან.

„დურგალი“ უცვლელადაა შეტანილი 1947 წ. გამოცემაში.

საზოგადოებრივი შინაარსითა და ლიტერატურული ღირსებით, „კრებულში“ დაბეჭდილი გ. ჭალადიდელის ოთხივე ნაწარმოები საინტერესოა. პოეტი სამშობლოს აღორძინებასა და შრომის განთავისუფლებას უმღერის, მტკიცედ დგას ჩვენი ჰწერლობის დემოკრატიულ პოზიციებზე და, როგორც იდეურად, ისე ფორმის მხრივ, მასში თავისებური სიმახვილე და ნიუანსებიც შეაქვს.

პოემა „უბედურნი“, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ლირიკულ სიუჟეტზეა აგებული. გულში ღრმად ჩარჩენილ ჭაბუკობის დროინდელ შთაბეჭდილებას პოეტი ფართო აზრობრივ და ემოციურ განვითარებას აძლევს, აქტუალურ ეროვნულ-სოციალურ განზოგადებამდე აჰყავს. პოემის ლირიკულ გმირს (ასე ვუწოდოთ მას!) შავი ზღვის პირას შავთვალა ჩერქეზი ქალიშვილი შეხვედრია; ჭაბუკ ოფიცერს შებრალებია ცხარედ მტირალი უცხო ასული და ძმობა შეუფიცავს, მაგრამ ქალს უარი უთქვამს: შენ ჩემს მოძმეებს გულს უგმირავდი, რის საფასურად მკერდზე ჯვარიც ჩამოგიკიდნია და შენი მეგობრობა რად მინდაო. ჭაბუკს გული მოუკლა ქალიშვილის მხილებამ: იგი ახლა შორეული ჩრდილოეთშია, მაგრამ ზღვის პირად მტირალი ქალი არ ავიწყდება.

ნაწარმოებში რელიეფურად და შთამბეჭდავადაა ხატოვნებსხმული ჩაგრულ ხალხთა სოლიდარობის იდეა. პოეტი მკაცრად უპირისპირდება ძველი თაობის თვალსაზრისს კავკასიის მთიელებთან ომის სამართლიანობაზე (დავ. მაჩაბლის პოემა „მთიული“, გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და სხვ.). იგი, არ-

სებითად, გრ. ორბელიანის აღნიშნული ლექსის პასუხიცაა და საგულისხმოა, რომ ქრონოლოგიურადაც ემთხვევა მას. პოემაში მხატვრულად გაშლილი და ნათელყოფილია ილიას „აჩრდილის“ იდეა კავკასიის ერთა საბრძოლო სოლიდარობისა და ინტერესთა განუყოფლობის შესახებ. რენეგატ თაეადაზნაურთა მთელი თაობის მხილებად გაისმის ჩერქეზი ქალიშვილის სიტყვები. ქალიშვილის საქმრომ უარი თქვა ჯალათის მოწყალებაზე, დათმო სიცოცხლე, შეყვარებული, და მკერდი მიუშვირა მტარვალთა ტყვიას. იდეური თვალთახედვით, ეს პოემა ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა თავისებური წინამორბედია.

გ. ჭალადიდელმა დაგვანახა ბეჟის არჩიაში მოხვედრილ პატიოსან ადამიანთა, თვითმპყრობელობის უწბილიე მსახურთა დიდი სულიერი ტრაგედია. გამოხატა მათი სინდისის ქენჯნა და პროტესტი. ჩვენ ვგრძნობთ, რა მტანჯველად განიცდიდნენ ეს ადამიანები ხალხის საწინააღმდეგო მხარეზე დგომას და ვიცით, რომ გადამწყვეტ მომენტში ისინი ხალხთან იქნებიან. აკი ასეც ამთავრებს ლირიკული გმირი ჩერქეზის ასულთან ოცნებითს დიალოგს: —

შენებრ, იცოდე, ჩემო შაკვალაე,
არც მე ვარ ბედის კმაყოფილი!

პოეტური ტემპერამენტის, პატრიოტული აღტკინებისა და შემოქმედებითი წვის დადასტურებაა „გორდის მთაზე“. ამ ლექსს გასაოცარი შინაგანი სითბო და მღელვარება გამოჰყოლია. მისი მაჟორული ჟღერა ნათლად გამოხატავს მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისადმი ერთგული პოეტის ოპტიმისტურ განწყობილებას. მცირე ფორმის ნაწარმოებში იდეალურადაა კონდენსირებული წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანი შეგრძნება. ლექსი გვხიბლავს უშუალობით, უბრალოებით, შინაგანი დიალოგებითა და ალმავალი ექსპრესიულობით. ეს ლექსი, რა თქმა უნდა, უნაკლო არაა, მაგრამ, აღნიშნულ ღირსებათა გამო, მაინც მეტად საინტერესო მოვლენაა იმდროინდელ ლიტერატურაში.

ნ. ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ლექსი ერთგვარი გაპაექრობაა იმ კრიტიკული წერილისა, რომელშიც მან გ. ჭალადიდელის შემოქმედება განიხილა; ნაწარმოებში დეკლარაციულად

დადასტურებულია ერთგულება „შრომის, ერთობისა და ბრძოლისადმი“. ნათქვამია, რომ პოეტი მუდამ წინა ხაზზე უნდა იდგეს და „ქვითკირივით გულმაგარი“ იყოს, როგორც მეომარი ბრძოლის ველზე; მაგრამ, გარშემო ტანჯვა, ოხვრა-წუხილი გამეფებულა და ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ პოეტის სტრიქონებს სევდაც გაერევა.

გ. ჭალადიდელი ლირიკოსის საუკეთესო ღირსებებით იყო მადლმოსილი. მას ჰქონდა მგრძნობიარე გული, მეოცნებე ბუნება, შთაბეჭდილებიანი ხასიათი, ემოციური ფანტაზია; შეეძლო შეემჩნია და განეცადა სხვათათვის შეუმჩნევი და უგრძნობელი, შეეძლო ფრთა შეესხა უცაბედად გაელვებული გრძნობისათვის. საყოველთაოდ ექცია ინტიმური, და, ძალიან დასანანია, ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ტრაგიკული მოვლენაა, რომ ასეთ კაცს არ შეეძლო მთელი თავისი ნიჭი და უნარი პარნასზე მიეტანა. იგი თითქოს, თავისთვის წერდა, თავისი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადაჰქონდა ქაღალდზე დარდი და სიხარული, დახვეწას კი, რაც უკვე საზოგადოებაში გასატანადაა აუცილებელი, ვერ ასწრებდა და ვერ ახერხებდა. ამიტომ, გ. ჭალადიდელის პოეზიაში ჩვენ ისეთ ნიშნებს ვხვდებით, რომლებმაც მის შემოქმედებაში ვეღარ ჰპოვა კლასიკური სრულყოფა და მოგვიანებით, სხვათა ნაწერებში განვითარდა; ისეთ თესლს ვამჩნევთ, რომელიც წლების შემდეგ, სხვათა შემოქმედებაში აღმოცენდა და სათანადო ნაყოფი გამოიღო. თემის, მხატვრული ჩანაფიქრის, მანერისა და ინტონაციის მხრივ, თუ კანონმდებლად არა, გ. ჭალადიდელი, ცალკეულ შემთხვევაში, პირველ მერცხლად მაინც გვევლინება. ასე ვუყურებთ, კერძოდ, მის საინტერესო ლექსს — „დურგალი“, რომელშიც შრომის რიტმი და დემოკრატიული ფენების ხმა გვესმის. ეს ის ხმაა, რომელსაც ი. დავითაშვილის ლექსებიდან ვიცნობთ, და რომელიც შემდეგ ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში გაძლიერდა და დავაჟკაცდა.

იდეური რადიკალიზმით, პოეტური ოსტატობით, ლექსის სიმსუბუქით, მელოდიურობითა და შინაარსის შესატყვისი რიტმულობით, ენის სიცხადითა და უბრალოებით, გ. ჭალადიდელის ლექსები თავისებურ ელფერს აძლევდა „კრებულის“

პოეზიას, გვერდს უმშვენებდა თავის საამაყო მასწავლებლებს — ილიას და აკაკის. გვჯერა იმ აღტაცებული სიტყვების გულწრფელობა, რომელიც გ. ჭალადიდელს 1873 წელს ჩაუწერია თავის დღიურში: „რა ძალა გაქვს პოეზია!.. შენ ხარ სარკე კაცის გულის, იმ შემთხვევაში, როცა გული ამაღლებულია ცის სიწმინდეში და მოშორებულია კაცობრიობის უძირო ამაოებას. მაშ, რა გჯობია შენ და რა გაწმენდს კაცობრიობის ზნეს, თუ არა შენ?“

დიმიტრი მელვინეთხუცისშვილს

„კრებულის 1872 წლის მე-10-12 ნომრებში „დ. მ“-ს ინიციალებით დაბეჭდილი ლექსი „ჩიტი“ მარტივი ალეგორიული ნაწარმოებია და არც ფორმით, არც შინაარსით, სერიოზულ ყურადღებას არ იმსახურებს. ცარიზმის მონობაში მყოფი სამშობლოს მდგომარეობას ავტორი გალიაში დატყვევებული ჩიტის ბედს ადარებს, რაც იმ დროისათვის ძალიან ტრივიალურ ალეგორიულ ხერხად უნდა ჩაითვალოს. მოძველებული ჩანს ლექსის სტილისტურ-მხატვრული ინვენტარიც.

პოეტური თარგმანი

„კრებულმა“ პრინციპულად წამოჭრა მხატვრული თარგმნის საკითხი და, როგორც თეორიულად, ისე შემოქმედებითი პრაქტიკით, დიდად შეუწყო ხელი მთარგმნელობითი ლიტერატურის განვითარებას.

მწერლებს, რომელთაც ამა თუ იმ მომენტში არ გააჩნდათ რაიმე გადაუდებელი მხატვრული ჩანაფიქრი, პირდაპირ ურჩევდნენ, ხელი მოეკიდათ თარგმანისათვის.

უპირველესი პირობა, რომელსაც რედაქცია და კრიტიკოსები მთარგმნელისაგან მოითხოვდნენ, მასალის იდეური შერჩევა იყო. შეეფერება თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ინტერესებს, მის თანამედროვე სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნებს, „ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რაიმე ზემოქმედება თუ არა?“[1]. აი, რა იყო ყველაზე მთავარი და საჭირბოროტო. თუ არჩევანს იდეური გამართლება ჰქონდა, კრიტიკა მზად იყო ბევრი სისუსტე ეპატიებინა მთარგმნელისათვის.

ამ იდეური პრინციპის შედეგია, რომ „დროების“, „კრებულის“ და „მნათობის“ ფურცლებზე, თითქმის მხოლოდ სამოქალაქო ლირიკის ნიმუშები იბეჭდებოდა და ეს, უპირატესად, ნეკრასოვისა და დობროლიუბოვის ლექსები იყო.

საგრძნობლად გაძლიერდა ინტერესი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებისადმიც. ჟურნალ-გაზეთებში სულ უფრო ხშირად ქვეყნდება ბაირონის, შილლერის, გოეთეს, ჰაინეს, ბერანჟეს, ჰიუგოს ლექსები.

გაიზარდა მხატვრული მომთხოვნელობაც, მთარგმნელისათვის აუცილებელ პირობად იქცა ენების საფუძველიანი ცოდ-

[1] ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872 წ., № 2

ნა, ლიტერატურული ტალანტი, ჟანრობრივი პროფესიონალიზმი, საერთო განათლება, განიხილავს რა ი. ბაქრაძის გადმოთარგმნილ ბაირონის „დონ-ჟუანს“, — ნ. ნიკოლაძეს ინგლისურ ენაზე მოაქვს ვრცელი ადგილები და ცხადყოფს თარგმანის შეუსაბამობას ორიგინალთან.

კრიტიკამ სავსებით სამართლიანი და ძალიან მკაცრი პირობები წამოაყენა. მთარგმნელი აუცილებლად შემოქმედებითად აღფრთოვანებული უნდა იყოს სათარგმნი ნაწარმოებით. სისხლხორცეულად უნდა შეიგრძნოს ორიგინალის სულისკვეთება, თვითეული დეტალის მხატვრული ნიუანსები, შეიგრძნოს ავტორის ჩანაფიქრის ყოველი ხვეული, განიმსჭვალოს თხზულების აზრითა და გრძნობით, ალღო აუღოს დედნის კილოს, რიტმს, ინტონაციას; ამოშიფროს მხატვრული სახეები, შეამჩნიოს კოლორიტი, მკაფიოდ წარმოსახოს ხასიათთა ბუნება. „თარგმანის დროს იგივე გრძნობა და იგივე მიმართულება გაუჯდეს ტვინში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებდა“. ნ. ნიკოლაძე „დონ ჟუანის“ მთარგმნელს უსაყვედურებს, რომ მას არ ესმის დედნის აზრი, ირონია, კილო... ის სამართებელივით მჭრელი ირონია, რომლითაც სავსეა ეს პოემა, ის მდუღარე გრძნობა და ბრაზიანი სიძულვილი, რომლითაც სავსეა ეს პოემა“. შილერის — „ფიასკოს შეთქმულების“ თარგმანის მთავარ ნაკლად კრიტიკოსს ის მიაჩნია, რომ მთარგმნელს „ენის კილოც ვერ მიუგნია“. ეს იყო რეალისტური თარგმნის მოთხოვნები, რომელიც დედნის სწორ ასახვას გულისხმობდა და განწყობილებას მხატვრული შინაარსის განუყოფელ ნაწილად თვლიდა.

თარგმნა სრულფასოვან შემოქმედებით აქტად გამოცხადდა. პოეტურ ნაწარმოებთა თარგმნა პოეტთა პრივილეგიად იქნა აღიარებული; ლექსის მთარგმნელი უეჭველად თვითონაც კარგი პოეტი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ აღნიშნულ მოწოდებათა სიმაღლეზე მდგომი მთარგმნელები, განსაკუთრებით პოეტები, იმ დროს ძალიან ნაკლებად გვყავდა და „კრებული“ იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. ჟურნალს არ აქვს ერთიანი მთარგმნელობითი მეთოდი ან სტილი. რეალისტური თარგმანის გვერდით (ასეთია,

ჩვენი აზრით ილია ჭავჭავაძის — „ირლანდიისადმი“, „ლენინედამ“), გვხვდება რომანტიკულ-სუბიექტური (მ. გურიელის) და ემპირიულ-ნატურალისტური (კირ. ლორთქიფანიძის) თარგმანები. მაშინ როდესაც ილიას თარგმანები ზუსტად ასახავს ორიგინალის იდეურ-მხატვრულ არსს, მ. გურიელს ტენდენციურად შეაქვს მასში ცვლილებები, ხოლო კირ. ლორთქიფანიძე სიტყვა-სიტყვით, ფოტოგრაფიულად გადმოსცემს დედნის შინაარსს, მაგრამ ხელიდან ეცლება პოეტური სახეები და ფერი. ილია ჭავჭავაძის თარგმანები ადექვატურია, ხოლო მ. გურიელისა — სახეშეცვლილი. როცა ილია საგრძნობლად შორდება დედანს, ან ის შთაგონების შორეული იმპულსია მისთვის, ავტორის მითითებას მაინც ეთიკურ მოვალეობად მიიჩნევს, მაგრამ ლექსს მიბაძვად თელის, — რადგან აქ წინა პლანზე იჭრება „თვითმოქმედი ძალი შემოქმედობისა“.

ა. ს. პუშკინი

„კრებულის“ 1872 წ. მე-10—12 ნომერში მთლიანად დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის მიერ თარგმნილი პუშკინის „ძუნწი გმირი“ („Скупой рыцарь“). თხზულება გამართულია ათმარცვლიანი რითმიანი ლექსით, მწყობრად და თანმიმდევრულად. თარგმანის მიხედვით ორიგინალის დედააზრს მკითხველი ადვილად გაიგებს, მაგრამ მის მხატვრულ ბრწყინვალებას ვერ იგრძნობს. მდაბიური ენა, ფამილარული კილო და გაუბრალოებული ლექსი ნაწარმოებს უკარგავს დრამატიზმს, შინაგან ცხოველმყოფელობასა და სიდიადეს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რაფიელ ერისთავს ორიგინალის არც ერთი დეტალი არ გამოუტოვებია და შინაარსობრივად არ შეუცვლია, — თარგმანი მაინც გადმოკეთებად ან გადმოჭართულებად უნდა მივიჩნიოთ. იმ დროს გავრცელებული თვალსაზრისის შესაბამისად, მთარგმნელს მხედველობაში ჰყავს რუსული ენის უმეცარი, ე. ი. დაბალი განათლების მკითხველი და აშკარად ეტყობა, რომ ცდილობს პოემის აზრი როგორმე მათ შეგნებამდე დაიყვანოს. ამ მიზნით ზოგიერთ ადგილს ის ხელოვნურად ავრცობს და აქა-იქ კიდეც აჭიანურებს.

Какой удар! Проклятый Граф Делорж!

ახ, დელორჟ, დელორჟ! მოგტყდეს კისერი,
შენ შეგაჩვენა ჩემმა გამჩენმა!

Как из стремян вы вышибли его
უზანგოები დააცლევინეთ, ცხენიდგან მარჯვეთ გადმოუძახეთ.
Закрыв лицо! — შეჰკვირა უცებ, ორიე ხელები
მან მიიფარა ლამაზ თვალებზედ.

ალბერ: Чтож говорит бездельник Соломон?.
ნეტა, რა გითხრა იუდას კერძმა, ცრუ სოლომონმა?

Как молодой повеса ждет свиданья?
როგორც უმაწვილი თაეკარიანი, გიჟმაჟი, ცელქი, დაუდგრომელი.

პოემა ამ პრინციპითაა გადმოთარგმნილი და მთარგმნელი, არსებითად, ტექსტის კომენტატორად გვეელინება. ჩვენი აზრით, „ძუნწი გმირი" პოეტურ თარგმანს არ წარმოადგენს, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი განმანათლებლური თარგმანია და ამ მხრივ თავის დროზე მნიშვნელობაც ჰქონდა, — ხელს უწყობდა მდაბიო მკითხველთა შორის დიდი რუსი პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციას.

მ. ი. ლერმონტოვი

ჩვენი მწერლები მუდამ არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენდნენ მ. ლერმონტოვის შემოქმედებისადმი, კერძოდ, ქართულ თემაზე შექმნილი პოემებისადმი, მაგრამ ეს თხზულებანი ძნელად დასაპყრობ მწვერვალებად მიაჩნდათ და სახელდახელო იერიშს ერიდებოდნენ. ი. ჭავჭავაძე ირონიულად შენიშნავდა რევაზ ერისთავს, კიდევ კარგი, რომ პუშკინისა და ლერმონტოვისთვის არ მოგიკიდნია ხელიო. ვსვ რომ, გაბედულ ცდად უნდა ჩაითვალოს მამია გურიელის მიერ „დემონის" გადმოთარგმნა („კრებული", 1872 წ. № 6). თარგმანი, რომელიც 1871 წელსაა შესრულებული, შეტანილია აგრეთვე პოეტის თხზულებათა 1897 წ. გამოცემაში, უმნიშვნელო სტილისტური შესწორებებით.

თარგმანი შეიცავს „დემონის" პირველ ნაწილს მთლიანად და მეორე ნაწილს — პირველიდან მეთორმეტე თავამდე.

თუმცა X თავი ცალკე გამოყოფილი არ არის. ამრიგად, მ. გურიელს არ უთარგმნია XII, XIII, XIV, XV და XVI თავები. „კრებულში“ პოემა პუნქტირით მთავრდება, ხოლო 1897 წლის გამოცემაში აღნიშნულია, რომ „ბოლო აკლია“.

როგორც ცნობილია, „დემონი“ ლერმონტოვის შემოქმედებაშიც გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმით, ძლიერი ხასიათებით, ფილიგრანული დახვეწილობითა და შესაფერისი მონუმენტური სტილით. ამ პოემაში, რომელზედაც პოეტი თორმეტ წელს მუშაობდა, სრულად აისახა მისი იდეურ-მხატვრული მრწამსი. მიუხედავად მისტიკურ-ფანტასტიკური გარესამოსელისა, ფილოსოფიური გააზრებით, „დემონი“ რეალიზმთან მიახლოებაა, თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემათა პასუხია. ამ ჩანაფიქრის ამოუხსნელად „დემონის“ ადექვატური თარგმნა ყოვლად წარმოუდგენელია. გარეგნულად მამია გურიელი ორიგინალის ტექსტს კვალდაკვალ მიჰყვება, მაგრამ შინაგანი განწყობილებით, საერთო იდეური კონცეფციით, სუბიექტურ ინტერპრეტაციას გვაძლევს. როგორც ჩანს, დემონი მისთვის მარადიული ბოროტი სულია, რაღაც ლუციფერისა და მეფისტოფელის მსგავსი სატანაა. აქ თითქმის არ იგრძნობა მდუღარე ადამიანური ტრაგედია, იმ ბოროტებათა შორეული წვდომა, რომელთა მიზეზით დემონი შურს იძიებს.

აღარაფერს ვიტყვით მ. გურიელის პოეტურ შესაძლებლობაზე, რაც „დემონის“ მსგავს ნაწარმოებთა თარგმნის აუცილებელი პირობაა. ამას ემატება უმწეო ქართული, ტლანქი ნაციონალური ტენდენცია და ზერელობა.

მ. გურიელის თარგმანში სტრუქტურულად თითქმის ყველაფერი სწორად არის გადმოღებული, მაგრამ არც ერთი სახე, არც ერთი სიტუაცია გადმოცემული არაა ზუსტად, მხატვრული ძლიერებით, დედნის სულის შემანარჩუნებელი კონტექსტებით:

I. Давно отверженный блуждал
в пустыне мира без приюта.
სოფლის ყრუ ველში ის დაბორგავდა
ღიდხანს უმიზნოდ, უნავსაყუდროდ.

2. И башни замков на скалах
Смотрели грозно сквозь туманы —
у врат Кавказа на часах
сторожевые великаны!
и дик и чуден был вокруг.
და ბურჯნი კოშკეთ მაღლა კლდეებზე
სპატიჟათ სჭვრეტდნენ მაღლა ჯანღებთა:
კავკასის კართან მყოფი გუშაგზე
მცველები იდგნენ უზარმაზრებთა.
მხეცებრივ უცხო იყო ირგვლივათ...

3. Но если речь твоя лукава.
მაგრამ თუ ენა შენი ჰრელია და ა. შ.

მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს დიალექტიზმები, ბარბარიზმები, ნაძალადევი ენობრივი ფორმები: „კნიაჭნა თამარ“, „ყოველთვინ“, „ქალებთ შუა“, „ჩოხის სახლებს“, „რომლებს“, „მის უკან ჯაჭვი აქლემებისა, გრძელ წკრეთ შარაზე მიღოღდებიან“; „თვალები ირგვლივ იყურებიან“. „დღეებთ ხსოვნება“, „მის თვალების წინ იჯგუფებოდა“, „იგრიხებოდა ძვირ სანახავათ“, „მან... შეეხო“ და სხვ.

„დემონი“ შთაგონებულია საქართველოს სიყვარულით და ღრმად გამსჭვალულია საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი, მისი ბუნებისა და ისტორიისადმი უსაზღვრო პატივისცემით გამოწვეული პოეტური აღმაფრენით. იდეალურნი არიან თამარი და მისი საქმრო, რომელმაც სასოწარკვეთილ მდგომარეობაში „ააელვარა ხელში ყირიმი, ასკუპა ცხენი, გაიჭრა ბრძოლად“. ქართველთა ასეთი სიმამაცის მიუხედავად, ნაწარმოების საერთო ჩანაფიქრის მიხედვით, ისინი, მაინც, უნდა დაღუპულიყვნენ დემონთან ბრძოლაში და აი, აქ პოეტი რამდენიმე სიტყვას ხმარობს სასიძო თავადის ყმების აღსანიშნავად და უკანასკნელ სტრიქონში უარს არ ამბობს რითმად მოვარდნილ ერთ-ერთ სინონიმზე: „...Бежали робкие грузины“, რაც სხვას არაფერს ნიშნავს თუარ იმას, რომ დემონის (ეშმაკის) ნებით, თავადის მხლებლები დამარცხდნენ. ეს მომენტი, სხვათა შორის, სწორად არის გაგებული და გადმოცემული „დემონის“ უკანასკნელ (რ. თვარაძის) თარგმანში:

არ უბრძოლია ამალას დიდხანს:
მხდლურად გაიქცნენ თავადის ყმები.

მ. გურიელი ამ ადგილსაც ტენდენციურად თარგმნის:

დიდხან ომი არ გაგრძელებულა:
ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში.

მაგრამ ამ თვითნებობის გამო, მთარგმნელი წინააღმდეგობაშიც ვარდება, რადგან მომდევნო თავში ნათქვამია:

Но злая пуля осетина
Его во мраке догнала.

პოემის მთლიან, ამაღლებულ ინტონაციას არღვევს რიტმული მერყეობა, რასაც რვა და ათმარცვლიანი ლექსის მონაცვლეობა იწვევს.

ასეთი არსებითი ნაკლოვანებებითაც კი, „დემონის" თარგმანი მაინც საკმაოდ დამაინტერესებელია. აქა-იქ კარგ პოეტურ სტრიქონებსაც ვხვდებით:

И Терек, прыгая, как львица
С косматой гривой на хребте.
თერგი მხტომარე, ვით ლომი შამბში,
ხუჭუჭის ფაფრით ქედშემკობილი.

კარგი მთარგმნელი იმ დროს სანთლით საძებნელი იყო და ლიტერატურული საზოგადოებრიობა ამ დარგში მცირეოდენ წარმატებასაც აღტაცებით ეგებებოდა. ამით უნდა აიხსნას, რომ მ. გურიელის თარგმანს დიდი ქება ხვდა წილად. „კრებულის" მეექვსე წიგნის ბელეტრისტიკულ ნაწილში, — წერდ: ს. მესხი, — ყველაზე პირველათ მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას მშვენივრათ ნათარგმნი უფ. ფაზელისაგან ლერმონტოვის პოემა „დემონი". ...ზოგიერთი ადგილები თარგმანისა ლექსის ძლიერებითა და გამოთქმის სიმკვირცხლით სრულიად არ ჩამოუდგებიან უკან თვით ორიგინალსა" [1].

მესხის ორიოდე შენიშვნით უკმაყოფილო მთარგმნელმა „თავის გასამართლებლად" „დროებაში" საპასუხო წერილი დაბეჭდა [2].

---

[1] „დროება", 1872 წ., №14.

[2] „დროება", 1872 წ., № 20.

„კრებულში“ დაბეჭდილია ნ. დობროლიუბოვის ოთხი ლექსი: „შეხვედრა“ (1871 წ., № 4), „მზე ამობრწყინდა, დაჰხედა მთასა“ (1871 წ., № 4), „გარდაცვალებაზედ“ (1873 წ. № 1) და „როცა ზამთარში გაჭირვებული“ (1873 წ. № 8). პირველი ორი თომა კარგარეთელის ხელმოწერით გამოქვეყნდა, ხოლო დანარჩენი—ხელმოუწერლად. ოთხივე ლექსი კირ. ლორთქიფანიძის მიერაა გადმოთარგმნილი 1868 წელს, პეტერბურგში ყოფნის დროს. კირ. ლორთქიფანიძის თარგმანები (თომა კარგარეთელის ფსევდონიმით) 1905 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა, ამასთან, ზოგიერთის ავტოგრაფი დაცულია მის პირად არქივში (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

თარგმანში ლექსის სათაურები ან სრულებით არ არის მოთითებული ან გამოცვლილია, რის გამოც ორიგინალთან მათი შედარება ყოველთვის ვერ ხერხდება.

„შეხვედრის“ თემაზე 1856 წელს ნიკ. დობროლიუბოვს რამდენიმე ლექსი დაუწერია. ისინი, შეიძლება, ერთმანეთის ვარიანტებადაც მივიჩნიოთ, მაგრამ პოეტის თხზულებათა კრებულებში ცალკე ნაწარმოებებად არის შეტანილი. ძნელი სათქმელია, რომელი ვარიანტიდანაა შესრულებული კირ. ლორთქიფანიძის თარგმანი. მართალია, ის ზუსტად ემთხვევა შემოკლებულ ვარიანტს („Встреча“), მაგრამ მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა შეეფერხებია ადგილობრივ ცენზურას მისი დაბეჭდვა (რასაც ს. მესხი აცნობებდა კირ. ლორთქიფანიძეს). მოკლე და განვრცობილი ვარიანტის („Перед дворцом“) დასაწყისი და დასასრული ერთნაირია, მაგრამ მოკლე ვარიანტში გამოტოვებულია მეფის სასახლის შეჩვენება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კირ. ლორთქიფანიძემ ვრცელი ვარიანტი გადმოთარგმნა და რაკი ცენზურამ შუა ნაწილი (მეფის გმობა) ამოაგდო, თარგმანი შემოკლებულ ვარიანტს დაემთხვა.

ეს სიუჟეტიანი, პუბლიცისტური ლექსი აგებულია სოციალურ კონტრასტზე. პოეტი შეხვდება გათოშილ, მშიერ, უპატრონო ბავშვს; ებრალება, მაგრამ არაფერი აქვს, რომ დაეხმა-

როს. პირდაპირ კი მოჩანს მეფის სასახლე, სადაც უსაქმურები დროს ატარებენ და ხალხის ბედ-იღბალზე არ ფიქრობენ:

Так безмятежно в нем царь русский пировал
Ничей ни вопль, ни стон ему не слышен.
По прихоти бросать он может миллионы,
Именье у рабов, их жизнь, их честь отнять,
велеть, чтоб за него на смерть шли легионы,
Чтоб дочерью ему пожертвовала мать...
...Не диво, Русь, что в тьме, в лохмотьях, в униженьи,
замерзши чувствами, терпя духовный глад, —
хоть в ад ты бросишься по царскому веленью;
Вся жизнь твоя теперь — позорный, душный ад.[1]

ცხადია, აქაური ცენზურა ამ სტრიქონებს არ გაუშვებდა და, ამიტომ, თარგმანში სოციალური კონტრასტი დარჩა, მაგრამ მეფის სასახლისა და ხალხის დაპირისპირება ნათლად აღარ ჩანს.

„გარდაცვალებაზედ“ თარგმანია ნ. დობროლიუბოვის ლექსისა, — „На смерть особы“ [2], რომელიც 1857 წელსაა დაწერილი და მკაცრად ამხელს მეცის თვითმპყრობელობას.

„დიდკაცების“ წინააღმდეგ მიმართული მწვავე სატირაა — „Когда, среди зимы холодной...“ [3]. („როცა ზამთარში გაჭირვებული“).

კირ. ლორთქიფანიძეს ლექსი, თითქმის, სრულებით არ ეხერხება; მას ამ ნაწარმოებთა მებრძოლი იდეურობა აინტერესებს და აზრს პედანტური სიზუსტით გადმოგვცემს. მისი თარგმანები ბწკარედებს მოგვაგონებს:

В лохмотьях, худенький, болезненный и бледный,
Дрожа от холода, с заплаканным лицом,
На площади меня раз встретил мальчик бедный
И сжалиться над ним молил меня Христом.

---

[1] Н. Добролюбов. Стихотворения, 1948. стр. 36 („Перед дворцом“) и 49 („Встреча“).

[2] Н. Добролюбов. Стихотворения, 1948, стр. 36. („Перед дворцом“) и 49 („Встреча“).

[3] იქვე, გვ. 47.

ერთხელ ქუჩაზედ პირგამხდარი ყმაწვილი შემხედა,
იყო სნეული, ფერმიხდილი, თვალნამტირალი,
ძონძი ტანთ ეცვა, სიცივისგან ის კანკალებდა,
ქრისტეს გულისთვის შეწევნასა მთხოვდა საწყალი.

არცთუ ისე ხშირ, რთულ პოეტურ სახეებს მთარგმნელი პროზაულად გადმოგვცემს:

Ребенка я обнял с тоскою и любовью,
И долго плакал с ним... о нем и о себе.

ყმარწვილს დავეწყე მოფერება სიყვარულითა,
და მწარე ფიქრმა ჩვენს ხვედრზედა იქ შემიპყრო მე.

ორიგინალისადმი მეტისმეტი ერთგულების გამო, ზოგიერთ ადგილს თარგმანში დაკარგული აქვს სიცხადე და დობროლიუბოვის პოეზიისათვის დამახასიათებელი პუბლიცისტური სიმახვილე. მაგალითად:

Пируй же, смерть, в моей отчизне,
Все в ней отжившее рази,
И знамя новой, юной жизни,
На грудах трупов водрузи!
(„На смерть особы").

განსცხრი, სიკვდილო, მწუხარე მხარეს,
რაც აქ მიხრწნილა, შთანთქე, გაჰფანტე,
და ხრწნილებისა ახალს სამარეს
ახალ ცხოვრების დროშა აღმართე!

კირ. ლორთქიფანიძის თარგმანებში ბარბარიზმები და დიალექტიზმებიც გვხვდება („სტოლები", „ზალა", „ბალის მუზიკა", „ყმარწვილი" და სხვ.), მაგრამ ამ ლექსებში, მაინც დიდი სითბო, შინაგანი მღელვარება, პროტესტი და საბრძოლო განწყობილება იგრძნობა. ეს თხზულებანი სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა მკითხველ საზოგადოებაზე და ხალხოსან პოეტთა (ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე და სხვ.) შემოქმედებას თავისებური კილოც კი მისცა.

განიხილავდა რა ნ. ნიკოლაძის წერილს — „ახალი ახალ-

გაზრდობა“, ს. მესხი შენიშნავდა: „ჩინებულად გადმოთარგმნილი დობროლიუბოვის ლექსი („გარდაცვალებაზედ“) სკანდელის სტატიას“ ეპიგრაფად მოუხდებაო.

ა. ნ. პლეშჩეევი

ალექსი ნიკოლოზის ძე პლეშჩეევის შემოქმედება, რომელიც ლერმონტოვისა და ნეკრასოვის სამოქალაქო ლირიკის შემაერთებელი საფეხური იყო, საგრძნობი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა, როცა ჩერნიშევსკის საქმესთან დაკავშირებით, 1863 წელს, პლეშჩეევი პასუხისგებაში მისცეს და მომდევნო წლებში მამხილებელი ლექსების მთელი ციკლი გამოაქვეყნა. პლეშჩეევი ცნობილი იყო, როგორც საკუთარი საბრძოლო ნაწარმოებებით, ისე ტარას შევჩენკოს, შანდორ პეტეფის, თომას მურის და სხვა მოწინავე მწერალთა თარგმანებით.

ადგილობრივი ცენზურა მკაცრად სდევნიდა პლეშჩეევის ნაწერებს. 1869 წ. 17 მაისს, ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „... ჩემდა სამწუხაროდ, შენი პლეშჩეევის ლექსები არ გაუშვა ცენზორმა — ეს „მარსელიოზაო“, ამბობს“.

„კრებულში“ დაიბეჭდა პლეშჩეევის ორი ლექსი: „სიმღერა განდგომილთა“ (1873 წ., № 2) და „კილოს მიმოქცევა“ (1873 წ., № 7). არც ერთ მათგანს მთარგმნელი ხელს არ აწერს, მაგრამ როგორც ანონიმების გაშიფვრისას ვთქვით, ორივე კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

ორიგინალთან შედარებით გამოირკვა, რომ კირ. ლორთქიფანიძეს ლექსის სათაურები შეუცვლია. „სიმღერა განდგომილთა“-ს — დედანში სათაურად აქვს „Apostaten Marsch“ (Мотив одного немецкого поэта) და დათარიღებულია 1865 წლით[1].

ლექსში მხილებული არიან ლიბერალები და სულმოკლე თანამგზავრები, რომლებმაც რეაქციის შედეგად, ზურგი შეაქციეს მოწინავე იდეებს და მტრის მხარეზე გადაბარგდნენ. ლექსს, რომელიც კირ. ლორთქიფანიძეს ფოტოგრაფიული სი-

[1] А. Н. Плещеев, Избранное, 1960 г. стр. 219.

ხუსტით გადმოუღია, უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვისაც; ის სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მერყევ ელემენტებს და ხელს უწყობდა მებრძოლთა შემჭიდროებას. თარგმანში კარგად არის შენარჩუნებული თხზულების აზრი და პუბლიცისტური მგზნებარება.

Пресмыкаться в грязи, ноги сильным лизать,
За подачку от них продавать убежденье,
Кто отважен и чист, на того клеветать,
Чтоб изведал беду и гоненье, —
Вот оно, призванье наше!...

ძირს ლაფში ბორდღვა, დიდკაცების ფეხებზე ხვევნა,
მათგანს მოგდებულს ლუკმაშია გაცვლა რწმენების,
ვინც ბოროტს ებრძვის, თავს არა ჰხრის, იმათი დევნა,
რომ მათ სცნონ გემო უბედურების.

„განდგომილთა სიმღერა", არსებითად, იმ ადამიანთა დიდების ჰიმნად ჟღერს, რომლებიც ბოროტების წინაშე ქედს არ იხრიდნენ და თავიანთი სიცოცხლე ხალხის ინტერესების სამსხვერპლოზე მიჰქონდათ.

ლექსს — „კილოს მიმოქცევა", სათაურად აქვს „Новый год" და მიძღვნილია ნ. ნეკრასოვისადმი. [1].

ორიგინალში ეს ლექსი ორი ნაწილისგან შედგება; პირველი თავი წარმოადგენს მიძღვნას იმ მებრძოლთადმი, რომლებიც სამართლიანი ბრძოლისათვის დასაჯეს, მაგრამ ვერ შეარყიეს, — იმათდამი, ვინც, კვლავ, შეუპოვრად განაგრძობს ბრძოლას; მეორე თავი „დიდკაცებისა" და მოღალატეების წინააღმდეგ მიმართული სატირაა. თარგმანში მესამე თავიც გვხვდება; ეს არის ხალხის სამსახურისაკენ მოწოდება. ძნელი დასაშვებია, რომ ეს დამატებული ნაწილი თვით კირ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სტრიქონები მას პლეშჩეევის რომელიმე ისეთი ნაწარმოებიდან აქვს ამოღებული, რომელიც პოეტის თხზულებათა კრებულებში აღარ შესულა.

---

[1] А. Н. Плещеев, Избранное, 1960 г. стр. 186.

საერთოდ, კირ. ლორთქიფანიძეს ამ ლექსის აზრიც უცვლელად აქვს გადმოღებული:

Всем, застигнутым нещастьем,
Всем, кого меж нами нет,
„С новым годом, с новым счастьем!"
ვისაც დაგესწროთ გზაზე ავდარი,
ვინაც ჩვენს შორის აღარ ხართ დღესა,
ყველას გულითად სალამს გიგზავნი
და მოგილოცავ თან ახალ წელსა.

მართალია, მაღალი პოეტური კულტურით არც ეს თარგმანები გამოირჩევა, მაგრამ კირ. ლორთქიფანიძეს, სწორედ ისეთი ლექსები შეურჩევია, რომლებშიც მთავარია აზრი და სიმართლისადმი ერთგულების სულისკვეთება. დაბოლოს, ეს ლექსები საინტერესოა იმით, რომ მათში ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლთა გმირული სახეები იგულისხმება.

Ი. ს. ნიკიტინი

პლეშჩეევის ზემოთგანხილულ ლექსთა მოტივზეა დაწერილი „კრებულის" 1873 წ. მე-5-6 ნომერში დაბეჭდილი ივანე საბას ძე ნიკიტინის ლექსი — „მთესველი". 50-60-იან წლებში ნიკიტინი დიდად სახელმოხვეჭილი პოეტი იყო და რუსი რევოლუციონერი დემოკრატები ღირსეულად აფასებდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილ მის თხზულებებს.

თარგმანი, თუმცა ხელმოუწერელია, მაგრამ როგორც ვთქვით, კირ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

ორიგინალში ამ ლექსს ცალკე სათაური არ აქვს, — იგი 58-ე ნომრით არის შეტანილი ციკლში: „Пахарь" [1]. სარეფრენო სტროფის მიხედვით, ეს ლექსი კირილეს ოთხ ნაწილად გაუყვია. შინაარსს მთარგმნელი სწორად გადმოგვცემს, მაგრამ პოეტური აღტაცება, შინაგანი პათოსი და ლაკონიზმი, რომელიც ნიკიტინის ლექსებს ახასიათებს, შეცვლილია პროზაული თხრობით, რის გამოც თარგმანს აკლია სიცხადე და მხატვრული სინატიფე:

[1] И. С. Никитин, Сочинения, 1955 г. стр. 38.

Медленно движется время, —
Веруй, надейся и жди...
Зрей, наше юное племя!
Путь твой широк впереди.

ნელ-ნელა მიდის მუდამ დროება,
გვმართებს იმედი, ლოდინი ჩვენა...
იმრავლე, ჩვენო ახალთაობავ, —
წინ, მოგელის შარაგზა შენა.

ფრთიანი, ნათელი მეორე სტრიქონი, რომელიც ამ სტროფის მხატვრულ ღერძს შეადგენს, თარგმანში უფერულად, ნაძალადევი კონსტრუქციითაა გადმოცემული. ეს საერთო უფერულობა, ფრაზის მოუქნელობა და მძიმე ენობრივი კონსტრუქციები ამდაბლებს კირ. ლორთქიფანიძის თარგმანთა მხატვრულ ღირსებას.

ვოლტერი

ჟურნალში დაიბეჭდა ალ. ჭავჭავაძის მიერ გადმოთარგმნილი „ვოლტერის თქმული ტაქტიკაზე", — სათაურით: „ვოლტერის თქმული, ხოლო ფრანცუზულის ენისაგან თარგმნილი ქართულსა ენასა ზედა თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისა მიერ" (1871 წ., № 4). 1881 წ. ეს თარგმანი შეტანილ იქნა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში (გვ. 71), აგრეთვე, პოეტის ნაწარმოებთა შემდეგ გამოცემებშიც; შემონახულია ავტოგრაფიც. მასზე ბევრს არაფერს ვიტყვით, რადგან ლევ. ასათიანს [1], ი. გრიშაშვილს [2], გ. გაჩეჩილაძეს [3] აკ. კენჭოშვილს [4] და სხვა მკვლევარებს საკმაოდ ერცლად აქვთ განხილულ-შეფასებული.

---

[1] ლ. ასათიანი, რჩეული ნაწ. ტ. I, 1958, გვ. 10 („ვოლტერიანობა საქართველოში").

[2] ალ. ჭავჭავაძე, თხზ. 1940, ი. გრიშაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით.

[3] გ. გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები". 1959. გვ. 37, 39, 40.

[4] აკ. კენჭოშვილი, — ალ. ჭავჭავაძე (მონოგრაფია), 1953 წ.

„კრებულში“ მისი გამოქვეყნება, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, გამოხატავდა ფრანგ განმანათლებელთა ნააზრევისადმი ინტერესს. ვოლტერის „ტაქტიკა“, ჩვენი ფიქრით, უფრო აზროვნების დოკუმენტია, ვიდრე ლიტერატურისა. ჯერ მწიგნობარ მათეოზთან, ხოლო შემდეგ, „ტაქტიკის“ ავტორ გენერალთან პაექრობაში, ავტორი გმობს ომებს, სისხლის ღვრას, სამხედრო ტექნიკას.

აჰა-მეთქი ესე წიგნი, ეს რა მამეც, შე წყეულმან?
...ზენარხს ჩვენთვის ორი ხელი, ათი თითი და შეძლება
ამისთვის არ მოუცია, რომ ვისწავლოთ დღის მოკლება.

მაგრამ გენერალი ასაბუთებს, რომ სამხედრო ტექნიკა და ხელოვნება აუცილებელია თავდასაცავად.

თუ ძაღლებს არ შეინახავ, ვინ მოუვლის აბა ცხვარსა?
... დამიჯერეთ, ყველა ბრძოლა უსამართლო ნუ გგონიათ!..

მოპაექრე რწმუნდება, რომ ქვეყნის დასაცავად მზადყოფნა მართლაც აუცილებელია, — მაგრამ ნატრობს, ნეტავ ისეთი დრო დადგებოდეს, როცა სამხედრო ხელოვნება და ტექნიკა „ოხრად დარჩეს და უხმარად“.

ეს განმანათლებლურ-ჰუმანისტური თვალსაზრისი მახლობელი და სავსებით მისაღები იყო ჩვენი სამოციანელებისათვისაც.

ბაირონი

ინგლისელი გენიოსის დაუოკებელმა მგზნებარებამ, პიროვნების თავისუფლებისაკენ უსაზღვრო ლტოლვამ, გრძნეულმა პოეტურობამ და ზნეობრივმა სიწრფელემ მოაჯადოვა ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა. „მგზავრის წერილებში“ ილიამ ბაირონი დაუდეგარ თერგს შეადარა და შთაგონებით უმღერა მის მომხიბლავ სიდიადეს, ხოლო უფრო ადრე, 1861 წელს, ის წერდა: „ბაირონს... ცრემლის ნაცვლად მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა ჰეხი“. ნარკვევში — „სხვათა შორის“, გამეფებული ბოროტე-

ბით გულმოკლული ნ. ნიკოლაძე ბაირონის სტრიქონებით ემშვიდობებოდა სამშობლოს:

Вези меня куда нибудь,
Лишь не к земле родной.

ეს არაჩვეულებრივი პატივისცემა არაჩვეულებრივ პასუხისმგებლობას აკისრებდა ბაირონის მთარგმნელს. განიხილავდა რა „მნათობში“ დაბეჭდილ „დონ ჟუანის“ თარგმანს (მთარგმნელი ი. ბაქრაძე), ნ. ნიკოლაძე შენიშნავდა: „მისდგომიან ეს ვაჟბატონები... ბაირონს და აწიოკებენ უმადლოდ და უღვთოთ... ვინ „მნათობი“ და ვინ ბაირონის „დონ ჟუანი?“ ის სამართებლივით მჭრელი ირონია და მდუღარე გრძნობა და ბრაზიანი სურვილი, რომლითაც სავსეა ეს პოემა“...[1]

სამწუხაროდ, ვერც „კრებულმა“ შეძლო მკითხველთათვის ბაირონის სრულფასოვანი თარგმანების მიწოდება. მამია გურიელის მიერ გადმოთარგმნილი „ებრაული მელოდია“ (1871 წ., № 5) და „გიაური“ (1872 წ. № 10-11-12) მეტად მკრთალ წარმოდგენას იძლევა დიდი პოეტის შემოქმედებაზე [2].

ბაირონს დაწერილი აქვს „ებრაული მელოდიების“ მთელი ციკლი, რომელმაც რუსეთში იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია. სხვადასხვა დროს, იგი თარგმნეს ნ. მარკევიჩმა („Новости литературы“, 1825 г.), ოზნობიშინმა, ნ. ბერგმა, პ. კოზლოვმა, ვ. კოსტომაროვმა და სხვ. ამ ციკლის ერთერთი ლექსი — „სტიროდეთ!“ ილია ჭავჭავაძემ გადმოთარგმნა სტუდენტობის დროს.

როგორც შედარებამ დაგვარწმუნა, მამია გურიელის „ებრაული მელოდია“ გადმოღებულია მიხ. ლერმონტოვის კლასიკური თარგმანიდან, რომელიც შესულია ციკლში—„Душа моя мрачна“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება, მეორე ნაწილი რუ-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872 წ., № 10-12.

[2] ი. მეუნარგიას შეკითხვაზე, მ. გურიელს თავის ყველაზე საყვარელ პოეტებად რუსთაველი და ბაირონი დაუსახელებია. იხ. მ. გურიელის თხზ. 1897.

სულად ნ. გნედიჩს უთარგმნია [1]. მიხ. ლერმონტოვის თარგმანი პირველად 1839 წ. დაბეჭდილა „Отечественныя записки“-ს IV ტომში; ბაირონის თარგმანები იბეჭდებოდა აგრეთვე, ჟურნალში — „Библиотека для чтения“. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნული ჟურნალები მაშინ ქართულ ლიტერატურულ წრეებშიც ფართოდ ვრცელდებოდა.

მ. გურიელი თარგმანს ნ. ნიკოლაძეს მიუძღვნის, მაგრამ არ ვიცით, მოეწონა თუ არა ბაირონის თაყვანისმცემელ კრიტიკოსს ეს ნობათი. ლერმონტოვის თარგმანთან შედარებით, იგი უდავოდ სუსტია, ენა ფერმკრთალი და მოუქნელია, ჩამქრალია ნიუანსები, ალაგ-ალაგ ბუნებრივი მგზნებარება შეცვლილია მანერულობით, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მამიას თარგმანში, მაინც იგრძნობა პოეტური მღელვარება, ბობოქარი სული. ერთი შეხედვით, ეს გასაკვირიცაა, რადგან მთარგმნელის მხატვრული, კერძოდ, ენობრივი საშუალებანი, მეტად შეზღუდული ჩანს. მაგრამ ამ ნაკლს სძლევს ორიგინალის პათოსის ინტუიტური წვდომა და ჰარბი ემოციურობა, რომელიც განწყობილებას ქმნის. ამ ლექსის თარგმნისას კი ასეთი შინაგანი გამსჭვალვა აუცილებელი პირობა იყო და მას ბევრი ნაკლის არიდება შეეძლო. მაგალითისათვის მოვიტანთ მ. ლერმონტოვისა და მ. გურიელის თარგმანის ორიოდე ადგილს:

Душа моя мрачна. Скорей, певец, скорей!
Вот арфа золотая:
Пускай персты твои, промчавшися по ней,
Пробудят в струнах звуки рая.

სული მაქვს მეტად მოღრუბლული, მალე, მგოსანო, მალე, მიშველე!
აი, ჩანგური შენ ოქროისა.
დე, მაგ თითებით, ტრფობისა ეშხით, მკვდარი სიმები გააცხოველე!
დე; მათ გამოსცენ ხმა სამოთხისა.

Я говорю тебе: я слез хочу, певец,
Иль разорвется грудь от муки.

შენ გეუბნები, ჩემო მღერალო, მე ცრემლები მსურს, მხოლოდ ცრემლები,
თორემ დარდებით გული გასკდება!

---

[1] Сочинения Лорда Байрона, в переводах русских поэтов, изд. Н. В. Гербеля. 1864 г. стр. 14.

თარგმანი უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ მასში არ იყოს გაუგებარი და პროვინციული გამოთქმები: „გაისურსნიან“, „გაჟიენილი“, „სახსალით“. მცირეოდენი ენობრივ-სტილისტური შესწორებებით, ეს თარგმანი შეტანილია მ. გურიელის თხზულებათა 1897 წლის გამოცემაში (გვ. 70).

ტენდენციური თარგმანის ნიმუშად მიგვაჩნია „გიაურის“. „კრებულში“ ამ პოემის შესავალი ოთხმოცდათვრამეტი სტრიქონი დაიბეჭდა, ხოლო ორიგინალში ის ათასრვაას სტრიქონს აღემატება. ბაირონი საბერძნეთის გარდასულ დიდებას უმღერის, მის აწმყოს დასტირის და აღორძინებაზე ოცნებობს. მამია გურიელი თავიდანვე სცვლის პოემის ფონს და, არსებითად, შესავალშივე ცდილობს ბერძნული პეიზაჟები ქართულით შესცვალოს, ხოლო სადაც სიუჟეტური ნაწილი იწყება, მთარგმნელი უცერემონიოდ გადადის საქართველოს ცხოვრებაზე. ბაირონი მრისხანედ გმობს თურქ დამპყრობლებს, ოსმალურ ტირანიას და, ცხადია, ამ სახით გადმოკეთებული პოემა ცენზურას არ მოეწონებოდა — მან ცარიზმის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. გაგრძელებაც ამიტომ აუკრძალავთ. დასასრული ცენზურის წერტილებითაა დაფარული, ხოლო სქოლიოში რედაქცია შენიშნავს: „ეს ალაგები გამოცელილია. იქ, საცა საბერძნეთი უნდა იყოს, იმის მაგიერათ თარგმანში საქართველოა მოხსენებული“. ამ შენიშვნით, რედაქციამ მაინც აგრძნობინა მკითხველს მთარგმნელის იდეური ჩანაფიქრი.

მ. გურიელის თხზულებათა 1897 წლის გამოცემაში ცენზურის მიერ აკრძალული ადგილებიც შეტანილია და, ამის მიხედვით, შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მთარგმნელის (ან გადმომკეთებლის) შემოქმედებით მეთოდზე. „გიაურში“ მთარგმნელს ასეთი ადგილები შეაქვს:

ქართლო, შენა ხარ? ოჰ, დაღუპულო,
ნუთუ ეს არის შენი შვენება?
აქ მოდი, მონავ ძალწაღებულო,
არ მწამს, არ მჯერა მე ეს ჩვენება.
...რა გამოხსნისთვის ომი ასტყდება
ერთხელ ველებში სამშობლოისა...
და გამარჯვებით დაგვირგვინდება.
ივერთა მიწის სული ცხოველი
თქვენგან ხსნას ელის მტრების ხელიდამ.

მთარგმნელი აქებს დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს... ერთი სიტყვით, მის თარგმანს, როგორც იდეურად, ისე მხატვრულად ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ბაირონის პოემასთან. ინგლისელი პოეტის თხზულებას იგი საკუთარ შეხედულებებს უსადაგებს, სუბიექტურად სცვლის და „ასწორებს". შესავალში გამოტოვებულია ბაირონის მიძღვნა სემუილ როჯერსისადმი და წინათქმა.

ასე რომ, ენობრივ და პოეტურ უმწეობას, „გიაურის" თარგმანში ზედ დაერთო სუბიექტური მიდგომა, რამაც მას მთლიანად გამოაცალა იდეურ-მხატვრული შთამბეჭდაობა. მაგრამ „გიაურის" თარგმანი საყურადღებოა არა მხოლოდ როგორც პირველი ცდა, არამედ, როგორც ჩვენი ინტელიგენციის სულიერ სწრაფვათა დოკუმენტი.

ჰაინრიხ ჰაინე

ჰაინეს სამოქალაქო და სატრფიალო ლირიკას ჩვენში მუდამ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და 50-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი ნაწერები თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდა. განსაკუთრებით მოხიბლული იყო მისი შემოქმედებით ი. ჭავჭავაძე, რომელსაც ეკუთვნის „კრებულში" დაბეჭდილი ორი ლექსი — ერთი თარგმანი, ხოლო მეორე — მიბაძვა. საგულისხმოა, რომ ალ. ცაგარელი ილია ჭავჭავაძისა და ჰაინრიხ ჰაინეს პოეზიას შორის გარკვეულ კავშირსაც ხედავდა.

პირველ ლექსს სათაურად აქვს — „ღეინედამ" (1871 წ., № 3) და დაბეჭდილია ფსევდონიმით („***"), უთარიღოდ. აკადემიურ გამოცემაში იგი შეტანილია თარგმანებში [1], რამდენიმე ენობრივ-სტილისტური შესწორებით და დათარიღებულია ავტოგრაფის მიხედვით (1858 წ. პეტერბურგი).

ლექსი ეკუთვნის ცნობილ ციკლს — „Lirjsches Jntermezzo" (1822-1823 წ. წ.) და, შედარების საფუძველზე, დაბე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1951 წ. ტ. I. პ. ინგოროყვას რედაქციით, გვ: 240:

ჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გადმოთარგმნილია ორიგინალიდან. როგორც ჩანს, უნივერსიტეტში სწავლის დროს, ილია გერმანულ ენას იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო მხატვრული ნაწერები უშუალოდ ორიგინალიდან ეთარგმნა:

„Lehen deine Wang', an meine Wang"
Dann leessen die Tränen Zusammen.
Und an mein Herz drück fest dein Herz,
Dann schlagen Zusammen die Flammen!
Und wenn in die grosse Flamme fliesst
Der Strom von unsern Tränen,
Und wenn dich mein Arm gewaltig umschliesst
Sterb' ich vor Liebessehnen.[1]

ჰაინეს ეს მეექვსე ლირიკული ინტერმეცო ილიას ნათარგმნი აქვს არა მარტო ორიგინალის სიზუსტით, არამედ ისეთი სინტაქსურ-სტილისტური კონსტრუქციით, რომელიც ქართულისა და გერმანულის ენობრივ მიმართებას შეესატყვისება:

ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა,
რომ ცრემლნი ჩვენნი ერთად შეერთდნენ,
გულით მოეპყარ ჩემს გულს მხურვალსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნივ აენთნენ.
და რომ იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაესხმის ღვარი მდუღარე ცრემლის,
მე, მაგრად მოგხვევ შენს ტანს რა ხელით,
მოეკვდები ტანჯვით და ნეტარებით.

უკანასკნელის წინა სტრიქონი, რომელიც აკადემიურ გამოცემაში შეცვლილია („გადაგეხვევი რა ორივ ხელით") აშკარად მიუთითებს ორიგინალთან უშუალო კავშირზე: „მე მაგრათ" („Gewaltig") მოგხვევ... ხელით („Mein Arm Umschliesst") მთარგმნელს აბსოლუტური სიზუსტით აქვს ასახული დედნის შინაარსი და განწყობილება, იგი ორივე ენის სტიქიას ერთდროულად და ერთნაირად განიცდის და ორიგინალზე მეტ აზრობრივ ერთიანობასაც კი აღწევს; პირველი და მეორე სტრიქონი ჰაინესთან ხელოვნური კავშირითაა („Dann") შეერთებული, ხოლო ილიასთან ეს კავშირი უფრო უშუალო და ორგანულია; თარგმანი სიტყვით სიტყვამდე ზუსტია, მაგრამ

[1] Heinrich Heine, Gesammelte Werke, I Bd. Berlin, 1956. გვ. 200.

ძხატვრული სახეები არათუ შენარჩუნებული, უფრო გაძლიერებულიცაა:

„Dann Schlagen Zusammen die Flammen"..
„რომ ერთის ცეცხლით ორნივ აენთონენ".

მთელ ლექსში ილიას მხოლოდ ორად ორი საკუთარი სიტყვა ჩაურთავს: „ძნელ განშორების", რაც ცხადად წარმოაჩენს იმას, რაც ორიგინალში მხოლოდ იგულისხმება (განშორება). ჩვენი აზრით, ეს ლექსი ადექვატური, რეალისტური თარგმანის კლასიკური ნიმუშია.

მეორე ლექსი, რომელსაც „კრებულში" (1871 წ., № 4) „მიბაძვა ღეინესადმი" აწერია, — აკადემიური გამოცემის რედაქტორს, აგრეთვე „თარგმნილ ლექსებში" შეუტანია (გვ. 241), მაგრამ კვლევა-ძიებას სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ. ჰაინეს ლექსს, რომელიც ილიას აქვს მხედველობაში, ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო მის „მიბაძვასთან". ჰაინეს ლექსი, არსებითად, სატრფიალო ხასიათისაა, ხოლო ილიასი—მთლიანად პატრიოტულია. ილიას ჰაინეს ლექსის პირველი სტრიქონი აუღია და მისთვის ახალი სული შთაუბერავს, ახლებური განვითარება მიუცია: „Ich hatte einst ein Schönes Vaterland" „მეცა მქონია კარგი მამული". ამ სტრიქონის შემდეგ, ჰაინესა და ილიას ლექსი სულ სხვადასხვა გზით მიემართება:

Der Eichenbaum —
Wuchs dort so hoch, die Veilchen nickten sanft.
Es war ein Traum.
Das küsste mich auf deutsch und sprach auf deutsch
(Man glaubt es kaum, wie gut es klang) das Wort:
„Ich liebe dich!"
Es war ein Traum.[1] —

„ეს ლექსი შეტანილია ციკლში: უცხოეთში „In der Fremde"

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სცხოვრობდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰფენდა ბედი მღიმარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი.
თურმე იქაცა ბრწყინაედნენ დღენი,

[1] Heinrich Heine, Gesammelte Werke, I Bd. Berlin. 1956. გვ. 453

იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი,
თურმე გაეღოთ მაშინ ცისკარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

როგორც ვხედავთ, ეს არც თარგმანია და არც გადმოკეთება. ილიას ლექსი ქართული სინამდვილითაა შთაგონებული. ჰაინეს ლექსში, რა თქმა უნდა, ასახულია სამშობლოდან განდევნილის სევდა, მაგრამ ილიას ლექსში ეროვნული ტრაგედიის, ნაციონალური კატასტროფის განწყობილება ქმნის მთავარ პათოსს. შეიძლება ითქვას, რომ ილიას ლექსს იმპულსი მისცა ჰაინეს ერთადერთმა ფრაზამ: „Ich hatte einst ein schönes Yaterland“ და მას შეეძლო სრულებითაც არ მიეთითებინა ამ იმპულსზე, მაგრამ, როგორც ყოველ სხვა საქმეში, ილია ლიტერატურული ეთიკის მხრივაც, უსაზღვროდ კორექტული იყო. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ილია მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან თარგმანს, გადმოკეთებასა და მიბაძვას. ავტორის ეს მითითება („მიბაძვა ღეინესადმი“) არავითარ საფუძველს არ გვაძლევს, რომ ლექსი — „მეცა მჭონია კარგი მამული“ თარგმანებში შევიტანოთ; იგი ი. ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსია.

„კრებულმა“ ქართველ მკითხველს ჰაინე პირველად გააცნო, როგორც ორიგინალური, მგზნებარე პუბლიცისტი. 1871 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა ვლ. ნიკოლაძის მიერ გადმოთარგმნილი წერილი „ინგლისზე“, რომელშიც პოეტი მკაცრად აშხელს პრუსიულ მილიტარიზმს, უპირისპირებს მას ინგლისის ბურჟუაზიულ დემოკრატიას და აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნის თავისუფლებას: „ჩემი გულის ყველა კუნჭულში ბულბულებმა გალობა დაიწყეს — „სალამი, თავისუფლების მხარევ!“ — ვიფიქრე მე. „სალამი თავისუფლებავ, განახლებული ქვეყნის ახალო მზეო! მისი ძველი მზეები — სიყვარული და სარწმუნეობა დაჭკნენ და გაცივდნენ. იმათ განათება და გათბობა აღარ შეუძლიათ!.. თავისუფლება შექმნილა ისეთ რწმუნებათ, რომელსაც მდიდრებს კი არა, ღარიბებს უქადაგებენ“.

თომას მური

დიდი ინგლისელი პოეტის (ეროვნებით ირლანდიელის) თომას მურის შემოქმედება ნაციონალური თავისუფლების სულითაა გამსჭვალული. ირლანდიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით შთაგონებული მისი პოეზია, რომელიც ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული, მთელ მსოფლიოს აღტაცებას იწვევდა. ბაირონი აღფრთოვანებული იყო მისი პატრიოტიზმით, გულწრფელობითა და პოეტური ოსტატობით, ხოლო ბელინსკიმ მსოფლიო ლირიკული პოეზიის საგანძურში მიუჩინა ადგილი მის ლექსებს.

„კრებულში“ (1872 წ., № 7) დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის თარგმანი — „ირლანდიისადმი“, „ირლანდიური მელოდიების“ („Irish Melodies“) ციკლს ეკუთვნის.[1] როგორც მთარგმნელი მიუთითებს, გადმოღებულია რუსულიდამ“ („Отечеств. записки“, 1871 г. декабрь). ისე როგორც ორიგინალი, თარგმანიც სამი რვასტრიქონიანი სტროფისაგან შედგება და კარგად გადმოგვცემს სამშობლოს ტკივილიან სიყვარულს, მისადმი თავდადების ღვთაებრივ ფიცს. ამ ლექსს გ. გაჩეჩილაძე მართებულად ადარებს ილიას — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“[2]. პატრიოტული მხურვალება, წმინდა ფიცი და მსხვერპლად შეწირვის სიხარული საერთო განწყობილებასა და პათოსს ქმნის.

„ირლანდიისადმი“ უმნიშვნელო სტილისტური შესწორებებით არის დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (გვ. 273).

ვიქტორ ჰიუგო

ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედება დიდი ხანია იქცა ყველა ჩაგრულთა და მებრძოლთა ერთგულ თანამგზავრად და სულიერ საჭურველად. არათუ XIX საუკუნეში, მეორე მსოფლიო

---

[1] The poetical Works of Thomas Moore. Edinburgh — London. გვ. 429

[2] გ. გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“, 1959 წ., გვ. 57.

ომის დროსაც მისი ლექსები ბრძოლისაკენ მოუხმობდა პატრიოტებს, იმედსა და მხნეობას ჰმატებდა ხალხს. ფრანგი პარტიზანები არალეგალურ ფურცლებად ბეჭდავდნენ მის საიერიშო სტრიქონებს. ჩვენში ჯერ კიდევ 30-იან წლებში ყოფილა პოპულარული ჰიუგოს შემოქმედება, კერძოდ, მისი პოეტური ნაწარმოებები. ჰიუგოს რამდენიმე ლექსი ალ. ჭავჭავაძესაც უთარგმნია, ხოლო საზოგადოებრივი აზრის აღმავლობასა და რეალიზმის დამკვიდრებასთან ერთად, ეს ინტერესი დღითიდღე ძლიერდებოდა. „ცისკარი", „საქართველოს მოამბე", „დროება", „მნათობი" ჰიუგოს ახალ-ახალ ნაწარმოებებს აწვდიდა მკითხველს. „დროება" და „კრებული" პოეტის სამოქალაქო ლირიკას აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

„კრებულში" გამოქვეყნებული ლექსი — „ვინც სიცრუის და ბოროტების ჟამს" (1873 წ., № 8) ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ, ცნობილია, რომ მთარგმნელი კირ. ლორთქიფანიძეა.

ეს ლექსი დაწერილია 1854 წელს, პოეტის ექსორიის დროს, და მიმართულია ნაპოლეონ მესამის პლუტოკრატული რეჟიმის წინააღმდეგ. ჰიუგო მასში მკაცრად ამხელს რენეგატებს, იმპერატორის უსირცხვილო ლაქიებს და ადიდებს თავისუფლებისათვის თავდადებულ მოღვაწეებს.

ჰიუგოს ლექსთა ფრანგულ გამოცემებში ჩვენ ამ ლექსის ორიგინალს ვერ წავაწყდით, მაგრამ იგი გადმოკეთებული უნდა იყოს ლექსიდან, რომელიც რუსულ თარგმანში ასე იწყება.

Мрак светом озарив, измену мы свершили, —
Так мыслит мгла, наш день вчерашним днем гоним.
Неблагодарной ночь зарю провозглашает.
„Сократ — изменник, смерть ему!" — Судья взывает [1].

აღსანიშნავია, რომ „კრებულში" ეს ლექსი მოსდევს ნ. ნიკოლაძის წერილს — „თანამედროვე მწერლობა", რომლშიც აღწერილია პროგრესული მწერლის როშფორის დევნა და დასჯა და, შინაარსით, მის პოეტურ ილუსტრაციას წარმოადგენს.

---

[1] სანთური, ნათარგმნი ლექსები, თომა კარგარეთელისა, 1905 წ., გვ. 17. (ქ. ლორთქიფანიძის ცნობით, გადმოღებულია ს. დუნოვის რუსული თარგმანიდან).

პროზა

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. ჭავჭავაძის მოთხრობებს, — „კრებულში“ ეს ჟანრი მთლიანად პუბლიცისტურ პროზით არის წარმოდგენილი. იდეურად, ეს ნაწარმოებები მაღალ საფეხურს წარმოადგენს ქართული პროზის განვითარებაში, — გამსჭვალული არიან დემოკრატიზმის, ხალხურობის პროგრესის სულით, ხოლო მხატვრულად შესაფერ სრულყოფას ვერ აღწევენ. ჩაღრმავებული სოციალური ანალიზი, პუბლიცისტური პათოსი და მებრძოლი იდეურობა ის დადებითი თვისებებია, რომლებიც მემკვიდრეობად ეძლევა შომდევნო პერიოდის ბელეტრისტიკას.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან პუბლიცისტური პროზის გაბატონება სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს; იგი გამოწვეული იყო, უწინარეს ყოვლისა, სოციალური პირობების გარდამავალი ხასიათით, ბატონყმობის გადავარდნის შედეგად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწყებულ ახალი გზების ძიებით, რაც მდგომარეობის მეცნიერულ ანალიზს, მსჯელობას, კამათს, მოვლენების პირდაპირ შეფასებას და პუბლიცისტურ განსჯას მოითხოვდა. ლიტერატურა, განსაკუთრებით პროზა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეპოქის დაკვეთას ასრულებდა.

ილია ჭავჭავაძე

„გლახის ნაამბობი“. მოთხრობის დასაწყისი 1863 წელს დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. მისი პირველი ვარიანტი 1859 წელს ეკუთვნის, მაგრამ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ავტორს ის სიუჟეტურ-კომპოზიციურად გარდაუქმნია, რაც ხელმეორედ დაწერას უდრიდა[1]. როგორც ჩანს, მა-

[1] ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963 წ., გვ. 168.

შინ ილიამ ამ მეორე ვარიანტის დამთავრება ვერ მოასწრო ან იმედი არ ჰქონდა, რომ ცენზურა ნებას დართავდა. შემდეგ, მას ძალიან აღელვებდა მოთხრობის ბედი და, როცა „კრებულის“ რედაქციამ დაბეჯითებით სთხოვა, დაემთავრებინა თხზულება, ისიც დიდი გატაცებით შეუდგა საქმეს და მოკლე ხანში დაასრულა. 1872 წლის 9 დეკემბერს ილია სწერდა კ. ლორთქიფანიძეს, დღეს მივყავ ხელი „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებასო. მოთხრობის ბეჭდვა რედაქციას უახლოესი ნომრისათვის დაუგეგმავს და, ეტყობა, კიდევ აჩქარებდნენ ავტორს. „გაგრძელება („გლახის ნაამბობისა“) მზადდება.--- აცნობებდა ილია 1873 წლის 18 იანვარს ნ. ნიკოლაძეს. — ...ვწერ, მაგრამ, არ ვიცი, როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით, „ნაამბობის“ შესასრულებლად“... მწერლის იმდროინდელ მიმოწერას საყურადღებო ცნობები შემოუნახავს მის დაძაბულ, აღფრთოვანებულ შემოქმედებით მუშაობაზე. 29 იანვარს ილიას ყოველმხრივ განუსრულებია მოთხრობა და, როგორც მისი ძუნწი გამონათქვამებით შეიძლება დავასკვნათ, კმაყოფილიც დარჩენილა. აღნიშნული მიმოწერის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1872-73 წლებში ილია მოთხრობის პირვანდელ ვარიანტს კი არ ასწორებდა, არამედ დეტალებში ხანგრძლივად და ღრმად გააზრებული სიუჟეტის მიხედვით, ახლად წერდა დარჩენილ ნაწილს, მაგრამ პრინციპული იდეურ-მხატვრული მონახაზით, „გლახის ნაამბობი“ უცვლელი დარჩა, თუმცა, შეუძლებელია დავუშვათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელიც პირველ და მეორე ვარიანტს (აგრეთვე, „საქართველოს მოამბესა“ და „კრებულში“ დაბეჭდილ თავებს) ერთმანეთისაგან აშორებს, არავითარი გავლენა არ მოეხდინოს მასზე. ჟურნალის რედაქციას, კერძოდ ნ. ნიკოლაძეს, ავტორისათვის რჩევა მიუცია, რომ გადაეკეთებინა „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული პირველი ექვსი თავი. ნ. ნიკოლაძის კრიტიკული წერილი საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ, რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო ეს რჩევა, რადგან მღვდლისა და გაბროს სახეებს კრიტიკოსი იდეალიზირებულ, შელამაზე-

ბულ სახეებად თვლის; უთუოდ მათ „გადამუშავებას“ მოითხოვდა, მაგრამ ილია არ დათანხმებულა და რედაქციისათვის მითითება მიუცია, „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ექვსი თავი უცვლელად გადაებეჭდათ „კრებულში“. „გლახის ნაამბობის“ გასწორება ფიქრად აღარ მაქვს. — სწერდა ის ნ. ნიკოლაძეს 1873 წ. 18 იანვარს. — დე, მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზე, როგორც თავდაპირველ შობილა“.

რაც შეეხება მოთხრობის დანარჩენ ნაწილს (VII-XII თავებს), ოდნავ მაინც ემჩნევა მხატვრული ასპექტის გადასინჯვა, — მღვდლის სახე, თითქმის, უჩინარდება და ყურადღების ცენტრს, უშუალოდ სოციალური კილიზია იპყრობს. პირველად „კრებულში“ გამოქვეყნებულ ახალ, VII თავს, მწერალი ერთგვარი მობოდიშებითაც კი იწყებს: „მე ივ მღვდელზე სიტყვა ძალიან გავაგრძელე, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ“...

მაგრამ, ეს მეტად ზომიერი, ტაქტიკური სვლა სრულებით არ არღვევს მოთხრობის იდეურ-მხატვრულ სტრუქტურასა და განწყობილების მთლიანობას. პ. ინგოროყვა სამართლიანად შენიშნავს, რომ შთაბეჭდილება ისეთია, თითქო, „გლახის ნაამბობი“ ერთის მიდგომით და ერთის განწყობილებით არის ნაწერიო“[1].

1873 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა I-V თავები, მე-2 ნომერში — VI-VIII თავები, ხოლო მე-3-ში — უკანასკნელი IX-XI თავები. (აკადემიურ გამოცემაში XI თავი გაყოფილია და სიტყვებიდან-„ამით გაათავა გლახამ თავისი ნაამბობი“... XII თავი იწყება). „კრებულში“ გამოქვეყნებისთანავე, მოთხრობამ არაჩვეულებრივი გამოხმაურება ჰპოვა; „როგორც ეტყობა, კარგი წიგნი კი იქნება ეს პირველი წიგნი, — სწერდა ს. მესხი 1873 წ. 26 თებერვალს, საზღვარგარეთ მყოფ კეკე მელიქიშვილს. — ჯერ მარტო ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ გაგრძელება რათაც გინდა ეღირება“. (კეკე მელიქიშვილს მოთხრობა მაინცადამაინც არ მოსწონებია; 1873 წ. 22 სექტემბრის წერილი ს. მესხისადმი).

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 11, პ. ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით.

მოთხრობის ავკარგიანობაზე აზრთა სხვადასხვაობა ყველაზე მკაფიოდ აისახა ნ. ნიკოლაძის კრიტიკულ წერილში — „გლახის ნაამბობზედ“, რომელიც „კრებულის“ იმავე წლის მე-5-6 ნომერში გამოქვეყნდა. კრიტიკოსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „გლახის ნაამბობში“ ჩვენ წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდამ ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი არ ემყარება ნაწარმოების კრიტიკულ, იდეურ-მხატვრულ ანალიზს; ის წინასწარ გამზადებული სქემით სინჯავს თხზულებას და გვთავაზობს დასკვნებს, რომლებიც ნაწარმოებიდან კი არა, ამ სქემიდან გამომდინარეობს. კრიტიკოსი საკმაო დაგვიანებით და აბსტრაქციულად იყენებს ნ. ჩერნიშევსკის შესანიშნავ წერილს: „Не начало ли перемены?“, რომელშიც დაგმობილია სინამდვილის შელამაზებული, და ამდენად, არარეალისტური ასახვა ზოგიერთი რუსი მწერლის ბატონყმობის წინაპერიოდის ნაწარმოებებში (გრიგორევიჩი, პოტეხინი, პისემსკი, მარკო-ვოვჩოკი და სხვ.) და ყველა მათ ნაკლოვანებებს მექანიკურად მიაწერს „გლახის ნაამბობს“; ლაპარაკობს „უცხო გავლენაზე“, მაგრამ არ ასახელებს, ვის და რა გავლენას გულისხმობს. ნ. ჩერნიშევსკის მხედველობაში ჰყავდა მწერლები, რომლებიც „Идеализировали мужицкий быт“, მაგრამ განა შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ „გლახის ნაამბობში“ ქართველი გლეხის ყოფაა გაიდეალებული?! ნ. ჩერნიშევსკი აკრიტიკებს აღნიშნულ მწერლებს იმის გამო, რომ ისინი გლეხობისადმი სიბრალულის აღძვრით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ, განა გვაქვს საბუთი, რომ „გლახის ნაამბობი“ გლეხისადმი სიბრალულის გამოწვევით კმაყოფილდება?! მხოლოდ იმ ნიშნის მიხედვით, რომ გაბრო რუსთაველის აფორიზმებით ლაპარაკობს, კრიტიკოსი მას გლეხის „შელამაზებულ“ სახედ თვლის. მართალია, ნ. ნიკოლაძე მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკაზეც ლაპარაკობს, მაგრამ, არსებითად, მის წერილში თავს იჩენს პუბლიცისტიზმისაკენ მოწოდება. იგი მოითხოვს, რომ მწერალი ღიად ჩანდეს ყველგან და ყველაფერში, უშუალოდ ქადაგებდეს და

პირდაპირი განაჩენი გამოჰქონდეს. ნ. ნიკოლაძის წერილში მკაფიოდ გამოვლინდა პუბლიცისტური პროზის გაბატონების ტენდენცია. კრიტიკოსი იქამდე მიდის, რომ ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების სცენებს“ მის „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობზე“ მაღლაც აყენებს.

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, „გლახის ნაამბობი“ მხოლოდ იმითაა საყურადღებო, რომ ის „მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგომას გვასწავლის“.

ამრიგად, „გლახის ნაამბობი“ კრიტიკოსმა მხოლოდ ილიას შემოქმედებითი დაოსტატების ისტორიის დოკუმენტად გამოაცხადა და, „კაკო ყაჩაღთან“ ერთად, მას „ყმაწვილური ცდა“ უწოდა, ხოლო „გლეხთა განთავისუფლების სცენები“ — დავაქაცებული გონების ნაყოფად მიიჩნია. აშკარაა, რომ ტენდენციური, არათანმიმდევრული, მექანიკურად გადმოტანილი თვალსაზრისის გამო, ნ. ნიკოლაძემ გააზვიადა, არა სწორად ახსნა „გლახის ნაამბობის“ ნაკლოვანებანი და ვერ მოგვცა მისი სწორი შეფასება და მართებულად ვერ განსაზღვრა მისი ადგილი ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებაში.

მაგრამ, განვლილმა საუკუნემ სავსებით გააქარწყლა ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება: „გლახის ნაამბობი“ სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული კლასიკური ლიტერატურის საგანძურში და მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის, არამედ გააჩნია ღრმა ესთეტიკურ-შემეცნებითი ღირებულება, იკითხება, ისწავლება და თანამედროვენი კინოფილმშიც მღელვარედ გახიცდიან მოთხრობის გმირთა ბედს. ი. ჭავჭავაძე საერთოდაც არ გაჰყვა მითითებულ გზას, მისი შემოქმედების გეზშუქურად აღმართულია არა „გლეხთა განთავისუფლების სცენები“, არამედ „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ „სახრჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

ნ. ნიკოლაძე, უწინარეს ყოვლისა, არადამაჯერებლად თვლის გაბროს სახეს, რადგან ის „ყოველ: ღირსებით და უმანკოებით ავსილია“, მაღალფარდოვნად ლაპარაკობს და ჩამოყალიბებული ზნეობრივი კოდექსით ხელმძღვანელობს.

მოთხრობის საერთო გამიზნულობით, მთავარი გმირის ეს თვისებები წარმოგვიდგება არა როგორც მისი ხასიათი, არამედ როგორც ხასიათის განვითარების ნიშნები და ამ განვითარების საფეხურთა ანაბეჭდები. მწერალი წინასწარი ტენდენციით შექმნილ ტრაფარეტს, რაღაც გაყინულ იდეალურ მანეკენს კი არ გვთავაზობს, არამედ გმირის განვითარების რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე გზას გვიჩვენებს და ეს გარემოება თავისთავადაც გამორიცხავს გლეხის იმ შაბლონურ გაიდეალებას, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი გულისხმობდა და რასაც ნ. ნიკოლაძე „გლახის ნაამბობს“ მიაწერს. ყოველ ადამიანს, გლეხი იქნება თუ ინტელიგენტი, თავისი ცხოვრების გზა, თავისი ინდივიდუალობა გააჩნია, რომელსაც ვერც სინამდვილე და ვერც ხელოვნება პროკრუსტეს სარეცელს ვერ მოუზომავს. მაგრამ ეს ინდივიდუალობა არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს და ხშირად ხელს უწყობს სინამდვილის არსებით მხარეების წარმოდენას. გაბრო დაუმეგობრდა მცოდნე, ქველმოქმედ მღვდელს, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა. ასეთი რამ იშვიათი, მაგრამ სავსებით შესაძლებელი მოვლენა იყო; იგი გმირის ცხოვრების, მისი ხასიათის განვითარების ერთი ეპიზოდია, ფართო მხატვრული პლანის ერთ-ერთი კუთხეა, რომელმაც სხვა ეპიზოდებთან და მონახაზებთან კავშირურთიერთობაში მეტი ეფექტით უნდა გამოავლინოს მწერლის ჩანაფიქრი, ნაწარმოების ძირითადი იდეა. ესეც არ იყოს, მღვდელი, რომელიც ავტორის იდეალს გამოხატავს, ერთადერთი ნათელი სახეა. ერთადერთი სიხარულია გაბროს ცხოვრებაში, ეს კეთილი სახე ერთადერთი მხარეა იმ კონტრასტისა, რომლის მეორე მხარე მთლად ბოროტებითაა აღსავსე. ამიტომ, დაუჯერებელია ნ. ნიკოლაძის აზრი, თითქო ავტორს მღვდელი ნაძალადევად, მხოლოდ „გაბროს გასანათლებლად“ შემოეყვანოს მოთხრობაში. გაბროს ბატონები, თითქო კეთილი ადამიანები არიან. ესეც იშვიათი, მაგრამ სავსებით შესაძლებელი მოვლენა იყო და ესეც მხოლოდ ფართო მხატვრული პლანის ერთ-ერთი კუთხეა, რომელსაც თხზულების მთლიან გააზრებაში ენიჭება აუცილებლობის ფუნქცია. გაბროს ვერ უშველა ვერც მღვდლისაგან შეძენილმა ცოდნამ და მორალმა, ვერც ბატო-

ნებთან „კეთილმა ურთიერთობამ“ და რადგან ის განათლებულია, ე. ი. იშვიათი და განსაკუთრებულია, — არაჩვეულებრივად და განსაკუთრებულადაც განიცდის ბატონების ვერაგობას, უსამართლობას, არ ეპუება მას, ადამიანური ღირსების მთელი შეგნებით აღუდგება უსამართლობას, კლავს ბატონს. გაიჭრება ტყეში. იშვიათის, ინდივიდუალური შტრიხების შერჩევით, მწერალმა გამოაქანდაკა სახე, რომელიც კონცენტრირებულად ასახავს გავრცელებულს, არსებითს — ბატონყმურ ჩაგვრას, სოციალურ უსამართლობას, ექსპლოატაციას. რა შეიძლება აქ ვუსაყვედუროთ ავტორს? — იშვიათი, ინდივიდუალური ნიშნების შერჩევა? მხატვრული გამონაგონი? მაგრამ, ამის გარეშე ხომ საერთოდ, შეუძლებელი იქნებოდა ცხოვრების ტიპიური მოვლენების შთამბეჭდავად ასახვა? „შეფერვა“ — „შელამაზებაზე“ ლაპარაკი ხელოვნებაში მაშინ შეიძლება, როცა უხეში ტენდენციით მინიჭებული თვისება მხატვრული მოტივაციის გარეშე ეძლევა პერსონაჟს ან სურათს და ეს აშკარად არღვევს მის მთლიანობას, ლოგიკურ ბალანსს. ნ. ნიკოლაძეს „გლახის ნაამბობის“ ანსამბლში ასეთი წინააღმდეგობა არ უძებნია და უამისოდ, ცალკეული ეპიზოდების ავკარგიანობაზე ლაპარაკი ყოვლად წარმოუდგენელია. არ არსებობს ისეთი ეპიზოდი, დეტალი ან სურათი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გამოუსადეგარი იყოს. საქმე ისაა, როგორი, სად და რა ფუნქცია აქვს დაკისრებული მას.

ნ. ნიკოლაძეს სურს დაგვარწმუნოს, რომ მოთხრობის მთავარი გმირი „პეიზანის“ იდილიური სახეა, მაგრამ ამის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია, რადგან გაბროს ხასიათი სოციალური კონფლიქტების დუღილში ყალიბდება და შინაგანი, ადამიანური ბუნების წინააღმდეგობათა, სუსტ და ძლიერ მხარეთა განუწყვეტელ ჰიდილში ვითარდება, ამასთან, ეს წინააღმდეგობანი, ეს სუსტი და ძლიერი მხარეები ინდივიდუალურიცაა და ზოგადიც, — ისინი რეალისტურად ასახავენ იმდროინდელ გლეხთა უკმაყოფილებასა და უმწეობას, პროტესტსა და საბრძოლო გაქანების შეზღუდულობას. გაბროს ძვირად დაუჯდა ჭეშმარიტების შეცნობა, — დასაწყისში ის კლასობრივად ბრმაა, გაუთვითცნობიერებელია, დათიკოს ერთგულია და

რამდენადაც უფრო ძნელი გზით არის მიღწეული ჭეშმარიტება, იმდენად უფრო ძვირფასი და დამარწმუნებელია, იმდენად უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. გლეხთა ის პერსონაჟები, რომლებიც ნ. ჩერნიშევსკის ჰყავდა მხედველობაში, შექმნილი იყვნენ ბატონებისათვის, მთავრობისათვის სიბრალულის გამოსაწვევად, მაშინ, როცა ადამიანური ღირსების დასაცავად იარაღშემართული გაბროები ძრწოლას ჰგვრიდნენ ბატონებსა და მთავრობას. ეს შიში მით უფრო ძლიერი იყო, რომ გაბრომ გადალახა მათდამი მოკრძალების ზღუდე, მწარედ გამოსცადა მათი თვალთმაქცობა. ვერც მღვდლის ქადაგებებმა, ვერც „კეთილმა ბატონებმა“ ვერ მისცეს მას ჭეშმარიტი ცოდნა, — პირადმა გამოცდილებამ, გაბატონებულმა სოციალურმა წყობილებამ აიძულა დაეგმო ერთიცა და მეორეც, წასულიყო თვით ცხოვრების მიერ ნაჩვენები გზით. მღვდლის მაღალზნეობრივი ქადაგებების შედეგად, გაბრო, ერთ ხანს თვითონაც მონაწილეობდა თანამოძმე გლეხების ჩაგვრაში, მხარში ედგა „კეთილ ბატონს“ და საჭირო იყო თვით უსამართლო ცხოვრების ძლიერი დარტყმა, რომ ცხადად ეგრძნო მისი და მისთა მსგავსთა უპედურება. ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივის, პიროვნულისა და კლასობრივის ასეთ რთულ კონფლიქტში ავლენს მწერალი მოთხრობის წამმართველ იდეას. ეს ცხოვრება მხოლოდ გაბროს ცხოვრება როდია, იგი ქართველი გლეხკაცის ისტორიაა გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში და ამიტომაც შემორჩენია მხატვრული ცხოველმყოფელობა. გაბრო ამაღლებული სახეა, მწერლის იდეალია, მაგრამ ამაღლებულია სინამდვილის ნიშანთვისებათა ფარგლებში და არა სინამდვილისათვის თვითნებურად მინიჭებული, ძალად თავსმოხვეული ატრიბუტებით. ამიტომაც არ შეიძლება, რაღაც, „შეფერვასა“ და „შელამაზებაზე“ ლაპარაკი.

ამასთან, გაბროს ხასიათი ერთგვარ კონტრასტულ ფუნქციას ასრულებს პეპიასთან მიმართებაში, — ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ავლენენ და, ამ სახით, უფრო რელიეფურად წარმოგვისახავენ მაშინდელი სოციალური ბოროტების არსს. მკითხველი გრძნობს, რომ გაბროს ხასიათი საკმაოდ დაურბი-

ლებია ბატონთან სიახლოვესა და მღვდლის ქადაგებებს, ერთ ხანს, მას ნდობაც კი ჰქონდა დათიკოსი, ხოლო მძიმე უღლის საკუთარი კისრით გამწევი პეპია ერთ ნაბიჯზედაც არ ენდობა ამ „ქეთილ ბატონებს"; არათუ ბატონებს, პეპია მათ შინამოსამსახურეებსაც არ ენდობა; როცა დათიკომ მის ერთადერთ ქალიშვილს თვალი გააყოლა ეკლესიაში, მოხუცმა უმალ იგრძნო, რომ უბედურება არ ასცდებოდა, თვითნებობისაგან ველარავინ დაიფარავდა. უმალ იგრძნო, რადგან ასეთი ბოროტება და თვითნებობა ცხოვრების ნორმად იყო ქცეული. გულში ჩამწვდომი, ცხოვრებისეულია მისი თვითეული ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, ტანჯვა, ქალიშვილზე ოცნება, დაპატიმრება, გაქცევა და სიკვდილი.

„გლახის ნაამბობის" ძლიერება ის არის, რომ აქ ყველაფერი სოციალური ბოროტების მხილებას ემსახურება, — პერსონაჟები, ეპიზოდები, თვითეული მხატვრული კომპონენტი ბუნებრივად ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს ამ მიზანდასახულობით. დიდი მხატვრული ტაქტით არის შესრულებული დათიკოს ტიპიური სახე. იგი ინდივიდუალური და იშვიათი გაბროსადმი კეთილგანწყობილებით, ქალაქური დარდიმანდობით, რის გამოც თანშეზრდილ ყმას, თითქო კიდეც უყვარს. ასეა, სანამ სწავლობს, სანამ ყველა უფლება ხელთ არ უპყრია, მაგრამ, საკმაოა, მამის სიკვდილის შემდეგ მის „ტახტზე" აბრძანდეს, რომ სოფლელთა რისხვად იქცეს, საკმაოა, თანშეზრდილი ყმა მის წუთიერ წადილს წინ გადაუდგეს, რომ სამუდამოდ გასწიროს. მწერალი გვარწმუნებს, რომ დათიკო „პირადად" ცუდი კაცი არ არის, მაგრამ ის მებატონეა და ამიტომ, შეუძლებელია კარგი იყოს. მისი ბოროტება მისი წოდების ბოროტებაა, მისი სისაძაგლე სოციალური სისტემის სისაძაგლეა. დათიკო არც კი გრძნობს, რომ ბოროტებას სჩადის, მშვიდად, საკუთარი „კანონიერი" უფლების შეგნებით ეუბნება გაბროს: „ქალი ჩემიაო"; როცა გაბრო კლავს, არც მაშინ განიცდის სინდისის ქენჯნას, შთაბეჭდილება რჩება, რომ მისი რწმენით, სიმართლეს შეეწირა. ამ გააზრებით, დათიკო ზიზღისა და შეჩვენების ღირსია იმდენად, რამდენადაც საზიზღარი და შესაჩვენებელია უსამართლო საზოგადოებრივი წყობილე-

ბა, თვითნებობა და უთანასწორობა, რომელსაც ის განასახიერებს. ეს არის მწერლის გამარჯვება, მისი რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის ტრიუმფი, ტიპიურობის ძალა. გასაოცარი სიზუსტით, მრავალპლანიანობითა და გამოშუქების უნარით გამოირჩევა მოთხრობის დეტალები, ეპიზოდები, დიალოგები. გავიხსენოთ თუნდაც, რა ინტენსიურად ელინდება დათიკოს ხასიათის სოციალური ბუნება იმ მომენტში, როცა ის თავზარდაცემულ პეპიას უდარდელად მიაძახებს ხალხში: კაი საპროშტავი გოგო გყოლიაო.

„გლახის ნაამბობის“ ოსტატურად გამოძერწილ ტიპიურ სახეებზე რომ ვფიქრობთ, გაუგებრობად გვეჩვენება ნ. ნიკოლაძის მიერ მისი იმ ნაწარმოებებთან გაიგივება, რომლებიც „გადაკრულ-გადმოკრული სულის წამივით ჰბედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდნათ მაინც გაეხსენებია მკითხველისათვის „გლეხთა მდგომარეობა“. შემოქმედებითი ფანტაზიის შემბოჭველ ტრაფარეტად გვეჩვენება კრიტიკოსის მტკიცება, თითქო, მოძველებული ყოფილიყოს „ბატონყმობის საქმის სიყვარულის ასპარეზზე გადატანა“. სიყვარული ადამიანური არსებობის განუშორებელი თვისებაა და არც ცხოვრებაში, არც ხელოვნებაში არასოდეს არ ჰკარგავს მნიშვნელობას. „გლახის ნაამბობში“ ის სიღრმისეულად ავლენს გმირთა ხასიათსა და სოციალური წყობილების სიმახინჯეს, ბუნებრივად ესატყვისება სიუჟეტის თვითმყოფობას და, ამდენად, განუმეორებელია. არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, რომ მწერალს, უსათუოდ, გაპირუტყვებულ გლეხთა სახეები ეჩვენებინა; ყმა გლეხთა შორის მადლმოსილი გენიოსებიც იყვნენ და გაპირუტყვებული ადამიანებიც, — ავტორს შეეძლო ერთიც აერჩია და მეორეც, — შეეძლო ორივეს ტრაგედიით გაეხსნა სოციალური წყობილების ბუნება. მოაზროვნე, მგრძნობიარე, გულმართალი გაბროს ხასიათი უფრო ფართო პლანშიც კი ამხელს სოციალურ უსამართლობას, გვიჩვენებს არა მარტო ბატონყმობის, არამედ ყოველგვარი ჩაგვრის, უთანასწორობისა და პრივილეგიის ბოროტებას, წარმოგვისახავს კაცთმოყვარების მაღალ ჰუმანისტურ იდეალს. ამით უნდა აიხსნას, რომ „გლახის ნაამბობს“ ისეთივე აქტუალური მნიშვნელობა

ჰქონდა 70-იან წლებში, როცა ის „კრებულში“ დაიბეჭდა, როგორც 50-იან წლებში, როცა ბატონყმობა არსებობდა. ბატონყმობა მოისპო, მაგრამ უთანასწორობა, რასაც ეს თხზულება გმობს, კვლავ არსებობდა.

ი. ჭავჭავაძემ მხატვრული სიღრმით ცაგვანახა გლეხის კლასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შემართება და მერყეობა. მწერალი „არსენას ლექსის“ სიტყვებით ამართლებს გაბრიელის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას: „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა“, ხოლო ამ სიტყვებში გამოხატული კლასობრივი მორალი, რომელიც თხზულების ეთიკურ ნორმად წარმოგვიდგება, ძალას ინარჩუნებდა და ახალ ელვარებას იძენდა ყოველგვარ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. ცხოვრების სინამდვილესთან ჭიდილში, მღვდლის რელიგიური ქადაგებანი გაბრიელის შეგნებაში საწინააღმდეგო ზნეობრივი ფორმულების სახით ყალიბდება. „ის დალოცვილი მღვდელი, — ამბობს გლახა, — ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო. მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს, და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს... სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია“... უსამართლოდ დასჯილ გაბრიელს ყველაზე მეტად ის ადარდებს, რომ „უხეიროდ თავი წაიხდინა... უხეირობით მტერს გზა დაუცალა“, — რომ ვერ დაასწრო და ადრე არ მოკლა დათიკო.

გაბროს მიერ დათიკოს მოკვლა შორსმწვდომი სოციალური მნიშვნელობის ფაქტია, რადგან ღრმად გააზრებული, მოტივირებული და გამართლებულია. გადაწყვეტილება იმდენად ძლიერი და დასაბუთებულია, რომ ოდესმე ღვთისმოშიშ გაბრიელს აღარც მისი ერიდება. „ღმერთი დაინახავს ამას, — ის გულთამხილავია — დაინახავს, შემიბრალებს და შემიწყალებს, თუ არა და, ის ქნას, რაც ჩემს ბედისწერას ჩემთვის გაუწესებია!“ იმისათვის, რომ ამ გმობას ის ძლიერება და ხანგრძლივი ზემოქმედების უნარი ჰქონებოდა, როგორიც აქვს, აუცილებელი იყო, გმირს ცხოვრების ისეთი გზა გაევლო, როგორიც მან განვლო. გაბრო და არსენა ოძელაშვილი ერთნაირი მორალით

მოქმედებენ, მაგრამ გაბრო კლასობრივად უფრო შეგნებული და შეუპოვარია. მოთხრობა, მართალია, ბატონყმობის თემაზეა დაწერილი, მაგრამ მისი მოტივი ადამიანის თავისუფლება და თანასწორობაა, — იგი დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის იდეებითაა გაცისკროვნებული და ეს არის მისი უკვდავების საწინდარი. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ვერავითარი კერძო დამოკიდებულება, ვერავითარი სუბიექტური ფაქტორი ვერ დაიხსნის სოციალურად დამონებულ ადამიანებს, რომ ხალხის ბედნიერებისათვის აუცილებელია ძირეული სოციალური ძვრები.

„გლახის ნაამბობში“ გამოხატულია ამ დიდი გარდატეხის იმედი, ხალხის ბედნიერების რწმენაც: „რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? — ამბობს მოძღვარი. — ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?“

„გლახის ნაამბობს“ აქტუალობას ანიჭებდა ისიც, რომ მასში დაგმობილია არა მარტო ბატონყმობის ინსტიტუტი, არამედ ცარიზმი და მისი ანტიხალხური აპარატი, რომელიც ბატონყმობის შემდეგაც უცვლელი დარჩა, — მოსყიდული მოხელეები და სასამართლო. 70-იან წლებშიც მხურვალედ და მომწოდებლად ისმოდა მათი უსამართლობით გატანჯული გაბროს ღაღადისი: „ღმერთო!... შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა... რაღას უცდი და არ წარღვნი ამ ცოდვით სავსე ქვეყანას!“ მწერალი უკვე აქ ლაპარაკობს ჩაგრულსა და მჩაგვრელს შორის „ჩატეხილ ხიდზე“, რომელსაც ველარაფერი გაამთელებს და რასაც შემდეგ მთელი ნაწარმოები („ოთარაანთ ქვრივი“) მიუძღვნა.

„გლახის ნაამბობი“ მიმზიდველია, მწყობრი, უაღრესად ნათელი და ტევადი, ჩანაფიქრის ყოველმხრივ გამოვლენის უნარიანი სიუჟეტით, რომელიც მხატვრული ზომიერებით ვითარდება. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია მოთხრობის მდიდარმა, ნიუანსურმა, გლეხური ანდაზებითა და ძარღვიანი გამოთქმებით განცხოველებულმა ენამ. ცხოვრების ღრმა ცოდნა, ლიტერატურული დაკვირვების ნიჭი და ენის სტიქიის შინაგანი შეგრძნება მწერალს საშუალებას აძლევს მოკლე დიალო-

გებითაც მკაფიოდ გამოკვეთოს დიამბეგის, ვაჭრის, მოსაჭახუ-
რე ბიჭის კოლორიტული სახეები. უწინარეს ყოვლისა, სწორედ
ენობრივი აღკაზმულობის წყალობით, სწორუპოვარ ნიმუშად
რჩება ჩვენს პროზაში პეპიასა და თამროს საუბარი.

ნაწარმოებს დიდ ღირსებას მატებს თავშეკავებული, მშვი-
დი, მაგრამ აღმაღლებული და შინაარსის მიხედვით მომართუ-
ლი ტონი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მღვდლის, და აქა-იქ
გაბრიელის მეტყველებას ერთგვარი არტისტიზმი ემჩნევა
(გაბროსა და თამროს პირველი შეხვედრა). არც იმის უარყოფა
შეიძლება, რომ ზოგიერთ ადგილზე მგრძნობიარობა სენტი-
მენტალიზმამდე მიდის. ასეთია, ჩვენი აზრით, გაბრიელისა და
თამროს ქალაქში შეხვედრის სცენა. ხასიათის ლოგიკის მიხედ-
ვით, მთლიანად დამაჯერებლად არ მიგვაჩნია დათიკოს მიერ
პეპიასა და გაბრიელის განთავისუფლება; სიუჟეტურად და
ეთიკურად ამ ეპიზოდს მოთხრობაში დიდი ფუნქცია აქვს
დაკისრებული, მაგრამ, გავბედავთ და ვიტყვით, რომ მწერალს
შეეძლო ამ მიზნით უკეთესი გზა გამოენახა.

სოციალური გადახალისების სულით, „გლახის ნაამბობი"
უაღრესად პატრიოტული ნაწარმოებია და სამშობლოს სიყვა-
რულით, მის კეთილდღეობაზე მხურვალე ოცნებითაა შთაგო-
ნებული. ილიას, აქაც უსამართლობით გატანჯული გლეხობა
მიაჩნია ერის ბურჯად; საციმბიროდ გამზადებული გაბრიელი,
რომელსაც ათასგვარი ბოროტებით მოუშხამეს გული, მაინც
სათუთად ინახავს სამშობლოს სიყვარულს.

იმ დროს, როცა ჩვენს პროზაში პუბლიცისტიზმისაკენ გა-
დაპარბებული ლტოლვა იგრძნობოდა, როცა ენობრივი ნატუ-
რალიზმი ფესვს იდგამდა, როცა მხატვრულ სურათებს მსჯე-
ლობა სცვლიდა, „გლახის ნაამბობის" გამოქვეყნება „კრებულ-
ში" დიდი ლიტერატურული მნიშვნელობის მოვლენა იყო. მკი-
თხველმა მასში ქართველი გლეხკაცის ისტორია შეიცნო,
თავისი მდგომარეობა და მოვალეობა უფრო ნათლად იგრძნო.
რამდენად თანადროული და ახალი იყო ამ მოთხრობის შინა-
არსი იქიდანაც ჩანს, რომ ორი ათეული წლის შემდეგ, „ქრის-
ტინეში", ეგ. ნინოშვილი თავისებური ფორმით, კვლავ მიუბ-
რუნდა მის ზოგიერთ იდეურ-მხატვრულ პასაჟს.

1873 წელს „კრებულის“ რედაქციამ ცალკე წიგნად (ამონაბეჭდი) გამოსცა „გლახის ნაამბობი“, მაგრამ მისადმი ინტერესი დღითიდღე მატულობდა და 1879 წელს ხელმეორედაც გამოვიდა. ამ გამოცემას დართული აქვს ა. საფაროვის ფრიად საინტერესო წინასიტყვაობა, რომლის ერთი ნაწყვეტითაც გვსურს დავამთავროთ ეს ნარკვევი: „გლახის ნაამბობში“ ჩვენ ვხედავთ გაცილებით მომეტებულს, ვიდრე იმას, რაც დაინახეს მასში ბევრმა ჩვენთაგანმა — არა მარტო ბატონყმობაზე გველაპარაკება ჩვენ ისა, ამ მოთხრობას აუშლია უფრო მაღალი დროშა... აქ არის გამოყვანილი გლეხკაცობის უკეთესი იდეალი,... უმაღლესი ლტოლვილება გაუმჯობესებისა“.

„მგზავრის წერილები“

„მგზავრის წერილების“ ბეჭდვა ჟურნალის 1871 წლის თებერვლის ნომერში დაიწყო და აქ II, III და IV თავები გამოქვეყნდა; I თავი დასახელებულია, მაგრამ წერტილებით არის დაფარული, ცენზურას აუკრძალავს. არ ჩანს ქვესათაური: „ვლადიკავკავიდამ ტფილისამდე“. II თავი იწყება ისე, როგორც აკადემიურ გამოცემაშია: „ამ ყოფით გავშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი“. IV თავი (ე. ი. ჟურნალის ამ ნომრის ტექსტი) მთავრდება წინადადებით: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. გაგრძელების ბეჭდვა, ეტყობა, ცენზურამ შეაფერხა და ბოლო V, VI, VII თავები მხოლოდ მე-5 ნომერში დაისტამბა, სქოლიოში მითითებულია, რომ „პირველი სამი თავი ამ „წერილებისა“ „კრებულის“ მეორე წიგნში იყო დაბეჭდილი. VIII თავი, რომელიც აკადემიურ გამოცემაში ცალკეა გამოყოფილი, ჟურნალში VII თავთანაა შეერთებული, უკანასკნელი აბზაცი ამოგდებულია და „კრებულის“ ტექსტი ასე მთავრდება: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა წესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი“.

ილიას ავტოგრაფი, რომელიც „კრებულის“ რედაქციამ ცენზორს წარუდგინა, ამჟამად კ. ლორთქიფანიძის არქივშია დაცული, და საშუალება გვეძლევა დავრწმუნდეთ, რა განსაცდელი გადახდენია ამ ხელნაწერს. გარდა იმისა, რომ ცენზურამ მთლიანად აკრძალა I თავი, თხზულების სხვა ნაწილებიც დაასახი-

ჩრა. III თავში გამოტოვებულია: „სიტყვამ „რევოლუცია“ ა
შეგაშინოს, მკითხველო!“... ამავე თავიდან ამოშლილია: „მაგ
რამ მაშინ რა ვქმნათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ გამიყოლიოს დ
მიამბოს თ ა ვ ი ს გ უ ლ ი ს-ტ კ ი ვ ი ლ ი, თ ა ვ ი ს ი გ ლ ო
ვ ი ს დ ა ფ ა რ უ ლ ი მ ი ზ ე ზ ი, თ ა ვ ი ს ი მ ე დ ი დ
უ მ ე დ ო ბ ა“. ამოგდებული ან შეცვლილია მთელი რიგ
სხვა ადგილებიც.

ცენზორის თავგასულობით აღშფოთებულ მწერალს, ა
უტიფრად ნაჯიჯგნი ადგილებისათვის რეპლიკები მიუწერია
„ცენზორს სუნის აღება სცოდნია“; „უნდ...“ „უნდა. ახ, ცენ
ზორო!“ მას ცენზორის მიერ ამოშლილი ორიოდე ადგილის
აღდგენაც მოუხერხებია[1].

ერთიანი სუნთქვით შექმნილ თხზულებას უხეშმა ოპერა
ციებმაც ვერ მოაკლო იდეური ცხოველმყოფელობა და მხატ
ვრული ბრწყინვა. ფართო საზოგადოებამ და ლიტერატუ
რულმა კრიტიკამ „მგზავრის წერილები“ სასწაულებრივ მოვ
ლენად მიიღო. ნ. ნიკოლაძემ ის სრულყოფის ჩინებულ მაგა
ლითად აღიარა[2]. ნიკ. ყიფიანს ვრცელი ამობეჭდილი მოაქვს
თავის რეცენზიაში და აღტაცების შეძახილებით კმაყოფილ
დება[3].

თხზულებას პირობით თუ მივაკუთვნებთ „მოგზაურობის
ჟანრს“, თორემ, გააზრებითა და განხორციელებით, ის უდა
ვოდ, მხატვრულ გამონაგონს ემყარება და მგზავრობის რეალი
ებს მასში იმაზე დიდი როლი არ აკისრია, რასაც, ჩვეულებრივ,
ცხოვრებისეული მასალა ლიტერატურულ წარმოსახვაში,
პოეტურ ხილვაში ასრულებს. მისთვის ორგანულად შეუთავ
სებელია რეპორტაჟი, აღწერითობა, ფაქტობრივი სიზუსტე,
დოკუმენტურობა, ხოლო პუბლიცისტური შინაარსი აბსოლუ
ტურად პოეტური და სურათოვანია. ასეთი აღმაღლება, პოე
ტურობა და სურათოვნება ანიჭებს მას განსაცვიფრებელ
პუბლიცისტურ ტევადობას, რომლის წყალობითაც, თექვსმეტ
გვერდიან ნაწარმოებში წამოჭრილი და გადაწყვეტილია ჩვენი

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ. ტ. I, ბ. ინგოროყვას შენიშვნები გვ. 579-592.
[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., №5-6.
[3] „დროება“, 1872 წ., № 8.

ურნალისტიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა. ამით უნდა აიხსნას, რომ თანამედროვეებმა „მგზავრის წერილები“ ეპოქის საბრძოლო-სამოქმედო პროგრამად მიიჩნიეს და მასში არა პროკლამირება, არამედ დასაბუთების რაღაც საოცარი ლოგიკა იგრძნეს. ავტორმა განუყოფელ მთლიანობაში და მრავალგვარ მიმართებაში წამოჭრა ეროვნული და სოციალური საკითხები, მკითხველს მისცა არსებულის გაშლილი კრიტიკა და მომავლის იდეალი, განსაზღვრა მებრძოლი ახალთაობის მორალი, აგრძნობინა მას ახალი დროის ტკივილები და საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მოახლობული ძვრები.

დროის თავსატეხი ამოცანები „მგზავრის წერილებში“ გაშუქებულია გარდუვალი პროგრესის სულისკვეთებით, რაც აწარმოების ერთიან პათოსს ჰქმნის. ეს არის ბრძოლის, განვლებისა და გადახალისების პათოსი, რომელიც გადამდები ძალით შეიგრძნობა ყოველ სურათსა, სიტუაციასა და სიტყვაში. რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით. — ამბობს ლელთ-ღუნია. — რაი არ მშვიდობა? უხმარს სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი ცის! რაი არ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის?.. ცარიელ მშვიდობა მიწაშიც გვეყოფის“.

ბრძოლისა და მშვიდობის მიმართება, რომელსაც ილია „ჩრდილსა“ და „ქართვლის დედაში“ ეხება, აქაც კეთილისა და ბოროტის დამოკიდებულების ჭრილშია გაშუქებულ-გადაყვეტილი; წინსვლის, მარადიული განვითარებისა და აღორძინების სული ტრიალებს „მგზავრის წერილების“ ყოველ სტრიონში, ხოლო აპოთეოზს თერგისა და მყინვარის, დღისა და ამის დიდი შთაგონებით შესრულებული კონტრასტები წარმოადგენს.

დიად გარდაქმნათა და განუწყვეტელი პროგრესისაკენ ამ ნებიან ლტოლვას, სამყაროს ასეთ მსოფლშეგრძნებას შეეძლო წარმოეშვა რევოლუციის ღაღადისი ამ ნაწარმოებში, რაც ნივერსალური განზოგადების ფორმულით თავდება: „რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მო-

აქვს". ადამიანის უსაზღვრო სიყვარულს, მისი შემოქმედებითი ძლიერებისა და გარდამქმნელი როლის შეგნებას მწერალი რევოლუციურ ჰუმანიზმამდე მიჰყავს. ადამიანი ბუნების მეუფე და ამა ქვეყნის სჯულმდებელია; ახალი დროის მოწოდებად გაისმის: „ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!"

რევოლუციური ჰუმანიზმის პათოსი განსაზღვრავს „მგზავრის წერილებში" სოციალური და ეროვნული თავისუფლების განუყოფლობას და, საერთოდ, ადამიანის თავისუფლების იდეას. შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ აზრს, თითქო ამ ნაწარმოებში ეროვნული პრობლემა იყოს წინ წამოწეული. მხატვრული ნაწარმოების არსი ყალიბდება არა ცალკეული გამონათქვამებით, არამედ ყველა იდეური და მხატვრული კომპონენტის ერთიანობით, საერთო სულისკვეთებითა და პათოსით. ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა გავიხსენოთ, რომ მოხევე ლელთ-ღუნია, რომლის პირითაც თვით ავტორი გვიჭადაგებს, ერთნაირი გულმხურვალებით ლაპარაკობს ეროვნულ და სოციალურ შევიწროებაზე, მჭიდრო კავშირს ხედავს მათ შორის. საყურადღებოა, რომ „მგზავრის წერილებში", ხელისუფლებასთან ერთად, მჩაგვრელ სოციალურ ძალად წარმოდგენილი არიან ჩარჩ-ვაჭრები; ხალხს მიწა-წყალი არ ყოფნის, „გასატან-გასასყიდი" არაფერი აბადია, „ქირით ნაშოვნი ფული კი ჯიბეჩი არ რჩების", „ვერ მოსარიგებელ, ვერ შესათამაშებელ ვაჭრის კერძია", ამიტომ, „ცარიელ სტვამაჭით" სიცოცხლეს, ხალხს ბრძოლა ურჩევნია. სოციალური პირობები ნაწარმოებში ეროვნული განწყობის მოტივად გვესახება. მოხევეს სულს უფორიაქებს მძიმე საზოგადოებრივი ცხოვრება, — გაბატონებული სოციალური მორალი. მისი საუბარი, ერთდროულად, სოციალური და ეროვნული ტკივილებით არის გამსჭვალული და სავსებით ეხმიანება რუსეთიდან მომავალი ავტორის ფიქრებს; საერთო იდეალი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახით ვლინდება. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", — ამბობს ლელთ-ღუნია და თხზულების უკანასკნელ სტრიქონებში ავტორიც გადაჭრით ამჟღავნებს თავის თანაგრძნობას. ავტორს ამ მკაფიო ფორმულისათვისაც რომ არ მიემართა, „მგზავრის წერი-

ლების“. საერთო განწყობილებითაც შევიგრძნობდით მის დევიზს: „შორს ცარიზმისაგან!“, — მაგრამ როგორც ახლა, ასახსნელი დარჩებოდა მისი კონკრეტული შინაარსი, რადგან შეუძლებელია, მხატვრულ ნაწარმოებს ასეთი უმი და მზამზარეული პასუხი მოვთხოვოთ.

„მგზავრის წერილები“ გაჟღენთილია დემოკრატიულ რუსეთთან სისხლხორცეული კავშირის გრძნობით. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ იდეების ხასიათში ელინდება, რომლებიც თხზულების მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს. ავტორი დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ რუსეთში მიღებული ცოდნის შუქზე სამშობლოს ბედი მას ახლებურად ესახება. „მგზავრის წერილების“ უმნიშვნელოვანესი მხატვრული თავისებურება ფართო პლანის ალეგორიულობაა. ამასთან, მთლიანად ნაწარმოებსაც და მის ცალკეულ კომპონენტებსაც ერთსა და იმავე დროს პირდაპირი მნიშვნელობაც აქვს და ქარაგმულიც. მწერალი უბადლო თვალსაჩინოებით იყენებს სიმბოლურ სურათებსა და გამოთქმებს. სიმბოლიკა უაღრესად გამჭვირვალეცაა და ძნელად ეჭვმისატანიც. ქართულ ლიტერატურაში პოლიტიკური ალეგორია ასე წარმატებით არავის მოუმარჯვებია. როცა მწერალი „დამდოვრებული“ თერგის ღალატზე გვესაუბრება, კანშეცვლილ თანამემამულეებს კიცხავს; — „ჰოი ბოროტო, წარ-ვედ ჩემგან!“, — შესძახებს ბნელ ღამეს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს გამეფებული ბოროტების წინააღმდეგ შეძახილია. მრავალმხრივი ალეგორია, ნათელი სიმბოლიკა, გამახვილებული ქვეტექსტი, ინტონაციური გრადაცია მწერალს საშუალებას აძლევს ორიოდე მონახაზით შექმნას გრანდიოზული სურათი, ორიოდ წინადადებით დაახასიათოს მოვლენის არსი, მცირე ნაწარმოებით ფარდა ახადოს სოციალური სინამდვილის მთელ ბოროტებას. მკითხველზე ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ის, რაც მან პირდაპირ თქვა, არამედ უფრო მეტად ის, რაც სიტყვით არ გამოუთქვამს, მაგრამ გვაგრძნობინა.

„მგზავრის წერილები“ ისე მდიდარი მხატვრული საშუალებითაა დაწერილი, რომ პოეტიკის სრული კურსის საილუსტრაციო მასალად გამოდგება. ამ პატარა თხზულების პეიზაჟები, პორტრეტები, სურათები, დიალოგები, შედარებები, დეტალე-

ბი, სიტყვიერი ინვენტარი სქელტანიან რომანსაც სრულყოფილად გამართავდა. თხზულებას დიდ მომხიბლაობას ანიჭებს მასალისადმი მწერლის უაღრესად თავისუფალი დამოკიდებულება, ლაღი, მოქნილი, ემოციური თხრობა, შინაარსის შესატყვისად, გრადაციის შინაგანი შეგრძნება, მსუბუქი პოეტური ენა, მაჟორულიდან მინორულზე, კომიკურიდან ტრაგიკულზე ბუნებრივი გადასვლა, ხალხური უბრალოება და ფილოსოფიური სიღრმე. ამ ღირსებებით, „მგზავრის წერილები" მარადფერუცვლელ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის.

იშვიათი ლაკონიზმია საჭირო იმისათვის, რომ მცირე ტილოზე სინამდვილის ასე რთული და მრავალფეროვანი სურათი აღიბეჭდოს. ილიას დეტალები, პასაჟები და სიტუაციები მაქსიმალურად შემჭიდროებული და მეტყველია.

„მგზავრის წერილები" დიდ ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისითაც, რომ, როცა „კრებულში" ენობრივი ნატურალიზმის ტენდენცია იგრძნობოდა, ილია ჭავჭავაძემ სამწერლო და დიალექტური მეტყველების შემოქმედებითი შეწყობა-შემშვენების კლასიკური ნიმუში უჩვენა თანამედროვეებს. ლელთ-ღუნიას მოხევური კილო ორგანულად ესიტყვებოდა მისი ხასიათის შინაარსს, სისხლსავსედ ავლენდა მისი აზრების თვითმყოფობას და პატრიოტულ-რომანტიკულ იერს აძლევდა მის სახეს. „მგზავრის წერილებმა" სწორი გეზი უჩვენა მხატვრულ-პუბლიცისტურ პროზას, რომელიც ლიტერატურული დაქვეითების ნიშნებს ამჟღავნებდა „კრებულში".

გიორგი წერეთელი

„მგზავრის წიგნები"

„მგზავრის წიგნების" დასაწყისი დროგამოშვებით, 1867 წლიდან 1870 წლამდე, ქვეყნდებოდა „დროებაში". „კრებულის" 1873 წლის მე-5-6 ნომერში, თხზულების პირველი ნაწილი მთლიანად დაიბეჭდა. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული ნომრის სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: „რადგანაც „დროების" ძველი ნომრების შოვნა ახლა სრულიად შეუძლებელი საქმე შეიქმნა, მკითხველი, იმედი გვაქვს, არ დაგვემდურება ამ წიგნების

გადმობეჭდვისათვის, მით უფრო, რომ ესლა ისინი შესწორებულად და სრულად იბეჭდებიან".

„კრებულის" 1873 წლის მე-9 ნომერი მთლიანად ამ თხზულების მეორე ნაწილს დაეთმო, მასში არავითარი სხვა მასალა არ დაბეჭდილა; სარჩევსა და სასათაურო გვერდზე აღნიშნულია: „მგზავრის წიგნები". ნაწილი მეორე. კიკოლიკის ცხოვრება".

თხზულებამ დიდი სენსაცია გამოიწვია. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, „როცა... პირველი ხანების ბეჭდვა დაიწყო ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა", მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორც ცოტათი უწინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანმა" მოახდინა... ყოველი ახალი ხანა მისი „მგზავრის წიგნებისა" ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინს იწვევდა"[1].

პრესაში, მხოლოდ, გრ. ორბელიანმა გააკრიტიკა და დაიწუნა ახალი ნაწარმოები [2].

ჩვენი აზრით, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები" აღტაცებული ქების ღირსიც იყო და მკაცრი კრიტიკის საბაბსაც იძლეოდა.

ამ ნაწარმოებში ავტორმა სცადა მთელი სისრულით აესახა თანამედროვე ცხოვრება, მოეცა ბატონყმობის დროინდელი საქართველოს სურათი, ეჩვენებინა ქართველი ინტელიგენციის პროფილი, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, წარმოედგინა გაძლიერებული დიფერენციაციის პროცესი. „მგზავრის წიგნების" გადაკითხვაც კი ცხადყოფს, რომ მწერალს არაჩვეულებრივი პოლიტიკურ-ლიტერატურული დაკვირვებისა და ანალიზის ნიჭი გააჩნია, ფართო ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება აქვს, ღრმად იცნობს სინამდვილეს და დიდძალი შემოქმედებითი მასალა დაუგროვებია.

მასალის სიუჟეტურ-კომპოზიციური ორგანიზმების ფორმად ავტორს კიკოლიკის თავგადასავალი აურჩევია და მისი ცხოვრების დაწვრილებით აღწერა გადაუწყვეტია. დასაწყისში,

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, გ. წერეთლის პირველი შრომა. „მოამბე", 1894 წ., № 3.

[2] „ცისკარი", 1874 წ., სექტემბერი, ოქტომბერი.

მთავარ გმირს იმერეთსა, ლეჩხუმსა და სვანეთში ვხედავთ, შემდეგ პეტერბურგში სწავლის პერიოდს ვეცნობით, დაბოლოს, მას თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ვიხილავთ. მასალის ხასიათისა და მხატვრული გააზრების შესაბამისად, ნაწარმოებში მკვეთრად მერყეობს ლიტერატურული ასახვის ფორმა, სუსტდება განზოგადების ძალა და სტილის ცხოველმყოფელობა. პირველ ნაწილში, გ. წერეთელი რეალისტი მხატვრის შესანიშნავ ტალანტს ამჟღავნებს და ხალხის დუხჭირი ცხოვრების ფონზე ოსტატურად ქმნის კიკოლიკის, ჩიკოლიკის, კუდაბზიკას, გლახათუბნელის ტიპიურ სახეებს. პერსონაჟთა ხასიათები გახსნილია ბუნებრივ, კარგად მოტივირებულ სიტუაციებში, ავტორს მოძებნილი აქვს ორიგინალური, უაღრესად კოლორიტული ნიშან-თვისებები, რომლებიც ზომიერად, ლოგიკურად და შთამბეჭდავად ვლინდება პორტრეტსა, მოქმედებასა, ეთიკასა და მეტყველებაში. მისი ენა, აქ ძირითადად, ფერადოვანი, მდიდარი და ნიუანსურია, გადმოცემის მანერა სურათოვანი და გარეგნულად მიუკერძოებელი. ეს მხატვრული თვალთახედვა მწერალს საშუალებას აძლევს უხვად, მაგრამ მიზნობრივად გამოიყენოს ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, მოქმედების არეში ბოაქციოს ჩინებულად შესრულებული პეიზაჟები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, შეამჩნიოს ცხოვრებასა და ხასიათში მანამდე შეუმჩნეველი თვისებები, ჩანასახის ფორმაში მიაქციოს ყურადღება იმ სიახლეებს, რომლებიც შემდეგ სინამდვილის არსებით ნიშნებად იქცევა. ამით უნდა აიხსნას, რომ 80-ან-90-იანი წლების ზოგი ლიტერატურული სახე (დავ. კლდიაშვილის, ეგ. ნინოშვილის და სხვ.) „მგზავრის წიგნების" პირველ ნაწილში პოულობს დასაბამს. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ არა რემინისცენციებსა და გავლენაზე, არამედ განვითარების ტენდენციის ადრეულ შეცნობაზე, ლიტერატურული დაკვირვების არაჩვეულებრივ ნიჭზე.

თხზულების პირველ ნაწილში, ავტორმა უდავოდ მიაღწია დასახულ მიზანს; მკითხველს ამახსოვრდება თავკერძა და თვალთმაქცი კიკოლიკი, ლაზღანდარა ჩიკოლიკი, ფხუკიანი აზნაური კუდაბზიკა, ქვეყნის ჭირვარამზე დაფიქრებული

მთხრობელი, იმერელი ლუარსაბ თათქარიძე — დაზგა, დაბეჩავებული ხალხის ცხოვრების სურათები. მაგრამ, ამ ნაწილშიც შეიმჩნევა ზოგი ისეთი მიდრეკილება, რომელიც მომდევნო თავებში თხზულების არსებით თვისებად იქცა; ეს არის ფოტოგრაფიულობამდე დასული დეტალიზაცია, აღწერითობა, სიტყვამრავლობა, მსჯელობა და უადგილო სიტყვიერი ანალიზის მომარჯვება.

ნაწარმოების კომპოზიციური რღვევა, ჩვენი აზრით, იმის შედეგია, რომ მწერალს წინასწარ არ გაუაზრებია მისი კონკრეტული გეგმა და არ ჩანს საერთო პროპორციის შეგრძნება. ეტყობა, დასაწყისში ავტორმა ვერ აითვისა მასალის ძირითადი ნაწილი და, რადგან თხზულებას დინამიური სიუჟეტი არა აქვს, იძულებული გახდა დარჩენილი მასალა უმად, დაუკავშირებლად შემოეტანა მომდევნო თავებში. პირველი ნაწილის გმირები ქრებიან და მხოლოდ დასასრულში გამოჩნდებიან; მათ ადგილს ახალი პერსონაჟები იკავებენ, სურათებსა და მოქმედებას სიტყვა სცვლის, მხატვრული წარმოსახვით გამდიდრებულ-გარდაქმნილი ავტობიოგრაფიული თავგადასავალი მშრალ დოკუმენტურობამდე ეშვება. მელიქაღა, ბლუკუნა, ჩიტორელიძე და სხვანი ავტორის ნაცნობ-მეგობრები, საყოველთაოდ ცნობილი პირები იყვნენ. ეს ფაქტი თავისთავად გვიჩვენებს, ნაწარმოების, თითქმის მთელ მეორე ნახევარში რამდენად დაშორდა ავტორი ჰეშმარიტი მხატვრული ლიტერატურის მოწოდებას. მიუხედავად ამისა, „მგზავრის წიგნების“ ამ ნაწილსაც განუზომლად დიდი ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და მრავალმხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. სიუჟეტისა და კომპოზიციური მთლიანობის დანაკლისს წარმატებით ანაზღაურებს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოვალეობის პათოსი, რომელიც იდეურად და განწყობილებით აერთიანებს თხზულების სხვადასხვა ნაწილს. გ. წერეთელს განხილული და შეფასებული აქვს უახლოესი დროის მეტად აქტუალური მოვლენები, ახალთაობის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მისწრაფებები, მისი საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა. „მგზავრის წიგნები“ ჩვენი ინტელიგენციის სულიერი ცხოვრების ბიო-

გრაფიაა, 60-იანი წლების საქართველოს მატიანეა და, ამ თვალსაზრისით მისი ანალიზი აუცილებელია როგორც, საერთოდ, საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების ისტორიისათვის, ისე, კერძოდ, „კრებულის“ შესაფასებლად. „მგზავრის წიგნებში“ გ. წერეთელმა სცადა საერთაშორისო თემებისათვის მოქალაქეობრივი უფლება დაემკვიდრებინა ჩვენს აზროვნებასა და მწერლობაში.

ნაწარმოებში ავტორს გამოკვეთილი აქვს რამდენიმე ცოცხალი ხასიათი, რომელთა შორის განსაკუთრებით მკაფიოა პოლონელი სტუდენტი ხ-სკი.

გ. წერეთელმა ხ-სკში გამოაქანდაკა ახალი თაობის იდეალი, დადებითი გმირის განსჯვაებული სახე, რომელსაც ბადალი არ მოეძებნება ჩვენს მაშინდელ მწერლობაში.

თუმცა, ხ-სკი „მგზავრის წიგნების“ მხოლოდ ერთ თავში გვხვდება და, ერთი შეხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ლოკალურ, ეპიზოდურ პერსონაჟთან, მაგრამ, არსებითად, მისი ხასიათი ტონს აძლევს მთელ თხზულებას და, როგორც კიკოლიკის კონტრასტი, როგორც უარყოფითი გმირების მუდმივი დაპირისპირება, მთელი ნაწარმოების მანძილზე აქტიურად მოქმედებს. ყურადსაღებია, რომ მწერალი მას აქა-იქ კვლავ მოიგონებს კიკოლიკის ხასიათის დასაპირისპირებლად. ხ-სკის მტკიცედ სწამს დაჩაგრულ ხალხთა გამარჯვება და ეს რწმენა ისტორიულ გამოცდილებასა და ფაქტების კონკრეტულ, მკაცრ ანალიზს ემყარება. მას არ სწამს ფუჭი ოცნება, მის ყურადღებას ძალმომრეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მაგალითები იზიდავს. ხ-სკის სიტყვები მოქმედებაა. მისი იმედი ხალხის ფართო ფენების უძლეველობის შეგნებას ემყარება.

„მგზავრის წიგნებში“ მოცემულია იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფართო ანალიზი, გამოკვეთილია გარიბალდის შთამბეჭდავი სახე.

გ. წერეთლის რევოლუციონერი გმირი დაჩაგრულ ხალხთა თავგანწირულ ბრძოლას თვლის გამანადგურებელი სისტემისაგან თავდახსნის საშუალებად.

ხ-სკის დიალოგებში ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრა-

ობის მთელი ისტორიაა გადმოცემული — უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. მწერალი კარგად ამჩნევს ცალკეულ ეპოქასა და ქვეყანაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის თავისებურებებს. ჩვენთვის საინტერესო პრობლემების დასმა-გადაწყვეტით, ხ-სკის მსჯელობანი იმდენად პროგრესულია, რომ დღესაც შენარჩუნებული აქვს ცხოველმყოფელობა.

დაჩაგრული ხალხის შვილი ხ-სკი გ. წერეთლის ნაწარმოებში მხოლოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულთქმით არსებობს, — არათუ სხვა ინტერესი, ამის გარეშე მისთვის სიცოცხლეც ფუჭია. ამ სიმბოლიურ სახეში ავტორმა განახორციელა საერთოდ დაპყრობილი ხალხების იდეალი. ხ-სკის სიხარული, ტანჯვა თუ ოცნება ყველა ჩაგრული ხალხის მოწინავე შვილთათვის მახლობელი და სანუკვარი იყო.

ხ-სკის სიტყვებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანებია ჩამოყალიბებული. კონკრეტულად არის განსაზღვრული ამ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. იგი კარგად იცნობს მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობასა და განწყობილებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის სულისკვეთებას. „იცი, ამისთანა გამწარებულს მამულის მებრძოლს რანაირი შეხედულება აქვს ბრძოლის ჟამს? ის საშიშია; იმის სახეს ვერავითარი მხნე და ბრძოლაში გამოცდილი მებრძოლი ვერ გაუმაგრდება“.

მწერალმა ეპოქის მოწინავე ადამიანის ყველა თვისება გააერთიანა ამ პოლონელ სტუდენტში. მის მოწოდებებს დენთის სუნი ახლავს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცეცხლმოდებული ბარიკადიდან გველაპარაკებოდეს.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას არ შეუქმნია ხ-კის მსგავსი ინტერნაციონალისტის, ხალხთა ძმობის თანმდგომის სახე; იგი ხალხთა მეგობრობის რიგითი მქადაგებელი როდია, ჩაგრულ ერთადმი უბრალო თანაგრძნობით როდი კმაყოფილდება. იგი მათ მოუწოდებს საბრძოლო კავშირისაკენ, ურთიერთ დახმარებისაკენ და პრაქტიკულადაც მოღვაწეობს ამ ძიმართულებით. ამდენად, ხ-სკი რევოლუციონერ-ინტერნაციო-

ნალისტად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წინამორბედად წარმოგვიდგება.

პოლონელ სტუდენტთა მეთაური ხშირად ტრიალებს ქართველთა წრეში, უხსნის მათ, — ჩვენ თუ ერთმანეთი კარგად არ გავიცანით და ერთმანეთის გულისპასუხი არ შევიტყეთ, კარგად ვერ წავიყვანთ საქმესო.

ხ-სკი „მგზავრის წიგნების“ ერთადერთი სრულყოფილად დადებითი პერსონაჟია. იგი მკვეთრად უპირისპირდება ქართველ კიკოლიკს და, პოტენციურად, აგრეთვე ჩიკოლიკს, კუდაბზიკასა და სხვებს. აქ, უთუოდ, თავისებურად მჟღავნდება მწერლის ჩანაფიქრი, რომელიც მარტოდენ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის ვიწრო ეგოისტური მისწრაფებების ჩვენებით კი არ ამოიწურება, არამედ იმასაც ცხადყოფს, რომ მეთაურის არჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნებას როდი ენიჭება, მთავარია კაცის პირადი ღირსებანი, და სჯობს, სხვა ერის კარგ ადამიანს გაჰყვე, ვიდრე უღირს თანამემამულეს.

ხ-სკის ზნეობრივი სიწმინდე და ინტელექტი ქართველი სტუდენტების თვალში სრულ არარაობად აქცევს კიკოლიკს, რომელიც ცდილობს თავი გაასაღოს მათ მეთაურად.

კიკოლიკი უგუნური და ბღენძიაა, მას იმის უნარიც არ გააჩნია, რომ მშვიდად მოისმინოს ხ-სკის ჭკუადსაღები საუბრები — თავი ისე უჭირავს, აქაოდა, ეს ხომ ჩვენც ვიცითო. გულში კი მხოლოდ ჩინოვნიკობაზე ოცნებობს და დიდ საქმეებზე ლაქლაქი ახალგაზრდა თანამემამულეთა ხელში ჩასაგდებად სჭირდება.

კიკოლიკი ამაოდ ცდილობს თავისი სულელური რეპლიკებით გააქარწყლოს ხ-სკის დასაბუთებული, ცეცხლოვანი სიტყვების გავლენა ქართველ ახალგაზრდებზე.

ხ-სკი დიდხანს ითმენდა კიკოლიკის უხეშ გაბოხდომებს, ეგონა, მხოლოდ უცოდინარობით ცრუსდისო, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ კიკოლიკს თანამემამულეთა შორის ყალბი ავტორიტეტის შენარჩუნება ეწადა და ჰეშმარიტებას არად აგდებდა, — გადაწყვიტა კვალში ჩადგომოდა და საჯაროდ ჩამოეხადა მისთვის ყალბი დიდების გვირგვინი. მან უამრავ

შეცდომაში დაიჭირა კიკოლიკი და ახალგაზრდა ქართველ სტუდენტთა თვალწინ გააწითლა თვითმარქვია მეთაური, დაამტკიცა, რომ იგი გაზეთებსაც არ კითხულობდა.

შერცხვენილი კიკოლიკი გაცხარებული მივარდა მას: „სტყუიო!", — მაგრამ ახალგაზრდა სტუდენტები თვითონაც რწმუნდებიან, რომ ცრუობდა კიკოლიკი, ხოლო „ხ-სკის თავის დღეში ერთი ტყუილი არ უთქვამს".

ხ-სკი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის იდეალად, მუდმივ შთამაგონებელ მაგალითად იქცა და მწერალიც ამ საზომით აფასებს ქართველ ინტელიგენციას; ხ-სკი თვალწინ უდგას სამეგრელოსა და სვანეთში, თბილისსა და ქუთაისში, — „საქართველოს მოამბესა" თუ „დროებაზე" მსჯელობისას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ის ბობოქარი პოლონელი თავის ქვეყანაში წავიდა სამოქმედოდ, მაგრამ მისგან მიღებული შთაბეჭდილება ჩვენს ახალგაზრდებს უფრო უცხოველდებოდათ, მისი სახე მკაფიოდ ედგათ თვალწინ.

ცნობილია, რომ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების" პერსონაჟებს პროტოტიპები ეძებნებათ ავტორისავე ნაცნობ-მეგობართა წრეში და მწერალს დოკუმენტური სიზუსტით აქვს აღწერილი მათი ცხოვრება და საქმიანობა.

ზუსტად დადგინდა, რომ ხ-სკი სხვა არავინაა, თუ არ პეტერბურგის უნივერსიტეტის პოლონელი სტუდენტი ვლადისლავ ხოროშევსკი, რომელიც თავის თანამემამულეთა აღიარებულ მეთაურად ითვლებოდა და მეტად დაახლოებული იყო ქართველ სტუდენტთა წრესთან. ცხადია, მას კარგად იცნობდა გ. წერეთელიც,-და რომელსაც, სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძეც იხსენიებს მოგონებებში[1].

იმის ცხადსაყოფად, თუ გ. წერეთელს რაოდენ უტყუარად აქვს გადმოცემული მისი სახე, მოვიტანთ ორიოდე დოკუმენტურ ცნობას: „Мысль о необходимости совместных дей-

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, 1931 წ., გვ. 44-47. ავტორს ვ. ხოროშევსკის მეტად საინტერესო მხატვრული პორტრეტი აქვს მოცემული. იხ. აგრეთვე „ძველი საქართველო", ტ. II. გვ. 13 (მითითებულია, რომ ვ. ხოროშევსკი ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო).

ствий русских и польских революционеров была распра
странена и среди части польского революционно-настро
енного студенчества. В Московском университете иде
дружбы между польскими и русскими студентами горя
чо отстаивал один из руководителей студенческих выс
туплений 1861 года поляк Болеслав Комышко. Л. Ф
Пантелеев много рассказывает о влиятельном в сред
Петербургских студентов поляков Владиславе Хоро
шевском, который,—„Придя к убеждению, что обоюд
ный интерес требует возможно большего сближени
русских и поляков, сейчас же принялся проводить сво
идеи в Корпорации (польской студенческой). Он пред
ложил польскому огулу в Петербурге установить связ
с русскими студенческими организациями... Участи
русских студентов в демонстрации студентов поляко
побудило последних принять участие в похоронах Шев
ченко, совместно с русскими и украинцами. В. Хорошев
ский произнес здесь блестящую речь, которая зате
была напечатана в украинском журнале „Основа".

В марте 1861 г. по инициативе русских студенто
Петербургского университета и при содействии Хоро
шевского состоялось Совещание представителей поль
ских и русских студенческих организаций".

ცნობაში, რომელიც ამ თათბირის თაობაზე III განყოფი
ლების ჯაშუშმა წარუდგინა უფროსს, ვლადისლავ ხოროშევს
კი პირველადაა დასახელებული[1].

1861 წლის დასაწყისში, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუ
დენტთა ინიციატივით, ვარშავაში ტარდებოდა რუსეთის უნი
ვერსიტეტების პოლონელ სტუდენტთა ყრილობა, სადაც
როგორც ამ ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი
დააპატიმრეს ვ. ხოროშევსკი, რომელსაც შემდეგ, მაინც, მის
ცეს სწავლის გაგრძელების უფლება.

ნ. ჩერნიშევსკის მითითებით 1861 წლის სტუდენტთა მოძ

[1] ЦГИАМ. Ф. I эксп. 1861. д. 439. Л. I.

რაობის მონაწილეთა მხარდასაჭერად „ლიტერატურულ ფონდთან“ შექმნილი „მოსწავლე ახალგაზრდობის დამხმარე კომიტეტში“ შედიოდნენ ვ. ხოროშევსკი და ღოღობერიძე [1].

საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ ერთ-ერთი გმირის, ხ-სკის სახე, ვლადისლავ ხოროშევსკისთან პირადი მეგობრობის, შეხვედრებისა და პოლიტიკური საუბრების უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებებითაა შექმნილი.

გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ თანამედროვე ვითარებაში ყოველმხრივ გარკვეული ქართველის იდეალის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა და ეს იდეა, არსებითად პუბლიცისტური ხერხით არის გახსნილი.

გ. წერეთელი მაშინაც არ ღალატობს ამ ხერხს, როცა უყურებს გმირს, ფიქრობს მასზე და ამით საშუალება ეძლევა ფსიქოლოგიურად გახსნას ხასიათი.

შეუძლებელია, მხატვრის ნაკლად მივიჩნიოთ ეს. — საქმე გვაქვს ეპოქის სტილის ნიშანთვისებასთან, რომელიც საშუალებას აძლევდა მწერალს სათანადოდ გადმოეცა თავისი აზრი და გრძნობა.

როგორც იდეური ჩანაფიქრით, ისე მხატვრული განხორციელებით, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ ქართული ლიტერატურის ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია, ხოლო გულმოდგინე სარედაქციო დამუშავებით, ადვილად შეიძლებოდა ზოგიერთი ნაკლის თავიდან აცილება.

პუბლიცისტური პათოსი და ინტელექტუალიზმი ამ ნაწარმოების მთავარი ღირსებაა და ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საზოგადოებრივი პრობლემები მასში ეპოქისეული სისრულითა და სიმართლითაა გაშუქებული.

თხზულების მეორე ნაწილში მწერალი მთლიანად შებოჭილი ჩანს ამ პათოსით, მისი მრავალსიტყვაობა ყოველთვის ვერ ემსახურება მხატვრული განზრახვის ხორცშესხმას, სურათოვანი დეტალის გამკაფიოებას, ზოგან, სიტყვა ჩანაფიქრის

---

[1] Восстание 1863 г. И русско-полские революционные связи 60-х годов. 1961 г.

ასპექტგარეშე რჩება და ეფექტურად ვერ მონაწილეობს მიზნის მიღწევაში, მაგრამ ეს ლიტერატურული პუბლიცისტიზმის საერთო ნაკლია.

„მგზავრის წიგნების" მხატვრულ ღირსებას ჩრდილს აყენებს ენობრივი ნატურალიზმი, რომელიც გაბატონებულია, როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში. გრ. ორბელიანმა, ძირითადად სწორად, სალიტერატურო ენის სიწმინდის გულწრფელი სურვილით გამოამზევა ავტორის შეცდომები, მაგრამ თვით ნაწარმოები სუბიექტურად შეაფასა; მისი იდეური თვალსაზრისის ნათელსაყოფად, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იგი კიკოლიკისადმი ამჟღავნებს სიმპათიას[1].

როგორც იდეურად, ისე მხატვრული გააზრებითა და განხორციელებით, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები" „კრებულის" ერთ-ერთ ყველაზე ტიპიურ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილი"

„მგზავრის წიგნებთან" ბევრი რამ საერთო აქვს „კრებულში" დაბეჭდილ გ. წერეთლის მეორე ვრცელ თხზულებას — „ჩვენი ცხოვრების ყვავილი", რომელმაც მაშინ ცხოველი ინტერესი გამოიწვია, ხოლო დღეს, თითქმის, მთლად დავიწყებულია. იგი გამოქვეყნდა ჟურნალის 1872 წლის №-8-9, №-10-12 და 1873 წლის პირველ და მეორე ნომრებში.

როგორც ირკვევა, ცენზურა ამ ნაწარმოებს განსაკუთრებით აუხირდა და რამდენჯერმე კიდეც შეაჩერა მისი ბეჭდვა. „შარშანდელი „კრებულის" უკანასკნელი ნომრები ჯერ კიდევ არ გამოსულა, — სწერდა ს. მესხი 1873 წლის 26 თებერვალს კეკე მელიქიშვილს. — რადგან ცენზორი კიდევ მოუბრუნდა გ. წერეთლის მოთხრობას და კიდევ წაშალა რაღაცეები". პროფ. ს. ხუნდაძის აზრით, ცენზორს „ის ადგილი ამოუღია, სადაც აღწერილი იყო პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის არეულობის ისტორია". მართლაც, „კრებულის" 1873 წლის №-2 ნომერში, სადაც დიტოს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი იწყება, — აღნიშნულია:

[1] „ცისკარი", 1874 წ., სექტემბერი-ოქტომბერი.

„დასასრული I ნაწილისაო“, მაგრამ გაგრძელება ჟურნალში აღარ დაბეჭდილა.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. „კრებულში“ დაბეჭდილი ნაწილი ავტორის (დიტოს) ბავშვობასა და ყრმობას გვაცნობს, — გასული საუკუნის 50-იანი წლების ამბებს გადმოგვცემს. ჟანრობრივი თავისებურების გამო, აქ კიდევ უფრო წაშლილია საზღვარი პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის; შეიძლება ითქვას, რომ პუბლიცისტურია როგორც ამოცანა, ისე მისი შესრულების ხერხი.

მთავარი შინაარსი ნაწარმოებში ათასგვარი ერთმანეთთან დაუნათესავებელი ამბებითაა შესუდრული. ხშირად, მწერალს თითქმის მთლიანად ავიწყდება დიტოს თავგადასავალი და უმიზნოდ, სიუჟეტთან ყოველგვარი მიმართების გარეშე, მოსაბეზრებელი დაწვრილებით აღწერს თონიკე კვიმატაძის ცხოვრებას ან გაუთავებლად გვესაუბრება გზად შემოყრილ რომელიმე შემთხვევით პერსონაჟზე. საიდგანღაც, მოულოდნელად ჩნდება ლეგასა და კატუნიას უთავბოლო ბიოგრაფია; სარბიელზე, კვლავ გამოდის ნაწარმოებისათვის ფუნქციადაკარგული ქვერია, რომელსაც დიტო ჰანიბალისა და სციპიონის ამბებს უყვება; დასასრული არ უჩანს იმის დასურათხატებას, თუ როგორ აჯობა დიტომ ჭინკას და უშიშრად ავიდა სერზე; ამ პატარა ეპიზოდისათვის ავტორს ახალი პერსონაჟის შემოყვანაც სჭირდება და მკითხველი იძულებულია გაეცნოს ვინმე მოსე სეფისკვერაძის გაუთავებელ ისტორიას. არათუ მკითხველი, თვითონ მწერალიც ვერ ერევა ასეთ მოუწესრიგებელ, ულოგიკო, არეულ-დარეულ სიუჟეტს და ნაწარმოებში განმეორებებსა და წინააღმდეგობებსაც ვამჩნევთ. ზოგი ადგილი, რომელიც ფართო სიტყვიერ ქსოვილს მოითხოვს, შეკუმშულია, ხოლო რომელსაც ლაკონური მოხაზვა ესაჭიროება, გაზვიადებული და გაჭიანურებულია. ალაგ-ალაგ, როგორც იტყვიან, მწერალი „ჰიქაში ქარიშხალს ატრიალებს“, არ აცლის, რომ მოქმედება თავისით განვითარდეს. ოქმის სიზუსტითაა აღწერილი, როგორ იპარავდნენ ქათმებს დიტო და მისი ამხანაგები, როგორ ცხოვრობდა თონიკე კვიმატაძე; შეუკავ-

შირებელი და მომაბეზრებელია დიალოგები. პერსონაჟთა სიტყვა და საქმე არ შეესატყვისება მათ ბუნებას; ისინი ფერმკრთალნი, უსახურნი და უსიცოცხლონი არიან, არსებობენ არა საკუთარი სიცოცხლით, არამედ ავტორის დაჟინებით. ყოველივე აღნიშნულის გამო, ამბებს აკლია მოტივაცია, მხატვრული დამაჯერებლობა. გაუგებარია, რატომ და როგორ გაწკეპლა ცხრა წლის დიტომ თოხიკე კვიმატაძე? რატომ დაუმეგობრდა ჟვერია დიტოს? როგორ გადაურჩა ლეგა სასჯელს? ავტორს აკვიატებული აქვს ბანალური გამოთქმები და შედარებები.

ენობრივი ნატურალიზმი, რომელსაც „მგზავრის წიგნებშიც" ვამჩნევთ, „ჩვენი ცხოვრების ყვავილში" აუტანელი ხდება; ნაწარმოები დამძიმებულია დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით, უმართებულო სტილისტურ-სინტაქსური გამოთქმებით, რის გამოც, უგვანი თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს. უნიფიცირებული და გამოფიტულია პერსონაჟთა მეტყველება — ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებთ პატარა დიტოს, მოსუცი გლეხის თონიკეს, „პედაგოგ" ჟვერიასა და გიმნაზიის დირექტორის ლაპარაკს. რიტმი და სტილი უმდგრადი და აჭრელებულია.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, „ჩვენი ცხოვრების ყვავილს" უკვალოდ არ ჩაუვლია; გ. თუმანიშვილის გადმოცემით, ახალგაზრდობა მას გატაცებით კითხულობდა. იგი სხვათა შორის, წერს: „Роман „цветок нашей жизни", по своей психологии детской жизни и идеализации новых людей во многом напоминает лучшия произведения А. Шеллера-Михайлова („гныля болота", жизнь Щупова" и пр.) [1]. „ჩვენი ცხოვრების ყვავილს" გ. თუმანიშვილი გ. წერეთლის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად თვლის.

რა იყო ამ მოწონების და პოპულარობის მიზეზი? — უწინარეს ყოვლისა, თხზულების იდეური აქტუალობა და ავტორის დიდი მოქალაქეობრივი შემართება. გ. წერეთელმა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ეპოქის ერთი ყველაზე საჭირბოროტო-

[1] Г. Туманов, „Характеристики и воспоминания", III., 1913 г.

ჯო საკითხი — აღზრდის საკითხი და ცხოვრების მწვავე ეროვ-
ნულ-პოლიტიკურ დუღილში გააშუქა ის; გაბედულად დაგმო
კარიზმის საგანმანათლებლო სისტემა, და მასთან ერთად,
არსებული რეჟიმის მთელი სიმახინჯე. მოთხრობაში ჩანს,
როგორ აბეჩავებდა მაშინდელი სკოლა ადამიანს სულიერად,
როგორ აჩლუნგებდა გონებრივად და აკნინებდა ზნეობრივად.

ნაწარმოებში მხილებულია თვითმპყრობელობა და მისი
ახელმწიფო აპარატი. მაგრამ, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“
ძლიერია არა მარტო მხილებით, არამედ თავისუფლების
პათოსითაც, მომავლის რწმენით. ავტორი სამაგალითოდ გვისა-
ხავს იმ უბრალო ადამიანებს, რომელთაც „არ გაჭრობიათ თა-
ვისუფლების სიყვარული და თანასწორობის გრძნობა,... თვით-
არსებობის და დამოუკიდებლობის ცეცხლი“, — რომელთა
გულში „მონობრივს გრძნობას ფესვი არ გაუდგამს“.

ნიჭი, ენერგია, კეთილი ლტოლვანი, რომელიც დიტოს
სკოლამ და გადაგვარებულმა ოჯახმა შეუმუსრა, ნოყიერ ნია-
დაგს პოულობს ხალხში, გლეხთა წრეში, სადაც ის პირველად
შეიცნობს თავის ღირსებასა და ნაკლს, მოვალეობასა და მო-
წოდებას. თონიკე კვიმატაძე, მარინე და მათი თანამოძმე გლე-
სები კვლავ გამოაღვიძებენ მის ჩაფერფლილ სულში ადამიანურ
საწყისებს.

ისე როგორც „მგზავრის წიგნებში“, ამ თხზულებაშიც,
იდეალურ აღმზრდელად, თავისუფლებისათვის მებრძოლ ადა-
მიანად გ. წერეთელმა პოლონელი მოღვაწე წარმოგვიდგინა.
„მგზავრის წიგნების“ — ხოროშევსკი (ხ-სკი) და „ჩვენი ცხოვ-
რების ყვავილის“ უმანსკი სხვადასხვა ვითარებაში განვითარე-
ბული ერთი და იგივე მხატვრული სახეა. ხასიათით, აღზრდის
მეთოდითა და პოლიტიკური მისწრაფებებით, უმანსკი მო-
თხრობაში უარყოფილი სინამდვილის სრული კონტრასტია.
მოწაფეებთან მას მეგობრული ურთიერთობა აქვს, მკაცრი,
მაგრამ სამართლიანია, პირადი მაგალითითა და გონივრული
საუბრებით, ბავშვებს მაღალ ზნეობრივ თვისებებს უნერგავს.
გამეფებულ წესებს არ ეპუება და კაცთმოძულეებს პირში ამ-
ხელს; უყვარს ახალგაზრდობა და მტკიცედ სჯერა მისი მომა-
ვალი.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილის“ საერთო მხატვრული მარცხი მით უფრო დასანანია, რომ მებრძოლ იდეურობასთან ერთად, მასში პატრიოტული მგზნებარებითა და ლიტერატურული გემოვნებით დაწერილ რამდენიმე ადგილსაც ვხვდებით; ცოცხლად ჰყვება თონიკე კვიმატაძე ომის (1854-1856 წლების) ამბებს, რომელთაც საინტერესო ისტორიული აქსესუარები აქვთ შემონახული; მიმზიდველადაა დახატული ზოგიერთი პეიზაჟი; საკმაო ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა გადმოცემული დიტოსა და მარინეს სიყვარული.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილს“, ისე როგორც საერთოდ გ. წერეთლის მხატვრულ ნაწერებს, უდავოდ აკლია მხატვრული დამუშავება, ენობრივ-სტილისტური დახვეწა, — ნაჩქარევი შრომის დაღი აჭდევია, მაგრამ იდეური თვალსაზრისით, ის, ეპოქის სუნთქვას გამოხატავდა და დღესაც ინარჩუნებს ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას.

აკაკი წერეთელი

„საუბარი ორთაშუა“

აკაკის ეს პატარა მოთხრობა „კრებულში“. თითქო განკერძოებით დგას; ამ ჟურნალისათვის ჩვეული პუბლიცისტური პირდაპირობითა და პათოსით როდი განიხილავს ყოველდღიურ მოვლენებს; მწერალს, ერთი შეხედვით, უფრო მარტივი, მაგრამ, არსებითად, გაცილებით უფრო რთული გზა აურჩევია იმავე მიზნის მისაღწევად. ნაწარმოებში მშვიდი, ეპიკური თხრობით არის გადმოშლილი ბატონყმობისაგან ახალგათავისუფლებული გლეხის ფიქრები და ტკივილები, მისი მიმნდობი, მიამიტური ხასიათი. გლეხკაცი კიკო ადამიანური უბრალოებისა და სიკეთის განსახიერებაა. მას არ შეუძლია და უთუოდ არც სურს, მაღალფარდოვანი სიტყვებით დაგვისურათოს თავისი მდგომარეობა, მაგრამ გულუბრყვილო საუბარში მკითხველი კარგად გრძნობს მის გულისტკივილსაც და სიცოცხლის მარადიულ ხალისსაც. მძიმე ცხოვრებას საიმედოდ გამოუწვრთნია და გამოუკვერავს მისი ნებისყოფა; იცნობს ამ ცხოვრებას და აშკარაა, რომ მას ვეღარაფერი დასცემს, ვეღარაფერი წარუკვეთს იმედს. კიკოლა ხალხის შვილია, ხალხის ფიქრითა ფიქრობს და ხალხის ენით

მეტყველებს. მწერალი საკუთარ გულივით იცნობს მის გულს, მის ფიქრსა და სურვილს. იგი არც მის ღირსებას აზვიადებს, არც ნაკლს. ფუნჯის ერთი მოსმით, ავტორმა თავისებურად აღბეჭდა მშრომელი გლეხის ნათელი სახე და სულიერი კეთილშობილება. სურათის ფონი შეფარდებულია იმერეთის ესთეტიკური პეიზაჟებითა და ხალისიანი სათავგადასაველო შემთხვევებით.

მაშინდელი კრიტიკა გულგრილად მოეკიდა ამ ნაწარმოებს. ს. მესხი წერდა: „საუბარი ორთა შუა“ ისეთი არა არის რა, როგორც ავტორის ტალანტს ეკადრება და როგორსაც ჩვენ მოველოდით“[1].

ნიკო ნიკოლაძე

„მელაღუმე“ როგორც იდეურად, ისე მხატვრულად, ეს თხზულება გ. წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ყვავილს“ ენათესავება; ორივე ავტობიოგრაფიულია, თემად ორთავეს აღზრდის პრობლემა აქვს და ერთიცა და მეორეც პუბლიცისტური პროზის (თუ მხატვრული პუბლიცისტიკის!) ნიმუშია.

„მელაღუმე“ 1871 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა. ჟურნალის გვერდებზე იგი მოთხრობად მოიხსენიება. ავტობიოგრაფიული რეალიები მასში ადვილი შესამჩნევია: მთავარი პერსონაჟი — სინკო, მდიდარი ვაჭრის შვილია, ჯერ ქუთაისში სწავლობს, შემდეგ — პეტერბურგში, ხოლო 1864 წელს პარიზში მიემგზავრება. მაგრამ, მწერალი გამონაგონითაც ამდიდრებს პირად თავგადასავალს, — ზოგ რამეს თვით მიიწერს, როგორც მთხრობელი, ზოგსაც სინკოს ბიოგრაფიას უმატებს და ფინალსაც ფანტაზიის მოშველიებით ქმნის.

„კრებულში“ დაბეჭდილი არც ერთი ნაწარმოები ისე სასტიკად არ გაუკრიტიკებიათ, როგორც „მელაღუმე“. პირველი უარყოფითი რეცენზია თვით ჟურნალის ოფიციალურმა რედაქტორმა გ. წერეთელმა გამოაქვეყნა[2].

---

[1] „დროება“, 1872 წ., № 4.

[2] „დროება“, 1871 წ., № 24.

ანტ. ფურცელაძემ, რომელსაც „კრებულთან“, და განსაკუთრებით ნიკ. ნიკოლაძესთან ცხარე პოლემიკა ჰქონდა, ხელზე დაიხვია „მელაღუმის“ ნაკლოვანებანი და ცდილობდა იდიოზურ მოვლენად გაეხადა ის [1]. ასე რომ, ბოლოს, თვითონ ავტორიც იძულებული გახდა, ეღიარებინა ამ მოთხრობის სისუსტე [2].

კრიტიკოსთა შენიშვნები ჩვენ სწორად მიგვაჩნია. „მელაღუმე“ სქემატური, უსიუჟეტო და უკომპოზიციო ნაწარმოებია. მასში დარღვეულია როგორც ამბის, ისე ხასიათის განვითარების ლოგიკა, პროპორცია და შინაარსობრივი თანმიმდევრობაც კი. თემას არ აქვს გამოძებნილი ემოციურად ეფექტური კუთხე. საგნის ან ამბის სპეციფიკისა და ფუნქციისაგან დამოუკიდებლად, ზოგი ადგილი კონსპექტურად შეკუმშულია, ზოგიც — ნაძალადევად გაჭიანურებული. გაუთავებელი დიდაქტიკური ჩიჩინი და ათასგვარი უადგილო დამოძღვრა ადუნებს ისედაც სუსტ რიტმს.

სინკოს ამბავი ჯიუტი ცალმხრივობითაა გაგრძელებული; ავტორს ავიწყდება, რომ მკითხველი შეიძლება დააინტერესოს ადამიანის ბედმა, ერთდროულად მრავალ ასპექტში განვითარებულმა მისმა ცხოვრებამ და არა სქემატურ სამოსელში გახვეულმა მორალმა. ცხადია, მხატვრულ ნაწარმოებში მთელი ძალა ხასიათის ერთ ნიშანთვისებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული, ყველაფერი ამ მიზანსწრაფულობით უნდა შეირჩეს, მწერალი გარკვეულ კვალში უნდა ჩაუდგეს გმირებსა და მოვლენებს, მაგრამ კარგ ნაწარმოებში ეს ნიშანთვისება მუდამ უნივერსალურ როლს თამაშობს და ერთდროულად, საზოგადოებრივისა და პიროვნულის მრავალ მხარეს ამჟღავნებს.

ფერმკრთალი და ნატურალისტურია მოთხრობის ენა. მიუხედავად ყოველივე ამისა, პუბლიცისტური ხერხით, მწერალმა აცხილა არისტოკრატიული ახალგაზრდობის ფუქსავატობა. უმიზნობა და დილეტანტობა. მაშინდელი აღზრდის სიმახინჯე და სოციალური უთანასწორობის ბოროტება. გარკვევით შეიძ-

[1] „მნათობი“, 1872 წ., № X-XI-XII.

[2] „კრებული“, 1872 წ., № 10-12.

ლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძე მხატვრული ნიჭითაც დაჯილდოებული ყოფილა. რამდენიმე ადგილი მას კარგი ლიტერატურული ალღოთი და ფსიქოლოგიური ტაქტით აქვს შესრულებული. საკმაოდ ექსპრესიულადაა დახატული ვენის არისტოკრატიული ქუჩა — გრაბენი.

„სხვათა შორის" „კრებულის" 1873 წლის მე-4 ნომერი, მთლიანად ნ. ნიკოლაძის ამ თხზულებას უკავია. მასში აღწერილია 1872-73 წლების მოგზაურობა რუსეთსა და ევროპაში და, როგორც ქვესათაურიდანაც ჩანს, ავტორის „ნაგრძნობსა და განაგონს" ემყარება. ჟანრობრივად, ის მხატვრულ პროზასაც შეიძლება მივაკუთნოთ და პუბლიცისტიკასაც, ორივესთვის საკმაო საფუძველი მოგვეპოვება. უშუალოდ მოგზაურობის რეალიებსა და შთაბეჭდილებებს ავტორი ემოციურად, ფერადოვანი ენითა და ლიტერატურული სახეებით გადმოგვცემს, ხოლო გზადაგზა წამოჭრილ პრობლემებს ღრმა სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავს. ჩვენი აზრით, ნ. ნიკოლაძემ ამ თხზულებაში მიაგნო თავისი ტალანტის, ტემპერამენტისა და ინტერესების გამოხატვის შესაფერ ფორმას. აქ ის შებოჭილი არ არის არც ლიტერატურული პირობითობით, არც სიუჟეტისა და კომპოზიციის მკაცრი მონახაზით; ფართო შემოქმედებით თავისუფლებას გრძნობს და წარმატებითაც აღწევს დასახულ მიზანს, — კაცობრიობის პროგრესულ მისწრაფებათა ფონზე გვიჩვენებს ჩვენი ახალთაობის ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალს.

პირველი თავი („გამოსალმება"), რომელშიც ფოთიდან გემით გამგზავრებაა მოთხრობილი, 1872 წელს (№ 11) „დროებაშიც" დაიბეჭდა. გარდა ამისა, ნაწარმოები თორმეტი თავისაგან შედგება. „კრებულში" კი თერთმეტი დაიბეჭდა, რადგან ორი: „სოხუმი" და „ციურიხი", ცენზურას ამოუღია და სათაურებიღაა დარჩენილი; გამოქვეყნებულ ნაწილშიც ბევრი ადგილი ამოშლილია.

ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს მრავალფეროვანი თემატიკით, პოლიტიკური საკითხების ღრმა ანალიზითა და სტილის ერთიანობით. იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა ავტორის პუბლიცისტურ ერუდიციასა და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვ-

რებაში საერთაშორისო მოვლენების ფართო რეზონანსზე. „სხვათა შორის“ გაჟღენთილია თავისუფლებისათვის ბრძოლის სულით, განახლების პათოსით, მოტივირებული ოპტიმიზმით. იგი მაღალი მოქალაქეობრივი მღელვარებით განგვაცდევინებს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, საფრანგეთის შინაპოლიტიკურ დუღილს, პარიზის კომუნას. მასში რაღაც საოცარი ორატორული ხელოვნებითა და რომანტიკული მომხიბლაობითაა გაცოცხლებული 60-იანი წლების მოგონებანი. აგზნებული მეტყველება, პათეტიკური მონოლოგი, შინაგანი ექსპრესია გადამდები ძალით აღადგენს ბობოქარი დროის სულს. უშუალო, რიტმული და ინტენსიური თხრობით, მწერალი პარიზელ კომუნართა გმირული ბრძოლის თანაზიარად ხდის მკითხველს, ურბანისტული დინამიზმი და ნერვული დაძაბულობა შემოაქვს ჩვენს ლიტერატურაში.

მხატვრული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თხზულების დასაწყისი და მეოთხე თავი. მწერალს სევდადაკრული მეამბოხის განწყობილებით აქვს აღწერილი სამშობლოსთან გამოსალმება, რასაც სავსებით ეხმიანება ბაირონის, ბარათაშვილის, ჰაინეს, მართლაც და, უნებურად მოვარდნილი სტრიქონები.

მეოთხე თავი — „ტრფობა და ეჭვიანობა“, რომელსაც ავტორი „პაწაწინა მოთხრობას“ უწოდებს, არსებითად დამოუკიდებელ ნოველას წარმოადგენს; თხზულებაში ის სალაღობოდ არის ჩართული, მაგრამ, ჩანს, ავტორი მეტად განიცდის მასში წამოჭრილ ფსიქოლოგიურ პრობლემას. სატრფიალო თავგადასავალი მას მიმზიდველად აქვს გადმოცემული, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ პრობლემა აინტერესებს და არა ამბავი; ამიტომ როლები და ქცევის ნორმები წინასწარ განაწილებულია.

დავით ერისთავი

„წყლებზე“

ძველი ჟურნალ-გაზეთის გადათვალიერებისას, არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ხავსმოკიდებული ნაწერი, რომელიც ძალიან დაშორებია ჩვენს აზრსა და გრძნობას, დაბეჭდვისთანავე დაძველებულა და დროს.

ამ ყველაზე მკაცრ მსჯავრმდებელს, დავიწყებისთვის მიუცია. მაგრამ, ათასში ერთხელ, ისეთ ქმნილებასაც გადაეყრებით, რომლის მივიწყება და გარდასული ხანისთვის გატანება დაგვენანება. იგი უნებურად იქცევს ჩვენს ყურადღებას და გვაიძულებს, პატივისცემით მოვეპყრათ; მას ჯერ კიდევ არ მოსდებია სიძველის მტვერი, ჯერ კიდევ ახლის სხივით ელავს და ბევრ რამეს ეუბნება ჩვენს გულსა და სულს. ასეთია, ჩვენი აზრით, დავით ერისთავის მოთხრობა — „წყლებზე". ფერუცვლელი იდეებით, დახვეწილი განცდით, გაფაქიზებული გემოვნებით, ის ლიტერატურული ცხოვრების დადებით ტენდენციებს გამოხატავს. ქართველ მწერალს ორგანულად აღუქვამს იმდროინდელი ევროპის სინამდვილე. შეიძლება ითქვას, მასში ყველაფერი ევროპელის თვალითაა დანახული და შეფასებული. ფართო საერთაშორისო დიაპაზონი, ინტელექტუალური სიღრმე, სერიოზულ საკითხებზე ერუდირებული სჯა, ცხოვრების ცოდნა, პატრიოტული მხურვალება, — მიუხედავად ნაკლოვანებებისა, — ამ ნაწარმოებს, უდავოდ, ანიჭებს, როგორც შემეცნებითსა და აღმზრდელობითს, ისე ესთეტიკურ ღირსებას. მისი ავტორი იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო.—ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და ქართული პრესის ამაგდარი.

ქვესათაურში ნაწარმოებს „უქმი ტურისტის მოთხრობა" ეწოდება და დაწერილია დ. ერისთავის საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1872 წლის 31 აგვისტოს, სოფ. ოძისში.

თანამედროვეებს ეს თხზულება მოსწონებიათ[1].

მოთხრობის შინაარსი საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 წ. წ. ომის სოციალურ-სულიერი სინამდვილის ფონზე იშლება და მოქმედება ავსტრიის საკურორტო ქალაქ ემსში მიმდინარეობს. ცხადია, მწერალი ასეთ ერცელ თემას მოკლე ნარკვევში ვერ ასახავდა და მკითხველს უცნობ სამყაროზე ვერავითარ წარმოდგენას ვერ მისცემდა, რომ ბელეტრისტებისათვის არ ძიემართა, ემოციური ქარგა არ გამოეხახა და დამახასიათებელი

[1] „დროება", 1873 წ. № 13, 14. (ს. მესხის რეცენზია). Г. Туманов, Характеристики и воспоминания. III. стр. 21.

ამბები სიუჟეტურ ერთობლიობაში არ განევითარებია. საზოგადოებრივი მოვლენები ადამიანთა თავგადასავალში, მათს ურთიერთობასა და ინტიმურ დამოკიდებულებაში მჟღავნდება. სიუჟეტურ ხლართში ბუნებრივად ვლინდება სოციალური წინააღმდეგობანი, პერსონაჟთა ხასიათი, და, საერთოდ, ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი. ექსპოზიციაში თვალწინ გვეხატება ომისდროინდელი საკურორტო ქალაქი, სადაც ევროპელ არისტოკრატებს შეუყრიათ თავი და ყველა თავისებურად განიცდის ან არ განიცდის შემაშფოთებელი ბრძოლის ამბებს; აქ ფრანგებიც არიან და გერმანელებიც, რუსი პროფესორი იაგნიცკიც და ქართველი სტუდენტიც, რომელიც თხზულებაში მთხრობელის როლს ასრულებს. ისინი შემთხვევით და, ასე ვთქვათ, „კურორტული სიადვილით“ გაეცნენ დარბაისელ ქალსა და მასთან მყოფ ორ ქალიშვილს. უცხოელებს მოეწონათ ლამაზი, მგზნებარე, მაგრამ მოკრძალებული სტუდენტი.

სტუდენტსა და ჟანას ერთმანეთი შეუყვარდათ. ამ სატრფიალო თავგადასავალში ვლინდება მოწინავე სოციალურ-ეროვნული იდეები, იგრძნობა ეპოქის სუნთქვა და ნაწარმოების ღირსებასაც ეს შეადგენს. მოთხრობის გმირები გვხიბლავენ მხურვალე პატრიოტული გრძნობით, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადებითა და გმირული სულით. მოქმედება, ბრძოლა, თავგანწირვა პატრიოტიზმის დედაარსად არის მიჩნეული. ქალიშვილი მაგიდაზე წიგნს დაინახავს და აღტაცებით წამოიძახებს:

— ... ვის მოუტანია „Patrie“ სარდუსი? გინახავთ ეს პიესა?

— დიახ, მინახავს.

— გახსოვთ შესანიშნავი ფრაზა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მთელი პარიჟი? „Ie suis femme et la Patrie a moi C'est L'amour!“

ეს ადგილი, სხვათა შორის, გვიჩვენებს, რომ დავით ერისთავი ადრევე დაინტერესებულა ვიქტორიენ სარდუს „Patrie“-თი, რომლიდანაც, ათიოდე წლის შემდეგ, თავისი დიდებული „სამშობლო“ გადმოაკეთა.

ავტორს სიცოცხლის მომწყვლელ ტკივილად, ენით გამოუთქმელ უბედურებად ესახება ეროვნული ღირსების შელახვა. მისი გმირები ეროვნული დამცირებით დასნეულებულ ადამიანებს მოგვაგონებენ; იტანჯებიან და ტანჯვით იმეცნებენ, რომ ამ სნეულებას მარტოდენ ბრძოლა და გამარჯვება განკურნავს.

მაგრამ, დ. ერისთავს რომ ნაციონალური გრძნობა ცალმხრივად, მაშასადამე, არაჯანსაღად წარმოედგინა, მაშინ მისი მოთხრობა სერიოზული ყურადღების ღირსი ვერ გახდებოდა და მის შეხედულებებს რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან საერთო არა ექნებოდა რა. მწერალი მხურვალედ თანაუგრძნობს ჟანასა და მის თანამემამულეთა ტრაგედიას და სოციალურ სფეროში ეძებს მტრობისა და სიძულვილის ფესვებს; მისი მიზანი ამ საზოგადოებრივი უსამართლობის მხილება და დაგმობაა. იგი „მამულისადმი სნეულებით სიყვარულს“ უწოდებს ჟანას ნაციონალურ გრძნობას და კიცხავს გამეფებულ ძარცვა-გლეჯას, მილიტარიზმსა და კოლონიალიზმს, რომელთაც ასეთ „სულიერ ავადმყოფობამდე“ მიჰყავს ადამიანი.

მოთხრობა დღესაც აქტუალურია ანტიმილიტარისტული სულით, პრუსიული მხედრიონის მხილებით, მკითხველი ზიზღით იმსჭვალება „პარიზის გმირი დამპყრობლებისადმი“, რომლებსაც მუსიკითა და ყვავილებით ხვდებიან და ახალი სისხლისღვრისათვის აქეზებენ.

მწერლის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა არც ამით იფარგლება. ომთან ერთად, ის პასიურ პროტესტსა და თვალთმაქცურ პაციფიზმსაც გმობს. მოთხრობაში გარკვევით ისმის მოწოდება: „ომი ომს! ბრძოლა ომის გამჩაღებლებს“. ეს უკვე ნათელ წარმოდგენას იძლევა ავტორის მისწრაფებათა უაღრესად დემოკრატიულ ხასიათზე, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობა. რა არის ცარიელი თანაგრძნობა, რა არის უღიმღამო პაციფიზმი? — „გულგრილობა მიღწეული მასხარათ აგდებამდინ, პროფანაცია კაცობრიობის ღირსებისა, კაცთმოყვარეობა მიღწეული გარყვნილებამდინ“. „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა, მშვიდობა და

სინათლე!“ — აი, ხალხთა იდეალი, აი ყველა ადამიანის კეთილშობილი ბრძოლის მიზანი! ამ სიტყვებით მთავრდება პარიზის კომუნართა ბარიკადებზე გმირულად დაცემული მამის წერილი ჟანასადმი.

დ. ერისთავი ევროპის ცხოვრებას აღწერს, მაგრამ მოხერხებული ჩანართებით, ცხადად მიგვანიშნებს ხალხთა ბედის თანაზიარობაზე, მომავლის იდეალის განუყოფლობაზე. პროფესორ იაგხიცკისა და ქართველ სტუდენტს თავიანთი სამშობლო ელანდებათ, მისი ბედი აფიქრებთ.

ამ დიდი სოციალური დატვირთვის მიუხედავად, მოთხრობა საინტერესო და შთამბეჭდავია, რადგან საზოგადოებრივი პიროვნულში ვლინდება, ადამიანთა გრძნობებსა და ხასიათში ირეკლება.

სოციალური უკუღმართობა გაუშლელად აზრობს ახალგაზრდულ ვნებებს; გრძნობა და მოვალეობა ერთმანეთს დაპირისპირებია, განცდა გონების ცივ სამსჯავროს დაქვემდებარებია; ჟანა ცრემლით ეთხოვება შეყვარებულს, გულში იკლავს მის ტრფობას და ჩუმად მიდის ემსიდან, — როგორც თვითონ წერს: „თქვენ რომ შემერთეთ, ყველაფერზე ხელი უნდა ამეღო... ჩემი შვილები ფრანგები აღარ იქნებოდნენ“ და, მაინც, ემუდარება: „ხანდახან მოიგონეთ ხოლმე თქვენი საბრალო ჟანა“.

მოთხრობაში ისეთ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ვხვდებით, რომ დ. ერისთავი დაკვირვებულ, ადამიანის სულის მცოდნე შემოქმედად უნდა ვაღიაროთ. განსაკუთრებით საყურადღებოა სტუდენტისა და ჟანას გაცნობის ეპიზოდი, ბაღში სეირნობა, ციხის ნანგრევებზე ერთად ასვლა. ამ მხრივ, საინტერესოა ისიც, რომ გმირის პორტრეტს ავტორი, მუდამ, მისთვის ყველაზე დამახასიათებელი მოქმედების დროს გვიხატავს, ე. ი. ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის.

ამასთან, მცირე ფორმის ნაწარმოებში, ასოცირების გზით, მწერალი გმირთა მთელ თავგადასავალს წარმოგვისახავს. უფრო მეტი, — ჟანას მამა კარგა ხანია ბარიკადებზე

დაიღუპა, მაგრამ მისი სახე მოთხრობაში მაინც აქტიურად მონაწილეობს და მკითხველი ნათლად გრძნობს მის ხასიათს.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დავ. ერისთავმა მაღალი ინტელექტისა და ნებისყოფის ფრანგი პატრიოტი ქალიშვილის მიმზიდველი სახე შექმნა. განვითარების შინაგანი ლოგიკის შესაბამისად შერჩეული ეპიზოდებითა და დეტალებით, დავ. ერისთავი, უთუოდ აღწევს ამ ხასიათის მთლიანობას. მისი წერილი, პარიზის დაცვის ამბავთა მოყოლა, თავშეუკავებელი აპლოდისმენტი „კურზალში“, მოარშიყე პრუსიელი ოფიცრის გაცურება, სტუდენტთან გამოცნაურება და დამეგობრება, მწვერვალზე ერთად ასვლა, ფორტეპიანოს აკომპონემენტზე მგზნებარე სიმღერა, დედისადმი სინაზე, დაბოლოს,— ემსიდან გაქცევა და უკანასკნელი ბარათი სრულად ავლენს სამშობლოსათვის თავგანწირული, ჭკვიანი, კეთილი, პრინციპული, მგრძნობიარე და მიამიტი ქალიშვილის სულს. ვგრძნობთ, რომ მისთვის განუკურნავ სულიერ ტრავმად იქცა სამშობლოს დამარცხება. რეცენზიაში ს. მესხს მთლიანად მოაქვს მისი მშვენიერი „პატრიოტული წერილი“.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი იაგნიცკი მოთხრობის ეპიზოდური პერსონაჟია, მასზე დაკისრებული იდეურ-მხატვრული მისიის შესაბამისად, მწერალმა კარგად გამოძერწა მოწინავე რუსი ინტელიგენტის სახე.

აღნიშნულ ღირსებათა მიუხედავად, განხილულმა მოთხრობამ ლიტერატურაში შესაფერი ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ პერსონაჟებს, სიტუაციებს, ეპიზოდებს აკლია ხორცშესხმა და დასრულება. ავტორს არ ძალუძს სიტყვიერი ქსოვილი ისე გაშალოს, რომ ამან ხელი შეუწყოს კონკრეტული ჩანაფიქრის მეტი მკაფიობით წარმოჩენას. მწერალი ჩქარობს და მოთხრობას ალაგ-ალაგ კონსპექტური ხასიათი აქვს. აქედანვე მომდინარეობს, ალბათ, ზოგიერთი სიტუაციის მელოდრამატულობაც.

„მავნე სულები"

„მავნე სულებს" ს. მესხი ეთნოგრაფიულ ნაწარმოებად თვლიდა, მაგრამ მის მხატვრულ მხარესაც ჯეროვნად აფასებდა [1].

ქართული პროზის განვითარების გზაზე, ეს ეტიუდი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ან უკეთ, ფორმისა და შინაარსის თავისებური შესატყვისობით, ცალკე დგას. ეტიუდში არსებითია არა „მოხევეების ცრუმორწმუნეობა", არამედ წარმოდგენა პირველყოფილი უშუალობის ძლიერ, ნებისყოფიან ადამიანებზე, ბოროტ ძალთა წინააღმდეგ მათს ბრძოლაზე. ნაწარმოები, უწინარეს ყოვლისა, იწვევს გრანდიოზულისა და იშვიათის შეგრძნებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამყარო, თავისი დევებითა და მისნური შელოცვებით, ერთი შეხედვით შეიძლება, მისტიკურადაც მოგვეჩვენოს, კონკრეტული ისტორიული ფონით, ეთნოგრაფიული კოლორიტით, ადამიანური ხასიათის წინ წამოწევითა და მხატვრული სედვის მანერით, სავსებით რეალისტური და ცხოვრებისეულია.

გულუბრყვილოა ფიქრი, თითქო აქ რაღაც უბრალო „მოხევური ამბის ჩანაწერთან" გვქონდეს საქმე; მოთხრობას ოსტატის ხელი ეტყობა და პირველი სტრიქონიდანვე იგრძნობა თხრობის ორიგინალობა. მწერალი ორიოდ სიტყვით ახერხებს პანორამის შემოხაზვას და უზუსტესი სადიალოგო სიტყვით, ერთბაშად გადადის ამბავზე, რომელიც სწრაფად, საინტერესოდ ვითარდება. რემარკები ისე დროული, ბუნებრივი და ლაკონურია, რომ შეუმჩნეველიც რჩება, რადგან უშუალოდ ამბის მთლიანობაში აღიქმება. საერთოდ, ავტორის სიტყვა ამ თხზულებაში დიდი მიზანსწრაფულობით გამოირჩევა. მოკლე დიალოგით საკმაოდ დრამატულ სიტუაციას ქმნის. პანტომიმური ლაკონიზმი მისი სტილის უპირველეს ღირსებად გვესახება.

„მავნე სულები" მომხიბლავია ენობრივი ეგზოტიკით. მართალია, მოხევურ დიალექტს გრ. ორბელიანმა და ილ. ჭავჭავაძემაც მიმართეს, მაგრამ დიმ. უაზბეგის მოხევური უფრო ფე-

[1] „დროება", 1873 წ., № 13.

ჰოვანი და პოეტურია; მასში იგრძნობა ფრაზისა და სიტყვის ბუნებრივი სტიქია.

ცხადია, ეს ერთადერთი ესკიზი მწერლის ტალანტზე განვრცობილი მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ დიმ. ყაზბეგს რომ თუნდაც რამდენიმე ასეთი მცირე ფორმის ნაწარმოები დარჩენოდა, უეჭველად საპატიო ადგილს დაიმკვიდრებდა ჩვენს მწერლობაში.

იასონ ნათაძე

„მგზავრის შენიშვნები“

ერთადერთი ნაწარმოების მიხედვით მწერლის შემოქმედებით შესაძლებლობაზე გადაჭრილი დასკვნის გამოტანა ძნელია, მაგრამ ი. ნათაძის ორიგინალური ნარკვევის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ახალგაზრდა ავტორს მომადლებული ჰქონია მხატვრული დაკვირვების ნიჭი, ლიტერატურული ალღო და პოეტური აღმაფრენა; ასევე, უდავოა, რომ ის კარგად იცნობდა ხალხის ცხოვრებას, მტანჯველად განიცდიდა დროის სოციალურ-ეროვნულ ტკივილებს და გულანთებული ოცნებობდა საყოველთაო გადახალისებაზე. მწერალი ცდილა, ყველა მწუხარება, ფიქრი და გრძნობა გადმოეშალა ამ ნაწარმოებში და, ერთდროულად, ის აღმწერელიცაა, მქადაგებელიც და მხატვარიც.

ი. ნათაძე პუბლიცისტური შეუპოვრობით ამხელს საზოგადოებრივ უთანასწორობას, პირდაპირ მსჯავრს სდებს სოციალურ სიმახინჯეს. მისი იდეური მრწამსი ახასიათებს ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილ სახალხო იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას. ეს პოლიტიკური განწყობილება ამთლიანებს თხზულების ორივე ნაწილს.

ნარკვევში კარგადაა წარმოსახული სოციალური კონტრასტები. მკაცრ მხილებად გაისმის „განთავისუფლებულ“ ყმათა გოდება. ი. ნათაძემ მკითხველი შეახედა „განთავისუფლებული“ გლეხის ჭოხში. — დაანახვა, რომ „ნაგავსა, მჭვარტლსა, ჰუჰუსა და უწმინდურობაში“ სული ეხუთება მშრომელ კაცს, ერის იმედს.

ი. ნათაძის ნარკვევში შესამჩნევია ქართველ მთიელთა ყოფის გაიდეალება. ავტორი მიმზიდველად წარმოგვისახავს მათ რაინდულ სულს, ხასიათის სიმტკიცეს, ზნეობრივ სისპეტაკეს. თუ ილიას „მგზავრის წერილებსა“ და დიმ. ყაზბეგის „მავნე სულებსაც“ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ეს ტენდენცია კანონზომიერ მოვლენად უნდა ვაღიაროთ და არსებული სინამდვილისადმი დაპირისპირების ფორმად მივიჩნიოთ. 80-იან წლებში, ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, მან სრულყოფილი სახე მიიღო. მწერალი ცდილობს, თვალწინ გადმოგვიშალოს გრანდიოზული პეიზაჟებისა, ათასწლოვანი ლეგენდებისა და შეუბღალავი ადათების ზვიადი სამყარო. შესაბამისად, თხზულებაში დიდი ადგილი უკავია ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას; ვფიქრობთ, არც ერთი ჩვენი იმდროინდელი პროზაიკოსი არ დაიწუნებდა არაგვის, საქართველოს სამხედრო გზის, ღრუბლიან მთათა ესთეტიკური პეიზაჟებს, რომელშიც ფერთა ზომიერი შეზავება და მშვიდი, მოკრძალებული აღტაცება იგრძნობა.

თუ, მიუხედავად ამისა, ი. ნათაძის „მგზავრის შენიშვნები“ აქტიურ ლიტერატურულ ფონდს მაინც ვერ შერჩა, ამის მიზეზი თემატურ-კომპოზიციური ქაოტურობა, თხრობის რყევადობა და სტილისტური უწონასწორობაა. ავტორს ვერ მოუსწრია საკუთარი ხელწერის გამომუშავება; იგი ლიტერატურული რემინისცენციების ტყვეობაშია; თავადი კუდაბზიკიძე გ. წერეთლის დაზგას („მგზავრის წიგნები“) მოგვაგონებს, ხოლო მთიული მასპინძელი — ილიას მოხევეს ენათესავება. მაგრამ, ვისაც 70-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის სულიერი ბიოგრაფია აინტერესებს, ი. ნათაძის ნარკვევს უყურადღებოდ არ დატოვებს და მასში მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობის ბრძოლისა და მისწრაფებების ბევრ ღირსშესანიშნავ შტრიხს იპოვის.

პროზაული თარგმანი

ბელეტრისტული თარგმანი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთი ყველაზე უღიმღამო და მტკივნეული ადგილია. 80-იან წლებამდე ჩვენს მწერლობას არც ერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები არ შემატებია. ეს დიდად დასანანი და, ერთი შეხედვით, ამოუხსნელი მოვლენაა, რადგან გასული საუკუნე რუსული და ევროპული პროზის აყვავების ხანა იყო და ქართველი ინტელიგენციაც აღტაცებით ეწაფებოდა მას.

ამ ხარვეზის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ XIX საუკუნის რუსული და ევროპული პროზა უაღრესად კონცენტრირებულ ჟანრად იქცა და მასში მთელი სისრულით წარმოსდგა ახალი ცხოვრების მრავალმხრივ ვანვითარებული და გართულებული შინაარსი, სამეურნეო-ტექნიკური ცვლილებებით, ყოფითი ნიუანსებით, აზროვნებისა და მოქმედების გაფართოებული მასშტაბებით და, შესაბამისად, გამდიდრებული სულიერი, ინტიმური სამყაროთი. უუფლებო, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი, სახელმწიფოებრიობას მოკლებული ხალხის ენას არ ძალუძდა ამ შინაარსისა და ფორმის ადექვატურად ასახვა; საჭირო იყო საერთო აღმავლობა, ყველა დარგში ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის დაუცხრომელი მოსამზადებელი მუშაობა, რომ ქართული ენა კვლავ ფართო ასპარეზზე გასულიყო და ამით მთელი ერი კაცობრიობის ყველა უახლოეს მონაპოვარს ზიარებოდა.

ნ. გოგოლი

„რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“

მოთხრობის I, II და III თავები დაიბეჭდა „კრებულის“ 1871 წლის მე-2 ნომერში, ხოლო IV, V, VI და VII თავები მე-3 ნომერში. ტექსტობრივად, გ. ჩიქოვანს არაჩვეულებრივი სიზუსტით უთარგმნია ეს ნაწარმოები. შეიძლება ითქვას, რომ ის არც ერთ სიტყვას უყურადღებოდ არ

ტოვებს და უშეცდომოდ გადმოსცემს აზრს. თარგმანი საინტერესო საკითხავია და საერთოდ, სწორ წარმოდგენას იძლევა ორიგინალის შინაარსსა და მხატვრულ ღირსებაზე. მთარგმნელი ორივე ენის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს და, ხშირად, წარმატებითაც პოულობს შესატყვის გამოთქმებს.

ორიგინალთან შედარებით, თარგმანი, მაინც ფერნაკლული და უნიფიცირებული ჩანს. სახოვანი გამოთქმები, აქა-იქ, სტანდარტებითაა შეცვლილი. თხრობა მოკლებულია სიმკვირცხლესა და თანმიმდევრულ რიტმს. გვხვდება რუსიციზმები.

„შინელი“.

ივანე მესხის მიერ გადმოთარგმნილი ეს მოთხრობა მთლიანად დაიბეჭდა „კრებულის“ 1871 წლის მე-4 და მე-5 ნომრებში. სიტყვა-სიტყვითი თარგმანის წყალობით, მკითხველისათვის გასაგებია შინაარსი და მწერლის იდეური ჩანაფიქრი, მაგრამ ესთეტიკურ-ლიტერატურული ღირსება ნაწარმოებს დაკარგული აქვს. მთარგმნელს არ გააჩნია რიტმისა და ფრაზის გრძნობა, არ ჩანს ყველა კომპონენტთა ერთიანი აღქმა და საერთო პათოსი. ენა გაღარიბებული და გაუბრალოებულია [1].

ალ. გერცენი

„დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან. კაცობრიობის სულის ავადმყოფობა და იმის გადამდებობა“.

ალ. გერცენის ეს მწვავე სოციალური რომანი, რომელშიც მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სიმახინჯეა მხილებული. „კრებულის“ პირველსავე წიგნში (1871 წ.) დაიბეჭდა. ცენზორის თვალის ასახვევად მთარგმნელს (გიორგი წერეთელს) ავტორის ვინაობა არ გამოუმჟღავნებია და რომანი „დოქტორ კრუპოვის თხზულებად“ წარუდგენია. ორიგინალში ნაწარმოებს სათაურად აქვს: „Доктор Крупов. О душевных болезнях вообще и об эпидемическом развитии оных в особенности, Сочинение доктора Крупова“. [2]

---

[1] „დროება“, 1871, № 39.

[2] А. И. Герцен, Соч., т. I, 1958, стр. 379.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ოსტატურად გამიზნულ ალეგორიულ ჩანაფიქრზეა აგებული, ცენზურამ იმთავითვე შეამჩნია მისი პოლიტიკური მიზანდასახულობა; თხზულებათა კრებულის შენიშვნაში ალ. გერცენი წერს: „Этот небольшой отрывок был помещен в „Современнике“ 1847 года (№ 9. ა. კ.) с значительными пропусками, сделанными цензурой. Мы его печатаем теперь в настоящем виде“.

ორიგინალსა და გ. წერეთლის თარგმანს შორის არსებული განსხვავება გვაფიქრებინებს, რომ ქართული ტექსტი თხზულების ადრინდელი (შესაძლებელია, თვით „სოვრემენიკის“) გამოცემიდან არის გადმოთარგმნილი. თარგმანი, უშუალოდ, პირველი თავით იწყება, ხოლო დედანში მას საკმაოდ ვრცელი შესავალი უძღვის (მიძღვნა „ექიმებისადმი“).

I და II თავები გ. წერეთელთან შეერთებული და საგრძნობლად შემოკლებულია, ამასთან, დიალოგები, პირდაპირ, თხრობაშია ჩართული. „ამონაწერები ჟურნალიდან“ („Выписки из журнала“) თარგმნილია ორიგინალის თანამიმდევრობით: 1. Суб'ект 29 („ოცდამეცხრე გვამი“); 2. Чувство любви („სიყვარულის გრძნობა“); 3. Отношение к детям („იმისგან შვილების ყურისგდება“); 4. „სამოქალაქო და საზოგადოებრივი ყოფაქცევა“; მაგრამ, ჩანს, ცენზურის მიზეზით, გამოტოვებულია: „Отношения к церкви и государству“.

ორიგინალი და თარგმანი მთავრდება ერთნაირად: „ახსნითი დამატება ავტორისაგან“ („Объяснительное прибавление от автора“). ქართულ ტექსტში შემორჩენილია ზოგი ისეთი ადგილიც (მაგალითად, სლავიანოფილობაზე), რომელიც რუსულ აკადემიურ გამოცემაში არ გვხვდება.

თხზულება გადმოთარგმნილია პუბლიცისტური მღელვარებითა და გამახვილებული სოციალური პათოსით, — ძირითადად — გამართული ენითა და მყარი სტილით. გ. წერეთელი ცდილობს ადვილად გააგებინოს მკითხველს ავტორის ალეგორიულად შეფარული აზრი, — დაანახვოს ბატონყმური უსამართლობა, სოციალური ჩაგვრა, სახელმწიფო აპარატის ბოროტებანი, ზნეობრივ კოდექსად ქცეული ამორალიზმი. რთული მხატვრული სახეებისა და იდიომების გადმოცემისას, ის ყო-

ველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას (იდიომას: „Губа то не дура“ — გაუბრალოებულად თარგმნის: „დახე, აი, თუ შეშჯამ!“); ზოგან ბარბარიზმებსა და დიალექტიზმებსაც თავს ვერ აღწევს, მაგრამ „დოქტორ კრუპოვის“ თარგმანი, როგორც იდეური თვალსაზრისით, ისე ლიტერატურულად, მაინც, იმ დროის ღირსშესანიშნავ ფაქტად უნდა ვაღიაროთ.

ჯონათან სვიფტი

„გულივერის მოგზაურობა“

ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც „კრებულის“ 1871 წ. პირველი ნომრიდან დაიწყო „გულივერის მოგზაურობის“ ბეჭდვა, თარგმნისათვის გარკვეული იდეურ-ლიტერატურული მიზანდასახულობით მიუყვია ხელი; ის აქტუალურ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ნაწარმოების განმახათლებლურ-დემოკრატიულ მისწრაფებებს, ფანტასტიკურ სამოსში გახვეულ მის ალეგორიულ მამხილებელ ხასიათს. სვიფტი მას პოლიტიკური ალეგორიისა და სატირის ვირტუოზად მიაჩნდა [1].

ნ. ნიკოლაძის თარგმანი 1871 წლის პირველ, მე-2, მე-3 და 1872 წლის მე-6 ნომრებში დაისტამბა. „გულივერის მოგზაურობა“, როგორც ცნობილია, ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. „მოგზაურობა ლილიპუტთა ქვეყანაში“, 2. „მოგზაურობა ბრობდინგნაგს“; 3. „მოგზაურობა ლაპუტუში, ბალნიბარბში, ლაგნეგში, გლაბდობრიბში და იაპონიაში“; 4. „მოგზაურობა ეუიგნგნმების ქვეყანაში“. აქედან, ნ. ნიკოლაძემ გადმოთარგმნა და „კრებულში“ გამოაქვეყნა პირველი ნაწილი („მოგზაურობა ლილიპუტს“) მთლიანად და მეორე ნაწილის („მოგზაურობა ბრობდინგნაგს“) დასაწყისი.

პირველი ნაწილის პირველი თავი ნ. ნიკოლაძეს ზუსტად უთარგმნია; მეორე თავში ერთი აბზაცია გამოტოვებული და მოქმედება პირდაპირ იმპერატორთან შეხვედრით იწყება; დასაწყისი მესამე თავშიც გამოტოვებულია; IV, V და VI თავები უცვლელადაა გადმოთარგმნილი, ხოლო VII თავში არ ჩანს,

---

1 ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 8.

თუ როგორ გადასცა მეგობარმა საბრალდებულო აქტის პირი გულიერს და ერთბაშად მოდის „კვინბუ ფლესტრინზე (მთაკაცზე) დაწამებანი“. უკანასკნელი VII თავი გადმოთარგმნილია ზუსტად.

„კრებულის“ 1872 წ. მე-6 ნომერში, მეორე ნაწილის („მოგზაურობა ბრობდინგნაგს“) პირველი თავის მცირე ნაწყვეტი (დაახლოებით, ერთი მესამედი) გამოქვეყნდა და ამით, კიდევ შეწყდა ამ საინტერესო თარგმანის ბეჭდვა. მკითხველმა გაიგო, როგორ მივიდა გულიერი ბუმბერაზთა ქვეყანაში, შემდეგ თავგადასავალს კი „კრებულში“ დასტამბვა აღარ ღირსებია.

„გულიერის მოგზაურობას“ ნ. ნიკოლაძე, როგორც ჩანს, ნაწილ-ნაწილ თარგმნიდა და ფელეტონებად აწვდიდა ჟურნალს. მოუცლელობისა და საზღვარგარეთ გამგზავრების გამო, მას მთელი წლის განმავლობაში (1871 წლის მარტიდან 1872 წლის ივნისამდე) ვერ მოუხერხებია შემდეგნო თავის მომზადება, 1872 წლიდან კი, კვლავ, საზღვარგარეთ წასვლის გამო, საერთოდ, ხელი აუღია თარგმნაზე. სარედაქციო განცხადებიდან ჩანს, რომ მკითხველები რედაქციას სთხოვდნენ. განეგრძო „გულიერის მოგზაურობის“ ბეჭდვა.

ნ. ნიკოლაძის თარგმანი ინგლისურიდანაა შესრულებული. იმდროინდელ რუსულ თარგმანებთან შედარებით, მასში ბევრ განსხვავებას ვხვდებით; რუსულ თარგმანში გულიერი 1724 ლილიპუტს აღმატება, ქართულში კი — 1874-ს; რუსულ თარგმანში ლილიპუტთა იმპერატორის სახელია კელინ-დეფერ-პლიუნ, ქართულში — კაბინ-დეფერ-ფლიუნ. ხომალდს, რომლითაც გულიერი გაემგზავრა, რუსულში ჰქვია „ადვენჩერ“, ქართულში — „შემთხვევა“. რუსულისაგან განსხვავებით, ამ გემის კაპიტანი ჯონ ნიკოლა ლიეერპულელია, რაც ორიგინალიდან მომდინარეობს. თარგმანში კარგადაა შენარჩუნებული ორიგინალის საქმიანი კილო, მოჩვენებითი სერიოზულობის ნიუანსი.

ექვსი ხუ

„მიმომავალი ურიას“

სარდიონ მესხიშვილს „მიმომავალი ურიას“ სრული თარგმანი 1862 წ. ჰქონდა მზად, მაგრამ „ცისკარმა“, რომელსაც მაშინ ფაქტიუ-

რად ანტ. ფურცელაძე განაგებდა, ეს ნაწარმოები სასაცილოდ აიგდო (თუმცა, რედაქცია უკვე შეჰპირდა მკითხველს, დავბეჭდავთო); მთარგმნელმა სცადა, ცალკე წიგნად გამოეცა ის. მაგრამ ვერ მოასწრო და მრავალი წლის შრომის ნაყოფი დაუბეჭდავი დარჩა. „კრებულის“ 1872 წლის მე-8—9 ნომერში მისი ერთი ნაწილი დაიბეჭდა, დამატების სახით.

გაგრძელება არც „კრებულში“ დასტამბულა, არც ცალკე წიგნად გამოსულა. ანტ. ფურცელაძემ ამჯერადაც არ შეიწყნარა ეს თარგმანი და ჟურნალს დიდ ცოდვად ჩაუთვალა მისი გამოქვეყნება [1].

„მიმომავალი ურია“ ფრანგული ორიგინალიდანაა ნათარგმნი. ეჟენი სუს კოლოსალური რომანი ტეტრალოგიაა [2] და, როგორც ჩანს, სარდიონ მესხიშვილს ოთხივე ტომი ჰქონია გადმოთარგმნილი. „კრებულში“ დასტამბულია I ტომის პირველი ნაწილი: „კაპილიონი თეთრის შევარდნისა“: თავი 1. მოროკ; 2. მგზავრნი; 3. მოსვლა. 4. ვარდი და ზამბახი; 5. სიმონ გენერლის დღიურაკის დანაკეთი; 6. გალიები; 7. ბურმისტრი; 8. სამართალი; 9. განჩინება. მეორე ნაწილიდან — „შუაურსინული ქუჩა“, — დაბეჭდილია სამი თავი: 1. მოხსენებანი; 2. ბრძანებანი; 3. მიმომავალი ურია.

ამ კაპიტალური თარგმანის თავის დროზე დაუბეჭდაობა და ხელნაწერის დაკარგვა დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რადგან მთარგმნელს უშუალოდ ორიგინალთან ჰქონდა საქმე, მას ქართულ ენობრივ სამყაროში, უმთავრესად, ძველ ქართულ ძეგლებში, დაუძებნია შესატყვისი გამოთქმები, ახალი დროისა და ევროპული ცხოვრების გამოსახატავად საჭირო სიტყვები და ფორმები. ამ მხრივ, „მიმომავალი ურიას“ თარგმანს, თანდართული ლექსიკონით, უნიკალური მნიშვნელობა აქვს. ლექსიკონი იმით არის საინტერესო, რომ ახსნილი სიტყვების ფუნქციასა და ნიუანსს თვით ტექსტში ვეცნობით.

ენობრივი შემკულობით, სტილისტური წვდომითა და თხრობის თანმიმდევრობით, ეჟენი სუს ქართული თარგმანი

---

[1] „მნათობი“, 1872 წ., № 10, 11, 12.

[2] Eugéne Süe. Oeuvres. Le Juif Errant. Paris. 1863.

ების ღირსია: ის, არცთუ ისე არქაულად ჟღერს, როგორც ანტ. ვურცელაძეს მოეჩვენა, — ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ, დიდად არ განსხვავდება ზოგიერთი თანამედროვე ისტორიული რომანისაგან.

ექვნი სუ ფრიად პოპულარული მწერალი იყო; ლიბერალურ-ფილანტროპიული სულით გამსჭვალულ მის რომანებს ბევრი მკითხველი ჰყავდა; „პარიზის საიდუმლოებებს“ ბ. ბელინსკიმ საგანგებო წერილიც მიუძღვნა და სუს ტეტრალოგიის თარგმნა ჩვენი ლიტერატურის ფართო ინტერესებზე მიუთითებს.

ჟორჟ ზანდი

„პიერ ჰუგენონი“

„კრებულის“ 1872 წლის მე-8-9 ნომერში, სადაც ამ თხზულების დასაწყისი დაიბეჭდა, აღნიშნულია, რომ „შემდეგი იქნება“, მაგრამ გაგრძელება აღარ გამოქვეყნებულა.

ორიგინალში ჟორჟ ზანდის რომანს სათაურად აქვს: „Le Compagnon du Tour de France“ და ორი ნაწილისაგან შედგება; პირველი ნაწილი ოც თავს შეიცავს, მეორე—თოთხმეტს. პირველი და მეორე თავები, შინაარსეულად, სავსებით შეესატყვისება ორიგინალის შესაბამის ადგილს, ხოლო III თავიდან გადმოთარგმნილია მხოლოდ დასაწყისი, დაახლოებით ერთი მეათედი ნაწილი. ამრიგად, რომანის 34 თავისაგან „კრებულმა“, მხოლოდ პირველი ორი თავისა და III თავის მცირე ნაწყვეტს დაბეჭდვა მოახერხა. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოების გადმოთარგმნა საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის საყურადღებო ფაქტია.

1865 წელს „პიერ ჰუგენონის“ რუსული თარგმანი, გარკვეული პოლიტიკური მიზნით, ცალკე წიგნად გამოსცა „სოვრემენიკმა“.

„პიერ ჰუგენონი“ ჟორჟ ზანდის სოციალური რომანების ციკლს ეკუთვნის და 1848 წლის რევოლუციის უშუალო გავლენითაა დაწერილი. მწერალს ცხოველი სურათებით აქვს ნაჩ-

ვენები მშრომელთა ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ქართული ტექსტი, როგორც ჩანს, ზემოდასახელებული რუსული გამოცემიდან [1] არის გადმოთარგმნილი. ამის საბუთად უნდა მივიჩნიოთ თარგმანის სათაური „პიერ ჰუგენონი". ამასთან, 1865 წლის რუსული გამოცემის ეგზემპლარი, რომელიც ამჟამად კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდში ინახება, „კრებულის" თანამშრომლის, პეტრე უმიკაშვილის, პირადი საკუთრება ყოფილა და ამ წიგნზე შემორჩენილი შენიშვნები გვაფიქრებინებს, რომ მთარგმნელიც ის უნდა იყოს. ასეთსავე დასკვნამდე მივყავართ სტილისტურ-ტექსტოლოგიურ ანალიზსაც. ადვილი შესამჩნევია რუსული ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია.

თარგმანს დაკარგული აქვს ჟორჟ ზანდის სტილის მხატვრული სიცხადე და თხრობის ბუნებრივი წყობა. გვხვდება უზუსტობანი, ეულგარული პარაფრაზი („В готическом стиле„ „გოთური სილამაზით") და აღმოსავლური დიალექტიზმები („უთქომს", „შაგირდი", „მიმალამს" და სხვ.). შესაძლოა, „კრებულში გაგრძელების ბეჭდვა სწორედ იმის გამო შეწყდა, რომ მთარგმნელმა თავი ვერ გაართვა ტექსტს.

ერკმან-შატრიანი

„დალოცვილი ძველი დროება"

70-იანი წლებიდან ერკმან-შატრიანის შემოქმედება ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობდა; მათი მოთხრობები ქვეყნდებოდა „დროებასა" და „ივერიაში", ხოლო 1896 წელს ივ. მაჭავარიანის მიერ გადმოთარგმნილი, ჯერ „მოამბეში", შემდეგ, ცალკე წიგნად დაბეჭდილი — „გლეხკაცის ისტორია" სახალხო ნაწარმოებად იქცა. ქართველ მკითხველსაც იზიდავდა გაპრჯე, გულმართალ გლეხთა ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის სურათები, უკეთეს მერმისზე ფიქრი. ეს ღირსება აქვს „კრებულში" გამოქვეყნებულ მოთხრობასაც — „დალოცვილი

[1] Пьер Гюгенен. Роман Жорж Занда. 1865 г.

ძველი დროება“, რომელშიც საფრანგეთის რევოლუციის წინა პერიოდის გლეხთა ცხოვრებაა ასახული.

ორიგინალსა და თარგმანს შორის შინაარსობრივი განსხვავება არ არის; მოთხრობა გადმოთარგმნილია სრულად (ორივე თავი. მაგრამ ქართულში პირველი თავის სასათაურო ნიშანი მითითებული არ არის).

1871 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა ერკმან-შატრიანის „История школьного учителя“, ჟიულ კლარეტის წერილით, რომელშიც „კრებულში“ დაბეჭდილი მოთხრობაც („Доброе старое время“) არის შეტანილი, მაგრამ ქართული თარგმანის შედარებამ, ერთი მხრივ, ორიგინალთან, ხოლო, მეორე მხრივ, რუსულ გამოცემასთან, დაგვარწმუნა, რომ ის უშუალოდ ფრანგულიდან არის შესრულებული. მაგალითად, რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: „Просветить народ, сообщить ему историю его предшественников, значит утвердить демократию на утесе нации. Вне этого нет спасения“. ქართულში: „საფრანგეთს კი მხოლოდ მაშინ ელირსება ბედნიერება, როცა მდაბიო ხალხი განათლდება“.

ჩვენი აზრით, თარგმანი უნდა ეკუთვნოდეს ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ძალიან გატაცებული იყო ერკმან-შატრიანის თხზულებებით და სტატიაში „ევროპის ცხოვრება“ („სოვრემენნოსტი“, 1868 წ., № 1) აღნიშნავდა, რომ ამ მწერლებს „ზღაპრული მოწონება ჰქონდათ“.

დრამატურგია

გ. ერისთავი

„დავა"

„კრებულის" 1871 წლის მე-5 ნომერში „დავას" წამძღვარებული აქვს სარედაქციო განცხადება: „ეს კომედია თ. გ. ერისთავის თხზულებებში არ იყო დაბეჭდილი სხვადასხვა მიზეზისა გამო და აქ პირველად იბეჭდება"...

პირველი ორი მოქმედება ჟურნალის მე-5 ნომერში (1871 წ.) დაიბეჭდა, ხოლო მომდევნო სამი — მე-6 ნომერში, ოომელიც 1872 წელს გამოვიდა. იმავე წელს „კრებულიდან" ამონაბეჭდი ტექსტი ცალკე წიგნადაც გამოიცა. „კრებულიდანვე" გადაბეჭდეს ის გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაში. მოგვიანებით, როცა ავტოგრაფიც აღმოჩნდა, „კრებულის" ტექსტმა პირველწყაროს მნიშვნელობა დაჰკარგა.

პიესის იდეურ-მხატვრულ ღირსებათა გამო, კრიტიკოსებს, კერძოდ „კრებულის" თანამშრომლებს, ერთსულოვანი თვალსაზრისი არ გამოუხატავთ. „დროების" 1871 წლის 39-ე ნომერში ს. მესხი წერდა: „... დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ... როგორც თითქმის გ. ერისთავის ყველა კომედიებს, ამასაც შესანიშნავი სცენიკური ღირსება აქვს"... მაგრამ, ბეჭდვის დამთავრების შემდეგ, ს. მესხი ერთგვარი იმედგაცრუებით შენიშნავდა: „ქართულს კომედიაში... მთელი მოქმედება რუსულათ დაწერილი — ძალიან გვეჩოთირება" [1].

კიდევ უფრო კარდინალურად შეუცვლია აზრი „კრებულის" „სარედაქციო განცხადების" ავტორს, გ. წერეთელს, რომელიც

[1] „დროება", 1872 წ., № 14.

რეცენზიაში — „ვნახე და მეწყინა", ამბობს: „დავა", როგორც კომედია, არც კი ღირს ლიტერატურაში მოსახსენებლად" [1].

„კრებულში", საერთოდ, შესამჩნევია გ. ერისთავის დრამატურგიული მემკვიდრეობისადმი უარყოფითი თუ არა, გულგრილი დამოკიდებულება მაინც.

მაგრამ, „კრებულის" კრიტიკოსთა აღნიშნული მოსაზრებანი საკუთარი ესთეტიკურ-ლიტერატურული იდეალის გამოკვეთასთან დაკავშირებითაა გამოთქმული, პოლემიკურ ხასიათს ატარებს და გ. ერისთავის დრამატულ შემოქმედებაზე სწორ წარმოდგენას ვერ იძლევა. ისინი ისტორიული თვალსაზრისით ვერ მიუდგნენ ქართული დრამატურგიის ფუძემდებელს, და მის ნაწერებს იგივე მოთხოვნები წაუყენეს, რასაც თავიანთ თანამედროვეებს უყენებდნენ.

ქრონოლოგიურად „დავა" გ. ერისთავის პირველი დრამატული თხზულებაა [2] და ავტორმა მასში საკმაო ოსტატობით ასახა თავისი დროის ძირითადი საზოგადოებრივი ტენდენციები — ბატონყმური მეურნეობის კრიზისი, თავად-აზნაურობის ეკონომიური და ზნეობრივი დაცხრება, კაპიტალიზმის აღმავლობის პირობებში წარმოშობილი სოციალური კონფლიქტები, მეფის ჩინოვნიკური აპარატის გახრწნა, ხოლო ბეგლარის სახით, რომელიც ავტობიოგრაფიული პერსონაჟია, ეროვნულ-ეთიკური იდეალიც გამოგვეხატა. გ. ერისთავს კომიკური სიტუაციების გამახვილებული შეგრძნება აქვს და „დავას", ისე როგორც ამ ჟანრის ყველა მის ნაწერს, მაღალ მხატვრულ ეფექტს აძლევს სიცილი — კომედიაში მხილებისა და უარყოფის ეს უძლიერესი იარაღი.

გ. ნერეთელი

„ჯიბრი"

„კრებულში" დაბეჭდილ არც ერთ ნაწარმოებს არ გამოუწვევია ისეთი აზრთა სხვადასხვაობა და პოლემიკა, როგორიც ამ ორმოქმედებიან კომედიას

---

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ს. ხუციშვილის რედაქციით. 1956 წ., გვ. 194.

[2] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები. 1961 წ., გვ. 137.

მოჰყვა. ს. მესხმა ის ქართული მწერლობის დიდ მიღწევად გამოაცხადა; ნ. ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებსა“ და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოსთან“ ერთად, „პირველი ადგილი“ მიაკუთვნა. „საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურაში“ [1], ხოლო ნიკო ნიკოლაძის მტკიცებით, „ჯიბრი“ ძლიერ შესანიშნავი თხზულებაა“ [2].

ნიკ. ყიფიანის მომდევნო წერილიდან ირკვევა, რომ რეცენზენტთა ხელგაშლილ ხოტბას საზოგადოების გაკვირვება გამოუწვევია.

ანტ. ფურცელაძემ „ჯიბრის“ ქება ლიტერატურული უპრინციპობისა და მიკერძოების მაგალითად დასახა და კომედია მკაცრად განაჩიქა, — მასში მხატვრული სიყალბე და იდეური უსუსურობა აღმოაჩინა [3].

„კრებულის“ ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რომ ნაწარმოები ავტორს დამუშავებული არ ჰქონია და დაბეჭდვის შემდეგაც არსებითი ცვლილებები შეუტანია მასში. კომედია აგებულია მარტივ ყოფითი სიუჟეტზე, ელემენტარული კომპოზიციური გეგმით. თემატიკური აქტუალობის პირდაპირი გაგებით, „ჯიბრი“ იმ დროისათვის საჭირბოროტო ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება. მაგრამ ის ფაქტი, რომ „ჯიბრი“ სოციალურ პრობლემატიკაში ჩაღრმავების საბაბს იძლეოდა, უდავოდ მეტყველებს ავტორის დაკვირვების უნარსა და ნაწარმოების პუბლიცისტურ აქტუალობაზე. მაგრამ, თხზულების განმაჩიქებლებს მხედველობაში ჰქონდათ არა საზოგადოებრივ პრობლემათა პუბლიცისტური აღძვრა, არამედ მათი მხატვრული ასახვა, კერძოდ, მისი დრამატული ავკარგიანობა.

ა. ფურცელაძემ, მართალია, ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ ძირითადად სწორად მიგვანიშნა „ჯიბრის“ მხატვრული სისუსტის მიზეზები: ემპირიული ჰვრეტა და ფაქტოგრაფია. თხზულებაში ასახული სინამდვილე მოკლებულია შინაგან ემოციურობას; ის შემოქმედის განცდაში კი არ არის გარდატეხილი,

---

1 ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „გასართობი საუბარი“, „დროება“, 1871 წ., № 6.

2 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

3 „მნათობი“, 1871 წ., № 10—12.

არამედ ნატურიდანაა გადმოწერილი და პუბლიცისტური პირდაპირობითაა კომენტირებული. პორტრეტები, სიტუაციები, დიალოგები უშუალოდ ცხოვრებიდან, შემოქმედების ბრძმედში გაუტარებლადაა შემოტანილი ნაწარმოებში. ეს გარემოება ნ. ნიკოლაძესაც შეუმჩნევია.

„დაგეროტიპულ გადმოხატვასა“ და „შეუფერავ სინამდვილეს“ თავისთავად შემოჰყვა ერთგვაროვან ფაქტთა მოზღვავება, არაარსებითისა და წვრილმანის მიერ პრინციპულის დაჩრდილვა, მწერლის სწორი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის მიფერმკრთალება. ჩანს უარყოფითი მოვლენის ზედაპირი, მაგრამ დაფარულია მისი სიღრმე, გამოუმჟღავნებელია მისი არსი. თუ პუბლიცისტურ მსჯელობას არ მივმართავთ და პირდაპირ მხატვრულ სახეთა ანალიზიდან ამოვალთ, მკითხველზე (ან მაყურებელზე) უშუალო შთაბეჭდილებას გავითვალისწინებთ, მაშინ აღწერილი უბედურების მიზეზად სოციალური სისტემა კი არ წარმოგვიდგება, არამედ პერსონაჟთა (მგელია, დილვარდისა, კიკოლა) პირადი ხასიათი, მათი წინასწარ მოცემული ბუნება. ამის მიზეზი ისიცაა, რომ თხზულებაში არ არის არათუ დადებითი გმირი, დადებითი იდეალიც კი; არ არის სიცილი, რომელიც ამ იდეალს უნდა გამოხატავდეს; ამ თვისებათა გარეშე კი კომედიურობა გამორიცხულია. ნ. ყიფიანმა, ეტყობა, იგრძნო ეს დედაარსეული ნაკლი და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ კიკოლა დადებითი გმირია, მაგრამ კრიტიკოსის მთელი მონოლოგი ქვიშაზეა აგებული, რადგან კიკოლა მხოლოდ ვერაგობით, ფლიდობითა და ბოროტებით დგას დილავარდისასა და მგელიაზე მაღლა, თავის „ჭკუასაც“ პირადი კარიერისათვის იყენებს და არავითარი დადებით საზოგადოებრივ იდეალს არ ამკლავნებს, ბეკიჩას ყურმოჭრილ ყმად რჩება და ცინიკურად ღასცინის მის მიერ დაღუპულ, მასავით ბოროტ ადამიანებს.

ნაწარმოების მარცხზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ კომედიის გარეგნული ნიშანთვისებები აქვს მიკუთვნებული და სიცილს კი არ იწვევს, რაც იმის მაუწყებელია, რომ მოკლებულია კრიტიკისა და უარყოფის მხატვრულ ზემოქმედებას. ს. ჭესხიც კი, რომელმაც ეს ნაწარმოები პირველად შეაქო, იძულებული იყო ეთქვა, რომ „ჯიბრი“ არ არის სასაცილო, მასში არ გვხვდე-

ბა „მოულოდნელი და სასაცილო შემთხვევები, სცენიკური ეფექტი და მოძრაობა“. „კომედიურობა“ მხოლოდ იმით ვლინდება, რომ დილვარდისა და მგელია ყოფითი ბანალობით ერთმანეთს სხვადასხვა ცოდვებს აყვედრიან. თხზულებაში გაყინული მდგომარეობა და მზაშზარეული პერსონაჟებია წარმოდგენილი; არ არის განვითარების უნარიანი წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის კონფლიქტი; დაპირისპირება ემპირიული ყოფითი ხასიათისაა და არ იძლევა იდეური კოლიზიის შექმნის საშუალებას. ამიტომ, მოქმედებაც ერთხაზოვნად მიმდინარეობს; არ შეინიშნება კვანძი, კულმინაცია; მკითხველი, თითქმის არაფერს მოელის და ავტორს შეუძლია წერტილი დასვას, სადაც მოისურვებს. გაურკვეველია, რას უარყოფს მწერალი. რადგან ბოროტება, რომელიც გულს უნდა გვიმღვრევდეს, საბოლოოდ იმარჯვებს — დაუნდობელი მგელიას ადგილს მასზე უფრო ფლიდი და ვერაგი კიკოლა იჭერს. რაკი პერსონაჟთა ხასიათები თხზულებაში წინასწარ გამზადებულია და ახალ-ახალ სიტუაციებში ახალ-ახალ თვისებებს ვეღარ ამჟღავნებენ, ეს სიტუაციებიც უფუნქციო და შინაარსგამოცლილი რჩება.

ნ. ნიკოლაძემ კომედიის ამ ნაკლის გამართლება ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების სიმარტივითა და ადამიანთა ვნებების სიღარიბით სცადა, თითქოსდა, მარტივი ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნა აუცილებელი არ იყოს ან მხატვრული ოსტატობა არ სჭირდებოდეს.

მითითებულ ნაკლოვანებათა გამო, „ჯიბრმა“ მალე დაჰკარგა სოციალური სიმწვავე და მორალისტურ ნაწარმოებად იქცა. მკითხველის შთაბეჭდილება იმით შემოიფარგლა, რომ თხზულებაში გაკიცხულია შური, კინკლაობა, ინტრიგა, კიკოლას საამოქმედო დევიზი: — „წამკიდებულო, წაჰკიდე, ორივეს თავი წაწყვიტე!“.

გ. წერეთელმა ვერც კომედიისათვის შესაფერ სტილისტურ ფორმას მიაგნო. ის სიტყვიერ ქსოვილსა და ენობრივ ჩარჩოსაც ვერ პოულობს კომიკური სიტუაციის გადმოსაცემად ან მახვილი თქმის გასაფორმებლად; ზოგჯერ „ვერ ასწრებს“ ამ სიტუაციის დაჭერას. ეფექტური მომენტი შეუმჩნეველად ეც-

ლება ხელიდან. პერსონაჟთა მეტყველება არ შეესატყვისება ìათ ხასიათსა და მდგომარეობას, არ არის ერთიანი და ჩამოყალიბებული. დილვარდისას მეტყველება ხან ნატურიდან გადმოწერილი იმერული მანერით ხასიათდება, ხანაც — მოლიერის ჰმირებს მოგვაგონებს.

„ჯიბრს“ დიდად ვნებს ენობრივი ნატურალიზმი და ვოდევილური ვულგარიზმი.

კრიტიკის მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, გ. წერეთლის კომედიამ ვერც სცენაზე, ვერც ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა და მალე თვით ავტორმაც იგრძნო მისი სისუსტე. 1874 წ. 9 ივნისს ს. მესხს სწერდა: „სერგეი, ჩემი კომედია გავათავე. სულ რომ არ ვარგოდეს, „ჯიბრს“ მაინც ხუთჯერ სჯობია“ [1].

რაფ. ერისთავი

„სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ“.

60-ანი წლების ბოლოდან ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდება ყოველდღიურ საჭირბოროტო, საყოფაცხოვრებო თემებზე დაწერილი „სცენები“. რომლებიც, ჟანრობრივად, რაღაც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს პროზას, დრამატურგიასა და პუბლიცისტიკას შორის. ძისთვის დამახასიათებელია მონტაჟური კომპოზიცია, უპიუჟეტობა, მსჯელობითი დიალოგი და მონოლოგი, ჟარგონულობამდე მსუბუქი ტონი და იუმორესკა. ამ სახის ნაწერებით სახელი გაითქვეს აკ. წერეთელმა, რაფ. ერისთავმა, პ. უმიკაშვილმა.

„კრებულში“ გამოქვეყნებული რაფ. ერისთავის „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ“, „სცენების“ იმ ციკლს ეკუთვნის, რომელიც მწერალმა „დროების“ 1870 წლის №№ 20, 27, 31, 40 და 49 და 1871 წ. მე-2 და მესამე ნომერში დაბეჭდა. ისინი უცვლელადაა შეტანილი რაფ. ერისთავის თხზულებათა 1937 წლის გამოცემაში [2].

---

1 „მნათობი“, 1929 წ., № 11—12, გვ. 278.

2 რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ე ი, თხზ. ტ. III, შ. რადიანის რედაქციით, გვ. 101.

„სცენა საპატიმროში"

ეს ერთადერთი „სცენაა", რომელიც ამ ჟანრის ოსტატმა აკ. წერეთელმა „კრებულში" გამოაქვეყნა (1872 წ. № 7). ის უცვლელადაა დაბეჭდილი აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის IX ტომში (გვ. 97, შენიშვნები — გვ. 393—398).

თხზულებას, საერთო გააზრებით, მკვეთრი სოციალური ღერადობა აქვს. თვითმპყრობელური ციხის სურათებით, მწერალი ამხელს გონებაჩლუნგ მოხელეთა თვითნებობას, სამართლის ელემენტარულ ნორმათა იგნორირებას, ხალხის დუხჭირი ცდგომარეობის გამო დანაშაულის ზრდას, ცხოვრების ფსკერზე დაშვებულ ადამიანთა სულიერ დაკნინებას; ხათლად ჩანს, რომ იმჟამად ჩატარებული სასამართლო რეფორმა ხალხის მოტყუებისა და ძარცვის ახალ საშუალებად იქცა.

„სცენა საპატიმროში", საყურადღებოა მხატვრული ფერწერის თვალსაზრისითაც. საღებავთა ზუსტი, და ამდენადვე ძუნწი შერჩევით, ავტორი ეთნოგრაფიულ და სოციალურ ხასიათთა არაჩვეულებრივ კოლორიტულობას აღწევს. ნაპერწკლიანი, მახვილგონივრული წმიდა „აკაკისებური ოხუნჯობით" ახერხებს პორტრეტისა და შინაგანი ბუნების ერთობლიობაში წარმოსახავს. ორიოდე რეპლიკითა და რემარკით მკითხველს შთამბეჭდავად წარმოუდგება ქართლელისა და იმერლის, მეგრელისა და გურულის, ოსისა და სომეხის საქმიანობისა და ქცევის, მეტყველებისა და ტემპერამენტის თავისებურებანი, ამით იყო გამოწვეული ს. მესხის აღფრთოვანებული რეცენზია [1].

[1] „დროება", 1872 წ., № 19.

თარგმანი

თეატრის აღდგენაზე მეოცნებე სამოციანელებს დიდად აფიქრებდათ ჩვენი დრამატურგიის სავალალო მდგომარეობა და მუდმივი სცენის საფუძველთა მოსამზადებლად აუცილებლად მიაჩნდათ როგორც მრავალფეროვანი რეპერტუარის შექმნა, ისე, საერთოდ, თეატრალური და დრამატული კულტურის ამაღლება. ორივე ამ ამოცანას ერთდროულად ემსახურებოდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა დრამატული ნაწერების თარგმნა. სამოციანი წლების ბოლოდან, ამ ჟანრის თხზულებებს წამყვანი ადგილი უკავია ჩვენს მთარგმნელობითს ლიტერატურაში. არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ სხვა ჟანრებისაგან განსხვავებით, დრამატულ თარგმანს ხელი მოჰკიდეს სახელმოხვეჭილმა მწერლებმა, ქართული სიტყვის დიდოსტატებმა. მოკლე ხნის მანძილზე, მათ არათუ შესამჩნევად გაამდიდრეს ჩვენი რეპერტუარი, არამედ, მანამ არნახულ სიმაღლემდეც აიყვანეს ლიტერატურულ-თეატრალური გემოვნება, სტილისტურ-სცენური საფუძველი მოუმზადეს, მძლავრი ბიძგი მისცეს ორიგინალურ დრამატურგიასაც. საკმარისია ითქვას, რომ „კრებულში“ დაბეჭდილი თარგმანები ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს, ი. მაჩაბელს, აკ. წერეთელს და გ. წერეთელს.

უილიამ შექსპირი

„მეფე ლირის“ პირველი მოქმედების გამოქვეყნებით („კრებული“, 1873 წ. № 10) დასრულდა შექსპირის ქართული თარგმანის მოსამზადებელი ხანა, რომელიც სამ ათეულ წელს გაგრძელდა და სათავე დაედო მისი უკვდავი შემოქმედების

ადექვატურ თარგმანს. აქვე დავსძენთ, რომ ეს იყო, საერთოდ, პირველი რეალისტური თარგმანი ჭართულ დრამატურგიაში. რომ არაფერი ვთქვათ „ჰამლეტის“ არდაზიანისეულ გადმოღებაზე, ვერც დიმიტრი ყიფიანის დიდი მონდომებით შესრულებული თარგმანები იძლეოდა შექსპირის სიდიადეზე რაიმე წარმოდგენას. შექსპირის მაღმერთებელ ჩვენს სამოციანელებს არც დაუმალავთ ამ ხარვეზით გამოწვეული გულისტკივილი.

თხზულების პირველი მოქმედება „კრებულში“ დაბეჭდილია სათაურით: „მეფე ლირი“. ხუთმოქმედებიანი შექსპირის ტრაგედია, ინგლისურიდან გადმოღებული ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისაგან“.

შარავანდედით მოსილი მწერლისა და ახალბედა მთარგმნელის შემოქმედებითი თანამშრომლობა მაშინ ბევრისთვის გაუგებარი უნდა ყოფილიყო და დღესაც საკამათოა, რომელმა რა წვლილი შეიტანა საერთო საქმეში, მაგრამ უდავო უნდა იყოს, რომ ამ თანამშრომლობის გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა არა მარტო „მეფე ლირი“, არამედ ივანე მაჩაბლის ბრწყინვალე დამოუკიდებელი თარგმანებიც. ახალგაზრდა მთარგმნელს. ილიამ უეჭველად განუმტკიცა საკუთარი ძალის რწმენა და მასვე, უთუოდ გადამწყვეტი როლი აქვს იმ დიადი შესატყვისი სტილის მიგნებაში, რომელიც შექსპირის ჭართულ თარგმანთა კლასიკურ ღირსებას შეადგენს. ისე კი, ეს მეგობრობა და თანამშრომლობა ბედნიერმა შემთხვევამ გამოიწვია. აქ ურიგო არ იქნება, მოვიგონოთ, რომ ილია სტუდენტობიდანვე მოხიბლული ყოფილა „მეფე ლირით“ და 1859 წელს, თბილისში ყოფნის დროს, ამ ტრაგედიის „ცოცხალ სურათებში“ ლირის როლიც შეუსრულებია. საფიქრებელია, რომ ეს ადგილები „ცოცხალი სურათებისათვის“ მის მიერ იყო გადმოთარგმნილი.

ამ შეერთებული შრომის ხალისსა და წარმატებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ის შემოქმედებითი სიხარული, რომელიც ილიას იმდროინდელ წერილებს შემოუნახავს.

დაუმთავრებიათ თუ არა პირველი მოქმედება, ილიას „კრებულის“ რედაქციისათვის გამოუგზავნია ხელნაწერი და, თარგმანის ბედით შეშფოთებულს, მალე მთელი ინსტრუქციაც

მოუყოლებია მისი დაბეჭდვის ტექნიკურ თავისებურებათა შესახებ. „კრებულის“ რედაქციამ ზუსტად შეასრულა ილიას მითითებანი; თარგმანი ერთ ნომერში გამოქვეყნდა, „გაუტეხავი სტრიქონით“ დაიბეჭდა და კორექტურულ შეცდომებსაც, თითქმის, ვერ ვხვდებით.

ილიასა და ვანოს, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით, ერთი გაუნელებელი შთაგონებით უთარგმნიათ ეს ტრაგედია. პირველი მოქმედება ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო, რომ პ. უმიკაშვილს აცნობებდა: „თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშინ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებას დღეს გავათავებთ და პირველს სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება“.

ილიამ არ იცოდა, რომ „კრებულის“ მე-10 ნომრის გამოსვლა ძალიან დაგვიანდა და 1874 წლის 1 იანვარს მეუღლეს აცნობებდა: „აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს წაკითხავდი. მომწერე, როგორ მოგეწონა... სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულიად გავათავეთ თარგმანი“.

„მეფე ლირი“ მთარგმნელებს პეტერბურგის ქართველ ინტელიგენტთა წრეშიც წაუკითხავთ (გ. შერვაშიძის ოჯახში) და დიდი აღტაცება გამოუწვევიათ.

1874 წ. მარტში, ტრაგედიის სრული თარგმანი ილიამ თბილისში ჩამოიტანა და „კრებულის“ რედაქციას გადასცა დასაბეჭდად (იმ ხანად ვასილ მაჩაბელს სწერდა: „ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი „კრებულში“ დასაბეჭდავად“). მაგრამ „კრებულის“ გამოცემა სწორედ იმ ნომრით შეწყდა, რომელშიც „მეფე ლირის“ პირველი მოქმედებაა დასტამბული და მომდევნო ოთხი მოქმედება მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოქვეყნდა „ივერიაში“.

„ქართული მწერლობის“ სერიით, 1877 წ. „მეფე ლირი“ ცალკე წიგნად გამოვიდა. პირველი მოქმედება მასში, ძირითადად, იმ სახითაა დაბეჭდილი, როგორც „კრებულში“ გამოქვეყნდა, მაგრამ მთარგმნელებს, როგორც ჩანს, თარგმანზე მუშაობა არ შეუწყვეტიათ და, სტილისტურად, ცალკე გამოცემის ტექსტი უფრო დახვეწილია.

ილიასა და ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი ურთიერთობისა და მთარგმნელობითი მეთოდის ხასიათზე წარმოდგენას

იძლევა „მეფე ლირის“ საერთო ავტოგრაფი და ინგლისური ორიგინალის მათი სამუშაო ეგზემპლარი, რომლებიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

აღნიშნული ავტოგრაფის მიხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ თხზულების მოშეტებული ნაწილი ილია ჭავჭავაძეს უთარგმნია[1], მაგრამ ასეთი დასკვნა მართებული არ იქნება, რადგან საერთო სახელით გამოქვეყნება თანაბარი წვლილისა და თარგმანის ორგანული ერთობლიობის დადასტურებაა.

მთარგმნელთა შენიშვნები გვიჩვენებს, რომ ისინი საფუძვლიანად გასცნობიან „მეფე ლირისა“ და, საერთოდ, შექსპირის შესახებ არსებულ მდიდარ ლიტერატურას და კრიტიკულად მიდგომიან სადავო ადგილებს. ერთგან ნათქვამია: „გამოჩენილი კრიტიკოსი შექსპირისა სტივენსი ამბობს ამ შაირზედ, რომ სხვისაგან ჩამატებულიაო. ჩვენც სტივენსს დავუჯერეთ და არ ვსთარგმნეთ“.

გ. გაჩეჩილაძის დასკვნით, „მეფე ლირის“ თარგმანი, მაინც, საკმაოდ დაშორებულია დედანს[2].

მოლიერი

„სკაპენის ცუღლუტობა“

„კრებულის“ 1873 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილ „სკაპენის ცუღლუტობაში“ აკ. წერეთელმა შეძლო შეენარჩუნებინა შინაგანი ხალისი, სცენურობა და საერთო განწყობილება. მან ქართული სული შთაბერა ფრანგულ ნაწარმოებს. აშკარად იგრძნობა, რომ მას იმდენად დედნისადმი ერთგულება არ აინტერესებდა, რამდენადაც ქართველი მკითხველის მოთხოვნები. ამ შემოქმედებითი კონცეფციითაა განსაზღვრული თარგმანის სუსტი და ძლიერი მხარეები. აკაკი ხშირად სცილდება ორიგინალს, მაგრამ არ ღალატობს ჩვენი მკითხველისა და მაყურებლის მოლოდინს. ამ თავისებური გადმოკეთების წყალობით,

---

[1] დ. შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, „სამშობლოს დიადი მოამაგე“, „კომუნისტი“, 1962 წ., № 252.

[2] უ. შ ე ქ ს პ ი რ ი. „ტრაგედიები“. ტ. II, 1954 წ., გვ. 778—802.

ქართველმა საზოგადოებამ მშობლიური ნაწარმოებივით მიიღო „სკაპენის ცუღლუტობა".

„კრებულში" დაბეჭდვისთანავე, 1874 წ. დასაწყისში „დროება" იუწყებოდა: „ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ კვირას... აქაურ ქართველ სცენისმოყვარეთა „სკაპენის" წარმოდგენა განუზრახავთ. წინადვე დარწმუნებული ვართ, რომ ეს მახვილი, ცოცხალი კომედია მოლიერისა, რომელიც თითქო, ჩვენი ცხოვრებიდან არის ამოღებული, ჩვენს ქართულ სცენაზე ძლიერ კარგი გამოვა".

1873 წელს „სკაპენის ცუღლუტობა" ქუთაისში დაიდგა. შემდეგ, ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ პროვინციელი სცენისმოყვარენიც დაინტერესებულან. 1875 წელს ის სუჯუნაში, წევაში და სხვა სოფლებშიც წარმოუდგენიათ. ამასთან დაკავშირებით, „დროება" წერდა: „სკაპენის ცუღლუტობა" სწორედ ნამდვილ სახალხო კომედიად გადაიქცა. ჩვენში, სადაც არ გინდა, იქ არდგენენ მოლიერის ამ მახვილ კომედიას" [1].

თბილისში „სკაპენის ცუღლუტობა" პირველად 1880 წ. 23 იანვარს წარმოუდგენიათ კოტე მესხის საბენეფისოდ და ჟერანტის როლი თვით აკაკის შეუსრულებია.

1909 წელს გამომცემლობა „სორაპანმა" მოლიერის თარგმანები ცალკე წიგნად გამოსცა და მასში „სკაპენის ცუღლუტობის" აკაკისეული თარგმანიც შეიტანა. მოლიერის კომედიების 1937 წლის გამოცემაშიც აკაკის თარგმანია დაბეჭდილი, მაგრამ მნიშვნელოვანი სტილისტურ-ენობრივი შესწორებებით [2].

სამაგიეროდ, პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, რომელსაც ი. გრიშაშვილის საინტერესო შენიშვნები ერთვის, კომედია, კვლავ, ზუსტად „კრებულის" ტექსტის მიხედვითაა დასტამბული [3]. ჩვენი აზრით, მცირე ჩალხის გაკერა აქაც აუცი-

---

[1] „დროება", 1875 წ., № 60.

[2] მ ო ლ ი ე რ ი, კომედიები. პ. კეშელავასა და ირ. ქაჟაროვის რედაქციით. 1937 წ., გვ. 273.

[3] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. ტ. X, ი. გრიშაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. 1959 წ., გვ. 151.

ლებელი იყო, რადგან თარგმანს დიდ ჩრდილს აყენებს და, თითქმის, მხატვრულ ღირებულებასაც უკარგავს ორიგინალს დაშორებული და ვულგარული, ენობრივად გაუმართავი და ტლანქი გამოთქმები.

მაგალითად, ორიგინალში ვკითხულობთ: „Silv. Mafoi, je m'y trouve autant embarasso que vous,-et J'aurais bon besoin que l'on me conseillât moi-même"[1].აკაკის თარგმანში ეს ადგილი შეცვლილია და, ბოლოს, მოლიერის სტილისათვის შეუსაბამო ფრიველური ფრაზაც აქვს მიკერებული: „არ ვიცი, ღმერთმანი, თქვენი არ იყოს, მეც ძალიან თავბრუ მესხმის. ნეტავი კი ვინმე მირჩევდეს რასმეს, თორემ, მიწამდის მეტანიას ვუზამ". ხშირად ვხვდებით გაუმართავ და უაზრო წინადადებებს: „თავს მთხლეს გადამადენს"; „გამკუჭეთ მაგ თქვენი ხმლით" და სხვ.

„სკაპენის ცუღლუტობა" აკ. წერეთელს რუსული თარგმანიდან გადმოუღია, მაგრამ ტექსტს იმდენად თავისუფლად ეკიდება, რომ ძნელი დასადგენია, სახელდობრ, რომელი თარგმანით ისარგებლა მან.

იოჰან-ვოლფგანგ გოეთე

„ეგმონტი"

სერიოზული ყურადღების ღირსია გ. წერეთლის მიერ გადმოთარგმნილი „ეგმონტი", რომლის დასაწყისი (ორი მოქმედება), „კრებულის" 1873 წ. მე-5, ხოლო დასასრული (შომდევნო სამი მოქმედება) იმავე წლის მე-7 ნომერში დაიბეჭდა. თარგმანი დღემდე ინარჩუნებს ლიტერატურულ ეშხს, რადგან გ. წერეთელი მღელვარედ განიცდის ტრაგედიას და შემოქმედებითი უშუალობით გადმოსცემს ორიგინალის სულს.

როგორც ირკვევა, „ეგმონტის" თარგმანი გ. წერეთელს მეგობარ ლიტერატორთა წრეშიც წაუკითხავს და ყველას მოსწონებია. 1873 წ. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ წერილში, ნ. ნიკოლაძე სთხოვდა კირ. ლორთქიფანიძეს, არ დაეგვიანებია

[1] Les Fourberies de scapin, Comedie en trois actes, par Moliére. Paris: 1866.

ტრაგედიის გამოქვეყნება. ეს ინტერესი გამოწვეული იყო „ეგმონტის“ დემოკრატიული სულისკვეთებითა და გამათავისუფლებელი ბრძოლის რომანტიკით. ესპანელ დამპყრობლებთან ბელგიელების შებმა გოეთეს წარმოსახული აქვს ხალხის მასობრივი მხარდაჭერისა და პატრიოტული შემართების ფონზე. ამამაღლებელი და წამქეზებელია თვით ეგმონტის ძლიერი ხასიათი.

გ. წერეთლის თარგმანი უშუალოდ გერმანულიდანაა შესრულებული. შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ის საერთოდ არ იცნობდა, ან ყოველშემთხვევაში, მუშაობის დროს მას ხელთ არ ჰქონია რუსული თარგმანები. ქართული ტექსტი ზუსტად მიჰყვება დედანს და მთარგმნელი, მხოლოდ, ისეთ შეცდომებს უშვებს, რომლებიც გერმანულის არასწორი ამოშიფვრიდან მომდინაროებს; რუსულ თარგმანთან შეჯერებით, ამ ხასიათის შეცდომებს იგი, უთუოდ, თავიდან აიცდენდა; სამაგიეროდ, ბევრი ადგილი ქართულ თარგმანში უფრო სწორად და ზუსტადაა გადმოღებული, ვიდრე რუსულში.

1956 წელს, თითქმის, 90 წლის შემდეგ, გამოქვეყნდა ვახტანგ ბეწუკელის მიერ შესრულებული „ეგმონტის“ ახალი თარგმანი, რომელიც, როგორც მხატვრული ღირსებით, ისე ორიგინალთან სიახლოვით, გ. წერეთლის თარგმანზე უკეთესია, მაგრამ ახალი გამოცემის შენიშვნებში, ჩვენი აზრით, მაინც უნდა მოეხსენებიათ, რომ ეს თხზულება XIX საუკუნეშიაც ითარგმნა [1].

მოქმედ პირთაგან, დედნის Wilhelm Von Oranion, გერბელის 1866 წლის თარგმანში მოხსენებულია, როგორც Вильгельм Оранский, — ვ. ბეწუკელთან — ვილჰელმ ორანელი, ხოლო გ. წერეთელთან — ვილჰელმ ორანელი — თავადი. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი უფრო შეესაბამება დედნის აზრს, რადგან მარტოდენ „ვილჰელმ ორანელში“ დაკარგულია ის მნიშვნელობა, რასაც მას ორიგინალში „Von“ აძლევს. რუსულში კი, აზრი საესებით გასაგებია. მაკიაველის შესახებ დედანში ნათქვამია: „Im Dienste der Regentin“, რუსულში: „Приблиз-

---

[1] გოეთე, დრამები. 1956 წ., თარგ. ვ. ბეწუკელისა, გვ. 213.

женный правительницы", — 1956 წ. ქართულ თარგმანში: „მმართველის მრჩეველი". გ. წერეთლის თარგმანში: „სახელმწიფო მოხელე რეგენტინისა". აქაც, ჩვენი აზრით, გ. წერეთლის თარგმანი უფრო შეესატყვისება ღედანს. სილვა, გომეცი: დედანში: „Unter Alba dienend", გერბელის თარგმანში: Приближенные Герцога Альби", 1956 წ. თარგმანში: „ალბას ხელქვეითნი"; გ. წერეთელთან: „ალბას ხელქვეით მოსამსახურენი; „სოესტი:" Nun schiesst nur hin, dass es alle Wird! Jhr nehmt mir's doch nicht! Drei Ringe Schwarz, die habt ihr Euere Tage nicht geschossen. Und so wär' ich für dies jahr Meister გერბელთან: „Да стреляй же наконец! Как ты там не старайся, а верх надо мной не возьмешь. Шутка ли-три черных круга прострелил! Тебе во всю жизнь этого не сделать! И так, на этот год победителем буду я". 1956 წ. თარგმანში: „აბა, ესროლეთ და გავათაოთ! მაინც ვერ მაჯობებთ. სამს შავ წრეს თქვენს სიცოცხლეში ვერ მოახვედრებთ. წელს მე დავრჩები გამარჯვებული"; გ. წერეთელთან: „ესროლეთ და მორჩით! სანაძლეოს მაინც ვერ წამართმევთ. სამს შავს წრეს თქვენს დღეშიაც ვერ გახვრეტთ. იქნება ამ წელს მე გავხდე უფროსი".

მოტანილი ტექსტიდანაც ჩანს, რომ გერბელის თარგმანი, საერთოდ, უმწეო, უსუსური და გაჭიანურებულია, ხოლო გ. წერეთლისა — დედნის შესატყვისი და საკმაოდ გამართული, არაფრით არ ჩამოუვარდება ახალ თარგმანს, — ერთადერთი სიტყვა („უფროსი") რომ არ აფუჭებდეს შთაბეჭდილებას. (ეს სიტყვაც გვიჩვენებს, რომ ის დედნის პარდაპირი მნიშვნელობით გაგების ნაყოფია („Meister"). ამ სახის უზუსტობებს კი, როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთელთან ხშირად ვხვდებით, რაც ზოგჯერ ანაქრონიზმსაც იწვევს: „Armbrusst" რუსულად თარგმნილია: „Самострел", ვ. ბეწუკელის მიერ: „მშვილდისრები", ხოლო გ. წერეთელთან: „თოფი". „Spannt die Armbrusst" "Начинает натягивать тетиву". „მოსწევს მშვილდის ლამბს" (ვ. ბეწუკელი). თოფს ათამაშებს(?) (გ. წერეთელი). „Krämer" მეწვრილმანე (ვ. ბეწუკელი), ვაჭარი (?) (გ. წე-

რეთელი), „Egmonts Wohnung", Дворец Эгмонта (გერბელი); ეგმონტის სასახლე (ვ. ბეწუკელი), ეგმონტის სადგომი (გ. წერეთელი); მაგრამ: „Klärchens Wohnung": კლერხენის ბინა (ვ. ბეწუკელი); ვფიქრობთ, მართებული არ უნდი იყოს ერთი და იგივე სიტყვის ხან სასახლედ და ხან ბინად თარგმნა. შეიძლება, მხოლოდ იგულისხმებოდეს, რომ ეგმონტის ბინა სასახლეს წარმოადგენს. როცა სასახლეზეა ლაპარაკი, გოეთე წერს; „Eulenburgische Palast."

დურგალი: Geh'deines ppfads und sei ruhig!-Иди своей дорогой и говори тише"; (გერბელი); გასწი შენს გზაზე, ნუ ყვირიხარ (?) (ვ. ბეწუკელი); წადი შენს გზაზე და მშვიდად იყავი (გ. წერეთელი).

კერძო სახელი — Vansen შესადარებელ ტექსტებში განსხვავებული ფორმებით გვხვდება: Фаизен (გერბელი), ფანსენი (?) (ვ. ბეწუკელი) და ვანზენ (გ. წერეთელი). გ. წერეთელი შეცდომით თარგმნის „ოილენბურგს" („კულენბურგი"), რაც აგრეთვე, გოთური ასოების არასწორი ამოკითხვით უნდა იყოს გამოწვეული.

გ. წერეთელს სუსტად აქვს ნათარგმნი ლექსები, მაგრამ შინაარსობრივად აქაც სხვებზე მეტ სიზუსტეს იცავს: Glücklich allein ist die Seele, die liebt; „Счастье знает лишь любовь святая" (?) (გერბელი); ბედი მაქვსო (?) მხოლოდ მან თქვას (?), ვისაც უყვარს მთელი გულით" (?) (ვ. ბეწუკელი); „ბედნიერია ის გული, ვინც გაიცნო სიყვარული" (გ. წერეთელი [1].

სალიტერატურო ენის მაშინდელი მდგომარეობის ქვალობაზე, „ეგმონტის" თარგმანი დასაწუნი არაა, მაგრამ თანამედროვე სტილისა და ენობრივი ნორმების თვალთახედვით, ზოგი რამ საჩოთირო და გაუგებარია: „ვინც თავს იფარავს, თავისთავზედაც ეჭვი უნდა ჰქონდეს"; „ქვეყანაზე იმისთანათ თოფს ვერვინ ისვრის"; „გვარიანი ხანია, რაც მყავს"; „უკან იხევოდა" და ა. შ.

---

[1]. Goethes Sämtliche Werke. IX B. Stuttgart. 1863. S. 155; Гете В. соч. т. III. 1866 г.

მაგრამ, თარგმანი, საერთოდ, ორიგინალზე ადრე ძველდება და მისი ავკარგიანობის განსაზღვრა, განსაკუთრებით, მოითხოვს ისტორიულ მიდგომას; ამ თვალსაზრისით კი, გოეთეს დიდებული ტრაგედიის სრული და შინაარსობრივად ზუსტი, უშუალოდ ორიგინალიდან შესრულებული თარგმანი ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის დიდ მიღწევად უნდა ვაღიაროთ.

ფოლკლორი

ხალხური სიტყვიერების ძეგლთა სისტემატური პუბლიკაცია და პროპაგანდა ჩვენში „კრებულმა“ წამოიწყო. წინანდელ ქართულ გამოცემებში ფოლკლორული მასალა იშვიათად და სასხვათაშორისოდ იბეჭდებოდა. „კრებულმა“ კი, საგანგებო რუბრიკი დააწესა ამ ხასიათის თხზულებებისათვის და ჟურნალის მხატვრულ საგანძურში ხალხურ პოეზიას, რაოდენობრივადაც და ღირსებითაც, ფრიად საპატიო ადგილი უკავია.

რედაქცია და თანამშრომლები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ხალხური სიტყვიერების ძეგლთა შეგროვებისათვის საზოგადოებრივი მორძაობის ხასიათი მიეცათ, დავიწყებისა და დაღუპვისაგან ეხსნათ საუკუნეთა გრიგალს გადარჩენილი შეღევრები. ჟურნალში ხალხური პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუშებია დაბეჭდილი. თითქო, ერთმანეთს ეჯიბრებიანო, — ილია, რაფიელი და პეტრე ყოველ მომდევნო ნომერში ახალ-ახალ შედევრებს აქვეყნებდნენ და საყოველთაო ინტერესის აღსაძრავად, თავიანთი მდიდარი კოლექციებიდან უკეთესთაგან საუკეთესოს არჩევდნენ. ამიტომ, „კრებულის“ პუბლიკაცია ქართული ხალხური პოეზიის „პატარა საუნჯეს“ წარმოადგენს და მკითხველი მასში ბევრი ისეთ ნაწარმოებს შეხვდება, რომელიც დღესაც ამ პოეზიის სიამაყედ მიგვაჩნია.

„კრებულში“ დაბეჭდილი მასალა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. წამყვანი ადგილი აქ ლირიკასა და პოეტურ ეპოსს უკავია. ილიას ჩანაწერებში საყოფაცხოვრებო, საწეს-ჩვეულებო თხზულებანი, თითქო იგნორირებულიცაა, — და უპირატესობა საგმირო, ისტორიულ, სოციალურ, ფილოსოფიურ და სატრფიალო ლექსებს ენიჭება.

ჩვენი აზრით, ფოლკლორისადმი ინტერესი ამ პერიოდში, ძირითადად, ლიტერატურულ-ესთეტიკური და აქტუალურ-პოლიტიკური მოტივებით იყო იმპულსირებული, ხოლო წმიდა

მეცნიერული ამოცანა მეორე პლანზე იდგა. ხალხის პოეტურ მემკვიდრეობაში 60-იანი წლების რეალისტებს მდიდარი და ცხოვრებაში ნაწრთობი მხატვრული ტრადიცია იზიდავდა. ზეპირსიტყვიერებას ისინი ხალხურობის წყაროდ, შემოქმედებითი შთაგონების ელექსირად თვლიდნენ.

ხალხურ შემოქმედებას სამოციანელები მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდნენ პოეტური აზროვნებისა და მეტყველების გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებაში. გამქისებულ-გამოფიტულ სამწერლო ენას ზეპირსიტყვიერებისაგან უნდა გადასდებოდა ენის ბუნებრივი სტიქია, მისი სილბო და სიძლიერე, მომხიბლავი უბრალოება, ლაკონური სიმკვირცხლე.

ხალხურ სიტყვიერებასთან სამოციანელთა შემოქმედებითს თანაზიარობას განამტკიცებდა აგრეთვე, სამყაროს რეალისტური აღქმიდან მომდინარე მხატვრული სახეების სიმართლე, ცხოვრებისეული შუალობა და ნათელი ფერები.

მაგრამ, ფოლკლორის ესთეტიკურ ფენომენს „კრებული" მის სოციალურ შინაარსსაც უკავშირებდა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ერთდროულად, აქტუალურ პოლიტიკურ ამოცანათა თვალსაზრისითაც არჩევდა. ზეპირსიტყვიერება ჟურნალის თანამშრომლებს ხალხის ცხოვრების უტყუარ მატიანედ მიაჩნდათ; სწამდათ, რომ ამ თხზულებებმა საუკუნეთა ქარტეხილში გამოატარეს მშრომელთა ფიქრი და ლტოლვა, თავისუფალი მომავლის იდეალი.

ფოლკლორის სოციალური მოტივებისადმი განსაკუთრებული ინტერესის დადასტურებაა „არსენას ლექსის" შესახებ „კრებულში" დაბეჭდილი პ. უმიკაშვილის წერილი.

„კრებულში" დასტამბული ძეგლები ჩაწერილი და მომზადებულია იმდროინდელი ფოლკლორისტიკის ფრიად მაღალ დონეზე [1].

„კრებულის" ფოლკლორისტული მოღვაწეობა, რომელიც ახალთაობის სოციალური იდეალებითა და ლიტერატურის ხალხურობისაკენ სწრაფვით იყო შთაგონებული ამ დარგის აღმავლობის მძლავრ სტიმულად იქცა ჩვენში.

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, 1, 1961 წ., გვ. 16.

ლიტერატურული კრიტიკა

კრიტიკის დარგშიც „საქართველოს მოამბის“ ტრადიციათა უშუალო გამგრძელებელი „კრებული“-ა. მან დაიცვა, განამტკიცა და განავითარა რეალიზმის პრინციპები, — როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ახალი გაქანება მისცა სალიტერატურო კრიტიკას, ძირითადად, სწორი პასუხი გასცა თანამედროვეობის მოთხოვნებს. არც ერთ წინმსწრობ ქართულ გამოცემაში არ ყოფილა კრიტიკა ასე მრავალფეროვანი, ქმედითი და პროფესიულად სრულქმნილი.

გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ მოვლენებს გაკვრით, თითქმის, ყველა პუბლიცისტი ეხება, — ჟურნალში დაიბეჭდა ხელოვნური შემოქმედების პრობლემური და ყოველდღიური სასიცოცხლო ამოცანებისადმი მიძღვნილი წერილები.

ჟურნალის კრიტიკას ტონს აძლევდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც ახალი საფეხური გაჭრა ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის განვითარებაში და წერილების ციკლით — „ჩვენი მწერლობა“, პირველად მოგვცა თანამედროვეთა შემოქმედების ღრმა ანალიზი.

ნ. ნიკოლაძის წერილები დღესაც გვხიბლავს ფართო ერუდიციით, პრინციპულობით, უზადო ლიტერატურული გემოვნებითა და ესთეტიკური თვალსაზრისის მთლიანობით. ვგრძნობთ, რომ ავტორს მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულებანი გააჩნია და ყველა ნაწერში შეუპოვრად და თანმიმდევრულად იბრძვის მათი დამკვიდრებისათვის. საგულისხმოა,

რომ ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას, ის თავის ადრინდელ წერილებსაც იმოწმებს. ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსის მანიფესტური მთლიანობა, საერთოდ, ნიშანდობლივია „კრებულისათვის“. ასევე ნიშანდობლივია მისთვის ანალიზის კონკრეტულობა და დასკვნათა პრაქტიკული მიზანდასახულობა. კრიტიკა, როგორც ლიტერატურული სინამდვილის აქტიური მშენებელი, ცოცხალ შემოქმედებითს პრაქტიკას ემყარება, მისგან ამოდის, მის გაუმჯობესებასა და წარმატებას ემსახურება. იგი რეზონერი კი არ არის, ანალიტიკოსი და თანაშემომქმედია. მხატვრული შემოქმედებისადმი კრიტიკის მიმართების ამგვარმა გაგებამ მწვავედ აგრძნობინა ჩვენს მოღვაწეებს მწერალთა მემკვიდრეობის სრული, მეცნიერული გამოცემის აუცილებლობა. ჩვენი კრიტიკის „დასაფასებელი მასალა ნამეტანათ დაბნეული და გაცალცაკეებულია და ის ვერ ადგენს ყოველმხროვანს აზრს მწერლის წარსულ ნაწერსა და ამ ნაწერის ნამდვილ ხასიათზე.“ — წერდა ნ. ნიკოლაძე — ბევრი ისეთი მწერალი გვყავს, რომ ყველა ლიტერატურას დაამშვენებდა, მაგრამ მკითხველი არ იცნობს მათ. ახალ ლექსს მაშინ კითხულობს, როცა „უწინდელი ლექსის შთაბეჭდილება დავიწყებულია“ [1].

ამ დებულებიდან გამომდინარე, 1873 წელს ნ. ნიკოლაძემ გადაჭრით მოითხოვა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვათა თხზულებების „სრული კრებულების გამოცემა.

კონკრეტული ანალიზის პრიმატით უნდა ავხსნათ ისიც, რომ პრობლემური შეხედულებანი „კრებულში“ მუდამ ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვასთან დაკავშირებითაა გამოთქმული და ხელოვნური მასალა საილუსტრაციო ფონს კი არ წარმოადგენს, არამედ ამოსავალი წერტილია. რაკი კრიტიკის ობიექტად ყოველდღიური მხატვრული პროდუქცია იქცა, კრიტიკული წერილები, უმთავრესად, წიგნის „მიმოხილვისა“ და „ბიბლიოგრაფიული შენიშვნების“ სახით იბეჭდებოდა. ასეთ „ბიბლიოგრაფიულს შემეცნებას“ გ. წერეთელი მაღალი რანგის კრი-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

ტიკად თვლის, რომელმაც „დამჯდარი მოსაზრებით უნდა აგვიხსნას, რა არის სასარგებლო ან მავნებელი ახალს ლიტერატურულს მოვლინებაში“.[1]

უკვე ეს ფაქტიც მიგვანიშნებს, როგორ ესმოდა „კრებულს“ კრიტიკის ამოცანა და ხასიათი. მაგრამ, ჟურნალის თანამშრომლებმა სრული სიცხადითაც გამოთქვეს და დაასაბუთეს ამ საკითხზე თავიანთი შეხედულებანი. ვრცელ წერილში — „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ (1871 წ. № 3), ნ. ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა „განმანათლებლური კრიტიკის“ ძირითადი პრინციპები, დაგმო დოგმატურ-სქოლასტიკური კრიტიკა, უარყო ავტორიტეტთა ბრმა თაყვანისცემა და კრიტიკა შემოქმედებით აქტად გამოაცხადა. მართალია, ეს ისტორიული ამოცანა ჩვენში პირველად ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა, პირველად მან გაილაშქრა გაბატონებული ფორმულებისა და, რაღაც, ხელუხლებელი „ანბანთ თეორეტიკის“ წინააღმდეგ, მაგრამ, დროის შესაბამისად, მისი წერილების ძირითად პათოსს პოლემიკა შეადგენდა და პრობლემების დანაწევრებულ პოზიტიურ ახსნას ჯეროვანი ადგილი ვერ დაეთმობოდა. ნ. ნიკოლაძის წერილში მეცნიერული მტკიცებით არის მოცემული ლიტერატურის ძეგლთა იდეურ-ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმი; ნაჩვენებია საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი როლი შემოქმედისა და შემოქმედების არსის ჩამოყალიბებაში; მრავალ ასპექტსა და განუყოფელ ურთიერთკავშირშია განხილული კრიტიკის მიზნები, ხასიათი და პრინციპები. ნაწარმოების მრავალმხრივი ანალიზით, კრიტიკოსი თვალნათლივ ავლენს მის არსს და ამით შუამავალი ხდება მწერალსა და მკითხველს შორის.

ნ. ნიკოლაძე მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან კრიტიკის ფუნქციას დადებითი და უარყოფითი ნაწარმოების შეფასებისას. მაღალიდეური და მაღალმხატვრული შემოქმედების განხილვისას, კრიტიკოსი, უწინარეს ყოვლისა, ავტორის იდეებისა და ესთეტიკური იდეალის პროპაგანდისტი და პოპულარიზატორია. ის მაგალითად უსახავს მკითხველს მწერლის შეხე-

---

1 „დროება“, 1871 წ., № 24.

დულებებს, განმარტავს შემოქმედებითს ჩანაფიქრს და ხელს უწყობს ავტორის კეთილ მისწრაფებათა დამკვიდრებას, რითაც ეფექტურ დახმარებას უწევს როგორც მწერალს, ისე მკითხველ საზოგადოებას. „კრიტიკის დახმარებით თხზულების სურათს ღირსეული დაფასება, ახსნა და გავრცელება ეძლევა. კრიტიკა უხსნის მკითხველს რა ძალა და მნიშვნელობა, რა ხასიათი და გავლენა აქვს მწერლის თითეულ სურათს, რას ნიშნავს წვრილმანი მხარეები, ერთი სიტყვით, ათასნაირად უტრიალებს და უსინჯავს მკითხველს იმ ხასიათს და სურათებს, რომლებიც მწერლის თხზულებაში გაკვრით თუ არა, ისე ვერ გამოჩნდებოდნენ... კრიტიკა პირდაპირ ამბობს, ...აი, რასა და რას წარმოგვიდგენს ჩვენი იმ საგნების, ხასიათების და მდგომარეობის გასინჯვა, აი, რა და რა აზრს სძრავს და რა გრძნობებს ბადებს ჩვენში ეს თხზულებაო... კრიტიკა ამხსნელი, განმმარტებული და ადგილის მაჩვენებელია“.

ამ დასკვნის გამოსატანად ნ. ნიკოლაძეს, სხვათა შორის, საფუძველს აძლევდა ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის მთელი ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა. გ. ვ. პლეხანოვის სიტყვითაც, ბელინსკის წერილების წაკითხვის შემდეგ, მკითხველი მისთვის შეუმჩნეველ მრავალ აზრს, ბევრ ახალ მხარეს იპოვიდა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის ნაწერებში, ახლებურად გადაეშლებოდა თვალწინ მათი შემოქმედების ხასიათი. კრიტიკის ოპტიკური აღჭურვილობა ნაწარმოებში ხშირად ისეთ თვისებებსაც ავლენს, რომელიც შეუიარაღებელი თვალისათვის დაფარული რჩება.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ხელოვანის გაბრწყინვალებითი არსენალი ზღვარდებულია, ხოლო კრიტიკოსს საშუალება აქვს მრავალგვარ ჭრილში გადაიტანოს და გააშუქოს საგანი, მრავალმხრივ აწონ-დაწონოს, შეადაროს საზოგადოებრივი ცხოვრების „დანარჩენი ნაწილების მოქმედებას და მოძრაობას“, გარკვეული მიზნით, დაშალოს და ახალ-ახალ შესაძლო ვარიაციებში გაამთლიანოს ის, რათა ზედმიწევნით სწორად განსაზღვროს მისი ხასიათი და ბუნება.

ნ. ნიკოლაძე მართალია, როცა გვარწმუნებს, ყველა მკითხველი ყველაფერს როდი გაიგებსო, მაგრამ მის მტკიცებაში,

მაინც შესამჩნევია „განმანათლებლური კრიტიკის“ რეცეპტი, რომლის მიხედვითაც, კრიტიკოსს ძალიან ცოტა ლაპარაკი უხდებოდა თვით ნაწარმოების შესახებ და ძალიან ბევრისა — ნაწარმოების გამო [1].

ნ. ნიკოლაძე, როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი, კრიტიკას სოციალური მხილების როლს ანიჭებს და მხატვრული ნაწარმოების ანალიზით საზოგადოებრივ მოვლენათა განსჯა-შეფასებას მოითხოვს. მკითხველთა სოციალური გათვითცნობიერება მას კრიტიკის საპატიო მოვალეობად მიაჩნია, ხოლო კრიტიკოსს საზოგადოებრივი აზრის ორგანიზატორად თვლის.

ამ გაგებიდან გამომდინარე, ლიტერატურის კრიტიკოსი ფილოსოფოსი და სოციოლოგიც უნდა ყოფილიყო. მას, უწინარეს ყოვლისა, სოციალური თვალსაზრისით უნდა გადაეწყვიტა. თუ როგორ შესძლო მწერალმა სინამდვილის ასახვა, — რა უნდა ეჩვენებინა და რა გვიჩვენა. ეს თვალთახედვა, ნ. ნიკოლაძის აზრით, განსაკუთრებით საჭიროა ყალბი ტენდენციების გამოსაელინებლად და უარყოფითი, ხელმოცარული ნაწარმოების ანალიზის გზით, საზოგადოებრივ აზრზე, არსებითად, იმავე ზემოქმედების მოსახდენად, რასაც ჩვეულებრივ, დადებითი ნაწარმოების განხილვით ვაღწევთ. „როცა კრიტიკა მახინჯ თხზულებას სინჯავს. — წერს ნ. ნიკოლაძე, — ის თავდაპირველად იმ ცხოვრების ნაწილს იღებს, რომელიც უნდა გამოეხატა მწერალს და მის აღწერილობას ადარებს: კრიტიკა ამბობს: აი, რას წარმოგვიდგენდა ჩვენ ნამდვილი ცხოვრება, — აი, რა და რა მხარეზე უნდა მიექცია მწერალს ყურადღება, — აი, რა და რა უმთავრესი საფუძველი და ნაყოფი აქვს ამ ცხოვრებას და აი, მესამე მხრივ, რანაირათ, რა სუსტათ გამოუხატავს ეს საგანი მწერალს. რა დაბნეულად და შეუფარებლად აუწერია იმას ცხოვრება“. როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძეს გონებამახვილურად აქვს განსაზღვრული „კრიტიკოს განმანათლებლის“ მოვალეობა ორსავე შემთხვევაში. როგორც

---

[1] Г. В. Плеханов, Литература и Эстетика. 1958. т. II., стр. 525.

დადებითი, ისე უარყოფითი ლიტერატურული ფაქტის ანალიზი, თუ მას სწორ სოციალურ კუთხეს გამოვუძებნით, პრინციპულად, ერთნაირი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შეხედულებათა გასავრცელებლად.

მრავალმხრივ განხილვა-შეფასების ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა დიდად აამაღლა მწერლის პირადი ცხოვრების მნიშვნელობა მისი შემოქმედების ხასიათის განსაზღვრაში. ჯერ იპოლიტ ტენმა, შემდეგ, გეორგ ბრანდესმა მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შერწყმული ანალიზით საყოველთაო სახელი მოიხვეჭეს.

უთუოდ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ 70-იანი წლებიდან გაფაციცებით დაიწყეს ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიული მასალების შეკრება. „კრებულშიაც“ გამოქვეყნდა პოეტის კერძო წერილები. ნ. ნიკოლაძეშაც ბიოგრაფიული მომენტებით სცადა გრ. ორბელიანის შემოქმედების ცალკეულ საკითხთა ახსნა.

მხატვრული ლიტერატურის ანალიზში „კრებულმა“ პრინციპული მნიშვნელობის ფაქტორად აღიარა მწერლის ცხოვრება, ხელოვანის სულიერი ბიოგრაფია, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობის საფუძველს თვით შემოქმედის ტალანტი და მისი ინდივიდუალური თავისებურებები წარმოადგენს; კრიტიკას არ შეუძლია შესცვალოს ამ ტალანტის ბუნება, — წაართვას მას ის, რაც აქვს, და მიანიჭოს, რაც არ გააჩნია. „კრიტიკაზე ამ მხრით მარტო ის მოვალეობა ძევს, რომ გასინჯოს, ეის როგორი ნიჭი უხმარია და როგორი მომხდურობა გამოუჩენია თავისი გრძნობის გამოთქმის დროს“ [1].

აღნიშნული თვალსაზრისი ზუსტად ასახავს დობროლიუბოვის „რეალური კრიტიკის“ დებულებას, რომ კრიტიკა შეისწავლის და არ აწესებს; არ მოითხოვს, რომ მწერალმა წეროს გამოჭრილი შაბლონის მიხედვით და არა ისე, როგორც სურს;

---

1 ნ. ნიკოლაძე, „გრიგოლ ორბელიანი“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

არამედ „განიხილავს მხოლოდ იმას, რასაც შემომქმედი ქმნის“ და „საკუთარ მოსაზრებებს თავზე არავის ახვევს“. მაგრამ, არც დობროლიუბოვს და არც ნ. ნიკოლაძეს ეს დებულება „ჩაურევლობის“ პრინციპად არ გამოუცხადებიათ. როგორც ვნახეთ, ნ. ნიკოლაძე მას ტალანტის ინდივიდუალობის ჩარჩოებით შემოსაზღვრავს და კრიტიკას ფრიად ფართო ასპარეზს უტოვებს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის სფეროში. უწინარეს ყოვლისა, კრიტიკის მოვალეობად მას ნაწარმოების პროგრესული ინტერპრეტაცია და შემოქმედის იდეური გამოწრთობა მიაჩნია. მართალია, კრიტიკა მწერლის ტალანტს ვერ შესცვლის და ყოველგვარი ტალანტისათვის გამოსადეგ შაბლონს ვერ გამოსჭრის, მაგრამ მას შეუძლია სწორი გზა უჩვენოს შემოქმედს, დაეხმაროს მას თემისა და მასალის შერჩევაში, გაარკვიოს ცხოვრების ტენდენციათა ამოცნობაში და ყურადღება გაუმახვილოს არსებით მხარეებზე, რაც, ცხადია, ასახვის მხატვრულ სპეციფიკაშიაც თავისებურ გამოხატულებას ჰპოვებს. ამ საკითხს ძალიან დიდ ადგილს უთმობს როგორც ნ. ნიკოლაძე, ისე პ. უმიკაშვილი. ნ. ნიკოლაძის აზრით, ცხოვრებაში ზოგი მოვლენა იშვიათია, ზოგი კი ძალიან გავრცელებული. ზოგი საზოგადოებრივად საინტერესოა, რადგან მსგავს მოვლენათა ხასიათს აჩენს, ზოგი კი — სრულიად უმნიშვნელოა, რადგან „არაფერს არ აჩენს“. „რა ნაირათ აიწერება ცხოვრება; როგორ გამოიხატება მისი მოვლენანი“? — კითხულობს კრიტიკოსი. — ყოველი მოვლენა ღირსია აწერისა თუ ზოგიერთები, და რითი უნდა იხელმძღვანელოს მწერალმა ასაწერი მოკლენის არჩევის დროს? ნ. ნიკოლაძეს ორი მაგალითი მოაქვს თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ. 1. მოწაფემ ვერ აიტანა მასწავლებლისაგან დევნა და თავი ჩამოიხრჩო; 2. მოწაფემ, შეცდომით, შაქრის ნაცვლად „თაგვის წამალი“ ჩაყარა წყალში და მოიწამლა. პირველი შემთხვევა მნიშვნელოვანია, რადგან რელიეფურად ავლენს არსებული აღზრდის სიმახინჯეს, ხოლო მეორე უმნიშვნელოა, რადგან არაფერს არ ავლენს. პირველი მოწაფის ბედი (თუნდ, თხზულება სუსტად იყოს დაწერილი),—

..ააღელვებს, დააფიქრებს და კვალს დასტოვებს, თითქმის, ყველა მკითხველის გულსა და ტვინში“ [1].

ერთი სიტყვით, მწერლის მიმართ კრიტიკას დაკისრებული აქვს საზოგადოებრივი აღმზრდელის ფუნქცია, რათა „ჭეშმარიტი ტალანტი არ დაიღუპოს“ (ჩერნიშევსკი), გზას არ ასცდეს და ნიჭი უსარგებლოდ ან საზიანოდ არ გამოიყენოს. ნ. ნიკოლაძე დარწმუნებულია, რომ ამგვარი კრიტიკის უქონლობამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ლიტერატურას. მწერლებმა არ იცოდნენ, „თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებას და რა ადგილი... უნდა მიეცეს მწერლობაში რომელსამე შემთხვევას, მოვლენას, ხასიათს და მდგომარეობას“.

„კრებული“ გმობს სუბიექტურ მსჯავრდებას, რომელიც შემდეგ იმპრესიონისტული კრიტიკის სახელით გახდა ცნობილი და რომელიც შეფასების ერთადერთ საზომად აცხადებს ფორმულას: „მე მომწონს“ ან „მე არ მომწონს“, — იგი აუცილებლად სცნობს ხელოვნების ძეგლთა ღრმა ანალიზს, მათი საზოგადოებრივი სარგებლიანობის პოზიციებიდან და გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს სოციალურ-პოლიტიკურ ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, კრიტიკოსი კომენტატორი კი არ არის, არამედ თანაშემოქმედია, რომელიც ნათელს ჰფენს ავტორის იდეას, სხივს მატებს მის ჩანაფიქრს და თავისებურად აგვირგვინებს მის წამოწყებულ საქმეს. მაგრამ, ამ დებულებას ნ. ნიკოლაძე უკიდურესობამდე მიჰყავს და ამით ის უნებურად ამცირებს, როგორც შემოქმედის, ისე მკითხველის როლს. მხატვრულ ნაწარმოებს იგი ადარებს კალატოზის მიერ ამოყვანილ კედლებს, რომელსაც შეერთება ესაჭიროება. რას ჰგავდა ეს კედლები? „მოჰქონდა იმას ის სარგებლობა, რომელიც უნდა მოეტანა სახლს. რომლისთვისაც დანიშნული იყო ეს კედლები და რომელიც უკედლოთ ვერ გაიმართებოდა? — ეს მაგალითი ნამდვილი გამოსახვაა იმ ურთიერთ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს ლიტერატურასა და კრიტიკას შუა. კრიტიკას კედლების შეერთება, დაგვირგვინება, გამოყენება

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“. „კრებული“. 1871 წ., № 3.

აქვს მინდობილი, საზოგადო ლიტერატურის საქმეში". ამ ტლანქ მაგალითში მიჩქმალულია ლიტერატურის უშუალო ზემოქმედების უნარი და ხელოვნების ნაწარმოებთა სრულქმნის შესაძლებლობა, რაც კრიტიკას „კედლების" ნებისმიერი შეერთების უფლებას უტოვებს. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი იყო ხაზგასმა, რომ ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ძეგლი თავისთავად დასრულებულია და ის, რასაც ნ. ნიკოლაძე „კედლების ამოყვანას" უწოდებს, ამ დასრულების ფარგლებს ვერც გადასცდება და ვერც უღალატებს. მაშინაც კი, როცა კრიტიკოსი ნაწარმოებში წინ სწევს იმას, რაც თვით მწერლისთვის მკაფიოდ შეცნობილი არ არის (როგორც, მაგალითად, ნ. დობროლიუბოვის მიერ ი. ტურგენევის „წინადღით" ინტერპრეტაცია), იგი ამ მხატვრულად დასრულებულის სფეროში მოქმედობს; მაგრამ, შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, რომ ნ. ნიკოლაძეს, ძირითადად, მაინც სწორად ესმის შემოქმედისა და მომხმარებლის ურთიერთობაში კრიტიკის როლი. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კრიტიკა ტონს აძლევს საზოგადოებრივ აზრს, — უფრო მეტი, — ქმნის და წარმართავს ამ აზრს, გავლენას ახდენს საზოგადოების ესთეტიკურ გემოვნებაზე, გზას უჭრის ან გზას უკაფავს ნაწარმოებს, იმის მიხედვით, საზიანოა თუ სასარგებლოა საზოგადოებისათვის. „ხელმძღვანელი კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის".

ამ მხრივ, კრიტიკა ეფექტურ დახმარებას უწევს როგორც საზოგადოებას, ისე მწერალს, რომელსაც ყოველთვის ეშინია, რომ მკითხველი ვერ გაუგებს, სწორად ვერ ამოიცნობს მის ჩანაფიქრს და, ამიტომ, იძულებულია, ჭარბი ფერი შეურიოს თხზულებას, გააუხეშოს ტენდენცია და ლომის სურათს კანკალით წააწეროს: „ძაღლი არ გეგონოთ, ლომიაო!" იქ, სადაც კრიტიკა მოწოდების სიმაღლეზეა, ხელოვანს ამ გაუგებრობის შიში აღარა აქვს და უფრო თავისუფლად და ფაქიზად ქმნის თავის ნაწარმოებს.

ეს, ერთი შეხედვით, მარტივი დებულება დიდად ამაღლებს კრიტიკის მოვალეობასა და პასუხისმგებლობას. ნ. ნიკოლაძე

კრიტიკისაგან მოითხოვს არა მარტო იმის ახსნას, რა და როგორ არის ასახული, არამედ, გარდა ამისა, და ამიტომ, რატომ ასეა ასახული და არა სხვაგვარად? რატომ ასეთია ეს ნაწარმოები და არა სხვაგვარი? შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო სხვაგვარი და, სახელდობრ, როგორი? რა შეიძლებოდა მომატებოდა ან მოკლებოდა მას? მისი რწმენით, ამ საკითხების გადაწყვეტა უსათუოდ მოითხოვს როგორც ასახულისა და ასასახავის შეპირისპირებას, ისე თვით ნაწარმოების გენეზისის შესწავლას. კრიტიკამ გულმოდგინე ანალიზით უნდა გამოავლინოს თხზულების აზრი, ყოველმხრივ განსაჯოს ის და მასზე დამყარებული განაჩენიც გამოიტანოს, ამიტომ კრიტიკული ნაშრომის ძალა ღრმა არგუმენტირებაში ვლინდება. მხოლოდ ამ საძირკველს შეიძლება დაემყაროს კრიტიკის სამართლიანობა, სიმკაცრე და ქმედითობა, ხოლო უპრინციპობის, მაამებლობისა და შიშის პირობებში კრიტიკას საფუძველი გამოთხრილი აქვს და მას ან პანეგირიკი სცვლის ან განუკითხავი სახრე. ამ ვითარებაში არათუ, საერთოდ, ლიტერატურას მოელის დაკნინება, არათუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალას დაჰკარგავს ის, თვით მწერალიც ვერასოდეს ეღირსება თავისი ავკარგის გაგებას, საკუთარი თავის შეცნობასა და სწორი გზის გამონახვას.

პ. უმიკაშვილი მღელვარედ, დიდი გულისტკივილით ლაპარაკობს მებრძოლი, მოუსყიდველი, პრინციპული კრიტიკის აუცილებლობაზე. ვერავითარი ქება ვერ განადიდებს უნიჭო ნაწარმოებს და ვერავითარი ძაგება ვერ დააკნინებს კარგს. რადგან ნაკლი და ღირსება თვით ნაწარმოების არსადაა ქცეული და მისი უზენაესი მსაჯული საზოგადოება და ისტორიაა. ხოლო უპრინციპო ქება-ძაგებას, მხოლოდ, კრიტიკის ავტორიტეტის დაკნინება-შერყევა შეუძლია. დიად მწერალთა და ნაწარმოებთა განდიდებით კრიტიკა საკუთარ დიდებას ქმნის; უნიჭო ნაცოდვილართა გამათრახებით, კრიტიკა ლიტერატურისა და საზოგადოების ღირსებას იცავს. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, კრიტიკა არსებით მხარეებს უნდა ირკვეოდეს და ერიდებოდეს წვრილმან შარებსა და კრიჭაში ჩადგომას.

„კრებულის“, ისევე როგორც „საქართველოს მოამბის“, ლიტერატურული კრიტიკა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკურ შეხედულებებს ემყარება, მაგრამ თუ „საქართველოს მოამბისათვის“ უშუალო წყარო ბელინსკი იყო, „კრებულის“ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ახალი მემკვიდრეობით საზრდოობს, რომელიც, პირველ რიგში, ქართული ლიტერატურული სინამდვილის სულითაა განცხოველებული, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპის ესთეტიკური აზროვნების შუქზეცაა წარმოსახული [1].

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ესთეტიკურ-კრიტიკული მემკვიდრეობისადმი ასეთი ერთგულება არათუ აძდაბლებს, არამედ შარავანდედით მოსავს „კრებულის“ კრიტიკოსთა სახელს, რადგან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებანი მსოფლიო ლიტერატურული აზროვნების მონაპოვართა ათვისება-ვადამუშავების საფუძველზე აღმოცენდა და იმდროინდელი განვითარების უმაღლეს დონეზე იმყოფებოდა. ასევე ცხადია, რომ თვითმყოფი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე დაეაქცებული მოღვაწენი, შემოქმედებითად იყენებდნენ ყველაფერს, რაც ამ ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ. „კრებულის“ კრიტიკულ წერილთა ანალიზი ეჭვს არ იწვევს, რომ ისინი (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ნ. ცხვედაძე) მეტ-ნაკლები სისრულით, უშუალოდ ევროპის ესთეტიკურ-კრიტიკული აზროვნების მონაპოვარსაც იცნობდნენ.

„კრებულის“ კრიტიკოსებს თავიანთი ესთეტიკური შეხედულებანი მწყობრად არ ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ კრიტიკულ წერილებში, ამ „ქმედით ესთეტიკაში“ (ბელინსკი), მაინც გამოვლინდა მათი თვალსაზრისი მშვენიერების ბუნებაზე, ხელოვნებისა და სინამდვილის მიმართებაზე.

ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება ნ. ნიკოლაძესთან ესთეტიკის ქვაკუთხედადაა წარმოდგენილი და მის ყველა წერილში მოცემულია ამ პრობლემის ისეთი

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ჩემს პიროვნებაზე“, „კრებული“, 1873 წ., № 7.

კონკრეტული გადაწყვეტის ცდა, რომელიც ეფექტურ იარაღს მისცემს კრიტიკოსს ხელოვნების ძეგლთა, ამ შემთხვევაში ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებისათვის. ავტორის დასკვნა მუდამ იმ დებულებათა ერთობლიობით ხასიათდება, რომ: ხელოვნების საგანი სინამდვილეა; რომ ხელოვნებას შეუძლია სინამდვილის შეცნობა და ასახვა; ხელოვნების სპეციფიკას სინამდვილის მხატვრული სახეებით გარდასახვა შეადგენს; ხალხის, პროგრესის სამსახური მისი წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ავტორის ძირითადი მატერიალისტური ესთეტიკური თვალსაზრისი, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მის წერილებში გამდიდრებულია ხელოვნების აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციის აღიარებით. „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ილია ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის ცნობილ სტატიებთან შედარებით, სიახლე აქ ამ უკანასკნელ მომენტზე ყურადღების გამახვილებაში უნდა ვეძიოთ. ჩვენს ესთეტიკურ აზროვნებაში იმ დროს საესებით გაბატონებული იყო ფორმულა, რომ „სიცოცხლე დედნათ უნდა ჰქონდეს ყოველთვის ხელოვნებასაო“ (ალ. ცაგარელი).

„დროება“-„კრებულის“ თანამშრომელთა ნაწერებში ამ ფორმულის გაშლილ პოპულარიზაციაზე, ეტყობა, გადამწყვეტი გავლენა მოუხდენია ნ. ჩერნიშევსკის ცნობილ განსაზღვრებას — „მშვენიერება არის ცხოვრება“, რომელიც კრიტიკული რეალიზმის აქტუალურ საბრძოლო ლოზუნგს, იდეალისტური ესთეტიკის ანტითეზას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მშვენიერების ბუნების განმსაზღვრელ რაღაც უნივერსალურ დოგმას.

ნ. ნიკოლაძის შეხედულება სავსებით ეხმიანება ჩერნიშევსკის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ხელოვნების ამოცანაა ცხოვრების ხელახლა წარმოქმნა და რომ, ამ გარდმოსახვის დროს ხელოვნება ვალდებულია მოგვცეს ცხოვრების ახსნა, მსჯავრი დასდოს ცხოვრების მოვლენებს და დაეხმაროს საზოგადოებას სინამდვილის სხვადასხვა მხარეებისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრაში. პირველი დებულების პრინციპული არსი ლიტერატურის ისტორიისათვის, რა თქმა

უნდა, ახალი არ იყო. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ ბუალო მოითხოვდა სინამდვილისადმი (ბუნებისადმი) ერთგულებასა და სიუჟეტების ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას.

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულებაზე ჩვენს კრიტიკაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, უმთავრესად, იმ მიმართულებით აღრმავებენ, რომ ხელოვნება სიღრმისეულად უნდა ასახავდეს ცხოვრებას, ამჩნევდეს განვითარების ტენდენციას და, ერთგვარად, წინ უსწრებდეს საერთო აზრს: ხელოვანი მტკიცე მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან უნდა სწვდებოდეს და ასახავდეს მოვლენათა არსს.

ისინი სინამდვილისადმი მაქსიმალურ ერთგულებას მოითხოვენ და სჯერათ, რომ ამ გზიდან მცირე გადახვევაც კი შეარყევს მკითხველსა და მწერალს შორის ნდობას, რადგან „მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში", მართალია თუ არა, რასაც მწერალი წერს (ნ. ნიკოლაძე) [1].

„კრებულის" კრიტიკოსები იმის აღიარებით არ დაკმაყოფილებულან, რომ ხელოვნება სინამდვილის მხატვრული ასახვაა. მათ ბევრი საყურადღებო მოსაზრება აქვთ გამოთქმული თვით ამ ასახვის ხასიათზე, მის სპეციფიკაზე, რეალიზმის პრობლემაზე. აღნიშნულ მოსაზრებათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ ასახული სინამდვილე საესებით უნდა შეესატყვისებოდეს ობიექტურ სინამდვილეს, სრული ჭეშმარიტებით გადმოსცემდეს მის ბუნებას და ამიტომ გარდმოსახვა თვით რეალური ცხოვრების ფორმაში უნდა განხორციელდეს. ამ ვითარებაში კრიტიკა მკაცრად აყენებს ცხოვრების შესწავლის ამოცანას. ხელოვანი გულგრილი მეთვალყურე კი არ უნდა იყოს, არამედ ღრმა ანალიტიკოსი, დამკვირვებელი და აქტიური მონაწილე საზოგადოების ბრძოლისა.

ქართული ლიტერატურის ნაკლოვანებებს, ზოგიერთი მწერლისა და თხზულების მარცხს ნ. ნიკოლაძე და პ. უმიკაშვილი ცხოვრების უცოდინარობით, სოციალურ პრობლემებში გაურ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა", „კრებული", 1872 წ., № 10—12.

კვევლობით ხსნიან. ნ. ნიკოლაძემ, თითქმის მთელი წერილი („კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში") მიუძღვნა ამ საკითხს.

ავტორის დასკვნით, ცხოვრებისეულის მხატვრული გარდასახვა რთული პროცესია და ვინც სინამდვილეს არ იცნობს, ვერ შესძლებს სინამდვილის ფორმაშივე მის გადმოცემას.

როგორც ვნახეთ, კრიტიკოსს მოუთმენლად მიაჩნია ხელოვანის ნეიტრალიზმი, ცხოვრებიდან მექანიკური გადმოწერა, გარდმოსახულ სინამდვილეში „ჩაურევლობა", ასახულისადმი საკუთარი დამოკიდებულების დაფარვა; რადგან, არსებული სოციალური სინამდვილე საზიზღარი და დასაგმობია, ნაწარმოები მისი ანალიზისა და უარყოფის სულით უნდა იყოს გამსჭვალული. მაგრამ, ხელოვნება ამ მიზანს სრულყოფილად მაშინ მიაღწევს, თუ საზიზღარ სინამდვილეს უკეთესი სინამდვილის იდეალსაც დაუპირისპირებს, თუ გარდმოსახულში შენარჩუნებული, განვითარებული და ნათლად გამოხატული იქნება უკეთესისათვის ბრძოლის ტენდენცია, რომელიც ყოველი სინამდვილის არსებითი ნიშანია. „როგორც საზოგადოების ზნეობითი ამაღლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრებისა და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი ჰქონდეს, — წერს ნ. ნიკოლაძე,—იმნაირადვე საჭიროა, რომ... მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდეს" [1].

აღნიშნული მოთხოვნები ხელოვნებას უაღრესად ძნელ ამოცანას აკისრებს, რადგან ცხოვრების სინამდვილე იმდენად რთული და მრავალფეროვანია, რომ მისი გადმოწერა წარმოუდგენელია, ხოლო სინამდვილის სინამდვილისავე გრძნობად-კონკრეტული ფორმაში გარდმოსახვა მთელი სისრულითა და მრავალფეროვნებით მის აღქმასა და შექმნა-აღდგენას გულისხმობს. ამ დიდი შემოქმედებითი აქტის წინაპირობას ხელოვანის ტალანტი და მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული დაკვირვებისა და განცდის უნარი წარმოადგენს, რომელიც

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა", „გლახის ნაამბობზედ", „კრებული", 1873 წ., № 5—6.

კლასიკური მემკვიდრეობის თავისებურად განცდა-ათვისების საფუძველზე დამყარებულმა დაოსტატებამ უნდა შეავსოს და გაამდიდროს. როგორც ერთ (რეალური სინამდვილის დაკვირვება, განცდა, აღქმა) და მეორე (სინამდვილის სინამდვილისაგე ფორმაში გარდმოსახვა), ისე მესამე შემთხვევაში (დაოსტატება) არსებითს მნიშვნელობას ნ. ნიკოლაძე ტიპიურის ფენომენს ანიჭებს. „ეს ცხოვრება ისე ვრცელია, იმას იმოდენა შეუნიშნავი მხარე და ღრმა საფუძველი აქვს. წერს კრიტიკოსი, — რომ მისი დაკვირვება, ერთბაშად დანახვა და აწერა ძლიერ იშვიათი გონებისთვისაა შესაძლებელი“ [1]. ამოცანის სირთულის შესაბამისად, ხელოვნებასაც საკუთარი და ძლიერი იარაღი გააჩნია ამ სირთულის დასაძლევად. მწერალი „ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი აზრი ცხოველ სურათად ჩაიჭრას მკითხველის ტვინში... ამ მიზეზით, პოეტები ნიადაგ სურათებს (образы) ხმარობენ, ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ მათი აზრი მჭლეთ და უხორციელოთ კი არა, შედარებითა და სურათით გაცხოველებული და აბსნილი გამოვიდეს... პოეტური სურათი, პოეტური „ფერი“ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით გამოხატული სურათი თითქმის უნებურათ შეეთვისოს მკითხველის გონებას..., ისე რომ, ყოველთვის, როცა მკითხველი იმისთანა საგანს ან შემთხვევას გაიხსენებს, რომელსაც რაიმე მსგავსება აქვს პოეტისაგან გამოთქმულ აზრთან ან გამოხატულ საგანთან, პოეტის სურათი და შედარება... თვალწინ უნდა დაუდგეს“ [2].

ნ. ნიკოლაძე და პ. უმიკაშვილი ასაბუთებენ, რომ რეალისტური მხატვრული სახე, რომელსაც ინდივიდუალური, მაგრამ სინამდვილისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები გააჩნია, საკმაოდ ძალმოსილია ცხოვრების არსის გადმოსაცემად. მხატვრული მიზანდასახულობით შერჩეული და გამთლიანებელი შემთხვევები და ფაქტები ცხოვრების კანონზომიერი განვითა-

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

2 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა. გრ. ორბელიანი“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

რების გამოხატულებად წარმოგვიდგებიან და ამიტომ, მწერალს მიზნად უნდა ჰქონდეს „საერთო სურათების შეკრება და ერთ საზოგადო სურათად გადაქცევა“ (ნ. ნიკოლაძე).

ტიპიურის ბუნების ცხადსაყოფად, ნ. ნიკოლაძეს ორი საინტერესო მაგალითი აქვს განხილული. ერთი, რომელსაც გაკვრით, უკვე, შევეხეთ, ხელოვნებაში გავრცელებულისა და იშვიათის, კანონზომიერისა და შემთხვევითის ადგილსა და მიმართებას შეეხება. მასწავლებლისაგან დევნილი მოწაფის თვითმკვლელობა გავრცელებულის, საზოგადოებრივად საყურადღებოს ილუსტრაციადაა წარმოდგენილი, რადგან მსგავს შემთხვევათა ხასიათს ავლენს და თანამედროვე აღზრდის სიმახინჯეს ამხელს. მაგრამ ტრაგიკული ბედი ბავშვისა, რომელმაც, შეცდომით, ჭიქაში „თაგვის წამალი“ ჩაიყარა, — შემთხვევითი და იშვიათია, — საზოგადოებრივად მნიშვნელოვანს ვერაფერს ავლენს. თავჩამოხრჩობილი „ყმაწვილის ბედი იმისაგან პოულობს თავის დიდ მნიშვნელობას, რომ ის წარმომადგენელია მრავალი ყმაწვილების და ი.ითქმის მთელი თაობის ბედის და მდგომარეობის, მასში გამოიხატა საზოგადო მდგომარეობა და დამხრჩვალი ყმაწვილი უბრალო კერძო პირისაგან, ტიპათ შეიქნა“ [1].

ავტორს, შეიძლება, შევედავოთ სტატიკური, არა ხელოვნებისეული მაგალითის ინტერპრეტაციაში, რადგან ჩვენთვის სრულიად უცნობია როგორც ერთი, ისე მეორე მოსწავლის დანარჩენი ნიშანთვისებები და გარემო, ხოლო ხელაღებით რომელიმე შემთხვევის ტიპიურად ან არატიპიურად გამოცხადება შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ, ის უეჭველად, სწორად მსჯელობს დროისა და სისტემის დამახასიათებელ თვისებაზე, როგორც ტიპიურის აუცილებელ ნიშანზე. კერძო შემთხვევები და ფაქტები, მისი მტკიცებით, ლიტერატურული გამოსახვის ღირსი მაშინ არის, როცა თვითეული მათგანი „წარმომადგენელია მრავალი სხვა თავისგვარი მოვლენებისა“.

ტიპიურში არსებითის როლის წარმოსაჩენად, ნ. ნიკოლა-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებული“, 1873 წ., № 3.

ძეს მაგალითად მოაქვს იმ კაცის დაუკვირვებლობა, რომელსაც პირველად უჩვენეს ასანთი და როცა სთხოვეს აეწერა ის, თქვა, რომ ეს არის „პაწაწინა ჩხირები შეღებილი თავებით“. მან ვერ შეამჩნია „უმთავრესი ხასიათი და მნიშვნელობა; იმას არ უთქვამს, რომ, როცა ამ ჩხირების შეღებილ წვერს კოლოფის ხორკლიან თავზე... გაჰკრავენ, ჩხირს ცეცხლი წაეკიდება“. ამ მაგალითს კრიტიკოსი მოხერხებულად იყენებს იმ მწერალთა გასაბიაბურებლად, რომლებიც ვერ ამჩნევენ და ვერ ასახავენ ცხოვრების ტიპიურ მოვლენებს და უსარგებლო წვრილმანებს არიან გადაყოლილი.

ნ. ნიკოლაძეს ნაჩვენები აქვს, რომ ტიპიურის გზით გარდმოსახული სინამდვილე რეალური ცხოვრების ასლს კი არ წარმოადგენს, არამედ მისი განცხოველებული სურათია და უფრო ღრმა და სრულ წარმოდგენასაც იძლევა მასზე, რადგან მრავალ ნიშანდობლივ თვისებათა ორგანულ მთლიანობაში მხატვრულ წარმოსახვას ემყარება. „ის ცხოვრება, რომელიც თხზულებაშია გამოსახული, მკითხველს ნაცნობ და თან უცნობ საგნათ ეჩვენება“ [1]. — ასე ეხმიანება ჩვენი კრიტიკოსი ბ. ბელინსკის ცნობილ დებულებას, რომლისადმი ერთგულება უფრო ადრე ი. ჭავჭავაძემ დაადასტურა „საქართველოს მოამბეში“.

მაგრამ, ვინც ვერ ამჩნევს სინამდვილის არსებით მხარეს, განვითარების ტენდენციას, ისე წარმოგვისახავს ცხოვრებას, როგორც „პაწაწინა ჩხირებს შეღებილი თავებით“, ასეთ ნაწარმოებში ცხოვრება ვერასოდეს წარმოგვიდგება თავისი წინააღმდეგობებითა და მოთხოვნილებებით, ათასგვარად დახლართული ვნებებითა და გრძნობებით. ყველაფერი მკრთალად, ერთნაირად უფერულად გამოჩნდება. უმნიშვნელოს გაზვიადება და მნიშვნელოვანის დაკნინება სინამდვილის დამახინჯებულ სურათს მოგვცემს, მომხმარებელს დააბნევს და მცდარ გზაზე დააყენებს.

ძალიან საყურადღებოა, რომ ამ ვითარებაში ასახვის ხასიათს ნ. ნიკოლაძე უშუალოდ აღქმის ხასიათთან აკავშირებს.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 8.

ხოლო ეს უკანასკნელი მას შემომქმედის მსოფლშეგრძნების გამოვლინებად მიაჩნია; ცხოვრების ყველა მოვლენა ყველაზე ერთნაირ შთაბეჭდილებას როდი ახდენს. „კაცის ტვინი მარტო ისეთ შემთხვევებს იგებს და გრძნობს, რომელიც მის საკუთარ შინაგან მდგომარეობას შეეხება... ის აკვირდება, იკვლევს და იგებს მარტო იმ მოვლენას და შემთხვევას, რომელიც ცხოვრებას მისთვის განსაკუთრებით შესანიშნავი და ნაცნობი გაუხდია“. როცა მწერალს „ხეირიანი კაცური ცხოვრების იდეალი ეცაჩნია“, მაშინ ღრმად უკვირდება და მძაფრად აღიქვამს არსებითსა და საზოგადოებრივად აუცილებელს; ადვილად იგრძნობს, „რით უნდა იხელმძღვანელოს ასაწერი მოვლენის არჩევის დროს“, — შეარჩევს იმას, რაც „წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის გვარი მოვლენებისა“.

ნ. ნიკოლაძე ძალიან ვრცლად და, ძირითადად, სწორად განიხილავს იშვიათისა და გავრცელებულის, შემთხვევითისა და კანონზომიერის, ტიპიურისა და ინდივიდუალურის მიმართებასა და ადგილს ცხოვრებასა და ხელოვნებაში, ტიპიური ვითარებისა და ხასიათების წარმოქმნაში; [1] — მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმაოდ ვერ აფასებს კერძოობითის, შემთხვევითისა და იშვიათის ფუნქციას ცხოვრებასა და ხელოვნებაში, სახელდობრ, ტიპიურს შენებაში. ყოველივე შემთხვევითი და „წვრილმანი“ მას არა თუ „აღწერის“, დაკვირვების ღირსადაც არ მიაჩნია, უფრო მეტი ასეთი მოვლენები და ფაქტები მისთვის სინამდვილის გარეშეც კი დგას. კარგად რომ ჩავუკვირდეთ, აქ ტონთან გვაქვს საქმე და არა თვალსაზრისთან, ხოლო ეს ტონი კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების პათოსით იყო გამოწვეული. მაგრამ მას ტიპიურის გაგებაში ჩრდილოვანი მხარეც თან ახლდა, რადგან კერძოობითი, „შემთხვევითი“ და იშვიათი ტიპიური მხატვრული სახის შენებაში არსებით ფუნქციას ასრულებს; „История имела бы очень мистический характер,

---

1 ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“. „კრებული“, 1873 წ., № 8,

если бы „Случайности“ не играли никакой роли“ (ენგელსი).[1]

„შემთხვევითით“, ძალიან იშვიათით კანონზომიერისა და ძალიან გავრცელებულის დახასიათება მხატვრული ლიტერატურის უფლებამოსილი და ნაცადი საშუალებაა, მაგრამ ამ გარემოებისათვის „კრებულის“ კრიტიკოსებს სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ლიტერატურული სინამდვილე ამგვარი ანალიზისთვის მდიდარ მასალას იძლეოდა (გოგოლის „რევიზორი“, „მკვდარი სულები“, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ და სხვ.). ამავე კატეგორიის ხარვეზთა რიგს მიეკუთვნება სინამდვილის გარდმოსახვაში შემოქმედებითი ფანტაზიის, მხატვრული გამონაგონის როლის საკითხიც, რომელმაც საკმაო გაშუქება ვერ ჰპოვა „კრებულის“ კრიტიკოსთა ნაწერებში, თუმცა, როგორც ვნახავთ, ცხოვრების ცალკეულ მოვლენათა შორის შინაგანი კავშირის გამონახვა და ტიპიურის გზით სინამდვილის ახლებურად წარმოქმნა, მათი გაგებით, შემოქმედებითი ფანტაზიის ცხოველ მონაწილეობასაც გულისხმობს. ამასთან, „კრებულის“ კრიტიკოსები გარკვევით მიგვანიშნებენ ტიპიურში ზოგადისა და ინდივიდუალურის მიმართებაზე; მათთვის სავსებით ნათელია, რომ ტიპის სიცოცხლისუნარიანობას ეს ერთობლიობა განსაზღვრავს და მარტოდენ ზოგად ნიშანთვისებათა სქემა ვერასდროს გადმოსცემს სინამდვილის მართალ სურათს. ლიტერატურული მასალის ანალიზისას მკაფიოდ ვლინდება იმის შეგნება, რომ „ყოველი პირი ტიპია, მაგრამ, ამასთან, სრულიად დამოუკიდებელი პიროვნებაცაა“ (ენგელსი). ამ მხრივ, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს კრიტიკოსთა, კერძოდ, პ. უმიკაშვილის, მოსაზრებანი დადებითი ტიპის (გმირის) ხასიათის შესახებ. აქ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს შეხედულებანი ფოლკლორული ნაწარმოების („არსენას ლექსის“) განხილვასთან დაკავშირებითაა გამოთქმული, რადგან, ამ საბაბით, კრიტიკოსი რეალიზმის

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Избр. письма, 1947, стр. 264. (წერილი ლ. კუგელმანისადმი)

არსებით პრობლემებს ეხება. არსენა მისთვის ტიპია და ისეთი დადებითი ტიპია, რომელშიც მომავლის სახეა გამოხატული, ხალხის იდეალია განხორციელებული.

სინამდვილის მართალი ასახვა, სინამდვილისავე ფორმაში მისი ისტორიულ-კონკრეტული წარმოქმნა და დადებითი იდეალის შუქზე განვითარებადი ტენდენციების ჩვენება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ხელოვნებამ ღირსეულად აღასრულოს თავისი უწმინდესი ვალი — ხალხის სამსახური. ხელოვნების „სამსახურებრივი ფუნქცია" „კრებულის" ყურადღების ცენტრში დგას. უკლებლივ, ყველა კრიტიკული წერილის ძთავარ პათოსს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან ლიტერატურის სისხლხორცეული კავშირის მტკიცება შეადგენს. ხელოვნება მშრომელთა სულისკვეთებას, მათ მისწრაფებებს უნდა გამოხატავდეს, მათ სამართლიან ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს. პ. უმიკაშვილს ნათლად გამოკვეთილი აქვს სამოციანელთა თვალსაზრისი ლიტერატურის ხალხურობის ამ უმთავრეს საკითხებზე: „უნდა ვიცოდეთ..., როგორ ვაფასებთ ყველაფერს და მათ შორის სიტყვიერების ნაწარმოებსა. ყოველი მწერლის და თხზულების... სასწორ-საზომი ის არის, რამდენად ჰხატავს და გამოსთქვამს მწერალი ანუ თხზულება, რომელისამე დროს და ხალხის ბუნებითს წადილს და სურვილს, ბუნებითს ლტოლვილებაა" [1].

კრიტიკოსი მშრომელთა სოციალური, კლასობრივი მოთხოვნებისა და ბრძოლის აქტიურ მხარდაჭერას მიიჩნევს ლიტერატურის უპირველეს მოვალეობად. კარგი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მშრომელთა ინტერესებს ემსახურება, — ცუდია ყველაფერი, რაც ხალხის ბრძოლას ეწინააღმდეგება, აყალბებს ან გვერდს უვლის.

აღნიშნულ წერილში, იმ დროის კვალობაზე, პ. უმიკაშვილს ფართოდ გააზრებული და ღრმად გაანალიზებული აქვს ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა. ამ მხრივ, მან, უდავოდ, ახალი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში;

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა", „კრებული", 1872 წ., №№ 10—12.

მწერლობას მაგალითად დაუსახა თვით ხალხური შემოქმედების კლასობრივი სიმახვილე და საბრძოლო განწყობილება; დაანახვა მას შემოქმედებითი მოღვაწეობის კეთილშობილური ასპარეზი, ცხოველმყოფელი თემები და მოტივები. ხალხურობის პრინციპში სოციალურ-კლასობრივი ასპექტის ამგვარი გამახვილება ქართული კრიტიკული რეალიზმის თეორიულ საფუძველთა განმტკიცების უდავო მაჩვენებელია.

სინამდვილე „კრებულის“ კრიტიკოსთათვის ხალხის ცხოვრებაა, ხოლო მის არსებით მხარეს სოციალური უფლებებისათვის ბრძოლა შეადგენს. ამიტომ კრიტიკოსები განყენებულად არასდროს არ ლაპარაკობენ სინამდვილის ასახვაზე, ისინი მუდამ ხაზს უსვამენ „ხალხის მოთხოვნილებებს“ [1]. „ლიტერატურის... დანიშნულება იმაში მდგომარეობს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ ნამდვილად, სწორედ და გონიერად გამოხატოს ხალხის ყოფაცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“.

„კრებულის“ კრიტიკა უფრო შორს მიდის, — თანმიმდევრულად ავითარებს იმ აზრს, რომ ლიტერატურა პოლიტიკური ბრძოლის აქტიური იარაღია; სინამდვილის მართალი ასახვით, რელიეფურად ავლენს სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობებს, მომაკვდავსა და განვითარებადს, რეგრესულსა და პროგრესულს, რითაც თვალს უხელს მკითხველს და ხელს უწყობს მასების პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და საბრძოლო დარაზმვას. პოლიტიკური შემეცნება და საბრძოლო აღელვება ყოველი მოწინავე ნაწარმოების აუცილებელი თვისებაა [2].

ლიტერატურა არათუ უნდა ეხმიანებოდეს ხალხის გულისწადილს, უნდა წარმოშვას და განაცხოველოს ის.

იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მაგალითზეც, პ. უმიკაშვილმა ნათლად წარმოაჩინა მხატვრული ლიტერატურის პოლიტიკური როლი. გარკვეულ პერიოდში

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

2 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „გლახის ნაამბობზე“, „კრებული“, 1873 წ., №№ 5—6.

მისი სიტყვით, ლიტერატურა პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი ასპარეზიც იყო, და, მან მტკიცე საფუძველი მოუმზადა შეიარაღებულ აჯანყებას.

„კრებულის“ კრიტიკოსთა აზრით, ლიტერატურა აღნიშნულ მიზანს, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ სიმახინჯეთა მხილებით აღწევს. გაბატონებული სისტემის კონცენტრირებული კრიტიკა თვალნათლივ ამჟღავნებს მისი მოსპობის გარდუვალობას. ნ. ნიკოლაძე არაერთგზის შეეხო კრიტიკული რეალიზმის ამ პრინციპულ საკითხს და ბევრი საყურადღებო მოსაზრებაც გამოთქვა. ჯერ, წერილში — „დიკენსი და თეკერეი“, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ, „კრებულის“ სტატიებში, მან ფართოდ დაახასიათა პოლიტიკურ ბოროტებათა მხატვრული მხილების მნიშვნელობა და თავისებურებანი.

რამდენად დიდ როლს ანიჭებდა ნ. ნიკოლაძე სოციალური სინამდვილის მკაცრ მხილებას, იქიდანაც ჩანს, რომ მის წერილებში მხატვრული სრულყოფის ნიმუშად, თითქმის, მუდამ დასახელებულია სვიფტის, სერვანტესის, მოლიერის, გოგოლის შემოქმედება, — ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ მისი აზრით, ნაწარმოები მით უფრო შთამბეჭდავი და სასარგებლოა, რაც უფრო ძლიერია მასში სოციალური ბოროტებისადმი ზიზღის აღმძვრელი სატირა, რაც უფრო სარკასტული ტონი აქვს მას. არსებითად, ამ საკითხს მიუძღვნა მან „კრებულში“ დაბეჭდილი ვრცელი წერილი — „თანამედროვე მწერლობა“, რომელშიც ნაპოლეონ მესამისა და პარიზის კომუნის დროინდელი ფრანგული მამხილებელ-სატირული ლიტერატურაა განხილული.

„კრებულის“ კრიტიკა თანაბარი სიძლიერითა და განუყოფელ ერთიანობაში განიხილავდა ლიტერატურის როლს, როგორც სოციალური, ისე ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში, მაღლა სწევდა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, პატრიოტიზმის დროშას, რაც გამოხატულებას ჰპოვებდა მთელ მის მრავალფეროვან წვდომაში შინაარსისა და ფორმის ხაზით, ლიტერატურის ნაციონალური ხასიათის განსაზღვრიდან დაწყებული ეთნოგრაფიული ელემენტების გათვალისწინებამდე.

გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნ. ნიკოლაძე ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის, მისწრაფებების, ყოფისა და ფსიქიკური წყობის თავისებურებათა გამოხატვას აფასებდა. მას აინტერესებს, როგორ აისახა მათ ნაწერებში „ჩვენი ქვეყნის ბუნება“, „ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა... ლაზათიანი გამოთქმა“, უთხოვებიათ თუ არა ყური ჩვენი ხალხის პოეზიისათვის, გასცნობიან თუ არა მის ხასიათს, დაუნახავთ და შეუთვისებიათ თუ არა „ჩვენი ხალხის მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამოხატულება“.

მაგრამ, ხელოვნების სოციალური განპირობებულობისა და „საზოგადოებრივი მოვალეობის“ საკითხები „კრებულს“ არასოდეს განუხილავს ცალმხრივად, მისი სპეციფიკისაგან მოწყვეტით. კრიტიკოსები განუყოფელ მთლიანობაში იძლეოდნენ იდეოლოგიური შინაარსისა და ესთეტიკური ღირსების ანალიზს. თეორიულ წერილს -- „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა...“, ნ. ნიკოლაძე იმის მტკიცებით იწყებს, რომ ხელოვნების არსს შეადგენს ხატვა, ჩვენება. ლიტერატურა „ხატავს ხალხის მდგომარეობას... ეკონომიური და პოლიტიკური მწერლობა -- იკვლევს მის მოთხოვნილებას, — ...ფილოსოფია — არჩევს მისი აზრის მოძრაობას“. ამ შედარების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. ნიკოლაძისათვის მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის განსხვავებას ქმნის ჰეშმარიტების გამოსახვის საშუალება, — მეცნიერება ლოგიკის ენით სარგებლობს, ხოლო ხელოვნება — მხატვრული სახეებით მეტყველებს და ორთავეს შინაარსს ობიექტური სინამდვილე წარმოადგენს. ასეთი შედარება მთლად ნათელი ვერ არის, რადგან ის არ გამორიცხავს ხელოვნების თვით შინაარსის თავისებურების იგნორირებას, რადგან ხელოვნების შინაარსი, მისთვის დამახასიათებელი ფორმის ჩარჩოებში, უკვე სპეციფიკური შინაარსია. — მართალია, სინამდვილის წარმოსახვის შედეგია, მაგრამ მხატვრულ ფორმაში წარმოსახვისა, ე. ი. შემოქმედებითი აქტის პროდუქტია. მაგრამ, ხელოვნების ფორმისა და შინაარსის განუყოფელი ერთიანობა „კრებულის“ კრიტიკოსებისათვის

სავსებით ნათელია. მათ მტკიცედ სწამთ, რომ ლიტერატურაში ფორმა უშინაარსოდ და შინაარსი უფორმოდ არ არსებობს.

ნ. ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ყიფიანი და სხვ. მუდამ ფორმისა და შინაარსის განუყოფელ ერთიანობაში განიხილავდნენ მხატვრულ ნაწარმოებს და მათი წერილების მებრძოლი იდეური პათოსის შთაბეჭდილებით, საზოგადოებას რომ ცალმხრივი წარმოდგენა არ შექმნოდა, საგანგებოდაც მიუთითებდნენ მხატვრობაზე, როგორც სინამდვილის გარდასახვის აუცილებელ პირობაზე. ხაზს უსვამდნენ, რომ ხელოვნება იქ იწყება, სადაც შინაარსი მხატვრულ ფორმაშია გააზრებული და გადმოცემული. „პოეტის ნიჭისა და ძალის დასაფასებლად, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ყველაზე უწინ იმ მხარეს უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება, თუ როგორი ხელოვნებით, როგორი მხატვრულობით, სისწორით და სიმარჯვით გამოთქვამს ის თავის აზრსა და გრძნობას და რა სინამდვილე და სიღრმე აქვს თვითონ ამ აზრსა და გრძნობასა...". ეხება რა გრ. ორბელიანის პოეზიის ფსიქოლოგიურ წვდომას, კრიტიკოსი დასძენს: „ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა. იმ მხრით მაინც, რომელიც აზრისა და გრძნობის ტანსაცმელს, გარეგან ფორმას შეეხება" [1].

„კრებულს" სავსებით შეგნებული აქვს, რომ ფორმის გაბატონება რეაქციულ კლასთა იდეოლოგიას ასახავს, ართმევს ხელოვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედების უნარს, აკნინებს და უკარგავს არსებით ფუნქციას. ჟურნალი გადაჭრით გმობს „წმინდა ხელოვნებას", ფორმალიზმს, ლიტერატურულ სნობიზმს. ნ. ცხვედაძე პრინციპულ ნაკლად მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეებში, სქოლასტიკისა და მისტიციზმის ზეგავლენით, იტალიელებს „დიდი მნიშვნელობა უძლევიათ თხზულების გარეგანი მხარისათვის და უყურადღებოდ გაუშვიათ შინაგანი მხარე" [2]. პ. უმიკაშვილის აზრით, საზოგადოების წინსვლის-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „გრ. ორბელიანი", „კრებული", 1873 წ., №3 (ტერმინების გამო: „ტანსაცმელი", „გარეგანი ფორმა", — ჩვენ, ცხადია, ავტორს ვერ გამოვედავებით).

[2] ნ. ცხვედაძე, „მეთექვსმეტე საუკუნე", „კრებული", 1873 წ., № 1.

თვის საზიანო იყო ლეოპარდის, მანცონის, გროსის, პელიკოს, დაზელიოს შემოქმედება, რადგან, ისინი ხალხისათვის ძნელად მისაწვდომი ფორმით წერდნენ და ადამიანს მორჩილების სულს უნერგავდნენ.[1]

ნიკო ნიკოლაძემ არა ერთხელ ამხილა უიდეო, ბულვარული. მაკვირია — სენსაციური თხზულებანი, — „La petite presse" („მცირედი მწერლობა"), რომელიც „ხალხს აძინებს" [2], ათასგვარ რამე-რუმეზე მჯღაბნელი „ათასობით პოლდეკოკები. ბორნები და ემსები", რომელთა მსგავსს „ასობით და ათასობით შეხვდება კაცი უცხო ქვეყნების მწერლობაში... და რუსეთშიც". ეს მისტიკური თავგადასავლები, სულიერი სუროგატები ლიტერატურის „ბალლასტს შეადგენს" და ჭეშმარიტ ხელოვნებასთან საერთო არა აქვს რა.[3] მაკვირია ამბების, „ახირებული ჩვეულებების" აღწერამ შეიძლება გაგვაოცოს, მაგრამ ვერც ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვანიჭებს და ვერც ცოდნას შეგვძენს.

ამასთან, ნ. ნიკოლაძე მიგვანიშნებს, რომ „პოლდეკოკები და ემსები" გაბატონებულ წრეთა სოციალურ დაკვეთას ასრულებენ, ხალხს სიფხიზლეს უდუნებენ და მწვავე საზოგადოებრივი პრობლემების გაგებას უძნელებენ. იგი პირდაპირ წერს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული და ხშირად, როგორც პრესა, ისე ლიტერატურა მოქრთამულია.

„კრებული" არც მეორე ცალმხრივობას — უტილიტარიზმს სცნობდა; კრიტიკოსები ერთგულად მიჰყვებოდნენ „საქართველოს მოამბის"-ა და ილია ჭავჭავაძის მიერ გაკვლეულ გზას, — მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ მხატვრულ ფორმას, — პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ მის უგულებელყოფასა და გაღარიბებას. პოლემიკურ წერილში — „ჩემს პიროვ-

---

1 პ. უმიკაშვილი, „იოსებ მაძინი", 1872 წ., № 8—9.

2 ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა", „კრებული", 1873 წ., № 8.

3 ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა", „კრებული", 1872 წ., № 10—12.

ნებაზე“, ნ. ნიკოლაძე აცხადებდა, რომ ის არ თანაუგრძნობდა პისარევს, ხოლო სტატიაში — „ჩვენი მწერლობა“ მკაცრად აკრიტიკებდა ანტ. ფურცელაძის უტილიტარულ შეხედულებებს. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „კრებული“ იმ დროს გამოდიოდა, როცა ბატონყმობის გაუქმების შედეგად, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი გამოიცვალა, ახალი მწვავე პრობლემები წამოიჭრა და ლიტერატურას ახალ-ახალი, ჯერ კიდევ ნედლი მასალა და დაუმუშავებელი თემები მოეძალა. კრიტიკა დაჩქარებით მოითხოვდა ამ სიახლეთა ასახვას და იდეურობის მტკიცების აზარტით, ზოგიერთ ადგილს, მაინც, დაჰკრავს უტილიტარიზმისა და ფორმისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ელფერი. მაგრამ, ვიმეორებთ, რომ ეს გარეგანი შთაბეჭდილებაა.

აღნიშნული სოციალური ცვლილებების გამო, „კრებულის“ კრიტიკაში, ისევე, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, „საქართველოს მოამბესთან“ შედარებით, შესამჩნევად გადიდდა პუბლიცისტიზმის ხვედრითი წონა. ძალიან ხშირად, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობის საბაბად იქცევა; კრიტიკოსები პუბლიცისტური სიღრმით იხილავენ და აფასებენ პოლიტიკურ მოვლენებს. ნ. ნიკოლაძე კრიტიკოსისაგან საზოგადოებრივ მეცნიერებათა საფუძვლიან ცოდნასაც მოითხოვს, რადგან მას ერთდროულად მოუხდება ნაწარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დახასიათება, ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება, მათი განხორციელების გზის გამოძებნა. ერთი სიტყვით, რაკი კრიტიკა საზოგადოებრივი აზრის წამმართველი და დამრაზმველი ძალაა, ვალდებულია, კიდეც, სწავლობდეს და ფართოდ აშუქებდეს მას. იგი გარკვეულად წერს, რომ „კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს, და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მაღლა მთელი ხალხის... სარგებლობას უნდა სთვლიდეს“ [1]. ავტორი აქ „რუსულ კრიტიკას“ იმოწმებს და აშკარაა,

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „გლახის ნაამბობზე“, „კრებული“, 1873 წ., № 5—6.

რომ მხედველობაში ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერები აქვს.

ამავე არგუმენტაციით, კრიტიკოსები მხატვრულ ლიტერატურაშიც მოითხოვდნენ პუბლიცისტიზმის გაძლიერებას. ნ. ნიკოლაძის წერილებში, განსაკუთრებით, წერილში „გლახის ნაამბობზე“, ეს მოთხოვნა შემოქმედებითი წარმატების აუცილებელ პირობად არის მიჩნეული. მისი აზრით „ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გავლენიანი და გამოსადეგი პუბლიცისტიკა, თითქმის, ერთი და იგივე საქმეა“. ვრცელი მიმოხილვით, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მწერალი უშუალო პუბლიცისტური მსჯელობით უნდა ერეოდეს ნაწარმოებში, — „პირდაპირ სჯიდეს და აფასებდეს გამოხატულ მოვლენას... ფელეტონური ლიტერატურა ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეადგენს“. ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძეს ქართული ლიტერატურის მიღწევად მიაჩნდა ი. ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების სცენები“. ამიტომ მოსწონდა მას ფრანგული „ფელეტონური ლიტერატურა“ თავისი მჭადაგებელი გმირებითა და საზოგადოებრივ საკითხებზე პირდაპირი მსჯელობით[1]. მოსწონდა საერთოდ ლიტერატურის რაციონალისტური პათოსი, მაგრამ არ ივიწყებდა, რომ თვით პუბლიცისტურ ელემენტსაც მაშინ აქვს ძალა, როცა ნაწარმოების იდეა, ძირითადად, „სურათების ოსტატური შეზავებით“, „სურათების ძალით“ არის გასულდგმულებული.

კრიტიკაში პუბლიცისტიზმის როლის ასეთი გაგება, ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ პროგრესულ ტრადიციად უნდა ვაღიაროთ. გ. ვ. პლეხანოვის აზრით, „ჭეშმარიტად ფილოსოფიური კრიტიკა, ამასთანავე, არის ჭეშმარიტად პუბლიცისტური კრიტიკა“. იგი დაუნდობლად აკლენს ყალბ იდეას, უარყოფს მხატვრულ ღირსებას მოკლებულ ნაწარმოებს

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 8,

და ეს ობიექტური კრიტიკა პუბლიცისტურია იმდენად, რამდენადაც ჭეშმარიტად მეცნიერულია. [1]

ამასთან, ნ. ნიკოლაძეს მხატვრული რეალიზმის იმ პრინციპის არსიც ესმოდა, რომელსაც ფრ. ენგელსი ასე აყალიბებს: „რამდენადაც დაფარულია ავტორის აზრები, იმდენად უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის: „რეალიზმი, რომელსაც მე ვგულისხმობ, ვლინდება ავტორის შეხედულებათა მიუხედავადაც“[2]. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, კრიტიკამ იმის მიხედვით უნდა შეაფასოს თხზულების ავკარგიანობა „აშკარად ჩანს თუ არა მწერლის აზრი, პირდაპირი სიტყვებით გამოთქმულია ის, თუ სხვადასხვა ხელოვნური და ნიჭიერი სურათების რაზმით არის შემკული და მიფარული“.[3]

ეს აზრი ზემოთგანხილულ შეხედულებებს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ გვიჩვენებს კრიტიკოსის კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას თვითეული მწერლისა და ნაწარმოებისადმი.

უკვე აღნიშნული მომენტებიც ადასტურებს, რომ „კრებული“ თანმიმდევრულად აღრმავებდა და განამტკიცებდა ქართული კრიტიკული რეალიზმის თეორიულ საფუძვლებს, პრინციპულად წინააღმდეგი იყო ზედაპირული აღწერითობისა, შემოქმედებაში სოციალურ მომენტთა დაჩრდილვისა და სტატიკური თხრობისა, ადამიანურ ვნებათა ცალმხრივი და საზოგადოებრივად განუპირობებელი წარმოსახვისა. მხატვრულ ნაწარმოებს კრიტიკა ყოველმხრივი მრავალფეროვნებისა და ყოველმხრივი სიღრმის თვალთახედვით განიხილავდა. ანალიზისას ის თვითონაც ასრულებდა სოციალურ ბოროტებათა მამხილებლისა და მსჯავრმდებლის როლს. კრიტიკოსები, ყალბი „ტენდენციურობის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რადგან შინაგან, მხატვრულ დასაბუთებას მოკლებული ასეთი „ტენდენციურობა“, გარკვეულ ისტორიულ სიტუაციაში, მათი აზრით, ზიანსაც აყენებდა მოწინავე იდეათა წარმატებას.

---

[1] გ. ვ. პლეხანოვი, თხზ., ტ. X, გვ. 192.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Избр. письма 1947. стр. 405.

[3] ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

მაგრამ, 90-იანი წლების პოლემიკის დროს, გ. წერეთელმა გადაჭრით განაცხადა, რომ „პირველი დასის“ „შეფერილ რეალიზმს“ „მეორე დასმა“ („დროება“-„კრებულის“ ჯგუფმა) სიტყვაკაზმულ მწერლობაში „შეუფერავი რეალიზმი“ დაუპირისპირა. იმ მკვლევარებმა, რომელთაც გ. წერეთლის „დასების თეორია“ გაიზიარეს, ამ მომენტსაც ყურადღება მიაქციეს და მას შემდეგ „შეუფერავი რეალიზმი“ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ სადავო საკითხად იქცა. ჩვენი დაკვირვებით, „შეუფერავ რეალიზმზე“ მსჯელობისას, მეცნიერები, მისი, როგორც განსაკუთრებული, ახალი შემოქმედებითი მეთოდის ან ლიტერატურული მიმდინარეობის არსებით ნიშანდობლივ თვისებებს ვერ ადგენენ, ფაქტიურად, მას ნატურალიზმად ან კრიტიკულ რეალიზმად თვლიან. ცხადია, განმასხვავებელ, პრინციპულ ნიშანთვისებათა გაურკვევლად „შეუფერავ რეალიზმზე“, როგორც მეთოდზე ან მიმდინარეობაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია და ამდენად, ის შემთხვევითი კატეგორიის ფაქტად, ლიტერატურათმცოდნეობაში პოლემიკის ნიადაგზე შემოჭრილ ცნებად უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, ამ უცნაურ, კონკრეტულ შინაარსსა და ფუნქციას მოკლებულ ტერმინს, რომელსაც არ იცნობს არც რუსული, არც რომელიმე სხვა ლიტერატურა, შუქს ჰფენს მისი წარმოშობის ისტორია.

ცნების გაჩენას საბაბი მისცა „კრებულში“ დაბეჭდილმა ნ. ნიკოლაძის კრიტიკულმა წერილებმა, ვამბობთ: საბაბი მისცა, — რადგან „შეუფერავი რეალიზმის“ ტერმინი ნ. ნიკოლაძესა და „კრებულს“ არ უხმარიათ, ის გაცილებით უფრო გვიან, 90-იან წლებში გაჩნდა. თვითონ ნ. ნიკოლაძე კი, თითქმის, ყველა წერილში ლაპარაკობს მხოლოდ სინამდვილის „შეფერილ“ და „შეუფერავ“ ასახვაზე, ამასთან, მისმა თვალსაზრისმა ამ საკითხზე „კრებულის“ ფურცლებზევე განიცადა ევოლუცია. „შეფერილისა“ და „შეუფერავის“ ცნება ნ. ნიკოლაძემ პირველად 1872 წელს გამოიყენა გ. წერეთლის „ჯიბრის“ ანალიზისას. „ჯიბრს“ — გადავყავართ სრულიად უცნობ წრეში... — წერდა ის. — იქ ჩვენ ნამდვილ, შეუფერავ, ცოცხალ ნაცნო-

ბებს ვხედავთ თითქმის დეგეროტიპული სიმართლით გადმოხატულებს“ [1]. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ამ მტკიცების მიხედვით, შთაბეჭდილება რჩება, რომ ნ. ნიკოლაძეს „შეუფერავი“ ასახვის არსებით მხარედ სინამდვილის დეგეროტოპული, ფოტოგრაფიული გადმოწერა მიაჩნდა. ე. ი. ის, რასაც ნატურალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად ვთვლით. უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ „კრებულის“ ადრეულ წერილებში, ფოტოგრაფიული აღწერითობა ან სიზუსტე მას მხატვრული ლიტერატურისათვის მთლად მიუღებლად არ ეჩვენებოდა, თუმცა, არც ღირსებად მიიჩნევდა. ზოგი ლიტერატურულ თხზულებაში „იმნაირათვე დაუფასებლად ხატავს ცხოვრებას, — წერდა ის. — როგორც ფოტოგრაფი“ [2]. მაგრამ, ეს ლიტერატურულ-ესთეტიკური ძიების გამოვლენა იყო და, როგორც ჩანს, უკვე ნათელ იდეურ თვალსაზრისზე დამყარებით, კრიტიკოსი არა მარტო მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის ყველა ასპექტის გარკვევისაკენ ისწრაფვოდა, არამედ მისი გადმოცემის შესაფერ ფორმებსაც ეძებდა. ამ ძიებაში კი, ნატურალიზმისაკენ გადახრა სავსებით მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან, როგორც ს. მ. პეტროვი წერს: «Формула реализма — „Воспроизведение действительности такой, как она есть“ не содержит в себе необходимого ограничения реализма от натурализма, дает возможность натуралистического изображения действительности, не обеспечивает воссоздания той совершенной истины жизни, какую дает реалистическое искусство». [3]

მაგრამ, ჩვენ მიერ მითითებულ ორსავე შემთხვევაში ნ. ნიკოლაძეს არ ავიწყდება მხატვრული წარმოსახვის შემოქმედებითი ხასიათი, მომდევნო წერილებში კი, „შეუფერავი“ ასახვა

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

[2] ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

[3] С. М. Петров. Проблемы реализма в художественной литературе. 1962 г. стр. 92.

მისთვის, ერთსა და იმავე დროს, იდეური შინაარსის კატეგორიაცაა და მხატვრული ფორმისაც.

„შეუფერავი“ და „შეფერილი“ ასახვის თაობაზე ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი მთელი სიცხადით გამოჩნდა წერილში „გლახის ნაამბობზე“. აქ კრიტიკოსი. თითქმის, ყოველ აბზაცში იყენებს ამ სიტყვებს, მაგრამ იყენებს არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც პარალელურ, სინონიმურ ფორმას სიტყვებისას: „მოუგონებელი... შეუფერავი“, „შეფერილი გალამაზებული“, „სენტიმენტალური და შეფერილი“, „შეუფერავად და სწორედ“, „შეკეთებული“... „შეფერილი“, „განგებ გასუფთავებული და გალამაზებული“ და ა. შ. აღნიშნული წერილი, მართლაც, კრიტიკული რეალიზმის პრინციპთა დასაბუთება — განმტკიცებას ისახავს მიზნად ღა, მაშასადამე, მიმართულია ლიტერატურაში ცხოვრების სინამდვილის შელამაზების, „განგებ გასუფთავების“, „შეკეთების“ წინააღმდეგ, მოითხოვს სინამდვილის სწორ, ღრმა, მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ასახვას.

კრიტიკოსს საზიანოდ, „შეფერვად“ მიაჩნია გაშიშვლებული უმოტივაციო ტენდენცია, ცხოვრების მოვლენათა ნებისმიერი „შეკეთება“, ყალბი პათეტიკა, სენტიმენტალიზმი. სინამდვილის ფორმაში წარმოსახული სინამდვილე სწორი და ამაღლებული უნდა იყოს, სწვდებოდეს მოვლენათა არსს, რომ „მკითხველს თანამედროვე ცხოვრების და განწყობილების ნამდვილ ხასიათს აცნობდეს“. ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს ტიპიზაციის მომენტზე, ლიტერატურის მამხილებელ როლზე და ილაშქრებს როგორც ნატურალიზმის, ისე აღწერითი რეალიზმის წინააღმდეგ, იბრძვის რეალიზმის, კრიტიკული რეალიზმის აღმავლობისათვის. მას „შეფერილად“ მიაჩნია 50-იანი წლების იმ რეალისტთა ნაწარმოებები, რომლებშიც გლეხი ანგელოზად იყო წარმოდგენილი, „შეუფერავ გრძნობის ადგილზე იდგა ნასწავლი კაცი გლეხურ სამოსელში“. ეს იდეური ტენდენცია, ავტორის მტკიცებით, არღვევდა მხატვრულ ფორმას, ხოლო სინამდვილის სწორი, „შეუფერავი“ ასახვა მაღალმხატვრულობის გარანტია იყო. ლაპარაკობს რა სინამდვილის სწორ ასახვაზე,

კრიტიკოსი გვაფრთხილებს: „აქედან არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიტანოს, ვითომ მწერლობას ჩვენის აზრით, ნიადაგ... დღითი დღიური ცხოვრების ფოტოგრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში". ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსს ადრე ნეიტრალურ ფორმაში გამოთქმული (წერილში „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში"), ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული „ფოტოგრაფიული ასახვაც" აქვს მხედველობაში. აქ იგი კრიტიკული რეალიზმის მხატვრულ საშუალებათა ფართო დახასიათებას იძლევა. ამავე მიზანს ემსახურება მოთხოვნა პუბლიცისტიზმის გაძლიერებისა მხატვრულ ლიტერატურაში.

სინამდვილის „შეფერილი" ასახვა, ნ. ნიკოლაძის აზრით, ასუსტებს რეალიზმს, უარყოფით გავლენას ახდენს ნაწარმოებზე; მაგრამ, კრიტიკოსი აქაც კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას იჩენდა და დასძენდა, რომ ხანდახან, ბრძოლის დროს, გამოსადეგია „ზოგიერთი წოდების ან გრუპების შეფერვა და ცამდი აყვანა" ე. ი. დაჩაგრული და მებრძოლი კლასების სასარგებლოდ გადაჭარბებული, აშკარა ტენდენციის გამოხატვა.

ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის წერილებში ლაპარაკია არა რაღაც „შეუფერავ რეალიზმზე", არამედ კრიტიკულ რეალიზმზე. საკითხს სრულ სიცხადეს მატებს იმის გამორკვევა, თუ რომელ მწერალთა შემოქმედება, რომელი ნაწარმოებები მიაჩნდა ნ. ნიკოლაძეს სინამდვილის „შეუფერავი" ასახვის მაგალითად: ასეთ მწერლად ის, უწინარეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძეს, მის „კაცია-ადამიანს", „გლეხთა განთავისუფლების სცენებსა" და „კრებულში" დაბეჭდილ მის ლექსებს ასახელებდა.

ჩამოთვლის რა „შეუფერავი" ასახვის ყველა ნიშნებს, კრიტიკოსი წერს: „ამაებზე ჩვენ ლაპარაკი იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ი. ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია-ადამიანი?!" საკმაოდ გვიჩვენებს, რომ... იმას მალე გაუგია იმ მიმართულების სისუსტე (იგულისხმება „შეფერილი" ასახვა. ა. კ.), რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპარაკობდით და მალე გაუცვნია ნამდვილად ხელოვნური

ძწერლობის კილო და პირობები. „კაცია-ადამიანში?!“ გამორჩეული საგანი სწორეთ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლეხების განთავისუფლების სცენები“ ერთი მხრივ ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და ჩინებულათ აკმაყოფილებენ, და მეორე მხრით, თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან აგრეთვე ოსტატურად და სურათების ძალით. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“ ხომ ჩინებულად ამ დანიშნულებას ეთანხმებიან... მისი ლექსების გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამითში მეტისმეტათ სანუგეშო გაელენას წარმოგვიდგენენ... ახლანდელ მის ლექსებში ჩანს ჩვენი ხალხის ესა,... სურათის უბრალოება... ნამდვილი გრძნობის შ ე უ ფ ე რ ა ვ ი... გამოთქმა“.

ამ ვითარებაში სრულიად გაუგებარია, რას ემყარებოდა გ. წერეთელი, როცა „პირველ და მეორე დასს“ შორის, თავის შემოქმედებასა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას შორის, გამჭიჟნავ ხაზად „შეუფერავ რეალიზმს“ თელიდა. კრებული“. 70-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა არავითარ საბაბს არ იძლეოდა ამისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „კაცია-ადამიანი?!“ და „გლეხთა განთავისუფლების სცენები“ ხომ წინ უსწრებდა ე. წ. „მეორე დასის“ მხატვრულ შემოქმედებას!

ნ. ნიკოლაძისათვის რომ „შეუფერავი“ ასახვის ცნება მთლიანად თავსდებოდა კრიტიკული რეალიზმის ჩარჩოებში და არავითარ განსაკუთრებულს, თუ გნებავთ, ქართული სინამდვილისათვის განსაკუთრებულს, არ შეიცავდა, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ცნებას იგი იყენებს როგორც ქართველ და რუს მწერალთა, ისე ფრანგი რეალისტების შემოქმედების დასახასიათებლად. „ხელოვნური გამოჩარხვით, მთაბეჭდილების ძალით, ცხოვრების ნამდვილი და შ ე უ ფ ე რ ა ვ ი გამოხატვით ვიქტორ ჰიუგო ამ საგანში (გამენების ხასიათის აღწერაში.

ა. კ.) მაინც ვერ შეედრება... ანრი მონიეს“ [1]. როშფორის ნაწერები, მისი სიტყვით, „ფეროვანი და შ ე ფ ე რ ი ლ ი“ როდია... მარტო შესანიშნავს, გამოაშკარავებულს, ყველაზე უფრო შესამჩნევს შტრიხებსა და ხაზებს ნიშნავს და წვრილმან შ ე ფ ე რ ვ ა ს არ დასდევს“ [2].

როგორც ვხედავთ, „შეუფერავი“ ასახვის ცნება აქაც საკმაოდ ემთხვევა კრიტიკულ რეალიზმს და „შეფერვა“ სხვა არა არის რა, თუარ „შელამაზების“, „შეკეთების“ სინონიმი. მაგრამ, საკითხავია, საიდან გაჩნდა ჩვენს ლიტერატურაში ეს სიტყვა, რომელსაც პოლემიკის დროს ხელი ჩასჭიდა გ. წერეთელმა და შეეცადა მისთვის თავისებური გაგებაც მიეცა?

ამ კითხვის პასუხსაც ნ. ნიკოლაძის იმავე წერილში ვპოულობთ, რომელშიაც მან აღნიშნული ცნების ამომწურავი დახასიათება მოგვცა („გლახის ნაამბობზე“). ერთ გვერდზე ის ოთხჯერ ახსენებს „სოვრემენიკს“ და ამბობს, რომ იმ ნაწარმოებთა წინააღმდეგ, რომლებშიც გლეხთა ცხოვრება „შეფერილად“ იყო ასახული, „პირველი ხმა... მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლეხების განთავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში მოისმა. თვითონ „Современникъ“-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით „Не начало ли перемены?“ (Совр. 1861. № 11).

ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით განიხილავს ამ წერილს და ქართულ ლიტერატურაზეც ავრცელებს მის მთავარ დებულებებს.

აღნიშნული სტატია ნ. ჩერნიშევსკიმ ნ. ვ. უსპენსკის მოთხრობებს მიუძღვნა და ეს ანალიზი კრიტიკული რეალიზმის ახალი აღმავლობის, ლიტერატურის პოლიტიკური სიმახვილის, სიტყვაკაზმულ მწერლობაში პუბლიცისტიზმის გაძლიერებისათვის გამოიყენა; კრიტიკოსმა მკაცრად გაილაშქრა გლეხთა

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873 წ., № 8.

ცხოვრების იდეალიზაციის, შელამაზებისა და „შეფერვის“ წინააღმდეგ, როგორც ახალ ვითარებაში იდეურად მანკიერი და მხატვრულად უსუსური საშუალების წინააღმდეგ. „Он (Н. В. Успенский ა. კ.) пишет о народе правду б е з в с я к и х п р и к р а с, — წერდა ნ. ჩერნიშევსკი. — ...По нашему мнению, источник непобедимого влечения к п р и к р а ш и в а н и ю народных нравов и понятий был и похвален и чрезвычайно печален“; განიხილავს რა მოთხრობას „Старуха“, შენიშნავს: „Какая идеальная история готова рисоваться перед вашею фантазиею, по привычке к прежнему п р и к р а ш и в а н и ю“[1]. და ა. შ.

ნ. ჩერნიშევსკის ყველა მოთხრობა აქტუალური პუბლიცისტური თვალსაზრისით აქვს განხილული და ხაზს უსვამს, რომ უსპენსკის შემოქმედებაში ახალი ტონი იგრძნობა: „Г Успенский выставил нам русского простолюдина, простофилю... Говорите с мужиком просто и непринужденне и он поимет вас“.

კრიტიკოსი აქ ხშირად მიმართავს სიტყვას: „Прикрас“, „Прикрашивание“, რომელიც რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში მანამდეც იყო გავრცელებული და სინამდვილის შელაქაზების მნიშვნელობით იხმარებოდა. რადგან ჩვენში ეს სიტყვა დამკვიდრებული არ იყო, თარგმანში ნ. ნიკოლაძეს რამდენიმე სიტყვა უხმარია მისი აზრის გადმოსაცემად: „შელამაზება“, „შეკეთება“, „შეფერვა“.

მაგრამ, რუსულ ლიტერატურაში ფიქრადაც არავის მოსვლია, რომ ეს სიტყვა ან ამ წერილის აზრი კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებული რაღაც ახალი შემოქმედებითი მეთოდის ან მიმდინარეობის დასაწყისად გამოეცხადებია. მით უფრო არ უნდა გამხდარიყო ამის საფუძველი ნ. ნიკოლაძის წერილი, რომელშიც უფრო ვრცლად და ნათლადაა გადმოცემული კრიტიკული რეალიზმის არსი. ნ. ჩერნიშევსკისაგან განსხვავებით, ქართველი კრიტიკოსი შეეცადა ნეგატიური

---

[1] Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. VII. 1950 г. стр. 856, 857, 860...

მასალის ანალიზით ცხადეყო თავისი თვალსაზრისი და ნიმუშად „გლახის ნაამბობი“ აიღო. მაგრამ, როგორც ამ ნაწარმოების განხილვისას აღვნიშნეთ, მისი არჩევანი სწორად არ მიგვაჩნია.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, რუსული ლიტერატურისაგან განსხვავებით, შესაძლოა, ქართული ლიტერატურული სინამდვილე მოითხოვდა ამ საკითხის წამოჭრას? კრიტიკული რეალიზმის პარალელურად, შეიძლება, ჩვენში, იმ დროს, მართლაც, არსებობდა რაღაც განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობა ან შემოქმედებითი მეთოდი „შეუფერავი რეალიზმის“ სახით? როგორც მხატვრული ლიტერატურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, 70-იან წლებში, კერძოდ „დროება“-„კრებულში“, ამის მსგავსს ვერაფერს ვპოულობთ. სტილის, თემატიკის, ტალანტის ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, ცალკეულ მწერალთა და ნაწარმოებთა შორის განსხვავებას, ცხადია, ვამჩნევთ, მაგრამ, შემოქმედებითი ინდივიდუალობა, როგორც ცნობილია, ერთი და იგივე შემოქმედებითი მეთოდისა და მიმდინარეობის შიგნითაც თავს იჩენს, და ხშირად, ძალიან მკვეთრადაც.

ამ მიზეზებით უნდა აიხსნას, რომ 70—80-იან წლებში, არც კრიტიკაში, არც მწერლობაში „შეუფერავი რეალიზმის“ ხსენება არ არის და 90-იან წლებშიც, ის სრულიად უნიადაგოდ, შემთხვევით გარემოებათა გამო, ამოტივტივდა ზედაპირზე. ვ. კოტეტიშვილი სწორად შენიშნავდა, რომ „...იმ დროს... ილია, ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი ეკუთვნოდნენ „ერთ სკოლას“, რომელსაც ის „მხატვრული რეალიზმის“ სკოლას უწოდებს [1]. „შეუფერავი რეალიზმის“ ასეთივე მართებულ განსაზღვრას იძლევა ასევ. გამეზარდაშვილიც [2].

„კრებულმა“ ღრმა იდეურ ასპექტში და უზადო გემოვნებით გააშუქა მხატვრული სტილის საკითხები, — გამოაელინა ცალკეულ მწერალთა სტილის თავისებურებანი, როგორც შინაარსისა და ფორმის ერთიანობით განსაზღვრული ფაქტი,

---

[1] ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს. გვ. 416.

[2] დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, გვ. 604.

ფართო მსჯელობის საგნად აქცია გამოსახვის ენობრივ-სტილისტური საშუალებანი, ყურადღება გაამახვილა შინაარსისა და სტილის მიმართებაზე, მხატვრული მეტყველების პრინციპულ საკითხებზე. თითქმის, მთლიანად მხატვრული სტილის პრობლემას მიეძღვნა ნ. ნიკოლაძის წერილი „თანამედროვე მწერლობა“, რომელშიც განხილულია ფრანგული კრიტიკული რეალიზმის სტილისტური თავისებურებანი, ახსნილია „სტილის განვითარებული ხასიათი“ პროზაში, პუბლიცისტიკაში, სატირულ ნაწარმოებებში, დახასიათებულია „პამფლეტური კილო“, ნაჩვენებია სტილის ევოლუცია სხვადასხვა დროს, ეპოქისეულ განწყობილებათა გარდატეხა მხატვრულ მეტყველებაში. კრიტიკოსი მუდამ ხაზს უსვამს, რომ სტილს შინაარსი განსაზღვრავს და მათი ერთობლიობა ქმნის მხატვრულ ღირებულებას; არ მოსწონს ნაწარმოები, რომლის შინაარსსაც „სხვა კილო, სხვა წერა, სხვა გრძნობა შეეფერება“.[1]

კრიტიკოსის დადებულ, დაწმენდილ გემოვნებაზე მეტყველებს ისიც, რომ სიცხადე, სიმსუბუქე, დიადი უბრალოება მას განვითარებული ტალანტის თვისებად მიაჩნია, ხოლო ბუნდოვანებას, მანერულობას, ექსცერცისისა და მხატვრული მოუმწიფებლობის ნიშნად თვლის. ძირითადად, ამ საზომით გაჰყო მან გრ. ორბელიანის შემოქმედება ორ პერიოდად.

სინათლე, მკაფიობა, სურათოვნება, საყოველთაო გასაგებრისობა, შთამბეჭდაობა — აი მოთხოვნები, რომელთაც „კრებულის“ კრიტიკოსები მხატვრულ სტილს უყენებენ.

კრიტიკოსებს დიდ ღირსებად მიაჩნიათ, როცა მწერალს, მიუხედავად თემატიკის, მოტივების, სიუჟეტების მრავალფეროვნებისა, შეუძლია თვითეულ მათგანს საკუთარი კილო გამოუნახოს, — თუ შეიძლება ითქვას — საკუთარი სტილისტური ჰანგი შეუწყოს.

კრიტიკას მხედველობიდან არ რჩება ნაწარმოებთა მხატვრული ორგანიზაციის საკითხები. უფრო მეტიც: იდეურ-

---

1 ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

ესთეტიკური ანალიზი, თითქმის მუდამ, თხზულების არქიტექტონიკის ამოცნობის, შემოქმედის ჩანაფიქრისადმი მისი შესატყვისობის კვალდაკვალ შეფასების შუქზე ვითარდება. ასე განიხილავს ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“, პ. უმიკაშვილი — „არსენას ლექსს“ და სხვ. ნ. ნიკოლაძე ავლენს გრ. ორბელიანის ლექსთა — „იარალის“-ა და „მუხამბაზის“ კომპოზიციურ თავისებურებებს, ნათელყოფს ნაწილთა შორის სისხლხორცეულ კავშირს, კომპოზიციის შინაარსობრივ და მხატვრულ განპირობებულობას.

ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი ცხოვრების ასახვას „კრებულის“ კრიტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ეს ინტერესი სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან ადამიანის სულიერი სამყაროს ყოველმხრივი ამოხსნა და ჩვენება რეალიზმის ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა.

ნ. ნიკოლაძე ხელოვნების სფეროს არც აკუთვნებდა სქემატურ, დუნე ნაწარმოებებს, რომლებშიც, თანამედროვე ტერმინით რომ ვისარგებლოთ, რობოტები, შინაგან სიცოცხლეს მოკლებული მანეკენები დალაციცებენ; მისი ფიგურალური გამოთქმით „ნამდვილი კაცის სხეული არ ასხიათ ამ ჩხირებს, ნამდვილი კაცის გული არ სძგერს მათ მკერდში, ნამდვილი კაცის ტვინი არ მოქმედებს მათ შეღებილ თავებში“ [1].

შინაგანი ბუნების გადმოშლა მისთვის მხატვრული ხორცშესხმის უპირველესი პირობაა.

კრიტიკა ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა მხატვრული ხასიათების გახსნისა და შეფასებისას; როგორც ჩანს, ჩვენი ავტორებისათვის სავსებით ნათელი იყო ხასიათის სოციალური და ფსიქოლოგიური დეტერმინიზმი და ამ თვალსაზრისითაც მსჯელობდნენ ხასიათის ცხოვრებისეულ სიმართლეზე, მთლიანობასა და განვითარების ლოგიკაზე.

კლასიციზმის ერთხაზოვან და რომანტიზმის ცალმხრივ ხასიათებს რეალიზმმა სოციალური სინამდვილით განპირობებუ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებული“, 1871 წ., № 3.

ლი მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი ბუნება, უმთავრესად, ტიპიური ხასიათები დაუპირისპირა.

გ. წერეთლის „ჯიბრის“ ანალიზისას, ნიკ. ყიფიანმა სცადა ეჩვენებინა, რომ პიესის გმირები ცალკეულ ვნებათა მშრალ სქემებს კი არ წარმოადგენენ, არამედ თავიანთ ადამიანურ ბუნებაში კეთილის საწყისებსაც ატარებდნენ, ხოლო მანკიერებანი, რომელიც მათი ხასიათის ძირითად ნიშნად ქცეულა, სოციალური სინამდვილის პროდუქტია[1]. ს. მესხის აზრით, პატრიოტი გმირის (როსსელის) ხასიათის მთლიანობას კი არ არღვევს, არამედ აძლიერებს მასში ადამიანურ ვნებათა ჭიდილი. ეს ცხადია, ვნებათა ქაოსს არ მოასწავებს, რადგან ყურადღება მუდამ ერთ ვნებაზე, ერთ მთავარ თვისებაზეა კონცენტრირებული. „ზოგი ხატავს კაცის გულს და გრძნობას სიყვარულში, ზოგი... შეძენაში, ზოგი — შურის ძალას კაცის ხასიათში“ [2].

კრიტიკა მწერლობისაგან მოითხოვდა უშიშარ, შეუპოვარ, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ გმირებს. პ. უმიკაშვილი მიუთითებდა მებრძოლი იტალიური ლიტერატურის მაგალითზე, რომელმაც ლეოპარდისა და დაზელიოს მორჩილ, პასიურ სულს დაუპირისპირა „ხასიათები, რომლებიც არა ჰგვანან უბრალო კაცების მჭრალს, უღონო სიკეთესა და მჭრალს უღონო ავობასა“ [3].

ნ. ნიკოლაძემ გამოააშკარავა ლიტერატურაში „ხორციელი სიყვარულის“ სოციალური არსი და დაგმო დეკადენტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი „გრძნობათა ქაოსი“ და ზნეობრივი აღვირახსნილობა, რომელიც „ფრთებსა ჰკვეთს ყოველ პოეტურ ოცნებას და გრძნობის გატაცებას“. კრიტიკოსს ზნეობრივი დაცემის, ხელოვნების დამდაბლების მაუწყებლად მიაჩნია სექსუალიზმი, პორნოგრაფია, ეროტიზმი. უარყოფს რა ეპიგონთა ანარქიულ გრძნობიერებას, ლიტერატურას „ვეფ-

---

1 „დროება“ 1873 წ., № 14.

2 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“. „კრებული“, 1871 წ., № 3.

3 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი. „იოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872 წ., № 8—9.

ხისტყაოსნის“ მაგალითზე მიუთითებს: „აიღეთ „ვეფხისტყაოსანი“... ნახეთ რა სიმაღლეზე იყვანდა ის გრძნობას, სიყვარულს. კეთილშობილურ აღტაცებას, რა პოეტური სხივით მოსავდა... გრძნობიერებას, თავგანწირულებას, სულის სიმაღლეს, სიყვარულის ეშხს“. ნ. ნიკოლაძე იმედის ნიშნად თვლის გრ. ორბელიანის სტრიქონებსაც: „გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?“

„კრებულის“ კრიტიკოსთა შეხედულებანი და ბრძოლა ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის, ჯანსაღი გრძნობებისა და საზოგადოებრივი მორალისათვის, ნიადაგს აცლიდა დეკადენტურ რომანტიზმს, გზას უღობავდა ნატურალიზმს და ფრიად მნიშვნელოვან უბანზე განამტკიცებდა კრიტიკული რეალიზმის პოზიციას.

ჩვენი ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების სიახლედ უნდა ვაღიაროთ, რომ იმდროინდელი მეცნიერების მონაპოვართა დონეზე, „კრებულის“ კრიტიკოსები, კერძოდ, ნ. ნიკოლაძე, საკმაოდ ღრმად იჭრებიან შემოქმედის ლაბორატორიაში, ცდილობენ გაარკვიონ შემოქმედებითი პროცესის რაობა, ესთეტიკური აღქმისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხები, მოგვცენ ამ რთული პრობლემის როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციოლოგიური ახსნა.

ლ. ნ. ტოლსტოის სიტყვით, „Искусство есть микроскоп, который наводит художник на тайны своей души и показывает общие всем людям тайны“[1].

გოეთეს სიტყვებიც, რომ მწერალმა „ხელი უნდა ჩაავლოს ინდივიდუალურ შტრიხებს“, ადამიანის შინაგანი სამყაროს ამოცნობისა და გადმოცემის უნარს გულისხმობს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, საშუალება და მასალა, თითქმის, ერთ პლანზე განლაგებული ფაქტორებია, ერთიანსებაში გაერთიანებული პირობებია, რადგან უმთავრესი თვისებაა იმისა, რასაც ხელოვანის ტალანტს ვუწოდებთ. ცხადია, სრულებითაც არ უარვყოფთ ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილების როლს ამ თვისებების ფორმირებაში, მაგრამ ერთსაც და მეორესაც საა-

[1] Л. Н. Толстой о Литературе (сборник), 1955. стр. 310.

მისოდ განსაკუთრებული ნიადაგი უნდა დახვდეს, ხოლო ამ ნიადაგზე წარმოქმნილი ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილებაც განსაკუთრებული ხასიათისაა. შემომქმედი სხვას ვერასოდეს გადასცემს იმას, რაც მასში არ არის, რის განცდას თავად მოკლებულია, რისი არსებობაც მისთვის უცნობია; თვით გადაცემას სასურველი ზემოქმედება არ ექნება, თუ ის ისეთი სიძლიერითაა განცდილი და გააზრებული, რომელიც ყველასთვის ან ბევრისთვის ჩვეულებრივია, რადგან განსაკუთრებულ ნიადაგზე წარმოქმნილი განსაკუთრებული განცდის გადაცემა განსაკუთრებულია და ხელოვანის ტალანტის არსს შეადგენს. რამდენადაც შემომქმედი ამ უნარით ნაკლებ დაჯილდოებულია, იმდენად ნაკლებინდივიდუალურია, იმდენად უფრო ადვილად ექცევა მსგავსი ნიმუშის ტყვეობაში და უნებურად უფარდებს მას საკუთარ გრძნობებს, აზრსა და მათი გადმოცემის ფორმებს,—ბაძავს. ბუნება და ცხოვრება ყველაზე ერთნაირ შთაბეჭდილებას როდი ახდენს.—ამბობს ნ. ნიკოლაძე.—რასაც ზოგი გულგრილად გვერდს აუვლის, პოეტურ ბუნებას ძირფესვიანად შესძრავს. — სიყვარული ბევრის გულს აანთებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია მისი პერიპეტიების სიტყვით გადმოცემა, სხვისთვის განცდევინება, ე. ი. სრულად და სწორად, მის მიერ განცდილის გაგებინება. ამის მიზეზი ისაა, რომ გრძნობიერება, „ქაცის გულის ცხოვრება“ ყველაზე ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე. გრძნობის, განცდის, შთაბეჭდილების თავისებურება შემოქმედებითი მოღვაწეობის წინაპირობაა; შემოქმედება, ასე ვთქვათ, უკვე ამ თავისებური განცდით იწყება, რაც ხელოვანის ტალანტის განსაკუთრებული თვისებაა, „პოეტების საიდუმლოებაა“.

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, მწერალს მხატვრული კანონების ვერავითარი ცოდნა, ვერავითარი გარეგნული ბრწყინვალება ვერ დაიხსნის შემოქმედებითი მარცხისაგან, თუ „გრძნობის სიცხოველე“, „გულის სიფხიზლე“, „შთაბეჭდილების ადვილად მიღების“ უნარი, ერთი სიტყვით, გრძნობიერება არ გააჩნია. საყურადღებოა, რომ შექსპირის, გოეთესა და მოლიერის გვერდით. ამ მხრივ, ნ. ნიკოლაძე სტერნისა და ლაროშფუკოსაც მაგალითად სახავს.

ხელოვანს უნდა შეეძლოს ცხოვრებაზე დაკვირვება და მისი განსაკუთრებული გრძნობიერებით აღქმა; საკუთარ გულში წვდომა, თვითდაკვირვება და მისი გადმოცემა ისე ზუსტად, რომ ეს გრძნობა სხვისთვისაც გასაგები და შთაბეჭდილებიანი იყოს; სხვათა, მრავალთა გულში წვდომა, სხვისი ფიქრისა და აზრის ამოცნობა და მისი, აგრეთვე, ყველასათვის გასაგებად და შთამბეჭდავად გადაცემა. „გრ. ორბელიანს შესძლებია, -- წერს ნ. ნიკოლაძე. — ღრმათ გრძნობა, მისი ღრმათ გამოხატვა, მაგრამ „მუხამბაზი“ ჭვიჩვენებს, რომ ის სხვის გულშიაც გამჭრიახათ იცქირება... სხვის მაგიერ გრძნობაც შესძლებია... ეს თვისება მეტისმეტად შესანიშნავია მწერლობაში. როცა პოეტი იმოდენათ სწორეთ და ნამდვილათ მოახერხებს სხვისი გრძნობისა და ხასიათის გაგებას, ისე ჩაძვრება მის გულში,... რომ არათუ მისი გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, ისე რომ მკითხველს დაავიწყდეს, რომ მის წინ პოეტი მღერის და წერს და ეგონოს, ნამდვილათ გამოხატული პირის ხმა მესმისო,... მის სხეულს ხელს ვკიდებო,... პოეტს ხელოვნებაში უზენაეს სიმაღლემდე მიუღწევია. ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა“.

იდეალისტურ ესთეტიკას შემოქმედებითი აქტი ირაციონალურ მოვლენად მიაჩნია; კანტის აზრით, შეუძლებელია აიწეროს და მეცნიერულად აიხსნას რანაირად ქმნის გენიოსი თავის ნაწარმოებს; თვით გენიოსმაც არ იცის ამ სასწაულთმოქმედების საიდუმლოება. ნ. ნიკოლაძე მხატვრული ასახვის მატერიალისტური გაგების პოზიციაზე დგას. ხელოვანის ტალანტი, განსაკუთრებული „გრძნობიერება“ და განცდილის გაგების ნიჭი მისთვის მისტიკური, ზებუნებრივი კატეგორიები კი არაა, არამედ მატერიალური სინამდვილით განპირობებული მოვლენებია: „რა მიზეზია, რომ... ეს პოეტები... სულ სხვანაირათ გრძნობენ და იგებენ თავიანთი და სხვების გულის მოძრაობას და ტკივილს?.. თავიანთი ნაზი გრძნობიერებით, ფხიზელი ნერვებით, მიმხვდომი გონებით და ძლიერი ტვინით... მათ გულს დაფარული და საიდუმლო აღარა აქვს რა და რადგანაც კაცის გული საყოველთაოდ თითქმის ერთნაირია, სხვების გულშიც ისინი ადვილად არჩევენ გრძნობების ნიშნებს. რაკი

თვითონ საგანი მათ გაცნობილი და ნაგრძნობი აქვთ, მისი გამოხატვაც უადვილდებათ".

აქ საყურადღებოა, რომ როგორც ხელოვანის განცდებისა და შთაბეჭდილებების წყაროდ, ისე მათი გადმოცემისა და საყოველთაო გასაგებრისობის საფუძვლად კრიტიკოსს ობიექტიური სინამდვილე და მისი კანონზომიერება მიაჩნია.

თვით აღქმის, უშუალო შთაბეჭდილებათა მიღების დროს, ამ შთაბეჭდილებათა ამა თუ იმგვარ ხასიათზე გავლენას ახდენს შემოქმედის განწყობილება, მსოფლმხედველობა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი პროდუქტია. აქედან გამომდინარე, შემოქმედის განწყობილებას, იდეურ თვალთახედვას, კრიტიკოსი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს, თვით „შემოქმედებითი მოღვაწეობის" საწყის ფაზაშიც ე. ი. აღქმის, „შთაბეჭდილებათა მიღების" დროს. მაშასადამე, ტალანტს საზოგადოებრივი სინამდვილე წარმართავს. ერთსა და იმავე მოვლენას ერთი ერთნაირად განიცდის, მეორე—მეორენაირად; შეიძლება, სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებაც მიიღოს. „ერთი და იმავე მოვლენას ორი-სამი კაცი სულ სხვანაირათ გრძნობს. ერთს ეს მოვლენა აატირებს, მეორეს გააცინებს და მესამეს, იქნება, სულაც ვერა აგრძნობინოს".

ასე რომ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ხელოვანის ტალანტი სავსებით კანონზომიერი, სოციალური სინამდვილით წარმართული, მაგრამ ძალიან იშვიათი მოვლენაა. „გრძნობიერება, კაცის გულის ცხოვრება, კაცის ტვინის ძაფების ხასიათი ყველაზე ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე"... აი რისთვისაა იშვიათი პოეტური ტალანტი. „იმათთვის გასაგებია ისეთი მოვლენები გრძნობისა, რომელიც არ ესმის და არ ეჩვენება დანარჩენ კაცობრიობას". აქედან კრიტიკოსს ის დასკვნა გამოაქვს, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობა აუცილებელი მოვალეობაა მხატვრული ტალანტისა. ის, რაც ძალიან იშვიათია, ძალიან დიდ გაფრთხილებას მოითხოვს და უსარგებლოდ არ უნდა დაიკარგოს. „მაღალი და პატიოსანი გრძნობა, კეთილი სულის მოძრაობა, მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმაღლე ნიადაგად მხვედრათ რგებიათ უმჯობეს პოეტებს, უგონიერეს კაცის გულის მცნობელებს. ეს სიმაღლე პოეტს მარტო თავის-

თვის კი არ უნდა ჰქონდეს შენახული: მისი დანიშნულების უმაღლესი გვირგვინი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე სიმაღლემდე ასწიოს და აამაღლოს მკითხველის გრძნობა და ხასიათი, და მის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩანერგოს, რომელიც ადამიანის გულის გაცნობამ და გაშოკვლევამ პოეტის გულში დაბადა".

კრიტიკა ტალანტის ბუნებას ვერ შესცვლის, მას შეუძლია მიმართულება მისცეს ტალანტს, წარმართოს ის, მოუპოვოს აღიარება და, რადგან მსოფლმხედველობას, შემოქმედის განწყობილებას, უშუალოდ აღქმისა და შთაბეჭდილებათა მიღების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, — კრიტიკა ვალდებულია ისე აღზარდოს, ისეთ გზაზე დააყენოს შემოქმედი რომ „მისი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალხისათვის სავნებელი არ იქნეს".

პ. უმიკაშვილს, გ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს საყურადღებო შეხედულებანი აქვთ გამოთქმული ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე, მათი ლექსების პატრიოტულ აღელვებაზე, საზოგადოებრივ მოტივებზე, ხოლო ნ. ნიკოლაძემ გრ. ორბელიანის პოეზიის ისეთი ღრმა ანალიზი მოგვცა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას. ეს წერილი იდეურ-ესთეტიკური კრიტიკის ბრწყინვალე მაგალითია. კრიტიკოსმა სწორად გააშუქა გრ. ორბელიანის შემოქმედების ძირითადი მოტივები: პატრიოტიზმი, სიყვარული, ჰუმანისტური იდეალები. გამოავლინა მასში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვალი, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულების ზემოქმედება, გვიჩვენა პოეტის სუსტი და ძლიერი მხარეები; დაჰყო მისი შემოქმედება პერიოდებად და თვითეული მათგანის (1832 წლამდე და შემდეგ) დახასიათებით, მთლიანი სურათიც წარმოგვიდგინა.

ამავე პოზიციიდან, ნ. ნიკოლაძემ დაწვრილებით განიხილა ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და, ძირითადად, სწორად განსაზღვრა მისი განვითარების გზა. წერილში — „გლახის ნაამბობზე", რომელიც ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელ თეორიულ ნაშრომთა ოქროს ფონდს განეკუთვნება, მან ნათლად ჩამოაყალიბა მხატვრული ლიტერატურის ამოცა-

ნები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ყურადღება გაამახვილა ილიას შემოქმედების ხალხურობასა და პოლიტიკურ აქტუალობაზე, ცხადყო მწერლის სისხლხორცეული კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან, დაგვანახვა მისი ლიტერატურული ოსტატობა და მაღალი იდეურობა.

დაბოლოს, „კრებულის“ კრიტიკა გამოირჩევა როგორც მაღალი ლიტერატურული გემოვნებით, ისე დახვეწილი და ნათელი სტილით. ყველაფერში იგრძნობა, რომ ჩვენს კრიტიკოსებს მხატვრის ხედვა აქვთ და თავადაც შემოქმედნი არიან. თემისა და მასალის შესაბამისად თვითეულ წერილს საკუთარი კომპოზიცია, ენა და კოლორიტი გააჩნია. ლიტერატურული ტემპერამენტი, ხატოვანი თქმები, მხატვრული შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები, რიტორული ფიგურები, ალაგ-ალაგ სუსხიანი ირონია და თამამი ასოციაციები ამ ნაწერებს ისეთ მომხიბლაობას ანიჭებენ, ურომლისოდაც მხატვრულ შემოქმედებაზე, ხელოვნებაზე მსჯელობა ხატიპარიობა იქნებოდა.

პოლემიკა

საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, ახალი გზების ძიებამ, იდეოლოგიურ სფეროში გაძლიერებულმა დიფერენციაციამ 70-ან წლებში შესამჩნევად გაამწვავა ქართულ პერიოდულ გამოცემათა პოლემიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ძველსა და ახალ თაობას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ახალი თაობის შიგნით მიმდინარეობდა. ახალთაობის ორგანოები: „დროება", „კრებული" და „მნათობი" რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას ერთიანი ფრონტით განაგრძობდნენ, მაგრამ პრობლემების მრავალფეროვნებით, შინაარსის სიღრმითა და აქტუალობით, ამჯერად, მათი ცხარე კამათი იპყრობს ყურადღებას.

„მნათობთან" პოლემიკა „კრებულმა" „დროებისგან" მიიღო მემკვიდრეობად. ჯერ კიდევ 1869 წელს, როცა ცნობილი გახდა, რომ ნიკ. ავალიშვილი „მნათობის" გამოცემას აპირებდა, „დროების" მაშინდელმა რედაქტორმა ს. მესხმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მიზანშეუწონლად თვლიდა ახალი ჟურნალის დაარსებას. მისი აზრით, ქართველი საზოგადოება ვერ შესძლებდა, ერთდროულად, „დროებისა" და „მნათობის" შენახვას. ამით უნდა აიხსნას, რომ „მნათობის" პირველი ნომერი (ნიკ. ინაშვილის წერილი: „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი?") პოლემიკური გამოწვევით იწყება.

მთლიანად ამ პოლემიკურ საკითხს მიეძღვნა, ფაქტიურად, ჟურნალის რედაქტორის ნიკ. ავალიშვილის საპროგრამო წერილი „მნათობზედ", რომელიც აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

„მნათობის" გამოსვლას „დროება" დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდა. ს. მესხი, რომელსაც გ. წერეთელმა 1869 წლის აპრილში გადასცა „დროების" რედაქტორობა, 14 ივლისს ბე-

ჟან ხომასურიძეს გულახდილად აცნობებდა: „მნათობის“ ორი ნომერი გამოვიდა. მეორე №-ში „он заигривает“ с „დროება“ და ზოგან კიდეც იკბინება ვითომ... კაცს რომ შენი კბენა უნდოდეს, უნდა დაასწრო და პირველად შენ უკბინო, მერე ვეღარ გაბედავს კბენას“.

გაზეთმა, მართლაც „დაასწრო კბენა“; იმავ წელს (№ 25) დაიბეჭდა კ. უმიკაშვილის (ანჩისხატისუბნელის) ფელეტონი: „თბილისში გასეირნება“, რომელშიც ავტორი „მნათობს“ „უსიცოცხლო ჟურნალს“ უწოდებდა და აშკარად მოუწოდებდა პოლემიკისაკენ.

გაზეთის 28-ე ნომერში თვით ს. მესხის („ლაზარე მეშვილი“) პოლემიკური წერილიც გამოქვეყნდა და იქიდან მოკიდებული, პაექრობა სულ უფრო გამწვავდა.

1869 წელს „მნათობის“ მომდევნო ნომრები აღარ გამოსულა, 1870 წლის პირველ ნომერში კი ნ. ავალიშვილმა, ა. კუხელის ფსევდონიმით [1], გამოაქვეყნა სტატია: „წერილი რედაქტორთან. რამდენიმე სიტყვა... ქართულ წარმოდგენებზედ და „დროების“ ფელეტონისტის უფ. ანჩისხატელის აზრზედ“.

თებერვლის ნომერში, აღნიშნული წერილის გაგრძელებასთან ერთად, დაიბეჭდა დ. ჯანაშვილის ფელეტონი — „ცრუპენტელაობა დროს გატარებისათვის“, რომელშიც გაკრიტიკებულია პ. უმიკაშვილის საპასუხო წერილი („დროება“, 1870 წ., № 40). ავტორს ხალხის განათლებასა და სხვადასხვა ამხანაგობების დაარსებაზე გადააქვს სიტყვა, ამასთან, ლაპარაკობს რა ორივე გამოცემის საერთო მიზანზე, მარტის ნომრის გაგრძელებაში, გადაკვრით, მისი განხორციელების განსხვავებულ გზებზეც მიუთითებს: „ბ. უბნელო! „დროებასაც“ ის სურს, რაც „მნათობს“. მათ ორივეს ერთი მიზანი აქვთ. რასაკვირველია, საცა ერთი მიზანია, — იქ ერთნაირი მოქმედებაც იყოსო, — თქმა არ შეიძლება. მიზნის აღსასრულებლად ყველას

---

[1] „კუხელი“ ნ. ავალიშვილის ფსევდონიმია; „მნათობის“ ფსევდონიმების საკითხი გარკვეული გვაქვს ამ ჟურნალის შესახებ დასაბეჭდად მომზადებულ მონოგრაფიაში.

ხელში თავისი ხერხი აქვს“, ხოლო ვისაც ცუდი გზა და ხერხი ამოურჩევია, პატიოსნად და მშვიდად უნდა გამოვარკვიოთო.

1870 წელს, „დროების“ მხრივ, პოლემიკას ნ. ნიკოლაძე ჩაუდგა სათავეში. მე-16 ნომერში მან „მნათობის“ 1870 წლის პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა დასტამბა, რასაც პოლემიკური წერილების მთელი სერია მოაყოლა „დროებაში“ (1870 წ., № 20, 21; — 1871 წ., № 13 და სხვ.).

კ. ლორთქიფანიძემაც, რომელიც ადრე აღტაცებული იყო „მნათობის“ პირველი ნომრებით, მხარი დაუჭირა თანამოაზრეებს და, „ცივისელის“ ფსევდონიმით, „დროების“ 1870 წლის 36-ე ნომერში დაბეჭდილ წერილში — „წიგნი მიწერილი მეგობართან“, სასტიკად განაჭიქა „მნათობის“ მხატვრული ნაწერები. იმავე წლიდან, გ. წერეთელმაც დაიწყო „მნათობის“ წინააღმდეგ ფელეტონების ბეჭდვა („კუხელის სიმღერა“ [1], „ფუტკარმა უთხრა კრაზანას“ [2], „ორიოდე ეკალი ჩვენს ახალგაზრდა მწერლობაში“ [3] და სხვ.).

გაზეთს „მნათობის“ ვრცელ წერილებზე ასეთივე ვრცელი პასუხის გაცემის საშუალება არ ჰქონდა, რამაც როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარად დააჩქარა „კრებულის“ გამოცემა.

„კრებულის“ გამოცემის შემდეგ, „მნათობის“ პოლემისტებს ანტონ ფურცელაძე შეემატა, ხოლო „კრებულის“ წამყვანი თანამშრომელი გახდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ამ ორი ჟურნალის პაექრობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ „მნათობელმა“ ზოილმა ორიოდ მათრახი მაინც არგუნა.

ასე რომ, „კრებულის“ გამოსვლის მომენტში, ორი მოპაექრე ბანაკის შემადგენლობა საესებით გარკვეული იყო. „კრებულის“ გარშემო შემოიკრიბნენ თერგდალეულები (უმთავრესად, „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომლები): ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ნ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ხოლო „მნათობის“ გარშემო — უმთავრესად, ანტონ ფურცელაძის დრო-

[1] „დროება“, 1871 წ., № 21.

[2] „დროება“, 1871 წ., № 33.

[3] „დროება“, 1871 წ., № 24.

ინდელი (1863, 1867 წლის) მემარცხენე პოზიციაზე მდგომი „ცისკრის“ ყოფილი თანამშრომლები: ანტ. ფურცელაძე, ნ. ავალიშვილი, დ. ჯანაშვილი, ვას. მაჩაბელი, დ. ბაქრაძე, აგრეთვე, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს (70-იან წლებში) მყოფი სტუდენტები: ნიკ. ინაშვილი, მოსე ჭიქოძე და სხვ. ძალთა ასეთი განაწილება, ერთი მხრივ, გარკვეულ წარმოდგენას ქმნის პოლემიკის იდეურ მიმართულებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გენეზისის მიხედვით, „მნათობისა“ და „დროება“ — „კრებულის“ პაექრობა გაგრძელება იყო „საქართველოს მოამბესა“ და ანტ. ფურცელაძის „ცისკარს“ შორის 1863 წელს გაჩაღებული პოლემიკისა, რასაც თვით მოკამათენიც არა ერთხელ აღნიშნავდნენ.

„მნათობში“ შესამჩნევია უცხოური სოციოლოგიური თეორიებით განსაკუთრებული დაინტერესება, მათი შერჩევისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოპერირების სურვილი; გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ასოციაციებისა და ამხანაგობების იდეის პრაქტიკული ანალიზი, მაშინ, როცა „კრებული“ ამ თეორიებს სასხვათაშორისოდ უყურებს და, როგორც აღვნიშნეთ, კიდეც აკრიტიკებს, — მთელს იმედს მრეწველობის განვითარებაზე ამყარებს, სამოციანელთა პოზიციაზე მტკიცედ დგას და რუსეთში ახალი ძალის გამოჩენას ელის, რომელსაც საქართველოც გაჰყვება. „კრებულში“ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს ურყევ ავტორიტეტებად სცნობენ „მნათობში“ კი, მათ თითქმის, სრულებით აღარ ახსენებენ. „მნათობი“ თანამედროვე (70-ანი წლების) რუსულ აზროვნებასა და ევროპის სოციოლოგიაში ეძებს დასაყრდენს; ცდილობს, რუსეთის ხალხოსნობასა და ევროპის უტოპიურ სოციალიზმს შორის კონკრეტული კავშირი გამონახოს და ამ ნიადაგზე საქართველოს პირობებისათვის შესაფერი დოქტრინა გამოიმუშაოს. „კრებულს“ ევროპაში უშუალოდ მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება იზიდავს, რომელსაც რუსი რევოლუციონერი დემოკრატების თვალთახედვით აფასებს და ბუნდოვნად, მაგრამ მაინც, ჩვენი ქვეყნის მომავალსაც რუსეთში მსგავსი მოძრაობის განვითარებას უკავშირებს. ორივე ჟურნალის ძირითად ნიშანს ახალ ვი-

თარებაში იდეური გზების ძიება წარმოადგენს, ამასთან, ამ გზების განსხვავებული მიმართულებაც ისახება, მაგრამ მიზანი ერთია: თავისუფალი, დემოკრატიული, საყოველთაო კეთილდღეობას მიღწეული საქართველო.

„მნათობს“ იმთავითვე ეტყობოდა ხალხოსნური ძიებანი. 1869 წლის აპრილში, დიმ. ჯანაშვილმა, რომელიც ანალოგიური შინაარსის წერილებს „ცისკარსა“ და „დროებაშიც“ აქვეყნებდა, ვრცელი სტატია დაბეჭდა „მუშათა ასოციაციებზე“. ეყრდნობა რა ამერიკელი ეკონომისტის კერის თეორიას, ავტორი ამტკიცებს, რომ „ასოციაცია და შეერთებული მოქმედება საჭირონი არიან კაცისათვის, რათა იმან მოიპოვოს უფლება ბუნების ძალაზე“. დიმ. ჯანაშვილი დაწვრილებით ეხება „სოფლის სავაჭრო მაღაზინების“, „სასოფლო ბანკების“ მნიშვნელობასა და სტრუქტურას. მისი უტოპიური შეხედულებით, „კაცს განათლებამ უნდა მისცეს ცხოვრების სახსარი“. როცა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი მკაცრად გააკრიტიკა („დროება“, 1870 წ. № 40), დიმ. ჯანაშვილმა „მნათობის“ 1870 წლის თებერვლის ნომერში დრეპერის შეხედულებანი დაიმოწმა და განათლებას კვლავ, გადამწყვეტი როლი მიანიჭა ხალხის ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ დიმ. ჯანაშვილი იმოწმებს რუსულ ჟურნალ „დელოს“, რომელიც პისარევის „რუსკოე სლოვოს“ მემკვიდრე იყო და ნაროდნიკულ-უტოპიური სოციალიზმის იდეებს ქადაგებდა.

ცხარე პოლემიკა გამოიწვია „მნათობის“ 1870 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილმა მ. ქიქოძის სტატიამ: „საქართველოს მომავალი“, რომელშიც ავტორი რეფორმის შემდგომ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიური განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობს. მ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ ევროპის კაპიტალისტურ განვითარებას მუშებისათვის ბედნიერება არ მოუტანია. მისი აზრით, საჭიროა, რომ „გლეხები უმიწოდ არ დააგდონ“, რომ — გაიზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება და ამისთვის, გავრცელდეს განათლება, განსაკუთრებით, სამეურნეო განათლება. მ. ქიქოძე დარწმუნებულია, რომ „შრომის განაწილებით“, სასოფლო-სამეურნეო „საზოგადოებრივი სკოლების“ მოწყობით, ამხანაგობების დაარსებით, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღ-

ლებით, „ჩვენს ქვეყანას შეუძლიან მეტად უხვად დააჯილდოვოს თადარიგიანი მშრომელი“. თავის შეხედულებათა დასასაბუთებლად ის უკრიტიკოდ იშველიებს ადამ სმიტის, ჟიულ სიმონის, ლიბიხის, დრეპერის ციტატებს. მისი აზრით, პოლიტიკურმა ეკონომიამ უკვე აღმოაჩინა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების წამალიც, გამოარკვიესო: „თუ რომ ჰსურ[ს] ფულის პატრონებს... მუშებმა იმათი კაპიტალი... სინდისიანად აწარმოონ, კაპიტალისტებმა, შემოსავალშიც წილი უნდა დაუდონ მუშებს და არ დააჯერონ მარტო ქირას“, — ამას მოითხოვს შრომის ნაყოფიერების პრინციპი.

მ. ქიქოძის შეხედულებანი ევროპის უტოპიური სოციალიზმისა და რუსული ნაროდნიკობის თავისებურ ნარევს წარმოადგენს. იმ დროს ამ შეხედულებებს, უეჭველად, ჰქონდათ სოციალურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს თვალსაზრისი არ იყო 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი; ავტორის ილუზია იქამდე მიდიოდა, რომ ეგონა, ამ გზით, „ჩვენი ხალხი დროზედ მოესწრება ეკონომიურ კეთილმდგომარეობასო“. ეს, დაახლოებით, ის შეხედულებანი იყო, რომელსაც რუსეთში 1866 წელს დაარსებული ლიბერალურ-ნაროდნიკული გაზეთი „ხედელია“ ქადაგებდა.

წერილში — „გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა“, რომელიც იმავ წლის მარტისა და აპრილის ნომრებში დაიბეჭდა, მოსე ქიქოძე უფრო აღრმავებს თავის სამეურნეო-კულტურ-ტრეგერულ თვალსაზრისს.

ამ თვალსაზრისს, როგორც ჩანს, „მნათობის“ სხვა თანამშრომლებიც და რედაქციაც იზიარებდა. კერძოდ, ასეთივე აზრია გატარებული ნიკ. შაროევის წერილში — „ორიოდე სიტყვა ჩვენს ეხლანდელს საჭიროებაზედ“ (1871 წ., № 4) და ნ. ავალიშვილის (ა. კუხელის) „მიმოხილვაში“ (1871 წ. თებერვალი), სადაც ის მ. ქიქოძის წერილს იცავს. 1870 წლის მარტის ნომრის „მიმოხილვაში“ თორელი თანამედროვეობის აქტუალურ ამოცანებად აცხადებს მეღვინეთა ამხანაგობების (კომპანიების) დაარსებას, ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლას, გლეხთა

განათლებას და ა. შ. ამავე მიზანს (გლეხობის სამეურნეო გათვითცნობიერება, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება) ემსახურება ალ. გაბაშვილის მიერ გადმოთარგმნილი ა. სკაჩკოვის წერილიც: „საუბარი ჩინეთის მეურნეობაზედ".

საყურადღებოა დ. ჯანაშვილის, ნ. ავალიშვილის, ნიკ. შაროევის, თორელისა და „მნათობის" სხვა პუბლიცისტთა კორესპონდენციული სტილიც, რომელიც შემდეგ ხალხოსანთა ნაწერების დამახასიათებელ თვისებად იქცა.

რევოლუციონერ-დემოკრატთა პოზიციებზე მყოფ „კრებულს", რომლის გულისყურსაც ევროპის მუშათა რევოლუციური მოძრაობა იპყრობდა, „მნათობის" ილუზიები და უტოპიურ თეორიათა ყოველისგანმკურნავ ღონისძიებად გამოცხადება ვერ დააკმაყოფილებდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს თეორიები ნ. ნიკოლაძემ სასტიკად გააკრიტიკა, ხოლო „მნათობში" მათ მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არ იგრძნობა. „დროებასა" და „კრებულში" ათობით წერილი დაიბეჭდა მუშათა კლასობრივ ბრძოლაზე, პარიზის კომუნაზე, გლეხთა შეიარაღებულ მოძრაობაზე, ხოლო „მნათობში" ასეთ მასალებს ვერ ვხვდებით. გამონაკლისია ანტ. ფურცელაძის წერილები. პოლემიკურ სტატიაში — „ათი მტერს, ერთი მოყვარეს", ის მკაცრად აკრიტიკებს, როგორც შულცე-დელიჩის, ისე ფერდინანდ ლასალის „ასოციაციების თეორიას" და მუშათა რევოლუციური ბრძოლის, პარიზის კომუნის მაგალითზე მიუთითებს. „ჩვენ უნდა ველოდოთ დროს" და მანამ კი, როგორმე თავს ვუშველოთო, — დასძენს ის და ამ ფორმულით „კრებულის" — იდეური პოზიციის არსს უფრო გამოხატავს, ვიდრე „მნათობისას", სადაც თვითონ თანამშრომლობდა. უნდა დავსძინოთ, რომ „კრებულის" თანამშრომლებთან შედარებით, თვით ანტ. ფურცელაძეც მეტ მორჩილებას იჩენდა ევროპის უტოპიური თეორიებისადმი. ის დიდ დანაშაულად უთვლიდა ნ. ნიკოლაძეს, რომ მან „კრებულში" („სხვათა შორის") ლუი ბლანთან შეკამათება გაბედა [1].

---

1 ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, „წიგნი რედაქტორთან", „კრებული", 1873 წ., № 10.

„მნათობი“ უშენიშვნოდ ბეჭდავდა ევროპის უტოპისტი ეკონომისტების სტატიებს (ჯონ სტიუარტ მილი, 1870 წ., № V, VI). ხოლო „კრებულში“ ასეთი წერილები არ დაბეჭდილა. გ. წერეთელი კიდეც დასცინოდა დრეპერებითა და ბოკლებით „მნათობის“ ბრმა გატაცებას, წამდაუწუმ ახსენებთ და მნიშვნელობა არ გაგეგებათო [1].

ამ ვითარებაში, სავსებით გასაგებია იმ ცხარე პოლემიკის ხასიათიც, რომელიც „მნათობელ“ ძოსე ქიქოძესა და „კრებულელ“ ნიკო ნიკოლაძეს შორის ზემოაღნიშნული საკითხების გარშემო გაიმართა. ნ. ნიკოლაძე აშკარა სკეპტიციზმს გამოხატავდა ევროპის უტოპიურ თეორიათა ყოვლისშემძლებლობისადმი.

გარკვეული აზრით, შეიძლება ვ. ი. ლენინის სიტყვებით ვთქვათ, რომ „მნათობი“ იყო გამოცემა „Сделавший народнические прибавки к программе революционной демократии“. და, რომ ეს იყო „Шаг назад от Чернышевского“[2].

„მნათობისა“ და „კრებულ“-„დროების“ პოლემიკას მიზეზები მხატვრული ლიტერატურის სფეროშიც ეძებნება; იგი კრიტიკული რეალიზმის სიწმინდისათვის ბრძოლასთანაა დაკავშირებული.

„მნათობს“ ნიჭიერი მწერლები არ ჰყავდა, „კრებულმა“ კი საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი და ლიტერატურული ცხოვრების მესაჭე გახდა. „დროებამ“ და „კრებულმა“ ეს უპირატესობა კარგად გამოიყენეს „მნათობთან“ პოლემიკურ ბრძოლაში. კირ. ლორთქიფანიძემ ჩვენი ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დაქვეითების შემაძრწუნებლად გამოაცხადა „მნათობის“ მთელი პოეტური შემოქმედება. კრიტიკოსი ხაზს უსვამს ჟურნალში დაბეჭდილი ლექსების თემატიკურ ერთფეროვნებასა და შაბლონურ ხასიათს [3].

„კრებულის“ კრიტიკოსთაგან განსხვავებით, რომლებიც,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, „კრებული“, 1872 წ., № 7.

[2] В. И. Ленин, Соч. т. 20, стр. 100.

[3] „დროება“, 1870 წ., № 36.

როგორც ვთქვით, ერთდროულად, თხზულების იდეურ-ესთეტიკურ ანალიზს იძლეოდნენ, „მნათობის“ მესვეურნი, განსაკუთრებით, ანტ. ფურცელაძე, მხოლოდ, იდეური შინაარსისადმი იჩენდა ინტერესს და, არსებითად, ფორმის იგნორირებას ახდენდა. კრიტიკული რეალიზმის სიწმინდისათვის თანმიმდევრულად მებრძოლი „კრებული“ ასეთ ცალმხრივობასა და უტილიტარიზმს, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა.

ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვით, პოლემიკის პრინციპულ ხასიათს შეეხება, მაგრამ მოპაექრეებმა სამწუხაროდ, მალე გადალახეს ლიტერატურული ეთიკის ზღვარი და კამათი პირად კინკლაობად, ისეთ უხეშ და შეურაცხმყოფელ ურთიერთ თავდასხმად იქცა, რომლის მსგავსსაც იშვიათად თუ ვიპოვით ქართული პოლემიკის ისტორიაში.

პოლემიკის გამწვავებამ „მნათობის“ ჩარხი უკუღმა დაატრიალა. ანტ. ფურცელაძესა და რედაქციის დანარჩენ წევრთა შორის განხეთქილება წარმოიშვა, რამაც, სულ მალე, ჟურნალიც გადაიყოლა. თითქმის, შესრულდა „დროება“-„კრებულის“ წინასწარმეტყველება — ანტ. ფურცელაძე „მნათობს“ შეიწირავსო.

ანტ. ფურცელაძეს აღარავითარი საშუალება არ ჰქონდა, რომ ნ. ნიკოლაძის „კრებულსა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილებზე პასუხი გაეცა. ამის გამო, გამწვავებული კამათი სისხლისღვრით კინალამ დამთავრებულა. ზაქ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მელიქიშვილის სტამბაში, სადაც „კრებულთან“ ერთად, „მნათობის“ სალიკვიდაციო ნომერიც (1872 წ. მე-10, 11, 12) იბეჭდებოდა, ნ. ნიკოლაძე და ან. ფურცელაძე მწვავედ შელაპარაკებულან. ნ. ნიკოლაძეს დაუყვედრებია: „აკი ვამბობდი, „მნათობს“ შენ მოუღებ მეთქი ბოლოს!“ ანტ. ფურცელაძე გაცეცხლებულა და ზაქ. ჭიჭინაძის მოგონებული გამოთქმით, „ჩხუბს უკიდურეს წერტილამდის მიუღწევია“ [1].

იონა მეუნარგიას კი, რომელიც მაშინ სემინარიაში სწავლობდა, 1873 წლის 21 ოქტომბერს თავის დღიურში ჩაუწერია:

---

[1] ზაქ. ჭიჭინაძე, „ნიკო ნიკოლაძე“, გვ. 35.

„ფურცელაძემ თავისი სიბეცე გუშინწინ დაამტკიცა, ნიკოს რომ რევოლვერი ესროლა და ნიკომ თავისი კარგი კაცობა, რომ არ უჩივლა“.[1] ამასვე ადასტურებს სოფრ. მგალობლიშვილიც („დაუსრულებელი პოლემიკა კინაღამ სისხლისღვრით გათავდა“).[2]

„მნათობისა“ და „დროება“-„კრებულის“ პოლემიკამ, მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, უთუოდ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი იდეების გარკვევასა და დამკვიდრებაში, — გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი, დააჩქარა მისი დიფერენციაციის პროცესი.

თვით პოლემიკური ნაწერები ბევრ საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას შეიცავს, მაგრამ მკაცრ კრიტიკულ მიდგომასა და მიუკერძოებელ ანალიზს მოითხოვს. ერთი რომელიმე მხარის (სულ ერთია, ნ. ნიკოლაძე იქნება ის, თუ ანტ. ფურცელაძე) შეხედულებათა უკრიტიკოდ გაზიარება, როგორც ამას არჩ. ჯორჯაძე სჩადიოდა, სწორ დასკვნებამდე ვერ მიგვიყვანს.

ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისით, „მნათობისა“ და „დროება“-„კრებულის“ პოლემიკურ ნაწერებს არ მიუღწევიათ იმ სრულყოფისა და ცხოველმყოფელობისათვის, რომლითაც „საქართველოს მოამბის“ პოლემიკური ფელეტონები გამოირჩევა (ილია ჭავჭავაძის „სხარტულა“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“) და რომელთა გავლენა აშკარად ეტყობა გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის წერილებს.

პოლემიკის გამწვავებამ, უთუოდ, დააჩქარა „მნათობის“ მოსპობა. 1872 წლის უკანასკნელი, სამი გაერთიანებული ნომერი დიდი დაგვიანებით გამოვიდა და ამით ჟურნალის გამოცემაც შეწყდა. ერთი წლის შემდეგ, მას „კრებულიც“ მიჰყვა.

„კრებულის“ დახურვის მიზეზთა გარკვევისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 1873—1874 წლებში ჟურნალის მესვეურები: გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე (დროგამოშვებით) და ს. მესხი საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ

---

[1] ლიტერატურის მატიანე, № 3—4, გვ. 204.

[2] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 61.

და, მაშასადამე, არ შეეძლოთ მისი ხელმძღვანელობა; როგორც „დროება“, ისე „კრებული“ ერთ კაცს — კირ. ლორთქიფანიძეს, დააწვა მხრებზე და ასეთი მძიმე საქმის გაძღოლა მისთვის ადვილი როდი იქნებოდა.

ნ. ნიკოლაძის უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე, „კრებულს“ არსებობა გაუჭირდა. ამ ჟურნალს ის უდგამდა სულს, ის აცოცხლებდა თავისი ნაწერებით და ინახავდა მატერიალურად. 1873 წლის მაისამდე, როცა ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იყო, იმ წლისა, მხოლოდ, ერთი ნომერი გამოვიდა, ხოლო ივნისიდან ნოემბრამდე, როცა თბილისში იმყოფებოდა, ზედიზედ ცხრა ნომერი გამოუშვა. ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა და 1875 წლამდე აღარ დაბრუნებულა. მისი წასვლის შემდეგ, არც ერთი ნომერი არ მომზადებულა (უკანასკნელი მე-10 ნომერი მან სტამბაში დასტოვა) და „კრებულის“ გამოცემაც შეწყდა, რაც, მართლაც, გვაფიქრებინებს, რომ ნ. ნიკოლაძის, აგრეთვე, გ. წერეთლისა და ს. მესხის საზღვარგარეთ ყოფნას „კრებულის“ ბედ-იღბალზე დიდი გავლენა მოუხდენია, მაგრამ ეს არ არის მისი მოსპობის მთავარი და, მით უმეტეს, ერთადერთი მიზეზი.

უმთავრეს მიზეზთაგან, პირველად უნდა დავასახელოთ ქართულ პერიოდულ გამოცემათა ტრადიციული სიძნელეები; ლიტერატურული მასალის ნაკლებობა და ფინანსიური ხელმოკლეობა, ხელისმომწერთა სიმცირე.

„კრებულს“, ისე როგორც ყველა პროგრესულ გამოცემას, გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა ცენზურასთან, რომელიც სულ უფრო მეტი უნდობლობით ეკიდებოდა მას და რამდენიმე თვეობით აჩერებდა გასავრცელებლად გამზადებულ ნომრებს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, „კრებულის“ დახურვის ერთ უმთავრეს მიზეზად იდეური დიფერენციაციის გაძლიერებული პროცესი უნდა მივიჩნიოთ. „დროება“-„კრებულის“ წრეში, თერგდალეულთა შორის, უკვე აშკარად იგრძნობა ძალთა ერთგვარი გადაადგილება; თანდათან ისახება ახალი დაჯგუფებანი; — დუღილისა და ძიების ხანა, რომელიც რეფორმის შემდეგ დაიწყო, ახალ ფაზაში შედის და 80-ანი წლების დასაწყისისათვის, როცა ადრე ჩასახული ჯგუფების იდეური

პროფილი უფრო ნათლად გამოიკვეთა, — გარკვეულ კონსოლიდაციასაც აღწევს. გაღრმავდა და საკმაოდ გამწვავდა ის უთანხმოებანი, რომელთა შესახებ ნ. ნიკოლაძე „კრებულში“ წერდა: „...განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს ან სერ. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა, ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვაზე, ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ“ [1].

1874—1875 წ. წ. განხეთქილებამ „დროების“ რედაქციაშიც იჩინა თავი.

1875 წლიდან „კრებულის“ ფუნქციები „დროებაზე“ გადავიდა; ამასთან დაკავშირებით, ს. მესხმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. 1874 წლის 26 იანვარს ის კ. მელიქიშვილს გაზეთის რეორგანიზაციის ვრცელ გეგმას აცნობდა და, სხვათა შორის, წერდა: „დიდი სიამოვნებით დავბეჭდავ („დროების“) ფელეტონებში, აგრეთვე, სხვადასხვა მოთხრობებს როგორც ორიგინალურს (განსაკუთრებით ჩვენი ცხოვრებიდამ), აგრეთვე ნათარგმნთაც“.

1875 წ., როგორც აღვნიშნეთ, ს. მესხმა „დროების“ სარედაქციო კოლეგიაც გადაახალისა და გაზეთის გამოცემაც კვირაში სამჯერ დაიწყო, მანამდე კი, მხოლოდ, ერთხელ გამოდიოდა. მაგრამ საზოგადოება, მაინც მტკიცნეულად განიცდიდა „კრებულის“ დახურვას.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ „კრებულის“ აღდგენის ცდა კარგა ხანს არ შეწყვეტილა. „დროების“ 1877 წლის 175-ე ნომერში ვკითხულობთ: „ამ დღეებში რამდენიმე ყმაწვილკაცს, ქართული ლიტერატურის გულშემატკივარს, მოლაპარაკება ჰქონიათ ისე ჩინებულად დაწყებულის და ასე უდროოდ მოსპობილის ჟურნალის „კრებულის“ განახლებაზედ“.

1879 წელს კვლავ უცდიათ „კრებულის“ განახლება, ა. სარაჯიშვილის რედაქტორობით.[2]

1874 წ. მიხ. გურგენიძეს (შემდეგ. „იმედის“ რედაქტორს)

---

[1] „კრებული“, 1872 წ., № 10—12.

[2] „დროება“, 1879 წ., № 116.

ჟურ. „კოლხიდის“ გამოცემა უთხოვია; 1880—1883 წლებში ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმაც სცადეს ილუსტრირებული ჟურნალის — „კანდელის“ („შუქურას“)[1] გამოცემა, მაგრამ ხელისუფლება ქართულ პრესას, კერძოდ, ჟურნალებს, ეჭვით ეკიდებოდა.

„კრებული“, ისე როგორც მაშინდელი „დროება“, ჩვენი ხალხის ყველაზე მოწინავე მისწრაფებათა გამომხატველი იყო იმ პერიოდში; გაძლიერებული რეაქციის დროს ისინი ასახავდენ მშრომელთა ფართო ფენების პოლიტიკურ განწყობილებას, რევოლუციურ-დემოკრატიულ სულისკვეთებას; იბრძოდნენ ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; გაბედულად ერკინებოდნენ თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას, გზას უკაფავდნენ ახალ, უფრო პროგრესულ იდეებს და ნიადაგს უმზადებდნენ ხალხის ფართო რევოლუციურ მოძრაობას, აღვივებდნენ განთავისუფლების გმირულ სულს. კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მხილებით, უტოპიური სოციალიზმის იდეათა პროპაგანდით, ევროპის მუშათა მოძრაობის პოპულარიზაციით, მათ გააძლიერეს ცარიზმის, თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიისადმი ზიზღი, შთააგონეს ხალხს ადამიანთა თანასწორობის, ძმობისა და ერთობის სოციალისტური იდეები.

„დროება“-„კრებული“ მტკიცედ იცავდა თერგდალეულთა, 60-იანი წლების რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ტრადიციებს და მასზე დაყრდნობით, ეძიებდა განახლების გზებს; ინახავდა „იმ დროებათა ტრადიციებს, როცა საფრანგეთი მთელს ევროპაში ავრცელებდა სოციალიზმის იდეებს და როცა ამ იდეების შეთვისება რუსეთში გერცენისა და ჩერნიშევსკის თეორიებსა და მოძღვრებას იძლეოდა“ (ვ. ი. ლენინი).[2]

60—70-იანი წლების ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული პრესა ჯანსაღი სულით აღავსებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ნათელი სხივით მოსავდა ხალხის წინსვლისა და გამარჯვების გზას.

[1] ზ. შველიძე, „ქართული პრესის ისტორიიდან“, გაზ. „თბილისი“, 1962 წ., 18/V.

[2] ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957 წ., გვ. 50—51.

ფსევდონიმები და ანონიმები

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკას რომ ვეცნობით, ისეთი შთაბეჭდილება გვიპყრობს, თითქოს, იმ დროს რაღაც მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ავტორის ვინაობის დაფარვას. ამ მხრივ, არც „კრებულია“ გამონაკლისი; თხზულებათა დიდი ნაწილი აქაც ფსევდონიმებით ან, საერთოდ, ხელმოუწერლად ქვეყნდებოდა. ფსევდონიმის გამჟღავნების გამო, 1870 წელს კ. ლორთქიფანიძემ კინაღამ ხელი აიღო „დროებაში“ თანამშრომლობაზე; სერგეი მესხი იძულებული გახდა, ათასგვარი ბოდიშითა და განმარტებით შემოერიგებია ის.

„კრებულში“ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ოცდარვა ნაწარმოებიდან (იგულისხმება გამოქვეყნებული ერთეული) თორმეტი ფსევდონიმით (სამი ვარსკვლავი) დაიბეჭდა; ნიკო ნიკოლაძის ოცდახუთი ნაწარმოებიდან ოცდასამი ფსევდონიმით გამოქვეყნდა (ნ. სკანდელი), ხოლო ორი — ანონიმურად; გ. წერეთლის ოცდაორი თხზულებიდან თოთხმეტი დაისტამბა ფსევდონიმებითა (გ. გორისელი, „გ. — თელი“, „XX“) და ხელმოუწერლად; მხოლოდ ფსევდონიმებით ბეჭდავდნენ თავიანთ ნაწერებს მამია გურიელი, გიორგი ქოჩაქიძე, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მესხი და სხვ., ხოლო კირილე ლორთქიფანიძემ, თითქმის, ყველა ნაწერი ანონიმურად გამოაქვეყნა.

მიუხედავად ამისა, „კრებულის“ ფსევდონიმებისა და ანონიმების გაშიფვრა განსაკუთრებულ სიძნელეს მაინც არ იწვევს, რადგან უმთავრეს თანამშრომელთა ფსევდონიმები ახლა საყოველთაოდ ცნობილია. მაგალითად, სამი ვარსკვლავის ხელმოწერით დაბეჭდილი ყველა ნაწარმოები (უმთავრესად ლექსები) შეტანილია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში; ასევე უეჭველია, რომ ნ. სკანდელის ფსევდონიმით მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე აქვეყნებდა თავის ნაწერებს, გ. — თელისა და გ. გორისელის ხელმოწერით — გიორგი წერეთელი, ფაზელის

ხელმოწერით — მამია გურიელი, მ. პეტრიძის ხელმოწერით — პეტრე უმიკაშვილი, გ. ჭალადიდელის ხელმოწერით — გიორგი ქოჩაქიძე, „ვ. ო“-ს ხელმოწერით — ცახტანგ ორბელიანი.

ამიტომ, ცხადია, ჩვენ სრულებით არ შევეხებით იმ ფსევდონიმებს, რომელთა ვინაობა ყველა წყაროებით დადასტურებულია, აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს და სწორად არის აბსნილი, როგორც ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამოცემებში, ისე ფსევდონიმების ჯერ დაუბეჭდავ ლექსიკონებში [1]. ამ მიმართებით, ჩვენ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდებით, რომ მომდევნო თავში („კრებულის“ შინაარსი) ყველა თხზულების დასახელებისას, ფსევდონიმთან ერთად, ავტორის გვარსა და სახელსაც მივუთითებთ.

ჩვენი კვლევა-ძიების საგანს მხოლოდ ის ფსევდონიმები და ანონიმები წარმოადგენს, რომლებიც ან სრულიად გაუშიფრავია დღესდღეობით, ან ეჭვს ბადებს ან ცალკეულ მკვლევართა მოსაზრების დასადასტურებლად რაიმე დამატებითი ცნობა მოგვეპოვება.

ინიციალები, როგორც ყოველთვის, აქაც ფსევდონიმებთან ერთად გვაქვს განხილული, რადგან ქართულ ჟურნალისტიკაში მათი არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც გვხვდება (ე. წ. „მითვისებული ინიციალები“).

ფსევდონიმები

1

ალეველი

„კრებულის“ 1872 წლის №-7 ნომერში დაბეჭდილ — „მგზავრის შენიშვნებს“, ხელს აწერს ა ლ ე ვ ე ლ ი. ამ ფსევდონიმის გახსნა და სრულიად დავიწყებული ავტორის გახსენება, უთუოდ შეუძლებელი იქნებოდა, მისთვის სოფრომ მგალობლიშვილს რომ არ მიექცია ყურადღება. იგი წერს: „ია-

---

[1] საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდი: გ. ბაქრაძე: „ქართული ფსევდონიმები“, № 12672-ხ და გ. ციქაძე — ფსევდონიმების ლექსიკონი“, № 22878-ხ.

სონ ნათაძემ... კურსის დამთავრების შემდეგ „კრებულში“ მოათავსა ი. ალეველის ფსევდონიმით „მგზავრის შენიშვნები“, რომლებმაც მაშინდელი ახალგაზრდობის დიდი ყურადღება მიიქცია“ [1]. ავტორი თავისი „მოგონებების“ სხვა ადგილასაც მიუთითებს, რომ იასონ ნათაძე „კრებულის“ მახლობელი თანამშრომელი იყო („იასონ ნათაძე შრომობდა „კრებულში“). იგი მხოლოდ ინიციალის („ი“) დასახელებაში ცდება: „მგზავრის შენიშვნები“ დაბეჭდილია სახელის ინიციალის გარეშე, პირდაპირ „ალეველის“ ხელმოწერით, მაგრამ ამას, ცხადია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ამ ცნობას სავსებით დამაჯერებლად ხდის ისიც, რომ იასონ ნათაძე მართლაც, სოფელ ალევიდან იყო და იმ დროს იქაური სხვა არავინ მოღვაწეობდა ჩვენს ლიტერატურაში.

ამასთან, „მგზავრის შენიშვნებში“ ავტორს აღწერილი აქვს მშობლიური კუთხის (დუშეთის რაიონის) ბუნება და ყოფა.

ამასვე ადასტურებს ლიტერატურული მუზეუმის ფონდში დაცული ფსევდონიმთა ლექსიკონებიც [2].

2

ი.—ი

1873 წელს „კრებულის“ მე-8 და მე-10 ნომრებში დაიბეჭდა მეტად საყურადღებო პედაგოგიური წერილები — „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“, რომელსაც ხელს აწერს ი.—ი. რადგან ამ სტატიებში საკმაოდ ღრმად არის განხილული პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ერთი შეხედვით, შესაძლოა, გვეფიქრა, რომ მათი ავტორი იაკობ გოგებაშვილია (ი.—ი), რომელიც იმ დროს უკვე დიდ როლს ასრულებდა ქართულ პედაგოგიკაში და, ამასთან, დაახლოებულიც იყო „კრებულთან“. მაგრამ, როგორც ირკვევა, ი. გოგებაშვილს არაფერი დაუბეჭდავს ამ ჟურნალში.

საკითხის გარკვევა აუცილებელია იმიტომაც, რომ ეს ფსევდონიმი, რატომღაც შეტანილი არ არის ლიტერატურული მუ-

---

[1] სოფრ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 51.

[2] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერები: № 22878-ხ და 12672-ხ.

ზეუმის ფსევდონიმთა ლექსიკონში[1]. ი. ბოცვაძეც ასახელებს რა ივანე მესხის ფსევდონიმებს „დროებასა“ და „კრებულში“, ამ ინიციალებზე არაფერს ამბობს[2].

არსებითი მნიშვნელობის ცნობას ამ საკითხზე გვაწვდის დავით მესხი, რომელიც თავისი ძმის, ივანეს შესახებ წერს: „იგი ქართულ მწერლობაში ჩაბმული იყო. ჯერ კიდევ ციურიხიდან გამოგზავნილი მთელი რიგი წერილები სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე იბეჭდებოდა ჟურნალ „კრებულსა“ და „დროებაში“.

„კრებულის“ წერილში ავტორი, სხვათა შორის, აღნიშნავს: „აი, მე რას ვიწერებოდი შარშან „დროებაში“ ციურიხიდამ“,— და მიუთითებს კორესპონდენციაზე, რომელიც ივანე მესხის ხელმოწერითაა დაბეჭდილი 1872 წლის მე-17 ნომერში.

„ი.—ი.“-ს ფსევდონიმით ივანე მესხი თავის წერილებს აქვეყნებდა, როგორც „კრებულის“ სტატიებამდე, ისე შემდეგაც. ამ ფსევდონიმით არის დაბეჭდილი, კერძოდ, მისი „რომის პაპის ამბავი“ („დროება“, 1873 წ. 10), „მადნის წყლებიდამ...“ (კროიცნახის წყლები, სადაც მაშინ ივანე მესხი, დროებით, სამკურნალოდ იყო წასული ციურიხიდან), და მრავალი სხვა. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო ყურადსაღებია, ამ ფსევდონიმითვე გამოაქვეყნა მან ნეკროლოგები თავისი მეგობრების ვლადიმერ ნიკოლაძისა და ბესარიონ ჯაფარიძის შესახებ („დროება“, 1872, № 22 და „ივერია“, 1877, № 44).

3

ი. მ. (ი. მ.—ი)

ამ ინიციალებით ჟურნალში დაიბეჭდა გოგოლის „შინელის“ თარგმანი (1871 წ. № 4). საკითხის გარკვევის აუცილებლობა გამოწვეულია ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით: „გიორგი ჩიქოვანმა „კრებულში“ გოგოლის მოთხრობები

---

[1] საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, №№ 12672-ხ, მაგრამ ჯადასტურებულია (დასაბუთების გარეშე) ნაშრომებში: ს. ხუნდაძე — „მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის“, 1949 წ. გვ. 61; „ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. 1; გ. აბზიანიძე — „ნარკვევები ქართული აზროვნების ისტორიიდან“, 1959 წ.

[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციითა და შენიშვნებით.

სთარგმნა და დაბეჭდა „თუ რაზედ მოუვიდათ ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“ და „შინელი“ [1].

ამ ცნობის პირველი ნაწილი ეჭვს არ იწვევს. — 1871 წლის მე-3 და მე-4 ნომრებში, გ. ჩიქოვანის ხელმოწერით, მართლაც დაიბეჭდა თარგმანი „რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“, ხოლო „შინელი“, როგორც აღვნიშნეთ, „ი. მ“-ს ინიციალებითაა დაბეჭდილი. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ „დროებასა“ (1874—1878 წ. წ.) და „შრომაში“ (1880—1881 წ. წ.) ამ ინიციალებით ნაწერებს აქვეყნებდა იონა მეუნარგია, შესაძლოა, აგრეთვე ამ ინიციალებით ივანე მაჩაბელსაც დაებეჭდა თავისი ნაწერები.

მაგრამ არც ზაქ. ჭიჭინაძის ცნობას, არც დასახელებულ ვარაუდებს, არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

„შინელი“ რომ გ. ჩიქოვანის გადმოთარგმნილი არაა, ამას, სხვათა შორის სტილისტური დაკვირვებაც ცხადყოფს; იგი აჭრელებულია იმერული დალექტიზმებით: „ქუჩერმა მიხვდა იმის ხმაზედ“, „არაფელი“ და ა. შ. ჟურნალის მეოთხე ნომერში, სადაც მოთხრობის დასაწყისი დაისტამბა, მთარგმნელი მითითებულია მხოლოდ სარჩევში („ნათ. ი. მ.-სა“), ხოლო მეხუთე ნომერში, სადაც დასასრულია გამოქვეყნებული, ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ნათ ი.-ისა“. როგორც ზემოთ დავადგინეთ, „ი. --ი“ ივანე მესხის ინიციალებია და, მაშასადამე, „შინელის“ თარგმანიც მას ეკუთვნის. დადგენილია, აგრეთვე რომ აღნიშნული ინიციალებით („ი. მ“) ივანე მესხს სხვა ნაწერებიც აქვს გამოქვეყნებული: „დროების“ 1868 წლის 45-ე ნომერში თარგმანი ნ. ნეკრასოვის ლექსისა—„კარგი ზნის კაცი“; 1869 წლის მე-10 ნომერში—გოცც-მილერის ლექსისა—„კრიტელი დედაკაცი მორეაში“, „სასოფლო გაზეთის“ 1869 წლის მე-13 ნომერში წერილი — „რამდენი წლის ყმაწვილს უნდა დააწყებინოთ კითხვა და წერა“ და ა. შ.

„ი. მ.“ (ი. მ—ი) ივანე მესხის ინიციალებადაა მიჩნეული ლიტერატურული მუზეუმისეულ „ფსევდონიმთა ლექსიკონებშიაც“,[2] ამავე აზრისაა ი. ბოცვაძეც.[3]

[1] ზაქ. ჭიჭინაძე, დავით ერისთავი, 1892 წ., გვ. 27.

[2] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, №№ 12672-ხ. და 18833-ხ.

[3] ს. მესხი, წერილები, გვ. 233.

4.

დ. მ.

„კრებულის“ 1872 წლის № 10—12-ში დაბეჭდილ ლექსს-- „ჩიტი“, ხელს აწერს დ. მ.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ეს ინიციალები აუხსნელადაა დატოვებული, ხოლო ლიტერატურული მუზეუმის ფსევდონიმთა ლექსიკონებში სრულებით არ არის შეტანილი. სიძნელეს ისიც ქმნის, რომ ამ ინიციალებით იმ დროს რამდენიმე ლიტერატორი წერდა ან შეეძლო ეწერა. ესენი იყვნენ: დიმიტრი მგალობლიშვილი (მგალობელოვი), რომელსაც, სხვათა შორის, „ცისკრის“ 1864 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული აქვს ნ. ნეკრასოვის ლექსის თარგმანი — „როს სიბნელისგან შეცდომილების“; სხვადასხვა დროს ამ ინიციალებით დაბეჭდილია, აგრეთვე, „რამდენიმე ჰაზრი საზოგადოს ცხოვრებისათვის“ („ცისკარი“, 1859 წ. № 1); „ბავშვის ჩივილი“ (ლექსი) დობროლიუბოვიდამ („სასოფლო გაზეთი“, 1869, № 21); „ყელის ტკივილი“ (თარგმანი რუსულით. „სასოფლო გაზეთი“, 1871, № 8, 9). აღნიშნულ პერიოდში ხშირად იბეჭდებოდა ცნობილი პოეტის დავით მაჩაბლის ლექსებიც. „დროებაში“ თავის ნაწერებს უკვე აქვეყნებდა დავით მიქელაძეც. ამ ინიციალებს მოგვიანებითაც ვხვდებით „ივერიაში“ („წერილი პეტერბურგიდან“, 1891 წ. № 24).

მაგრამ აღნიშნულ ავტორთა ნაბეჭდი და ხელნაწერი მასალების გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ „კრებულში“ გამოქვეყნებული ლექსი — „ჩიტი“, არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის.

„დ. მ“.-ს ინიციალების მქონე ავტორთაგან „კრებულ“-„დროებასთან“ მაშინ ყველაზე მეტად დაახლოებული იყო დიმიტრი მეღვინეთხუცისშვილი (მეღვინეთხუცესოვი), რომელიც ამ გამოცემათა გამავრცელებელ-კორესპონდენტად იყო გორში და ხშირად აქვეყნებდა თავის ლექსებსა და წერილებს ჯერ „ცისკარში“, ხოლო შემდეგ, „დროებასა“ და „სასოფლო გაზეთში“. 1866—70 წლებში მას ბევრი კორესპონდენცია, საკუ-

თარი და ხალხური ლექსი დაუბეჭდავს „დროებაში“: „სასოფლო ბანკების დაარსების აუცილებლობა გორის მაზრაში“ („დროება“, 1867, № 51), „ბოგონება“ (ლექსი, „დროება“, 1869 წ. № 10); „სევდის გუნდნი შემომხვევიან“ (ლექსი. „დროება“, 1868 წ., № 2). მასვე ეკუთვნის „დროებაში“ დაბეჭდილი და თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული კომედიები: „კატა აწონა“ („დროება“, 1869 წ., № 39) და „უბედური მოარშიყე“ („დროება“, 1870 წ., № 9).

„დიმიტრი მეღვინეთუხუცესოვი კარგი მწიგნობარი და საქართველოს ისტორიის მოყვარე იყო. სწერდა ქართულად და რუსულადაც. საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო. გარდაიცვალა 1880 წელს“ [1].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია დიმიტრი მეღვინეთხუცისშვილის ლექსთა საკმაოდ მოზრდილი რვეული, რომელშიც, მართალია, „ჩიტი“ შეტანილი არ არის, მაგრამ თემატიკურ-მხატვრული ანალოგია სარწმუნო საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ „კრებულში“ დაბეჭდილი ლექსის ავტორი ის არის.

5

XX

ამ ფსევდონიმით დასტამბულია ორი მეტად საინტერესო კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული „შენიშვნები“ (1872 წ. № 7 და № 8—9).

მასზე ყურადღების გამახვილება, მიუხედავად იმისა, რომ პირველი წერილი შეტანილია ქრესტომათიაში — „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“ [2], გამართლებულია შემდეგი მიზეზებით:

1. ემყარება რა გ. წერეთლის ფსევდონიმთა გაშიფვრის სარწმუნო წყაროებს, ს. ხუნდაძე „XX“-ს მის ფსევდონიმად თვლის. მაგრამ აღნიშნავს, ამ ფსევდონიმით „დროებაში“ ბეჭ-

[1] „საქართველოს კალენდარი“, 1893 წ., გვ. 428.

[2] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ნაწ. II, 1956 წ., ს. ხუცოშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 139.

დავდა თავის ნაწერებსო, „კრებულზე“ კი რატომღაც არ მიუთითებს;[1] 2. ეს ფსევდონიმი ამოუხსნელად არის დატოვებული ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში. 3. იგი სრულებით არაა მოხსენიებული ლიტერატურული მუზეუმის ფსევდონიმთა ლექსიკონებში.

საკითხის გადაწყვეტა გაადვილებულია იმით, რომ აღნიშნული ფსევდონიმის საიდუმლოება პირველი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნების“ დაბეჭდვისთანავე გამჟღავნებულა.

ამ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“ განქიქებულია ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტია“ და სხვა ნაწერები.

ანტონ ფურცელაძემ „მნათობის“ იმავე წლის მე-2 ნომერში უპასუხა „შენიშვნების“ ავტორს და მისი ვინაობაც გაამჟღავნა. იგი, სხვათა შორის, წერდა: „მე ვიწყებ უფ. წერეთლიდგან, რადგან ეს უფრო ღირსშესანიშნავი მოვლინებაა. ერთს ადგილას, „კრებულის“ მეშვიდე ნომერში ამბობს წერეთელი: „ვაი უფრო იმ ჟურნალსა, სადაც ფურცელაძე ჩასდგამს ფეხსა“ (ციტატი ამოღებულია „XX“-ს „შენიშვნებიდან“) და ა. შ.

ანტ. ფურცელაძის ამ წერილს გ. წერეთელმა, თავისი სახელისა და გვარის ხელმოწერით, პასუხი გასცა „დროების“ 1873 წლის პირველ ნომერში, სადაც დაადასტურა, რომ „ბიბლიოგრაფიული შენიშვნების“ ავტორი თვითონ იყო; ფსევდონიმი „XX“ მას ეკუთვნოდა.

ანონიმები

1

„საზრდო და იმისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“

ეს მეცნიერულ-პუბლიცისტური სტატია „კრებულის“ 1871 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა. იგი ნაწილია ვრცელი, კომპილაციური საბუნებისმეტყველო-სოციალური თხზულებისა,

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. ტ. I, 1931 წ.

რომელიც მთლიანი სახით („საზრდოს“ სათაურით) დაცულია ჭუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და კირილე ლორთქიფანიძის ავტოგრაფს წარმოადგენს.

ამ თხზულების ხელნაწერი ავტორს ჯერ კიდევ 1869 წელს გაუგზავნია სერგეი მესხისათვის „დროებაში“ ფელეტონებრივ დასაბეჭდად. მესხს ეს სტატია გაზეთისათვის შეუფერებლად მიუჩნევია, — და საერთოდ, არ მოსწონებია. კ. ლორთქიფანიძე, როგორც ჩანს, ძალიან დაინტერესებული ყოფილა თავისი ნაშრომის დაბეჭდვით და სისტემატურ მიმოწერას აწარმოებდა ამის თაობაზე „დროების“ რედაქტორთან. 1870 წლის 15 თებერვალს ს. მესხი მას ატყობინებდა: „...ამ ორ თვეში გამოვსცემთ ერთ დამატებას წიგნათ... იმაში დავბეჭდავ მაშინ შენ სტატიას“.

ს. ხუნდაძის აზრით, „კირ. ლორთქიფანიძის მ რ ა ვ ა ლ ი წ ე რ ი ლ ი იბეჭდებოდა ხელმოუწერლად... „კრებულში“ [1]. სამწუხაროდ, მკვლევარი არ ასახელებს, რომელი „წერილები“ აქვს მხედველობაში. ჩვენი აზრით, ამ ჟურნალში კირ. ლორთქიფანიძეს მხოლოდ ეს ერთი სტატია აქვს გამოქვეყნებული

2.

„შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდამ“

ესკიროსის წერილები („კრებული“. 1873 წ. № 2) გადმოკეთებულია ბრწყინვალე ლიტერატურულ-პუბლიცისტური ხელოვნებით და გამსჭვალულია დემოკრატიული სულისკვეთებით.

მართალია, ეს თხზულება ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ სტილისტური ანალოგია და ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ იგი ნიკო ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის.

1873 წლის პირველი ნომრიდან ნ. ნიკოლაძემ „კრებულში“ დაიწყო საინტერესო პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ. ტ. I, 1931 წ., გვ. 370; ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურის... ისტორიისათვის, გვ. 79.

სათაურით: „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, რომელშიც მხილებულია ოლიგარქია და ტირანია, გაშუქებულია თანამედროვე პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოთქმულია დემოკრატიული შეხედულებები საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ.

ამ წერილის გაგრძელება, დაპირებისამებრ, „კრებულის“ მომდევნო ნომერში, უნდა დასტამბულიყო, მაგრამ მის ნაცვლად დაიბეჭდა „შვილი მეცხრამეტე საუკუნისა. ესკიროსის წიგნებიდამ“.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნ. ნიკოლაძის აღნიშნული წერილის გაგრძელება ცენზურამ დააკავა და ავტორმა იგი იმავე პრობლემებზე სახელდახელოდ გადმოკეთებული ესკიროსის წერილებით შეცვალა. საკითხის ამ მხარეს შუქს ჰფენს ესკიროსის წერილებისათვის სქოლიოში დართული შენიშვნა, რომელიც უეჭველად ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის: „ჯერჯერობით, ჩვენ ვეღარ ჩავურთეთ „კრებულში“ „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“. იმის მაგივრად და დასამატად ვბეჭდავთ ესკიროსის თხზულების ნაწილს, რომლისგანაც ცხადად ჩანს, თუ როგორ უყურებდნენ ნაპოლეონ მესამის მმართველობას და იმ მმართველობის შედეგებს განათლებული წინაკაცები“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ესკიროსის წერილები გადმოთარგმნილია ფრანგული ენიდან, რომელსაც „კრებულის“ თანამშრომელთაგან სრულყოფილად მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე ფლობდა.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ქართველი პუბლიცისტებიდან საფრანგეთის საშინაო პოლიტიკის საკითხებით, განსაკუთრებით, ნაპოლეონ მესამის პერიოდით, ნიკო ნიკოლაძე იყო დაინტერესებული.

პუბლიცისტური სტილის ის ორიგინალური მანერა, ევროპულ პოლიტიკაზე ლაღი მსჯელობა, რომელიც ესკიროსის წერილების ქართულ თარგმანში იგრძნობა, „კრებულის“ პუბლიცისტებიდან, მხოლოდ ნ. ნიკოლაძისათვის იყო ხელმისაწვდომი.

3.

„დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან, კაცობრიობის სულის ავათმყოფობაზე“ (რუსულით თარგმნილი გ. წერეთლისაგან).

ამ თხზულების ავტორის ვინაობა დიდხანს გაურკვეველი იყო. მკვლევარებს დოქტორი კრუპოვი ავტორად მიაჩნდათ. დავით კარიჭაშვილი, მაგალითად, წერდა: „კრებულში“ დაიბეჭდა სამეცნიერო წერილები დოქტორ კრუპოვისა — კაცობრიობის სულის ავადმყოფობაზე“ [1]. უკანასკნელად დადგინდა რომ ნაწარმოების ავტორი არის ალექსანდრე გერცენი.[2]

4.

ერკმან-შატრიანი. „დალოცვილი ძველი დროება“.

მთარგმნელის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება; ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში საკითხი ღიადაა დატოვებული; ვერც იმდროინდელ პრესასა და არქივებში წავაწყდით რაიმე მითითებას, მაგრამ საკმაო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის.

„კრებულის“ 1871 წლის პირველ ნომერში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა წერილი „ახალი საფრანგეთი. ისტორიული სურათები. 1. საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში“.

აღნიშნულ თხზულებაში ავტორი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაში გლეხთა მონაწილეობის საკითხისადმი და ამ მიზნით, სხვათა შორის, ერკმან-შატრიანის „გლეხკაცის ისტორიასაც“ ემყარება.

უფრო ადრე, წერილში — „ევროპის ცხოვრება“, რომელიც „სოვრემენნოსტის“ 1868 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა, ნ. ნიკოლაძემ საგანგებოდ შეაქო ერკმან-შატრიანის შემოქმედება, თავისი პოლიტიკური შეხედულებების საილუსტრა-

---

[1] „ქართული წიგნი“, 1927 წ., გვ. 150.

[2] შ. სააკაძე, „გერცენი და საქართველო“, „მნათობი“. 1962 წ., № 4.

ციოდ გამოიყენა იგი და დასძინა: „ამ მწერლებს ზღაპრული მოწონება ჰქონდათ“. სავსებით ბუნებრივია, რომ ერკმან-შატრიანის შემოქმედებით გატაცებულ მწერალს, რომელიც იმ დროს ქართული მხატვრული თარგმანის დარგშიც ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა, საფრანგეთის შესახებ „კრებულში“ დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილების მთელი ციკლის გაგების გასაადვილებლად, მკითხველისთვის უცნობი ფრანგი მწერლების შემოქმედების ნიმუშიც გაეცნო.

„დალოცვილი ძველი დროება“ წერის მანერით, ლექსიკითა და გრამატიკულ-სტილისტური თავისებურებებით ძალიან ახლოს დგას „გულივერის მოგზაურობის“ ნიკოლაძისეულ თარგმანთან.

თარგმანი რომ ს. მესხსა და გ. წერეთელს არ ეკუთვნის, იქიდანაც ჩანს, რომ ისინი თვითონვე განიხილავენ მას თავიანთ რეცენზიებში. ს. მესხი „დროების“ 1871 წლის 39-ე ნომერში წერდა: „დალოცვილი ძველი დროება“, ერკმან-შატრიანისა, ლამაზი, აზრიანი მოთხრობაა, აქ არის აწერილი ერთი ეპიზოდი დიდი რევოლუციის წინა დროების გლეხის ცხოვრებისა საფრანგეთში; მაგრამ ეს ერთი ეპიზოდიც რიგიან სინათლეს ჰფენს იმ დროების ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებასა და უჩვენებს დიდი რევოლუციის ნამდვილს მიზეზსა“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

5.

ნ. დობროლიუბოვი — „გარდაცვალებაზედ“ (ლექსი) (1873 წ. № 1)

„როცა ზამთარში გაჭირვებული...“ (ლექსი) (1873. № 8).

„კრებულში“ ნ. დობროლიუბოვის ოთხი ლექსი დაიბეჭდა: 1. „მზე ამობრწყინდა, დაჰხედა მთასა“ (1871 წ. № 4); 2. „შეხვედრა“ („ერთხელ ქუჩაზედ პირგამხმარი ყმაწვილი შემხვდა“) (1871 წ. № 4); 3. „გარდაცვალებაზედ“ („აი, სიკვდილსა კიღევ

აცხადებს, დღეს გაზეთებში შავი არშია") და 4. „როცა ზამთარში გაჭირვებული, ღონემიხდილი, მშიერმწყურვალი..."

პირველი ორი ლექსის თარგმანი („მზე ამობრწყინდა, დაჰხედა მთასა", და „შეხვედრა") თომა კარგარეთელის ხელმოწერით გამოქვეყნდა, ხოლო მესამე („გარდაცვალებაზედ") და მეოთხე („როცა ზამთარში გაჭირვებული") — ანონიმურად.

თომა კარგარეთელი კირილე ლორთქიფანიძის ფსევდონიმია.

რაც შეეხება ორ ხელმოუწერელ თარგმანს, სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, რომ ისინიც კირილე ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

1902 წელს ზ. ჭიჭინაძე წერდა: „კირილე ლორთქიფანიძე პატივცემული პირია ქართულ მწერლობაში. იგი თავის ნაწერებს გვარსაც არ აწერდა. სხვათა შორის, მისგან ნათარგმნი ლექსები „კრებულში" ნათლად ბრწყინავენ. ეს ლექსები დღესაც დიდის ხალისით იკითხება. ლექსები გახლავთ... დობროლიუბოვისა"... [1]

ამასთან, დობროლიუბოვის ლექსთა თარგმანები შეტანილია კირილე ლორთქიფანიძის ნაწერებში, რომელიც 1905 წელს გამოვიდა ქუთაისში, თომა კარგარეთელის ფსევდონიმით [2]. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კირილე ლორთქიფანიძის არქივში, მისი თარგმანების, კერძოდ, „კრებულში" ხელმოუწერლად დაბეჭდილი დობროლიუბოვის ლექსის — „გარდაცვალებაზედ", ავტოგრაფიც აღმოჩნდა. ჟურნალის ტექსტსა და ლორთქიფანიძისეულ ხელნაწერს შორის მეტად უმნიშვნელო, ორთოგრაფიულ-გრამატიკული ხასიათის განსხვავებაა.

6.

ნიკიტინი — „მთესველი" (ლექსი)

იდეურ-მხატვრული ნიშანთვისებებით ეს თარგმანიც იმ ლექსთა ციკლს განეკუთვნება, რომელიც კირილე ლორთქიფა-

---

[1] ზ ა ქ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ისტორია ქართულის გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა, 1903 წ., გვ. 39.

[2] სანთური, ნათარგმნი ლექსები, 1905 წ., გვ. 20—25.

ნიძემ 1873 წელს, თავისი რედაქტორობის პერიოდში, ანონიმურად გამოაქვეყნა ჟურნალში. მართალია, მკვლევარები (ზაქ. ჭიჭინაძე, ს. ხუნდაძე, კ. მეძველია, ა. ნიკოლაძე, გ. აბზიანიძე და სხვ.) მას იმ ავტორთა შორის არ იხსენიებენ, რომელთა ლექსებს კირილე ლორთქიფანიძე ხელმოუწერლად ბეჭდავდა „კრებულში“, მაგრამ ეს მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ნიკიტინი არ ეკუთვნოდა სახელგანთქმულ ავტორთა რიცხვს.

ფაქტია, რომ კირილე ლორთქიფანიძე 60-ან წლებში დიდად გატაცებული ყოფილა რუსული დემოკრატიული პოეზიის მოქალაქეობრივი მოტივებით; იგი ისეთ თხზულებებს თარგმნიდა, რომლებშიც გამოხატულია სოციალური უთანასწოროების გმობა, სევდიანი განწყობილებით გადმოცემული უკმაყოფილება, ადამიანთა საკეთილდღეოდ მოქმედებისა და ბრძოლისაკენ მოწოდება, საზოგადოებრივი სიმამაცის ქადაგება. ნიკიტინის „მთესველსაც“, უდავოდ, ამით მიუპყრია მთარგმნელის ყურადღება [1].

7.

პლეშჩეევი — „სიმღერა განდგომილთა“ (ლექსი) (1873 წ. № 2)
„კილოს მიმოქცევა“ (ლექსი) (1873 წ. № 7)

1869 წლის 17 მაისს სერგეი მესხი სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „...მართლა, ჩემდა სამწუხაროდ, შენი პ ლ ე შ ჩ ე ე ვ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი (ხაზი ჩვენია. — ა. კ.) არ გაუშვა ცენზორმა — ეს „მარსელიოზააო“, ამბობს“.

„კრებულში“ გამოქვეყნებული პლეშჩეევის ლექსების გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ ზემოაღნიშნულ წერილში მათ შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი [2].

ამასვე ადასტურებს კირ. ლორთქიფანიძის სხვა პოეტურ თარგმანებთან მათი ანალოგია. ისეთივე მძიმე პოეტური მეტყველება, ნაძალადევი ფრაზები, გრამატიკულ-სინტაქსური

[1] სანთური, 1905 წ., გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 29—34.

ლაფსუსები, იმერული დიალექტიზმები, მარცვლის დაკლებით შერყეული რიტმი და ხაღვლით შეფერილი საბრძოლო განწყობილება.

„კრებულის" იმ ეგზემპლარში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით (კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის ფონდი), ლექსი „კილოს მიმოქცევა" მთარგმნელს — კირ. ლორთქიფანიძეს, ფანქრით ჩაუსწორებია.

პროფ. ს. ხუნდაძე, მართალია, ლექსის სათაურებს არ ასახელებს, მაგრამ გარკვევით აღნიშნავს, რომ კირილე ლორთქიფანიძეს „გადმოთარგმნილი აქვს... პლეშჩეევისა და სხვათა ლექსები" [1].

8.

ვიქტორ ჰიუგო — „ვინც სიცრუის და ბოროტების დროს"

ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „...კირ. ლორთქიფანიძე თავის ნაწერებს გვარსაც არ აწერდა... მისგან ნათარგმნი ლექსები „კრებულში" ნათლად ბრწყინავენ... ეს ლექსები გახლავთ ვ ი ქ ტ ო რ ჰ ი უ გ ო ს ი" [2] და სხვ. (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ლექსის სტილისტურ-პოეტური ხელწერა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს თარგმანიც კირილე ლორთქიფანიძისეულია.

1862—1870 წლებში კირ. ლორთქიფანიძე სულიერად აუფორიაქებია იმ ადამიანთა ბედს, რომლებმაც ხალხის ინტერესებს შესწირეს სიცოცხლე და უმადურთაგან დავიწყებულ იქნენ. მის ყველა იმდროინდელ პოეტურ თარგმანს წითელ ზოლად გასდევს ეს ინტონაცია. ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებიდანაც სწორედ ამ ხასიათის ლექსი ამოურჩევია და იმავე განწყობილებით უთარგმნია [3].

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ. ტ. I, 1931 წ., გვ. 378. ს. ხუნდაძე: მასალები ქართული ლიტერატურის... ისტორიისათვის, 1949 წ., გვ. 57; გ. აბზიანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959 წ., გვ. 343.

[2] ზ ა ქ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა. გვ. 39.

[3] სანთური, გვ. 17.

შინაარსი

1871 წ.

№ 1 (1870 წ. 30 დეკემბერი) [1].

1. სადღეგრძელო, ანუ ომის შემდეგ ღამე ლხინი, ერევნის სიაბ-ლოვეს. თ. გრ. ორბელიანისა;

2. დოქტორი კრუპოვის. თხზულებითგან, კაცობრიობის სულის ავადმყოფობაზე. რუსულით თარგმნილი გ. წერეთლისაგან. [ნაწყვეტი ალ. გერცენის რომანიდან — „ექიმი კრუპოვი"]; [2]

3. სატრფო! ხშირად ლაღი ფიქრი. ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

4. ახალი საფრანგეთი. ისტორიული სურათები. 1. საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

5. მესმის, მესმის სანატრელი... ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

6. მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორის ერეკლის მეფისა;

7. საახალწლო (საუბარი მკითხველებთან). ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

8. დამატება: გულივერის მოგზაურობა. თხზულება ჯონათან სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი. [ნ. ნიკოლაძე];

№ 2 (1871 წ. 31 იანვარი)

1. ჯიბრი, კომედია ორმოქმედებად, გ. წერეთლისა;

2. განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ბატონიშვილის ვახტანგისა;

3. მოთხრობა რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივა-

---

1 ფრჩხილებში აღნიშნულია ცენზურის ნებართვის თარიღი, მაშასადამე, ნომრის ფაქტიურად გამოსვლის დრო.

2 ოთხკუთხა ფრჩხილებში გაშიფრულია ფსევდონიმები და ანონიმები (დასაბუთება იხ. წინა თავში).

ნიჩს ივან ნიკიფორიჩთან, თხზულება ნ. გოგოლისა, რუსულით გ. ჩიქოვანის ნათარგმნი;

4. უცხო თემის ყარიბ მთქმელსა, ლექსი [ი. ჭავჭავაძე];

5. აჰ, სად არიან, სიჭაბუკევ... ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

6. ჩვენი ახალგაზრდობა (საუბარი მკითხველთან) ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

7. მგზავრის წერილებიდან, ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

8. დამატება: გულივერის მოგზაურობა, თხზულება ჯონათან სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი [ნ. ნიკოლაძე].

№ 3 (1871 წ. 30 მარტი)

1. „კრებულის" დანიშნულებაზედ [ნ. ნიკოლაძე];

2. მოთხრობა რაზე მოუვიდათ ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან თხზულება ნ. გოგოლისა, რუსულით გ. ჩიქოვანის ნათარგმნი (დასასრული);

3. ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი... ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

4. გლეხკაცების ომები გერმანიაში, თხზულება ბორნესი, თარგმანი ნ. ანტონოვისა;

5. ღვინედამ, ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

6. საზრდო და იმისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში. [კირ. ლორთქიფანიძე];

7. დედა და შვილი, დრამული ეპიზოდი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

8. საზოგადო საქმეები — ახალგაზრდობის აღზრდა ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

9. კრიტიკა და იმის მნიშვნელობა ლიტერატურაში, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

10. დამატება გულივერის მოგზაურობა. ნათარ. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

№ 4 (1871 წ. 30 აპრილი)

1. მელაღუმე, ძველი და ახალი ამბები, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

2. „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის". ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

3. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის-ძველათა, გ. გორისელისა [გ. წერეთელი];

4. მიბაძვა ღვინისადმი ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

5. ინგლისზე, ღვინესი, ნათარ. ვლ. ნიკოლაძისა;

6. რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი? ს. მესხისა;

7. ვოლტერის თქმული, ლექსი ნათ. ალ. ჭავჭავაძისა.

8. „ვარდის" ხმაზედ. ლექსი აკ. წერეთლისა;

9. შინელი, გოგოლისა, ნათ. ი. მ-სა [ივანე მესხი];

10. ორი ლექსი დობროლიუბოვიდამ, ნათ. თომა ქარგარეთელისა (კირ. ლორთქიფანიძე];

11. ფელეტონი: ფიქრი ლიხის მთაზე ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

№ 5 (1871 წ. 25 სექტემბერი)

1. მგზავრის წერილებიდამ. ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

2. ოთხი ლექსი. ა) „ვაი, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა"; ბ) „ჰოი, წარმავალნო გზასა, ქალნო"; გ) „ვისაც გსურთ ჩემდა ჰამბალთა ცნობა". დ) ხელოქა ჰკვიანის ლექსი"... ალ. ჭავჭავაძისა;

3. შინელი, მოთხრობა ნ. გოგოლისა, რუსულით ნათარგმნი ი. მ.-სგან [ივანე მესხი], დასასრული.

4. ებრაული მელოდია, ლექსი მ. ფაზელისა [მამია გურიელი]

5. ჩემს ძმას და მეგობარს, ლექსი მ. ფაზელისა [მამია გურიელი]

6. დავა, კომედია ხუთ მოქმედებად, გ. ერისთავისა;

7. დალოცვილი ძველი დროება, მოთხრობა ერკმან-შატრიანისა [თარგმანი ნ. ნიკოლაძისა?];

8. ჩვენი ისტორიის მახალები. სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის განაჩენი საჭართალი;

9. ერობა, მისი დანიშნულება და წესდება, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

10. რა გვეპირება?[1] გ. წერეთლისა;

11. ბედნიერი ხალხი, ლექსი, ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

12. ნადირობა, ლექსი აკ. წერეთლისა;

1872 წ.

№ 0 (1872 წ. 15 იანვარი)

1. დემონი, ლერმონტოვის პოემა, თარგმნილი რუსულით, ფაზელისა [მამია გურიელი];

---

[1] თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

2. დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია. კომედია ხუთ მოქმედებად, გ. ერისთავისა (დასასრული);

3. საუბარი ორთა შუა, თ. აკ. წერეთლისა;

4. საქართველოს ისტორიის მასალები — ხევსურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით;

5. საზოგადო საქმეები, ბანკის საქმე ჩვენში. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

6. დამატება: გულივერის მოგზაურობა. ნათარგმნი ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 7 (1872 წ. 14 მარტი)

პოემიდან „რაშიდ ვარდიძე" მ. ფაზელისა [მამია გურიელი];

2. სურათები ჩვენი ცხოვრებიდან. რაფ. ერისთავისა;

3. მგზავრის შენიშვნები: ალეველისა [იასონ ნათაძე];

4. სცენები საპატიმროში, აკ. წერეთლისა;

5. სახალხო ლექსები;

6. საქართველოს ისტორიის სურათები. მეოთხე საუკუნე. გ. გორისელისა [გ. წერეთელი]

7. ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა, გ. გორისელისა [გ. წერეთელი];

8. ზვირთები მოდუდუნებენ, რომანსი ნ. ბარათაშვილისა;

9. არსენა (კრიტიკული განხილვა), მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];

10. ირლანდიისადმი, ლექსი ტ. მურისა რუსულითგან გადმოღებული ი. ჭავჭავაძისაგან;

11. ჩვენი საზოგადოების ქრონიკა, გ. წერეთელისა;

12. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, XX [გ. წერეთელი];

13. დამატება: ქართული პოეზიის ნიმუშნი და იმათი განხილვა, ნიმუში პირველი — „იანიჩარი" ილ. ჭავჭავაძისა, ნ. დიმიტრიძისა [ნიკოლოზ ყიფიანი];

№ 8—9 (1872 წ. 21 ივლისი)

1. რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი", ი. ჭავჭავაძისა;

2. ჩვენი ცხოვრების ყვავილი, გ. თე-ლისა [გ. წერეთელი];

3. აღმოჰდა მნათი, ლექსი ნ. ბარათაშვილისა;

4. პიერ ჰუგენენი, ქორქ ზანდის რომანი, თარგმნილი №-№ [პ. უმიკაშვილი?];

5. იოსებ მაძინი, მ. პეტრიძისა [პეტრე უმიკაშვილი];
6. სახალხო ლექსი (ერეკლეს გლოვა);
7. პოემიდან „უბედური", გ. ჭალადიდელისა [გ. ქოჩაქიძე];
8. საქართველოს ისტორიული სურათები. მეხუთე საუკუნე. გ. გორისელისა [გ. წერეთელი];
9. კითხვა, ლექსი ფაზელისა [მამია გურიელი];
10. შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის. მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];
11. სატრფოსადმი, ლექსი ფაზელისა [მამია გურიელი];
12. საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილობა, გ. წერეთლისა;
13. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. XX [გ. წერეთელი];
14. დამატება: მიჩომავალი ურია, ფრანცუზულით გადმოღებული ს. ალექსეევ-მესხიევისაგან. [ეკენი სუ];

№ 10—11—12 (1878 წ. 20 იანვარი)

1. რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი", ი. ჭავჭავაძისა;
2. ძუნწი გმირი, თხზულება პუშკინისა, თარგმნილი რაფ. ერისთავისაგან.
3. მავნე სულები, ამბავი მოხევის ცხოვრებიდგან, დ. ყ. [დიმიტრი ყაზბეგი];
4. ჩვენი ცხოვრების ყვავილი (გაგრძელება გ. თელისა [გ. წერეთელი];
5. ძველი მაგრისი, ლექსი პ. ო. [ვახტანგ ორბელიანი];
6. წყლებზე. უქმი ტურისტის მოთხრობა. დ. ერისთავისა[1];
7. იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი ღღეები;
8. ბაირონის გიაურიდგან, თარგმნილი ფაზელისა [მამია გურიელი];
9. მეთექვსმეტე საუკუნე ევროპის განათლებისა, [ნ. ცხვედაძისა];
10. ჩიტი, ლექსი დ. მ. [დიმიტრი მელვინეთხუციშვილი];
11. მცირე ტომთა ენებზე, მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];
12. თბილისის გაოხრებაზე, ლექსი [ა. ბასტამაშვილი];
13. ამ დროის ვითარება. გ. წერეთლისა;
14. ჩვენი მწერლობა. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

---

[1] „კრებულში" შეცდომით დაბეჭდილია ი. დ. ერისთავისა

1873 წ.

№ 1 (1873 წ. 20 აპრილი)

1. გლახის ნაამბობი, მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა;

2. ჩემს მეგობარს ნ.... ს ლექსი აკ. წერეთლისა;

3. ნიკ. ბარათაშვილის წიგნები, ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა;

4. გლეხური სიმღერა...,

5. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

6. გარდაცვალებაზედ. ლექსი ნ. დობროლიუბოვისა [მთარგ. კ. ლორთქიფანიძე];

7. ჩვენი ცხოვრების ყვავილი (გაგრძელება), მოთხრობა გ. თელისა. [გ. წერეთელი];

8. დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით XVI საუკუნეში (დასასრული) ნ. ცხვედაძისა;

9. აჩრდილი. პოემა, ხანა IV—VIII, ი. ჭავჭავაძისა;

10. ახალი ახალგაზრდობა, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

№ 2 (1873 წ. 27 ივნისი)

1. გლახის ნაამბობი, მოთხრობა, თავი VI—VIII, ი. ჭავჭავაძისა;

2. დამჭროლა ქარმან სასტიკმან, ლექსი ნ. ბარათაშვილისა;

3. სხვადასხვაგვარი სიყვარული. ლექსი აკ. წერეთლისა;

4. ჩვენი ცხოვრების ყვავილი, მოთხრობა, თავი XVI—XXI, გ.—თელისა. [გ. წერეთელი];

5. სიმღერა განდგომილთა, პლეშჩეევიდან [მთარგ. კ. ლორთქიფანიძე];

6. შვილი მეცხრამეტე საუკუნისა. ესკიროსის წიგნებიდან. [გადმოკეთებული ნ. ნიკოლაძის მიერ];

7. რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი", XI—XIV თავები, ი. ჭავჭავაძისა.

8. გვართა ბრძოლა საქართველოში გ. გორისელისა [გ. წერეთელი].

№ 8 (1878 წ. 17 ივლისი)

1. გლახის ნაამბობი, თავი IX—XI, მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა;
2. ორი სურათი. ლექსი აკაკი წერეთლისა;
3. გლეხური სიმღერები. ილია ჭავჭავაძის შეგროვილთაგან;
4. ნიკ. ბარათაშვილის წიგნები, ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა (დასასრული);
5. რჩევა ახალგაზრდა მწერლებს, ლექსი აკ. წერეთლისა;
6. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება, თავი III—XI, ნ. სკანდელისა, [ნ. ნიკოლაძე];
7. მეფის სოლომონ მეორის დრო, პოხუცების ნაამბობთაგანი;[1]
8. რათ გიკვირს, მიკვირს, ის გული წამი, ლექსი გ. ჭალადიდელისა. [გ. ქოჩაქიძე];
9. სახალხო ლექსი. პ. უმიკაშვილის შეკრებილთაგან;
10. ჩვენი მწერლობა: გრ. ორბელიანი, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];
11. ფელეტონი: ამ დროის მოძრაობა, სტატია გ. წერეთლისა;

№ 4 (1878 წ. 25 სექტემბერი)

1. სხვათა შორის, ნაგრძნობი და განაგონი. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 5—6 (1878 წ. 20 აგვისტო)

1. ეგმონტი, გოეტეს ტრაგედია, პირველი ნაწილი, თარგმანი გ. წერეთელისა;
2. გვართა ბრძოლა საქართველოში, (გაგრძელება) გ. გორისელისა [გ. წერეთელი];
3. აჩრდილი. ხანა IX და XVII, პოემა ი. ჭავჭავაძისა;
4. გლეხური სიმღერები. ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი.
5. მგზავრის წიგნები. პირველი ნაწილი. გ. წერეთლისა.
6. ტვირთმძიმეთ და მაშვრალი მხსნელი, ლექსი ი. ჭავჭავაძისა.
7. რუსეთის ცხოვრება. მიმოხილვა, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];
8. მთესველი. ნიკიტინიდამ, ლექსი [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე];
9. ჩვენი მწერლობა „გლახის ნაამბობზე“ ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

[1] დასახელებულია სარჩევში.

№ 7 (1873 წ. 17 სექტემბერი)

1. კ ი ლ ო ს მ ი მ ო ქ ც ე ე ა. პლეშჩეევიდან, ლექსი. [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე]

2. ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო პ ო ე ზ ი ა. გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან.

3. ე გ მ ო ნ ტ ი. გოეტეს ტრაგედია. (დასასრული) ნათ. გ. წერეთლისა;

4. გ ლ ე ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა. ილია ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;

5. ჩ ე მ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ზ ე. პოლემიკური სტატია ნ. სულხანელისა. [ნ. ნიკოლაძე].

№ 8 (1873 წ. 27 სექტემბერი)

1. ს კ ა პ ე ნ ი ს ც უ ღ ლ უ ტ ო ბ ა. მოლიერის კომედია. ნათ. აკ. წერეთლისა;

2. უ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი ს ა ღ ზ რ დ ა შ ვ ე ი ც ა რ ი ა შ ი, სტატია ი. ი. [ივანე მესხი];

3. ა მ ე რ ი კ უ ლ ი ქ ა ლ ა ქ ი. სტატია გ. ზედგენიძისა;

4. გ ლ ე ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ე ბ ი. ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;

5. რ ო ც ა ზ ა მ თ ა რ ი გ ა ჰ ი რ ე ე ბ უ ლ ი. დობროლიუბოვიდამ. ლექსი [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე];

6. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ წ ე რ ლ ო ბ ა. ანრი როშფორი. ნ. სულხანელისა. [ნ. ნიკოლაძე]

7. ვ ი ნ ც ს ი ც რ უ ი ს დ ა ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს დ რ ო ს. ლექსი ვიქტორ ჰიუგოსი. [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე].

№ 9 (1873 წ. 0 ოქტომბერი)

1. მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი. ნაწილი მეორე: კოკოლიკის ცხოვრება. გ. წერეთლისა.

№ 10 (1874 წ. 1 იანვარი)

1. მ ე ფ ე ლ ი რ ი. ხუთმოქმედებიანი შექსპირის ტრაგედია. ინგლისურიდან გადმოღებული ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან;

2. ს ა ხ ა ლ ხ ო პ ო ე ზ ი ა, ძველებური მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან;

3. ი ო ა ნ ე გ უ ს ი. სტატია დ. ჩხოტუასი.

4. დ უ რ გ ა ლ ი, ლექსი გ. ჭალადიდელისა [გ. ქოჩაქიძე]:

5. უმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში. წერილი მეორე ი.-ისა [ივანე მესხი];

6. გლეხური სიმღერები. ი. ჰაექპავაძის შეკრებილთაგანნი.

7. სიმღერა, ლექსი აკ. წერეთლისა;

8. ნობათი. ფელეტონი მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];

9. „კრებულის" დამატება; წიგნი რედაქტორთან და უკანასკნელი სიტყვა, ანტონ ფურცელაძისა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3
პეტრე უმიკაშვილი 10
ნიკოლოზ ყიფიანი 41
ივანე მესხი 85
ჩესარიონ ჯაფარიძე 105
დავით ჩხოტუა 123
დიმიტრი ყაზბეგი 136

ჟურნალი „კრებული"

დაარსება და სარედაქციო-ტექნიკური მუშაობის საკითხები
დაარსება 143
სახელწოდება 151
პროგრამა 152
რედაქტორი 159
პერიოდულობა 170
ტირაჟი, ფასი და გავრცელება 173
სტამბა 182
რედაქცია 183
ტექნიკური გაფორმება 184
ცენზურა 185
პუბლიცისტიკა 192
მხატვრული ლიტერატურა 235
პ ო ე ზ ი ა 272
ალექსანდრე ჭავჭავაძე 273
გრიგოლ ორბელიანი 275
ნიკოლოზ ბარათაშვილი 281
ვახტანგ ორბელიანი 287
ილია ჭავჭავაძე 288
აკაკი წერეთელი 305
მამია გურიელი 303
გიორგი ქალაძიდელი 312
დიმიტრი მეღვინეთხუცისშვილი 317

პოეტური თარგმანი

ა. ს. პუშკინი 319
მ. ი. ლერმონტოვი 321

ნ. დობროლიუბოვი 324
ა. ნ. პლეშჩეევი 327
ი. ს. ნიკიტინი 330
ვოლტერი 331
ბაირონი 332
ჰაინრიხ ჰაინე 336
თომას მური 339
ვიქტორ ჰიუგო 340

პ რ ო ზ ა

ილია ჭავჭავაძე 342
„გლახის ნაამბობი" 342
„მგზავრის წერილები" 353
გიორგი წერეთელი 360
„მგზავრის წიგნები" 360
„ჩვენი ცხოვრების ყვავილი" 370
აკაკი წერეთელი 374
„საუბარი ორთა შუა" 374
ნიკო ნიკოლაძე 375
„მელალუმე" 375
„სხვათა შორის" 377
დავით ერისთავი 378
„წყლებზე" 378
დიმიტრი უაზბეგი 384
„მავნე სულები" 384
იასონ ნათაძე 385
„მგზავრის შენიშვნები" 385

პროზაული თარგმანი

ნ. გოგოლი 387
„რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან" 387
„შინელი" 387
ალ. გერცენი 388
„დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან. კაცობრიობის სულის ავადმყოფობა და მისი გადამდებობა" 389
ჯონათან სვიფტი 390
„გულივერის მოგზაურობა" 390
ეჟენი სუ „მიმომავალი ურია" 391
ქორჟ ზანდი 393
„პიერ ჰუგენენი" 393
ერკმან-შატრიანი 394
„დალოცვილი ძველი დროება" 394

დრამატურგია

ჯ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი 396
„დავა“ 395
გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი 397
„ჯიბრი“ 397
რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი . 401
„სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“ 401
ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი 402
„სცენა საპატიმროში“ 402

თარგმანი

შ ე ქ ს პ ი რ ი 403
„მეფე ლირი“ 403
მ ო ლ ი ე რ ი 406
„სკაპენის ცუღლუტობა“ 406
გ ო ე თ ე 409
„ეგმონტი“ 403
ფოლკლორი 413
ლიტერატურული კრიტიკა 415
პოლემიკა 460

ფსევდონიმები და ანონიმები

ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ე ბ ი 473
ალეველი 474
ი. — ი. 475
ი. მ. (ი. მ. ი.) 476
დ. მ. 478
* * * 479
ა ნ ო ნ ი მ ე ბ ი 480
„საზრდო და იმისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“ 480
„შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდან“ 481
„დოქტორ კრუპოვის თხზულებიდგან ქაცობრიობის სელის აცადმყოფობა და იმის გადამდებობა“ (რუსულით თარგმნილი გ. წერეთლისაგან) 483
ერკმან-შატრიანი. „დალოცვილი ძველი დროება“ 483
დობროლიებოვი — „გარდაცვალებაზედ“ (ლექსი) 484
„როცა ზამთარში გაჭირვებული“ (ლექსი) 484
ნიკიტინი — „მთესველი“ (ლექსი) 485
პლეშჩეევი — „სიმღერა განდგომილთა“ (ლექსი) 486
„კილოს მიმოქცევა“ (ლექსი) 486
ვიქტორ ჰიუგო — „ვინც სიცრუის და ბოროტების დროს“ 487
შინაარსი 488

Каландадзе Александр Павлович

Очерки по истории грузинской журналистики

(На грузинском языке)

Издательство
„Сабчота Сакартвело"
Тбилиси, Марджанишвили, 5
1965

რედაქტორი ლ. ნახიტაშვილი
მხატვარი ნ. ხინველი
მხატვრული რედაქტორი გ. ჭუთათელაძე
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ლ. არჩვაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-65 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 23,63. საღრ.-საგამომც. თაბახი 22,65.
უე 00283. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 128.

ფასი 1 მან. 21 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".
ტბილისი, მარჯანიშვილის 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати, Тбилиси, ул. марджанишвили, 5.

ბოდა ადამიანი, რომელსაც ასეთ უბრალო რამეზეც კი კრიჭაში უდგებოდნენ.

თითქმის ორი წელი (1869-71) ნიკოლოზ ყიფიანი სრულიად უსამსახუროდ იყო, მეტწილად, ქვეშხეთში ცხოვრობდა და ხშირად ავადმყოფობდა. 1871 წელს, ორლოვსკისა და ნიკო ჭავჭავაძის შუამდგომლობით, მას, და მასთან ერთად უნივერსიტეტიდან გამორიცხულ ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანს, კერძო ადვოკატობის ნება მისცეს. „გამაწესეს „ოკრუჟნოი სუდში", — წერს ნიკ. ყიფიანი—კანდიდატად სასამართლო თანამდებობისა... თავმჯდომარის თანაშემწე ვ. მ. გრაბოვსკი მანდობდა ხოლმე ბრალდებულთა დაცვას. „სასოფლო გაზეთის" 1871 წ. 24-ე ნომერში დაბეჭდილია განცხადება: „ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი სადავოსა და სამსჯავრო საქმეების წარმოებას კისრულობს ყოველ სამსჯავრო ადგილებში". საზღვარგარეთ წასვლამდე, იგი მხოლოდ ამ ხელობას ეწეოდა და კეთილსინდისიერი ვექილის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. თვითონვე ამბობს, საქმეს მანამ ხელს არ მოვკიდებდი, სანამ ღრმად არ დავრწმუნდებოდი, რომ ბრალდებული უდანაშაულო იყოო. სხვადასხვა დროს, იგი წარმატებით გამოსულა გახმაურებულ პროცესებზე, როგორიც იყო, მაგალითად, „ნიჟარაძეების საქმე" („დროება", 1871, № 37), „ლევან მელიქოვის საქმე" („დროება" 1872 № 4), „ზაალიშვილებისა და ივანე მესხის საქმე" („დროება", 1872 წ. № 49) და სხვ. ამ თემაზე იგი პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა ქართულ და რუსულ გაზეთებში.

დაბრუნებისთანავე, ნიკ. ყიფიანი გატაცებით ჩაება ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. 1869 წლის ბოლოს ქვეშხეთში მან უფასო სახალხო სასწავლებელი გახსნა და ერთ წელზე მეტ ხანს ასწავლიდა გლეხის ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკასა და სხვა საგნებს.[1]

იმავე დროს მხარში ამოუდგა „დროების" რედაქტორად ახალდანიშნულ სერგეი მესხს, რომელსაც პეტერბურგში ყოფნისას დაუახლოვდა; შეელოდა მას მატერიალურად, აწვდიდა

[1] „კვალი", 1893 წ. № 15.